საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის
საფუძვლების კათედრა

კარლო ღურწკაია

ეკონომიკური თეორია

დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის

20 თბილისი_01
გამომცემლობა «სამშობლო»

ლექიების კურსი შედგენილია უახლესი მასალების საფუძველზე და ვფიქრობ იგი სათანადო სამსახურს გაუწევს ეკონომიკის საფუძვლების შესწავლით დაინტერესებულ ფართო აუდიტორიას,ეკონომისტებს და არა ეკონომისტებს,მასწავლებლებს.

კურსის მომზადებასთან დაკავშირებით დიდ მადლობას მოვახსენებ კათედრის თანამშრომლებს: დოც.გ.გოგოლაძეს,დოც.ლ.მდივანს,უფ.მასწ.

აგვარუციძეს,უფ.მასწ.ნ.ჩიკვილაძეს,ნაშრომის გულდასმით წაკითხვისა და საქმიანი შენიშვნებისათვის.

რეცენზენტები:ე.მ.დ.პროფ.რ.გოგოხია
ე.მ.დ.პროფ.ა.სილაგაძე

შესავალი

დღევანდელ პერიოდში ეკონომიკური ცოდნის დაუფლებისადმი მოთხოვნილება საოცრად დიდია ნებისმიერ დონეზე-სახელმწიფოდან დაწყებული სხვადასხვა საბაზრო ინსტიტუტებამდე, მართვის საკანონმდებლო ორგანოებიდან აღმასრულებელ ორგანოებამდე,სპეციალისტებიდან მოსწავლეებამდე. სხვადასხვა გარემოებათა გამო ცოტათი ჩვენ ყველანი ვხდებით ეკონომისტები,ვინაიდან,როგორც მახვილგონივრულად შენიშნა ბერნარდ შოუმ,ეკონომიკა-ცხოვრების საუკეთესო სახით სარგებლობაა.

რეალური სინამდვილის ფაქტებზე აგებული ეკონომიკური თეორია გვეხმარება ჩვენს სამყაროში მიმდინარე პროცესების უკეთ გაგებაში,ისტორიულ მოძრაობაში ორიენტირებაში.

სტუდენტთა ეკონომიკური განათლების მთავარი ამოცანა მათში ეკონომიკური აზროვნებისა და ქცევის თანამედროვე ტიპის ჩამოყალიბებაა,საბაზრო ეკონომიკის ძირითადი რგოლების სტრუქტურისა და ფუნქციების,ძირითადი ეკონომიკური პროცესების ლოგიკისა და ეფექტიანობის, ეკონომიკის სუბიექტების ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების შესახებ ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების გამომუშავების საფუძველზე.და რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ცოდნა,მით მაღალია ნებისმიერი პროფილის სპეციალისტის რეიტინგი.

წინამდებარე ლექციების კურსი აგებულია ეკონომიკური თეორიის შესახებ გამოქვეყნებული მდიდარი მასალების საფუძველზე და ეყრდნობა,როგორც ქართული,ისე უცხოური მასალების ღრმა მეცნიერულ ანალიზს.ლექციების კურსი ასახავს მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების,მისი თანამედროვე სკოლების მიღწევებს.

ეკონომიკური თეორიის კურსის სტრუქტურა ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების რეალობებს,რომელიც გარდამავალ ხასიათს ატარებს.საქართველოში,მართალია დიდი სიძნელეებით, მაგრამ, მაინც ყალიბდება საბაზრო ურთიერთობები,ქვეყანა ცდილობს მსოფლიო ცივილიზაციის კალაპოტში დაბრუნებას.კურსში გაშუქებული პრობლემები გამომდინარეობს ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნილებებიდან, სტუდენტების ეკონომიკური მენტალიტეტის თავისებურებათა რეალური გათვალისწინებით,რომელთაც თავიანთი საკუთარი

ძალების და პროფესიული ცოდნის რეალიზების უკეთესი ხერხები სჭირდებათ.

წინამდებარე კურსის თავისებურება ისაა,რომ მასში შეტანილია ზოგიერთი ახალი ღემა,რომელთაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პერიოდში.ესენია:ფასიანი ქაღალდების ბაზარი;ინვესტიციები დი საინვესტიციო პროცესები ეკონომიკაში;გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა;სამეურნეო რისკი:სახეები და შეფასების მაჩვენებლები;ეკოლოგიური პრობლემები:მიზნები და ინსტრუმენტები;ევროკავშირი და მისი სტრუქტურა.

ვფიქრობთ, ლექციების წინამდებარე კურსი სათანადო სამსახურს გაუწევს ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულთა ფართო აუდიტორიას.

შენიშვნები და წინადადებები,გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე:თბილისი-380015,კოსტავას ქ.№77,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,IX კორპუსი,IV სართული,ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა.

თავი პირველი

ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია):საგანი,მიზნები და ამოცანები,მეთოდოლოგია

1.ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) საგანი,მიზანი და ამოცანები

ეკონომიკა,ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებული, სპეციფიკური ურთიერთობების სფეროა.სწორედ ადამიანები,როგორც ეკონომიკის მეურნე სუბიექტები არჩევანს აკეთებენ,იღებენ გადაწყვეტილებებს,კაპიტალის ინვესტირებას ახდენენ,ყიდიან თავიანთ საქონელს,იღებენ შემოსავლებს,იხდიან გადასახადებს,აფასებენ საქმიანობის ეფექტიანობას,იყენებენ შემოსავლებს ოჯახის წევრთა შენახვისა და ინვესტირებისათვის.სწორედ ეკონომიკის სუბიექტები შედიან ურთიერთობებში ერთმანეთთან პროდუქტების წარმოებისა და გაცვლის და მათი რეალიზებიდან შემოსავლის მიღების გამო,შედიან ურთიერთობებში სახელმწიფოსთან,არა მხოლოდ საკუთარი შემოსავლებიდან გადასახადების თაობაზე,არამედ ასევე სახელმწიფოსაგან სუბსიდიებისა და სხვა სახსრების მიღების თაობაზე და ა.შ.ეკონომიკაში ურთიერთობათა ეს ჩამონათვალი შეიძლება კიდევ უფრო გაგრძელდეს.უნდა ითქვას,რომ ეკონომიკის შემდგომი განვითარების კვალობაზე ეს ურთიერთობები რთულდება,წარმოიშობა ახალი სუბიექტები და ურთიერთობათა ახალი ფორმები,ხოლო პროდუქტებისა შემოსავლების მითვისება ამ პროცესის სულ უფრო ახალი და ახალი მონაწილეების მიერ ხორციელდება.

ეკონომიკური თეორია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა.იგი ყოველთვის იზიდავდა მეცნიერთა და განათლებულ ადამიანთა ყურადღებას.ეს იმით აიხსნება,რომ ეკონომიკური თეორიის შესწავლა-სამეურნეო საქმიანობაში ადამიანთა ქმედებების,მოტივების შეცნობის ობიექტური აუცილებლობის,ყველა დროში მეურნეობრიობის კანონების შეცნობის რეალიზაციაა-არისტოტელედან ქსენოფონტემდე და დღემდე.

განათლებულ ადამიანთა ინტერესი ეკონომიკური თეორიისადმი (პოლიტიკურ ეკონომიისადმი) დღეს სულ უფრო იზრდება.ეს იმ

გლობალური გარდაქმნებით აიხსნება,რომლებიც მთელს მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოშიც მიმდინარეობს.ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა,ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ერთ-ერთმა პირველმა ლაურეატმა,პ. სამუელსონმა ეკონომიკურ თეორიას მეცნიერებათა დედოფალი უწოდა.ნობელიის პრემიის მეორე ლაურეატი მ.ფრიდმენი წერდა,რომ ეკონომიკა-მომხიბლავი მეცნიერებაა,იგი განსაცვიფრებელია იმით,რომ მისი ფუნდამენტური პრინციპები საოცრად მარტივია,და შეიძლება ქაღალდის ერთ ფურცელზე ჩაიწეროს,მაგრამ მათ ყველა როდი გებულობს.ამ მეცნიერების სირთულე,მეურნეობრიობის რთული სამყაროს შეცნობის პროცესში მკითხველისაგან,ე.ჰეილბრონერის სიტყვებით „აქლემის ამტანიანობას და წმინდანის მოთმინებას“ მოითხოვს.

უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები თანამედროვე პერიოდში უნდა ერკვეოდნენ ეკონომიკურ პრობლემათა ფართო წრეში,საზოგადოების განვითარების კონსერვატიულ და პოზიტიურ ტენდენციებში,რათა დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი პოზიცია გარდაქმნებში,მზად იყვნენ პრაქტიკული საქმიანობისათვის და გარკვეული მსოფლმხედველობა გააჩნდეთ.ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება საზოგადოებრივ მეცნიერებათა და,მათ შორის,ეკონომიკური თეორიის კურსიც.პ.სამუელსონი,მსოფლიოში ცნობილ სახელმძღვანელოში „ეკონომიკსში“ წერდა,რომ,ადამიანი რომელიც სისტემატურად არ სწავლობს ეკონომიკურ თეორიას,იმ ყრუს ემსგავსება,რომელიც ცდილობს მუსიკალური ნაწარმოების შეფასებას.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ღრმა კრიზისი არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაში.

თუკი გავიხსენებთ ეკონომიკური აზრის განვითარებას,შეიძლება შევნიშნოთ,რომ სწორედ ეკონომიკური კრიზისები წარმოადგენდა წარსულში ეკონომიკური თეორიის განვითარების მძლავრ იმპულსებს.ასე,მაგალითად ა.მარშალის ეკონომიკსის თეორია წარმოიშვა და ფართო გავრცელება ჰპოვა 1822 წლის კრიზისისა და მისი შემდგომი ოცწლიანი დეპრესიის შედეგად,კეინზელობა-1929-1933 წლების და შემდგომი დეპრესიის შემდეგ,მონეტარიზმი-1960 და 1970-იანი წლების კრიზისული მოვლენების და ა.შ.

ადამიანთა ურთიერთობების ერთობლიობა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში იმდენად რთულია,რომ,ერთი შეხედვით,თითქოსდა სისტემატიზებას არ ექვემდებარება.მაგრამ უფრო დეტალური ანალიზი გვიჩვენებს,რომ ეკონომიკური საქმიანობის მო-

ნაწილეთა ურთიერთობები შეიძლება სისტემატიზებულ იქნეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ჯერ-ერთი,რესურსებისა და პროდუქტების მოძრაობის კრიტერიუმით წარმოებიდან მოხმარებისაკენ ეკონომიკური ურთიერთობები ამ ასპექტში გამოიდიან,როგორც ურთიერთობები მატერიალური დოვლათის თუ მომსახურების წარმოების,განაწილების გაცვლისა და მოხმარების გამო.

მეორე,რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმით.ეკონომიკური არჩევანი ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების წინაშე,შეზღუდული რესურსების პირობებში დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა მიღების ძნელ ამოცანას აყენებს.ეს ნიშნავს,რომ წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური ურთიერთობათა კლასიფიკაციის პრინციპი,მოქმედების სხვა ხაზისა და ლოგიკიდან-ობიექტურ ფაქტორთა გათვალისწინებიდან გამომდინარე,რომლებიც გადაწყვეტილებათა მიღებას და მათ რეალიზებას, ბაზრების სისტემას განსაზღვრავენ,კონკურენციის სხვადასხვა სახეების პირობებში და ა.შ.

აღნიშნული კრიტერიუმები არა თუ არ გამორიცხავენ,არამედ,გულისხმობენ კიდევაც ერთმანეთს.მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ამ კლასიფიკაციათა თავისებურებები.პირველი ყურადღებას ამახვილებს ურთიერთობათა თანმიმდევრულობაზე,მათ სუბორდინაციაზე,პროდუქტის წარმოებიდან მოხმარებამდე მოძრაობის კვალობაზე.მეორე კლასიფიკაცია ყურადღების ცენტრში აყენებს ურთიერთობათა ურთიერთკავშირის პრობლემას საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილებათა რაციონალური არჩევანის ძიების პროცესში.მაშასადამე,აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ეკონომიკურ სისტემათა ელემენტების ურთიერთკავშირის თანმიმდევრობა და ლოგიკა მათი თეორიული ანალიზის პირობებში.

მესამე,ეკონომიკური ურთიერთობები განსხვავდება ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე ამა თუ იმ ფაქტორთა ზემოქმედების ხასიათის კრიტერიუმით.ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით გაანალიზებისას.მოცემულ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა **ტექნიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები.**

ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე წარმოება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება განისაზღვრება შრომის საშუალებათა ტექნიკური დონით,თანამედროვე საინფორმაციო სისტემების არსებობით და ა.შ.ტექნოლოგიური პირობების ჩამორ-

ჩენილობა თავს იჩენს ეკონომიკის ყველა მხარეზე,ზღუდავს რაციონალურ გადაწყვეტილებათა არჩევანის თავისუფლებას.

მეორე ჯგუფია-**დოვლათის სოციალურ-ეკონომიკური მითვისების ანუ საკუთრებითი ურთიერობები**.სწორედ ისინი განსაზღვრავენ სისტემის სოციალ-ეკონომიკურ ხასიათს,მის წინააღმდეგობებს და ასევე სისტემის განვითარების სტიმულებს.

ურთიერთობათა მესამე ჯგუფია-**საორგანიზაციო-ეკონომიკური** ანუ **საორგანიზაციო-მმართველობითი ურთიერთობები**.ყველა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ისინი განსაზღვრავენ ეკონომიკის დამოკიდებულებას მისი ინსტიტუტებისაგან,ორგანიზაციისა და მართვისაგან.ეკონომიკური ურთიერთობები იცვლებიან ეკონომიკის მართვის ზეგავლენით,რის შედეგადაც ახალი შესაძლებლობები იხსნება სისტემის დინამიური განვითარებისათვის.სწორედ ეს ურთიერთობები წარმოადგენენ **ინსტიტუციონალური ეკონომიკის** ბაზას.

ყველა მეცნიერების ამოცანაა რეალური პროცესების,ფაქტების,შინაგანი კავშირების,მოვლენათა ცვლილებების კანონზომიერებებისა და ტენდენციების ანალიზი.გამონაკლისი ამ მხრივ,არც ეკონომიკური თეორიაა. მთელი მისი ისტორია გვიჩვენებს,რომ ეს იყო საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ერთიანი სისტემური ანალიზის მუდმივი ძიება,განვითარების ტენდენციების აღწერის,ახსნის და წინასწარგანჭვრეტის მცდელობა,ეკონომიკური ცხოვრების კანონების ახსნა,ყველაზე რაციონალურ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა დასაბუთება.

დღეს მკაფიო განსხვავება არსებობს საბუნებისმეტყველო ანუ ფიზიკურ მეცნიერებებსა და ადამიანის შესახებ ანუ საზოგადოებრივ მეცნიერებას შორის.პირველნი იკვლევენ ურთიერთკავშირებს ბუნების მოვლენებს შორის:ეს შეეხება გეოლოგიას,ფიზიკას,ქიმიას და ა.შ.მეორენი სწავლობენ ადამიანის საქმიანობას,ურთიერთობებს ადამიანებსა და ნივთებს შორის,ასევე კავშირებს,ადამიანებს შორის;მათი მონაცემები სუბიექტურია,რამდენადაც გამოხატავენ არა სუბიექტურ მატერიალურ მაჩვენებლებს,არამედ ადამიანთა ჩანაფიქრებს,აზრებს,რწმენას.

მრავალი მეცნიერება შეისწავლის ადამიანს:ესაა მეცნიერება ხალხთმოსახლეობის შესახებ,სოციოლოგიური,გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებები,პოლიტიკური მეცნიერება.ეკონომიკური თეორიაც მათ რიცხვს მიეკუთვნება,ვინაიდან,იგი ა.მარშალის გამოთქმით,წარმოადგენს „კაცობრიობის გამოკვლევას მისი ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობაში“ყველა ეს მეცნიერება სწრა-

ფად ვითარდებოდა და მნიშვნელოვან წარმატებებს XX საუკუნეში მიაღწიეს.

90-იან წლებამდე ეკონომიკური მსოფლმხედველობისა და ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში მთავარი ადგილი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას ეკავა.მთელი სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურა კ.მარქსისა და მისი მოძღვრების პოპულარიზაციაზე დაიყვანებოდა.ამიტომ მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურა თითქმის შეუმჩნეველი გახდა,რამდენადაც კ.მარქსის სქემებში ვერ თავსდებოდა.ქართული და მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების განხეთქილებამ ის გამოიწვია,რომ ეკონომისტებმა სხვადასხვა ტერმინებით იწყეს სარგებლობა.გამოჩნდა ისეთი მოგონილი ცნებები,როგორიცაა უშუალოდ საზოგადოებრივი პროდუქტი და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა,საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო და ა.შ.

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანი მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობები იყო,რომელთა საფუძველი საკუთრებითი ურთიერთობებია.წარმოებით ურთიერთობათა სისტემიდან გამოიყვანებოდა ეკონომიკური კანონები,წინააღმდეგობები,კლასობრივი კონფლიქტები,პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ბატონობა.

ასეთი კლასობრივი მიდგომა ეკონომიკაში ობიექტური პირობების უგულებელყოფას,რეალური ეკონომიკური გარემოს დამახინჯებას,ზოგადსაკაცობრიო პირობებისა და განვითარების ცივილიზებული ფაქტორების შესაძლებლობას იწვევდა.ყოველივე ამან ჩიხში შეიყვანა ეკონომიკური თეორია და მეურნეობრივი პრაქტიკა.

XIXს.40-იანი წლებიდან ეკონომისტებმა ყურადღება მეურნეობაში არა საზოგადოებრივ არამედ ნივთობრივ კავშირებზე გადაიტანეს.აღმოჩნდა ეკონომიკური აზრის მიმართულება,რომელსაც „ეკონომიკსი“ (პ.სამუელსონი) ეწოდება და დაიწყო შეზღუდული რესურსების გამოყენების რაციონალური მეთოდების ძიება ამა თუ იმ ალტერნატიული მიზნების მისაღწევად.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ეკონომიკური თეორია გამოდის ეკონომიკური მეცნიერების ზოგადმეთოდოლოგიური საფუძვლის სახით,რომელსაც კვლევის საკუთარი საგანი და ობიექტი გააჩნია.

ეკონომიკურ თეორიას,ისე როგორც სხვა სოციალურ მეცნიერებებს რიგი თავისებურებები გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან შედარებით.ჯერ-ერთი,ეკონომიკურ თეორიას საქ-

მე აქვს ადამიანთა საქმიანობასთან და ამის გამოა საზოგადოებრივი, სოციალური მეცნიერება,განსხვავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებისაგან,რომლებიც შეისწავლიან არა ადამიანთა ნებით და გონებით გაშუალებულ მოვლენებსა და პროცესებს.მეორე,ეკონომიკური ქმედებები და,მაშასადამე,ეკონომიკური თეორია პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ ინტერესებთან და იდეოლოგიასთან.ეს ეკონომისტების წინაშე აყენებს ამოცანას,მუდმივად მიმართონ სხვა სოციალურ მეცნიერებებს და დისციპლინებს:სოციოლოგიას,პოლიტილოგიას,ისტორიას და ა.შ.მესამე,ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესებთან პირდაპირი კავშირის გამო,ეკონომიკურ თეორიას აინტერესებს არა უბრალოდ რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებები,არამედ,ამ გადაწყვეტილებათა რეალიზების აუცილებლობაც,პროდუქტებისა და სიკეთის საზოგადოების მიერ მიღებული სოციალურად სამართლიანი განაწილების გათვალისწინებით.

რამდენადაც ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებაში ერთიან სისტემას წარმოადგენენ,ეკონომიკური თეორიის საგანი შეიძლება შემდეგნაირადაც განვმარტოთ:**ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემების შესახებ საზოგადოებაში.**

როგორც ჩანს,ეკონომიკურმა თეორიამ ეკონომიკურ ურთიერთობათა გაანალიზებით პასუხი უნდა გასცეს რიგ პრინციპულ კითხვებს:

- რას წარმოადგენს ეკონომიკური სისტემა,როგორაა იგი მოწყობილი,როგორია მისი სტრუქტურული ელემენტები,მიზნები,ფორმები და მოძრაობები?
- როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკური სისტემა,როგორც ხორციელდება ურთიერთკავშირი მის ელემენტებს შორის,ფუნქციონირების პროცესში და რა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღება?

რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე დაყრდნობით ეკონომიკური თეორია ეძებს ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლებს,როგორც მთელი ეკონომიკის,ისე კონკრეტული ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ ეკონომიკური თეორიის საზოგადოდ მიღებული განმარტება არ არსებობს,თუმცა ეკონომისტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს,რომ იგი უნივერსალური მეცნიერებაა რესურსების არჩევისა და ადამიანის ეკონომიკური ქცევის შესახებ.დგება საკითხი ეკონომიკური თეორიის, როგორც საზოგა-

დებრივი მეცნიერების შესახებ,რომელიც შეისწავლის ადამიანთა და ჯგუფების ქცევას,შეზღუდული რესურსების პირობებში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.ამასთან,რესურსების შეზღუდულობა იწვევს კონკურენციას მათი გამოყენებისათვის.იგი ასახავს წინააღმდეგობებს რესურსების არსებობასა და მათი გამოყენების შესაძლებლობას შორის,რომელიც წარმოების ორგანიზაციის სამი წესის დროს ხორციელდება:

- ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე დამყარებულ,ე.წ. ტრადიციული წარმოების დროს;
- ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის საფუძველზე;
- საზოგადოებრივი წარმოების საბაზრო საფუძველზე ორგანიზების პირობებში.

ეს სისტემური ორგანიზაციები შეიძლება თანაარსებობდნენ ერთ თმანეთთან შეთანაწყობისა და კომბინაციის პირობებში და წარმოქმნან **ტრანზიტული ეკონომიკა.**

როგორც მეთოდოლოგიური მეცნიერება,ეკონომიკური თეორია მოწოდებულია,უწინარეს ყოვლისა,გამოიკვლიოს წარმოებისა და გაცვლის ადგილის პრობლემები საზოგადოების განვითარებაში.კაცობრიობას არ შეუძლია არსებობა მოხმარებისა და შრომის შედეგების:მატერიალური,სულიერი და სოციალური დოვლათის გაცვლის გარეშე.მათი წარმოების მუდმივი გადიდება და გაცვლაში მონაწილეობა წარმოქმნის საზოგადოების ეკონომიკურ ზრდას.იგი ყველაზე კონცენტრირებულად ასახავს საზოგადოებრივი შრომის შედეგებს,მის ზნეობრივ და სულიერ საწყისებს.ეკონომიკური ზრდა-ეკონომიკური დინამიკის მაჩვენებელია და წყაროა.

სწორედ ამიტომ ეკონომიკური თეორიის საგანია ეკონომიკური ზრდის ფაქტორები,როგორც კვლავწარმოების დინამიკის ფაზების:წარმოების,განაწილების,გაცვლისა და მოხმარების,ისე საზოგადოებრივი განვითარების უფრო შორეულ ეტაპებზე.**ეკონომიკური ზრდა-ეკონომიკური** თეორიის როგორც მეცნიერების შინაარსია (ღერძია).იგი ახასიათებს ეკონომიკის საერთო მდგომარეობას და მის შესაძლო დინამიკას,რომელიც ეროვნული ეკონომიკის კონიუნქტურულ მდგომარეობას წარმოქმნის.

წარმოების განახლება და მისი ეკონომიკური ზრდა ინდივიდუალურ (ფირმის) დონეზე და საზოგადოებრივი მასშტაბით წარმოებს.ამიტომ,სტრუქტურულად ეკონომიკური თეორია მოიცავს მიკრო- და მაკროეკონომიკას.

მიკროეკონომიკა იკვლევს ცალკეულ მწარმოებელთა ქცევას,მენარმეობითი კაპიტალისა და კონკურენტული გარემოს ფორმირების ეკონომიკურ კანონზომიერებებს.ანალიზის ცენტრშია ცალკეულ საქონელთა ფასები,დანახარჯები,ფირმის ფუნქციონირების მექანიზმი,ფასწარმოქმნა,შრომის მოტივაცია.განსაზღვრავენ საზოგადოებრივი დონის პროპორციებს.**მაკროეკონომიკას** საქმე აქვს ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების გამოკვლევასთან ჩამოყალიბებადი მაკროპროპორციების საფუძველზე.მისი შესწავლის ობიქტია ეროვნული პროდუქტი,ფასების საერთო დონე,ინფლაცია,დასაქმება.მაკროპროპორციები თითქოსდა მიკროპროპორციებიდან აღმოცენდებიან,მაგრამ დამოუკიდებელ ხასიათს იძენენ.

შეიძლება ასევე გამოვყოთ **მეზოეკონომიკა** (ეროვნული ეკონომიკის ან მისი ცალკეული დარგების გარკვეული ქვესისტემების ქცევა),და **მეტაეკონომიკა** (ეკონომიკის ფილოსოფია)ღ

მიკრო- და მაკროეკონომიკა ურთიერთგანპირობებული არიან რეალურ ეკონომიკურ გარემოში და ერთმანეთზე ზემოქმედებენ.მაკროეკონომიკურ ეტაპზე ამ ზემოქმედების დონე,ხასიათი და ძალა ამა თუ იმ ზომით სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება ეკონომიკური სტაბილიზებისა და რეგულატორების მეშვეობით.ამ რეგულირების ხარისხი განსაკუთრებულ ხასიათს იძენს ეკონომიკის განვითარების გარდამავალ პერიოდში,საბაზრო ურთიერთობებისა და საბაზრო კავშირების ჩამოყალიბების,მართვის ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მეთოდების მსხვრევის ეტაპზე.

მიუხედავად სხვადასხვა დონისა,მიკრო- და მაკროეკონომიკა ზოგად ანალიზში და მისი შედეგების გამოყენებაში ერთ მიზანს-ეკონომიკური ზრდის ფაქტორების კანონზომიერებათა გამოკვლევას ექვემდებარება,საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.ეკონომიკური ზრდის სტაბილური პარამეტრების შენარჩუნება,მათი ოპტიმიზაცია მატერიალურ და სულიერ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ხორციელდება,საზოგადოების განვითარების ზნეობრივი საფუძვლების გასაძლიერებლად.ერთერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური წანამძღვარი ისაა,რომ ეკონომიკური თეორიის მიკრო- და მაკრო დონეები ორი ცალკეული მეცნიერება როდია.მეტადრე,ეს ერთიანი ეკონომიკური თეორიის ცალკეული დასციპლინები-ნაწილებია,რომელთაც გამოკვლევის საერთო საგანი გააჩნია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან,ეკონომიკური თეორია,ესაა:

● მეცნიერება **ეკონომიკური ზრდის ფაქტორებისა** და კანონზომიერებების შესახებ,**კვლავწარმოების ფაზების** და გრძელი ტალღების დინამიკაში,მეცნიერება ეროვნული სიმდიდრის შესახებ;

● მეცნიერება **შეზღუდული რესურსების** (შრომა,მიწა,კაპიტალი,მენარმეობა) გამოყენების შესახებ,საქონელთა წარმოებისა და მათი გაცვლისათვის,მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით;

● მეცნიერება ადამიანთა საქმიანობის სახეობების შესახებ,წარმოებისა და გაცვლის სფეროში, ყოველდღიური საქმიანი ცხოვრების და არსებობის საშუალებათა მოპოვების შესახებ.

ეს განმარტება შეიძლება ასეთნაირადაც წარმოვიდგინოთ:ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება შეისწავლის,თუ სხვადასხვაგვარი შეზღუდული რესურსები როგორ გარდაიქმნებიან ადამიანებისათვის საჭირო დოვლათად და როგორ იწარმოება,ნაწილდება და იცვლება სასიცოცხლო საშუალებები.

არსებობს ეკონომიკური თეორიის ორიგინალური განმარტება,რომლის თანახმად იგი არის ცოდნის ერთობლიობა,რომელიც პასუხს გასცემს ურთიერთდაკავშირებული კითხვების სამ შემდეგ ჯგუფს:

1.**რა** უნდა ვაწარმოოთ და რა რაოდენობით?

2.**როგორ** უნდა ვაწარმოოთ საქონელი, და ვინ უნდა აწარმოოს ისინი,რომელი რესურსებით,რა ტექნოლოგიის დახმარებით?

3.**ვისთვის** იწარმოება,ვის მიეკუთვნება წარმოებული საქონელი და მომსახურებები და როგორ ნაწილდება ისინი მომხმარებლებს შორის?

ზოგჯერ კითხვების ამ სამ ჯგუფს უკიდურესად ლაკონურად გადმოსცემენ:„**რა?როგორ?ვისთვის?**“ პირველი კითხვის პასუხი ახასიათებს წარმოების სტრუქტურას,მეორისა-ტექნოლოგიას,ხოლო მესამის-წარმოებული პროდუქტის მოხმარების სფეროს.

ეკონომიკური თეორია შეისწავლის რაციონალური მეურნეობრიობის,როგორც ზრდის ცალკეული ჯგუფებისა და საზოგადოების წევრების ნამდვილი სიმდიდრისა და კეთილდღეობის წყაროს და მამოძრავებელ ძალას,სასაქონლო ფულად ურთიერთობათა ასპექტში.როგორც ზემოთ აღნიშნეთ,ეკონომიკური თეორიის საგანია ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებები და ფაქტორები.მაგრამ როგორია ამ ზრდის მიზნები,რისთვის ხორციელდება იგი?

მარქსისტული ეკონომიკური თეორიის თანახმად,წარმოების მიზნები განპირობებულია წარმოების წესის ძირითადი ეკონო-

მიკური კანონით (კაპიტალისტური,კომუნისტური).კაპიტალისტური სტადიისათვის დამახასიათებელია ზედმეტი ღირებულების მიღება,ხოლო სოციალიზმისათვის-მოთხოვნების მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილება.

როგორც ერთი,ისე მეორე მიზანი თუმცა ობიქტურად იყო წარმოდგენილი,მაგრამ,სინამდვილეში სუბიექტური ფანტაზიის ნაყოფს შეადგენდა,რომელიც რეალურ ცხოვრებას არ პასუხობდა.ხოლო თვით საკითხის დაყენება ძირითადი თუ არაძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ,სხვა არაფერია,თუ არა პარტიული სუბორდინაციის გადატანა ეკონომიკაში.

შეზღუდული რესურსების პირობებში ეკონომიკური თეორიის საგნის,წარმოების გადიდების ზოგადი ანალიზიდან ყალიბდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სოციალიზაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნები.ესაა:

- წარმოების მოცულობის (ეკონომიკური ზრდა) წინსვლითი სტაბილური ზრდა;
- ფასების სტაბილური დონე თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე;
- დასაქმების მაღალი დონე;
- ნონასწორობითი საგარეო სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება და და.შ.

მიკრო- და მაკროგანვითარების რეალური მსვლელობა წარმოშობს მიზნების ხეს.იგი სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირდება.მაგრამ,მთავარი-ესაა ეკონომიკური ზრდის მიზანი-ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,საზოგადოების განვითარების ზნეობრივი საფუძვლების გაძლიერება.ცოდნა,გამოცდილება,ადამიანის უნარი, ქმნის ადამიანისეულ კაპიტალს.იგი ცხოვრების მომავალი დონის წყაროა.

2.ეკონომიკური თეორიის წარმოშობა და განვითარების ეტაპები

ეკონომიკური მეცნიერების სათავეები ანტიკური სამყაროს მოაზროვნეთა მოძღვრებებში,უწინარეს ყოვლისა, ძველი აღმოსავლეთის-მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის ქვეყნებში უნდა ვეძებოთ.ძველინდური „Many"-ს კანონები (IVს.ჩვ.წ. აღრიცხვამდე) აღნიშნავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობას,ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობებს.ძველი ჩინეთის მოაზროვნეთა შრომებში,რომელთა შორის განსაკუთრებით გა-

მოირჩეოდა კონფუცი (551-479წწ.ჩვ.წ.აღრიცხვამდე) გატარებული იყო განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

როგორც მეცნიერება,ე.ი.სისტემატიზებული მოძღვრება ეკონომიკური სისტემის არსის,მიზნებისა და ამოცანების შესახებ,ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) აღმოცენდა XVI-XVII საუკუნეებში.1615წ.ანტუან დე მონკრეტიენმა პირველად გამოიყენა ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“,და მას შემდეგ სხვადასხვანაირი განმარტება მიიღო.მონკრეტიენს სურდა საფრანგეთის მონარქისათვის რჩევის მიცემა,თუ როგორ უნდა ემართა სახელმწიფო ქონება.ამით აიხსნება (ეტიმოლოგიის თვალსაზრისით) მისი წიგნის სახელწოდება:„ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ“,რაც ნიშნავს „ქალაქის სახელმწიფო ქონების მართვას“.ესაა კაპიტალიზმის ჩამოყალიბების,მანუფაქტურის წარმოშობის,შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების,საგარეო და საშინაო ბაზრების გაფართოების,ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაციის პერიოდი.ამ პროცესებს ეკონომიკურმა მეცნიერებამ **მერკანტილიზმის** აღმოცენებით უპასუხა.

მერკანტილისტების მოძღვრების არსი სიმდიდრის წარმოშობის წყაროს განსაზღვრამდე დაიყვანება და ამაშია მათი დამსახურება,ვინაიდან სწორედ მათ პირველებმა აღნიშნეს ამის შესახებ.მაგრამ ამ საკითხს ისინი არასწორად განმარტავდნენ,ვინაიდან სიმდიდრის წყარო მიმოქცევის სფეროდან გამოჰყავდათ,ხოლო თვით სიმდიდრეს ფულთან აიგივებდნენ.მერკანტილისტები ვაჭრების წარმომადგენლები იყვნენ და მათ ინტერესებს გამოხატავდნენ.

ამ დროიდან დაიწყო ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვანაირი განმარტებები იმისაგან დამოკიდებულებით,თუ რომელი მიმართულებით ვითარდებოდა იგი,ან ავტორთა საკუთარი მოსაზრებებით.

მერკანტილიზმთან იდეურად უფრო ახლოა **პროტექციონიზმის პოლიტიკა**,რომელიც მიმართულია ეროვნული ეკონომიკის დაცვაზე სხვა სახელმწიფოს კონკურენციისაგან,საბაჟო ტარიფების,შეზღუდვების შემოღებით,ქვეყანაში უცხოური კაპიტალებისა და საქონელთა შემოტანაზე.

მერკანტილიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ თომას მანი (1571-1641წწ.),ანტუან დე მონკრეტიენი (1575-1621წწ.),გასკარ სკარუფი (1519-1584წწ.) დანიელ ნორე (1641-1991წწ.) დავიდ იუმი (1711-1776წწ.).

მერკანტილისტებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო **თომას მანი** და **ანტუან დე მონკრეტიენი**.ისტორიაში ეს უკანასკნელი შევიდა,როგორც მერკანტილიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი საფრანგეთში,რომელმაც საკუთარი სახელი,მეცნიერულ მიმოქცევაში ტერმინი **„პოლიტიკური ეკონომიის“** შემოტანით უკვდავყო.

უილიამ პეტის (1623-1686წწ.) მოძღვრება თითქოსდა ხიდია მერკანტილისტებიდან **კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიამდე**.მისი ნაშრომებია-„ტრაქტატი გადასახადების და მოსაკრებლების შესახებ (1662წ.)“, „სიტყვა ბერძნებისადმი“(1665წწ), „პოლიტიკური არითმეტიკა“ (1646წწ.),„ცოტა რამ ფულის შესახებ“ (1682წ.). პეტის დამსახურება ისაა,რომ სიმდიდრის წყაროდ მან პირველმა გამოაცხადა შრომა და მიწა.ცნობილია მისი გამოთქმა:„შრომა სიმდიდრის მამა და ყველაზე აქტიური პრინციპია,ხოლო მიწა-მისი დედაა“. ეკონომიკური თეორიის განვითარებაში ახალი მიმართულება წარმოდგენილია **ფიზიოკრატებით**,რომლებიც მსხვილ მიწამფლობელთა ინტერესებს წარმოადგენდა.ტერმინი „ფიზიოკრატები“ წარმოქმნილია ბერძნული სიტყვისაგან **phisis** და **kratos** და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბუნების ბატონობას“.ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენელი და დამაარსებელია ფრანსუა კენე (1694-1774წწ.).მან 64 წლის ასაკში გამოსცა ნაშრომი „ეკონომიკური ცხრილები“(1758წ.),სადაც მოგვცა საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების ანალიზის გენიალური ცდა.კენემ უარყო მერკანტილისტების მოძღვრება,რომ გაცვლა ქმნის სიმდიდრეს;სიმდიდრის წყაროდ მან აღიარა არა უბრალოდ შრომა მიწამთმოქმედებაში,არამედ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის მოხმარებაზე გადამეტება;მისი მოძღვრების შეზღუდულობა ისაა,რომ სიმდიდრის წყაროდ მხოლოდ სამიწათმოქმედო შრომას მიიჩნევდა.

ეკონომიკურმა მეცნიერებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა **ა.სმითის** (1723-1780წწ.) და **დავიდ რიკარდოს** (1772-1823წწ.) ნაშრომებში.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში სმითი შევიდა როგორც **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი**.44 წლის ასაკში მან გადაწყვიტა გრანდიოზული და საოცარი გეგმის განხორციელება-სამყაროსთვის მიეცა სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის თეორია.10 წლიანი განდეგილობის შემდეგ მან გამოსცა წიგნი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“(1777წ.).მასში იმ დროისათვის დაგროვილი მთელი ცოდნის სისტემატიზებით ა.სმითმა შეასრულა ისტორიული მისია.

მთავარი ნაშრომია „პოლიტიკური ეკონომიისა და გადასახადით დაბეგვრის საფუძვლები“(1809-1817წწ.).მან უჩვენა,რომ ღირებულების ერთადერთი წყაროა მუშის შრომა,რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კლასების შემოსავლებს (ხელფასს,მოგებას,სარგებელს,რენტას);რომ მოგება მუშის აუნაზღაურებული შრომის შედეგია;ჩამოაყალიბა ხელფასისა და მოგების უკუპროპორციული დამოკიდებულების კანონი;მიუთითა მოგების ნორმის დაცემის ტენდენციაზე;შეისწავლა დიფერენციული რენტის მექანიზმი.მისი მოძღვრება ინგლისური უტოპიური სოციალიზმის საფუძველი გახდა.

რიკარდოს შემოქმედება იმითაც არის ცნობილი,რომ მან მთელი სიცხადით გვიჩვენა,რომ საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ანალიზი-ეკონომიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიო ეკონომიკური აზრის ევოლუციაში განსაზღვრული ეტაპი იყო შვეიცარიელი ეკონომისტისა და ისტორიკოსის **ჟან სისმონდის** (1773-1842წწ.) ნაშრომები.იგი სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში,ცხოვრობდა საფრანგეთში,დიდ ბრიტანეთში,იტალიაში.მისი მთავარი ნაშრომია „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები“(1819წ.), სადაც იგი გამოვიდა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური მექანიზმის კრიტიკით.საკუთარი ეკონომიკური მოძღვრების ცენტრში იგი აყენებდა განაწილებას,რომლისგანაც დამოკიდებულია მოხმარება და წარმოება.იგი თვლიდა,რომ პოლიტიკური ეკონომია მოწოდებულია იყოს მეცნიერება სოციალური მექანიზმის სრულყოფის შესახებ ადამიანის ბედნიერებისათვის. ახალი საზოგადოების შექმნის იდეა წამოაყენეს სოციალისტ-უტოპისტებმა,**ანრი სენ-სიმონმა**(1760-1825წწ.) და **შარლ ფურიემ** (1772-1837წწ.)-საფრანგეთი და **რობერტ ოუენმა** (1771-1858წწ.)-დიდი ბრიტანეთი.ისინი გამოვიდნენ კაპიტალიზმის კრიტიკით და წარმოების რეორგანიზაციის,ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის წინააღმდეგობის მოხსნის,სამართლიანი სოციალური სისტემის დამყარების მოთხოვნით.

პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის უმაღლეს მიღწევებზე დაყრდნობით **კ. მარქსმა** და **ფ. ენგელსმა** შექმნეს თეორიული კონცეფცია,რომელმაც მარქსიზმის სახელწოდება მიიღო.მათი იდეები ამა თუ იმ ზომით შევსებულ და გადამუშავებულ იქნა ვ.ი. ლენინის მიერ.

კ.მარქსის მთავარი ნაშრომია **„კაპიტალი“**(1867წ.),რომელმაც იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ეკონომისტად აქცია.ფ.ენგელსი „კაპიტალს“ მუშათა კლასის ბიბლიას უწოდებდა.მისივე განმარ-

ტებით ეს ნაწარმოები შეიძლება ეკონომიკური მეცნიერების შედევრებს მივაკუთვნოთ.

სოციალისტური საზოგადოების აშენების მცდელობისას მარქსიზმის იდეების დოგმატურმა გადმოტანამ ცალკეულ ქვეყანაში ცუდი სამსახური გაუწია თავისი დროისათვის ამ უდიდეს მოძღვრებას.ისტორიამ მხოლოდ ნაწილობრივ დაადასტურა მარქსისტული ეკონომიკური თეორიის დებულებებისა და დასკვნების სამართლიანობა.

კ.მარქსის ნაშრომებში გადმოცემულმა იდეებმა ასახვა ჰპოვეს დასავლეთის ცნობილ ეკონომისტთა ნაშრომებში.მაგრამ,ამასთან მარქსიზმი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში იყო და არის დღესაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა **მარჟინალიზმის** თეორია.ამ თეორიის კლასიკოსები გახდნენ ავსტრიული სკოლის ეკონომისტები.კ.ბერგერი (1840-1914წწ.), **ფრიდრიხ ფონ ვიზერი** (1851-1926წწ.), ეიგენ ფონ ბემ ბავერიკი (1851-1914წწ.) და ასევე ინგლისელი ეკონომისტი **სტენლი ჯევონსი** (1835-1822წწ.).

მარჟინალიზმი (ინლგისური **marginal** „ზღვრული“)-ნარმოადგენს თეორიას,რომელიც ასახავს ეკონომიკას,როგორც ურთიერთდაკავშირებული მეურნე სუბიექტების სისტემას და ეკონომიკურ პროცესებს და მოვლენებს ხსნის ახალი იდეის-ზღვრული,(**max** ან **min**) უკანასკნელი სიდიდეების ან მდგომარეობიდან გამომდინარე და ახასიათებს არა მოვლენის არსს,არამედ მათ ცვლილებებს სხვა მოვლენათა ცვლილების გამო.მარჟინალიზმის ძირითადი კატეგორიებია:ზღვრული სარგებლიანობა,ზღვრული მწარმოებლურობა.მარჟინალიზმი ეყრდნობა რაოდენობრივ ანალიზს და იყენებს ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს და მოდელებს.

მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი თეორეტიკოსია ლ.ვალრასი (1834-1910წწ.),შვეიცარიელი ეკონომისტი.მან შეიმუშავა საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელი,რომლის საფუძველია-მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი და განტოლებათა რიგი სისტემები.ამ სკოლის წარმომადგენლები საბაზრო სისტემას განიხილავდნენ როგორც ისეთ სისტემას,რომელსაც წონასწორობის მიღწევა შეუძლია მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

ქართული ეკონომიკური აზრის განვითარება.განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული ეკონომიკური აზრის განვითარება.მის შესახებ ბევრ წერილობით დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია.ეს ეხება ქრისტიანობამდელ პერიოდს.

ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ფეოდალიზმის პროცესში საეკლესიო და საერო მწერლობაში,ი.ცურტაველის(Vს.),ი.საბანიძის(VIIIს.),გ.მთანმინდელის (XIს.),ი.პეტრინის (XI-XIIს.) და სხვათა ნაშრომებში.დასახელებული ავტორები გმობდნენ მომხვეჭელობას,ოქროსა და ვერცხლის მოყვარეობას,მევახშეობას,თაღლითობას ვაჭრობაში და ა.შ.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აყვავება XI-XII საუკუნეებში მოხდა.ამ დროს საქართველოში განვითარებული იყო ვაჭრობა.ამას ხელს უწყობდა საქართველოზე გამავალი დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აზიას და ევროპას.

XIII-XIV საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების სურათს გვიჩვენებს **ბექასა და აღბუღას** სამართლის წიგნი,სადაც გაიდეალებულია ნატურალური მეურნეობა და ყმა გლეხის მიწაზე იძულებით მიმაგრება.იგი იცავს კერძო საკუთრებასა და წოდებათა იერარქიას.

XV-XVI საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკა გარკვეული სტაგნაციით აღინიშნებოდა,იგი მოწყდა ახალ სავაჭრო გზებს და ეკონომიკური აღმავლობა დეპრესიით შეიცვალა.XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება გამოცოცხლება,წიგნების თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე.მაგ.-1799 წელს იოანე ბატონიშვილმა იტალიურიდან თარგმნა და ქართულ ენაზე გამოსცა ნიგნი „პოლიტიკური ეკონომია,ანუ სახელმწიფო მეურნეობის შესახებ“.

ამ პერიოდში (XVIIს.) განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვახტანგის კანონები“,რომელიც ფეოდალური ურთიერთობის დარეგულირების მიზნით იყო შემუშავებული.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების წინსვლის საქმეში უდაოდ დიდია **სულხან-საბა ორბელიანის** (1658-1725წწ.) წვლილი.იგი ფიზიოკრატიული სკოლის შეხედულებებს იზიარებდა და აღნიშნავდა რომ სიმდიდრე უმთავრესად სოფლის მეურნეობაში იქმნება.იგი გმობდა მევახშეობას,მაგრამ სწორი გზით მიღებული მოგება სამართლიანად მიაჩნდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ,მიუხედავად აზრთა დიდი სხვადასხვაობისა,გარკვეული სტაბილიზაცია გამოიწვია ქვეყანაში.ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურაღღება მიექცა ეკონომიკური ხასიათის ნაშრომებს.დაიწყო პ.პრუდონის,კ.სენ-სიმონისა და სხვა ავტორების ნაშრომთა თარგმნა ქართულ ენაზე.1863 წლიდან ჟურნალ „ცისკარში“ გაიხსნა „პოლიტიკური ეკონომიის“

განყოფილება,სადაც იბეჭდებოდა ეკონომიკური ხასიათის სტატიები გ.ქიქოძის,დ.ბაქრაძის,ი.ჭავჭავაძის,ნ.ნიკოლაძის,გ.წერეთლის,ს.მესხის,ი.მაჩაბლის და სხვათა მიერ.გაძლიერდა მარქსიზმის გავლენა 90-იან წლებში.ქართულ ენაზე დაიწერა პირველი დამსჳარე სახელმძღვანელო პოლიტიკურ ეკონომიაში ა.ნულუკიძის მიერ-„ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან"(1904ნ).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეცნიერ-ეკონომისტებისაგან ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს ეკონომიკური თეორიის ამ ახალი თვისებრიობისადმი შესაბამისობაში მოსაყვანად.

3.თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებები

თანამედროვეთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური თეორიები,რომლებიც ჩამოყალიბდა XIXს.ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.ისინი წარმოდგენილია პოზიციათა შეხედულებების და კონცეფციების მრავალფეროვნებით.მათ მიეკუთვნება: 1) ნეოკლასიკური 2) კეინზური 3) ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური

ნეოკლასიკური მიმართულება წარმოიშვა როგორც რეაქცია კ.მარქსის ეკონომიკურ თეორიაზე,როგორც მისი კრიტიკული გააზრება.იგი გაბატონებული იყო XX საუკუნის 30-იან წლებში და თავისუფალ კონკურენციას ქადაგებდა.კრიზისმა და დიდმა დეპრესიამ უჩვენა თავისუფალი კონკურენციის მეშვეობით წინააღმდეგობათა დაძლევის,საზოგადოების ყველა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის შეუძლებლობა,რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ახალი ეკონომიკური მოძღვრება-**კეინზელობა.**70-იან-80-იან წლებში,როდესაც სახელმწიფოს მეტისმეტმა ჩარევამ ეკონომიკაში საზოგადოებრივი წარმოების დამუხრუჭება იწყო,ნეოკლასიკური მოძღვრება ისევ აქტუალური გახდა და დღემდე ასეთად რჩება.დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ მიმართულებამ „ახალი კლასიკური ეკონომიკის" სახელწოდება მიიღო.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას,რომელიც ცნობილია „ეკონომიკის" სახელწოდებით,საფუძვლად მარჟინალისტური ეკონომიკური თეორია გააჩნია და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა და მარჟინალიზმის სანთეზირების ცდას წარმოადგენს.

„ეკონომიკის" კურსი პირველად კემბრიჯის უნივერსიტეტში ა.მარშალმა წაიკითხა 1902წ.მან შეცვალა ჯ.ს.მილის კლასიკური

სკოლის პოლიტიკური ეკონომიის კურსი. 1890 წ.გამოვიდა ა.მარშალის (1842-1924წწ) „ეკონომიკსის პრინციპები“.

ტერმინი „ეკონომიკსის“ გამოჩენა შემთხვევითი როდია.ჯერ-ერთი,იგი აიხსნება ამერიკელთა რაციონალიზმით.შემეცნებისადმი მათი მიდრეკილებით.მეორე,არსებობდა უფრო სირღმისეული მიზეზებიც.XX საუკუნის დასასრულს ეკონომიკურმა კრიზისებმა და თითქმის ოცწლიანმა დეპრესიამ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის უსუსურობა გვიჩვენა და ა.მარშალს,რომელიც თავისუფალ კონკურენციას და ბაზარს უმღეროდა,არ შეეძლო არ შეეხედა სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაში,რამაც ასახვა ჰპოვა ახალ ტერმინში,სადაც გაქრა უწინდელი დასახელების პირველი ნაწილი.

დღეს ამ დასახელებით ეკონომიკური თეორიიის მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოები გამოდის.მათ შორის ყველაზე პოპულარულია პ.სამუელსონის „ეკონომიკსი“,რომელიც პირველად 1948 წელს გამოვიდა და დღემდე 16 გამოცემას გაუძლო,სადაც ავტორი ამტკიცებს,რომ „ეკონომიკური თეორია,ანუ პოლიტიკური ეკონომია,როგორც მას უწოდებენ,მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ მეცნიერებებს,საოჯახო ეკონომიკას,წარმოების მართვას,მაგრამ სპეციფიკური საგანი გააჩნია“.

ამრიგად,ეკონომიკსი და პოლიტიკური ეკონომია ამერიკულ-ინგლისურ ლიტერატურაში სინონიმებად განიხილება.

ჩვენს ეკონომიკური ლიტერატურაში „ეკონომიკსი“ ახლო წარსულში განიხილებოდა,როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება.ამ მეცნიერების უარყოფას მოითხოვდა არა მხოლოდ მეტისმეტი იდეოლოგიზაცია,რომელიც კლასობრივ მიდგომას ემყარებოდა ყველა ეკონომიკური პროცესისადმი,არამედ,ასევე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მეურნეობრიობის პრაქტიკა. „ეკონომიკსის“ კურსის უფრო ყურადღებით შესწავლისას შეიძლება ავღნიშნოთ,რომ „ეკონომიკსი“-მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა,რომელიც ახასიათებს: 1) სპეციალურ მეცნიერებას ეკონომიკის საბაზრო ფუნქციონირების პრინციპების შესახებ,მიკრო-,მეზო- და მაკროდონეზე; 2) მეცნიერებას,რომელიც უფრო გამოყენებით ხასიათს ატარებს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიასთან შედარებით,რომელსაც უფრო აბსტრაქტული ხასიათი გააჩნია; 3) სასწავლო დისციპლინათა ციკლს აშშ-ის და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში,რომელიც მოიცავს ასევე ეკონომიკურ თეორიას,ეკონომიკურ მოძვრებათა ისტორიას და რიგ სპეცკურსებს ეკონომიკური პრობლემების მიხედვით.

ზოგიერთი პოლიტეკონომისტისათვის დღეს ეს წარმოადგენს საფუძველს პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიკისის საგნის გამიჯვნისათვის.

სინამდვილეში სასწავლო დისციპლინის „პოლიტიკური ეკონომიის" თანამედროვე შეცვლა „საერთო ეკონომიკურ თეორიად",არამც და არამც არ ნიშნავს უარისთქმას პოლიტიკურ ეკონომიაზე,როგორც მეცნიერებაზე.ზოგიერთები ამას არასწორად წარმოგვიდგენენ,ცვლილების ისეთნაირად ახსნით,რომ „პოლიტიკური ეკონომია დიდი ხანია უკვე არ წარმოადგენს მეცნიერებას...მეორე უკიდურესობის გამოვლინებაა-ნებისმიერ ფასად ტერმინი „პოილტიკური ეკონომიის" შენარჩუნება.თუმცა ამ პოზიციას საკმარისად სერიოზული არგუმენტაცია გააჩნია,მაგრამ შეცდომაა სასწავლო დისციპლინის სახელწოდების შეცვლა მეცნიერებაზე უარისთქმად აღვიქვათ.ტერმინების-„ეკონომიკა",„პოლიტიკური ეკონომია",„ეკონომიკსი",და „ზოგადი ეკონომიკური თეორია"- ევოლუცია განპირობებულია ისტორიული მიზეზებით,მაგრამ,არსებითად,ერთიდაიგივე,მუდმივადგანვითარებადი მეცნიერების სახელწოდებაა,რომელიც იკვლევს ეკონომიკურ მოვლენებს,მეურნეობრიობის პროცესებს ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებათა სხვადასხვა დონეზე.იცვლება აქცენტები,მიდგომები,მაგრამ მეცნიერება იგივე რჩება-მეცნიერება ცალკეულ ადამიანთა,ჯგუფებისა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ.ცოდნის ნებისმიერი დარგის განვითარება,მათ შორის ეკონომიკური ცოდნისაც,წარმოადგენს მეცნიერულ მიმართულებათა თანმიმდევრულ შეცვლას,რომლის მსვლელობაშიც წარმოებს საბაზრო თეორიული ცნებების გადასინჯვა.

ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკური მიმართულება ძირითადად ჩამოყალიბებულია ინგლისელი ეკ ნომისტის,ა.მარშალის ნაშრომებში.

ალფრედ მარშალი (1842-1924) ფართოდ ცნობილია როგორც ფასების თეორიის ფუძემდებელი.მისმა მოწაფეებმა,ჯ.მ.კეინზმა მას XIX საუკუნის უდიდესი ეკონომისტი უწოდა.ცდილობდა რა ზღვრული სარგებლიანობისა და წარმოების ხარჯების თეორიათა გაერთიანებას,იგი იმ დასკვნამდე მივიდა,რომ არც მოთხოვნას და არც მიწოდებას არ გააჩნიათ პრიორიტეტი ფასის განსაზღვრაში,ესენი-საბაზრო ფასწარმოქმნის თანაბარუფლებიანი ელემენტებია.ა.მარშალმა საბაზრო წონასწორობის ცნება გამოიყენა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის დასახასიათებლად,შეიმუშავა ელასტიური მოთხოვნის კონცეფცია,რომელიც დღემდე აქტუალურია საბაზრო მოვლენათა ახსნისათვის.

ეკონომიკური მეცნიერების ნეოკლასიკური მიმართულება წარმოდგენილია მონეტარიზმისა და ნეოლიბერალიზმის თანამედროვე თეორიებით.

მონეტარიზმი-ეკონომიკის სტაბილიზების თეორიაა,რომელშიც მთავარ როლს ფულადი ფაქტორები თამაშობს.მონეტარისტებს ეკონომიკის მართვა,უწინარეს ყოვლისა,სახელმწიფოს მიერ ფულის მასის,ფულის ემისიის,ფულის რაოდენობის კონტროლზე დაჰყავთ,რომელიც მიმოქცევასა და მარაგებში იმყოფება,სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებულობაზე და კრედიტის მაღალი საბანკო სარგებლის დანესებამდე.

ამერიკელი სწავლული ეკონომისტი **მილტონ ფრიდმენი** (დაიბადა 1912წ.)-თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტია,„ახალი მონეტარული სკოლის“ აღიარებული მეთაური,ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი 1976წ.მისი რეკომენდაციები გამოიყენებოდა ჩილეში,პინოჩეტის მმართველობის პერიოდში და რ.რეიგანის ეკონომიკურ პოლიტიკაში,აშშ-ში.მ.ფრიდმენის წიგნის „არჩევანის თავისუფლება“-ყდაზე რ.რეიგანმა წააწერა:„იგი უნდა წაიკითხოს ყველამ,ვინც დაინტერესებულია ამერიკის მომავლით“.

ფრიდმენის აზრით ყველა უდიდესი ეკონომიკური შერყევა ფულადი პოლიტიკის შედეგებით აიხსნება და არა საბაზრო ეკონომიკის არასტაბილურობით,ამიტომ სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად და სიფრთხილით უნდა ჩაერიოს საბაზრო ურთიერთობებში.

ნეოლიბერალიზმის-თანახმად უნდა შემცირდეს (მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი) სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში (ა.სმითის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პრინციპზე),ვინაიდან კერძო მეწარმეობას შეუძლია კრიზისიდან გამოიყვანოს ეკონომიკა და უზრუნველყოს მისი აღმავლობა და მოსახლეობის კეთილდღეობა.აქედან გამომდინარე,მნიშვნელოვანია მეწარმეებისა და ვაჭრებისადმი მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების მინიჭება სამეურნეო საქმიანობაში.

XX საუკუნის ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი წარმომადგენლებია,ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი **ლუდვიგ ფონ მიზესი** (1881-1973წწ.) და მისი ბრწყინვალე მოწაფე **ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი** (1899-1992წწ.).

ლ.მიზესის მოსაზრებით სოციალიზმი,ე.ი.ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა მთავრობის მიერ რეგულირებული ბაზრით,დიდხანს ვერ იარსებებს, ვინაიდან ფასები ვერ ასახავენ მოთხოვნას და მიწოდებას,არ წარმოადგენს იმის მაჩვენებელს,თუ

რა მიმართულებით უნდა განვითარდეს წარმოება.„სოციალიზმის რეგულირებადი ეკონომიკა“,მიზესის სიტყვებით,გეგმის შემდგენელთა თვითნებობის სამეფოდ, და დაგეგმილ ქაოსად იქცევა.ერთადერთი გონივრული პოლიტიკა ლიბერალიზმია;ცივილიზაციის აბსოლუტური საფუძველია შრომის დანაწილება,კერძო საკუთრება და გაცვლა.მიზესის ძირითადი ნაშრომია,„ლიბერალიზმი“,„ადამიანური ქმედებები:ტრაქტატი ეკონომიკის შესახებ“,„ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლები“,მეთოდოლოგიის ნარკვევები და სხვა.

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი,ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში 1974 წელს,თავის წიგნში „გზა მონობისაკენ“,ამტკიცებს,რომ ყოველგვარი უარისთქმა ეკონომიკურ თავისუფლებაზე,საბაზრო ფასწარმოქმნაზე,დიქტატურას,ეკონომიკურ მონობას იწვევს,განამტკიცებს საბაზრო სისტემის უპირატესობას შერეულ და „მბრძანებლურ“ ეკონომიკაზე,კაპიტალს მუდმივ კატეგორიად აცხადებს,უარყოფს ექსპლუატაციის არსებობას კაპიტალიზმის დროს,ხაზს უსვამს,რომ სახელმწიფო ეკონომიკის სოციალისტური იდეები განწირულია სრულ ჩაფუშვაზე და დამღუპველია თავისი ბუნებით.

ნეოლიბერალიზმის თეორიაზე დაყრდნობით,გერმანელმა თეორეტიკოსმა გერმანიის სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ,ლუდვიგ ერჰარდმა (1897-1977წწ.) შექმნა და პრაქტიკაში დანერგა **საბაზრო მეურნეობის სოციალურად ორიენტირებული** საკუთარი **თეორია**.ამ თეორიის მთავარი დებულებებია:თავისუფალი ფასების,თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობა,მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა,ეკონომიკის წონასწორობა-სახელმწიფო მოწოდებულია დაიცვას ეს პირობები საბაზრო მეურნეობაში და უზრუნველყოს მისი განვითარების სოციალური მიმართულება.ეს თეორია გადმოცემულია წიგნში ,„კეთილდღეობა ყველასათვის“,რომელიც 1956 წელს დაიბეჭდა.

ეკონომიკური თეორიის **კეინზური მიმართულება**,რომლის ფუძემდებელი ჯ.მ.კეინზია (1883-1946წწ.), განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი თეორიული დასაბუთებაა, მოთხოვნის გადიდების ან შემცირების გზით, ნაღდი ან უნაღდო ფულადი მასის შეცვლის მეშვეობით.ასეთი რეგულირების დახმარებით შეიძლება ზეგავლენა მოვახდინოთ ინფლაციაზე,დასაქმებაზე,აღმოვფხვრათ საქონელთა მოთხოვნისა და მიწოდების უთანაბრობა,დავთრგუნოთ ეკონომიკური კრიზისები.კეინზის ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ა.სმითისა და კ.მარქსის შემდეგ.მის

მთავარ ნაშრომში „დასაქმების,სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“(1936წ.) გადმოცემულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროგრამა.ამ თეორიამ ფართო გავრცელება ჰპოვა მემარჯვენე სოციალისტურ ლიტერატურაში და მრავალრიცხოვანი მიმდევარი მოიპოვა,რიგი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე არსებითი ზეგავლენისათვის.მან ჩამოაყალიბა ერთობლივ მაჩვენებელთა-ეროვნული შემოსავლის,ინვესტიციების,მოხმარების,დანაზოგების და სხ.ურთიერთგანპირობებულობის მაკროეკონომიკური ანალიზი (განსხვავებით მიკროეკონომიკური მიდგომისაგან).ჯ.კეინზი გამოაცხადეს „კაპიტალიზმის გადამრჩენად“,ხოლო მისი თეორია-„კეინზურ რევოლუციად პოლიტიკურ ეკონომიაში“.ამასთან,რიგი თეორიული დებულებები კეინზმა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არსენალიდან,ა.სმითისა და დ.რიკარდოსაგან ისესხა,ასევე მარქსიზმის თეორიიდან (კერძოდ,კვლავწარმოების მარქსისტული თეორიიდან).

ნეოკეინზელები,რომელთაც,კერძოდ,ინგლისელი ეკონომისტი ჯოან რობინსონი მიეკუთვნება (1903-1983წწ.),ეკონომიკური პროცესების არასტაციონარულობის ფაქტორთა დინამიკის უფრო სრული გათვალისწინების აუცილებლობიდან გამოდიან.თავის წიგნში „არასრულყოვილი კონკურენციის ეკონომიკა“(1933წ.),ჯ.რობინსონმა უჩვენა,რომ რეალურ სინამდვილეში ადგილი აქვს არასრულყოფილ კონკურენციას,რომლის დროსაც ფირმები თავიანთ საქონელს უფრო მაღალ ფასებში ყიდიან,ვიდრე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში და უფრო მაღალ მოგებას იღებენ,ხოლო მომხმარებლები ზარალს განიცდიან.ეს უძრაობას,დაქვეითებას და უმუშევრობას იწვევს.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მესამე მიმართულებაა-**ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური,**რომლის წარმომადგენლებია **ტ.ვებლერი,ჯ.კომონსი,უ.მიტჩელი,ჯ.გელბრეითი.**ყველა მისი წარმომადგენელი ეკონომიკას განიხილავს როგორც სისტემას,სადაც ურთიერთობები მეურნე სუბიექტებს შორის ეკონომიკური და გარეშეეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება,რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორები თამაშობს.ეკონომიკური თეორიის ამ მიმართულებაში აღნიშნულია კაპიტალიზმის ნაკლოვანებები:მონოპოლიათა ძალმომრეობა,თავისუფალი საბაზრო სტიქიის მანკიერებანი,ეკონომიკის მზარდი მილიტარიზაცია,„მოხმარების საზოგადოების“ ზოგიერთი ნეგატიური ნიშნები.

ეკონომიკური თეორიის ეს მიმართულება გამოდის სხვადასხვა მოდიფიკაციით:სოციალურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუციონალიზ-

მი (ტ.ვებლერი),სოციალურ-სამართლებრივი (ჯ.კომონსი),რომელ მაც ეკონომიკური განვითარების საფუძვლად იურიდიული ურთიერთობები წამოაყენა,კონიუნქტურათმცოდნეობა (უ.მიტჩელი),რომელმაც ეკონომიკაში რაოდენობრივ ცვლილებათა პროგნოზირების მეთოდი ჩამოაყალიბა.

ამ მიმართულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის,ტრანსფორმაციის პრობლემას.ინსტიტუციონალიზმის მიმდევრები ვარაუდობენ,რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს (მტპ) სოციალურ წინააღმდეგობათა დაძლევის,საზოგადოების უკონფლიქტო ევოლუციისაკენ,ინდუსტრიული,პოსტინდუსტრიული,სუპერინდუსტრიული ანუ „ნეოინდუსტრიული“(ე.ი.ინფორმაციისაკენ) საზოგადოებისაკენ მივყავართ.ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების როლის აბსოლუტიზაციამ განაპირობა **კონვერგენციის თეორიის** (ჯ.გელბრეითი,პ,სოროკინი აშშ,რ.არონი საფრანგეთი,იან ტანბერგენი-ნიდერლანდები) წარმოშობა.

ნეოინსტიტუციონალიზმი ტექნიკური ფაქტორების აბსოლუტიზებიდან გადახვევით,ადამიანის,სოციალური პროცესებისადმი დიდი ყურადღებით ხასიათდება.ასე წარმოიშვა საკუთრების უფლების ეკონომიკური თეორია (რ.კოუზი,აშშ),საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (ჯ.ბიუკენენი,აშშ) და სხვები.თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის მთავარი იდეაა-არა მხოლოდ ადამიანის მზარდი როლის დამტკიცება,როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსისა,არამედ ასევე პოსტინდუსტრიული სისტემის საერთო ორიენტაციის, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაზე გადართვა,ხოლო XXI საუკუნე აღიარებულია ადამიანის საუკუნედ.

4.ეკონომიკური თეორიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან და ეკონომიკურ პოლიტიკასთან


ეკონომიკური თეორია მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური მეცნიერებებისათვის:დარგობრივებისათვის (ვაჭრობის,მრეწველობის,ტრანს პორტის,მშენებლობის ეკონომიკა და ა.შ.);ფუნქციონალურისათვის (ფინანსები,კრედიტი,მენეჯმენტი,მარკეტინგი,პროგნოზირება და ა.შ.); დარგთაშორისების (ეკონომიკური გეოგრაფია,დემოგრაფია.სტატისტიკა და სხვა).

ეკონომიკური თეორია-ერთ-ერთი საზოგადოებრივი მეცნიერებაა,ისტორიის,ფილოსოფიისა და სამართლისა და სხვებთან ერ-

თად.იგი მოწოდებულია ახსნას ადამიანის ცხოველქმედების ერთი ნაწილი,სამართლის მეცნიერებამ მეორე და ზნეობის მეცნიერებამ მესამე და ა.შ. და ამ თეორიულ,სოციალურ და ისტორიულ მეცნიერებათა ერთობლიობამ შესაძლოა აგვიხსნას მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

ეკონომიკური თეორია ითვალისწინებს კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერებების,ასევე სოციოლოგიის,ფსიქოლოგიის,ისტორიის და ა.შ.მიღწეულ ცოდნას,რომელთა გარეშე ეკონომიკური თეორიის მიერ მიღებული დასვნები შეიძლება მცდარი,არასწორი აღმოჩნდეს.

ეკონომიკური თეორიის კავშირი სხვა ეკონომიკურ მეცნიერებებთან,ყველაზე ზოგადი სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სქემით;



ნახ1.ეკონომიკურ მეცნიერებათა ურთიერთკავშირი

ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას,სამყაროს საკუთარი ხედვა გააჩნია, და ამასთან ძნელია ზღვარის გავლება,რომელიც მას გამოჰყოფს სხვა დისციპლინებისაგან.კონფლიქტი მეცნიერებებს შორის „ქონების გაყოფის თაობაზე,ყოველ ნაბიჯზე გვხვდება.მაგრამ შეიძლება განვსაზღვროთ,რაში მდგომარეობს ეკონო-

მიკური მეცნიერების დამოუკიდებელი ხასიათი სოციოლოგიის,ისტორიის,გეოგრაფიის,ტექნოლოგიის მიმართ და ა.შ.

ურთიერთობები ეკონომიკურ თეორიასა და სოციოლოგიას შორის მარტივი როდია.პრობლემა ისაა,რომ სოციოლოგიური სინამდვილე რთულია,რომ მას შეისწავლის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მეცნიერებები და საჭიროა დავაზუსტოთ თუ რაში მდგომარეობს,კერძოდ,სოციოლოგიის საგანი.

ეკონომიკური სოციოლოგია-სოციოლოგიის განსაკუთრებული დარგია.მან უნდა მოგვაწოდოს ცნობები იმის შესახებ,თუ რა „გარემოში“ ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა. იგი „აზუსტებს თუ რა ისტორიულ და სტრუქტურულ პირობებში უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ეკონომიკური კანონი,ეკონომიკური თეორიისათვის ამით არჩევითობისა და ეფექტიანობის მინიჭებით.“

ეკონომისტებისა და ისტორიკოსების ურთიერთობები ყოველთვის მძაფრი იყო.ამასთან ეკონომიკური მეცნიერება არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება ისტორიაზე.იგი ცდილობს მოძებნოს კანონზომიერებები,აღმოაჩინოს კანონები,მაშინ როდესაც,ისტორია ცდილობს მოვლენებისა და ფაქტების ახსნას მათი კონკრეტული თავისებურების თვალსაზრისით.

გეოგრაფია ეკონომისტს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგოს,თუ რა ფიზიკურ და ბუნებრივ პირობებში წარმოებს ეკონომიკური საქმიანობა,იგი აძლევს ცნობებს ენერგიის,ნედლეულის,მოსახლეობის სივრცობრივი კონცენტრაციის შესახებ,რაც დაკავშირებულია ობიექტების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ კვლევებთან.

მაგრამ ეკონომისტს განსაკუთრებული თვალსაზრისი გააჩნია ამ საკითხებში.ეკონომისტს უფრო ნაკლებად აწუხებს,ვიდრე გეოგრაფს,ადამიანის მიერ სივრცეში განხორციელებული თვისებრივი გარდაქმნები,მას სივრცე აინტერესებს უმაღლესი მწარმოებლურობის მისაღებად.

მოვლენების შესწავლა ეკონომიკური თვალსაზრისით, განსხვავდება მათი შეცნობისაგან ტექნიკური გაგებით.ტექნიკოსი ცდილობს წმინდა ფიზიკურ დაკვირვებებს,მაშინ,როდესაც ეკონომისტს აინტერესებს ღირებულების პრობლემა.ზოგადი თვალსაზრისით ტექნიკოსის მიერ ნივთების ხედვა ძლიერ განსხვავდება ეკონომისტის ან სოციოლოგის მიერ სამყაროს ხედვისაგან-ინჟინერს აინტერესებს ნატურალური გაანგარიშებები,მაშინ,როდესაც ეკონომისტს-ღირებულებისა და ფასის ცნებათა გამოყენებით შესრულებული გაანგარიშებები.სხვა სიტყვებით,ეკონომისტი,ინჟინრის მიერ შესრულებულ ტექნიკურ პროექტს რთავს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის ერთიან ქსელში და ეცდება

არა საუკეთესო მანქანის ან ნედლეულის საუკეთესო სახეობის შერჩევას,არამედ მომენტისა „როდესაც გარკვეული ნედლეული ან მანქანა შეიძლება გამოიყენებოდეს ყველაზე მაღალი ეფექტიანობით,და იმას,სად შეიძლება მათი შოვნა უფრო სწრაფად და ყველაზე იაფად.“

ეკონომიკური თეორიის პრაქტიკული მნიშვნელობაა ისაა,რომ ცოდნას განჭვრეტისაკენ მივყევართ,ხოლო განჭვრეტას-მოქმედებისაკენ.ეკონომიკური თეორია უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი,ხოლო მისი მეშვეობით შეაღწიოს სამეურნეო პრაქტიკის სფეროში.მოქმედებას (პრაქტიკას) მივყევართ ცოდნისაკენ,ცოდნას-განჭვრეტისაკენ,განჭვრეტას-სწორი მოქმედებისაკენ. ეკონომიკური თეორია წესების ანაკრები როდია იმის შესახებ,თუ როგორ გავმდიდრდეთ,იგი მზა პასუხებს არ იძლევა პრობლემაზე.თეორია ეკონომიკური სინამდვილის გააზრების მხოლოდ ინსტუმენტი,წესია.ამ ინსტრუმენტის,ეკონომიკური თეორიის საფუძვლების ცოდნა შეიძლება ყველას დაეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

ეკონომიკური თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ გენეტიკასთან,ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებას იმანენტური გენეტიკური შინაარსი გააჩნია.ეკონომიკურ გენეტიკას დღეს განსაზღვრავენ როგორც მეცნიერებას,რომელიც საშუალებას იძლევა გავიგოთ დინამიკის შინაგანი მექანიზმები,მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის თანაფარდობები და ურთიერთქმედებები არათანაბარი ციკლური განვითარების პროცესში.ეკონომიკური მემკვიდრეობითობის გადაცემა ყოველთვის გააზრებულია ადამიანის გონებით და გაშუალებულია მისი შრომით.

ეკონომიკური თეორიისაგან უნდა განვასხვავოთ ეკონომიკური პოლიტიკა.ეკონომიკური თეორია ვითარდებოდა სამეურნეო პოლიტიკის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის ძიების პროცესში,მაგრამ იგი ეკონომიკური სინამდვილის გააზრებისა და მისი დინამიკის პროგნოზირების ინსტრუმენტად რჩება.

ეკონომიკური პოლიტიკა-სახელმწიფოს ღონისძიებათა მიზანმიმართული სისტემაა საზოგადოებრივი წარმოების,განაწილების,გაცვლისა და დოვლათის მოხმარების სფეროში.იგი მოწოდებულია ასახოს საზოგადოების,ყველა მისი სოციალური ჯგუფის ინტერესები და მიმართულია ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისაკენ.

ეკონომიკური პოლიტიკა დასაქმებულია ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის ვარიანტების მოძებნით და მათი მექანიზმების ამოქმედებით.პოლიტიკოსები, ეკონომიკურ თეორიასთან ერთად

ანგარიშს უნდა უწევდნენ გადასაჭრელი პრობლემის კულტურულ,სოციალურ,სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებსაც,თუკი სურთ რომ იგი წარმატებული იყოს.ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანათა განხორციელებამ შეიძლება ეკონომიკური სისტემის შეცვლა,მისი სრულყოფა გამოიწვიოს,რაც თავს ასახვას პოულობს ეკონომიკური თეორიის შემდგომ განვითარებაში.

5.ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია მეცნიერებაა კვლევის მეცნიერული ხერხების შესახებ.ეკონომიკურ პრობლემათა სერიოზული შესწავლისათვის მეთოდოლოგიას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგია-მეცნიერებაა სამეურნეო ცხოვრების,ეკონომიკური მოვლენების შესწავლის მდგომარეობის შესახებ.მეთოდი კი-ხერხების,წესების,პრინციპების ერთობლიობაა,რომელთა დახმარებით განისაზღვრება მიზნის მიღწევის გზები.თუკი მეცნიერების საგანი და მისი მეთოდოლოგია იმით ხასიათდება,თუ რას იკვლევენ ისინი,მეთოდი-თუ როგორ იკვლევს იგი.ერთი გამომდინარეობს მეორისაგან.

ეკონომიკურ თეორიაში შემეცნების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება:პოზიტიური,ნორმატიული,ფაქტორების სისტემატიზაცია,მეცნიერული აბსტრაქცია,ექსპერიმენტი და ა.შ.

პოზიტიური მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური მეცნიერების განსაზღვრული ფილოსოფიის შექმნას,ეკონომიკის ეკონომიკური გარემოს კატეგორიებისა და კანონების განვითარების შესახებ ცოდნის ფორმულირებას,ფაქტორთა სისტემატიზებისა და აღწერის,გამოცდილების,საბაზრო დაკვირვებათა და ა.შ.საფუძველზე.

შემეცნების ნორმატიული მეთოდი ითვალისწინებს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ანალიზს,რომელიც მაქსიმალური ეფექტიანობის პრინციპს ემყარება.ამ მეთოდის მთავარი პრინციპი ისაა,რომ იგი მიმართულია ისეთი შედეგების მიღწევაზე,რომელიც სარგებლობას მოუტანს სამეურნეო საქმიანობის მონაწილე სუბიექტს.ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს ექსტრემალური ამოცანების გადაჭრის მათემატიკური ხერხების გამოყენებას,სისტემურ სიტუაციათა და პრობლემების გადაჭრისას.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარება თანამედროვე პერიოდში გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას,როგორიცაა ინფორმაციის შეგროვება,მისი ანალიზი და სინთეზი.

ეკონომიკური ცხოვრება-ესაა ფაქტების გროვა,რომლებიც არსებობენ კონკრეტულ სინამდვილეში.ამიტომ მოცემული მეთოდი

დაკავშირებულია მონაცემთა დიდი რაოდენობის შეგროვებასთან.მაგრამ ამ ფაქტების შესაცნობად აუცილებელია მათი განსჯიდან უფრო მაღალ საფეხურზე,მეცნიერულ განზოგადებამდე ამაღლება.

ეკონომიკურ მეცნიერებაში აქტიურად გამოყენებული ერთერთი მეთოდია-აბსტრაქციიდან კონკრეტულზე-არსიდან მოვლენაზე ასვლის მეთოდი.თუკი მეცნიერული შეფასებისათვის შევეცდებით დედაარსის მთელი სიმდიდრის შენარჩუნებას,და მოძრაობის განმსაზღვრელი ძირითადი კავშირებისა და ეკონომიკური კანონების მოძებნას,შეიძლება დავიბნეთ მოვლენათა მრავალფეროვნებაში და დავკარგოთ დედაარსი.**აბსტრაქცია** საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ის საფუძველი,მიზეზ-შედეგობრივი კავშირი,რომელიც სიტუაციის მართვის საშუალებას იძლევა.

მაგრამ აქაც საჭიროა ოპტიმიზაცია.მეტისმეტი აბსტრაქცია მეცნიერებას ობიექტური რეალობიდან შორს ნაიყვანს.წყდება მეცნიერების კავშირი პრაქტიკასთან,უკანასკნელი გამოდის ჭეშმარიტებისა და ფასეულობის კრიტერიუმად.პრაქტიკისაგან ხანგრძლივი მოწყვეტით,მეცნიერებამ შეიძლება შექმნას „იდეალური მოდელები“,რომლებიც არ ასახავენ რეალურ სინამდვილეს და ადამიანთა ნება განვითარების კანონების დამამახინჯებელ,მადეფორმირებელ სტრუქტურას დაუქვემდებაროს.

მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი უდიდეს მნიშვნელობას იძენს სწორედ ზოგად ეკონომიკურ თეორიაში.საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია ლაბორატორიულ პირობებში შევისწავლოთ.**მეცნიერული აბსტრაქცია** მოვლენათა არაარსებითი მხარეებიდან,თვისებებიდან ყურადღების აზრითი გადატანა (აბსტრაჰირებაა) და მათში ძირითადის,ყველაზე მთავარის მოძებნაა.ასეთნაირად შეირჩევა მოვლენის არსი.აბსტრაჰირების შედეგად გამოიყვანება **ეკონომიკური კატეგორიები.**ისინი გამოდიან როგორც ეკონომიკის რეალური მხარის თეორიული ამსახველი (მოგება,ფასი,საქონელი,ხელფასი).მთლიანობაში ეკონომიკური კატეგორიები ქმნიან შემეცნებით აპარატს.შემდგომი შემეცნება მიმართულია ეკონომიკურ მოვლენათა კავშირების შესწავლაზე.

აბსტრაქტული აზროვნება წარმოშობს ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.

ეკონომიკურ მოვლენათა ანალიზი გულისხმობს შესასწავლი მოვლენის დანაწევრებას ცალკეულ ელემენტებად და ყოველი ელემენტის შესწავლას,როგორც მთელის აუცილებელი შემადგენელი ნაწილისა.**სინთეზი** კი გულისხმობს,რომ მოვლენა თავდაპირველად შეისწავლება როგორც სხვადასხვა ნაწილებისაგან

შემდგარი,ხოლო შემდეგ გამოიკვლევა ელემენტების ერთიან მთლიანობად შეერთებით და კეთდება ზოგადი დასკვნა.

ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ გამოიყენება **ისტორიულისა და ლოგიკურის შეთანაწყობის** პრინციპი.ისტორიულად საზოგადოება ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ.მაგრამ ეს განვითარება თავისუფალი როდია გადახვევებისა და გასწრებებისაგან.ისტორიის შესწავლა საგნის შინაგანი ლოგიკის გაგებაში გვეხმარება,ხოლო საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის ცოდნა ისტორიას მეცნიერულ ხასიათს აძლევს.

ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობა-მეთოდოლოგიური პრინციპია,რომელიც გვეხმარება მეცნიერების ყურადღების არგუმენტაციებზე,დასკვნების დასაბუთებულობაზე კონცენტრირებაში.

6.ეკონომიკური თეორიის ფუნქციები

საქონელთა და მომსახურების წარმოების განვითარება შეუძლებელია მეცნიერებათა მიღწევების (მათ შორის ეკონომიკურისაც) გარეშე.თავდაპირველად გამოიყენებოდა დაგროვილი გამოცდილება,ინტუიცია,შემდგომ საკუთრივ მეცნიერული ცოდნა,მაგრამ ემპირიული.და მხოლოდ,დაახლოებით XIX საუკუნიდან წინა პლანზე გამოდის თეორიული მეცნიერება.ამ ეტაპზე კანონზომიერია საკითხის დაყენება ეკონომიკურ მეცნიერებათა ფუნქციების შესახებ.

ეკონომიკური თეორიის ფუნქციებიდან მთავარია **შემეცნებითი,მეთოდოლოგიური,საპროგნოზო** და **პრაქტიკული** ფუნქციები.

ეკონომიკური თეორია მით უფრო წარმატებით იყენებს თავის **მეთოდოლოგიურ, შემეცნებით** ფუნქციას,რაც უფრო ღრმად იჭრება იგი ეკონომიკური პროცესების,კანონების არსში,რაც უფრო სრულად შეისწავლის მათ სისტემას.ეკონომიკური თეორია გამოდის როგორც კვლავწარმოების პროცესის შეგნებული რეგულირებისა და მართვის ფუნდამენტური მეცნიერული საფუძველი.იგი ყველა ეკონომიკური მეცნიერების თეორიული,შემეცნებითი საფუძველია.

შემეცნების ფუნქციის როლი ეკონომიკისა და ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდება.თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მმართველი წრეები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან ეკონომიკური თეორიის დამუშავებებსა და მიღწევებს.თუმცა საზოგადოებრივი წარმოების მართვის ამ

გამოცდილებებმა ჯერ კიდევ ვერ შეიძინეს ყოვლისმომცველი ხასიათი.ისინი,როგორც წესი,შეზღუდულია,რამდენადაც საზოგადოებრივი განვითარება გარკვეული თვალსაზრისით სტიქიურ,უკონტროლო ხასიათს ინარჩუნებს.

ასეთ პირობებში ეკონომიკური თეორიის დასკვნების გამოყენებამ შეიძლება სოციალურად შეზღუდული,ვიწროჯგუფური,ანგარებითი ხასიათი შეიძინოს.მმართველი წრეების სოციალური შეკვეთა ზოგიერთ შემთხვევაში ეკონომიკურ თეორიას ტენდენციურ მიმართულებას აძლევს,რაც სინამდვილის ობიექტურ ასახვას ეწინააღმდეგება.

ცივილიზებული საზოგადოება,ეკონომიკური თეორიის შემეცნებითი ფუნქციის გამოყენებით საჭიროებს:

1) ეკონომიკური სინამდვილის შემეცნებას და ჭეშმარიტ,ადეკვატურ ასახვას კატეგორიულ საცნობარო აპარატში.

2) ეკონომიკის წინააღმდეგობათა გამოვლენას და გადაჭრას.

3) წარმოების ეფექტიანობის გადიდების გამოვლენას.

ეკონომიკური თეორია ასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო შემეცნებით ამოცანებს:

1) იკვლევს და აშუქებს ეკონომიკური ზრდის მიმართულებებს,

2)იძლევა ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნათა მიმართულებების მეცნიერულ დასაბუთებას.

3) ავლენს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ეკონომიკურ მნიშვნელობას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

4) იკვლევს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების მიმართულებებს.

მნიშვნელოვანი შემეცნებითი ფუნქციები ეკონომიკური თეორიის წინაშე დგას ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო გამოცდილების განზოგადებისას.ამ სფეროში ეკონომიკური თეორია,ჯერ-ერთი,ასაბუთებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საერთო კანონზომიერებებს,მეორე,იწვევს თითოეული ქვეყნის სპეციფიკური პირობებისა და განვითარების ფაქტორების გაგებას,მესამე,შეიმუშავებს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისა და საგარეოეკონომიკური კავშირების განვითარების საკითხებს.

ამრიგად,ეკონომიკური თეორიის შემეცნებითი ფუნქცია წარმოგვიდგება,როგორც მოსახლეობის გაბატონებული სოციალური ფენის უმნიშვნელოვანესი თეორიული იარაღი.

ეკონომიკური თეორია ასრულებს უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ფუნქციასაც.იგი იკვლევს უზოგადეს მოვლენებს ეკო-

ნომიკურ პროცესებში.მაშინ,როდესაც კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერებები შეისწავლიან კერძოს ეკონომიკურ მოვლენებში.ამასთან,ისინი ემყარებიან თეორიის მიერ აღმოჩენილ ეკონომიკურ კანონებს,როგორც კვლევის ამოსავალ მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს.ეკონომიკური თეორია შეიმუშავებს მეთოდებს,საშუალებებს და მეცნიერულ ინსტრუმენტარიუმებს,რომლებიც საჭიროა კვლევის ჩატარებისათვის ყველა ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური თეორია,ჯერ-ერთი,წარმოადგენს ეკონომიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას;მეორე,ადამიანებს აიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების განსხვავებული სტადიების ერთი მეორისაგან განსხვავების ცოდნით;მესამე,იძლევა დასაბუთებულ ორიენტირებს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებში.

თეორიული ანალიზის მიღებული შედეგები პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს.ამიტომ ეკონომიკური თეორია ასრულებს **პრაქტიკულ (პრაგმატულ) ფუნქციასაც**.იგი ვლინდება:

1.ობიექტური ეკონომიკური კანონების გამოყენების ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიებაში;

2.ეკონომიკური პოლიტიკისა და მაკროეკონომიკის მართვის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაში;

3.მეურნეობრიობის ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის შექმნასა და დამუშავებაში.

ეკონომიკური მეცნიერების როგორც მეცნიერების **პრაქტიკული ფუნქცია** დაკავშირებულია მისი თეორიული დასკვნების კონკრეტიზაციასთან,მათი ჭეშმარიტების პრაქტიკაში შემოწმებასთან.

თანამედროვე პერიოდში,საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ეკონომიკური თეორიის პრაქტიკულ ფუნქციას კიდევ უფრო მეტ ელფერს აძლევს.დღეს დასახულია ამოცანა ეკონომიკური თეორიის ჩამორჩენის დაძლევისა მეურნეობრიობის პრაქტიკისაგან.ამასთან,არ შეიძლება შემოვიფარგლოთ ეკონომიკური სისტემის მხოლოდ ზოგადი,აბსტრ ქტული მიმართულებებით.კონცეფცია დაყვანილ უნდა იქნეს ისეთ დონემდე,რომელიც აგვიხსნის პრინციპულ გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე.

ამრიგად,ეკონომიკური თეორია მართლაც დგას მეურნეობრიობის პრაქტიკასთან ორგანული კავშირის აუცილებლობის წინაშე.ეკონომიკური თეორიის ფუნქციები ურთიერთდაკავშირებული

და ურთიერთგადახლართულია.ლოგიკურად ეს ურთიერთკავშირი შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:ცოდნა-მეთოდი-მოქმედება.ეკონომიკური თეორიის ფუნქციათა რეალიზაციის უმაღლესი კრიტერიუმი უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები,ეკონომიკის განმტკიცება,სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაცია.

7. ეკონომიკური კანონები და კატეგორიები

ჩვენი გარემომცველი სამყარო თავისი საოცარი მრავალფეროვნებით ისეთნაირად არის მოწყობილი,რომ პროცესები და მოვლენები ბუნებასა და საზოგადოებაში გარკვეულ წესებს ექვემდებარება.სხვანაირად რომ ვთქვათ,მოქმედებს ტიპიური,ჩამოყალიბებული,მრავალჯერ განმეორებადი საყოველთაო თანაფარდობები,კავშირები როგორც თვით პროცესებს,ისე მათ დამახასიათებელ მაჩვენებლებს შორის.ეს შეიძლება მიზეზ-შედეგობრივი ხასიათის კავშირები,(მოცემული მიზეზი ყოველთვის წარმოშობს განსაზღვრულ შედეგს),ან მყარი დამოკიდებულებები იყოს ერთიდაიმავე პროცესის ერთდროულად გამოვლინებად სხვადასხვა მხარეებს შორის ან სხვადასხვა მოვლენათა ურთიერთქმედების მრავალჯერ გამოვლინებადი ერთტიპიური შედეგები.სამყაროში ყოველივე არსებულის „ქცევის“ უნივერსალურ საყოველთაო ხერხებს,რომელიც ობიექტურად დამახასიათებელია მოცემული სახის,კლასის მოვლენებისათვის,**კანონებს** უწოდებენ.

კანონის არსებობა მრავალჯერ დამტკიცებულია როგორც ფიზიკურ,ისე ბიოლოგიურ სამყაროში.ესაა მექანიკის კანონები,ნივთიერებათა და ენერგიის შენახვის კანონი.ასეთი კანონების პრინციპული თავისებურება ისაა,რომ ისინი მოქმედებენ ადამიანთა ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად.

ხშირად გვესმის **ეკონომიკური კანონების** არსებობისა და გამოვლენის შესახებ,რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკური სისტემის ელემენტებს,ნაწილებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედებების ტიპიურ ნიშნებს,ეკონომიკურ პროცესებში მონაწილე ადამიანთა ჩათვლით.ჩვეულებრივ იგულისხმება საქონელთა,მომსახურების,სიკეთის წარმოებას,გაცვლას,განაწილებას,მოხმარებას და ამ პროცესების დამახასიათებელ მაჩვენებლებს შორის მუდმივად არსებული საყოველთაო კავშირები და თანაფარდობები.

სწორია თუ არა და რამდენად ობიექტურადაა დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების,პროცესებისათვის საყოველთაოობა,ტიპიურობა,რომელიც საშუალებას გვაძლევს ვამტკი-

ცოთ,რომ ჩვენ ვხედავთ ობიექტურად არსებული ეკონომიკური კანონების არსებობას? ერთი კი ცხადი და ნათელია:იმ ნაწილში,რომელშიც ეკონომიკა ბუნებრივ პროცესებს მოიცავს,ხოლო ეკონომიკური მეცნიერება ბუნებისმეტყველებას ემყარება,მოქმედებენ ბუნებრივი სამყაროს ფიზიკური და ბიოლოგიური კანონები.აქ ყველაფერი ობიექტურად,ადამიანთა ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად ხდება,სამყაროს შემოქმედის თავდაპირველი ჩანაფიქრის შესაბამისად.ამიტომ დღესაც ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ,რომ არ შეიძლება იმაზე მეტის მოხმარება,ვიდრე გვაქვს,წარმოებულია,მიღებულია,ეს ეკონომიკური კანონი მთლიანად გამომდინარეობს ნივთიერების შენახვის კანონიდან.იქ სადაც ეკონომიკა ბუნების კანონებს აწყდება არც კი ვფიქრობთ სუბიექტურ ფაქტორზე.ეს კანონები უნივერსალურია და პრობლემაა მხოლოდ მათი მოქმედების სფეროს შემეცნებისა და გაგების ხარისხი,რამდენადაც მათზე ვრცელდება ფარდობითობის პრინციპი.აკი ფიზიკური კანონებიც ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს.

ცოტა უფრო რთულადაა საქმე ეკონომიკის იმ ძირითადი ნაწილის კანონზომიერი საწყისების გამოვლენასთან,სადაც ბუნებრივ პროცესებში ერეოდა და ერევა ადამიანი,სადაც ადამიანები ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდნენ და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობენ მწარმოებელთა,მომხმარებელთა და მმართველთა სახით.

XIX ს.ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი ალფრედ მარშალი ამის შესახებ წერდა:„ეკონომიკურ კანონთა ფორმულირებაში გათვალისწინებულია,თუ როგორ ცდილობს ადამიანი გარკვეულ პირობებში მოქმედებას.ისინი ერთში ფიზიკურ კანონებს მოგვაგონებენ:ერთნიც და მეორენიც განსაზღვრული პირობების არსებობას გულისხმობენ.ადამიანური ქცევის კანონები,ცხადია,არც ისე მარტივი და განსაზღვრულია და არც ისე მკაფიოდ დგინდება,როგორც მსოფლიო მიზიდულობის კანონი,მაგრამ მრავალი მათგანი შეიძლება ბუნების კანონებს მივაკუთვნოთ,რომელთაც საქმე აქვთ კვლევის რთულ საგანთან."

შემდეგ ა. მარშალი აღნიშნავდა,რომ ეკონომიკური კანონები-საზოგადოებრივ ტენდენციათა გამოხატულებაა,„განზოგადებაა,რომელიც გვეუბნება,რომ,რომელიმე სპეციალური ჯგუფის წევრებისაგან განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება ველოდოთ მოქმედების გარკვეულ ფორმას".

ობიექტურად განპირობებული პროცესები და მოვლენები მეურნეობრივ ცხოვრებაში უთვალავია,მაგრამ ეს როდი ნიშნავს,რომყოველ მათგანს შეესაბამება განსაზღვრული კანონი.ეკო-

ნომიკური კანონები ასახავენ არა ყველა გარდუვალობას,არამედ მხოლოდ ზოგად ობიექტურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.ეკონომიკურ კანონთა ერთი ნაწილი შეეხება მეურნეობრივი ცხოვრების ყველა სფეროს,სხვები-უპირატესად მაკრო- ან მიკროეკონომიკას.ზოგად სამეურნეო კანონებს შორის შეიძლება დავასახელოთ შრომის მზარდი მწარმოებლურობის,დაგროვების,ფულის მიმოქცევის,მზარდ ფარულ დანახარჯთა და სხვა კანონები.

შრომის მზარდი მწარმოებლურობის კანონი გვეუბნება,რომ შრომის მწარმოებლურობა განუწყვეტლივ იზრდება კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე.დაგროვების კანონის თანახმად მეურნეობრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი გაგზავნილ უნდა იქნეს მისი მასშტაბების განვითარებაზე,ინოვაციაზე.თუკი ყველაფერს მომსახურებაზე გავუშვებთ,ეკონომიკური ზრდა აუცილებლად შეფერხდება ან გაჩერდება კიდევაც.

ფულის მიმოქცევის კანონი გამოხატავს ობიექტურ კავშირს მიმოქცევაში არსებულ ქაღალდის ფულის რაოდენობასა და ფასების დონეს შორის.ამ კანონის თანახმად ფულის მყიდველობითი უნარი მყარია,თუკი მისი რაოდენობა შეესაბამება ფულის განსაზღვრულ მასაზე ბაზრის მოთხოვნებს.

საზოგადოების განვითარების კანონებსა (ეკონომიკური კანონები)

და ბუნების კანონებს შორის არსებობს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

საერთო მათ შორის ისაა,რომ, როგორც ბუნების,ისე ეკონომიკური კანონები ობიექტურია,ე.ი.მოქმედებენ ადამიანთა ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად.განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

- **ეკონომიკური კანონები** ადამიანთა საქმიანობის კანონებია.ისინი წარმოიშობიან ადამიანთა საქმიანობის პროცესში და ხორციელდებიან მისი მეშვეობით.ბუნების კანონები მოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების გარეშეც,მაგალითად მსოფლიო მიზიდულობის კანონი.
- ბუნების კანონები მუდმივია,ეკონომიკური კანონები გარდამავალი;
- **ეკონომიკური კანონების აღმოჩენა და გამოყენება** გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს,რამდენადაც ეს გამოყენება ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება საზოგადოების დრომოჭმული ძალების მხრივ.

გარდა ეკონომიკური კანონებისა,ეკონომიკური თეორია შეისწავლის ეკონომიკურ კატეგორიებს,ე.ი.ლოგიკურ ცნებებს,რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების რეალური პრობლემების თეორიულ გამოხატულებას,მაგალითად,საქონელი,ღირებულება,ფული,წონასწორობა,მოთხოვნა,მიწოდება და ა.შ.

ეკონომიკური კანონები მთლიანობაში ქმნიან ეკონომიკურ კანონთა სისტემას-საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს.ამ სისტემაში არასწორია გამოვყოთ რომელიმე ძირითადი,მთავარი კანონი.საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზისადმი სისტემური მიდგომის პოზიციებიდან ყველა კანონი მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებულია.დარღვევები ერთი რომელიმე კანონის გამოყენებაში,არღვევს მთელს სისტემას და წონასწორობას საზოგადოებაში.

ეკონომიკური მეცნიერება კანონების კლასიფიკაციას ახდენს საერთო სისტემაში მსხვილი ჯგუფების მიხედვით:სპეციფიკური და საერთო ეკონომიკური კანონები.

სპეციფიკური ეკონომიკური კანონები-მეურნეობის კონკრეტულ-ისტორიული ფორმების განვითარების კანონებია.

საერთო ეკონომიკური კანონები-ყველა ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი კანონებია,ისინი მათ წინსვლითი განვითარების ერთიან ისტორიულ პროცესში აკავშირებენ.ესაა მოთხოვნილებათა ზრდის,საზოგადოებრივი შრომის განვითარების და სხვა კანონები.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას წარმოადგენს ეკონომიკური თეორია?

2.რა ეკონომიკურ სისტემებს იცნობთ და რით განსხვავდებიან ისინი?

3.რა არის მიკრო-,მაკრო-,მეზო-,მეგა-,და მეტაეკონომიკა?

4.რა ძირითად მიმართულებებს იცნობთ ეკონომიკურ თეორიაში?

5.რომელ ეკონომიკურ მეცნიერებებთან აქვს კავშირი ეკონომიკურ თეორიას?

6.როგორია ეკონომიკური თეორიის ფუნქციები?

7.რა არის ეკონომიკური კანონები და როგორია მათი მოქმედების ხასიათი?

თავი მეორე

ბაზარი და კონკურენცია

საბაზრო ურთიერთობები ეკონომიკის ორგანიზაციის განსაკუთრებულ ტიპია,რომლის დროსაც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არ არსებობს არანაირი შუალედური მმართველი,მგეგმავი ან სხვა ადმინისტრაციული დაწესებულება,რომელიც მწარმოებელთა და მომხმარებელთა საქმიანობას წარმართავს.ბაზრის პირდაპირი ალტერნატივაა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა.იგი ინერგება სწორედ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის,კარნახობს საკუთარ პირობებს და წარმართავს მათ საქმიანობას მმართველური ბრძანებებისა და დირექტივების მეშვეობით.ეს ბრძანებები უშუალოდ ეხება მწარმოებლებს პროდუქციის გამოშვების ცენტრალიზებული გეგმების სახით,ხოლო უკანასკნელები განსაზღვრავენ მომხმარებელთა ქცევას.

თუკი საბაზრო ეკონომიკაში გარკვეული წესრიგი თავისთავად მყარდება,გარედან ჩარევის გარეშე,ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა ცდილობს მკაცრი წესრიგის ზევიდან თავსმოხვევას,რითაც აღმოფხვრის კონკურენციას და მეტოქეობას მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.მართალია,კონკურენცია ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ არასასურველ მოვლენებსაც იწვევს,მაგრამ,ამასთან ერთად,იგი პირადი ინიციატივის,გერგილიანობისა და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის, სტაბილურობის ერთობ ეფექტიანი საშუალებაცაა.უკიდურეს შემთხვევაში,საბაზრო ეკონომიკამ,რომელიც კონკურენციას ემყარება,დაამტკიცა თავისი უპირატესობა ეკონომიკის ორგანიზაციის სხვა ალტერნატიული ხერხების წინაშე.

1.ბაზარი:აღმოცენების მიზეზები და დამახასიათებელი ნიშნები

ყველაზე ზოგადი სახით ბაზარიგანისაზღვრება,როგორც სტიქიური წესრიგი. იმის გათვალისწინებით,რომ ასეთ მოკლე განმარტებაში შეუძლებელია ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიის ყველა ნახნაგისგაშუქება,შეიძლება ითქვას,რომ ბაზარი-ესაა მწარმოებელთა და მოხმარებელთა ურთიერთზემოქმე-

დების ხერხი,რომელიც ემყარება საფასო სიგნალების დეცენტრალიზებულ,უპიროვნო მექანიზმს.

ბაზრის წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების აღმოცენებას.ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გახდა შრომის დიდი დანაწილება მიწათმოქმედ და მეცხოველე ტომებს შორის.შრომის სულ უფრო მზარდმა დანაწილებამ,მისმა დიფერენციაციამ და სპეციალიზაციამ საბოლოო ჯამში გამოიწვია არა მარტო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ამაღლება,არამედ ასევე ამ შრომის პროდუქტების გაცვლის აუცილებლობა.თანდათანობით ასეთი გაცვლა ფართოვდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა პირველყოფილი თემების შრომის პროდუქტთა შემთხვევითი გაცვლიდან თანამედროვე ბაზრამდე,სადაც ღირებულების საყოველთაო ექვივალენტის სახით გამოდის ფული.

მაშასადამე,ბაზარი,ესაა ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების სპეციფიკური ხერხი,სადაც ადამიანებს შორის მეურნეობრივი ურთიერთობები გამოდის,როგორც ურთიერთობები მათსა და ნივთებს შორის.ღირებულების თავისებური საყოველთაო ეკვივალენტია განსაკუთრებული სახის საქონელი-ფული.სრულიად საპირისპიროს ვხედავთ ნატურალური გაცვლის,ანუ,ბარტერის დროს,როდესაც ერთი საქონელი უშუალოდ იცვლება სხვა საქონელზე.ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს,თუ საქმიანობის რომელი სახეობა უპირისპირდება,ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ,ეფარდება სხვებს.როდესაც თქვენ ფულით იძენთ საქონელს,მაშინათვე ჩანს,რომ უკანასკნელი,შექმნილი ღირებულების ერთადერთი მაჩვენებელია.საქონლის გაყიდვით თქვენ ღებულობთ ფულს,რომლითაც ყიდულობთ საჭირო საქონელს.გაცვლის ასეთი ხერხი ერთობ ეფექტიანი აღმოჩნდა და თანდათან გამოდევნა სხვა ხერხები,მაგალითად,ბარტერი,რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება მეურნეობრიობის გარკვეულ პირობებში.

ისტორიულად ბაზარი თანდათანობით ყალიბდებოდა და თავდაპირველად დაკავშირებული იყო პროდუქტებისა და ზოგიერთი სხვა სამეურნეო საქონლის ცალობრივ ვაჭრობასთან.ასეთი ვაჭრობისათვის გამოიყოფოდა სპეციალური ადგილები მოედნებსა თუ დასახლებული პუნქტების ხალხმრავალ ადგილებში.ასეთი სახის ვაჭრობას ბაზარს უწოდებდნენ და იგი დღემდე შემორჩა.მაგრამ შემდგომში ცნება „ბაზარი" უფრო გაფართოვდა და ტევადი მნიშვნელობა შეიძინა;ახლა ჩვენ ვამბობთ საბითუმო ბაზრების,სასაქონლო სანედლეულო ბირჟების და ასევე საფონდო

ბაზრების შესახებ,სადაც ყიდიან და ყიდულობენ არა მხოლოდ საქონელს,არამედ აქციებს და სხვა ფასიან ქაღალდებსაც.

ყველაზე უფრო ორგანიზებულია ისეთ საქონელთა ბაზრები,რომლებიც საყოველთაო მოთხოვნით სარგებლობენ,ზუსტ სპეციალიზაციას,შორ მანძილზე გადაზიდვას და ა.შ.ექვემდებარებიან.ცხადია,მაგალითად,რომ ჩვეულებრივი სამშენებლო აგურის ბაზარი შეზღუდულ იქნება აგურის ქარხნის მიმდებარე რაიონებით,მაშინ,როდესაც ძვირფასი ლითონების,ქვების და საიუველირო ნაწარმის,ასევე ბამბის,მარცვლეულის,ლითონის ნაწარმის ბაზარი მოიცავს მთელი ქვეყნის ტერიტორიას და სხვა ქვეყნებსაც კი.ორგანიზებულ ბაზრებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზარს,რომლებსაც მიეკუთვნება კერძო კომპანიების,სააქციო საზოგადოებებისა და მთავრობის აქციები და ობლიგაციები.მათ შორის ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნით სარგებლობს მსხვილი,ცნობილი, საერთაშორისო კომპანიების აქციები და ასევე მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაციები,საიმედოობისა და მათგან მიღებული შემოსავლის გარანტირებულობის გამო.საფონდო ბაზრების ანალოგიურად,რომლებზედაც ყიდიან და ყიდულობენ აქციებს,ორგანიზებულია ძვირფასი ლითონების მსოფლიო ბაზარი.თავიანთი ბუნებრივი თვისებით ოქრო,ვერცხლი და პლატინა ყოველთვის გამოდიოდა საყოველთაო ექვივალენტის როლში გაცვლის დროს და ახლაც შეიძლება ფულს წარმოადგენდნენ,თუმცა,უშუალოდ არ მონაწილეობენ სავაჭრო ოპერაციებში.

უფრო ნაკლებად ორგანიზებულ ბაზარს მიეკუთვნება ისეთ საქონელთა ბაზრები,რომლებიც ადამიანთა ვიწრო ჯგუფის მოთხოვნით სარგებლობენ,მაგალითად,ინდივიდუალური კერვის ტანსაცმლის,ხელოვნების ნაწარმოებების და სამხატვრო ნაკეთობათა და ა.შ.გაყიდვა.იგივე შეიძლება ითქვას მალფუჭადი საქონლის,დიდგაბარიტიანი საგნების და ყოველივე იმის რეალიზაციის ადგილობრივ ბაზრებზე,რაც შორ გადაზიდვებს არ ექვემდებარება.ეს ვიწრო ლოკალური ბაზრებია,სადაც ფასების მერყეობა სხვადასხვა ადგილზე სარგძნობია,მაგრამ,მათთვისაც შენარჩუნებულია მთავარი პირობა:საქონელთა ფასები განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდებისაგან დამოკიდებულებით,თუმცა გამოთანაბრებასაც აქვს ადგილი.

ამრიგად,მაზარი წარმოადგენს ურთიერთმიმართ სისტემას,რომელშიც ჯგშირი გამყიდველომსა და მყიდველომს შორის იმდენად თავისუფალია,რომ ერთი და იმავე საქონლის ფასემს სწრაფად გამოთანამრომის ტენდენცია გააჩნიათ.

საბაზრო ეკონომიკის საფუძველია კერძო საკუთრება.იგი წარმოადგენს ნებაყოფლობით დადებული კონტრაქტების დაცვისა და მესამე პირთა ჩაურევლობის გარანტიას.ეკონომიკური თავისუფლება სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების საფუძველი და შემადგენელი ნაწილია.იგი უწინარეს ყოვლისა გამოდის,როგორც პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის აუცილებელი საშუალება;თავის მხრივ,პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიკური თავისუფლების გარანტს წარმოადგენს.თავისუფალ საზოგადოებაში ინდივიდს შეუძლია დაიცვას და აქტიური პროპაგანდა გაუწიოს ნებისმიერ,მათ შორის რადიკალურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურაში,ცხადია,იმ პირობით,რომ მისი აგიტაცია არ გამოიწვევს ძალადობას სხვა მოქალაქეთა მიმართ.

არსებობს,ბაზრის არანაკლებ ხუთი ნიშანი,რომელიც განასხვავებს მას ეკონომიკის ორგანიზაციის სხვა ტიპებისაგან.

● **ნამდვილი მაზარი გულისხმობს მისადმი თავისუფალ ხელმისაწვდომობას და მისგან თავისუფალ გამოსვლას,ამიტომ მონაწილეთა რაოდენობა მაზარზე შეზღუდული არ არის.**უფრო მეტიც,რაც უფრო მეტია ასეთი მონაწილეები,მით შესამჩნევად ვლინდება საბაზრო კანონები.ბაზარში შესვლა და მასში მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით;გახსნა საკუთარი საქმე, სახელოსნო,მაღაზია,ატელიე და ა.შ.,საკუთარი ოჯახის ან ნათესავების ძალისხმევით,მუშათა დაქირავებით და საწარმოს თუ ფირმის შექმნით.სწორედ ასეთი გზით წარმოებდა კლასიკური კაპიტალიზმის ჩამოყალიბება მისთვის დამახასიათებელი ექსპლუატაციით,რაც ემყარებოდა ზედმეტი ღირებულების წარმოებას.საბაზრო საქმიანობაში მონაწილეობა შეიძლება აქციების,ფასიანი ქაღალდების შეძენით,ფულის ბანკებში,სადაზღვევო კომპანიებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში დაბანდებით.

● **რამდენადაც მაზარზე მონაწილეობს საქონელმწარმოებელთა დიდი რაოდენობა,იმდენად,თითოეული მათგანის მიერ დაწესებული ფასი მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს საერთო სამაზრო ფასზე.**ნებისმიერ საქონელმწარმოებელს არ შეუძლია ბაზარზე გამოიტანოს იმდენი საქონელი,რათა საკუთარი ფასი უკარნახოს მომხმარებელს.ბაზრის სწორედ მასობრივი ხასიათი,სხვადასხვა გამყიდველთა ურთიერთზემოქმედება,მიახლოებით თანაბარი შესაძლებლობებით,იწვევს საერთო საბაზრო ფასის გამოთანაბრებას,მის სტაბილურობაზე ზემოქმედებით.

● მაზარზე სრული თავისუფლება არსებობს მატერიალური,ფინანსური და ადამიანისეული ფაქტორების გადაადგილებაში.რატომაა მნიშვნელოვანი ეს პირობა?იმიტომ რომ თითოეული მოგების, საკუთარი შემოსავლისაკენ მიისწრაფის,ხოლო ამისათვის საჭიროა რესურსების იმ სფეროში გადაადგილება,სადაც ისინი ყველაზე მეტ უკუგებას მოიტანენ,სადაც გამოიყენება ახალი სიმძლავრეები,ინერგება უფრო მოწინავე ტექნოლოგია,უკეთესია შრომის ანაზღაურება,მუშაობის პირობები და ა.შ.

● მაზარმა პრინციპში ყველა მისი მონაწილისათვის თანამარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს,ამიტომაა მიღებული თითოეულის უფლება სრულ ინფორმირებულობაზე მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ,ფასებზე,საქონელთა სპეციფიკაზე და ა.შ.ეს თითოეულ მონაწილეს ყველაზე საუკეთესო არჩევანის საშუალებას აძლევს არსებულ შესაძლებლობებს შორის,თუმცა,ფაქტობრივად სრულ ინფორმირებულობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.ხოლო საუკეთესო შესაძლებლობების არჩევანი მრავალ სიძნელეებს აწყდება.

● თავისუფალ მაზარზე გამორიცხულია რაიმე პრივილეგიები გამყიდველთა ცალკეული ჯგუფისათვის,რომლებიც დაკავშირებულია,მაგალითად,სავაჭრო მარკებთან და საქონელთა სხვა მაჩვენებლებთან.ყველა საქონელი აბსოლუტურად ერთგვაროვნად ითვლება,თუკი ისინი სტანდარტს შეესაბამებიან.ცხადია,ეს პირობა ყოველთვის როდია დაცული,ვინაიდან მომხმარებლები განსაკუთრებით საბითუმო ბაზარზე კარგად ერკვევიან ამა თუ იმ კომპანიათა საქონლის ღირსებებში,კერძოდ,კარგი რეპუტაციის ფირმათა მიერ წარმოებულ საქონელში. მუდამ უნდა გვახსოვდეს,რომ ჩვენს მიერ ხუთი ნიშნით დახასიათებული ბაზარი იდეალიზებულია,რომელიც ემყარება თავისუფალ კონკურენციას და ყველა გამყიდველისა და მყიდველისათვის პოტენციურად ერთნაირ შანსს და განსხვავდება,ზოგჯერ მნიშვნელოვნადაც, რეალური ბაზრისაგან.

2 ბაზრის ტიპები,ფუნქციები და სტრუქტურა

სქტრუქტურის მიხედვით ბაზარი წარმოადგენს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის კავშირის თუ ურთიერთობათა ისეთ ხერხს,რომლის დროსაც საქონელთა გაცვლა ფულის დახმარებით ხორციელდება და ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულატორად ფასები გამოდის.მართალია პროდუქტების გაცვლა ყველა წყობის

პირობებში ხდებოდა,მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა ბაზარმა კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეიძინა.

საბაზრო მეურნეობაში ყველაფერს თავისი ფასი გააჩნია.საკუთარი შრომის პროდუქტის გაყიდვით თქვენ მიიღებთ ფულს,რომლითაც შეიძენთ თქვენთვის სასურველ საქონელს.ამასთან ფასები ბაზარზე დგინდება მოთხოვნისა და მიწოდებისაგან დამოუკიდებლად.როდესაც საქონელზე მოთხოვნა იზრდება,ბაზარი ამაზე დაუყოვნებლივ მოახდენს რეაგირებას ფასების აწევით.ამრიგად,მყიდველი თავისი ფულით თითქოსდა „ხმას აძლევს"მისთვის საჭირო საქონლის წარმოების გადიდებას.მწარმოებელი,ბაზარზე ამ სიგნალის მიღებით,ცდილობს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას,რაც მას დამატებით მოგებას მოუტანს.თუკი ბაზარზე საქონელი ძალზე ბევრი აღმოჩნდება,მაშინ ამ პროდუქციის ფასები დაეცემა და მწარმოებლებს იგი მისი გამოშვების შემცირებას უკარნახებს.ამ გზით მიიღწევა მწარმოებელთა და მომხმარებელთა ქცევის კოორდინირება,რომელიც არ მოითხოვს არანაირ გადაწყვეტილებებს და დირექტივებს რომელიმე მგეგმავი ან ხელმძღვანელი ცენტრიდან.

ერთი შეხედვით,იქმნება შთაბეჭდილება,თითქოსდა საბაზრო მექანიზმი ავტომატურად მოქმედებს,თუმცა სინამდვილეში რეგულირება აქ ხორციელდება ცდებისა და შეცდომების გზით.მომხმარებლისათვის ძნელია უცბად განსაზღვროს ზუსტი მოთხოვნა,მიუხედავად ბაზრის კონიუქტურის შესწავლის მრავალნაირი ხერხის არსებობისა.ამიტომ,თუკი მისი ანგარიში არასწორო აღმოჩნდება,შეცდომას გამოასწორებს ბაზარი.დეფიციტის დროს საქონელთა ფასი იზრდება,ჭარბი წარმოების დროს,პირიქით,ეცემა.ასეთი კორექტირება იწვევს წონასწორობითი,სტაბილური ფასის დანესებას,მაგრამ იგი უცვლელი როდი რჩება ხანგრძლივი დროის მანძილზე,რამდენადაც კონიუნქტურის შეცვლით ბაზარზე მიღწეული წონასწორობა უწონასწორობით შეიცვლება,რომელიც თავის მხრივ,ახალ წონასწორობას გამოიწვევს და ასეთი სახის ციკლები მუდმივად მეორდება.

საბაზრო რეგულირების პრობლემაზე მსჯელობისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს იდეალიზებული ბაზარი,რომელზეც თავისუფალი კონკურენცია ბატონობს.მოხერხებულობისათვის ასეთ ბაზარს კონკურენტულს ვუწოდებთ.კლასიკური ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლები,დაწყებული ადამ სმითიდან და დამთავრებული ჯონ სტიუარტ მილით,სწორედ ასეთ ბაზარზე იყვნენ ორიენტი-

რებულნი,ვინაიდან იმ პერიოდში მონოპოლიებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა ბაზარზე ფასების დაწესებაზე.

ბაზრის არსი თავის ვამოხატულებას პოულობს მის **მთავარ ეკონომიკურ ფუნქციებში.**

ეკონომიკური ფუნქცია-ის ძირითადი დანიშნულებაა,რომელიც უნდა შეასრულოს მოცემულმა კატეგორიამ და მის არსს ასხავს.

ბაზრის ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება:

- **წარმოების თვითრეგულირების ფუნქცია,**რომელიც გულისხმობს წარმოების და მოხმარების შეთანხმებას ასორტიმენტულ სტრუქტურაში და ასევე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების შენარჩუნებას მოცულობისა და ფასის მიხედვით.
- **მასტიმულირებელი ფუნქცია,**რაც მწარმოებელთა შეგულიანებაში მდგომარეობს შექმნან ახალი პროდუქცია უმცირესი დანახარჯებით,პირობით ერთეულზე გაანგარიშებით და მოგების მაქსიმუმი.
- **მარეგულირებელი ფუნქცია** წარმოებასა და გაცვლას,რეგიონებსა და ეროვნული მეურნეობის სფეროებს შორის გარკვეულ პროპორციულობას გულისხმობს.
- **ეკონომიურობის ფუნქცია** გულისხმობს მიმოქცევის ხარჯების შემცირებას მოხმარების სფეროში,მოხოვნის თანაშეზომვით ხელფასის სიდიდესთან.
- **ეკვივალენტური ფუნქცია.**ბაზარი ცალკეული მწარმოებლის შრომის ინდივიდუალური დანახარჯების შეპირისპირებას ახდენს საზოგადოებრივ "ეტალონთან",დანახარჯების და შედეგების თანაშეზომვით და საქონლის ფასეულობის გამოვლენით.
- **მეურნეობრივი საქმიანობის დემოკრატიზაციის ფუნქცია,**რაც საზოგადოებრივი წარმოების,მისი არასიცოცხლისუნარიანი ელემენტებისაგან გათავისუფლებაში მდგომარეობს ,და საბოლოოდ კონკურენტ-საქონელმწარმოებელთა დიფერენციაციას იწვევს.

ბაზრის განვითარების ისტორია საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი შემდეგი ტიპები:განუვითარებელი,თავისუფალი კლასიკური ,რეგულირებადი და დეფორმირებადი.

განუვითარებელი ბაზარი იმით ხასიათდება,რომ საბაზრო ურთიერთობები შემთხვევით,უმეტესწილად საქონლურ ბარტერულ ხასიათს ატარებენ.მაგრამ უკვე აქ ბაზარი განსაზღვრულ როლს თამაშობს.

თავისუფალი (კლასიკური) ბაზარი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1.საბაზრო ურთიეთობათა მონაწილეების შეუზღუდავი რაოდენობა და თავისუფალი კონკურენცია მათ შორის.

2.საზოგადოების ყველა წევრისათვის აბსოლუტურად თავისუფალი ხელმისაწვდომობა ნებისმიერ სამეურნეო საქმიანობისადმი.

3.წარმოების ფაქტორთა აბსოლუტური მობილურობა;კაპიტალის გადაადგილების შეუზღუდავი თავისუფლება.

4.ბაზრზე,მოგების ნორმის,მოთხოვნის,მიწოდების და სზვათა შესახებ აბსოლუტური ინფორმირებულობა.

5.თავისუფალი კონკურენციის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს სხვის გადაწყვეტილებაზე არაეკენომიკური მეთოდებით.

6.ფასები სტიქიურად ყალიბდება თავისუფალი კონკურენციის მსვლელობაში.

7.არ არსებობს მონოპოლიზმი და სახელმწიფო რეგულირება.

კლასიკური ბაზრის ჩამოთვლილი ნიშნები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა ბაზრის, როგორც თვითრეგულირებადი სისტემის შესახებ,რომელიც ხასიათდება საბაზრო სუბიექტების ქცევის რაციონალურობის მაღალი ხარისხით,მოქნილობითა და შემგუებლობით ცვალებადი პირობებისადმი,სხვადახსვა შეუზღუდავ მოთხოვნათა დაკმაყოფილების უნარით.

მიუხედავად რიგი ღირსებისა თავისუფალ ბაზარს შემდეგი **ნაკლოვანებებიც** გააჩნია:

1.ბაზარი იწვევს ცხოვრების დონის დიფერენციაციას.

2.თავისუფალი კონკურენციის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკას წარმოების განვითარებისათვის საჭირო ფულადი მასით.

3.თავისუფალი კონკურენციის პრინციპი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში ქცევის წესებისა და ნორმების დაცვას,რაც იწვევს არასასურველ ეფექტებს,მაგალითად, გარემოს დაბინძურება,კვების პროდუქტების დაბინძურება მავნე ნივთიერებებით და ა.შ.ნარკომანიის,ალკოჰოლიზმის და ა.შ. განვითარებას.

4.ბაზარი ვერ უზურნველყოფს საზოგადოებას ისეთი მომსახურებებით,რომლებიც ყველა ადამიანს ჭირდება და რომელთაგან არავინ ღებულობს მოგებას-თავდაცვა,სახელმწიფო მართვა და სხვა.

5.ბაზარი ვერ უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების რეალიზაციას ფუნდამენტური კვლევებისათვის მეცნი-

ერებასა და ტექნიკაში,ხოლო ისინი ძალზე საჭიროა საზოგადოების განვითარებისათვის შორეულ პერსპექტივაში.

თავისუფალი ბაზარი-აბსტრაქციაა.დღესაც და წარსულშიც ადგილი ჰქონდა და აქვს ბაზრის რეგულირებას,ვინაიდან ვერანაირი სახელმწიფოებრიობა ვერ პასუხობს თავისუფალი ბაზრის პირობებს.

დღეს ჩვენში ადამიანთა დიდ ნაწილს მიაჩნია,რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას,რადგან მხოლოდ თავისუფალი ბაზარი უზრუნველყოფს ინიციატივას,ადამიანთა საქმიანი აქტივობის სრულ გათავისუფლებას და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. სინამდვილეში სრული თავისუფლება არ არსებობს და არც შეიძლება იყოს.ჯონ გელბრეითი ამტკიცებს,რომ დღეს არ შეიძლება იყოს ადამ სმითის დროინდელი თავისუფალი ბაზარი.ხოლო ყველა ის,ვინც ამისკენ მოუწოდებს-იგი ფსიქიურად დაავადებული ადამიანია.

ამრიგად,შეუძლებელია სრული ეკონომიკური თავისუფლება,მაგრამ უნდა იყოს საკმარისი ეკონომიკური თავისუფლება,რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას,და უზრუნველიყოფა რეგულირებადი ბაზრის განვითარებით.

რეგულირებადი ცივილიზებული ბაზარი-საზოგადოების ცივილიზაციისა და ჰუმანიზაციის შედეგია,როდესაც სახელმწიფო ცდილობს როგორღაც შეარბილოს ბაზრის დარტყმები საზოგადოების ცალკეული წევრების ინტერესებზე.მაშასადამე,ბაზარი რეგულირებადი უნდა იყოს,რათა,რაღაცნაირად შეიზღუდოს მისი უარყოფითი შედეგები.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,როგორც ვ.ლეონტიევი აღნიშნავდა,მოიძებნოს საბაზრო და სახელმწიფოებრივი რეგულირების ოპტიმალური შეხამება.ჯერ-ჯერობით არ არსებობს სახელმწიფო,რომელიც იდეალურად უპასუხებდა ამ მოთხოვნებს.

სახელმიფო გარკვეულწილად უზრუნველყოს ბაზრის ფუნქციონირების პირობებს და მეტისმეტი ჩარევა საბაზრო ურთიერთობებში იწვევს მის დეფორმაციებს.

ბაზრის დეფორმაციის ძირითადი ნიშნები ადმინისტრაციულ-მბრძანებლები სისტემის დროს შემდეგია;

1.მრავალრიცხოვანი საბაზრო სუბიექტების არარსებობა,რომლებიც ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას აწყობენ საკუთრების თანაბარ ფორმათა საფუძველზე.

2.სასაქონლო რესურსების განაწილების მეტისმეტი ცენტრალიზაცია;დამოუკიდებლობის არარსებობა კომერციულ საქმიანობაში.

3.მწარმოებლისა და მოვაჭრის მონოპოლიზმი.

4.მოთხოვნისა და მიწოდების დაუბალანსებლობა.

5.ფასების სწრაფი ზრდა,მოუთოკავი ინფლაცია-ფულადი მიმოქცევის დარღვევა,ბიუჯეტური დეფიციტი.

6.ჩრდილოვანი ეკონომიკის და „შავი ბაზრის“ აყვავება.

7.მომხმარებლისათვის არჩევანის უფლების არარსებობა და ა.შ.

ბაზრის სტრუქტურა-მისი შინაგანი აგებულება,განლაგება,ბაზრის ცალკეული ელემენტების წესრიგი,მათი ხვედრი წილია ბაზრის საერთო მოცულობაში.

ყველა ბაზრის ერთობლიობა,რომელიც დანაწევრებულია ცალკეულ ელემენტებად,სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე,ქმნის ბაზრების სისტემას.

ბაზრები,ობიექტების მიხედვით შეიძლება დაიყოს:

-საქონელთა და მომსახურების ბაზარი;

-სამუშაო ძალის ბაზარი;

-წარმოების საშუალებათა (კაპიტალის) ბაზარი;

-ფასიანი ქაღალდების,ვალუტის ბაზარი;

-მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებათა და პატენტების ბაზარი;

-ინფორმაციის ბაზარი;

-მიმოქცევის საშუალებათა ბაზარი;

-ცალკეულ საქონელთა ან საქონელთა ჯგუფის (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის) ბაზარი;

-ლიცენზიათა ბაზარი და ა.შ.

სამომხმარებლო ბაზარი მოიცავს სასურსათო საქონელთა ბაზრებს,საყოფაცხოვრებო,კომუნალურ—სატრანსპორტო მომსახურებათა ბაზარს,კულტურის მომსახურებათა,განათლების,ჯანდაცვის ბაზარს.

სამუშაო ძალის ბაზარი,პრინციპში ყოველთვის არსებობდა,მაგრამ ჩვენს ეკონომიკაში სამუშაო ძალა არ იყო თავისუფალი ყიდვა- გაყიდვის ობიექტი.სამუშაო ძალის ბაზრის განვითარება ითვალისწინებს ყოველი ინდივიდის მიერ თავისი სამუშაო ძალის თავისუფალი გაყიდვის უფლების აღიარებას საკუთარი არჩევანის მიხედვით,კონტრაქტის საფუძველზე,დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშას შორის.

საცხოვრებელი ბინების ბაზარი ჩვენს ქვეყანაში არსებ ბდა კერძო სახლების,აგარაკების და ანალოგიური სახის სხვა მფლობელობათა და კოოპერატიული ბინების ყიდვა-გაყიდვის სახით.სახელმწიფო საბინაო სექტორის პრივატიზებასთან დაკავშირებით

წარმოებს სრულფასოვანი,საცხოვრებელი ბინების ბაზრის ფორმირება,რომელიც მთელ საცხოვრებელ ფართს მოიცავს.

წარმოების საშუალებათა ბაზარი მოიცავს წარმოების იარაღების,მანქანების,მოწყობილობის,ხელსაწყოების ბაზრებს.

ინვესტიციათა ბაზარი წარმოადგენს ფულადი ბაზრის,ერთერთ ნაირსახეობას,რომელშიც საბაზრო ურთიერთობათა ობიექტია კაპდაბანდებები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ახლო წარსულში მხოლოდ სახელმწიფო სესხების ობლიგაციების შეზღუდული ყიდვა-გაყიდვით იყო წარმოდგენილი. მეურნეობრიობის საბაზრო მოდელის პირობებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი სახეს იცვლის;ხორციელდება აქციების,ობლიგაციების,ჩეკების,აკრედიტივების,თამასუქების და სხვა სახის ფულად ვალდებულებათა გაყიდვა.

ფულისა და ვალუტის ბაზარი,პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა და ჩრდილოვან ხასიათს ატარებდა.ამ ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება მოითხოვს საფონდო და სავალუტო ბირჟების შექმნას,რომლებზეც გაიყიდება და შეიძინება ვალუტა ლარებში,მსოფლიო,სახელმწიფო თავისუფალი და სააუქციონო კურსებით.

ინოვაციათა ბაზარი,ე.ი.სიახლეთა,გამოგონებების,რაციონალური წინადადებების ბაზარი პრაქტიკულად ასევე არ არსებობდა.საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საშუალებას გვაძლევს ინოვაციები განვიხილოთ საქონლის თვალსაზრისით,რომელთა გაყიდვა საბაზრო ფასებით მიზანშეწონილია.

საინფორმაციო პროდუქციის ბაზარი-განსაკუთრებული ბაზარია.ყიდვა-გაყიდვის საგანი აქ ხდება წიგნები,გაზეთები,სურათები,სხვადასხვა სახის რეკლამა და ინფორმაციის მრავალი სხვა წყარო. ასეთი ბაზარი ჩვენთან არსებობს,მაგრამ იგი ახლებურ მიდგომას საჭიროებას.

ლიცენზიების ბაზარი-ინოვაციათა ბაზრის ნაწილია.ყიდვა-გაყიდვის ობიექტია პატენტიანი და უპატენტო ლიცენზიები გამოგონებები ,ტექნოლოგიური გამოცდილების გადაცემაზე და ა.შ.თანამედროვე პირობებში,საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა სალიცენზიო შეთანხმებებმა,რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ ტექნოლოგიურ გაცვლას ნოუ-ჰაუს და ინჟირინგულ მომსახურებათა შეთავაზებით,მოწინავე ტექნოლოგიის სამრეწველო რეალიზაციის მიხედვით.

სუბიექტების მიხედვით ბაზარი შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

-მყიდველთა ბაზარი;

-გამყიდველთა ბაზარი;
-სახელმწიფო დაწესებულებათა ბაზარი;
-შუალედურ გამყიდველთა (შუამავალთა) ბაზარი.

მყიდველთა ბაზარზე მიწოდება უნდა აღემატებოდეს მოთხოვნას,მაშინ მყიდველს შესაძლებლობა აქვს შეადაროს და უპირატესობა მიანიჭოს ამა თუ იმ საქონელს.აქ ადგილი აქვს მწარმოებელთა კონკურენციას,რაც დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული ეროვნული და საერთაშორისო ბაზრებისათვის.

გამყიდველის ბაზარს ახასიათებს მოთხოვნის მნიშვნელოვანი გადაჭარბება მიწოდებაზე.აქ მთავარ როლს თამაშობს საქონელთა და მომსახურების მოცულობა,ხარისხს უმნიშვნელო როლი ეძლევა.მწარმოებლებს შორის არსებობს კონკურენცია, ღარიბია საქონლური ასორტიმენტი.

სახელმწიფო დაწესებულებათა ბაზარი მოიცავს სახელმწიფო ორგანიზაციების,ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ყიდვა-გაყიდვის აქტებს,რომელნიც საქონელს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად იძენენ ან იჯარით იღებენ.

შუალედურ გამყიდველთა ბაზარი გამოხატავს პირებისა და ორგანიზაციათა ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობას,რომლებიც საქონელს იძენენ გადაყიდვის მიზნით ან სხვა მომხმარებლებზე იჯარით გადასაცემად,საკუთარი სარგებლობისათვის.

სივრცობრივ ჭრილში განასხვავებენ:ადგილობრივ (ლოკალურ) და რეგიონულ,საშინაო,საგარეო ბაზარს;ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს.

გაჯერებულობის მიხედვით განასხვავებენ წონასწორობით,დეფიციტურ და ჭარბ ბაზრებს.

3.კონკურენცია ბაზრის სისტემაში

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ფასების მექანიზმთან ერთად მის აუცილებელ რეგულატორს წარმოადგენს.ცხადია, კონკურენცია მოითხოვს ბაზარზე ერთგვაროვანი საქონლის მწარმოებელთა სიმრავლეს,ამასთან,თითოეულ ამ მწარმოებელს არ უნდა შეეძლოს ბაზარზე საქონელთა ისეთი რაოდენობის გამოტანა,რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენდა საბაზრო ფასზე.სხვა სიტყვებით,თავისუფალმა ბაზარმა უნდა გამორიცხოს მონოპოლიათა ბატონობა და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი კონკურენციას.ასეთ კონკუ-

რენციას სრულყოფილი ანუ თავისუფალ კონკურენციას უწოდებენ,თუმცა რეალურ ბაზარზე იგი სინამდვილეში არსად არ არსებობს.ეს მხოლოდ იმ იდეალიზმის მაგალითია,რაზედაც ზემოთ ავღნიშნეთ.თანამედროვე ბაზარზე სულ უფრო დიდ როლს მონოპოლიური გაერთიანებები თამაშობენ,რომლებიც სარგებლობენ რა თავიანთი სიმძლავრით,საქონელთა ნარმოებაში,მათზე შუძლიათ მაღალი,მონოპოლიური ფასის დადგენა და ამით კონკურენციისა და წონასწორობითი ფასის დანესებისადმი ხელის შეშლა. ახლა ვნახოთ თუ კონკურენციას რანაირად შეუძლია ხელი შეუწყოს წესრიგის და წონასწორობის დამყარებას ბაზარზე საქონელთა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

ერთი შეხედვით ისე ჩანს,რომ,რამდენადაც თითოეული ცდილობს უფრო ძვირად და მეტის გაყიდვას,ხოლო შეძენას კი უფრო იაფად,თითქოსდა ბაზარზე არ შეიძლება არანაირი წესრიგი და წონასწორობა ნარმოშვას.მწარმოებლებს შორის არ ხდება შეთანხმება ფასებისა და საქონელთა რაოდენობის შესახებ და ამიტომ ბაზარზე შეიძლება წარმოიშვას ან ერთ საქონელთა დეფიციტი,ან სხვების სიჭარბე.მაგრამ აქ თამაშში ერთვება კონკურენცია ანუ მრავალრიცხოვან გამყიდველთა მეტოქეობა,მათი ბრძოლა მყიდველისათვის.თუმცა თითოეული მათგანი თავის საკუთარ ინტერესს მისდევს,მაგრამ,სხვადასხვა გარემოებათა გამო ისინი იძელუბელი არიან ანგარიში გაუწიონ გარკვეულ საშუალო,წონასწორობით ანუ როგორც ა.სმითი (1723-179066.) წერდა,ბუნებრივ ფასს.კონკურენციის მოქმედების ამ შედეგს ა.სმითი „უხილავი ხელის“ მოქმედებას ადარებდა საბაზრო ფასის რეგულირებაში:

„თითოეული ადამიანი ცდილობს ისეთანაირად გამოიყენოს თავისი კაპიტალი,რომ მისი პროდუქტი შეიცავდეს ღირებულების იყოს.ჩვეულებრივ მას მხედველობაში არც კი აქვს ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების სარგებლობაზე და არც კი ესმის რაოდენ ზეგავლენას ახდენს მასზე.მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საკუთარი ინტერესი,მხოლოდ საკუთარი სარგებლობას მისდევს,ამასთან,მოცემულ შემთხვევაში იგი უხილავი ხელით წარიმართება იმ მიზნისაკენ,რომელიც არ შედიოდა მის განზრახვაში.თავისი საკუთარი ინტერესისადმი გამოდევნებით, იგი ხშირ შემთხვევაში უფრო ქმედითად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს,ვიდრე მაშინ,როდესაც შეგნებულად ცდილობს მის სამსახურს.“

სწორედ ამ მიზეზით,ა. სმითი კატეგორიულად გამოდიოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში მთავრობის (სახელმწიფოს) ჩარევის წინააღმდეგ,კერძოდ,უცხოეთიდან საქონელთა შემოტანის შეზღუდვის წინააღმდეგ,როდესაც ისინი საკუთარზე უფრო იაფია.ამრიგად,უხილავი ხელი რომელიც ასეთი სიზუსტით არეგულირებს ფასებს ბაზრზე,სწორედ იმ სპონტანურ ანუ თვითნებურ წასრიგს ქმნის,რომლის წყალობითაც საბაზრო ეკონომიკას შეუძლია წინ აღუდგეს ქაოსსა და დეზორგანიზაციას.

ნობელის პრემიის ლაურეატი,ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი 1899-1988წწ. აღნიშნავდა,რომ კონკურენცია,ფასების მექანიზმის მეშვეობით ატყობინებს,ბაზრის მონაწილეებს იმ შესაძლებლობების შესახებ,რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ საზოგადოების შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის.ამასთან ბაზარი ხელს უწყობს ცოდნის,უნარის,გამოცდილების კონცენტრაციას,რომელიც გაბნეულია საზოგადოებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქონელთა სანარმოებლად.

საბაზრო ეკონომიკას,გეგმიურ ეკონომიკასთან შედარებით ორი მთავარი უპირატესობა გააჩნია.ჯერ-ერთი,მასში გამოიყენება არა მარტო ადამიანთა ვიწრო ჯგუფის,არამედ ბაზრის ყველა მონაწილეთა ცოდნა,ვინც წარმოების დაგეგმვით და მართვით არის დასაქმ ბული მბრძანებლური ეკონომიკის ფარგლებში.მეორე,ბაზარი ინდივიდთა კერძო მიზნებს ემსახურება მთელი მისი მრავალფეროვნებით,თუმცა „თავდაპირველად უფრო მნიშვნელოვანი...ხოლო შემდეგ ნაკლებმნიშვნელოვანი მოთხოვნების უცილობელი დაკმაყოფილების გარანტიას როდი იძლევა.სწორედ ამაშია იმის მთავარი მიზეზი,თუ ადამიანები რატომ ამბობენ უარს ბაზარზე.

კონკურენციის როლი სწორედ ისაა,რომ მისი წყალობით ბაზარზე წარმოიშობა და ნარჩუნდება სპონტანური წესრიგი,რომელიც დამოკიდებულია არაა ვისიმე ნება-სურვილსა და განზრახვაზე.ფ.ჰაიეკი ბაზარს ახასიათებდა,როგორც „რთულ მაღალორგანიზებულ სტრუქტურას,სადაც მიმდინარეობს თვითორგანიზაციის შეუცნობელი პროცესი“.

მაგრამ ბაზარი არ შეიძლება მთლიანად თვითორგანიზებად სისტემად ჩავთვალოთ,რომელიც შეიძლება შემდგომშიც თვითდი-ნებაზე მივუშვათ და შეფერხების გარეშე იმუშავებს.პირიქით,1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ეკონომისტებმა აღიარეს ბაზრის სახელმწიფო რეგულირების აუცი-

ლებლობა დაქვეითებისა და კრიზისების პერიოდში.ეს აუცილებლობა გამომდინარეობს თვით სოციალ-ეკონომიკური სისტემების ბუნებიდან,სადაც შეგნებით დაჯილდოებული ადამიანები მოქმედებენ და ამიტომ შეუძლიათ ნაკლოვანებების კორექტირება,რომლის მიზანია თვით სისტემის შეგნებული მართვა და რეგულირება.

კონკურენციისა და ბაზრის ღირსებებზე მსჯელობისას არ შეიძლება დავივიწყოთ ის ნეგატიური მოვლენებიც,რომელთა გადაჭრა მათ არ შეუძლიათ თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე.უნდა აღინიშნოს,რომ კონკურენცია და ბაზარი წარმოიშვა არა ისეთ სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად,როგორიცაა სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა და მით უმეტეს შემოსავლის უფრო თანაბარი განაწილება,არამედ განსაკუთრებით ეკონომიკის რაციონალური მართვისათვის,საზოგადოების შეზღუდული რესურსების გამოყენების გზით.საბაზრო მართვა გამოიყენება როგორც კერძო,ისე საზოგადოებრივი საკუთრების მიმართ.

სამართლიან სოციალურ პოლიტიკას შეუძლია შესამჩნევად გამოასწოროს საბაზრო განაწილების ნაკლოვანებები და დაეხმაროს პენსიონერებს,ინვალიდებს და ნაკლებუზრუნველყოფილ მოქალაქეებს.ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დავეთანხმოთ ფ. ჰაიეკს,რომ ძველისძველი მცნება-გიყვარდეს ახლობელი,როგორც საკუთარი თავი,ხელს უშლის საბაზრო წესრიგის გაფართოებას.კონკურენცია ერთ სფეროში,ხომ არ გამორიცხავს თანამშრომლობას მეორეში,უფრო ფართო სფეროში.ადამიანები ბოლოსდაბოლოს უგულო ავტომატები როდი არიან,რომლებიც ყველაფერში მხოლოდ თავიანთ ეგოისტურ მიზნებს მისდევენ და მხოლოდ საკუთარ სარგებლობაზე ზრუნავენ.ისინი კმაყოფილებას განიცდიან მაშინ,როდესაც ეხმარებიან სხვებს,მონაწილეობენ საქველმოქმედო საქმიანობაში,ეხმარებიან ხელოვნებას,მეცნიერებას და კულტურას.მაგრამ ვარაუდი იმის შესახებ,რომ ადამიანები თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მოგების მაქსიმიზების და ზარალის მინიმიზების პრინციპით,ერთობ მოხერხებული საშუალებაა მათი ეკონომიკური ქცევის ახსნისა და განჭვრეტისათვის.

რაც შეეხება კონკურენციას,იგი მონოპოლიის არსებობის პირობებში არ შეიძლება თავისუფალი და სრულყოფილი იყოს,ხოლო ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს საბაზრო ფასების ჩა-

მოყალიბების მექანიზმზე.ყველაფერი ეს გვიჩვენებს,რომ თავისუფალი და სრულყოფილი ბაზრისა და არაფრით შეზღუდული კონკურენციის ცნება გამარტივებულ,იდეალიზებულ წარმოდგენას იძლევა რეალურ ბაზარზე.მაგრამ ისე როგორც ყოველგვარი მეცნიერული ცნება,იგი გამოყოფს,ბაზრის მხოლოდ ყველაზე არსებით,დამახასიათებელ ნიშნებს.

წარმოიშობა კითხვები:რამდენად შესაძლებელია დაშორიშორება რეალურ და იდეალურ ბაზარს შორის? რამდენად შეიძლებ ეკონომიკური ურთიერთობები საბაზროდ ჩავთვალოთ,მიუხედათად იმისა,რომ ისინი შესამჩნევად განსხვავდებიან იდეალურისაგან?

აქ ძირითადი მახასიათებელი ფასების მდგომარეობაა.თუკი ფასები დგინდება მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით,ასეთ ურთიერთობებს საბაზროს უწოდებენ,ვინაიდან სწორედ ფასებია ბაზრის რეგულატორი. მხოლოდ ფასები ასახავენ თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის (მაშინაც კი თუ ისინი სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით,რომლებიც აფერხებენ კონკურენციას).

რამდენედაც ურთიერთობები ადამიანებს შორის საბაზრო მეურნეობაში განისაზღვრება მოთხოვნით და მიწოდებით,იმდენად ეს მექანიზმი მკაფიოდ რეგულირებს ადამიანთა წარმოშობილ მოთხოვნებზე და უკეთ უწყობს ხელს მათ დაკმაყოფილებას.ბაზრის უპირატესობა სწორედ იმაშია,რომ იგი მიმართულია ადამიანზე,მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

მოთხოვნის გათვალისწინებით ბაზარი ზეგავლენას ახდენს მომხმარებლებისათვის საჭირო საქონელთა წარმოების გაფართოებაზე,რისთვისაც მწარმოებლები იწყებენ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ათვისებას,საქონელთა ხარისხის გადიდებას,რაც ხელს უწყობს დეფიციტის შემცირებას ან სრულ ლიკვიდაციას.ბაზრისათვის კონკურენტულ ბრძოლაში იმარჯვებს ის მწარმოებელი,რომელიც საქონელთა მაღალი ხარისხის პირობებში აღწევს მათი წარმოების უმცირეს დანახარჯებს.სწორედ კონკურენცია აიძულებს მწარმოებლებს სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყვნენ აღმოცენებული დეფიციტი აღმოფხვრასა და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.წინააღმდეგ შემთხვევაში,კონკურენციის პირობებში ისინი წააგებენ ეკონომიკურ შეჯიბრებაში,აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით.

ამრიგად,მაზრის შინიშვნელოვანესი ფუნქციაა ადამიანთა მოთხოვნების ეფექტიანი დაკმაყოფილება და ხორციელდება იგი კონკურენციის ბქალთმით,მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმის მეშვეობით.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რაში მდგომარეობს ბაზრის აღმოცენების მიზეზები?
2.როგორია ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები?
3.რა არის ბარტერი და როგორია მისი ნაკლოვანებები?
4.როგორ გადაჭრის ეკონომიკის სამ ძირითად ამოცანას ბაზარი? 5.რა ფუნქციებს ასრულებს ფასების მექანიზმი?
6.რა როლს თამაშობს კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში?
7.რაში მდგომარეობს საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა გეგმიანის წინაშე?
8.რომელი პრობლემების გადაჭრა არ შეუძლია ბაზარს?
9.რომელი ძირითადი ვარაუდით ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში?
10.როგორ აიგება მოდელები მიკროეკონომიკაში?

თავი მესამე

ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი. მოთხოვნის და მიწოდების ანალიზი


მოთხოვნისა და მიწოდების კატეგორიები საბაზრო მექანიზმის საფუძველია ამიტომ მათ შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვანი გაგებისათვის.მარტივიდან რთულისკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტული რეალობის ასახვისკენ მოძრაობით, თავდაპირველად ჩავატაროთ მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი ბაზრის პირობებში, სადაც თავისუფალი კონკურენცია არსებობს და სხვა საქონლის ფასები არ იცვლება, გარდა განსახილველისა და ასევე განვცალკევდეთ მომხმარებელთა შემოსავლებისა და სხვა გარემოებებისაგან. ეს უმარტივესი აბსტრაქტული შემთხვევა საშუალებას მოგვცემს „ წმინდა სახით “ გამოვავლინოთ დამოკიდებულება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის,შემოვიტანოთ ნონასწორობითი საბაზრო ფასის ცნება და ასევე ჩამოვაყალიბოთ მოთხოვნისა და მიწოდების ემპირიული კანონები.შემდგომი ანალიზის მსვლელობაში გავაშუქებთ,თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ მოთხოვნასა და მიწოდებაზე:სხვა საქონელთა ფასების შექმნა,და ასევე მოსახლეობის შემოსავლები,გადასახადები,ფასების რეგულირება სახელმწიფოს მიერ.ამ თავის მასალა წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ,თუ კონკურენციის მსვლელობაში,ფასების მექანიზმის მეშვეობით როგორ მყარდება წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის,და როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს წონასწორობა რიგ ეკონომიკურ მოვლენათა ასახსნელად და ეკონომიკური პოლიტიკის შესაფასებლად.

1.მოთხოვნის ცნება,ფუნქცია და მოთხოვნის მოცულობა

ცნობილია,რომ რაც უფრო მაღალია საქონლის ფასი,მით ნაკლებს იძენენ მას,და,პირიქით,რაც უფრო დაბალია ფასი,მით მეტს ყიდულობენ მას.ამრიგად,საქონლის ფასსა და მის რაოდენობას,ანუ მოცულობას შორის,რომლის შეძენის სურვილი და შესაძლებლობა გააჩნიათ მყიდველებს,არსებობს განსაზღვრული ურთიერთკავშირი,რაც მათემატიკურად უკუპროპორციული დამოკიდებულებით არის გამოხატული.ეს დამოკიდებულება შეიძ-

ლება გრაფიკულად გამოვსახოთ მოთხოვნის მრუდის სახით. მოთხოვნა-განმაზოგადებელი ტერმინია,რომელიც აღწერს საქონლის ფაქტობრივ და პოტენციურ მყიდველთა ქცევას.

თავდაპირველად განვიხილოთ მოთხოვნის თვისებრივი მხარე.ცხადია,რომ მოთხოვნა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა მოთხოვნილებებთან.მაგრამ სინამდვილეში ყველა მოთხოვნილებას როდი ითვალისწინებს ბაზარი.ამისათვის იგი უნდა გახდეს გადახდისუნარიანი მოთხოვნა.



შესაძენი საქონლის რაოდენობა

ნახ 1.

სხვა სიტყვებით მოცემული მომხმარებლის მოთხოვნა ხასიათდება არა იმდენად იმით,თუ რისი შეძენა უნდოდა მას,რამდენად იმით,თუ რისი შეძენა შეუძლია მას სინამდვილეში,მოცემულ სიტუაციაში.ხშირად ამბობენ,რომ მოთხოვნა განისაზღვრება მყიდველის მაქსიმალური შესაძლებლობებით ანუ მისი მაქსიმალური მზადყოფნით,გადაიხადოს მოცემული საქონლისათვის.

როგორც გრაფიკიდან ჩანს,რაც უფრო მეტია ფასი,მით ნაკლებია მოთხოვნა და,პირიქით,ფასის შემცირებით,მოთხოვნა იზრდება.ჩვეულებრივ,ფასი განთავსდება შვეულ ღერძზე,ხოლო რაოდენობა ანუ საქონლის მოცულობა—თარაზულ ღერძზე.თუ მაგალითად,საქონელი იყიდება P_1 ფასით,მყიდველები მას შეიძენენ Q_1 რაოდენობით.ფასის P_2-მდე შემცირებით,შესაძენი საქონლის რაოდენობა Q_2-მდე გაიზრდება.

ცხადია,ფასი არაა მოთხოვნის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.სხვა ფაქტორებს მიეკუთვნება მყიდველთა განსაკარგავი

შემოსავალი,გადასახადები.იმ საქონელთა ფასები,რომლებიც მსგავს მოთხოვნებს აკმაყოფილებენ (სუბსტიტუტები ანუ შემცვლელები), ასევე იმ საქონელთა ფასები,რომლებიც მოცემულს ეხამება (კომპლემენტარული), მაგალითად ჩაი და შაქარი,ყავა და ლიმონი,ფასების მომავალი შეცვლის მოლოდინი,დემოგრაფიული ფაქტორები და სხვა.ასეთ ფაქტორებს,ჩვეულებრივ, პარამეტრებს უწოდებენ,რამდენადაც ისინი მუდმივად იგულისხმება,როდესაც მოთხოვნის დამოკიდებულება განიხილება მხოლოდ ფასისაგან.ეკონომისტები ამ და მსგავს შემთხვევებში ამბობენ,რომ მოთხოვნის კანონი სრულდება სხვა თანაბარ პირობებში.

ამრიგად,მოთხოვნა (გადახდისუნარიანი) საქონელზე,ბაზარზე წარდგენილი მოთხოვნილებაა,რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ საქონელთა რაოდენობით,რომლის შეძენაც მომხმარებლებს შეუძლიათ არსებული ფასებისა და ფულადი შემოსავლების პირობებში.

როდესაც თეორიაში მსჯელობენ მოთხოვნაზე,მხედველობაში აქვთ,არა ცალკეული ადამიანის მოთხოვნა,არამედ მრავალ მომხმარებელთა საბაზრო მოთხოვნა.სხვა სიტყვებით,აქ საქმე ეხება საერთო გაყიდვებს და ყიდვას.იმის კვალობაზე,თუ მოცემულ ბაზარზე როგორ შემოდის საქონელთა უფრო მეტი რაოდენობა,მისი ფასი მცირდება.ამაში ვლინდება ფასის თანდათანობით შემცირების კანონი;თუ ბაზარზე საქონელთა დიდი რაოდენობა შემოდის,მაშინ,სხვა თანაბარ პირობებში,იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ უფრო დაბალ ფასში,უწინდელთან შედარებით და,პირიქით,როდესაც ბაზარზე საქონელი არასაკმარისია,მისი ფასი იზრდება.ფასის ეს ცვლილება მოთხოვნის მრუდზე, აისახება წერტილის მოძრაობით ამ მრუდზე,ზევით ან ქვევით.მოთხოვნის კანონი ყველასათვის ცხადი ხდება და იგი ცნობილია ცივილიზაციის დასაბამიდან,როდესაც ადამიანები საქონელთა გაცვლას იწყებდნენ.მოთხოვნის სიდიდე იცვლება მაშინ,როდესაც ცვალებადია მხოლოდ მოცემული საქონლის ფასი.მოთხოვნის ხასიათი კი იცვლება მაშინ,როდესაც იცვლება ისეთი ფაქტორები,რომლებიც ადრე მუდმივი იყო.გრაფიკულად,მოთხოვნის მოცულობის ცვლილება გამოიხატება მოთხოვნის მრუდზე მოძრაობით ზევით ან ქვევით.მოთხოვნის ცვლილება კი გამოიხატება მოთხოვნის მრუდის მოძრაობით,მისი გადაადგილებით,მარჯვნივ,ან მარცხნივ.

ამ ფუნქციას **მოთხოვნის ფუნქცია** ეწოდება.ეს ის ფუნქციაა,რომელიც მოთხოვნას განსაზღვრავს მასზე ზემოქმედი სხვადასხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით.

ზევით ჩვენ განვსაზღვრეთ საფასო ფაქტორის ზეგავლენა,მაგრამ მოთხოვნაზე ზეგავლენას ახდენენ სხვა ფაქტორებიც:

- მომხმარებლის შემოსავლის სიდიდე და მისი ცვლილების დინამიკა;
- გემოვნებისა და სურვილების შეცვლა;
- ბაზრის სიდიდე;
- საფასო და დეფიციტური მოლოდინი;
- საქონელ-სუბსტიტუტების არსებობა და სხვა.

მოთხოვნის ფუნქცია განმსაზღვრელია საბაზრო მექინიზმში,ვინაიდან სწორედ იგი აიძულებს წარმოებას,გამოუშვას მოსახლეობისათვის აუცილებელი საქონელი,გააუმჯობესოს მათი ხარისხი და ასორტიმენტი.მოთხოვნა,თავის მხრივ,დამოკიდებულია ადამიანთა მო-თხოვნილებაზე;მოთხოვნილებათა შეცვლით,იცვლება მოთხოვნაც,რომელიც არსებითად,მათ მოთხოვნილებათა ფულად გამოხატულებას წარმოადგენს,რამდენადაც,საბაზრო ეკონომიკას,როგორც უკვე ვთქვ-ით,საქმე აქვს გადახდილ მოთხოვნასთან.მაგრამ ყოველგვარ მოთხოვნილებას როდი შეიძლება ჰქონდეს ფულადი გამოხატულება და დაკმაყოფილდეს ბაზრის მეშვეობით.მიუხედავად ამისა,ადამიანთა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები საკვებზე,ტანსაცმელზე,ფეხსაცმელზე,საცხოვრებელ ბინებზე,საყოფაცხოვრებო მომსახურებებზე,როგორც განვითარებული ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს,ყველაზე უკეთ ბაზრის მეშვეობით კმაყოფილდება.სწორედ ბაზარზე ეჯახება ერთმანეთს გამყიდველთა და მყიდველთა ინტერესები;გამყიდველები ცდილობენ თავიანთი საქონლის უფრო ძვირად გაყიდვას,ხოლო მყიდველები იაფად შეძენას.მაგრამ აქ არსებობს განსაზღვრული ზღვარის მაქსიმალური ფასი,რომლის გადახდაზე მყიდველები მზად არიან საქონლის შესაძენად.მას **მოთხოვნის ფასი** ეწოდება და საბაზრო ფასმა არ შეიძლება გადააჭარბოს მას.

2.მიწოდების ცნება, ფუნქციები და მოცულობა

ისე როგორც მოთხოვნის შემთხვევაში,ჩვენთვის საქონლის წარმოებისა და ბაზარზე მისი გატანის მხოლოდ სურვილი ან შესაძლებლობა როდი იქნება საკმარისი.მიწოდება აღმოცენდება მხოლოდ მაშინ,როდესაც მოცემული ეკონომიკური სუბიექტი მზად იქნება ბაზარზე გატანილი მოცემული საქონლის გაყიდვის გარიგების განსახორციელებლად.შესაბამისად,**მიწოდების სიდიდე**


(მოცულობა) განისაზღვრება საქონლის მაქსიმალური რაოდენობით,რომელიც გასაყიდად არის დამზადებული დროის მოცემულ პერიოდში და მოცემულ პირობებში.

ისევ ხაზს გავუსვამთ,რომ მიწოდების მოცულობა-ის ნაკადია,რომელიც დროში მიმდინარეობს.ამიტომ ყოველ ერთეულს უნდა განვსაზღვროთ მიწოდების მოცემული სიდიდე,დროის რომელ პერიოდს მიეკუთვნება.შემდგომ,ის პირობები,რომლის დროსაც განისაზღვრება მიწოდების მოცემული მოცულობა,მეტისმეტად მნიშვნელოვანია,რამდენადაც სწორედ ისინი ახასიათებენ იმ გარემოს,რომელშიც იმყოფება გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მწარმოებელი.

ამრიგად,**საქონლის მიწოდება-მისი ის რაოდენობაა,რომელთა წარმოება მწარმოებლებს შეუძლიათ და სურთ ბაზარზე მათი გასაღება, მოცემული ფასით.**

მწარმოებელთა მდგომარეობა ბაზარზე უცვლელი და ერთნაირი როდია (გამოტანილი საქონლის მასა,წარმოების სხვადასხვა ხარჯები,დახარჯული შრომის რაოდენობა და ა.შ.). მაგრამ,ყველა ისინი ცდილობენ თავიანთი შემოსავლის მაქსიმიზებას,ე.ი. ყველაზე მაღალი ფასის მიღებას.

მაშასადამე,მიწოდება ადგენს დამოკიდებულებას საბაზრო ფასსა და საქონლის იმ რაოდენობას შორის,რომლის დამზადება და გაყიდვა სურთ მწარმოებლებს.



საქონლის რაოდენობა

ნახ.2

მიწოდების კანონი ადგენს,რომ,რაც უფრო მაღალია საქონლის ფასი, მით მეტი მისი რაოდენობის გაყიდვა სურთ მის მწარმოებლებს. ეს კანონი შეიძლება გრაფიკულად წარმოვადგინოთ მიწოდების მრუდის სახით(ნახ.2). ცხადია რომ, რაც უფრო მაღალია საქონლის ფასი, მით მეტი მისი

რაოდენობის გამოტანა სურთ გამყიდველებს ბაზარზე. ამის გამო მოთხოვნის მრუდის ნაცვლად, რომელიც ნარნარად ეშვება თარაზულ ღერძზე, მიწოდების გრაფიკი ნარნარად ზევით მიმავალი მრუდი იქნება. თუ საქონლის ფასი P_1-ია, მაშინ გასაყიდი საქონლის რაოდენობა Q_1 იქნება, ფასის P_2-მდე გადიდებისას, მისი რაოდენობა Q_2-მდე გაიზრდება.

მიწოდების მოცულობა განისაზღვრება საქონელთა საერთო რაოდენობით, რომლებიც ბაზარზე იყიდება. უფრო მაღალი ფასების დროს იზრდება გაყიდვათა შემოსავლიანობა, რაც გამყიდველებს აიძულებს გაზარდონ მიწოდების მოცულობა. თავისუფალ ბაზარზე ფასის გადიდება ან შემცირება ცალკეული გამყიდველის მიერ,ზეგავლენას არ ახდენს დაწესებული საბაზრო ფასის დონეზე, თუმცა შერეულ ბაზარზე, სადაც მონაწილეობენ მონოპოლისტი გამყიდველები, წონასწორობა შეიძლება დარღვეულ იქნეს თავდაპირველად ფასის შემცირების მიმართულებით ბაზრის დასაპყრობად, ხოლო შემდეგ მისი აწევით, კონკურენტების გასაკოტრებლად.

მიწოდების კანონის დადგენისას ჩვენ განზრახ ვახდენთ აბსტრაჰირებას ყველა იმ ფაქტორისაგან, ფასის გარდა, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ მიწოდების მოცულობაზე. მათ მიეკუთვნება, პირველ რიგში შრომის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობების ფასები, წარმოების ტექნოლოგიის დონე და ა.შ

მიწოდების დამოკიდებულებას მასზე ზემოქმედი ფაქტორებისაგან მიწოდების ფუნქცია ეწოდება

მიწოდების მრუდის ფორმა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მისი წარმოების ტექნოლოგიით, რესურსების ხელმისაწვდომობით,რომლებიც გამოიყენება მოცემული საქონლის დამზადებისას. თუკი წარმოების და მასში გამოყენებული რესურსების მობილურობა მაღალია, მაშინ მიწოდების მრუდს უფრო დამრეცი სახე გააჩნია, ე.ი. ფასების უმნიშვნელო ცვლილება ნიშნავს საქონლის მიწოდების არსებით გადიდებას. როდესაც წარმოების გადიდება მოითხოვს რესურსების დიდ დანახარჯებს, მიწოდების მრუდი უფრო ციცაბოა.

მიწოდების მრუდი იგება რიგი პირობების დაცვით:


o წარმოების ხარჯები ცნობილია;თუკი ისინი მცირდება,მწარმოებლები მზად არიან მიაწოდონ საქონლის უწინდელი რაოდენობა,მაგრამ შემცირებული ფასით,ან უფრო მეტი რაოდენობა-მიმდინარე ფასით;

- საქონელ-შემცვლელების ფასი დადგენილია;
- იგულისხმება,რომ ფასის შეცვლა-ერთადერთი შესაძლო გზაა.

თუკი ჩამოთვლილი პირობები იცვლება,მაშინ მიწოდების მრუდი გადაადგილდება;მიწოდებული საქონლის რაოდენობის ზრდა სხვადასხვა ფასით,იწვევს მის გადაადგილებას მარჯვნივ და ქვევით,მისი შემცირება-იწვევს ამ მრუდის გადაადგილებას მარცხნივ და ზევით.

თუკი პირობები მუდმივია,მაშინ ფასის ცვლილება ნიშნავს მოძრაობას მიწოდების მრუდის გასწვრივ.

მიწოდების რეაქციის ხარისხი ფასების მერყეობაზე იზომება მიწოდების ელასტიურობით,რომელიც წარმოადგენს მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდებას ფასების ცვლილების პროცენტულ სიდიდესთან.



საქონლის რაოდენობა

ნახ.3.

მიწოდების ფუნქცია ზოგადი სახით იმაში მდგომარეობს,რომ წარმოება დააკავშიროს მოხმარებასთან,საქონელთა გაყიდვა ყიდვასთან.არსებულ მოთხოვნასთან რეაგირებით წარმოება იწყებს საქონელთა გამოშვების გადიდებას,ხარისხის გაუმჯობესებას,მათი დამზადების ხარჯების შემცირებას,და ამით მიწოდების საერთო მოცულობის გადიდებას ბაზარზე.

მინიმალურ ფასს,რომლითაც გამყიდველი ჯერ კიდევ თანახმაა გაყიდოს თავისი საქონელი,**მიწოდების ფასს** უწოდებენ.ამ ფასის ქვევით მას არ შუაძლია დათმობა,ვინაიდან,მაშინ წარმოება არარენტაბელური აღმოჩნდება.

3.მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება.საბაზრო წონასწორობა

·საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტული ძალები ხელს უწყობენ მოთხოვნისა და მიწოდების ფასების სინქრონიზებას,რაც მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობათა გამოთანაბრებას გამოიწვევს.ეს ფასი ისეთი სიდიდეა,რომელიც სავალდებულოა ყველა გამყიდველისა და მყიდველისათვის.


მოთხოვნისა და მიწოდების ჩვენს მიერ განხილული ფუნქციები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები,სარკისებურად ემთხვევიან ერთმანეთს (იხ.ნახ.3.) მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები გადაიკვეთებიან იმ წერტილზე,რომელსაც **წონასწორობის წერტილს** უწოდებენ.იგი ახასიათებს საბაზრო ფასების ისეთ მდგომარეობას,როდესაც საქონელზე მოთხოვნა,ამ საქონლის მიწოდების მოცულობის ტოლია.თუკი მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას,საქონლის შეძენას შეწყვეტენ და გამყიდველები იძულებული გახდებიან შეამცირონ ფასები.ხოლო როდესაც მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას,მაშინ ფასი გაიზრდება.დიაგრამაზე ეს ნავენებია ისრებით;ფასების მომატებისას ისინი მიმართულია ქვევით,მოთხოვნის გადიდებისას ზევით.

საბაზრო წონასწორობა,რომელიც განისაზღვრება გაყიდვათა და ყიდვათა მოცულობის ტოლობის მეშვეობით,გულისხმობს გარკვეული პირობების დაცვას.თავდაპირველად,ჩვენ მას ვიხილავთ რომელიმე ერთი ცალკეული საქონლის მიმართ,აბსტრაჰირებას ვახდენთ რა სხვა საქონელთა ფასების ცვლილებისაგან,მათი უცვლელობის დაშვებით.ცხადია,რომ რეალურ ბაზარზე ეს პირობა არ სრულდება,მაგრამ,თეორიული ანალიზისათვის ყოველთვის გვიხდება მოვლენებისა და ფაქტორების განცალკევებულად,ცალ-ცალკე განხილვა და შემდგომ გართულებებისა და შესწორების შეტანა.მეორე,უნდა გავითვალისწინოთ,რომ,ადგილი არა აქვს მყიდველთა შემოსავლების, ამ საქონელთა და სხვა ფაქტორების კონკურირებადი ფასების ცვლილებებს და რომლებსაც ჩვენ მუდმივად ვთვლით.ამიტომ,მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებათა და ასევე საბაზრო წონასწორობის ფორმულირებისას შენიშვნას აკეთებენ,რომ აღნიშნულ თანაფარდობას ადგილი აქვს მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში.

ამრიგად,საბაზრო წონასწორობა მაშინ მყარდება,როდესაც საქონლის ფასი ისეთი იქნება,რომ საქონლის მოცულობა,რომლის

შეძენაც მყიდველებს სურთ,ზუსტად იმ საქონელთა მოცულობის ტოლი იქნება,რომელთა გაყიდვაც მწარმოებლებს სურთ.

ახლა განვიხილოთ,თუ როგორ რეაგირებს ბაზარი მოთხოვნის ცვლილებაზე.როდესაც მოცემული ფასის პირობებში მოთხოვნის მოცულობა აჭარბებს მიწოდებისას,მაშინ ადგილი აქვს დეფიციტს.თუ მოთხოვნის მოცულობას ავღნიშნავთ Q_c-თი,ხოლო მიწოდებისას Q_n-ით,მაშინ დეფიციტი შეიძლება ასე გამოვხატოთ:$Q_c > Q_n$ ანალოგიურად,თუ მოთხოვნის მოცულობა ნაკლებია მიწოდებისაზე,



ნახ.4

ე.ი. $Q_c < Q_n$ მაშინ,ადგილი ექნება საქონელთა სიჭარბეს.

4.შემოსავლებით და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებები მოთხოვნაში

მოთხოვნის განხილვისას ჩვენ აბსტრაჰირება მოვახდინეთ მომხმარებელთა შემოსავლების,სხვა საქონელთა ფასებისა და სხვა ფაქტორების ცვლილებისაგან?როგორი იქნება მოთხოვნის მრუდი ამ ფაქტორთა გათვალისწინებით.ცხადია,მოსახლეობა შემოსავლის გადიდებით სხვა თანაბარ პირობებში არა მხოლოდ ყოველდღიური მოთხოვნის მეტ საქონელს შეიძენს,არამედ უფრო ძვირსაც.თუკი უწინდელი შემოსავლით შეიძლებოდა,ვთქვათ,განსაზღვრული პროდუქტის 2-3 კგ-ს შეძენა,შემოსავლის გადიდებით გაჩნდება იგივე ფასებით უფრო მეტის შეძენის შესაძლებლობა.აქედან,ცხადია,რომ მოთხოვნის მრუდი ამ პროდუქტზე,გადაინაცვლებს მარჯვნივ.შემოსავლის შემცირებით,პირიქით,საქონლის

რაოდენობა შემცირდება და,მაშასადამე,მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.გრაფიკზე (ნახ.4) ჩანს,რომ შემოსავლის გადიდებით საქონელთა რაოდენობა გაიზრდება QQ_1 სიდიდით,ხოლო,შემოსავლის შემცირებით,დაიკლებს QQ_2 სიდიდით.

ახლა განვიხილოთ მოთხოვნის მრუდის გადაადგილება,სხვა საქონელზე მოთხოვნის ცვლილებასთან დაკავშირებით.ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იქნება შემთხვევა,როდესაც ორი საქონელი ან ურთიერთშემცვლელი იქნება თუნდაც ნაწილობრივ ან ურთიერთშემავსებელი.პირველ შემთხვევაში, როდესაც,მაგალითად,ყავა შეიძლება შეიცვალოს ჩაით,ხოლო ხბოს ხორცი,საქონლისათი; ერთერთი ამ საქონლის ფასის,მაგალითად,ყავის ფასის გადიდებით მოთხოვნა გაიზრდება-ჩაიზე.შესაბამისად,ყავაზე მოთხოვნის მრუდი გაადგილდება მარცხნივ,ხოლო ჩაიზე მოთხოვნისა კი-მარჯვნივ.თუკი ორი საქონელი ერთმანეთს ავსებს,მაშინ,როგორც წესი,ერთ-ერთ მათგანზე მოთხოვნის გადიდებით,გაიზრდება მოთხოვნა მეორეზეც.

მოთხოვნის მრუდის ცვლილება დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩამოთვლილ,არამედ ასევე მრავალ სხვა ფაქტორზეც.კერძოდ,მომხმარებელთა გემოვნებაზე,მოდის ცვლილებაზე,რეკლამის ზეგავლენაზე,ფასების მომატების მოლოდინზე და ა.შ.მაგალითად,გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით მომხმარებლებს შეუძლიათ მოთხოვნა გაზარდონ ისეთ საქონელზე,რომლებზეც მოსალოდნელია ფასების მომატება.ასეთი შემთხვევებში,რაც დაკავშირებულია არასაფასო ფაქტორების ცვლილებასთან,მოთხოვნის მრუდი სხვადასხვა გარემოებებზე დამოკიდებულებით,შეიძლება გადაადგილდეს მარცხნივ ან მარჯვნივ.ნავაჭრის სიდიდის ცვლილება კი უცვლელი ფასის დროს გამოიხატება წერტილის მოძრაობით მოთხოვნის მრუდზე.

შესაბამისი ცვლილებები ხდება მოთხოვნის მრუდშიც საქონელთა წარმოების დანახარჯებისა და სხვა ფაქტორების ცვლილებასთან დამოკიდებულებით.როდესაც დანახარჯები იზრდება ფასებიც,შესაბამისად, მატულობს და მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება,დანახარჯების შემცირებისას კი-მარჯვნივ.გაყიდვათა მოცულობის სიდიდის ცვლილება უცვლელი ფასის პირობებში გამოიხატება წერტილის მოძრაობით მიწოდების მრუდზე.

4. სახელმწიფოსა და მონოპოლიის ზეგავლენა ბაზარზე

ბაზარზე სახელმწიფო ზეგავლენას ახდენს,ჯერ-ერთი,გადასახადებით,რასაც იგი აწესებს გასაყიდ საქონელზე,მეორე,ზოგიერთ

საქონელზე ფიქსირებული ანუ მაქსიმალური ფასის დაწესებით,პირველ რიგში პირველი მოხმარების საქონელზე.

გადასახადები,რომელსაც იხდის მწარმოებელი,აიძულებს მას,ასწიოს ფასები გამოშვებულ საქონელზე.ამ მიზეზით,ნონასწორობითი ფასი გადააჭარბებს გადასახადების გადახდამდე არსებულს.გრაფიკზე ეს გამოსახულია მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდთა გადაკვეთის წერტილის აწევით,რამდენადაც მიწოდების მრუდი გადაინევს ზევით (ნახ.5). მწარმოებელი გადასახდის ძირითადი ნაწილის გადაკისრებას ცდილობს მყიდველზე,თუმცა,თვითონაც ზარალობს.მაგრამ გადასახადები სახელმწიფოს ესაჭიროება ბიუჯეტის დასაფინანსებლად და სოციალური პროგრამების რეალიზებისათვის.სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო ეკონომიკის მექანიზმში გარდაუვალია,ვინაიდან,ამის გარეშე შეუძლებელია,მაგალითად,ნაკლებადუზრუნველყოფილ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა;ასევე უნდა გავითვალისწინოთ,რომ ბაზარს არ შეუძლია ყველა იმ პრობლემის გადაჭრა,რომლებიც აღმოცენდება საზოგადოებაში.მათ შორის გამოვყოფთ სამ ძირითადს,რომლებიც ბაზართან მიმართებაში,გამოდიან როგორც გარეშე პრობლემები.

● ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კერძო და საერთო დანახარჯები,ე.ი.სოციალური დანახარჯები და ადამიანთა საქმიანობის შედეგები.თუ პირველი რეგულირდება საბაზრო მექანიზმით,სოციალური დანახარჯები და ადამიანთა საქმიანობის შედეგები სახელმწიფოს მიერ რეგულირდება.ამ განსხვავების გასაგებად მოვიტანოთ კერძო საწარმოს მაგალითი,რომელიც ძალზე წარმატებით მუშაობს ბაზარზე,მაგრამ იმავდროულად აბინძურებს გარემოს და დიდ ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას.ბაზარი რანაირად მოახდენს ზეგავლენას ასეთ მეწარმეზე?ცხადია,ვერანაირად,მაშინ,როდესაც სახელმწიფოს შეუძლია მას დიდი ჯარიმა ან გადასახადი გადაახდევინოს ეკოლოგიის მოთხოვნათა დარღვევისათვის და აიძულოს მიიღოს საჭირო ზომები წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის.აღნიშნული ადმინისტრაციული ჩარევა პასუხობს საზოგადოების ინტერესებს და ამიტომ მას ეკონომიკურ ლიტერატურაში **პიგუს გადასახადს** უწოდებენ,რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა ცხოვრების ხარისხის,მათი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას.ამრიგად,სახელმწიფო აღწევს კერძო და საერთო ინტერესების რეგულირებას. საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმი,როგორც აღვნიშნეთ,ადამიანებს საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები,რომლებიც შეიძლება ფულის დახმარებით გამოიხატოს.ბაზარი რეაგირებს მხოლოდ ფულად მოთხოვნაზე და განზე

ტოვებს ადამიანთა მოთხოვნილებებს,რომლებიც კოლექტიურ,საზოგადოებრივ ხასიათს ატარებენ და, მაშასადამე, ერთნაირად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის (ქვეყნის თავდაცვა,საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება,სახელმწიოფებრივი მართვა და ა.შ.).

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რა არის მოთხოვნა?
2.როგორია მოთხოვნის ფუნქციები?
3.რა არის მოთხოვნის ფასი?
4.რა არის მიწოდება და მიწოდების კანონი?
5.რას ეწოდება წონასწორობის წერტილი?
6.რას ეწოდება პიგუს გადასახადი?

თავი თეოთხე

სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში

1.სახელმწიფო-შერეული საბაზრო ეკონომიკის ორგანული ნაწილი

საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს კონკურენტული ბაზრის საფუძველზე.მაგრამ საბაზრო მექანიზმი საბაზრო მეურნეობის ყველა საკითხს როდი წყვეტს.არსებობს მრავალი სოციალ-ეკონომიკური პრობლემა,რომელიც ბაზარს არ ემორჩილება.სწორედ მათი დარეგულირებით არის დასაქმებული სახელმწიფო.

საბაზრო მექანიზმის კორექციის აუცილებლობა სახელმწიფოს მიერ.სახელმწიფო ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.თავისუფალმა კონკურენციამაც კი ვერ შეძლო მოვლენებისათვის თავის გართმევა სახელმწიფოს გარეშე,რომელმაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციაზე,საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო საქმიანობის აუცილებლობა გამოწვეულია თვით საბაზრო სისტემის განვითარების მოთხოვნებით,რომელმაც დაინახა თავისი საქმიანობის პლუსებიც და მინუსებით.მაგალითად,შემოსავლები საბაზრო ეკონომიკაში ნაწილდება მხოლოდ კონკურენციის შედეგების მიხედვით;აქედან გამომდინარეობს მაღალი და დაბალი შემოსავლები,გაკოტრებები.მაგრამ ეს განაწილება არ მოიცავს ფუნდამენტურ მეცნიერებასა და მართვაში დასაქმებულებს.იგი არ ვრცელდება იმათზე,ვინც ჯერ კიდევ არ მუშაობს (ბავშვები) და იმათზე, ვინც უკვე არ მუშაობს (ხანდაზმულები,ინვალიდები).

წმინდა საბაზრო განაწილება არ იძლევა სტანდარტული კეთილდღეობის უფლების გარანტიას,რის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.გარდა ამისა,საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სამუშაოთი იმათ,ვისაც შეუძლია და უნდა მუშაობა.სტრატეგიული გარღვევები მეცნიერებაში,ტექნოლოგიაში,სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე,როგორც არ შეიძლება მის გარეშე გადაწყდეს რეგიონული პრობლემებიც.საბაზრო მექანიზმის ნეგატიური მოვლენები (მონოპოლიზმი,ინფლაცია და სხვა.), ასევე სახელმწიფოს ჩარევას

მოითხოვს.მაშასადამე, საბაზრო მექანიზმს კორექტირება სჭირდება,რომლის განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

სახელმწიფოს ფუნქციები საბაზრო ეკონომიკაში.რეალურ სამყაროში არსებული ყველა ეკონომიკური სისტემა „შერეულია“.სახელმწიფო და საბაზრო სისტემა ერთმანეთს შორის იყოფენ ხუთ ფუნდამენტურ კითხვაზე პასუხის გაცემის პასუხისმგებლობას.სახელმწიფოს ფუნქციები ვითარდება ორი მიმართულებით:საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შენარჩუნება და შემსუბუქება;საბაზრო სისტემის გაძლიერება და მოდიფიკაცია განვითარების პირობების შეცვლის შესაბამისად.სახელმწიფოს ეს ეკონომიკური ფუნქციები განისაზღვრებოდა საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მოთხოვნებით,კონკურენციისა და კერძო მეწარმოების უზრუნველყოფით.

სახელმწიფოს ფუნქციები საბაზრო მექანიზმის შენარჩუნებაში,შემდეგში მდგომარეობს:საბაზრო ეკონომიკის **სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა** (საკუთრების,მეწარმეობის უფლების, გადასახადით დაბეგვრის,საკრედიტო სფეროს და სხვათა დაცვა) და **კონკურენციის დაცვა** (ანტიმონოპოლიური საქმიანობა,მომხმარებელთა უფლებების დაცვა).

სახელმწიფოს. ფუნქციები საბაზრო მექანიზმის გაძლიერებაში გამოიხატება: ა) გადამანაწილებელ პოლიტიკაში შემოსავლების გადანაწილება საზოგადოებაში რეალიზდება ტრანსფერტულ გადასახდელთა (ღარიბებსა და უმუშევრებზე) და ფასების მოდიფიკაციის მეშვეობით (გარანტირებული ფასები ფერმერებისათვის,ხელფასის მინიმუმი).რესურსების განაწილების კორექტირებით საგადასახადო სისტემის მეშვეობით,სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებრივი სიკეთის განვითარების (სკოლების,საავადმყოფოების მშენებლობა),ეკოლოგიური დაცვის,გარემოს დაბინძურების ხარჯების თვით საწარმოთა საშინაო დანახარჯებად გადაქცევით (მაგალითად ქიმიურის).

ბ) ეკონომიკის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში მისი სტაბილიზების მიზნით.საბიუჯეტო და საკრედიტო ბერკეტების დახმარებით სახელმწიფო ახორციელებს დასაქმების დონის,ინფლაციის კონტროლს და სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას;

გ)ეფექტიანი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში.

სახელმწიფომ,როგორც შეგნებულმა სუბიექტმა, თავისი ფუნქციები დიდი სიფრთხილით უნდა განახორციელოს,რომ საბაზრო მექანიზმში არ მოხდეს გარღვევები.მან მუდმივად უნდა გააკონტროლოს რეგულირების შედეგები და დროულად მიიღოს ღონისძიებები ნეგატიური შედეგების ჩასაქრობად.მაშასადამე,სახელ-

მწიფოს საქმიანობამ არ უნდა გადააბიჯოს იმ საზღვრებს,რომელიც საბაზრო მექანიზმს დაემუქრება.

სახელმწიფო ინტეგრირდება საბაზრო მეურნეობაში.წარმოიშობა **შერეული სისტემა,**რომელიც ხასიათდება საბაზრო ეკონომიკის დინამიზმით,მისი სოციალური ორიენტაციით,რომელიც სახელმწიფოს მიერ წარიმართება.თანამედროვე საბაზრო მეურნეობა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში-ესაა შერეული ეკონომიკა.

მთავრობა (სახელმწიფო) უზრუნველყოფს **სამართლებრივ ბაზას** და სპეციფიკურ მომსახურებებს,რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანად მუშაობისათვის.სამართლებრივი ბაზა გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს,როგორიცაა კანონიერი სტატუსის მინიჭება საქმიანი საწარმოებისადმი,კერძო საკუთრების უფლებათა განსაზღვრა და ხელშეკრულებების (კონტრაქტების) დაცვის გარანტირება.მთავრობა ასევე აწესებს იურიდიული „თამაშის წესებს“,რომელიც არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას ფირმებს,რესურსების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მარეგულირებელი მექანიზმია.კონკურენციის დროს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მყიდველებს,ბაზარი მათი აგენტია,ხოლო ფირმები მათი მოსამსახურეები.

სავსებით სხვანაირად არის საქმე **მონოპოლიის პირობებში.**მონოპოლია წარმოიშობა იმ შემთხვევაში,როდესაც გამყიდველთა რაოდენობა ბაზარზე იმდენად მცირდება,რომ,ყოველი გამყიდველი შესაძლებლობას ღებულობს ზეგავლენა მოახდინოს მიწოდების საერთო მოცულობაზე და,მაშასადამე, გასაყიდი საქონლის ფასზე.

საბაზრო სისტემა უპიროვნოა და შემოსავლების განაწილება მასში შესაძლოა მნიშვნელოვნად უფრო არათანაბარი იყოს,ვიდრე ეს სასურველია საზოგადოებისათვის.საბაზრო სისტემა უზრუნველყოფს ძალზე დიდ შემოსავალს იმათთვის,ვისი შრომა მემკვიდრეობითი უნარით,თუ შეძენილი განათლებით და კვალიფიკაციით მაღალ ანაზღაურებას გულისხმობს.ან ისინი,ვინც მძიმე შრომით, ან ადვილი მემკვიდრეობით დიდი კაპიტალი, ან მიწა შეიძინა,ასევე მაღალ შემოსავალს ღებულობენ თავისი საკუთრებიდან. საზოგადოების სხვა წევრებს უფრო ნაკლები უნარი გააჩნიათ,შედარებით მოკრძალებული განათლება მიიღეს და ვერ დააგროვეს და მემკვიდრეობით ვერ მიიღეს არანაირი საკუთრება.ამიტომ მათი შემოსავლები ძალზე დაბალია.

მთავრობის როლი ვლინდება **შემოსავლის გადანაწილებაში** უთანაბრობის შერბილებაში,სხვადასხვა პოლიტიკური კურსებისა და პროგრამების გატარებაში.

ტრანსფერტული გადასახდელები უზრუნველყოფენ ექსტრემალურ დახმარებას ძალზე გაჭირვებულებისადმი,რომელთაც არსებობის საშუალება არ გააჩნიათ,რეგულარულ დახმარებას სხვის კმაყოფაზე მყოფებზე,შრომისუუნარო ინვალიდებზე და სხვა უმუშევრებზე.მთავრობა შემოსავლების განაწილებას ასევე ცვლის ბაზრის საქმიანობაში ჩარევის გზით,ე.ი.ფასების ცვლილების მეშვეობით,რომლებიც საბაზრო ფასებით წესდება.ფერმერებისადმი საფასო მხარდაჭერა და კანონმდებლობა,რომელიც განსაზღვრავს შრომის მინიმალური ანაზღაურების სიდიდეს,იმის თვალნათლივი მაგალითია,თუ მთავრობა როგორ აფიქსირებს ფასებს,მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების შემოსავლების გადიდების მიზნით.

სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს **რესურსების გადანაწილებაში.**ეს განსაკუთრებით იჩენს თავს საზოგადოებრივ სიკეთეთა წარმოებაში, რესურსების გამოყენებაში.საზოგადოებრივი სიკეთეები (საქონელი) შეიძინება სახელმწიფოს დახმარებით ჯგუფური ან კოლექტიური არჩევანის საფუძველზე,განსხვავებით ინდივიდუალური სიკეთეებისაგან,რომლებიც შეიძინება კერძო საწარმოებისაგან,ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე.

ისტორიული თვალსაზრისით მთავრობის უახლესი ფუნქციაა **ეკონომიკის სტაბილიზება**,ე.ი.კერძო სექტორისადმი დახმარება რესურსების სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილური დონის მიღწევაში.

2.სახელმწიფო სექტორი საბაზრო ეკონომიკაში

შერეული ეკონომიკისათვის ტიპიურია საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება.მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში კერძო (წამყვან) საკუთრებასთან ერთად არსებობს სახელმწიფო საკუთრებაც.სახელმწიფო სექტორის ხვედრი წილი განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებულია.იგი შედარებით მცირეა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში.ევროპულ სახელმწიფო საწარმოებში კი იწარმოება ერთობლივი შიდა პროდუქტის 10-დან (გერმანია),30%-მდე (ავსტრია).მათში დასაქმებულია სამუშაო ძალის 4-დან (დიდი ბრიტანეთი) 20-25%-მდე (ავსტრია,საბერძნეთი,საფრანგეთი).სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ ეკონო-

მიკაში მთლიან კაპიტალურ დაბანდებათა 1/6-დან (გერმანია,დიდი ბრიტანეთი),1/3-მდე (საფრანგეთი) და 1/2-საც კი (ავსტრია).აშშ-ში მთელი მიწების თითქმის 1/3 იმყოფება ფედერალური მთავრობის საკუთრებაში.

გამომდინარე აღნიშნულიდან,სახელმწიფო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში-ესაა მეწარმე,მსხვილი ინვესტორი და სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ორგანიზატორი და საბოლოო პროდუქტის მომხმარებელიც.იგი უშუალოდ მონაწილეობს საქონელთა და მომსახურების წარმოებაში,განაწილებაში,გაცვლასა და მოხმარებაში.

სახელმწიფო საკუთრება.სახელმწიფოებრივ საკუთრებაში მითვისების,განკარგვის და კონტროლის ურთიერთობათა სუბიექტად გამოდის სახელმწიფო.ჯერ-ერთი-სახელმწიფო აშენებს ახალ საწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით;მეორე-როდესაც სახელმწიფო ახორციელებს სრულ ან ნაწილობრივ ნაციონალიზებას,კერძო საწარმოთა აქციების შეძენას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სახელმწიფო საკუთრება რეალიზდება შემდეგი არხებით:

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ინფრასტრუქტურის მცირემომგებიან საწარმოთა შექმნა,რომლებიც აუცილებელია მთელი ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის (კომუნალური მეურნეობა,ენერგეტიკა,ტრანსპორტი,კავშირგაბმულობა).

ზოგიერთი კაპიტალტევადი დარგის განვითარება,რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან (ელექტრონიკა,ავიაცია);

ზარალიან საწარმოთა ნაციონალიზაცია (მაგალითად,ქვანახშირის მრეწველობა და ზოგიერთი სხვა საწარმოები).

ამის შედეგად სახელმწიფო მეწარმეობის ორბიტაში ექცევა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა,არამედ მომპოვებელი მრეწველობა და მრეწველობის ზოგიერთი წამყვანი დარგი.

სახელმწიფო საწარმოები ორი ტიპის არსებობს:სახელმწიფო საწარმოები,რომელთაც **იურიდიული პირის სტატუსი** გააჩნიათ და სახელმწიფო საწარმოები,რომლებსაც **იურიდიული სტატუსი არ გააჩნიათ.**თუკი სახელმწიფო საწარმოებს იურიდიული პირის სტატუსი არ გააჩნიათ,ისინი სახელმწიფო ორგანოთა და დაწესებულებათა ქვეგანყოფილებებს წარმოადგენენ და სახელმწიფო უწყებათა ბალანსზე და მათ კონტროლში იმყოფება.

სახელმწიფო საწარმოები,რომელთაც იურიდიული პირის სტატუსი გააჩნიათ,იყოფიან კერძო (კომერციული) სამართლის და

საჯარო სამართლის სუბიექტებად.კერძო სამართლის საწარმოები,როგორც წესი,სააქციო საზოგადოებებია.სახელმწიფოს ასეთ საზოგადოებებს მიეკუთვნება მთელი აქციები,ან მათი ნაწილი.უკანასკნელ შემთხვევაში იქმნება შერეული (სახელმწიფო) საწარმოები.

საჯარო სამართლის საწარმოები-იურიდიულად დამოუკიდებელი,მეურნეობრივად ავტონომიური საწარმოებია,რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს (საჯარო კორპორაციები) სპეციალური აქტებით იქმნება.ამ საწარმოთა კაპიტალი დაყოფილია აქციებად და მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის.სახელმწიფო კორპორაციათა საქმიანობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის და არა მთავრობის წინაშე,თუმცა განსაზღვრული ფორმებით (დირექტორების დანიშვნა,სუბსიდიების გამოყოფა) მთავრობას შეუძლია გააკონტროლოს მათი საქმიანობა.

საბაზრო ეკონომიკის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოები დარგობრივ სამინისტროებს ექვემდებარება და ფინანსთა სამინისტროს მიერ კონტროლდება.ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სპეციალური სამინისტროები,ხოლო იტალიაში ისინი გაერთიანებულია (სადაც დიდია შერეულ საწარმოთა ხვედრი წილი) ჰოლდინგურ სტრუქტურებში.

განსხვავება სახელმწიფო და კერძო საწარმოთა შორის.სახელმწიფო საწარმოები კერძოსაგან იმით განსხვავდებიან,რომ ისინი,როგორც წესი,დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურაზე.ამიტომ მათ საქმიანობაში გაორება შეინიშნება-არა მხოლოდ საბაზრო,არამედ არასაბაზრო მოტივებზე ორიენტირებულობაში.ეს იმაში გამოიხატება,რომ,**ჯერ-ერთი**,სახელმწიფო საწარმოები კერძო სექტორისაგან განსხვავებით, ნაკლებკონკურენტუნარიანი არიან.მართალია ისინი თვითანაზღაურების პრინციპებზე მუშაობენ,მაგრამ სახელმწიფო მართვის მეშვეობით ბაზარში ორგანიზებულობის ელემენტები (მუშაობა სახელმწიფო შეკვეთებზე,პროდუქციის გასაღება მტკიცე სახელმწიფო ფასებით) შეაქვთ.სახელმწიფო საწარმოებს არ გააჩნიათ ვალდებულებები სხვა საწარმოებისადმი და მათ არ ემუქრება გაკოტრება.იმავდროულად მთავრობა აკონტროლებს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის მხოლოდ განსაზღვრულ სფეროებს (მაგალითად,პროდუქციის გასაღებას),და საკმარისი შესაძლებლობები არ გააჩნია სხვებზე ძლიერი ზემოქმედებისათვის (მაგალითად,საწარმოთა კონკურენტუნარიანობაზე.

მეორე,სახელმწიფო საწარმოები ფინანსური შეღავათებით სარგებლობენ (გადასახადებით დაბეგვრა,შეღავათიანი კრედიტების

მიღება,ვალების გაყინვა).მესამე,სახელმწიფო საწარმოებში რამდენადმე მაღალია ხელფასი,ვიდრე კერძო საწარმოებში,უკეთესია შრომის პირობები.მაგრამ,ამასთან, სახელმწიფო საწარმოთა მუშებს შესაძლოა თავს დაატყდეთ ხელფასის გაყინვის პოლიტიკა,უფლებათა შეზღუდვა შრომით კონფლიქტებში ადმინისტრაციასთან (მაგალითად,გაფიცვების აკრძალვა).

მაშასადამე,სახელმწიფო საწარმოებისადმი არაკომერციულ ოპერაციათა თავს მოხვევა,ხელოვნური გამიჯვნა კონკურენციისაგან, მთავრობის მიერ ფინანსურ დახმარებათა გარანტირება სახელმწიფო საწარმოებს ხშირ შემთხვევაში ნაკლებეფექტიანს ხდის ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით,ვიდრე კერძო საწარმოებს.ეს გამოიხატება შრომის მწარმოებლურობის დაბალ დონეში,მართვის გაბერილი აპარატით და ბიუროკრატიზმით.ასე, მაგალითად,ინგლისში წარმოების ხარჯები სახელმწიფო საწარმოებში საშუალოდ 30%—ით,ხოლო აშშ-ში 20%—ით მაღალია,ვიდრე კერძო სანარმოებში.

თვით საბაზრო ეკონომიკა ზღუდავს სახელმწიფოს საქმიანობას,ვინაიდან მისი ზოგიერთი ქმედება ამცირებს სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობას (დირექტიული დაგეგმვა,ფასების ადმინისტრაციული კონტროლი) საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების პირობებში.ამიტომ სახელმწიფოს პერიოდულად პრეტენზიებს უცხადებენ,ხოლო სახელმწიფო სექტორის მაღალი წილის შემთხვევაში ეკონომიკაში,დგება საკითხი განსახელმწიფოებრივების (პრივატიზების) შესახებ.ასეთი სურათი შეინიშნებოდა დასავლეთის მრეწველურად განვითარებულ ყველა ქვეყანაში,80-იან წლებში,რამაც გამოიწვია პრივატიზაციის მასობრივი პროცესი.

3. განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის პრობლემები განვითარებულ ქვეყნებში

ეკონომიკას განსახელმწიფოებრივების თავისებურებები გააჩნია.უწინარეს ყოვლისა, განსახელმწიფოებრივება როდი ნიშნავს,რომ სახელმწიფო შეწყვეტს მნიშვნელოვანი როლის თამაშს საბაზრო ეკონომიკაში.მცირდება სახელმწიფო მეწარმეობის მასშტაბები,მაგრამ სახელმწიფო რჩება შერეული ეკონომიკის სტრუქტურული ელემენტი,საბაზრო ურთიერთობებისადმი საუკეთესო სახით შეგუების მცდელობით,თავისი საქმიანობის ფორმათა შეცვლის გზით.

განსახელმწიფოებრივების თანამედროვე პროცესი დეიდეოლოგიზაციით ხასიათდება,როდესაც სულ უფრო იშვიათი ხდება სიტუაცია,რომლის დროსაც დემოკრატიული პარტიები გამოდიან სახელმწიფო სექტორის გაფართოებისათვის,ხოლო მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები კი კერძოსი.მაგალითად,შვედეთში,კონსერვატორებმა 1976წ.არჩევნებში გამარჯვებით დიდი ნაბიჯი გადადგეს სახელმწიფო სექტორის გადიდების მიმართულებით,ხოლო სოციალ-დემოკრატებმა 1982 წელს რევანშის აღების შემდეგ დაიწყეს პრივატიზაციის განხორციელება.ავსტრიაში პრივატიზაციის პროცესს მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატები,საფრანგეთში კი სოციალისტები.

განვითარებული ქვეყნების მსოფლიო გამოცდილება მოწმობს განსახელმწიფოებრივების შემდეგი თანამედროვე ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხების შესახებ.უპირველეს ყოვლისა,მთავარია ბაზრის ლიბერალიზაცია.ამ პროცესის ფარგლებში სახელმწიფო აუქმებს ბარიერებს ბაზარზე ახალი კონკურენტების შესვლისათვის,სტიმულს აძლევს წარმოებისა და გაყიდვათა დივერსიფიკაციას,რის შედეგადაც იზრდება მრავალპროფილიან ფირმათა რაოდენობა,რომლის პროდუქცია შეიძლება მოხვდეს სრულიად სხვადასხვა ბაზარზე.სახელმწიფო სტიმულს აძლევს ასევე მცირე ბიზნესს (საგადასახადო შეღავათების მეშვეობით),ხსნის შეზღუდვებს უცხოური კაპიტალის შემოტანისათვის,ღებულობს ეკონომიკის დემონოპოლიზების ღონისძიებებს.

განსახელმწიფოებრივების მეორე გზაა-შერეულ საწარმოთა (სახელმწიფო-კერძო) საქმიანობის სფეროს შექმნისა და გაფართოების სტიმულირება.ეს მიიღწევა შეღავათიანი დაბეგვრის ან დაკრედიტების განსაკუთრებული რეჟიმის გამოყენებით.

განსახელმწიფოებრივების კიდევ ერთი გზაა სახელმწიფო საწარმოებისათვის ფუქციონირების საბაზრო პირობების შექმნა.ამ მიზნით სახელმწიფო იყენებს ისეთ ღონისძიებებს,რომლებიც მიმართულია არასაბაზრო გარემოს აღმოფხვრაზე,რომელშიაც სახელმწიფო საწარმოები იმყოფებიან (სახელმწიფო სუბსიდიების შემცირება,საბანკო დავალიანების ჩამონერაზე უარისთქმა და საგადასახადო შეღავათების გაუქმება).ფართოდ გამოიყენება ასევე სახელმწიო საწარმოთა საკუთრების შეცვლის-დენაციონალიზაციის ხერხი.ამასთან,სახელმწიფო საწარმოთა საკუთრება შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ კერძო პირთა,არამედ ბანკების,სახელმწიფო საწარმოთა კოლექტივების,კოოპერატივების ხელში.

მართლაც განსახელმწიფოებრივების ყველა ეს გზა გადაეხლართება ერთმანეთს,რომელიც საკუთრების შეცვლაში (კერძო

საკუთრების წამყვანი როლის შენარჩუნებით) და საბაზრო ეკონომიკის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში გამოიხატება.ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსახელმწიფოებრივების თანამედროვე პროცესი პრივატიზაციის ადეკვატურია.

სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის ყველაზე უფრო პოპულარულ ფორმას განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს:საწარმოთა გაყიდვა უშუალოდ კერძო პირებზე;სახელმწიფო საწარმოთა აქციების გამოსყიდვა მენეჯერების მიერ;აქციების გაყიდვა საწარმოთა მომუშავეებზე;საწარმოს აქციების გავრცელება მოსახლეობას შორის.გარდა ამისა,მიღებულია სახელმწიფო საწარმოთა გადაცემა იჯარით და კონტრაქტის გაფორმება საწარმოს მართვაზე.

სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვა კერძო პირებზე აუქციონების და საკონკურსო ვაჭრობათა მეშვეობით ხორციელდება.აუქციონი სანარმოს მფლობელად გახდომის საშუალებას აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირს,რომლებიც მეტ ფულს გადაიხდიან.აუქციონის დახმარებით სახელმწიფო საწარმოები პრივატიზდება შედარებით მოკლე ვადებში და არსებითი ფინანსური მოგებით სახელმწიფოსათვის.იმავდროულად სააუქციონო ვაჭრობა ზღუდავს შესაძლო მესაკუთრეთა რაოდენობას,რამდენადაც მხოლოდ მდიდარ პირებს შეუძლია აუქციონებში მონაწილეობა.

სააუქციონო ვაჭრობის ამ ნაკლოვანების დაძლევა შეიძლება საკონკურსო ვაჭრობის დახმარებით.საკონკურსო ვაჭრობები-სახელმწიფო საკუთრების კერძო პირებზე გაყიდვაა სახელმწიფოს მიერ წამოყენებული მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.მაგრამ კონკურსების ჩატარება ადიდებს ხარჯებს და ამცირებს შემოსავლებს.

სახელმწიფო საწარმოს აქციების გამოსყიდვა მენეჯერთა მიერ (მმართველობითი გამოსყიდვა) ხორციელდება არა მხოლოდ მმართველთა ნაღდი ფულადი ასახსრებით,არამედ საბანკო კრედიტების,საპენსიო და სადაზღვევო ფონდების ხარჯზე.ამიტომ „მმართველობითი გამოსყიდვები "მენეჯერთა დაკრედიტების თავისებურ სახეობად გამოდის საწარმოს ქონების გირავნობით.

პრივატიზაცია საწარმოთა მომუშავეებზე აქციების გაყიდვის ფორმით ნიშნავს მუშათა სააქციო საკუთრების განვითარებას.აქციების მუშებზე გაყიდვა,თავიანთი შრომის შედეგებით მათი დაინტერესების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

პრივატიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა აქციების საჯარო გაყიდვა მოსახლეობაზე,რომლის დროსაც სა-

ხელმწიფო საწარმო გადაიქცევა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად.მოსახლეობაზე აქციების გაყიდვა ხოცრიელდება ფიქსირებული ან საკონკურსო ფასით.აქციების ფიქსირებული ფასით გაყიდვისას შესაძლებელია ქონების ღირებულების შემცირება ან გადიდება.საკონკურსო ფასის დროს მიიღწევა სახელმწიფო საწარმოთა უფრო ზუსტი შეფასება.

აქციების საჯარო გაყიდვა ორიენტირებულია მოსახლეობის დანაზოგებზე.მისი მთავარი უპირატესობა ყველა მსურველთათვის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობაა.სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებაში შეიძლება მონაწილეობდნენ უცხოელი ინვესტორები.მაგრამ,მათი ხვედრი წილი,როგორც წესი,მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონმდებლობით და ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვისა და შენარჩუნებისათვის.ამასთან,უცხოელთა მონაწილეობა პრივატიზაციაში სასურველია ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებულობის უზრუნველსაყოფად.

პრივატიზაცია ყოველთვის როდი ხორციელდება სახელმწიფო ქონების გაყიდვით.არაიშვიათად სახელმწიფო საკუთრების „შეზავება“ ხდებოდა კერძო კაპიტალთან,შერეული საწარმოების შექმნით.გამოიყენებოდა ასევე იჯარაც,როდესაც ფიზიკური და იურიდიული პირები იძენდნენ სახელმწიფო ქონების ნაწილს განსაზღვრული დროით სარგებლობისათვის,გარკვეული საფასურით.მოიჯარე შესაძლებლობას ღებულობს დამოუკიდებლად მოაწყოს წარმოებრივი პროცესი,დაიქირაოს პერსონალი,განახორციელოს წარმოების კონტროლი და გასწიოს ფინანსური პასუხისმგებლობა საწარმოს სამეურნეო საქმიანობაზე.როგორც წესი,იჯარა ნაკლებრენტაბელურ საწარმოებში,მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოიყენებოდა.ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ისეთი ფორმა,როგორიცაა საწარმოს მართვაზე კონტრაქტის გაფორმება.

80-იან წლებში მსოფლიოში პრივ ტიზაციამ მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია.დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო საწარმოთა მიერ წარმოებული ეშპ-ს ხვედრი წილი 1979წ.9-დან 3%-მდე შემცირდა 1990წ.სახელმწიფო საწარმოების მუშათა ხვედრი წილი ამ პერიოდში 1,3 მლნ კაცით დაეცა და 1990 წელს ყველა დასაქმებულთა 2,8% შეადგინა.სულ 1979-1985 წლებში კერძო საკუთრებაში გადაეცა 20 სახელმწიფო კომპანია (51-დან 1979 წლისათვის).საფრანგეთში 1986-1988წწ.პრივატიზებულ იქნა 15 მსხვილი საწარმო.

პრივატიზაციის პროცესმა შეცვალა სახელმწიფო საწარმოთა მდგომარეობა საბაზრო ეკონომიკაში.ეს გამოიხატა საწარმოთა ურთიერთდამოკიდებულების გამარტივებაში ხელისუფლების სახელმწიფოებრივ ორგანოებთან,უფრო ნაკლებად მკაცრ კონტროლში სახელმწიფოს მხრიდან.

შეიცვალა სახელმწიფოსა და საწარმოთა ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების ფორმები.ასე,მაგალითად,იზრდება სარგებლის განაკვეთები საწარმოთა აქტივების შენახვაზე სახელმწიფო საბანკო ანგარიშებზე.ჩნდება ფასიანი ქაღალდების ახალი ტიპები (ხმის უფლების გარეშე,მაგრამ სახელმწიფოს მონაწილეობით კაპიტალში).საფრანგეთში ასეთ ფასიან ქაღალდებს პრივილეგირებულ სერტიფიკატებს,ანუ მონაწილეობის ტიტულებს უწოდებენ.დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებისას სახელმწიფომ რეზერვში დაიტოვა სპეციალური,ე.წ.„ოქროს" აქცია,რომელიც მას ახალი ფორმის კონტროლის საშუალებას აძლევდა.

ზოგიერთ შემთხვევაში პრივატიზაცია საწარმოთა ერთი ინსტიტუციონალური კატეგორიიდან მეორეში გადაყვანით იცვლებოდა.მაგალითად,ფრანგული კომპანია „რენო" გადაყვანილია საჯარო სამართლებრივი ჯგუფიდან, კერძო სამართლებრივ ჯგუფში.

ამრიგად,პრივატიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით ხორციელდება,გამოიყენება გაყიდვათა სხვადასხვა ხერხები,პრივატიზებული საწარმოები სხვადასხვა იურიდიულ სტატუსს ღებულობენ,მაკონტროლებელი მესაკუთრეები ხდებიან ინდივიდუალური პირები,ინსტიტუტები (ძირითადად ფინანსური),მმართველები,საწარმოს პერსონალი. ან მხოლოდ მუშები.პრივატიზაციის პროცესი,როგორც წესი,ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს.

პრივატიზაციის გამოცდილება 80-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში გვიჩვენებს,ჯერ-ერთი,რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში არ მცირდება,ხოლო სახელმწიფო საკუთრება რჩება საკუთრების სხვა ფორმებთან ერთად.სახელმწიფო გამოდის საკუთრების ერთ-ერთი ფორმის სუბიექტად,საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების განსაზღვრულ უფლებათა გარანტად,რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეობითი საქმიანობის დამოუკიდებლობას და ეკონომიკურ აქტიურობას;არეგულირებს საკუთრების ყველა სახეობის საქმიანობას,მეურნეობრიობის პირობების შექმნით.

მეორე,სხვადასხვა ქვეყანაში პრივატიზაცია უფრო წარმატებით მიმდინარეობს,თუკი იგი ზევიდან არის ორგანიზებული.პრივა-

ტიზაცია-სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკაა,ამიტომ სახელმწიფო უნდა გახდეს ახალ საბაზრო სტრუქტურათა ორგანიზატორი.

ამ მიმართულებით ყურადსაღებია პრივატიზაციის ფრანგული გამოცდილება,სადაც იგი ცენტრალური რეგულირებისა და საბაზრო ბერკეტების შეხამების გზით განხორციელდა.პრივატიზაციის გატარების მთელი უფლებამოსილებანი ეკონომიკის მინისტრის ხელში იყო.საპრივატიზაციო სანარმოთა საერთო სიაში მინისტრი განსაზღვრავდა მხოლოდ საბოლოო ვადებს, ყოველი მათგანის პრივატიზების ხერხებს.საწარმოთა აქტივები რეალიზდებოდა ასეთი სქემით:უცხოელ ინვესტორებს არაუმეტეს 20%,ე.წ.სტაბილურ აქციონერებს-15-30,პრივატიზებად ფირმათა პერსონალს-აქციათა 10%.დანარჩენი აქციები ღია ბაზარზე იყიდებოდა.პრივატიზაციის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა აქციების გაყიდვის ცენტრალიზებულმა რეგულირებამ.საბაზრო ბერკეტები კი შეზღუდულად გამოიყენებოდა,ძირითადად ფინანსური აქტივების ნაწილის გასავრცელებლად ინდივიდუალურ ინვესტორთა შორის.

პრივატიზაციისადმი ცენტრალიზებული მიდგომა დამახასიათებელი იყო ჩილესთვის,სადაც ამ პროცესის ორგანიზებისათვის შეიქმნა სპეციალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურა,რომელიც შედგებოდა პრივატიზაციის საბჭოს,პრივატიზების კომიტეტისა და პრივატიზების კომისიისაგან,რომელიც ყველა ღონისძიების რეალიზებას ინვევდა.

საქართველოში პრივატიზების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობისათვის შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შესაბამისი საქალაქო და რაიონული სტრუქტურებით.მართალია იგი ჩატარდა მოკლე პერიოდში, მაგრამ მრავალი დარღვევით და არაეფექტიანი ხერხებით.ვა ჩერულმა პრივატიზაციამ საბოლოო იმედი გაუცრუა მოსახლეობას.ფაქტობრივად იგი ქარისთვის იქნა გატანებული.ჩვენებური პრივატიზაციის დამახასიათებელია მისი ცენტრალიზებული ხასიათი.სამამულო საწარმოთა პრივატიზაცია ზემოდან ორგანიზებული პროცესია და იგი სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოადგენს,რისი მეშვეობითაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს პრივატიზების პროცესებს.

რამდენადაც ჩვენს ეკონომიკაში განსახელმწიფოებრივების გამოცდილება არ არსებობდა,პრივატიზაციის ამოცანები საქართველოში უფრო ფართოა,ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა

პრივატიზაციის პროცესს აუცილებელს ხდიდა ეკონომიკის დემონოპოლიზაციისა და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზებისათვის,საწარმოების მართვისა და საკუთრებით ურთიერთობათა დემოკრატიული ხასიათის განვითარებისათვის,სახელმწიფო სექტორის რაციონალური მოქმედებისათვის,საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისათვის,მეწარმეობის სხვადასხვა ფორმათა სტიმულირებისათვის.

პრივატიზების პროცესს ჩვენს ქვეყანაში ორი უმნიშვნელოვანესი თავისებურება გააჩნია:ჯერ-ერთი,განხორციელების „ვაუჩერული“ ხასიათი;მეორე,ჩატარება საბაზრო ურთიერთობათა ჩასახვის პირობებში,რაც იწვევს პრივატიზებული საწარმოს ადაპტირების აუცილებლობას მხოლოდ ჩამოყალიბებადი საბაზრო გარემოსადმი.

პრივატიზაციის „ვაუჩერული“ ხასიათი საქართველოში ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკუთრება მოქალაქეებს ეძლევა უფასოდ.საპრივატიზაციო ჩეკები იყიდებოდა და შეიძინებოდა შეზღუდვის გარეშე.

საპრივატიზებო ჩეკი-მიზნობრივი დანიშნულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია,რომელსაც ნომინალური ღირებულება გააჩნია.მისი ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე 30 ამერიკული დოლარის ეკვივალენტური იყო,რომლის რეალურობა მეტად საეჭვოა.ეს ჩეკები გადახდის საშუალების სახით მოქმედებდა პრივატიზაციის პროცესში.

რამდენადაც პრივატიზაცია ჩვენ ქვეყანაში დაკავშირებული იყო მიმოქცევაში სპეციფიკური ფასიანი ქაღალდების-ვაუჩერების-შემოღებასთან,მისი გატარება საწარმოთა ფართო აქციონირებას გულისხმობს.

პრივატიზებული საწარმოს ადაპტირება ჩვენს ქვეყანაში ფორმირებადი საბაზრო ურთიერთობებისადმი რთული პროცესია,რომელიც მოიცავს ეკონომიკურ-სამართლებრივ,წარმოებრივ,ფინანსურ და სოციალურ ადაპტაციას.თითოეული ეს კომპონენტი თავის ფუნქციას ასრულებს და ყველა ისინი განაპირობებენ ერთმანეთს.მაგრამ ძირითადი ადაპტაცია მწარმოებლური და ფინანსური შეგუებაა,რამდენადაც იგი განსაზღვრავს საწარმოთა მთელ მეურნეობრივ საქმიანობას.

უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემაა პრივატიზებული საწარმოების ფინანსური ადაპტაცია,რამდენადაც ფინანსური საკითხების გადაჭრის გარეშე ვერ გადაწყდება ტექნიკურ-წარმოებრივი საკითხები.

ჩვენ საწარმოთა მაღალი დებიტორული დავალიანების პირობებში გაძნელებულია მათი დაფინანსება საწარმოს მოგების ხარჯზე.ხოლო დაკრედიტების პირობების სიმკაცრის გამო დაფინანსების პრობლემას ჯეროვნად ვერ წყვეტენ საბანკო კრედიტები.

პრივატიზაციის მეორე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უძრავი ქონების პრივატიზაციას,რომელიც იჯარით გაცემული;მიწის ნაკვეთებს,რომლებზეც განთავსებულია პრივატიზებული საწარმოები,ასევე მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებებისადმი გადაცემულ მიწის ნაკვეთებს,მათზე არსებული უძრავი ქონების ობიექტებით.

ჩვენი ქვეყნის პრივატიზაციის მომავალი დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკის საყოველთაო გატარებაზე.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რაში მდგომარეობს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში?

2.როგორია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები?

3.რაში მდგომარეობს განსხვავება კერძო და სახელმწიფო საწარმოთა შორის?

4.რაში მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზება და როგორია მისი შედეგები საქართველოში?

თავი მეხუთე

ფირმა:წარმოების ხარჯები და მოგება

1.ფირმის ეკონომიკური ბუნება, მისი ორგანიზაციის ძირითადი ფორმები

საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ფირმა.ფირმაში ჩვენ ვგულისხმობთ ეკონომიკურ სუბიექტს,რომელიც წარმოებრივ საქმიანობას ეწევა და მეურნეობრივი დამოუკიდებლობა გააჩნია (გადაწვეტილების მიღებაში იმის შესახებ თუ,რა,როგორ და რა მოცულობით აწარმოოს,სად,ვის და რა ფასში მიყიდოს საკუთარი პროდუქცია).ფირმა საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალური წარმონაქმნია,რომელიც გამიზნულია წარმოებრივი რესურსების მფლობელთა გადაწყვეტილებების კორდინაციისათვის.ბაზრის საპირისპიროდ,ფირმა გეგმიან ანუ იერარქიულ სისტემას წარმოადგენს,სადაც საკვანძო საკითხები წყდება მესაკუთრეთა მიერ.ფირმა აერთიანებს რესურსებს გარკვეულ საქონელთა საწარმოებლად,მოგების მაქსიმიზების მიზნით.ბაზარი გულისხმობს წარმოების საშუალებათა განცალკევებულობას,ფირმა კი მათს კონცენტრაციას.ბაზრის პირობებში ბატონობს კონტროლის ირიბი მეთოდები,ფირმაში კი-პირდაპირი.ბაზარი გამორიცხავს დიქტატს,იგი ემყარება ეკონომიკურ სტიმულებს,ფირმა,პირიქით,გულისხმობს ერთმმართველობას,ემყარება მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებს.

ფირმა-ისეთი ორგანიზაციაა,რომელიც ფლობს ერთ ან რამდენიმე საწარმოს.ფირმათა კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა ნიშნებს იღებენ.მათ შორის მთავარი არის ორი:საკუთრების ფორმა და ფირმის სიდიდე.

თუკი საფუძვლად საკუთრებას ავიღებთ,შეიძლება გამოვყოთ ფირმის ანუ მეწარმეობის სამი ფორმა:

- ინდივიდუალური ანუ კერძო მეწარმეობა;
- ამხანაგობა,ანუ პარტნიორობა;
- კორპორაცია(სააქციო საზოგადოება).

ინდივიდუალური მეწარმეობა ეწოდება ბიზნესს,რომლის მფლობელი ერთი ადამიანია.ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელი იმავდროულად ასრულებს მენეჯერის ფუნქციას.იგი შეუზღუდავ ქონებრივ პასუხისმგებლობას ატარებს.ამასთან ინდივიდუ-

ალურ მეწარმეს მცირე კაპიტალი გააჩნია და სწორედ ეს არის ამ სახის მეწარმეობის ნაკლი.მისი უპირატესობა ისაა,რომ თითოეული მესაკუთრე ფლობს მთელ მოგებას,შეუძლია თვითონ მოაბდინოს ნებისმიერი ცვლილებები.ინდივიდუალური ბიზნესმენი იურიდიული პირი არ არის და ამიტომ მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს იხდის.იგი გათავისუფლებულია კორპორაციათა გადასახდელებისაგან.ეს ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმაა,რომელიც დამახასიათებელია წვრილი მაღაზიების,მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ასევე იურისტთა პროფესიული საქმიანობისათვის და ა.შ.

ამხანაგობა ანუ პარტნიორობა ეწოდება ბიზნესს,რომელსაც ფლობს ორი ან მეტი ადამიანი.პარტნიორობაც არაა იურიდიული პირი,ამიტომ პარტნიორებიც მხოლოდ საშემოსავლო გადასახადებით იბეგრებიან და განუსაზღვრელ პასუხისმგებლობას ატარებენ ფირმის ყველა ვალდებულებაზე.პარტნიორობის ღირსება ისაა,რომ ადვილია მისი ორგანიზება,რომ პარტნიორთა გაერთიანება საშუალებას იძლევა მოზიდულ იქნეს დამატებითი საშუალებები და ახალი იდეები.მის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება:

- ფინანსური რესურსების შეზღუდულობა საქმიანობის გაფართოების პირობებში,რომელიც კაპიტალის ახალ დაბანდებას მოითხოვს;
- ფირმის საქმიანობის მიზნების არაერთმნიშვნელოვანი გაგება მის მონაწილეთა მიერ;
- თითოეულის წილის განსაზღვრის სირთულეები ფირმის შემოსავალსა თუ ზარალში,ერთად შექმნილი ქონების გაყოფაში.პარტნიორობის ფორმით ხორციელდება საბროკერო კანტორების,აუდიტორული ფირმების,მომსახურების სფეროს სამსახურების და ა.შ.ორგანიზება.

კორპორაცია ეწოდება პირთა ერთობლიობას,რომლებიც გაერთიანებული არიან ერთობლივი მეწარმეობითი საქმიანობისათვის,როგორც ერთიანი იურიდიული პირი.კორპორაციის საკუთრების უფლება დაყოფილია ნაწილებად,აქციების მიხედვით,ამიტომ კორპორაციათა მფლობელებს აქციათა მფლობელები ეწოდება,ხოლო თვით კორპორაციას სააქციო საზოგადოება.კორპორაციის შემოსავალი იბეგრება კორპორაციათა გადასახდელით.კორპორაციის მფლობელები შეზღუდულ პასუხისმგებლობას ატარებენ კორპორაციის ვალდებულებათა მიხედვით,რომელიც აქციებში მათი წვლილით განისაზღვრება;კორპორაციათა უპირატესობებს მიეკუთვნება:

● ფულადი კაპიტალის მოზიდვის შეუზღუდავი შესაძლებლობები აქციათა და ობლიგაციების გაყიდვის მეშვეობით;

● აქციონერთა უფლებების გაყოფა ქონებრივ და პირად უფლებებად.ქონებრივს მიეკუთვნება დივიდენდის,და ასევე ფირმის ქონების ნაწილის მიღების უფლება მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში,პირადს მიეკუთვნება სააქციო საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება;

● პროფესიული სპეციალისტების მოზიდვა მმართველობითი ფუნქციის შესანარჩუნებლად;

● კორპორაციის ფუნქციონირების სტაბილურობა.საქმე ისაა,რომ საზოგადოებიდან რომელიმე აქციონერის გასვლა არ იწვევს ფირმის დახურვას.

ბიზნესის ორგანიზაციის კორპორაციული ფორმის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება:

● კორპორაციის შემოსავლის იმ ნაწილის ორმაგი დაბეგვრა,რომელიც დივიდენდების სახით გაიცემა აქციათა მფლობელებზე:პირველად როგორც კორპორაციის მოგების ნაწილი,ხოლო მეორედ,როგორც აქციის მფლობელის პირადი შემოსავლის ნაწილი.მცირე კორპორაციათა მფლობელისათვის ორმაგი დაბეგვრა განსაკუთრებით შესამჩნევია.ამიტომ აშშ-ში ასეთი ფირმებისათვის კანონი უშვებს S კორპორაციათა სტატუსის მიღებას,რომლის დროსაც კორპორაციათა შემოსავალი მის მფლობელთა შემოსავლად ითვლება და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით იბეგრება.

● ხელსაყრელი შესაძლებლობები ეკონომიკური ბოროტმოქმედებებისათვის.შესაძლებელია ისეთი აქციების გამოშვება და გაყიდვა,რომელთაც არანაირი რეალური ღირებულება არ გააჩნიათ;

● საკუთრების და კონტროლის ფუნქციების გაყოფა.კორპორაციებში,რომლის აქციები დაქსაქსულია მრავალრიცხოვან მფლობელებს შორის,კონტროლის ფუნქცია ეთიშება საკუთრების ფუნქციას.აქციათა მფლობელები დაინტერესებული არიან მაქსიმალური დივიდენით,ხოლო მენეჯერები ცდილობენ მათ შემცირებას,რათა ფული გაუშვან მიმოქცევაში.არსებობს კორპორაციათა სხვა ნაკლოვანებებიც,მაგრამ მათი უპირატესობები ბევრად ჭარბობს ამ ნაკლოვანებებს. ფირმის სიდიდის ნიშნით განასხვავებენ:მცირე,საშუალო და მსხვილ ბიზნესს.

თანამედროვე დასავლურ ეკონომიკაში წვრილი ბიზნესი ქმნის მეურნეობის ყველაზე მსხვილ სექტორს,სადაც დასაქმებას პოულობს მომუშავეთა ნახევარზე მეტი.წვრილი ბიზნესის ყველაზე ტიპიური ფორმები გახდა ფრაზნჩაიზინგისა და ვენჩურული მეწარმეობის სისტემა.

ფრანჩაიზინგი-წვრილ კერძო ფირმათა სისტემაა,რომლებიც კონტრაქტს დებენ თავიანთ საქმიანობაში მსხვილი ფირმის საფაბრიკო მარკის გამოყენების უფლების შესახებ გარკვეულ ტერიტორიასა და განსაზღვრულ სფეროში.მათ შეღავათები გააჩნიათ ფასჩამოკლების,საქონელთა გადატანაში დახმარების,მოწყობილობათა შეძენის, კრედიტების მიღების და ა.შ.საქმეში.წვრილი ფირმები მსხვილ კომპანიათა პროდუქციის ცალობითი გამყიდველები ხდებიან.ასეთი კონტრაქტები ურთიერთხელსაყრელი ხდება:წვრილი ფირმები მფარველებს,კრედიტებს და სავაჭრო ზონას ღებულობენ მსხვილი კორპორაციებისაგან,ხოლო უკანასკნელები ფულის ეკონომიას აკეთებენ,არ ხარჯავენ რა მას საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე და ამავე დროს რეგულარულ გადასახადებს იღებენ ქვეშევრდომებისაგან.

ვენჩურული ფირმა-ისეთი კომერციული ორგანიზაციაა,რომელიც დასაქმებულია მეცნიერულ გამოკვლევებზე მისი შემდგომი განვითარებისა და დარეგულირებისათვის.მას ასევე შეუძლია კომპანიათა დაფინანსება და კონსულტირება ,რომელთაც სიახლეები გააჩნიათ.ვენჩერული საწარმოები ბიზნესს აკეთებენ სიახლეებზე.ეს საწარმოები რისკს ეწევიან რათა არ „დაინვან“,თუკი ახალი პროდუქცია არ მოერგება ბაზრის მოთხოვნებს,მყიდველის მოთხოვნილებებს,დაბალ დანახარჯებს.ამიტომ ფენჩერული ფირმები ცდილობენ სწრაფად დაამთავრონ ერთი ახალი პროდუქციის გამოშვება და მალე გადავიდნენ სხვა სახეობის წარმოებაზე.ვენჩურული მეწარმეობის სამშობლოა აშშ, სადაც იგი აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

საშუალო ბიზნესი-შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს.იგი მყარი როდია,რამდენედაც კონკურენციას უწევს როგორც მსხვილ,ისე წვრილ მეწარმეობას,რის შედეგადაც იგი ან მსხვილში გადაიზრდება ან საერთოდ წყვეტს არსებობას.

მსხვილი ბიზნესი დიდი სიმყარით ხასიათდება,ვიდრე საშუალო ან მცირე.მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე მას შესაძლებლობას აძლევს გამოუშვას იაფი და მასობრივი პროდუქცია,რომელიც გამიზნულია ფართო მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

აქ შეიძლება დავსვათ კითხვები:

1.რით განისაზღვრება ფირმის სიდიდე?

2.რისთვის არის საჭირო ფირმის გახსნა?

3.ეკონომიკას რატომ არ შეუძლია არსებობა „ერთიანი“ ბაზრის სახით,სადაც ყოველი მისი მონაწილე მინიფირმაა?

საყოველთაოდ ცნობილია,რომ ბაზარი უზრუნველყოფს თავისუფლებას,ხოლო ფირმა მას ზღუდავს,რამდენადაც გულისხმობს ადმინისტრაციულ იერარქიას,კონტროლისა და დაგეგმვის არსე-

ბობას.საქმე ისაა,რომ ბაზრის მექანიზმის გამოყენება იაფი როდია.ბაზრის თითოეულმა მონაწილემ გარკვეული ხარჯი უნდა გაწიოს ინფორმაციის მოპოვებაზე თავისი მიმწოდებლებისა და მყიდველების შესახებ,მოლაპარაკებათა წარმართვაზე და. ძისი პირობების დაცვაზე, კონტროლის განხორციელებაზე და ა.შ.ყველა ამ დანახარჯს **ტრანსაქციური დანახარჯი** ეწოდება.

ტრანსაქციური დანახარჯები აღმოცენდება საბაზრო აგენტებს შორის ურთიერთობათა დამყარების პროცესში.თუკი ეკონომიკა ერთიანი „ველური" ბაზარი იქნებოდა,რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ ფიზიკური პირებით,მაშინ ტრანსაქციური ხარჯები ძალზე მაღალი იქნებოდა მინი-გარიგებათა სიმრავლის გამო.ამ ხარჯების შემცირების გზაა ფირმის შექმნა.მიღებულია,რომ ფირმები აღმოცენდება საბაზრო კოორდინაციის სიძვირის პასუხად,საბაზრო მექანიზმის დათრგუნვის მიზნით.როგორც ჩანს ტრანსაქციების განხორციელება უფრო იაფია ფირმის შიგნით,ბაზრის შუამავლობის გარეშე.იმ ზომით,რაც ზომითაც ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმი იწვევს ტრანსაქციური დანახარჯების ეკონომიას,ფირმა,ე.ი.„იერარქია" გამოდევნის ბაზარს.შეიძლება გაკეთდეს დასკვნა,რომ არც ბაზარს და არც „იერარქიას" არ გააჩნია ერთმანეთის მიმართ აბსოლუტური უპირატესობა.

საბაზრო და ადმინისტრაციულ რეგულატორთა შეპირისპირებაში წყდება საკითხი ფირმის ოპტიმალური ზომების შესახებ.ამასთან,ფირმის ოპტიმალური სიდიდე დამოკიდებული იქნება დარგზე,ტექნოლოგიაზე,ფირმის ინტეგრაციის დონეზე და ა.შ.

ფირმის თეორიაში მიღებულია განვასხვავოთ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული ფირმები.

ვერტიკალური ინტეგრაცია ნიშნავს ისეთ ფირმათა გაერთიანებას,რომლებიც დასაქმებული არიან წარმოებრივი პროცესის მთელ ერთობლიობაზე(მაგალითად ნავთობის მოპოვებიდან,ნავთობპროდუქტებით ვაჭრობამდე).

ჰორიზონტალურ ინტეგრაციას თან ახლავს ერთი ფირმის მიერ სხვათა შეძენა,რომლებიც ერთი და იგივე ბიზნესს მისდევენ.

ჰორიზონტალური ინტეგრაციის სახესხვაობაა დივერსიფიკაცია.იგი ნიშნავს ფირმის შეღწევას სხვადასხვა,ტექნოლოგიურად ერთმანეთთან კავშირის არმქონე დარგებში.მაგალითად,ქიმიური კონცერნი „დიუპონ-დე-ნემური" აერთიანებს ქიმიური ბოჭკოების,წამლების,რეფრეჟირატორების,თვითმფრინავების წარმოებას.

იურიდიულ პირად ითვლება ორგანიზაცია,რომელსაც საკუთრებაში სამეურნეო მფლობელობაში,ოპერატიულ მმთარველობაში

გააჩნია განცალკევებული ქონება და თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით.იურიდიული პირები შეიძლება იყოს როგორც კომერციული ისე არაკომერციული ორგანიზაციები.

კომერციულია ის ორგანიზაციები,რომელთა საქმიანობის უმთავრესი მიზანია მოგება.

არაკომერციული ორგანიზაციები თავიანთ მიზნად არ ისახავენ მოგების მიღებას და მის განაწილებას მონაწილეთა შორის.

კომერციული ორგანიზაციები შეიძლება გაიხსნას შემდეგი ფორმით:

- სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები;
- წარმოებრივი კოოპერატივები;
- სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოები;

სამეურნეო ამხანაგებობები და საზოგადოებები,თავის მხრივ,არსებობენ შემდეგ ფორმებში:

- სრული ამხანაგობა;
- ნდობაზე დამყარებული ამხანაგობა (კომანდიტური ამხანაგობა);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა;
- დამატებითი პასუხისმგებლობის ამხანაგობა;
- სააქციო საზოგადოება (დახურული და ღია);
- ქალიშვილი დვ დამოკიდებული საზოგადოებები.

სრული ეწოდება ამხანაგობას,რომლის მონაწილეები (სრული ამხანაგობები) მეწარმეობით საქმიანობას მისდევენ და პასუხს აგებენ მათი კუთვნილი ქონებით.

ნდობაზე დამყარებული (კომანდიტური) ეწოდება ამხანაგობას,რომელშიც სრულ ამხანაგებთან ერთად არიან ერთი ან რამდენიმე მონაწილე-მეანაბრე (კომანდიტები),რომლებიც ზარალის რისკს ეწევიან თავიანთი ანაბრების თანხის ფარგლებში და მონაწილეობას არ ღებულობენ ამ ამხანაგობის მეწარმეობით საქმიანობაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მისი მონაწილეები ზარალის რისკს ეწევიან მხოლოდ მათ მიერ შეტანალი ანაბრების ფარგლებში.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მისი მონაწილეები პასუხისმგებლობას ეწევიან მათი ანაბრების ღირებულებისადმი ერთნაირი სიდიდით.

სააქციო საზოგადოება-ისეთი საზოგადოებაა,რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციათა განსაზღვრულ რაოდენობაზე.აქციონერები ზარალზე პასუხს აგებენ თავიანთ აქციათა ფარგლებში.

ღია სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს ჩაატაროს მის მიერ გამოშვებული აქციების ღია ხელმოწერა და გაყიდვა.

დახურული სააქციო საზოგადოება ეწოდება ისეთ სააქციო საზოგადოებას,რომლის აქციები ნაწილდება მხოლოდ მის დამფუძნებლებს შორის.

ქალიშვილი სამეურნეო საზოგადოება-ისეთი საზოგადოებაა,რომლის კაპიტალი არ ჭარბობს მთელი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში.ამიტომ მას შესაძლებლობა არ გააჩნია განსაზღვროს ამ საზოგადოების გადაწყვეტილებები.ქალიშვილი საზოგადოება პასუხს არ აგებს ძირითადი საზოგადოების ვალდებულებებზე.

დამოკიდებული საზოგადოების სტატუსი გულისხმობს ისეთ სიტუაციას,რომლის დროსაც ძირითად საზოგადოებას სააქციო საზოგადოების ხმის მიმცემ აქციათა 20%—ზე მეტი გააჩნია.

ფონდი ეწოდება არაკომერციულ ორგანიზაციას,რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითი ქონებივი შენატანების საფუძველზე,რომელსაც სოციალური,საქველმოქმედო და კულტურული,საგანმანათლებლო ან სხვა მიზნები გააჩნია.ფონდს შეუძლია მეწარმეობითი საქმიანობის წარმართვაც,რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად,რომლისთვისაც იგი არის შექმნილი.

კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება გაერთიანდნენ ასოციაციებსა და კავშირებში.

კერძო ფირმები დამოუკიდებლად საკუთრების ფორმისა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ.საბაზრო ეკონომიკაში სწორედ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას,**რა,როგორ** და **ვისთვის** იქნეს წარმოებული საზოგადოებაში.

ფირმის პირველი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომხმარებლის საჭიროებათა განსაზღვრა და დაკმაყოფილება განსაზღვროს,რა აწარმოოს,ე.ი.გაიგოს რა სურს მომხმარებელს და რისი ანაზღაურება შეუძლია მას.ფირმის ცენტრში დგას მეწარმე.იგი ის კაცია,რომელსაც ნოვატორობის არ ეშინია და იმისი უნარი გააჩნია,რომ წინასწარ განჭვრიტოს.,შეძლებს თუ არა ესა თუ ის ახალი პროდუქტი,ახალი ტექნოლოგია,ახალი მასალა წარმატების მიღწევას.

ფირმის მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა **წარმოების ორგანიზაცია**.მისი გადაჭრა,ყველაზე უფრო შრომატევადი და რთუ-

ლი პროცესია.ფირმის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე,თუ წარმოებრივ ფაქტორთა-მიწის,შრომის და კაპიტალის როგორ ანაკრებს მოიზიდავს იგი მისთვის საჭირო პროდუქციის საწარმოებლად.მრავალი ამერიკელი ფერმერი 70-იან წლებში აქტიურად ინვესტირებას ახდენდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მის შეძენაზე.80-იან წლებში,როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება გაძნელდა,აღმოჩნდა,რომ მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ფერმერები,რომლებიც უმეტესწილად სამუშაო ძალას ემყარებოდნენ და მანქანებს და მოწყობილობებს იჯარით იღებდნენ მოკლე დროით.

ფირმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა **შემოსავლების განაწილება**.ეკონომიკური ცხოვრების მუდმივი წრებრუნვის მსვლელობაში ფირმა ანაწილებს მის მიერ მიღებულ შემოსავალს.ასე,მაგალითად,ფირმისაგან დამოკიდებულია გადაწყვეტილებები,თუ რა ხელფასს გასცემს თავის მუშებზე,რაც შემდგომ განსაზღვრავს მოსახლეობის მყიდველობით უნარს მთლიანად.ფირმამ ასევე უნდა გადაწყვიტოს,თუ რამდენს გადაუხდის ნედლეულის და მოწყობილობის მიმწოდებლებს.ეს კი,შესაბამისად,განსაზღვრავს იმას,თუ რამდენად გაიზრდება მათი მყიდველობითი უნარი.ამრიგად,ფირმები წყვეტენ არა მხოლოდ **რა** აწარმოონ და **როგორ**,არამედ ისინი ასევე ფაქტობრივად გადაწყვეტილებას იღებენ მყიდველობითი უნარის (ძალის) განაწილების შესახებ საზოგადოებაში,ე.ი.განსაზღვრავენ,„თუ **ვისთვის** იწარმოება საზოგადოებაში საქონელი“.

ფირმათა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა **ინვესტიციები რეალურ კაპიტალში**.საზოგადოების თვალსაზრისით ფირმები მნიშვნელოვანია იმიტომაც,რომ ხელს უწყობენ ძირითადი ფონდების ანუ ეკონომიკის რეალური კაპიტალის-შენობების,ნაგებობების,მანქანების,მოწყობილობების,ინსტრუმენტების,ე.ი.ყველაფერი იმის გადიდებას,რაც საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გვეხმარება.ინვესტიციები რეალურ კაპიტალში-უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფუნქციაა,რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდის წარმოების გაფართოებას და მოდერნიზებას.

2.წარმოების ხარჯები და მოგება

წარმოების ხარჯები წარმოების შეძენილ ფაქტორთა ანაზღაურებას წარმოადგენს.

ცხადია,რომ ამ ფაქტორთა გამოკვლევამ უნდა უზრუნველყოს ფულადი ამონაგები დამზადებული და გაყიდული პროდუქციისაგან ისეთი ოდენობით,რომ მან დაფაროს წარმოებრივი და-

ეცემა,მაშინ როდესაც მუდმივი ხარჯები იმავე დონეზე რჩება.და ნარმოების გაფართოებით ცვალებადი ხარჯები გაიზრდება,ფირმას მეტი ნედლეული,მასალები,მომუშავეები და ა.შ.დასჭირდება.

მუდმივი და ცვალებადი ხარჯები მთლიანობაში წარმოების მთლიან ხარჯებს (TC-ინგლ. total costs) შეადგენენ.

$$TC=FC+VC$$

როდესაც წარმოების მოცულობა ნულის ტოლია (ე.ი.საჭირო ინვესტიციები გაკეთებულია,მაგრამ წარმოება ჯერ დაწყებული არ არის),მთლიანი ხარჯები მუდმივი ხარჯების ტოლია.წარმოების გადიდებით მთლიანი ხარჯები იზრდება ცვალებადი ხარჯების თანხით.

საშუალო ეწოდება ხარჯებს,რომელიც მოდის წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.საშუალო ხარჯების,პროდუქციის ფასთან შედარებით შეიძლება წარმოდგენა მივიღოთ ფირმის მუშაობის მომგებიანობაზე.საშუალო ხარჯები(AC-ინგლ. overage costs) იანგარიშება დანახარჯების გაყოფით წარმოებული Q პროდუქციის რაოდენობაზე.ამრიგად შეიძლება გავიანგარიშოთ **საშუალო მუდმივი** (AFC-ინგლ.average fixed costs),**საშუალო ცვალებადი** (AVC-ინგლ. average variable costs) და საშუალო მთლიანი ხარჯები (ATC-ინგლ. average total costs).

$$AFC=\frac{FC}{Q} \qquad AVC=\frac{V\ C}{Q}$$

$$ATC=\frac{TC}{Q}=\frac{FC+VC}{Q}=AFC+AVC$$

საშუალო მთლიანი ხარჯები შეიძლება გავიანგარიშოთ ორი გზით:ჯერ-ერთი მთლიანი ხარჯების გაყოფით პროდუქციის ერთეულზე და,მეორე,საშუალო მუდმივი და საშუალო ცვალებადი ხარჯების შეჯამებით.

3.ფირმის ზღვრული ხარჯები

წარმოების ფაქტორები ფირმამ მუდმივ და ცვალებად ფაქტორებს შორის განსაზღვრული პროპორციის დაცვით უნდა გამოიყენოს.არ შეიძლება თვითნებურად გავზარდოთ ცვალებადი

ფაქტორების რაოდენობა მუდმივი ფაქტორის ერთეულზე,რამდენადაც ამ შემთხვევაში ამოქმედდება **კლებადი უკუგების (მზარდ დანახარჯთა) კანონი.**

ამ კანონის თანახმად ერთი ცვალებადი რესურსის განუწყვეტელი გაზრდება სხვა რესურსების უცვლელ რაოდენობასთან შეხამებით,გარკვეულ ეტაპზე მისი უკუგების ზრდის შეჩერებას,ხოლო შემდეგ კი მის შემცირებას იწვევს.კლებადი უკუგების კანონი მისაღებია ცვალებადი ფაქტორის ყველა სახეობისათვის ნებისმიერ დარგში,წარმოებაში ცვალებადი რესურსის დამატებითი ერთეულების მუდმივი შეყვანით,იმ პირობით,რომ ყველა დანარჩენი რესურსი მუდმივია.ამ რესურსის უკუგება თავიდან სწრაფად იზრდება,ხოლო შემდგომ თანდათან ეცემა.

ზღვრული ანუ დამატებითი ხარჯები,რომლებიც აუცილებელია წარმოების გადიდებისას საქონლის ერთეულზე,ძალზე მნიშვნელოვანია ფირმის სტრატეგიის განსაზღვრისათვის.ზღვრული ხარჯები ცვალებადი ხარჯების (ნედლეული,სამუშაო ძალა) ნამატის ტოლია,თუკი იგულისხმება,რომ მუდმივი ხარჯები უცვლელია.

გრაფიკის ნაკითხვისას (ნახ.1) მხედველობაში უნდა მივიღოთ,რომ:

1)AC მრუდი MC მრუდზე მაღლა იმყოფება,რამდენადაც საშუალო ხარჯები,გარდა ცვალებადისა მოიცავს მუდმივ ხარჯებსაც, ე.ი.უფრო მეტი სიდიდეა;ზღვრული ხარჯები კი გულისხმობს მხოლოდ ცვალებადი ხარჯების ნამატს;

2.AC მრუდი MC მრუდზე მარჯვნივ იმყოფება,რამდენადაც AC-ში(საშუალო ხარჯები)- ცვალებადი ხარჯები მთლიანად შედის,ხოლო MC გადიდების დროს,ე.ი.ცვალებადი ხარჯების ნამატი(მატება),-უფრო ნაკლები სიდიდეა ცვალებადი ხარჯების საერთო მოცულობასთან შედარებით;

3.მხედველობაში უნდა მივიღოთ,რომ საბაზრო მეურნეობაში მოგება შედის ხარჯებში,თუკი იგი განიხილება,როგორც წარმოების მართვის ან რისკის საზღაური.

გრაფიკიდან ჩანს,რომ მარცხნიდან მარჯვნივ M წერტილამდე მოძრაობით,საშუალო ხარჯები ნარმოების გადიდებისას საქონლის ერთეულზე,ზღვ-რულზე მაღალია.მაგრამ წარმოებაში საქონლის მე-10 დან მე-11 ერთეულზე გადასვლისას სიტუაცია იცვლება,ზღვრული ხარჯების ნამატი საშუალოზე მაღალი ხდება.ცხადია,რომ მაშინ წარმოება ხელსაყრელი არაა და ფირმას ბაზრიდან წასვლა მოუხდება.ამიტომ M წერტილი ასახავს წარმოების გაფართოების საზღვრებს.


ყველაზე დიდი სარგებლობა-წარმოების 1-დან 6 ერთეულამდე გადიდებაა.ამ საზღვრებში შეინიშნება ყველაზე დიდი განსხვავება საშუალო და ზღვრულ ხარჯებს შორის.

ამრიგად,წარმოების საშუალო და ზღვრული ხარჯების შედარება-მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ფირმის მართვისათვის,წარმოების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრისათვის,რომლის ფარგლებში ფირმა სტაბილურად ღებულობს შემოსავალს.

დავუბრუნდეთ ჩვენს გრაფიკს (ნახ.1).მასზე ვპოულობთ M წერტილს.აქ მიწოდების ფასი (რომელშიც შედის მოგება მეწარმისადმი რისკის საზღაურის სახით) ემთხვევა საშუალო და ზღვრულ ხარჯებს.ეს წერტილი ნიშნავს ფირმის წონასწორობას.

M წერტილის მარჯვნივ მოძრაობისას ჩვენ ვხედავთ,რომ წარმოების გადიდება იწვევს მოგების შემცირებას,ვინაიდან საქონლის ყოველ ერთეულზე იზრდება დამატებითი ხარჯები.ამიტომ M-წერტილი-„შეჩერების" წერტილია.

მარჯვნივ,M წერტილის იქით გადაადგილება იწვევს ფირმის ფინანსების არასტაბილურობას და ბოლოსდაბოლოს მისი ქცევა შეფასდება როგორც გაქცევა საბაზრო სტრუქტურებიდან.ამიტომ გასაგები ხდება M წერტილის აღნიშვნა,როგორც ბაზარზე ფირმის წონასწორობისა.



თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში წარმოების ეფექტიანობის გაანგარიშებას გულისხმობს ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების შედარებას.წარმოების ყოველგვარი გაფართოება

როდი იწვევს მოგების ადეკვატურ ზრდას.მაშასადამე,ფირმამ უნდა მოძებნოს წარმოების ისეთი მოცულობა,როდესაც იგი ყველაზე მეტ შემოსავალს მიიღებს.

არსებობს წარმოების საუკეთესო მოცულობის განსაზღვრის ორი წესი.ორივე იგება ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების შედარებით საფუძველზე.

პირველი ხერხი არის-საბუღალტრო ანალიტიკური.

იგი იგება შემდეგი ცხრილის საფუძველზე.

ცხრილი №1

რაოდე-ნობა	ფასი	მთლიანი შემოსა-ვალი	მთლიანი ხარჯები	მოგება	ზღვრული შემოსა-ვალი	ზღვრული ხარჯები
Q	P	PxQ	NC	3-4	MR	MC
0	144	0	256	-256	-	-
1	134	134	320	-186	134	64
2	124	248	340	-92	114	20
3	114	342	355	-13	94	15
4	104	416	368	48	74	13
5	94	470	381	89	54	13
6	84	504	40 0	104	34	19
7	74	518	431	87	14	31

როგორ განვსაზღვროთ ზღვრული MC ხარჯები საქონლის მესამე ერთეულის წარმოებისას?ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვიღებთ მე-4 სვეტს მთლიანი ხარჯების აღნიშვნით.საქონლის მე-2 ერთეულიდან მე-3 ერთეულის წარმოებაზე გადასვლით ხარჯები გაიზარდა (355-340=15).სწორედ ეს არის ზღვრული ხარჯები,რაც დაკავშირებულია საქონლის მე-3 ერთეულის წარმოებასთან.

ახლა განვიხილოთ ზღვრული MR შემოსავლის განსაზღვრის პრინციპი წარმოებაზე,თუკი იგი იზრდება განსაკუთრებით მცირე სიდიდით,ე.ი.საქონლის 1 ერთეულით.დავუშვათ,გამოშვების მე-2 ერთეულიდან,მე-3 ერთეულზე გადასვლისას.ანალიზისათვის ჩვენ გვჭირდება მე-3 სვეტი,სადაც გამოსახულია მთლიანი შემოსავალი.მთლიანი შემოსავლის სხვაობა საქონლის 3 ერთეულის გამოშვების შემთხვევაში,2 ერთეულის გამოშვებასთან შედარებით

გვაძლევს მთლიანი შემოსავლის ნამატს,ე.ი.ზღვრულ შემოსავალს.იგი შეადგენს 342-248=94

ცხრილი გვიჩვენებს,რომ წარმოების ყველაზე ხელსაყრელი მოცულობაა 6 ერთეული.შემდეგომ ზღვრული ხარჯები აჭარბებენ ზღვრულ შემოსავალს,რაც აშკარად არახელსაყრელია ფირმისათვის.მაშასადამე, 6 ერთეულამდე ფირმისათვის ხელსაყრელია საქონლის წარმოება.მაგრამ ამ სიდიდის ზევით ფირმამ არ უნდა გამოუშვას პროდუქცია.

მეორე ხერხი-გრაფიკულია

იგი განისაზღვრება ხარჯებისა და ზღვრული შემოსავლის შედარების საფუძველზე.ფირმის ორიენტირები შემდეგნაირად ყალიბდება:

1)თუკი ზღვრული შემოსავალი ზღვრულ ხარჯებზე მაღალია(6 ერთეული მოცულობის პირობებში,შეიძლება გავაფართოვოთ წარმოება);

2)თუკი ზღვრული შემოსავალი ზღვრულ ხარჯებზე ნაკლებია (საქონელთა წარმოება 6 ერთეულზე ზევით),წარმოება ხელსაყრელი არაა,იგი უნდა შევაჩეროთ.

ფირმის წონასწორობისა და მაქსიმალური მოგების წერტილი მიიღწევა ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების ტოლობის შემთხვევაში.

როდესაც ფირმა ასეთ თანაფარდობას მიაღწევს,იგი არ გაზრდის წარმოებას,გამოშვება სტაბილური გახდება,და აქედან წარმოდგება სახელწოდება„ფირმის წონასწორობა“.

• ფირმის წონასწორობის თავისებურებები

წონასწორობა სრულყოფილი (წმინდა) კონკურენციის ბაზარზე.როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები,ფირმის წონასწორობა,მისი მყარი მდგომარეობა დარგში მიიღწევა ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების ტოლობის პირობებში.ამასთან,მხედველობაში უნდა მივიღოთ,რომ თვით ზღვრული შემოსავალი საქონლის ფასის ტოლია.ასე იმიტომ ხდება,რომ საქონლის მიწოდების გადიდება უკიდურესად მცირე სიდიდით (ერთეულით) შემოსავლის ნამატს იძლევა,რაც საერთო ამონაგებს მოუმატებს ერთი საქონლის ფასს.მაშასადამე,ზღვრული შემოსავალი უტოლდება საქონლის ფასს.

მაშასადამე,ფირმის წონასწორობა,რომლის დროსაც იგი ირჩევს პროდუქციის ოპტიმალურ გამოშვებას,გულისხმობს შემდეგ ტო-

ლობას:P=MC=MP,სადაც P-საქონლის ფასია,MC-მისი ზღვრული ხარჯები, MR-ზღვრული შემოსავალი.

ფირმის წონასწორობა მონოპოლიური ბაზრის პირობებში.აქ მდგომარეობა რამდენადმე განსხვავებულია.უწინარეს ყოვლისა,მონოპოლიას,როგორც დარგის ლიდერს ბაზრისადმი ფასის თავსმოხვევის საშუალება გააჩნია,მაშინ,როდესაც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მწარმოებელი ეგუება ბაზარს.ამიტომ მოთხოვნის მრუდი მონოპოლისტისათვის ფასს ემთხვევა.რაც შეეხება ზღვრული შემოსავლის მრუდს, იგი,როგორც წესი,ფასის ხაზის ქვემოთ განთავსდება.

ეს იმიტომ ხდება,რომ მონოპოლისტს გაჯერებული ბაზრის შემთხვევაში შეუძლია გაზარდოს წარმოება,მხოლოდ ფასის შემცირებით.ამასთან,ფასების შემცირება ხდება არა მხოლოდ დამატებით პროდუქციაზე,რომელიც ბაზარზე შემოდის,არამედ გამყიდველის მთელ ანალოგიურ პროდუქციაზე.ყოველი ახალი პარტია ამცირებს გასაყიდად გამოტანილი მთელი საქონლის ფასს.ამიტომ ზღვრული შემოსავლის ფორმირებას მოახდენს არა მხოლოდ დამატებითი საქონლის ფასი,რომელიც განსაზღვრავს მთლიანი შემოსავლის ნამატს.უკანასკნელი კორექტირდება ბაზარზე ადრე შემოტანილ საქონელთა მთელი პარტიის ფასების შემცირებისაგან მიღებული ზარალის სიდიდით.

ამრიგად,მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში,გაჯერებული ბაზრის,მწარმოებლის ბაზრის დროს ფასი ზღვრულ შემოსავალზე მეტია,P>MR.

რაც შეეხება ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული ხარჯების შედარებას,პროდუქციის ოპტიმალური გამოშვებისა და მოგების მაქსიმალური სიდიდის განმსაზღვრელი წესი უწინდელი რჩება:MC=MR.ეს იმასთან არის დაკავშირებული,რომ მონოპოლია,როგორც წესი,აბსოლუტური როდია,რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსირა თავისი განსაკუთრებით ხელსაყრელი მდგომარეობა. მონოპოლიას ეშინია საერთაშორისო კონკურენციის,იმასაც შიშობენ,რომ მყიდველები მომატებული ფასის პირობებში შეამცირებენ ყიდვას,და საქონელ-შემცვლელებზე გადავლენ.ამიტომ მონოპოლიური კონკურენციის პირობებში მეწარმე ინარჩუნებს სტრატეგიას,რომელიც დამახასიათებელია სრულყოფილი კონკურენციისათვის.როდესაც შემოსავლის მატების სიჩქარე არ უნდა აჭარბებდეს ხარჯების ზრდის სიჩქარეს.ამ შემთხვევაში დარგი დაცული იქნება კონკურენტთა მოზღვავებისაგან.

ფირმის თეორია მაქსიმალური მოგების მიღების მცდელობის პრინციპს,ე.ი.შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის გადიდების პრინციპს ემყარება.

მაქსიმალური მოგების მიღების მცდელობა-ის კრიტერიუმია,რომელიც განსზღვრავს ფირმის ქცევას,როგორც მოკლე, ისე დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

მოკლე პერიოდი-დროის ის მონაკვეთია,რომლის მანძილზე ფირმას არ შეუძლია შეცვალოს თავის ნაგებობათა არც ერთი საერთო სიდიდე,არც მანქანებისა და მოწყობილობის რაოდენობა,რომლებიც წარმოებაში გამოიყენება.ამ პერიოდში ისინი მუდმივი რჩება,რამდენადაც არ იცვლებიან წარმოების მოცულობის შეცვლის კვალდაკვალ.წარმოების სხვა ფაქტორები (შრომა,კაპიტალი) შეიძლება შეიცვალოს,ამიტომ არიან ისინი ცვალებადი.

შეუძლებელია ვთქვათ,რომ ფეხსაცმლის წარმოების გასადიდებლად,ერთი კვირის განმავლობაში უნდა აშენდეს ახალი შენობა,მაგრამ შეიძლება დამატებითი მასალების შეძენა ან ახალ მომუშავეთა დაქირავება.

მოკლე პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დარგზე,ტექნოლოგიაზე და სხვა.მიზეზებზე.მაგალითად,დომენის წარმოებაში მოკლე პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია,ხოლო ნაყინის წარმოებაში-ძალზე მცირე.

ხანგრძლივი პერიოდი-დროის ისეთი მონაკვეთია,რომლის განმავლობაში ფირმა შესაძლებლობას ღებულობს შეცვალოს თავისი სიმძლავრე წარმოების მუდმივად ცვალებად დონეზე დამოკიდებულებით.

ხანგრძლივ პერიოდში ფირმას შეუძლია შეცვალოს წარმოების ყველა ფაქტორის მოცულობა.ამიტომ ყველა ისინი ცვალებადი ხდება.ამ პერიოდში ფირმა ცდილობს მოახდინოს ფაქტორთა საუკეთესო კომბინაცია,შრომის კაპიტალით შეცვლით ან,პირიქით,დანახარჯების მინიმიზების მიზნით პროდუქციის გამოშვების მოცემულ მოცულობაზე.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ფირმის თეორია აგებულია მოგების მაქსიმიზების პრინციპზე.მაგრამ არსებობს ფირმის საქმიანობის სხვა მოტივაციებიც.ზოგიერთ მათგანში ყურადღება გამახვილებულია იმაზე,რომ ფირმის მიზანია-არა მოგების,არამედ გაყიდვათა მოცულობის მაქსიმიზება;

მეორე კონცეფციის,„დაკმაყოფილების“ თეორიის თანახმად, რომლის ავტორია ამერიკელი პროფესორი გ.სიმონი,ფირმა ცდილობს მიაღწიოს მოგების განსაზღვრულ დონეს,ხოლო შემდგომ არ ხარჯავს ძალისხმევას მისი გადიდებისათვის. ს.ვინტერის

„ევოლუციურ თეორიაში“ ნაჩვენებია,რომ ფირმები მხოლოდ მაქსიმალურ მოგებაზე მიისწრაფვიან,მაგრამ არასოდეს არ ღებულობენ მას ან სრულიად შემთხვევით ღებულობენ.

ამ და სხვა თეორიებში მოგების მაქსიმიზება მაშინაც - კი, როდესაც იგი ფირმის მიზნად არ არის აღიარებული,მაინც მამოძრავებელ ძალად არის მიჩნეული ეკონომიკაში.

დროის ხანგრძლივობაზე და კონკურენციის პირობებზე დამოკიდებულებით ფირმა განსაზღვრავს თავის სტრატეგიას.

სტრატეგია-ესაა ფირმის მიერ ხანგრძლივვადიანი მიზნებისა და ამოცანების შერჩევა,მისი მოქმედების კურსის დამტკიცება და რესურსების გაანილება,რაც საჭიროა ამ მიზნების მისაღწევად.

განასხვავებენ თავდაცვით და შეტევით სტრატეგიას:

თავდაცვით სტრატეგიას ორი მიმართულება გააჩნია:

1.იმიტაციური სტრატეგიის დროს,აქცენტი კეთდება სიახლის დანერგვისაგან რისკის შემცირებაზე,კონკურენტების მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა შედეგების გადმოღების ხარჯზე.ფირმა თვალყურს ადევნებს ბაზარს,უცდის ახალი პროდუქციის გამოჩენას და რესურსების კონცენტრაციას ახდენს ანალოგიური პროდუქტის ან მისი პროტოტიპის წარმოებაზე.

2.გადარჩენის სტრატეგია,ჩვეულებრივ გამოიყენება ფირმათა მიერ,რომელთა გეგმაში შედის ან მოცემული ბაზრიდან წასვლა ან წარმოების სწრაფი გადაწყობა,თუკი სხვა კონკურენტი წარმატებით დამკვიდრდება ბაზარზე.

შეტევით სტრატეგიაში გამოყოფენ ოთხ მიმართულებას:

1.რაციონალიზაციის სტრატეგია გულისხმობს რესურსების ზრდას სიახლეთა განსახორციელებლად.ამ სტრატეგიის დროს ხორციელდება ქალიშვილი და შვილიშვილი კომპანიების ფინანსური მხარდაჭერა,რომლებშიც გამოიცდება ახალი ტექნოლოგია.

2.ქვოტის დიფერენცირების სტრატეგია მიზნად ისახავს ფირმისათვის ბაზრის მაღალი ხვედრი წონის შენარჩუნებას მაღალი მოგების პირობებში.ამ უკანასკნელის საფუძველია მუდმივი ინვესტიციები,რომელთა დახმარებით ფირმა ცდილობს თავისი პროდუქციის ფასის გადიდებას და მასზე მყიდველთა მოთოვნის გადიდებას.

3.ინოვაციური სტრატეგია გულისხმობს პროდუქციის ან მომსახურების,ასევე ძირითადი ფონდების წარმოების განახლებას და ინოვაციათა-ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისებას.ინოვაცია იყოფა პროდუქტების მიხედვით და ტექნოლოგიურ ინოვაციებად.

4.საბაზრო ნიშის ათვისებისა და შევსების სტრატეგია,დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებზე,საქმიან რისკზე.

რისკი-ზარალის ანუ შემოსავლის მიუღებლობის ალბათობა პრობლემური (გეგმური) ვარიანტით გათვალისწინებულთან შედარებით.

რისკის უმნიშვნელოვანესი სახეები შეიძლება იყოს:საწარმოო,კომერციული,ფინანსური,საკრედიტო და სხვა.

არსებობს მოსაზრება,რომ რისკის დასაშვები დონე,ამ საქმიანობაში მონაწილე პირთა რაოდენობის უკუპროპორციულია.

სადაზღვევო კომპანიის მიერ რისკის დაზღვევისას იგი მეწარმეს პრემიას უხდის რისკისათვის,რომლის სიდიდე შესაძლოა ზარალის ტოლი იყოს,რამდენადაც დაზღვევა დამზღვევისათვის უზრუნველყოფს ერთნაირი შემოსავლის მიღებას,მიუხედავად იმისა იზარალებს თუ არა იგი,ასეთი რისკი გამართლებულია,დაუზღვეველი რისკიც კი „იზღვევა“ ფიუჩერულ გარიგებათა დადებით და სხვა საბაზრო ოპერაციებით;

რისკის ფაქტორის არსებობა ძლიერი სტიმულია ფირმის სახსრებისა და რესურსების ეკონომიისათვის.ფირმათა უმრავლესობას მენეჯერი ყავს რისკის დარგში.იგი მუშაობს ფირმის საქმიანობის რისკის ხარისხის განსაზღვრაზე,აფასებს მის შედეგებს და ირჩევს დაზღვევისა და თვითდაზღვევის სახეობებს.

თვითდაზღვევა გულისხმობს სპეციალური სარეზერვო ფონდის შექმნას.

5. ფირმის მართვის თეორია-მენეჯმენტი

საბაზრო ეკონომიკაში ფირმის მართვის ძირითადი ფორმაა **მენეჯმენტი.**მენეჯმენტი-გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის სისტემაა,რომელიც მიმართულია ფირმის მატერიალური,შრომითი,და ფინანსური რესურსების შესაძლოდან ყველაზე საუკეთესო,ოპტიმალური ვარიანტის მიღწევაზე.

მისი წარმოშობა დაკავშირებულია კორპორაციული მეწარმეობის,სააქციო საზოგადოებათა განვითარებასთან,რომლებშიც ფირმის ქონების მართვა მესაკუთრეებიდან მათ წარმომადგენლებზე მენეჯერებზე გადადის.

მენეჯერები-დაქირავებული ადამიანებია,რომლებიც,გარკვეული საზღაურით დასაქმებული არიან ფირმის საქმიანობის ორგანიზებით,აქციონერთა მიერ მოგებს მიღების მიზნით.

მენეჯმენტის ჩამოყალიბება XXს.დასაწყისს მიეკუთვნება.მისი ფუძემბდებლები არიან ამერიკელი ინჟინერი ტეილორი და ფრანგი ა.ფაიოლი.

ტეილორმა შეიმუშავა შრომის რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის უზრუნველმყოფი პირობები,რომელიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალებას იძლევა.ამ მიზნის მისაღწევად,მისი მოსაზრებით უნდა განვახორციელოთ ოთხი მმართველობითი ფუნქცია:მიზნის საშუალების შერჩევა,საშუალებების მომზადება,შედეგების კონტროლი.ფაიოლის მოსაზრებით მენეჯერი ვალდებულია:იწინასწარმეტყველოს,შეათანხმოს,გააკონტროლოს,ორგანიზება მოახდინოს.

თანამედროვე მენეჯმენტში გამოყოფენ ოთხ ფუნქციას:დაგეგმვას,ორგანიზაციას,მოტივაციას,კონტროლს.

1.დაგეგმვა გულისხმობს ფირმის საქმიანობის მიზნების,მათი მიღწევის ძირითადი მიმართულებების და საშუალებების განსაზღვრას.დაგეგმვის ძირითადი ელემენტია **ბიზნეს-გეგმა**.ესაა ფირმის განვითარების კომპლექსური გეგმა,რომელიც ინვესტიციათა საანგარიშგებო დოკუმენტი,მთავარი დასაბუთებაა.ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზანი-კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ფირმის მდგომარეობის სრული სურათის და მისი განვითარების შესაძლებლობათა მოცემაა.

ბიზნეს-გეგმის დაწვრილებით დასაბუთებამ ინვესტორს უნდა შეუქმნას ინვესტიციათა საიმედოობის რწმენა,კომპანიის ხელმძღვანელობისადმი ნდობა.ბიზნეს-გეგმა მუშავდება 3-5 წლით.როგორც წესი,იგი მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ბაზრის ანალიზი და მარკეტინგული სტრატეგია;
- პროდუქტიული სტრატეგია;
- წარმოებითი სტრატეგია;
- ფირმის მართვის სისტემისა და საკუთრების მართვის სტრატეგია;
- ფინანსური (ეკონომიკური) სტრატეგია.

თავისი განვითარების დონისაგან დამოკიდებულებით ფირმები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ გეგმის სხვადასხვა განყოფილებებს.დამწყები ფირმები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ფინანსურ სტრატეგიას.

განვითარებული ფირმები უფრო მეტად ზრუნავენ პროდუქტულ და წარმოებით სტრატეგიებზე.

2.ორგანიზაცია მოიცავს ფირმის სტრუქტურის შექმნას და მის ქვედანაყოფთა ურთიერთქმედებისა და კოორდინაციის უზრუნველყოფას დასახული მიზნების მისაღწევად.

3.მოტივაცია შრომისადმი მომუშავეთა შინაგანი შეგულიანების შექმნაში მდგომარეობს.ამ განყოფილებაში არის არა მარტო ეკონომიკური,არამედ ფსიქოლოგიური ასპექტებიც.

4.კონტროლი ფაქტობრივად მოიცავს მიღწეული შედეგების შესაბამისობას დადგენილთან და ფირმის მუშაობაში კორექტივების შეტანას.

ფირმის მართვა გულისხმობს მისი სტრუქტურის შექმნას.

სტრუქტურა-მყარი კავშირებია მართვის სხვადასხვა დონესა და ფირმის ქვედანაყოფებს შორის.მართვის ყოველ დონეზე წყდება საკითხთა გარკვეული კომპლექსი.თანამედროვე მსხვილ ფირმებს მართვის ოთხსაფეხურიანი სისტემა გააჩნიათ:

- დირექტორთა საბჭო;
- პრეზიდენტი,ვიცე-პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელები;
- ფუნქციონალური შტაბები და სამსახურები;
- შემსრულებლები.

მთავარი ორგანოა დირექტორთა საბჭო.იგი განსაზღვრავს ფირმის საერთო სტრატეგიას და აირჩევა აქციონერთა კრებაზე 10-20 კაცის შემადგენლობით.დერიქტორთა საბჭოს წევრები ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას ატარებენ ფირმის ეკონომიკურ,ფინანსურ და სამართლებრივ საქმიანობაზე.

6. მარკეტინგი:არსი,ფუნქციები,პრინციპები

მარკეტინგის თეორია ჩაისახა აშშ-ში,როგორც რეალიზაციის პრობლემის გამწვავების რეაქცია და მხოლოდ გამსაღებლობითი საქმიანობის(ვაჭრობა,რეკლამა,კრედიტი და ა.შ.) სფერო მოიცვა. წარმოების სფერო არ შედიოდა მარკეტინგის საგანში.40-50-იან წლებში მარკეტინგი შეეკრა მართვის თეორიას და მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი გახდა.

მარკეტინგის წამყვანი სპეციალისტი ფ.კოტლერი მას განსაზღვრავს როგორც ადამიანისეული საქმიანობის სახეობას,რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე,გაცვლის მეშვეობით.

მარკეტინგის მართვის პროცესი გულისხმობს:

- საბაზრო შესაძლებლობათა ანალიზს;
- მიზნობრივი ბაზრების შერჩევას;
- მარკეტინგის კომპლექსის შემუშავებას
- მარკეტინგულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

1.საბაზრო შესაძლებლობათა ანალიზი ტარდება ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვების,და საკუთარი საქმიანობისათვის

„ნიშის“,ე.ი. იმ მიკრო- და მაკროგარემოს განსაზღვრისათვის,რომელშიც ფირმას მოუწევს მუშაობა.

2.მიზნობრივი ბაზრების შერჩევა გულისხმობს ორიენტირებას კონკრეტულ საქონელსა და კონკრეტულ მყიდველებზე.იგი მოიცავს ოთხ ეტაპს:

- გაზომვას;
- მოთხოვნის დაპროგნოზებას;
- ბაზრის სეგმენტების შერჩევას;
- საქონლის პოზიციების განსაზღვრას ბაზარზე.

3.მარკეტინგის კომპლექსის შემუშავება გულისხმობს მარკეტინგის ფაქტორთა 4 მთავარი ჯგუფის:საქონლის,ფასის,საქონელთა გავრცელების მეთოდების,საქონელთა გასაღების სტიმულირების მეთოდების ანალიზს.

4.მარკეტინგულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება გულისხმობს მარკეტინგული დაგეგმვის,ორგანიზაციისა და კონტროლის გამართული სისტემის არსებობას.

მარკეტინგის შიდასაფირმო დაგეგმვას ორი დონე გააჩნია:ფირმის დაგეგმვის სტრატეგია და მარკეტინგის დაგეგმვა.

პირველი გულისხმობს სტრატეგიული შესაბამისობის შენარჩუნებას ფირმის მიზნებსა და მის შანსებს შორის მარკეტინგის სფეროში.

მეორე მოიცავს გეგმებს ყოველი ცალკეული წარმოების,საქონლის ან ფირმის საქონლური მარკის თვალსაზრისით.

მარკეტინგის ორგანიზაცია დამოკიდებულია ფირმის მასშტაბებზე:მცირე ფირმაში მუშაობს ერთი კაცი,მსხვილში-მარკეტინგის განყოფილება.მომუშავეთა ფუნქციები შეესაბამება მარკეტინგის ფუნქციათა შინაარსს:პასუხისმგებელი საქონლური ჯგუფისათვის(ვთქვათ,A,B და ა.შ.) ბაზრის სეგმენტისათვის და ა.შ. კონტროლი მიზანია დასახული შედეგების მიღწევაში დარწმუნება.კონტროლის პროცესში პასუხი უნდა მივიღოთ 4 კითხვაზე:

- 1.რისი მიღწევა გვსურს?
- 2.რა ხდება?
- 3.ასე რატომ ხდება?
- 4.რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ჩვენს ქვეყანაში მარკეტინგის პრობლემები აქტუალური არ იყო და ამიტომ ნელი ტემპით წარმოებდა მისი კვლევა.

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში ფირმათა მიერ მარკეტინგის გამოყენება ძალზე დიდ მნიშვნელობას ღებულობს.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია მეწარმეობის ფორმები?
2.რას ეწოდება კორპორაცია?
3.როგორია ბიზნესის ფორმები?
4.როგორი შეიძლება იყოს კომერციული ორგანიზიის ფორმები?
5.როგორია ამხანაგობის ფორმები?
6.როგორი სახის არსებობს წარმოების ხარჯები?
7.როგორია ფირმის სტრატეგიის ფორმები?

თავი მეექვსე

წარმოების ფაქტორთა ბაზარი

წინა თავებში განვიხილეთ მოთხოვნისა და მიწოდების,კონკურენციის,ფასწარმოქმნის და სხვა პრობლემები,მიუხედავად იმისა,თუ რა საქონელი არის ჩართული საბაზრო ბრუნვაში.მოცემულ თავში ძირითადი ყურადღება ეთმობა წარმოების ფაქტორთა ანალიზს.ამ თემის შესწავლისას უნდა ავითვისოთ:რა არის წარმოების ფაქტორები;როგორია მოთხოვნისა და მიწოდების თავისებურებები მიწის,შრომის და კაპიტალის ბაზარზე.როგორ იყოფა საზოგადოებრივი შემოსავლები;რაში მდგომარეობს წარმოების ფაქტორთა ურთიერთშეცვლადობა,მათი ზღვრული შემოსავალი;როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული წარმოების ხარჯების მინიმიზაცია,და მოგების მაქსიმიზაცია,როგორ ხდება ფასწარმოქმნა წარმოების ფაქტორებზე.

1.წარმოების ფაქტორები,მათი ურთიერთშეცვლადობა,წარმოებული მოთხოვნა.ზღვრული პროდუქტი და შემოსავალი

წარმოების ფაქტორთა ცნება.მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოების პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორის ფუნქციონირებას.მათ შორის ეკონომიკურ თეორიაში განსაკუთრებით გამოყოფენ ოთხ ძირითად ჯგუფს:მიწას,შრომას,კაპიტალს და მეწარმეობით უნარს,რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ წარმოებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.უკანასკნელ პერიოდში მათთან ერთად ცალკე გამოყოფენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას,როგორც წარმოების ფაქტორს.ეს ფაქტორები,ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოება,უნდა გავაერთიანოთ,როგორც **მიწოდების ფაქტორები.**

მიწა,როგორც ბუნებრივი ფაქტორი,გამოდის წარმოების საყოველთაო საშუალების სახით.მას მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო მიწები,სასარგებლო წიაღისეულის მარაგი,ტყეები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები.

კაპიტალი,თავისი მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით,გამოდის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სახით,რომლებიც გამოიყენება საქონელთა და მომსახურების წარმოებაში და გადამწყვეტ როლს

თამაშობს წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში.

შრომა, ადამიანთა საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანისეული კაპიტალის დანახარჯებთან (ადამიანის ინტელექტუალური, პროფესიული, ფიზიკური, ფსიქიკური და სხვა უნარის ერთობლიობა), რომელიც მიმართულია მატერიალური დოვლათის დამზადებასა და მომსახურების გაწევაზე. ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დონის ამაღლებას, ერთობ ეფექტიანია და სწრაფად გამოისყიდის საკუთარ თავს, თუმცა ადიდებს ხელფასს.

მეწარმეობითი საქმიანობა მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა ინიციატივიანი დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია მოგების (ან პირადი შემოსავლის მიღებაზე), რაც ხორციელდება საკუთარი სახელით, რისკით და ქონებრივი პასუხისმგებლობით, ან სხვა პირის სახელით, და იურიდიული პირის პასუხისმგებლობით.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თავისი მნიშვნელობით წარმოების ჩამოთვლილ ფაქტორებში ბევრი პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უთუოდ მნიშვნელოვანი საქმეა, ვინაიდან იგი ბაზარზე უკეთ არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას.

წარმოების ფაქტორთა მოცემული კლასიფიკაციიდან გამომდინარე ეკონომისტები განასხვავებენ შემოსავლების **ოთხ ძირითად სახეობას:** მიწის რენტას, სარგებელს, ხელფასს და მეწარმეობით შემოსავალს (მოგებას). რამდენადაც წარმოების ფაქტორთა ბაზარი მოცემულ ფაქტორთა მომსახურების ბაზარია, ამ მომსახურებათა გადასახდელს (საზღაურს) **წარმოების ფაქტორის ფასს** ანუ მის შემოსავალს უწოდებენ.


არსებობს წარმოების ფაქტორთა სხვა კლასიფიკაციაც. მარქსისტული ეკონომიკური თეორია, მაგალითად, გამოყოფს წარმოების **პიროვნულ** (სამუშაო ძალა) და **ნივთობრივ ფაქტორებს** (წარმოების საშუალებათა ერთობლიობა, რაც დაკავშირებულია განსაზღვრულ ტექნიკასთან, ტექნოლოგიასთან და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციასთან).

გარდა იმ ფაქტორებისა, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ წარმოებასა და ეკონომიკურ ზრდაზე, არსებობს **ირიბად** ზემოქმედი ფაქტორებიც. მათ მიეკუთვნება, ჯერ-ერთი, მოთხოვნა, მიწოდე-

ბა და ფასი წარმოების საშუალებათა ბაზარზე:მეორე,წარმოების ფაქტორთა,პროდუქტებისა და მომსახურების განაწილება.

წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა და მიწოდება.წარმოების ფაქტორთა ბაზრის თავისებურება ისაა,რომ ამ ბაზრის მდგომარეობა დამოკიდებულია სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურაზე,ე.ი.მისთვის დამახასიათებელია მეორადი,**წარმოებული მოთხოვნა.**ამასთან,ფირმა,რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე გამყიდველის როლში გამოდის,წარმოების ფაქტორთა ბაზარზე სხვა როლში-მყიდველის სახით გამოდის.ფაქტორები მომხმარებლის მოთხოვნას აკმაყოფილებენ არა პირდაპირ,არამედ ირიბად,საქონელთა და მომსახურების მეშვეობით.

წარმოებრივი მოთხოვნა ფაქტორებზე ნიშნავს,რომ სტაბილური მოთხოვნა დამოკიდებულია,ჯერ-ერთი,ფაქტორის მწარმოებლურობაზე,საქონლის შემქნისას,მეორე,საქონლის ფასზე,რომელიც მოცემული ფაქტორის დახმარებითაა წარმოებული.წარმოების ფაქტორზე მოთხოვნა მანამ იქნება შენარჩუნებული,სანამ მის ყოველ დამატებით ერთეულზე დანახარჯები ანაზღაურდება მზა საქონლის გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის უფრო მეტი ან უკიდურეს შემთხვევაში თანაბარი მატებით.მაშასადამე,წარმოების დამატებითი ფაქტორის შეძენა დამოკიდებული იქნება ფაქტორის ზღვრული შემოსავლისა MRP (მთლიანი შემოსავლის გადიდება ფაქტორის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად) და ფაქტორის ზღვრული ხარჯების-MRC თანაფარდობაზე.წარმოების ახალი ფაქტორის შეძენა ფირმისათვის მომგებიანი იქნება იმ წერტილამდე,რომელზეც MRP= MRC.თუკი MRP>MRC-ზე მაშინ ფირმას შეუძლია მომგებიანად გამოიყენოს ფაქტორის



ნახ.1.

დამატებითი რაოდენობა.როდესაც MRC< MRP-ზე,ფირმას მომგებიანი მუშაობისათვის უნდა შეამციროს ფაქტორის რაოდენობა.

აქედან გამომდინარე, წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნას **არასრულყოფილი კონკურენციის** პირობებში შემდეგი სახე ექნება (ნახ.1) სადაც შვეულ ღერძზე განთავსდება ფაქტორის P ფასი,ხოლო თარაზულ ღერძზე ფაქტორის Q რაოდენობა.

სხვა მდგომარეობა ყალიბდება ფაქტორთა მოთხოვნის ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში,როდესაც საქონლის გაყიდვის გადიდება იწვევს მისი ფასის გადიდებას.ამიტომ რესურსზე მოთხოვნის MRP მრუდი არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში შემცირდება ორი მიზეზით:მცირდება ზღვრული პროდუქტი და მცირდება პროდუქტის ფასი,რამდენადაც იზრდება პროდუქციის გამოშვება.

სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს წარმოების **ფაქტორთა მიწოდების** ბაზარს.ჩვეულებრივ,წარმოების ფაქტორთა მიწოდება განიხილება ორი მხრიდან:ა) **საერთო** მიწოდების მხრიდან ;ბ) დარგებსა და ფირმებს შორის მათი **განაწილების** მხრიდან,რაც დაკავშირებულია **ფაქტორის მობილურობასთან.**

ფაქტორს **მობილური** ეწოდება,თუკი იგი ადვილად გადაადგილდება ერთი სფეროდან მეორეზე,სუსტი ეკონომიკური სტიმულების ზემოქმედებით.ამ შემთხვევაში მოცემული ფაქტორის მომსახურების მიწოდება ელასტიური იქნება,რამდენადაც უფრო შემოსავლიან დარგში მოიზიდავს ფაქტორთა საჭირო რაოდენობას სხვა დარგებიდან.ამისაგან განსხვავებით,წარმოების ფაქტორი **არამობილური** იქნება,თუკი ძლიერი ეკონომიკური სტიმულების ზემოქმედებითაც იგი არ გადაადგილდება ერთიდან მეორე დარგში;მოცემული ფაქტორის მიწოდება არაელასტიური იქნება,ვინაიდან რომელიმე დარგის შემოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებაც კი მასში ფაქტორთა მხოლოდ მცირე რაოდენობას მოიზიდავს.

წარმოების ფაქტორთა მიწოდების სიდიდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მიწოდების დროის ხანგრძლივობას.ამასთან,ის ფაქტორი,რომელსაც მოკლევადიან პერიოდში გადაადგილების უნარი არ გააჩნია,მობილურობას იძენს ხანგრძლივვადიან პერიოდში.

შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებამ შესაძლოა შეარბილოს ბუნებრივ ფაქტორთა დეფიციტი ეროვნულ ეკონომიკაში.

ფაქტორთა ურთიერთშეცვლადობა და მოგების მაქსიმიზება.საქონელთა და მომსახურების წარმოება მოითხოვს სხვადასხვა ფაქტორთა გამოყენებას,რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიწა,შრომა და კაპიტალი.აქედან გამომდინარე,პროდუქციის (V) მოცულობა წარმოვიდგინოთ,როგორც შრომის (L),კაპიტალისა (K) და მიწის (Z) დანახარჯთა ფუნქცია:V=f(LKZ).დამოკიდებულებას გამოყენებულ ფაქტორთა შორის გამოხატავს **წარმოებრივი ფუნქცია.**

ჯ.ბ.კლარკი თვლიდა,რომ წარმოების ნებისმიერი ფაქტორის საფუძველია ფაქტორის ზღვრული პროდუქტი,რომელიც წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების ნამატს ნატურალურ გამოხატულებაში,რომელიც მიღებულია წარმოებრივი ფაქტორის გადიდების ხარჯზე პროდუქციის ერთეულზე.საწარმოს მიერ გამოყენებულ ფაქტორთა რაოდენობა დამოკიდებულია მათ უკუგებაზე,მწარმოებლურობაზე.

თუკი საწარმო მუშაობს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში,მაშინ პროდუქტის ფასი მუდმივია და დამოკიდებული არაა მის მოცულობაზე.არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში საწარმო, წარმოებისა და გასაღების მოცულობის გადიდებისას იძულებულია შეამციროს ფასი.ამიტომ ფაქტორის შემოსავლიანობის შემცირება არასრულყოფილი კონკურენციის დროს მეტი იქნება,ვიდრე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.

საწარმოს სახსრები,რომლებიც ფაქტორთა შესაძენად გამოიყენება,წარმოების ხარჯებში შედის.ამიტომ საწარმო ცდილობს უფრო იაფი რესურსების,ისეთი რაოდენობით და კომბინაციით გამოყენებას,რომელიც მას **მაქსიმალურ მოგებას** მოუტანს.გამოყენებულ ფაქტორთა რაოდენობა დამოკიდებულია მათ მწარმოებლურობაზე.

წარმოებაში მოცემული ფაქტორის გამოყენების შესახებ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მეწარმემ უნდა იცოდეს არამარტო დამატებითი რესურსის ზეგავლენა შემოსავლის ზრდაზე,არამედ ეს შემოსავალი უნდა შეადაროს დანახარჯებთან და მოგებასთანაც,ე.ი.უნდა განსაზღვროს **ფაქტორის ზღვრული ხარჯები** (MC).

თანამედროვე წარმოება მოითხოვს ფაქტორთა ერთობლივ გამოყენებას.ამასთან,უნდა გავითვალისწინოთ,რომ ფაქტორებს ახასიათებთ ურთიერთშეცვლადობა.ეს ნიშნავს სხვადასხვა რესურსის სხვადასხვაგვარ სტრუქტურულ კომბინაციას და რაოდე-

ნობრივ პროპორციაში გამოყენებას.ურთიერთშეცვლადობის მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა განპირობებულია წარმოების უფრო ნაკლებიშვიათი ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობით,რომელთაც დაბალი ფასი გააჩნიათ.მაგალითად,ტექნიკის ფასის შემცირების შედეგად ხელსაყრელი ხდება ცოცხალი შრომის გამოყენების შემცირება.ტექნიკის ძალზე მაღალი ფასის დროს უფრო ხელსაყრელია იაფი სამუშაო ძალის გამოყენება.მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის . პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მწარმოებლურ ძირითად ფონდებში განთავსებული კაპიტალის გამოყენება.

წარმოების ხარჯების მინიმიზებისა და მოგების მაქსიმიზების,ფაქტორთა ბაზრებზე წონასწორობის უზრუნველყოფის მცდელობისას ფირმები იქიდან გამოდიან,რომ დამატებითი ხარჯების ყოველ ერთეულს წარმოების ყოველი ფაქტორის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს თანაბარი ზღვრული პროდუქტი.

ფასების დინამიკასთან დაკავშირებულია **მოთხოვნის ელასტიურობის** ცვლილება წარმოების ყოველ ფაქტორზე.მოთხოვნა უფრო იაფ ფაქტორებზე,სხვა თანაბარ პირობებში, უფრო ელასტიურია.სწორედ აქედან გამომდინარე ხორციელდება წარმოების ფაქტორთა ურთიერთშეცვლადობა,რომლის მსვლელობაში ხდება ძვირადღირებული ფაქტორების უფრო იაფით გამოდევნა.

სხვადასხვა რესურსის ეფექტიანი შეხამების ძიება ემყარება წარმოების ფაქტორთა საბაზრო ფასების და ზღვრული პროდუქტის ფასების შედარებას,რომელიც მიიღება წარმოების ყოველი დამატებითი ფაქტორის გამოყენებისას.

ეკონომიკაში **არჩევანის პრობლემის** გადაწყვეტისას და საზოგადოების წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვრების განსაზღვრისას აუცილებელია წარმოების შეზღუდული და იშვიათი ფაქტორების ყველაზე მიზანშეწონილი ურთიერთშენაცვლებისა და ეფექტიანი გამოყენების მიღწევა.ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდება,ამასთან, ვლინდება წარმოების ფაქტორთა შემცირებაში ეფექტის ერთეულზე ან უკანასკნელის გადიდებით დანახარჯთა უწინდელი სიდიდით.

2.შრომის ბაზარი:მოთხოვნა,მიწოდება, ხელფასი,წონასწორობა შრომის ბაზარზე

შრომის ბაზარი.შრომა როგორც წარმოების ფაქტორი.შრომის ბაზარი-წარმოების ფაქტორთა სისტემის,ეკონომიკური ზრდის

პირობების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი სფერო,შრომის ბაზარი ასრულებს მრავალმხრივ ფუნქციას:სწორედ შრომის ბაზარზე განისაზღვრება ხელფასის სიდიდე,მისი ფორმები და მომუშავეთა დაქირავების პირობები,მათი დასაქმება და სტრუქტურა,უმუშევრობის დინამიკა,სამუშაო ძალის მობილურობა,მომუშავეთა კვალიფიკაციის შესაძლებლობები და ა.შ.

შრომის ბაზარი-საბაზრო ურთიერთობათა განსაკუთრებული რგოლია,რომელშიც ხორციელდება საქონლის-„სამუშაო ძალა"-შეძენა.იგი გულისხმობს ადამიანის საკუთრებას თავის სამუშაო ძალაზე,რომელიც საქონელი ხდება ბაზარზე,და შემდგომ რეალიზდება შრომით საქმიანობაში. სახელმწიფოს ზემოქმედება შრომის ბაზარზე XXს. დამდეგს ძირითადად ცალკეულ ღონისძიებებზე დაიყვანებოდა,რომელიც მიმართული იყო უმუშევრობის შემცირებაზე.შემდგომში,განსაკუთრებით დიდი დეპრესიის და შემდგომ პერიოდში,აშშ-ში 1929-1933წწ.გაძლიერდა შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება,რომელმაც ხელი შეუწყო სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას.

მაგრამ 70-იანი წლების შუახანებისათვის აღმოჩნდა,რომ შრომის ბაზრის რეგულირების კეინზური მეთოდები ეკონომიკური ზრდის შენელების პირობებში ხელს უწყობენ ინფლაციას და ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის რეგულირების ახალი მოდელი,რომლის საფუძველია მონეტარული კონცეფციები.

90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის რეგულირების ახალი **პრაქტიკა-აქტიური პოლიტიკა** შრომის ბაზარზე.მისი არსი უფრო ხელსაყრელი საბაზრო შესაძლებლობების შექმნაა მაღალი დასაქმებისათვის,რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პერიოდში,როდესაც უმუშევრობა მასობრივი და მუდმივი გახდა.

შრომის თანამედროვე ბაზარზე მძლავრ ზეგავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა.ამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები შრომის ბაზარზე,უწინარეს ყოვლისა,თავს იჩენს მის სტრუქტურაში.იზრდება მომუშავეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დონე,მკვეთრად მაღლდება ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ-მუშაკთა,მენეჯერთა და ასევე მომსახურების სფეროს კვალიფიციურ მომუშავეთა ხვედრი წილი.

თავისებურებებით ხასიათდება შრომის ქართული ბაზარი,რომელშიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ,ეკონომიკურ რეფორმამდე სამუშაო ძალა არ განიხილებოდა როგორც საქონელი.დღევანდელი შრომის ბაზარი უაღრესად დაუბალანსებელი,ხოლო ხელფასი უკიდურესად დაბალია თუკი მას ხელფასი შეიძლება ვუწოდოთ და ისიც არარეგულარულად გაიცემა,რაც ინფლაციის პირობებში მომუშავეთა რეალური შემოსავლების შემცირებას იწვევს.უფრო მეტიც,საწარმოთა მიერ ერთმანეთისადმი გადაუხდელობისა და საწარმოთა მოცდენების,იძულებით შვებულებათა გამო ხელფასი არსებითად უმუშევრობის დახმარების სახესხვაობად იქცევა.

ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის დაძლევის,ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის,კონკურენციის და წარმოების რაციონალიზაციის გაძლიერების კვალობაზე მოხდება უმუშევრობის შემცირება,მომუშავეთა შემადგენლობისა და რაოდენობის ოპტიმიზაცია,ხელფასის დონის ამაღლება.პრივატიზაციის,ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების და საცხოვრებელი ბინების ბაზრის ჩამოყალიბების შედეგად შესაძლებელი იქნება სამუშაო ძალის უფრო თავისუფალი გადაადგილება ქვეყანაში,მისი რეგიონული და დემოგრაფიული განაწილების გაუმჯობესება.

ხელფასი,როგორც შრომის ფაქტორის ფასი.ეკონომიკურ თეორიაში მრავალი შეხედულება არსებობს ხელფასის არსის შესახებ.**მარქსისტული თეორია** მიიჩნევს,რომ დაქირავებულ მუშათა ხელფასი მათი საქონლის-სამუშაო ძალის-ღირებულებისა და ფასის გარდაქმნილი ფორმაა,რომელიც გარეგნულად წარმოგვიდგება,როგორც მთელი შრომის საზღაური.

ხელფასის სხვაგვარი გაგება მოცემული აქვს **ნეოკლასიკოს** ინგლისელ ეკონომისტს ა.მარშალს.მან ხელფასის ორი ძირითადი ფაქტორი წამოაყენა:1)შრომის ზღვრული მწარმოებლურობა,რომელიც სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირი გააჩნია,რაც ზეგავლენას ახდენს ხელფასის სიდიდეზე;2) მომუშავეთა კვლავწარმოების,სწავლების და შენახვის ხარჯები.თუკი პირველი ფაქტორი განსაზღვრავს შრომაზე მოთხოვნას,მეორე-მის მიწოდებას.მათი ურთიერთზემოქმედება განსაზღვრავს ხელფასის დონეს.

მეორე ფაქტორის სტრუქტურაში ა.მარშალის მიერ სწავლების ხარჯების გამოყოფამ ხელი შეუწყო შემდგომში **ადამიანისეული კაპიტალის** თეორიის ჩამოყალიბებას.ამ თეორიის მიხედვით,ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში ამაღლებს შრომის ეფექტიანობას,რაც, თავის მხრივ,შემდგომში ხელფასის ზრდით ნაზღაურდება.

თანამედროვე პერიოდში ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ხელფასის გაგების „წარმოების ფაქტორთა“ თეორიამ,რომლის მამამთავარი იყო ჟან ბატისტ სეი.ამ თეორიის თანახმად წარმოების ფაქტორთა ბაზარი წარმოადგენს მოცემულ ფაქტორთა მომსახურების ბაზარს.ამ მომსახურების საზღაურს ფაქტორის ფასი ანუ მისი შემოსავალი ეწოდება.როდესაც მეწარმეები იძენენ საქონელს-შრომას,ისინი ყიდულობენ არა ადამიანს,არამედ მის მომსახურებას ღირებულების შესაქმნელად,უფლებას საქონელსა და ღირებულებაზე,რაც მისი შრომის შედეგია.მაშასადამე, ხელფასი საბაზრო ურთიერთობათა ზედაპირზე გამოდის შრომის ფასის სახით.

მაგრამ მცდარია ხელფასის არსი დავიყვანოთ შრომის განსაზღვრულ ფასად გაყიდვის გამოვლენის ფორმაზე-ხელფასზე.სინამდვილეში აქ ვლინდება უფრო სიღრმისეული ეკონომიკური ურთიერთობები კაპიტალისა და საქონელ-„სამუშაო ძალის“ მესაკუთრეს შორის.მოცემული საქონლის მესაკუთრე დამქირავებლისაგან ითხოვს ეკვივალენტს ხელფასის სახით,რაც მისი შრომის დანახარჯების ტოლია.ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაქირავებული მომუშავის ხელფასის სიდიდე ობიექტურად უნდა შეესაბამებოდეს არა მისი შრომის მთელ დანახარჯებს,არამედ საქონელ-„სამუშაო ძალის“ ღირებულებას.

მომუშავეთა ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია ფაქტორთა კომპლექსზე.ჯერ-ერთი,შეიძლება გამოვყოთ სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდე,რამაც უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის კვლავწარმოება.ეს დებულება,ამასთან,გულისხმობს ხელფასის კანონის მოქმედების გარკვეულ **ელასტიურობას**.ხელფასის სიდიდე მუდმივი როდია,იგი იცვლება სამუშაო ძალის ხარისხის,შრომის დანახარჯების,ქვეყანაში ცხოვრების დონისაგან დამოკიდებულებით.

ამ კანონის მოქმედების ელასტიურობა მეწარმეებს უბიძგებს ხელფასის უმდაბლეს ზღვრამდე-„ბიოლოგიურ სასიცოცხლო მინიმუმამდე“-შემცირებისაკენ.ამიტომ უკანასკნელ ათწლეულში აშშ-ში,დასავლეთ ევროპასა და რიგ განვითარებულ ქვეყნებში მიღებულ იქნა კანონები,რომელიც ხელფასის მინიმალური დონის გარანტიას იძლევიან და უნდა უზრუნველყოს მომუშავეთა კვლავწარმოების ნორმალური პირობები.საქართველოში,რომელიც ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, მინიმალური ხელფასის დონესა და სასიცოცხლო მინიმუმს შორის უფსკრულია.

მომუშავეთა ხელფასი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ასევე მათ **კვალიფიკაციაზე**.თუმცა,სამწუხაროდ დღეს საქართველოში

მომუშავეთა,განსაკუთრებით მეცნიერ-მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა,ექიმების,მასწავლებლების და სხვათაკვალიფიკაციის დონე საერთოდ არ გაითვალისწინება ხელფასის დონის განსაზღვრისას.

ხელფასის სიდიდეზე ზეგავლენას ახდენს ასევე **ეროვნული განსხვავებები** ქვეყნებს შორის,რაც დაკავშირებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ განსხვავებებთან ეკონომიკური,სოციალური და კულტურული განვითარების დონეში,ხალხის ცხოვრების ხარისხში.ამის გამო ხელფასის ყველაზე მაღალი დონე ჩამოყალიბდა აშშ-ში,და ასევე გფრ-ში,დიდ ბრიტანეთში,საფრანგეთში,იტალიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში და ასევე იაპონიაში.

ხელფასის დონეზე ზეგავლენას ახდენს საბაზრო ფაქტორები (სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება,კონკურენცია,მონოპოლია და სხვა).თუკი შრომის ბაზარზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას,ხელფასი იზრდება,ხოლო თუკი მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას,მაშინ, პირიქით.

შრომის ანაზღაურების დონეზე ზემოქმედებს დამქირავებელთა **მონოპოლიაც**.ისინი ცდილობენ ხელფასის შემცირების ხარჯზე გაზარდონ თავიანთი მოგება,ამ მიზნით უმუშევრებს,და დაქირავებულ მუშებს შორის კონკურენციის გამოყენებით.

ხელფასის სიდიდეზე არსებით ზეგავლენას ახდენს საქონელთა და მომსახურების ფასები.საქმე ისაა,რომ უნდა განვასხვავოთ **ნომინალური** და **რეალური** ხელფასი.დაქირავებული მომუშავე ხელფასს ღებულობს ფულის გარკვეული თანხის სახით.ეს **ნომინალური ხელფასია.რეალური ხელფასი წარმოადგენს სასიცოცხლო დოვლათისა და მომსახურების ჯამს,რომელთა შეძენა შეიძლება ნომინალური ხელფასით საქონელთა და მომსახურების ფასის მოცემული დონის პირობებში.**

ნომინალური და რეალური ხელფასის თანაფარდობაზე განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს ინფლაცია.იგი ხელსაყრელია მეწარმეთათვის,რამდენადაც შრომისათვის იგი იანგარიშება „გაიაფებული“ ფულით,რაც მკვეთრად ამცირებს დაქირავებულ მუშათა შრომაზე მოთხოვნას.

არსებობს ხელფასის სხვადასხვა ფორმა და სისტემა.მაგრამ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ხელფასის ორი ძირითადი ფორმა:**დროითი და სანარდო**,რომელთაც სხვადასხვა კომბინაციები და მოდიფიკაციები გააჩნიათ,რომლებიც შრომის სტიმულირებას ახდენენ.

დროითი ხელფასის პირობებში,მისი სიდიდე განისაზღვრება ნამუშევარ დროზე (საათი,დღე,კვირა,თვე) დამოკიდებულებით.ამისათვის ხელფასის საათური განაკვეთი მრავლდება ნამუშევარ დროზე.დროითი ხელფასის გამოყენების სფერო ძირითადად მოიცავს საწარმოებს, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონით.

სანარდო ანუ ცალობითი ხელფასი, დამოკიდებულია ნაკეთობათა რაოდენობაზე, ამასთან,იგი წარმოებულია დროითი-ხელფასისაგან.სანარდო ხელფასის განსაზღვრისას აუცილებელია გამომუშავების ნორმისა და ცალობითი შეფასებების გაანგარიშება.**გამომუშავების ნორმა** ადგენს პროდუქციის რაოდენობას,რომელიც მომუშავემ უნდა დაამზადოს განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ხელფასის დროითი ორგანიზაციის მთავარი ელემენტია სატარიფო სისტემა.იგი მოიცავს სამ ძირითად შემადგენელს:**სატარიფო განაკვეთს**-მომუშავეთა შრომის ანაზღაურების სიდიდე განსაზღვრულ დროში (საათი,დღე);**სატარიფო ბადეს**-შკალას,რომელიც განსაზღვრავს მეორე,მესამე,მეოთხე და სხვა თანრიგების მომუშავეთა სატარიფო განაკვეთების თანაფარდობას,რომელიც დამოკიდებულია პირველი თანრიგის კვალიფიკაციისა და განაკვეთის დონეზე;**სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარს**-ნორმატიულ დოკუმენტს სამუშაოთა ტარიფიკაციისა და მომუშავეთათვის საკვალიფიკაციო თანრიგების მისანიჭებლად,რომელშიც ყველა პროფესია ხასიათდება სამუშაოს სირთულისა და შინაარსის,მომუშავეთა კვალიფიკაციისადმი მათი შესაბამისობის გათვალისწინებით.მაგრამ,სამწუხაროდ,საქართველოში სატარიფო სისტემების როლი ხელფასის ორგანიზებასა და მატერიალურ სტიმულირებაში ჯერ კიდევ ნაკლებეფექტურია,რაც საბაზრო სისტემას ეწინააღმდეგება.

3.ვაწარმოო და ფულადი კაპიტალივ ბაზარი

კაპიტალის ბაზარი-წარმოების ფაქტორთა საერთო ბაზრის ნაწილია.მის გასაგებად საჭიროა თვით ცნება „კაპიტალის" შინაარსის ახსნა.არსებობს კაპიტალის მრავალი განმარტება.მაგალითად,არსებობს მოსაზრება,რომ კაპიტალი-ეს არის ფული,რამდენადაც იგი უნივერსალური საქონელია,რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ხელფასის ასანაზღაურებლად და მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების,წარმოების განვითარებაში ინვესტირებისათვის.

მეორენი მიიჩნევენ,რომ კაპიტალი არის დრო-ვინაიდან შემოსავლის მისაღებად საჭიროა დრო.ამასთან, შემოსავალი წარმოადგენს თავისებურ ჯილდოს მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარისთქმისათვის,მომავალში მათი დაკმაყოფილებისათვის.

მარქსისტული თვალსაზრისით-კაპიტალი ღირებულებაა,რომელსაც მოაქვს ზედმეტი ღირებულება,ანუ თვითმზარდი ღირებულება.როგორც კ.მარქსი თვლიდა,კაპიტალის თვითზრდის წყაროა ზედმეტი ღირებულება,რომელიც იქმნება დაქირავებულ მუშათა მიერ და მიითვისება წარმოების საშუალებათა მესაკუთრის-კაპიტალისტთა კლასის მიერ.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით,კაპიტალი-წარმოების საშუალებებია,რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საქონელთა საწარმოებლად.მაგალითად,ფიზიოკრატები კაპიტალის სახით იხილავდნენ მიწას,ა.სმითი დაგროვილ დოვლათს და შრომას,დ.რიკარდო კი-წარმოების ინვესტირებულ საშუალებებს.

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს,რომ-კაპიტალი სარგებლის წყაროა.ისინი იქიდან გამოდიან,რომ კაპიტალს შეუძლია მის მესაკუთრეს მოუტანოს სარგებელი ან სხვა შემოსავალი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გამოყენების პირობებში კაპიტალის არსის დაყვანა იწყეს „ადამიანისეულ კაპიტალამდე".ინვესტიციები მეცნიერებისა და განათლების სფეროში,რომელიც ხელს უწყობს „ადამიანისეული კაპიტალის" ფორმირებას,მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ფუნქციონირების პროცესში კაპიტალი ასრულებს წრებრუნვასრომელიც განიხილება არა როგორც ერთგზისი აქტი,არამედ როგორც პერიოდულად განმეორებადი პროცესი,რომლის შედეგად ავანსირებული ფულადი სახსრები მთლიანად უბრუნდებიან თავიანთ ფულად ფორმას,რომელსაც **კაპიტალის ბრუნვა** ეწოდება.

კაპიტალის სრული ბრუნვა ხორციელდება მხოლოდ მაშინ,როდესაც მთელი კაპიტალური ღირებულება ფირმას უბრუნდება პირველდანყებითი მოცულობით,ფულადი ფორმით.კაპიტალის ბრუნვის დრო მოიცავს **წარმოებისა და მიმოქცევის დროს**.კაპიტალის ბრუნვის სიჩქარეს ანგარიშობენ ფორმულით:

$$n = \frac{O}{o}$$

სადაც n-არის კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე, O დროის განსაზღვრული პერიოდი,ხოლო o-ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა.

ბრუნვის ხასიათის მიხედვით ფირმის კაპიტალი იყოფა ძირითად კაპიტალად,რომელიც იხარჯება შრომის საშუალებების შესაძენად და **საბრუნავ კაპიტალად,**რომელიც იხარჯება შრომის საგნების და სამუშაო—ძალის საყიდლად.

ძირითადი კაპიტალის ბრუნვა მოიცავს სამ ძირითად ფაზას:1) ცვეთა;2) ამორტიზაცია;3) აღდგენა ნატურალურ ფორმაში.

ძირითადი კაპიტალის ბრუნვის **პირველ ფაზაში,**ხორციელდება ფიზიკური (მატერიალური) ცვეთა.ძირითადი კაპიტალის **ფიზიკური ცვეთა** იმაში მდგომარეობს,რომ შრომის საშუალებები ცვდება,რის შედეგადაც მისი სახმარი ღირებულება ეცემა.თუკი ფიზიკური ცვეთა წარმოებს გამოყენების პროცესში,მაშინ იგი მზა პროდუქციის ღირებულებიდან ნაზღაურდება.შრომის საშუალებების უმოქმედობის შემთხვევაში მათი ღირებულება იკარგება.ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული **მორალური ცვეთა** ორი სახით წარმოებს:ჯერ-ერთი,არსებული მანქანების წარმოების გაიაფებით,შესაბამის დარგებში შრომის მწარმოებლურობის ზრდით.მეორე,ახალი,უფრო მწარმოებლური მანქანების შექმნით,რის შედეგადაც ძველი მანქანები კარგავენ თავიანთ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ბაზრის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **ძირითადი კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთის შეფასება.**ამასთან, განასხვავებენ ძირითადი კაპიტალის სრულ ანუ თავდაპირველ (საბალანსო) ღირებულებას,**ნარჩენ (წმინდა) ღირებულებას და აღდგენით ღირებულებას.**

ძირითადი კაპიტალის ბრუნვის მეორე ფაზაზე ხორციელდება მისი **ამორტიზაცია,**რომლის საფუძველი ცვეთაა.ძირითადი ფონდების აღსადგენად იქმნება ამორტიზაციის ფონდი.**ამორტიზაციის ნორმა** იანგარიშება ფორმულით:

$$Ha = \frac{Ф + Р - Л}{Ф.П}$$

სადაც Ha-არის ამორტიზაციის ნორმა,Ф-ძირითადი კაპიტალის ღირებულება,Р-კაპიტალური რემონტისა და მოდერნიზაციის ხარჯებია;Л -სალიკვიდაციო ღირებულება,П-ძირითადი კაპიტალის ფუნქციონირების ვადა (წლებში).

ამორტიზაციის ნორმები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ძირითადი კაპიტალის აღდგენის პროცესზე.თუკი ამორტიზაციის ნორმას

შევამცირებთ,ამორტიზაციის ფონდი ვერ აანაზღაურებს ძირითადი კაპიტალის ცვეთას.ამორტიზაციის ნორმის გადიდება კი,წარმოების ხარჯების გადიდებით იწვევს მზა პროდუქციის ფასის გადიდებას და აძნელებს მის გაყიდვას.

ძირითადი კაპიტალის ბრუნვის **მესამე ფაზაში** ხდება აღდგენა ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით,ამორტიზაციის ფონდის ხარჯზე.

ფირმის მდგომარეობა ბაზარზე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობით,რომლის მაჩვენებელია **კაპიტალუკუგება**.იგი იანგარიშება ფორმულით:

$$КО = \frac{Чп}{ОК}$$

სადაც КО კაპიტალუკუგების კოეფიციენტია **Чп**-ფირმის წმინდა პროდუქცია;ОК-მისი ძირითადი კაპიტალი.

4.მიწა როგორც წარმოების ფაქტორი,რენტა და მიწის ფასი

წარმოების ფაქტორებს შორის განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება **მიწას** და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს (სასარგებლო წიაღისეულს,წყალს,ტყეებს,ჰაერს და სხვა),რომელთა უმრავლესობა შეზღუდული,იშვიათი და არაშევსებადია.ამიტომ არჩევანის პრობლემა ამ ფაქტორთა გამოყენებისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ,ეკოლოგიურ და სოციალურ დატვირთვას იძენს საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

მიწის,როგორც წარმოების ფაქტორის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში არაერთნაირია.დამმუშავებელ მრეწველობაში მიწა საწარმოს ადგილს აძლევს, რაზედაც იგი დგას და მოქმედების სფეროს ტექნოლოგიური პროცესისათვის.მომპოვებელ მრეწველობაში იგი,გარდა ამისა,იძლევა შრომის საგანს,რომელიც ნედლეულად გადაიქცევა დამმუშავებელი მრეწველობისათვის.სოფლის მეურნეობაში,სადაც კვლავწარმოების ეკონომიკური და ბუნებრივი პროცესები გადაიხლართებიან,მიწა **წარმოების მთავარი საშუალებაა**.იგი აქ:ჯერ-ერთი,შრომის საყოველთაო საგანია,როდესაც დამუშავებას ექვემდებარება;მეორე,გამოდის შრომის აქტიური საშუალების სახით,რომელსაც ნაყოფიერება გააჩ-

ნია.ამასთან, მიწა,განსხვავებით წარმოების სხვა საშუალებებისაგან,გამოყენების პროცესში არა მხოლოდ კარგავს თავის სახმარ ღირებულებას-ნაყოფიერებას,არამედ მიწათმოქმედების სწორი სისტემის,სრულყოფილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის,სხვადასხვა სახის მელიორაციის პირობებში ადიდებს მას.

გარკვეული თავისებურებები გააჩნია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტრუქტურას.მასში შედარებით მაღალია სატრანსპორტო და ენერგეტიკურ საშუალებათა ხვედრი წილი.სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტრუქტურაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს წარმოების სეზონურობა,რაც იმით არის განპირობებული,რომ წარმოების პროცესი ამ დარგში დაკავშირებულია მცენარეთა და ცხოველთა განვითარების ბიოლოგიურ სტადიებთან,რომლის შეცვლა თვითნებურად შეუძლებელია.ამიტომ წარმოების პროცესი აქ დროში განსაზღვრულ აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ვადებად იყოფა,ხოლო ტექნიკა და სამუშაო ძალა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს განუწყვეტლივ,მთელი წლის მანძილზე,როგორც მრეწველობაში,ე.ი.ადგილი აქვს **სამუშაო და წარმოების პერიოდების** დაუმთხვეველობას.

თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ხდება გადასვლა მანუფაქტურიდან მანქანურ სტადიაზე.ეს ნიშნავს წარმოების ინდუსტრიულ ტექნოლოგიურ წესს,როდესაც სასოფლო სამეურნეო წარმოების საფუძველია მანქანათა განვითარებული სისტემა, მისი კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის,ელექტროფიკაციის,მელიორაციის და ქიმიზაციისათვის.

ინდუსტრიალიზაცია და ინტენსიფიკაცია-სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორი განსხვავებული,მაგრამ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული მხარეა,რომლებიც მის კანონზომიერ განვითარებას ასახავენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე.სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას ჩვეულებრივ თან ახლავს მისი ინტენსიფიკაცია:მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების გაუმჯობესება და პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება მიწის ფართობის ერთეულზე,წარმოების დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე და ა.შ.ინტენსიფიკაცია,რომელიც მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ საფუძველზე ხორციელდება-შრომის მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ამაღლების მთავარი გზაა.

რენტა და მიწის ფასი.მიწის რენტა-მისი მესაკუთრის მიერ მიღებული შემოსავალია მიწის იჯარით გაცემის შედეგად.მიწის ფასი,ისე როგორც წარმოების სხვა ფაქტორებისა დამოკიდებულია ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდებისაგან,მათ თანაფარდობაზე.

მოთხოვნა მიწაზე,როგორც წარმოების ფაქტორზე,დამოკიდებულია მის მიწოდებაზე და რენტის სიდიდეზე.

რენტის სიდიდე განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო მოძრაობით,მათი წონასწორობის ფორმირების პროცესში.ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს,რომ რენტა შედის წარმოების ხარჯებში.სხვებს,პირიქით,ხარჯებში რენტა არ შეაქვთ.

რენტის მარქსისტული თეორია მის წარმოშობას ხსნის ღირებულების კანონის მოქმედების საფუძველზე,რაც დაკავშირებულია მიწაზე და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა საშუალებებზე საკუთრებაზე.ეს მიდგომა მიმართულია მსხვილ მიწათმესაკუთრეთა ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციის აუცილებლობაზე.

მიწაზე კერძო საკუთრების,სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალურ გაძღოლასთან შეუთავსებლობის იდეა მთლიანად ვერ დადასტურდა.რამდენადაც აღმოჩნდა,რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია საკუთრების ფორმათა და მეურნეობრიობის პლურალიზმი.

XXს. დასასრულს მიწის რენტა ეშპ-ს რამდენიმე პროცენტს არ აღემატება,რაც ხელს არ უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას და არ მოითხოვს მიწის მესაკუთრეთა ექსპროპრიაციას და მიწის ნაციონალიზაციას.

აგრარულ ურთიერობათა მნიშვნელოვანი თავისებურებაა **მიწის რენტა**.კაპიტალისტური მიწის რენტა-ღირებულების ნაწილია,რომელიც იქმნება სასოფლო-სამეურნეო მუშათა შრომით და რომელსაც მიწის მესაკუთრეები ითვისებენ . მათი მიწის გამოყენების გამო.

5.მეწარმეობა და მოგება

საბაზრო ეკონომიკაში მიკროდონეზე მეურნეობრივი საქმიანობა **მეწარმეობითი საქმიანობის** (ბიზნესის) ხასიათს ღებულობს,რომლის არსი წარმოების ფაქტორთა ორგანიზაცია და შეერთებაა საქონელთა და მომსახურების შესაქმნელად.ამასთან,მეწარმის მატერიალური ინტერესი მოგების მიღებაა.

მეწარმეობა, როგორც წარმოების ფაქტორი.თავის საქმიანობაში მეწარმე ჩვეულებრივ სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:ჯერ-ერთი ფაქტორულს,რომელიც ფულადი დაგროვების,წარმოების საშუალებათა,მომუშავეთა და სხვა ფაქტორთა მობილიზებაში მდგომარეობს მეწარმეობითი საქმიანობისათვის;მეორე,ორგანიზატო-

რულს,რომელიც წარმოების ფაქტორთა შეერთებასა და კომბინირებაში მდგომარეობს,დასახული მიზნის უზრუნველსაყოფად;მესამე,შემოქმედებითს,რომელიც დაკავშირებულია ნოვატორობასთან,ინიციატივასთან,გერგილიანობასა და რისკთან,რომელთა როლი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და კონკურენციის გაძლიერებით გაიზარდა.

სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიზისის პერიოდში,როდესაც კერძო ინვესტიციები წარმოების ფაქტორთა განვითარებაში მკვეთრად მცირდება.სახელმწიფო სექტორში დაბანდებათა გადიდებით მთავრობა ხელს უშლის ეკონომიკურ დაქვეითებას და მასობრივი უმუშევრობის წარმოშობას.

თანამედროვე პერიოდში მეწარმეობა ყალიბდება პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრივების,მეურნეობის ცენტრალიზებული გეგმურ-გამანაწილებელი სისტემის ტრანსფორმაციის სხვა რადიკალური მეთოდების მსვლელობაში.მეწარმეობის აღორძინება და განვითარება ხდება სუსტი საკანონმდებლო ბაზის პირობებში.

მეწარმეობითი საქმიანობის თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სააქციო საზოგადოებებს და ამხანაგობებს.

ყურადღებას იპყრობს მცირე ბიზნესის სუსტი განვითარება.არასაკმარისი განვითარება ჰპოვა ინდივიდუალურმა სანარმოებმა და გლეხურმა მეურნეობებმა და სხვებმა,თუმცა მეწარმეობითი საქმიანობის მოცემული წვრილი ფორმები სასარგებლო და შემოსავლიანია.

მეწარმე როგორც საბაზრო ეკონომიკის სუბიექტი.საბაზრო ეკონომიკის სუბიექტის სახით მეწარმის ფუნქციები პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის პოვნასა და ფორმირებაში მდგომარეობს,რომელიც მას აკმაყოფილებს წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის მაქსიმალური მოგებით გაყიდვის გზით.მეწარმეთა ფუნქციები მოიცავს:1)ინიციატივის გამოჩენას რესურსების (ფაქტორების) შეერთების საქმეში რომელიმე საქონლის ან მომსახურების საყიდლად;2) ძირითად არაორდინარულ გადაწყვეტილებათა მიღებას ფირმის მართვის საქმეში;3) ინოვაციათა დანერგვას პროდუქტის ახალი სახეობის წარმოების ან წარმოებრივი პროცესის სრულყოფისა და რადიკალური შეცვლის გზით;4) პასუხისმგებლობას ეკონომიკური რისკისათვის,რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან.

მეწარმის მრავალფეროვანი საქმიანობა განსხვავდება მენეჯერის საქმიანობისაგან.იგი ბაზრის დამოუკიდებელი სუბიექტია,რომელიც მოქმედებს საკუთარი შიშით,რისკით და საკუთარი ქო-

ნებრივი თუ სხვა პასუხისმგებლობით.ამისაგან განსხვავებით მენეჯერი დაქირავებული მომუშავეა,რომელიც მეწარმის მიერ დასახულ ამოცანას ასრულებს,იგი თავისი ქმედებისათვის არ აგებს ქონებრივ პასუხს,თუმცა შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს.

ძირითადი, რითაც მეწარმე საბაზრო ეკონომიკის სხვა სუბიექტებისაგან განსხვავდება,ესაა მეწარმის შემოსავალი (მეწარმის მოგება),რომელიც მთლიან და წმინდა მოგებაზე ნაკლებია.

უნდა განვასხვავოთ მოგების აბსოლუტური სიდიდე **მოგების ნორმისაგან**,რომელიც გვიჩვენებს კაპიტალის (ფონდების) შემოსავლიანობის ხარისხს.

ეკონომიკურ პრაქტიკაში ჩვეულებრივ იანგარიშება მოგების წლიური ნორმა,სიდიდე,რომელიც კაპიტალის ბრუნვის პირდაპირპროპორციულია.იგი იანგარიშება,როგორც წლის განმავლობაში მიღებული მოგების შეფარდება ფონდებში ავანსირებულ მთელ კაპიტალთან.

მოგების წლიური ნორმა მით უფრო მაღალია,რაც უფრო სწრაფია კაპიტალის ბრუნვა.მოგების ბრუნვის დონეზე მოქმედებენ არა მხოლოდ ზემოჩამოთვლილი **შინაგანი** ფაქტორები,რომლებზე ზემოქმედება შეუძლია მეწარმეს,არამედ საგარეო ფაქტორებიც,მა-გალითად, საბაზრო ფასების მერყეობა,სარგებლის განაკვეთის,გადასახადით დაბეგვრის,საიჯარო ქირის და ა.შ.სიდიდე.

მოგება საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა,მისი მაქსიმიზება გამოდის წარმოების უშუალო მიზნისა და მამოძრავებელი მოტივის სახით.მაგრამ კამათს იწვევს მისი არსის,ფაქტორების და წყაროების საკითხები.მაგალითად,მერკანტილისტები აღნიშნავდნენ,რომ მოგება იქმნება მიმოქცევის სფეროში,საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროს ფასთა სხვაობის შედეგად.კლასიკოსი დ.რიკარდო კი იმ დასკვნამდე მივიდა,რომ მოგება გამოდის როგორც კაპიტალისტის მოგება,რომელიც მიიღება მის მიერ ავანსირებული კაპიტალის შესაბამისად.მაგრამ მან ვერ შეძლო აეხსნა ზედმეტი ღირებულების წარმოშობა. მოგების მარქსისტული განმარტება იმას ემყარება,რომ დაქირავებული შრომა,კონკრეტული შრომის დახმარებით ქმნის საქონელს და მასზე გადააქვს წარმოების მოხმარებულ საშუალებათა ღირებულება,ხოლო აბსტრაქტული შრომის მეშვეობით აკვლავწარმოებს თავისი სამუშაო ძალის ექვივალენტს და ქმნის ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტის,როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრისათვის.საქონლის ზედმეტი ღირებულება გადაიქცევა მოგებად,რომელიც მოვლენათა ზედაპირზე წარმოგვიდგება როგორც მთელი კაპიტალის შედეგი.

ფრანგმა ეკონომისტმა ჟ.ბ.სეიმ ა.სმითის თეორიის განვითარებით დაასაბუთა **წარმოების სამი ფაქტორის** თეორია,რომლის თანახმად მიწას,შრომას და კაპიტალს წარმოებაში მისი ფაქტორის სახით მონაწილეობით თავისი მფლობელისათვის მოაქვს შესაბამისი შემოსავალი-რენტა,ხელფასი,მოგება ან სარგებელი.შემდგომში **ნეოკლასიკურმა სკოლამ** წარმოების ფაქტორთა რიცხვში შეიტანა **მეოთხე ფაქტორი მენარმეობითი საქმიანობა**,რომლის საზღაურია **მენარმის შემოსავალი (მოგება)**.მენარმე-საბაზრო ეკონომიკის აქტიური სუბიექტი-შემოსავალს ღებულობს თავისი მენარმეობითი უნარის,ინიციატივის,შემოქმედებისა და რიკსის და მომხმარებლის ფსიქოლოგიის ცოდნის უკუგებისაგან.მაგალითად,ა.მარშალი მენარმის შემოსავალს ძირითადი ნაწილის სახით თვლიდა წარმოების ორგანიზაციისათვის შრომის საზღაურად.

პ.სამუელსონი,მაგალითად,იხილავს მოგების ოთხ თვალსაზრისს.ჯერ-ერთი,მოგება-წარმოების ფაქტორთა მფლობელების შემოსავალია,რომელსაც ისინი გამოსაყენებლად თავაზობენ,სარგებლის,რენტის,ხელფასის სახით.მეორე,მოგება-მენარმეობითი საქმიანობის და ტექნოლოგიური სრულყოფის დანერგვის საზღაურია.მესამე,მოგება-მენარმეობითი საქმიანობის შედეგების განუსაზღვრელობის,რისკის საზღაურია.მეოთხე,მოგება-შემოსავალია,რომელიც მონოპოლიის შედეგია,რომელიც წარმოიშობა მწარმოებლის (გამყიდველის) მონოპოლიური მდგომარეობის გამო ბაზარზე ან ბუნებრივი მონოპოლიის დროს.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია წარმოების ფაქტორთა სისტემა,მათი ურთიერთკავშირი და ადგილი ბაზარზე?

2.წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნას რატომ ეწოდება „წარმოებრივი მოთხოვნა“?

3.რა უდევს საფუძვლად წარმოების ფაქტორებზე საბაზრო ფასწარმოქმნას?

4.რაში მდგომარეობს წარმოების ფაქტორთა ურთიერთშეცვლადობის არსი და ეფექტი?

5.რა ზეგავლენას ახდენს წარმოების ფაქტორთა წარმოებრივი ფუნქცია ამოცანის შესრულებაზე:„რა“,„როგორ“ და „ვისთვის“ ვანარმოოთ.

6.რაში მდგომარეობს ხარჯების მინიმიზების და მოგების მაქსიმიზების არსი წარმოების ფაქტორთა გამოყენებისას?

7.როგორია ხელფასის ფორმები,მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები,სრულყოფის პერსპექტივები?

8.რაში მდგომარეობს კაპიტალის ბაზრისა და საინვესტიციო პროცესის არსი.როგორია მათი კავშირი კაპიტალის სარგებელთან?

თავი მეშვიდე

ფასები და ფასწარმოქმნა

1.ფასი-საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი

ფასი-ისეთი ეკონომიკური ცნებაა,რომლის არსებობა და მნიშვნელობა არავისთვის ახსნას და დადასტურებას არ საჭიროებს.

მაღალი ფასი ნიშნავს,რომ ნივთი ძვირია და მისი შეძენა დიდ ფულად დანახარჯებს მოითხოვს,დაბალი ფასი ნიშნავს სიიაფეს და ნაკლებ დატვირთვას მომხმარებლის შემოსავალზე.მაგრამ ფასი,უფრო სწორედ ფასები,მთელი მათი ერთობლიობა წარმოადგენს არა ინდივიდუალურ,პირად,არამედ საზოგადოებრივ,სოციალურ კატეგორიას.ისინი არეგულირებენ მომხმარებელზე როგორც ცალკეულ ყიდვა-გაყიდვას,ისე მთლიანად ეკონომიკურ პროცესს,მათი ფორმირებისა და ცვლილებების გათვალისწინებით,მოქმედებენ,როგორც ერთიანი,მთლიანი **საფასო მექანიზმი.**

ფასების ეს ფუნქცია და ეკონომიკაზე მათი ზემოქმედება გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი რიგითი მომხმარებლისათვის.

ფასები,უდაოდ დახვეწილ,მოქნილ მექანიზმს და იმავდროულად ეკონომიკის მართვის საკმაოდ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს,თუმცა ეკონომიკაზე საერთოდ და კერძოდ ცხოვრების დონეზე ზემოქმედების მათი რეალური შესაძლებლობები ბევრად უფრო ნაკლებია ფასებსა და საფასო მექანიზმზე ადამიანთა მიერ დაკისრებულ იმედებთან შედარებით.

საფასო მექანიზმში უნდა გამოვყოთ და განვასხვაოთ ორი ურთიერთზემოქმედი ნაწილი.ერთი მხრივ,ესაა,**თვით ფასები,**მათი სახელები, სტრუქტურა,სიდიდე,ცვლილების დინამიკა და,მეორე მხრივ-ფასწარმოქმნა როგორც,ახალი ფასების დაწესების,ჩამოყალიბების და მოქმედების ცვლილების ხერხი.ფასწარმოქმნა,რომელსაც ადამიანები გაცილებით უფრო ნაკლებად იცნობენ,ვიდრე ფასებს,მთელი საფასო მექანიზმის აქტიურ ნაწილად გამოდის.

ფართოდ გავრცელებული ცნება „ფასში" იგულისხმება ეკონომიკური ცნებების კომპლექსი,რომელიც ერთიან სინთეზურ კატეგორიაში შედის.

„ფასის" ცნების საერთო,ერთიანი განმარტება იმდენად ძნელია,როგორც „ფულის" საყოველთაო დეფინიციის მოძებნა.

ფასი,ისე როგორც თვით ფული,ისტორიული კატეგორიაა,რომელიც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა გაცვლის ჩასაბვისა და განვითარების პროცესში.უკვე უმარტივესი გაცვლის მსვლელობაში არსებითად,საჭირო ხდება ფასის,როგორც **გაცვლითი** პროპორციის გამოყენება,რომელიც უზრუნველყოფს გაცვლის ეკვივალენტურობას.როდესაც ძველი ქვისმთლელი ერთ ქვის ცულს ცვლიდა მეთუნის ორ ქოთანზე,იქიდან გამოდიოდა,რომ ცულის ფასი ორი ქოთნის ფასს შეადგენს და მეთუხე, მაშასადამე,თანხმდება,რომ ქოთნის ფასი ნახევარი ცულის ფასის ტოლია.ეს იყო თავისებური საქონლური ფასები,რომლებიც გაცვლის პროპორციაში გამოდიოდა.ასეთი ფასი ჯერ კიდევ უნივერსალური როდია და თითოეული გამცვლელი მხარის მიერ გამოსახულია სხვადასხვა ერთეულში.

თავდაპირველად საქონლური,ხოლო შემდეგ ლითონის ფულის წარმოშობამ განაპირობა ფასის გამოსახვა საქონლის ერთიდაიგივე ეკვივალენტში.ახლა უკვე გამყიდველი და მყიდველიც ფასში ხედავს **ფულად ერთეულთა იმ რაოდენობას,**რომლის მიღებაც შეიძლება საქონლის ერთეულზე გადახდით.

მიზანშეწონილია ფასის ჩამოყალიბებისადმი ორი მიდგომის გამოყოფა:საბაზრო და წარმოებრივი

(ხარჯვითი).

საბაზრო მიდგომის ჩარჩოებში მისაღებია შემდგომი განმარტება:„ფასი ესაა საქონელთა ფასეულობის გამოხატვის ფორმა,რაც მათი გაცვლის პროცესში ვლინდება“.ასეთ ფორმულირებაში გამოიყოფა ორი ძირითადი აქცენტი.ჯერ-ერთი,ხაზგასმულია საქონლის ფასის უშუალო კავშირი მის ფასეულობასთან,სარგებლიანობასთან,რაც მას გააჩნია, როგორც მოხმარების ობიექტს.მეორე,ასეთი განმარტების თანახმად საქონლის ფასი ვლინდება როგორც ეკონომიკური არსი,მხოლოდ მისი ფულზე და სხვა საქონელზე გაცვლის პირობებში.ასე,რომ ყიდვა-გაყიდვის გარეშე ფასზე საუბარი ზედმეტია.

ფასის თვალსაზრისით სხვა პოზიცია ახასიათებს **წარმოებრივ (ხარჯვით) მიდგომას,**რომელიც ემყარება ფასების კავშირს წარმოების ფაქტორებთან მთლიანად და მთავარ ფაქტორთან-მიწასთან.ასეთი მიდგომისათვის ტიპიურია შემდეგი ფორმულირება:„ფასი-საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა“.ასეთი განმარტების სიმძიმის ცენტრი„ღირებულებაზეა“ გადატანილი.ღირებულების შრომითი თეორიის თანახმად,რომელიც სათავეს იღებს ა.სმითის,დ.რიკარდოს და მარქსის მოძღვრებაში,ღირებუ-

ლება განისაზღვრება საქონლის წარმოებაზე შრომის დანახარჯებით,ე.ი.შრომითი ბუნება გააჩნია.

ღირებულებასა და ფასს შორის პრაქტიკული კავშირი დამყარდა ხარჯვითი პრინციპის მეშვეობით,რომლის ფარგლებში ფასის სიდიდე განისაზღვრება საქონლის ერთეულის წარმოებაზე ყველა ფაქტორის ჯამური დანახარჯების გაზომვის მეშვეობით,ფულად გამოხატულებაში,რომელთაც წარმოების დანახარჯები ეწოდება,ე.ი.ფასი საშუალო ხარჯების ტოლია.ხარჯებისადმი გარკვეული სიდიდის დამატება იწვევს ძიებული ფასის დაწესებას.

ფასისადმი „ღირებულებით" მიდგომას მის შრომით განსაზღვრაში ბუნებრივი შეზღუდულობა გააჩნია,მხოლოდ შრომის პროდუქტებისადმი გამოყენებადობის შედეგად.ამ მიდგომის საფუძველზე შეუძლებელია იმ საგნების,ნივთების ფასის დაწესება,რომლებიც ადამიანის შრომის შედეგი არაა და შრომითი,საცვლელი ღირებულება,და მაშასადამე,ფასი არ გააჩნიათ.ამ თვალსაზრისით საბაზრო მიდგომა უფრო უნივერსალური და კონსტრუქციულია.

2.ფასის ფუნქციები

ფასების არსში ჩაწვდომის კიდევ ერთი ხერხია მათი ფუნქციის შესწავლა,რომელიც ახასიათებს ფასების როლს ეკონომიკაში.ამასთან,მხედველობაში უნდა მივიღოთ,რომ ფასის ფუნქციები და მათი რეალიზაციის ხერხები განსხვავდება იმ ეკონომიკური გარემოს ბუნებისაგან,რომელშიც მოქმედებს და გამოიყენება ფასები.

ფასის უპირველესი ფუნქციაა **გამზომი ფუნქცია**.ფასის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საქონლის ღირებულების გაზომვა,სხვანაირად რომ ვთქვათ,ფულის რა რაოდენობა უნდა გადაიხადოს მყიდველმა,ხოლო გამყიდველმა რამდენი უნდა მიიღოს გაყიდულ საქონელზე.

გამზომი ფუნქციის მეშვეობით ფასი იძენს **სააღრიცხვო ფუნქციას**.საქონელთა რაოდენობისა და ხარისხის მაჩვენებლების მატერიალურ-ნივთობრივი გამოხატულებიდან,ადექვატურ,ფულად ერთეულებში გადაყვანით,ფასი აღრიცხვის დამხმარე ინსტრუმენტი ხდება.

აღრიცხვასთან ერთად ფასი როგორც გამზომი,შეიძლება იყოს ანალიზის,**პროგნოზირების** და **დაგეგმვის** მნიშვნელოვანი **ინსტრუმენტი**,რომლის დროსაც გამოიყენება მაჩვენებლები ფულად გამოხატულებაში.

ფასების ჩამოთვლილი ფუნქციებიდან გამომდინარეობს მათი გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკური პროცესების რეგულირების ინსტრუმენტის სახით.საბაზრო ეკონომიკაში ფასები მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების ძირითადი ინსტრუმენტია,რომელიც მწარმოებლისა და საქონელთა გამყიდველის ფულად მოთხოვნას აკავშირებს მათ ანაზღაურებასთან,მომხმარებლის,მყიდველის საპასუხო რეაქციასთან.ამასთან,თვითრეგულირებადი ფასი იბადება რეგულირების პროცესში და ამ თვალსაზრისით რეგულირებადია.ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა საუბარი **სასაქონლო-ფულადი პროცესების თვითრეგულირების** ფუნქციის შესახებ,წონასწორობითი,ე.ი.თვითდაწესებადი ფასების დახმარებით,რომელთა დონე მოთხოვნისა და მიწოდების გამოთანაბრებას შეესაბამება.არასაბაზრო ეკონომიკაში ასეთი ფუნქციები იძულებით თავს მოეხვევა ეკონომიკას.

ფასი შეიძლება ასრულებდეს **გამანაწილებელ ფუნქციასაც**,რომელიც ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნის გადანაწილების ხარჯზე,საქონლის მიწოდებაზე,არასაკმარისი პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე და ჭარბი საქონლის წარმოების შემცირებაზე ზეგავლენის შესაძლებლობაში მდგომარეობს.საბოლოო ჯამში ინვესტიციები უპირატესად სუსტადგანვითარებულ დარგებში წარიმართება,სახსრების,მოძველებული დარგებიდან გადინების ხარჯზე.

ფასი ასრულებს ძალზე მნიშვნელოვან **სოციალურ ფუნქციას**.ფასებთან და მათ ცვლილებებთან დაკავშირებულია საქონელთა და მომსახურების მოხმარების მოცულობა,ხარჯები,ცხოვრების დონე,სასიცოცხლო მინიმუმი,ოჯახის სამომხმარებლო ფუნქცია.ადამიანთა სოციალური რეაქცია ფასების დონეზე და მისი ცვლილება საგრძნობი და მაღალია.

საშინაო ფუნქციებთან ერთად ფასები ასრულებენ **საგარეო ეკონომიკურ ფუნქციებსაც.**

როგორც საბაზრო,ისე არასაბაზრო ეკონომიკაში ფასები **მასტიმულირებელ ფუნქციას** ასრულებენ,ზეგავლენას ახდენენ რა მწარმოებელთა დაინტერესებაზე პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ხარისხის გადიდებაში,გაყიდვიდან ამონაგების გადიდების მიზნით.

საბაზრო ეკონომიკაში ფასები გათავისუფლებულია რიგი ფუნქციისაგან,მაგალითად,საგეგმოსაგან და ძირითადში გამოიყენებს როგორც წმინდა საბაზრო რეგულატორებს და სტიმულატორებს,რომლებიც ნამდვილად ფულად შინაარსს განასახიერებს.

ფასი ობიექტური კატეგორიაა,მისი სიდიდე განპირობებულია მოთხოვნისა და მიწოდების და ფულადი მიმოქცევის მოქმედებით.

სახელმწიფო ფასებიდან საბაზროზე გადასვლა არ შეიძლება წამიერი იყოს,ამიტომ შეუძლებელია მთლიანად თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს რეგულარული ზემოქმედება ფასებზე საფასო მექანიზმზე,საფასო პოლიტიკაზე.

3.ფასების სახეები

ფასზე თავის დაღს ასვამს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის სახეობა,რომელთა მეშვეობით საქონელი რეალიზდება.ამ ნიშნით ფასები იყოფა საბითუმო,საცალო,შესყიდვის ფასებად და ტარიფებად.

საბითუმო ეწოდება ფასებს რომლითაც პროდუქცია რეალიზდება მსხვილი პარტიებით,ე.წ.საბითუმო ვაჭრობის პირობებში.

საცალო ეწოდება ფასს,რომლითაც საქონელი იყიდება საცალო ვაჭრობის ქსელში,ე.ი.ინდივიდუალურ მომხმარებლებზე მათი გაყიდვის პირობებში,თითოეული გაყიდვის შედარებით მცირე მოცულობის დროს.

შესყიდვის ფასები-ესაა საწარმოების,ორგანიზაციების,მოსახლეობისაგან სახელმწიფო შესყიდვის ფასები.ევროპის ეკონომიკურ პრაქტიკაში იყო და განსაზღვრული ზომით გრძელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა მწარმოებლებისაგან,შესყიდვის ფასებით.

მომსახურების ,როგორც საქმიანობის ფორმის სპეციფიურობა განაპირობებს ფასების ფორმირებას მომსახურებაზე,რომელსაც **ტარიფებს (შეფასებებს)** უწოდებენ.

რეგულირების ხარისხისა და ხერხის მიხედვით ფასების იყოფა მკაცრად ფიქსირებულ,რეგულირებად,სახელშეკრულებო და თავისუფალ ფასებად.

მკაცრად ფიქსირებული მტკიცე ფასები ფასწარმოქმნის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ წესდება,მათი დონე დოკუმენტურად ფიქსირდება.არც საქონლის მწარმოებლებს და არც გამყიდველებს არ გააჩნიათ ასეთი ფასის სიდიდის შეცვლის უფლება რომელიმე მხარეს,ასეთი შეცვლა კანონით ისჯება.

რეგულირებადი ფასები ასეთად იმიტომ იწოდება,რომ მათი სიდიდე სახელმწიფო ორგანოების მიერ რეგულირდება.რეგულირების დროს ფასზე მოქმედება სახელმწიფოს მხრივ შეზღუდულ,ირიბ ხასიათს ატარებს და ხორციელდება საქონლის **მოთხოვნისა და მიწოდების შეცვლაზე ზემოქმედების** მეშვე-

ობით.ზოგჯერ რეგულირება ფასის სიდიდის შეზღუდვაზე დაიყვანება საქონელთა განსაზღვრულ ჯგუფებზე.

სახელშეკრულებო ფასები-ისეთი ფასებია,რომელთა სიდიდე განსაზღვრულია ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებით,მყიდველებსა და გამყიდველებს შორის დაკუმენტურად დაფიქსირებული კონტრაქტით.

თავისუფალი საბაზრო ფასები,როგორც თვით დასახელებიდანაა ნათელი,გათავისუფლებულია სახელმწიფო ორგანოების უშუალო მიზნობრივი ზემოქმედებისაგან,ყალიბდება ბაზრის კონიუნქტურის,მოთხოვნისა და მიწოდების კანონების ზემოქმედებით და წონასწორობითი ფასების სახელწოდებას ატარებს,ე.ი.ისეთი ფასებისა,რომელთა დროსაც მოთხოვნის მოცულობა ბაზარზე საქონელთა მიწოდების ტოლია.

ეკონომიკურ ანალიზში,დაგეგმვასა და სტატისტიკაში,ასევე საკვლევი მიზნებით გამოიყენება **შესადარი**,ანუ როგორც ზოგჯერ უწოდებენ,**უცვლელი ფასები**.ასეთი ფასების გამოყენება ობიექტურად აუცილებელია მრავალი ფასის,ინფლაციის პროცესების ბუნებრივი ცვლილებით.შესადარი,უცვლელი ფასების გამოყენების მცდელობისას გამოიყენება **ფასების ინდექსი და ინფლაციის დონის მაჩვენებელი.**

ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება **რეალური ფასები**,რომლებიც წარმოადგენს ფასს ფულად გამოხატულებაში,ფასების საერთო დონის თვალსაზრისით.

ნაკეთობათა ახალი სახეობების დაპროექტების პროცესში გამოიყენება **საპროექტო ფასები**.მათი მიახლოებითი,საორიენტაციო ხასიათის გათვალისწინებით, ხშირად გამოიყენება ასევე ახალი ფასების ზღვრული დონე **სალიმიტო ფასების** სახით. უფრო ფართო გაგებით ფასების ყველა სახეობას,რომლებიც გაანგარიშების მეშვეობით განისაზღვრება,**საანგარიშოს** უწოდებენ,ხოლო მომავალში მოსალოდნელ ფასებს-**მოსალოდნელს.**

საქონელთა და მომსახურების რიგი ფასები ფიქსირდება დოკუმენტურ ფორმაში,პრეისკურანტების სახით.რიგი ფასები,რომლებიც წარმოდგენილია ასეთ დოკუმენტებში,**საპრეისკურანტო ფასები** ეწოდება.

საგეგმო-მმართველობით სამუშაოთა განხორციელების მსვლელობაში გამოიყენება საპროგნოზო და გეგმური ფასები,რომლის არსი თვით დასახელებიდან ჩანს.

საკმაოდ ხშირად ფასების სახეობები განსაზღვრულია ბაზრის სახეობით,რომელზეც იგი იქმნება.ამ ნიშნით გამოყოფენ **საბირჟო,სააუქციონო საკომისიო** ფასებს.

სხვადასხვა ქვეყანაში ერთტიპიურ საქონელზე სხვადასხვანაირი ფასების არსებობა იწვევს **მსოფლიო ფასების** გამოყენების აუცილებლობას.

ამასთან,ფასების განსაკუთრებული კატეგორიაა არაოფიციალური,ე.წ.შავი ანუ ჩრდილოვანი ბაზრის ფასები.

4.ფასწარმოქმნის ხარჯვითი მექანიზმი

ფასწაროქმნის მექანიზმი-წარმოადგენს კავშირს,ერთი მხრივ,ფასსა და ფასწარმომქმნელ ფაქტორებს შორის დან მეორე მხრივ, ფასის ფორმირების ხერხს,მისი წარმოშობისა და ფუნქციონირების,დროში ცვლილების პროცესის ტექნოლოგიაა.ხსენებული ხარჯვითი მექანიზმის არსი ისაა,რომ საქონლის ფასის სიდიდე უშუალო დამოკიდებულებაში იქნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯზე,რომლებიც დანახარჯებია ფულად ფორმაში,საქონლის ერთეულის წარმოებასა და რეალიზაციაზე.

ცხადია,ხარჯვითი მეთოდი ვერ უზრუნველყოფს ფასწარმომქნის პრობლემის სრულ გადაჭრას,რამდენადაც, არსებითად საქონლის ფასის განსაზღვრის ამოცანას ცვლის ფაქტორების ფასის განსაზღვრის ამოცანით,რომელიც დახარჯულია საქონლის წარმოებასა და გაყიდვაზე.

კიდევ ერთი თავისებურება,რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ ხარჯვითი მექანიზმის დახასიათებისას,ესაა დანახარჯების სახეობის დადგენა,რომლის საფუძველზეც წესდება ფასი.უმეტესწილად გამოიყენება **საშუალო ხარჯები** საქონლის ერთეულზე,წარმოებულ და გასაყიდ საქონელთა მთელი რაოდენობიდან.მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს **ზღვრული ხარჯებიც**,რომელშიც იგულისხმება საერთო ხარჯების ნამატი,განპირობებული წარმოებისა და გაყიდვის გადიდებით ერთი ერთეულით.ფართოდ გავრცელებულია ხარჯების განსაზღვრა **კალკულაციის** საფუძველზე,ე.ი.ხარჯების ბუღალტრული გაანგარიშება,ცალკეული ელემენტების მიხედვით.

მთლიანად ეკონომიკაში დანახარჯების დიდი ნაწილი მოდის შრომაზე,ამიტომ ნებისმიერი პროდუქტის ფასის ძირითადი შემადგენელია შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დანახარჯები,რაც დახარჯულია,როგორც საქონლის, ისე მასალების წარმოებაზე,რომლისგანაც იგი იწარმოება.

გარდა შრომის ანაზღაურების ხარჯებისა,ნებისმიერი მეწარმე უწევა ძირითადი კაპიტალის მოზიდვის ხარჯებს,და მაშასადამე,ფასი ამ ხარჯებს უნდა მოიცავდეს.

ხარჯების სიდიდეზე არსებით ზეგავლენას ახდენს **დროის ფაქტორი.**ამ შემთხვევაში იყენებენ ისეთ კატეგორიას,როგორიცაა **თანამედროვე ღირებულება,**რაც იმ თანხის ტოლია,რომელიც დღეს უნდა დაგვებანდებინა,დაგვეხარჯა რათა აღნიშნული ანაზღაურება მიგვეღო განსაზღვრული მომენტისათვის მომავალში.კაპიტალური აქტივის (მანქანის,მოწყობილობის,შენობის) თანამედროვე ღირებულების განსაზღვრისათვის უნდა გავითვალისწინოთ მის მიერ მოტანილი წლიური შემოსავალი,მიღებული საიჯარო გადასახადის ან პროდუქტის გამოშვების გადიდების სახით,მისი გამოყენების შედეგად,აქტივების ფლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ტექნიკური შენახვისა და მიმდინარე რემონტის შენახვის ხარჯების გამოკლებით.ამასთან,კაპიტალური აქტივების თანამედროვე ღირებულების დადგენისას საჭირო ხდება დანახარჯების **დისკონტირება,**ე.ი.მათი დაყვანა დროის მიხედვით.

ხარჯვითი მეთოდი ემყარება დადგენილ ფასებს,გამომდინარე წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებიდან.მაგრამ,აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს,რომ ასეთი მიდგომის თანახმად საქონლის ფასი საქონლის ერთეულის წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების ტოლია.

ხარჯვით საფასო მექანიზმს რა ზომით შეუძლია გამოავლინოს თავისი ზეგავლენა ეკონომიკაზე?იგი ზემოქმედებს,უწინარეს ყოვლისა, მიწოდების ფასზე.გამყიდველი ბაზარზე საკუთარ საქონელზე მოითხოვს ისეთ ფასს,რომელიც,ყოველ შემთხვევაში წარმოებისა და მიმოქცევის ერთობლივ ხარჯებზე ნაკლები როდია და მოგების მიღების სურვილიც გააჩნია.ასე,რომ გამყიდველები ბაზარზე ფასწარმოქმნის ხარჯვითი მოდელიდან გამოდიან.მაგრამ,იქ სადაც ბაზრის კანონები მოქმედებს,ისინი იძულებული არიან იმავდროულად რეაგირება მოახდინონ მოთხოვნაზე,მყიდველის საფასო რეაქციაზე და არა მხოლოდ თავის დანახარჯებზე,მიწოდების ფასის,მოთხოვნის ფასთან მიახლოებით.ამ თვალსაზრისით გამოყოფენ **სალიკვიდაციო ფასს,**რომელიც შეიძლება საშუალო ცვალებადი ხარჯებისა და უზარალობის ფასის მინიმალურ დონეზე დაბალი იყოს,რაც საშუალო ერთობლივი ხარჯების მინიმალური დონის ტოლია მოკლევადიან პერიოდში ან ერთობლივი ხარჯების მინიმალური დონისა ხანგრძლივვადიან პერიოდში.

5.ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმი

ფასნარმოქმნის მექანიზმს საბაზროს უწოდებენ,თუკი იგი ბაზარზე მოქმედებს.მაგრამ,მრავალი სახეობის ბაზარი არსებობს

და გამომდინარე აქედან ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმში მრავალი მექანიზმი იგულისხმება.ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმს ასევე ის თავისებურება გააჩნია,რომ მისი „ზამბარებისა და ჭანჭიკების" მოქმედება უხილავია,განსაკუთრებით შეუიარაღებელი თვალისთვის.ა.სმითი,ტყუილად როდი უწოდებდა მას „უხილავ ხელს".აუქციონის ან ელემენტარული ურთიერთვაჭრობის დროს მყიდველსა და გამყიდველს შორის ჩვენ ვხედავთ და გვესმის მხოლოდ გამყიდველთა და მყიდველთა რეაქცია ვაჭრობაში მონაწილე ყოველი მხარის მიწოდებაზე.

საფასო პოლიტიკის შემუშავების გავრცელებული მეთოდია მრავალეტაპობრივი მიდგომა ფასების დაწესებისადმი.გამოყოფენ **ფასწარმოქმნის სამ ძირითად მიზანს:**

- რეალიზაციის ზრდა და ბაზრის წილის მაქსიმიზება;
- მოგების მაქსიმიზება;
- უზარალო არსებობის უზრუნველყოფა;

ფასის ფორმირების სტრატეგიის ფორმირებამდე ფირმამ უნდა გაანალიზოს ყველა საგარეო და საშინაო ფაქტორი,რომელიც ზეგავლენას ახდენს ფასების შესახებ გადაწყვეტილებებზე.ჯ.ევანსმა და ვ.ბერმანმა გამოყვეს **ხუთი ძირითადი ფაქტორი,**რომლებიც ყველაზე მეტ ზეგავლენას ახდენენ ფასის დაწესებაზე:მომხმარებლები,მთავრობა,გასაღების არხების მონაწილეები,კონკურენტები,წარმოების ხარჯები.

ბაზარზე ან მის სეგმენტზე ამა თუ იმ საფასო პოლიტიკის გატარებისას ფირმას შეუძლია გამოიყენოს ფასის გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი.ფ.კოტლერმა გამოყო შემდეგი მეთოდები:

1.ფასის დაწესება მეთოდით „საშუალო ხარჯებს პლუს მოგება".ეს ფასწარმოქნის ყველაზე მარტივი მეთოდია.იგი არ ითვალისწინებს მიმდინარე მოთხოვნის და კონკურენციის თავისებურებებს და ოპტიმალურ ფასზე გასვლის საშუალებას არ იძლევა.

2.ფასის დაწესება უზარალობის ანალიზისა და საფასო მოგების უზრუნველყოფის საფუძველზე.ამ მეთოდის საფუძველია ფირმის სურვილი დააწესოს ისეთი ფასი,რომელიც უზრუნველყოფს საჭირო მოგებას.იგი ფირმისაგან მოითხოვს ფასების სხვადასხვა ვარიანტების განხილვას,მათ ზეგავლენას რეალიზაციის მოცულობაზე,რაც აუცილებელია უზარალობის დასაძლევად და მიზნობრივი მოგების მისაღებად.

3.ფასის დაწესება საქონლის ფასეულობის საფუძველზე.საქონლის ფასეულობის შეფასების კრიტერიუმია არა მწარმოებლის

დანახარჯები,არამედ სამომხმარებლო აღქმა,რომლის ფორმირებისათვის ფირმები იყენებენ ზემოქმედების არასაფასო ხერხებს.

4.ფასის დაწესება მიმდინარე ფასების დონის საფუძველზე.მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ორიენტირია კონკურენტების ფასები.

5.ფასის დაწესება დახურული ვაჭრობების საფუძველზე.კონკურენტული ფასწარმოქმნა გამოიყენება ვაჭრობათა მსვლელობაში ფირმათა ბრძოლის შემთხვევებში.

საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მიღწევადია მხოლოდ მაშინ,როდესაც ფასები ბაზარზე წესდება თავისუფლად,მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებით.

ფასი ფირმის საქმიანობის კომპლექსური მაჩვენებელია,რომელიც გულისხმობს:ჯერ-ერთი,საწარმოს სასაქონლო პოლიტიკას,მეორე,საფასო პოლიტიკას,მესამე,საქონელთა გასაღებას, რეალიზაციას,მეოთხე,მოთხოვნის ფორმირებას.

6.ინფლაცია:არსი და სახეები

ფასწარმოქმნისა და ფასების ცვლილებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მოვლენას,როგორიცაა ინლაცია,რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ეკონომიკაში და მისი განუყოფელი თვისება გახდა.ბაზარზე გადასვლით ჩვენმა ეკონომიკამ სრულად გაითავისა ინფლაცია.

ინფლაცია ნიშნავს ფულადი ერთეულის გაუფასურებას,მისი მყიდველობითი უნარის შემცირებას.იგი ქაღალდის ფულის მიმოქცევის ავადმყოფობაა,როდესაც ფული კავშირს კარგავს ოქროსთან.ასეთ შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის მოცულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს:თუკი იგი აჭარბებს საქონლის მიმოქცევის მოთხოვნებს,აღმოცენდება ინფლაცია-როგორც ჭარბი ფულადი მასის შედეგი.

ინფლაცია დამანგრეველია საბაზრო ეკონომიკისათვის.რამდენადაც იგი გამოიხატება ყველა ფასის დონის **საერთო** გადიდებით,მას შემდეგი ნეგატიური შედეგები გააჩნია.

უწინარეს ყოვლისა უფასურდება ფული,ირღვევა დამკვიდრებული პროპორციები საქონელთა ფასებს შორის.გამყიდველს და მყიდველს სულ უფრო უძნელდება ოპტიმალური ეკონომიკური-გადაწყვეტილების მიღება.

ერთი სიტყვით,ინფლაცია საბაზრო პროცესების „დეზორგანიზებით“ „აფეთქებს“ წარმოებას და მოხმარებასაც,საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის გაძლიერებით.

განასხვავებენ ინფლაციის სამ სახეობას:დაბალს (მცოცავი),გალოპირებულს,ჰიპერინფლაციას.**დაბალი** (მცოცავი) ინფლაცია ხასიათდება ფასების თანდათანობითი და განჭვრეტადი ზრდით.როდესაც ფასები შედარებით სტაბილურია,ადამიანები ენდობიან ფულს.ისინი სიამოვნებით იყენებენ მას,რადგანაც რამდენიმე თვით შემდეგ ისევ იგივე ფასეულობა ექნება,როგორიც დღეს.დაბალი ინფლაცია შეინიშნება უკანასკნელ ათწლეულში მრავალ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში.

გალოპირებული ინფლაცია-ისეთია,როდესაც ზრდის ტემპები ორ და სამნიშნა ციფრით გამოიხატება,20-დან 200%-მდე.ეს სენი დროდადრო შეინიშნება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში(იტალია,იაპონია).მრავალი ლათინურ—ამერიკული ქვეყანა,მაგალითად,არგენტინა,ბრაზილია,70-80-იან წლებში ინფლაციის მაღალ ტემპებს განიცდიდა,50-დან 700%—მდე წელიწადში.

როგორც კი გალოპირებული ინფლაცია სტაბილურობას იძენს,ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებები ხდება.ამ პერიოდში კონტრაქტების უმრავლესობა რომელიმე უცხოურ ვალუტაში გამოიხატება,მაგალითად დოლარებში.ასეთ პირობებში ფული კარგავს ფასეულობას და ადამიანები ცოტას ინახავენ.

ჰიპერინფლაცია,ინფლაციის ყველაზე „მძიმე“ სტადიაა,ასე ვთქვათ „სიკვდილისწინა ბოდვა“.ჰიპერინფლაციისადმი ინტერესს ხშირად იმით ხსნიან,რომ იგი თვალნათლივ გვიჩვენებს დამანგრეველ ეფექტს ეკონომიკისათვის.მან არნახული ტემპები მიიღო 20-იან წლებში გერმანიაში,სადაც 1922წ.იანვრიდან 1923წ.დეკემბრამდე ფასების ინდექსი 1-დან 10000000000-მდე გაიზარდა.

ეკონომიკის მდგომარეობას,როდესაც ინფლაციას თან ახლავს წარმოების დაქვეითება,**სტაგფლაციას** უწოდებენ.ზოგჯერ,ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ფასების დაცემა,ამ შემთხვევაში ამბობენ ან უარყოფითი ინფლაციის,ანუ **დეფლაციის** შესახებ.

ეკონომიკურმა თეორიამ გაბსნა ინფლაციის გამომწვევი მექანიზმი(რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი).

პირველი მიზეზი ისაა,რომ თანამედროვე ფულადი მიმოქცევა ხორციელდება „ქაღალდის“ ნიშნებით,რომელმაც გაწყვიტა კავშირი ოქროსთან.„ოქროს ფულის“ ეპოქაში მისი სიჭარბე დაიძლევა ოქროს „ნასვლით“ მიმოქცევის სფეროდან დაგროვების სფეროში.ხოლო ქაღალდის ფულის-რომელიც მხოლოდ მიმოქცე-

ვის საშუალებაა,ოქროს მსგავსად დაგროვება უაზრობაა.მაგრამ,ოქროს ფულისაგან განსხვავებით,ოქროს ფული ვერსად ვერ წავა:მიმოქცევის სფერო-მისი ერთადერთი სავანეა.

ამრიგად,ინფლაციის პირველი მიზეზი-თანამედროვე ფულადი მიმოქცევის „ქაღალდისეული" ხასიათი,რამდენადაც მოხსნილია ქაღალდის ფულის ემისიის შეზღუდული,მათი ოქროთი უზრუნველყოფის კანონით განსაზღვრული მოცულობის სახით.

მაგრამ,იქნებ მაშინ ჯობდეს „ოქროს" ფულზე დაბრუნება?სამწუხაროდ ეს ახლა შეუძლებელია:ის რაც წინათ ოქროს როგორც ფულის ღირსება იყო(მისი საკუთარი მაღალი ღირებულება,ახლა ნაკლად გადაიქცა.სწორედ ქაღალდის ფულის ოქროს „საწონისაგან" გათავისუფლებული ბუნება გადააქცევს მას საქონელთა ფასების მოძრაობის იდეალურ ოპერატიულ ინიდიკატორად.

მეორე მიზეზი-ცივილიზებული სახელმწიფოს ხარჯების მუდმივი ზრდაა საერთო ეროვნული ეკონომიკური და სოციალური პროგრამების (თავდაცვითი სისტემა,უმუშევრობისადმი დახმარება,ნაკლებუზრუნველყოფილთა დახმარება,დანახარჯები მეცნიერებაზე,განათლებაზე,ეკოლოგიაზე და ა.შ.)დაფინანსებაზე.

ინფლაციის ორივე დასახელებული მიზეზი ერთიანდება „მოთხოვნის ინფლაციაში",რამდენადაც ესაა მოთხოვნა დამატებით ფულზე მოთხოვნის,მოხმარებელთა მხრიდან.

ინფლაციის **მესამე მიზეზი**-ფულზე მოთხოვნაა მწარმოებელთა მხრივ(ამიტომ მიიღო მან „დანახარჯების ინფლაციის" სახელწოდება.საქმე ისაა,რომ პოსტინდუსტრიული წარმოების ხარჯების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს „ხელფასს" და რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება,მით უფრო დიდია მისი სიდიდე.საქონლის ფასების ზრდა იწვევს „ფასები-ხელფასი" სპირალის დაშლას:რაც უფრო მაღალია ფასები,მით მეტი უნდა იყოს ხელფასი,ხოლო რაც უფრო მაღალია ეს უკანასკნელი,მით მაღალია წარმოების ხარჯები(და წარმოებრივ საქონელთა ფასები).ამ თვალსაზრისით ვლაპარაკობთ „დანახარჯების ინფლაციაზე".

XX საუკუნის 30-იან წლებამდე ინფლაცია ცალსახად ნეგატიურ მოვლენად ითვლებოდა.მაგრამ 30-იან წლებში საბაზრო ეკონომიკამ უდიდესი შერყევა განიცადა „დიდი დეპრესიის" სახით.

ცხადია გახდა,რომ კლასიკური მიდგომა რომელმაც აღიარა საბაზრო ეკონომიკის მხოლოდ თვითრეგულირება,მოძველდა.სა-

ჭირო იყო საბაზრო ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფო ჩარევის მეშვეობით.ამასთან იგი უნდა იყოს ირიბი.

საბაზრო ეკონომიკაში ირიბი ჩარევის ასეთი ინსტრუმენტი დამუშავებულ იქნა ჯ.კეინზის თეორიაში.იგი ინფლაციის „რეაბილიტაციის" კონცეფციის ფუძემდებელი გახდა და ამით თავისებური გადატრიალება მოახდინა ეკონომისტთა შეხედულებებში.ამ თეორიის თანახმად სახელმწიფოს აქტიური საფინანსო პოლიტიკა,რომელიც სტიმულს აძლევს მოთხოვნას დეპრესიის პერიოდში,შეუძლია უზრუნველყოს წარმოების ზრდა და უმუშავრობის შემცირება.

კეინზის მსჯელობის არსი შემდეგში მდგომარეობდა.დამატებითი ფულადი ემისია ნიშნავს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდებას.თავის მხრივ,ასეთი ზრდა საქონელთა მიწოდების გადიდების სტიმული უნდა გახდეს.ეს იმიტომ მოხდება,რომ მყიდველთა ფულზე გამოკიდებით მწარმოებლები გააფართოებენ წარმოების მოცულობას და ამით უზრუნველყოფენ გაზრდილი გადახდისუნარიანობის საქონლურ დაფარვას.

ეს თეორიული მსჯელობა ტრანსფორმირებულ იქნა ეკონომიკურ პოლიტიკად,რომელმაც **„ჯონტროლირებადი ინფლაციის"** სახელწოდება მიიღო.

ერთადერთი ძალა საბაზრო ეკონომიკაში,რომელსაც შეუძლია მწარმოებლის წარმოებით და არა სპეკულაციის დასაქმებაა,ესაა **თავისუფალი კონკურენცია მწარმოებლებს შორის.**

60-იანი წლებიდან დამყარდა **მონეტარიზმის** ეპოქა-კონცეფციისა,რომელიც თვლის,რომ საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობა ძირითადად დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის რეგულირებაზე.მონეტარისტული მიდგომის არსი გამოხატულია მის ცნობილ დებულებაში:„ფულს აქვს მნიშვნელობა".

მონეტარიზმის პრაქტიკა მდგომარეობს იმ ღონისძიებათა გატარებაში,რომლებიც კეინზური „რეცეპტების" საპირისპიროა:სახელმწიფო ხარჯებისა და ფულადი მასის ზრდის შეზღუდვაა.თუკი კეინზური მიდგომა ნიშნავდა მოთხოვნის სტიმულირებას(იმ იმედით,რომ ამით გამოეწვიათ „ჯაჭვური რეაქცია",მიწოდების ზრდის სახით),მონეტარიზმი,პირიქით,სტიმულს აძლევს მიწოდებას,რომლის შედეგი უნდა გახდეს მოთხოვნის ზრდა.„მოთხოვნიდან",„მიწოდებისაკენ":**ასეთია კეინზური განმარტებიდან მონეტარისტულზე გადასვლა.**

მონატერისტები აყენებენ შემდეგ ანტიინფლაციურ ღონისძიებებს:

--მეწარმეობის პირდაპირ სტიმულირებას(გადასახადების შემცირების ინვესტირებულ მოგებაზე),

--სახელმწიფო ხარჯების შემცირებას,

--საინვესტიციო დანაზოგების მატების სტიმულირებას(მოსახლეობის მიერ საკუთარი დანაზოგების ბანკებში ან ფასიან ქაღალდებში განთავსებას).

მონეტარისტული პოლიტიკა -მკაცრი პოლიტიკაა,იგი მოითხოვს სიმკაცრეს და გულგრილია დემაგოგიისა და ისტერიის მიმართ.განსხვავებით კეინზელობისაგან,მონეტარიზმმა დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია ფასის ფუნქციები?
2.რას ეწოდება ტარიფები?
3.რას უწოდებენ საანგარიშო ფასებს?
4.რას უწოდებენ ზღვრულ ხარჯებს?
5.რა არის თანამედროვე ღირებულება?
6.რას ეწოდება ინფლაცია?
7.რა არის სტაგფლაცია?

თავი მერვე

ბირჟები და საბირჟო ოპერაციები

1.საბირჟო ვაჭრობის საგანი და ბირჟების სახეები

განვითარებულ საბაზრო მეურნეობაში ბირჟები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა.ბირჟა-ჯერ-ერთი განსაზღვრული საქონლის რეგულარული ვაჭრობის ადგილი და სავაჭრო შუამავალია,რომელიც ხელს უწყობს გარიგებათა გაფორმებას ნედლეულის,ვალუტის,ფასიანი ქაღალდების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის,მეორე,იგი იურიდიულ და ფიზიკურ პირთა გაერთიანებაა,რომლებიც ამ ვაჭრობებს აწყობენ და მათი ჩატარების წესებს შეიმუშავებენ,მესამე,განსაკუთრებული ფასწარმომქმნელი მექანიზმია,რაც მისი მთავარი ნიშანია,რომელიც განსაზღვრავს ბირჟათა ადგილს ქვეყნის ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში.

როგორც ზემოაღნიშნული განმარტებიდან ჩანს,ბირჟები მრავალფუნქციურია.ბირჟათა ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება:

1.ყიდვა-გაყიდვის პროცესის ორგანიზება,რომელიც არა მხოლოდ ვაჭრობის ადგილის გამოყოფაში,არამედ გამყიდველთა და მყიდველთა რეალური შეხვედრის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.თუკი თავდაპირველად ბირჟა საბითუმო ვაჭრობის ადგილი იყო,სადაც გამყიდველებს თავიანთი საქონელი მიჰქონდათ;დღეისათვის იგი არა მარტო საქონელთა პირდაპირი,უშულოდ ყიდვა-გაყიდვის,საქონელთა ფულზე გაცვლის ადგილია,არამედ ამა თუ იმ საქონელზე გარიგებათა დადების ადგილიცაა.

2.სპეკულაციისადმი კონტროლი,რომელიც ხორციელდება საბირჟო ინფორმაციის მაქსიმალური საჯაროობის პრინციპის დაცვით და სავაჭრო სესიებზე საფასო მერყეობათა ლიმიტის დაწესება.

3.დაზღვევა ვადიანი ინსტრუმენტების მეშვეობით,რომელიც ფასების განსაზღვრულ კორექტირებას წარმოადგენს,რაც უზრუნველყოფს რისკის ურთიერთდაფარვას.მაგალითად,უფრო მაღალი მოსალოდნელი ფასის პირობებში,მყიდველი შეძენის მომავალი ფასის დაფიქსირებით იზღვევს საკუთარ თავს დანაკარგებისაგან.

ბირჟების აღნიშნულ,განმსაზღვრელ ფუნქციებთან ერთად არსებობს დამხმარე ფუნქციებიც:

1.ფასების კოტირება,რომელიც ემყარება საბაზრო მოთხოვნას და მიწოდებას (მიუხედავად მოცემული ფუნქციის თვით ბირჟისთვის მეორეხარისხოვნებისა,მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ეს ბირჟის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა);

2.სტანდარტების დაწესება საბირჟო საქონელზე ისეთ პირობებში,როდესაც საქონელი-არ იყიდება ბაზარზე,არამედ იდება საბირჟო გარიგებები,უფრო მოხერხებული ხდება წონის,მოცულობის,ხარისხის მიხედვით სტანდარტიზებული საქონელი;

3.ტიპიური კორექტირების შემუშავება ბირჟის წევრებისათვის,რომელიც გარიგებათა დადებაში ეხმარება მონაწილეებს;

4.ვაჭრობის წესების შემუშავება და სავაჭრო წეს-ჩვეულებების ფიქსაცია,რომელიც ვაჭრობის უფრო გონივრულ და ეფექტიან ფუნქციონირებას იწვევს;

5.ბირჟის წევრებთან ანგარიშსწორების გამარტივებული პროცედურა,რომელიც დროის ეკონომიისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების საშუალებას იძლევა.საანგარიშსწორებო სამსახურები ახორციელებენ ურთიერთვალდებულებათა და მოთხოვნათა კლირინგს.

6.საინფორმაციაო ბიულეტენების გამოშვება გასაყიდ საქონელთა კოტირებებით და სხვა მასალებით,რომლებიც აშუქებენ ბირჟაზე ვაჭრობათა მსვლელობას.

7.კლიენტებისადმი სხვადასხვა მომსახურებათა აღმოჩენა,რომელთა სპექტრი მუდმივად ფართოვდება.

ამ ფუნქციების შესრულება ბირჟების მიერ გაზრდის საქონელთა ყიდვა-გაყიდვის ეფექტიანობას.

საბირჟო ვაჭრობის ობიექტიდან გამომდინარე განასხვაებენ შემდეგ ბირჟებს:**საქონელთა ბირჟები** დამოუკიდებელი სპეციალიზებული არასახელმწიფოებრივი დაწესებულებებია,სტანდარტიზებულ,მატერიალურ-ნივთობრივ, საქონელთა ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა სავაჭრო ოპერაციების ჩასატარებლად.ეს რეგულარულად ფუნქციონირებადი,ორგანიზებული,განსაზღვრული წესებით და განსაზღვრულ ადგილზე მოქმედი საბითუმო ბაზარია.საბირჟო ვაჭრობის ძირითადი საგანია ადვილად სტანდარტიზებადი,ე.წ.საბირჟო საქონელი რომელსაც მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ნედლეულის თითქმის ყველა სახეობა (ნავთობი,ლითონები,მერქანი და ა.შ.),სოფლის მეურნეობის პროდუქცია,ადვილადსტანდარტიზებადი სამრეწველო საქონელი და სხვა.

საფონდო ბირჟები-ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთერთი მთავარი მოქმედი პირია,რომელიც წარმოდგენილია დამოუკიდებელი დაწესებულებებით,რომლებიც სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას არეგულირებენ და აკონტროლებენ.განსხვავებით ფასიანი ქაღალდების გაყიდვისა მათი ემიტენტების მიერ პირველად ბაზარზე,საფონდო ბირჟები ემსახურებიან **ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარს**,რომელზეც მიმოიქცევა ადრე გამოშვებული ქაღალდები.სხვანაირად რომ ვთქვათ,საფონდო ბირჟები დასაქმებული არიან ფასიანი ქაღალდების გადაყიდვით და მოწოდებული არიან იყვნენ თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზების ინსტრუმენტი, ფასიანი ქაღალდის გაყიდვის გზით,კაპიტალთა გადადენის ხელშემწყობნი ქვეყნებს,საოჯახო მეურნეობებსა და საწარმოებს შორის.

სავალუტო ბირჟები უცხოური ვალუტის შემადგენელი ნაწილი და მისი წამყვანი რგოლია.ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ისინი წარმოდგენილი არიან სააქციო ან სახელმწიფო დაწესებულებებით,რომელთა დახმარებით ხორციელდება სხვა ქვეყნების ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები მოცემული ქვეყნის ბაზარზე.სავალუტო ბირჟათა ძირითადი ფუნქციაა უცხოური ვალუტის ნორმალური მიმოქცევისადმი ხელშეწყობა,სახსრების მობილიზება ფულის ან უცხოური ვალუტის სახით,მათი ურთიერთმიყიდვის გზით,ასევე უცხოური ვალუტის საბაზრო კურსის. რეგულირება.

ფიუჩერული ბირჟები-საქონლურ და საფონდო ბირჟათა თანამედროვე სახეებია,რომელთა გაყიდვის ობიექტებია ფიუჩერები-კონტრაქტები ვალუტის,ფასიანი ქაღალდების,საქონელთა ვადიან მიწოდებაზე,ხოლო განმასხვავებელი თავისებურება-მეტწილ ოპერაციათა ფიქტიური ხასიათი,რამდენადაც გარიგებები ხორციელდება,ხოლო საქონელთა მიწოდება ჩვეულებრივ არ ხდება (ვალდებულებები და მოთხოვნები იხურება საპირისპირო გარიგებებით).გარდა ამისა, ფიუჩერული ბირჟების თავისებურებებს შეიძლება მივაკუთვნოთ დადებული კონტრაქტების პირობების სრული უნიფიკაცია საქონლის რაოდენობისა და ხარისხის,მიწოდების ვადისა და ადგილის თვალსაზრისით და ასევე სავაჭრო ოპერაციათა შედარებით გაუპიროვნება,რამდენადაც იურიდიულად გარიგებათა ერთ-ერთ კონტრაგენტად გამოდის გარიგების გარანტი-ბირჟის საანგარიშსწორებო სამსახური.

ბირჟების ჩამოთვლილ სახეობებთან ერთად არსებობს ასევე მათი სპეციფიკური სახეობა-**შრომის ბირჟები**,რომლებიც შრომითი მოწყობის სახელმწიფო სააგენტოებია.ისტორიულად მათაც

ბირჟები ეწოდება და „ვაჭრობენ" სამუშაო ძალით,ე.ი.შუამავლის ფუნქციას ასრულებენ დაქირავებულ მომუშავეებსა და მათ დამქირავებლებს შორის,სამუშაო ადგილების ძიების,სამუშაო ძალის დაქირავების,დასაქმების რეგულირების პროცესში.ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ მოთხოვნასა და მიწოდებას სამუშაო ძალაზე,გარდა ამისა,გამოდიან უმუშევრებისადმი სოციალური დახმარების ორგანიზაციის როლში.შრომის ბირჟების მნიშვნელოვანი განსხვავება საქონლის,საფონდო,სავალუტო ბირჟებისაგან განპირობებულია სამუშაო ძალის,როგორც საქონლის თავისებურებებით,რაც უშუალოდ დაკავშირებულია თვით მომუშავესთან.შრომის ბირჟა მეტადრე შეიძლება მივაკუთვნოთ საბაზრო ინფრასტრუქტურას,მისი ძირითადი ფუნქციაა დასაქმებისა და უმუშევრობის,უმუშევართა სოციალური დაცვის რეგულირება,მომუშავეთა კვალიფიკაციის შეცვლა ახალი პირობების შესაბამისად.

საქართველოში ბირჟების განვითარებას თავისი დაღი დაასვა საბჭოთა პერიოდმა.რევოლუციამდელმა საბირჟო წარმონაქმნებმა შეწყვიტეს არსებობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.მათი აღმავლობა დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში,მაგრამ სწრაფი განვითარება ვერ ჰპოვა,პირიქით,შემცირება იწყო.

2.ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის ისტორია

თანამედროვე გაგებით ბირჟა-ერთი მხრივ,ესაა კომერციულ შუამავალთა გაერთიანება,რომლებიც აწყობენ და ხელს უწყობენ მსხვილი საჭარო ოპერაციების ჩატარებას,ხოლო,მეორე მხრივ,კი ვაჭრობის ჩატარების ადგილი,რომელიც წინ უძღვის სავაჭრო გარიგებათა განხორციელებას.ფართო გაგებით სასაქონლო ბირჟა-სხვადასხვა საქონელთა მსხვილი ბაზარია,რომლებიც რეალიზდება საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით.

განსხვავებით საბითუმო ბაზრობის,გამოფენა-გაყიდვისაგან,სადაც ვაჭრობა დროებით,ეპიზოდურ ხასიათს ატარებს,სასაქონლო ბირჟა სავაჭრო ოპერაციათა ჩატარების სტაბილური სტაციონარული ფორმაა ფიქსირებული ადგილით,მუშაობის განსაზღვრული დღით და საათებით.ჩანაფიქრის მიხედვით სასაქონლო ბირჟა ორიენტირებულია განსაზღვრულ საქონელზე ან მათ ვიწრო წრეზე.ჩვეულებრივ ეს მასიური,სტანდარტული,არაუნიკალური საქონელია,ისეთი,როგორიცაა მარცვლეული,ნავთობი,ლითონები,შაქარი.ბირჟის კიდევ ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისაა,რომ გასაყიდად შემოთავაზებული საქონელი უმეტეს შემთხვევაში არ იმყოფება ბირჟაზე ფიზიკური

თვალსაზრისით,თავისი ობიექტური რეალობით და ნიმუშებითაც კი,როგორც მაღაზიაში ან ბაზაში.საქონელი იყიდება და ყიდულობენ ბირჟაზე წარმოდგენილი მონაცემების,და მისი ამ მონაცემებისადმი შესაბამისობის გარანტიის საფუძველზე.სხვა სიტყვებით, ბირჟა არ ვაჭრობს საქონლით, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,არამედ ერთმანეთთან აერთებს მოთხოვნას და მიწოდებას,რომელთა შესაბამისად ყალიბდება საქონლის ფასი.

ბირჟების აღმოცენება ევროპაში XVI-XVIII საუკუნეებს ,ე.ი.საბაზრო ურთიერთობათა განვითარებისა და მანუფაქტურის აღმოცენების პერიოდს განეკუთვნება.

საბირჟო ვაჭრობა საერთო აღიარებით თამასუქებიდან დაიწყო,ხოლო პირველი მებირჟე იყო ჰოლანდიელი ვაჭარი ქალაქ ბრიუგედან,რომლის სახელიც მას ეწოდება.

თამასუქებით ვაჭრობის არსი შემდეგში მდგომარეობდა.ექსპორტიორები უცხოეთში გაყიდული საქონლისათვის თამასუქს (ვალდებულებას) ღებულობდნენ უცხოელი მოვაჭრისაგან განსაზღვრული თანხის გადახდაზე,საქონლის გაყიდვას ქვეყნის ვალუტით,რომლებიც საქონელს საზღვარგარეთ ყიდულობდნენ,იმ ქვეყნებში,რომელთა ვალუტაში გამოწერილი იყო ეს თამასუქი.მაგრამ თვით უცხოური თამასუქი იყიდებოდა იმ ქვეყნის ვალუტაზე,სადაც მისი გაყიდვა ხორციელდებოდა.

საგარეო ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ XV საუკუნეში იტალიაში (ვენეცია,ფლორენცია) და ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსხვილ სავაჭრო ქალაქებში-ანტვერპენში (1531),ლიონში (1545),ჰამბურგში (1558),ლონდონში (1566),ამსტერდამში (1608),ბრემენში (1613) გაჩნდნენ სასაქონლო და სავაჭრო ბირჟების თავდაპირველი ფორმები.

სამრეწველო რევოლუციამ გამოიწვია საბირჟო ვაჭრობის როგორც მოცულობის,ისე ნომენკლატურის გადიდება.გარდა საბაზრო ადგილის გამოყოფისა,საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციისა და სავაჭრო წესების ფიქსირებასთან ერთად სასაქონლო ბირჟის ძირითად ფუნქციებს დაემატა სტანდარტების დაწესება საქონელზე,ტიპიური კონტრაქტების შემუშავება,ფასების კოტირება,და მრავალი სხვა.მასობრივმა წარმოებამ,ფასების მკვეთრმა მერყეობამ გამოიწვია ის,რომ სადაზღვევო მექანიზმის სახით წამყვანი როლის თამაში საბირჟო ოპერაციებში რეალური საქონლით ვადიანმა გარიგებებმა (ფორვარდული გარიგებები) იწყო.ბირჟები იზიდავდნენ სულ უფრო მეტ საქონელს და საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრებად იქცნენ.

წარმოების სწრაფმა განვითარებამ XIX საუკუნეში გამოიწვია ათეულობით ბირჟის წარმოშობა,რომლებზეც წამყვანი როლის თამაში იწყო ვადიანმა გარიგებებმა ისეთ ქვეყნებში,როგორიცაა გერმანია,აშშ,ინგლისი,საფრანგეთი,იაპონია,რუსეთი.თანამედროვე პერიოდში რეალური საქონლის ბირჟები შენარჩუნებულია მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის ქვეყნებში (ეს,როგორც წესი,განვითარებადი ქვეყნებია-ინდოეთი,ინდონეზია და სხვა) და უმნიშვნელო ბრუნვა გააჩნიათ,ხოლო უმსხვილეს ბირჟებზე ბატონობს ფიუჩერული ვაჭრობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩამოყალიბდა სასაქონლო ბირჟები და მას დაეკისრა საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების გამოვლენა,საქონელბრუნვის გაადვილება და მოწესრიგება.

ბირჟის წევრები იყვნენ სახელმწიფო დაწესებულებები და სანარმოები,კერძო სანარმოები,რომლებიც სარეწაო გადასახადს იხდიდნენ განსაზღვრული განაკვეთით.

ჩანაფიქრის მიხედვით ბირჟა უნდა გადაქცეულიყო სახელმწიფო გეგმიანი ვაჭრობის აპარატად.სახელმწიფოს ყოველ ბირჟაზე ჰყავდა თავისი რწმუნებული,რომელიც აკონტროლებდა მყიდველთა და გამყიდველთა საქმიანობას.არსებობდა იძულებაც კი საბირჟო საქმიანობაში მონაწილეობაზე.

საბირჟო ბრუნვა იზრდებოდა,რამდენადაც ბირჟისგარეშე ვაჭრობისათვის დაწესებული იყო მაღალი მოსაკრებლები ვიდრე საბირჟოსათვის,მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა ფაქტობრივად ზღუდავდა საბირჟო ვაჭრობის ზემოქმედებას ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღებაზე.არსებითად იყო მცდელობა ბირჟები გადაექციათ საბითუმო ბაზრიდან სახელმწიფო გამანაწილებელ დაწესებულებად.შემდგომში სოციალიზმის „წარმატებულმა“ მშენებლობამ ბირჟები სულ უფრო უსარგებლო გახადა.სახელმწიფო უკვე მთლიანად აკონტროლებდა ეკონომიკას.

ბირჟის ორი ცენტრალური ფუნქცია-გამყიდველისა და მყიდველის,მწარმოებლისა და საქონლის მომხმარებლის შეხვედრისა და საბაზრო ბითუმი ფასის დაწესება საქონელთა პარტიაზე-ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში გადაკისრებულ იქნა სახელმწიფო ორგანოებზე.

მეურნეობის ასეთი გაძღოლის პირობებში ბირჟები უბრალოდ უსარგებლო აღმოჩნდა,ისინი ვერ ეწერებოდნენ გეგმურ-დირექტიულ სისტემაში.

60-იან წლებში წარმოშობილმა სამეურნეოანგარიშიანმა ურთიერთობებმა ვერ შექმნეს საჭირო გარემო სასაქონლო ბირჟების

აღმოცენებისათვის.საქონლის მწარმოებელთა და მომხმარებელთა,სავაჭრო ორგანიზაციათა შეპირაპირების პრობლემა უნდა გადაეწყვიტა მათ შორის სახელშეკრულებო კავშირებს.მაგრამ მალე ნათელი გახდა,რომ ეს წარმატებას ვერ მოიტანდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,პოსტსაბჭოურ სივრცეში მალე აღმოცენდა ბირჟები,მათ შორის საქართველოში და 1991 წლისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის მსხვილ ცენტრებში 180-ზე მეტი სასაქონლო ბირჟა შეიქმნა.

1990-1991 წლების „საბაზრომდელ" პირობებში ბირჟები არსებით უპირატესობას ღებულობდნენ ნებისმიერ სავაჭრო საწარმოსთან შედარებით.მათზე შეიძლებოდა თავისუფალი ფასებით ვაჭრობა.ბირჟაზე ხდებოდა უფრო დაბალი სახელმწიფო ფასებით შეძენილი საქონლის გადაყიდვა თავისუფალი საბაზრო ფასებით.

საბირჟო ბუმი პოსტსაბჭოურ სივრცეში ნელ-ნელა დაეცა.ფასების განსხვავებაზე თამაში გართულდა და გაძნელდა.ბრუნვები დაეცა და შუამავლებმა დაკარგეს ინტერესი სავაჭრო ბირჟისადმი.

სასაქონლო ბირჟები ფიუჩერულმა და საფონდომ შეცვალა,ხოლო შემდეგ ძირითადი გახდა „ვაუჩერი",პოსტსაბჭოურ საფონდო ბირჟაზე. სწორედ ამ პერიოდში ხდება საფონდო ბირჟების სტრუქტურის ჩამოყალიბება და განვითარება,რაც საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება მთელი ათწლეულის მანძილზე.უფრო სავალალო მდგომარეობაა ფიუჩერული ბაზრის თვალსაზრისით.

შედარებით უკეთ არის საქმე სავალუტო ბირჟებზე.საერთოდ,ვალუტით ვაჭრობის ფაქტი საბაზრო საფუძველზე აღიქმებოდა როგორც უდიდესი მიღწევა.

3.ბირჟების მოწყობა

ბირჟა-ვაჭრობის ადგილია და იმავდროულად ორგანიზაცია,დაწესებულება,რომლის მეშვეობით შეიძლება საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგების გაფორმება საბაზრო ფასით,რომელიც მოთხოვნით და მიწოდებით განისაზღვრება.ეს თვისებები მნიშვნელოვნად განაპირობებენ ბირჟის სტრუქტურას,მასში შემავალი ნაწილების,ელემენტების,შემადგენლობას,და ასევე მათ შორის კავშირებს.არსებობს ბირჟის მოწყობის საკმაოდ გამოხატული თავისებურება სხვადასხვა ქვეყანაში და ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით ბირჟები უპირატესად **სააქციო საზოგადოებათა** სახით ყალიბდე-

ბა.იმავდროულად ეს შეიძლება იყოს ამხანაგობები,შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები,შერეული ამხანაგობები და კერძო საწარმოებიც.ბირჟები უმეტესწილად სააქციო საზოგადოებებია.ამასთან,მათი აქციები არ ექვემდებარება ღია,თავისუფალ გაყიდვას.

მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესაბამისად ბირჟები ძირითადად სახელმწიფო ორგინაზციებს არ მიეკუთვნება (თუმცა შესაძლებელია სახელმწიფო ბირჟებიც),არამედ საკუთრების არასახელმწიფო ფორმის კომერციულ საწარმოების წარმოადგენენ.

ბირჟის წევრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები,არამედ უცხოელი მოქალაქეები და ორგანიზაციებიც (იურიდიული პირები),რომელთაც საკანონმდებლო წესით ნაბადართული აქვს მეწარმეობითი საქმიანობა.მაგრამ არა ნებისმიერი ადამიანი და არა ნებისმიერი ორგანიზაცია შეიძლება გახდეს ბირჟის წევრი.ამისათვის შესაბამისობა უნდა არსებობდეს მისი წესდების მოთხოვნისადმი და ჰქონდეს საკმარისი სასტარტო კაპიტალი,საკმაოდ მსხვილი საპაიო შენატანის გადასახდელად ან ასეთივე ძვირადღირებული საბროკერო ადგილის შესაძენად ბირჟაზე.ამასთან,ბირჟის წევრად გახდომა შეიძლება. მხოლოდ საბირჟო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ბირჟის მართვა,სტრუქტურა,მისი მართვის ორგანოების სტრუქტურა და ფუნქციები ეწყობა სააქციო საზოგადოებათა ანალოგიურად.

მართვის უმაღლესი ორგანოა ბირჟის საერთო კრება,რომელიც,როგორც წესი,წელიწადში ერთხელ ტარდება.ეს თითქოსდა ბირჟის საკანონმდებლო ორგანოა,რომელიც განსაზღვრავს საწესდებო ფორმებს და მისაღებ პრინციპულ გადაწყვეტილებებს საბირჟო საქმიანობის სფეროში.კრების ფუნქციაში შედის წესდების და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტების მიღება,მათში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანა,საბირჟო საბჭოს არჩევა,ფილიალების შექმნა და დახურვა,წლიური ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.საერთო კრება მოწოდებულია ასევე განსაზღვროს ბირჟის განვითარების მიზნები და სტრატეგია.

ბირჟის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა საბირჟო საბჭო,რომელსაც დირექტორთა (მმართველთა) საბჭოსაც უწოდებენ.საბირჟო საბჭოს წევრთა რაოდენობა და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება ბირჟის წევრთა (აქციონერთა) საერთო კრების მიერ.საბირჟო საბჭო ჩვეულებრივ იკრიბება არანაკლებ ერთხელ თვეში ან ყოველკვირეულადაც.ეს საკონ-

ტროლო-განმკარგულებელი ორგანოა,რომელიც ბირჟის საქმეთა მიმდინარე მართვას ახორციელებს.მას ნებისმიერი საკითხის გადაჭრის უფლება აქვს.

საბირჟო საბჭოს მიერ უშუალოდ შესრულებად ფუნქციათა რიცხვს მიეკუთვნება ბირჟის წევრთა საერთო კრების ჩატარების მასალების მომზადება,აღმასრულებელი დირექციის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა,საფინანსო საქმეების რეგულირება,ბირჟის მუშაობის დროითი რეჟიმის დაწესება,ვაჭრობის გამართვა,ფასების კოტირებისადმი ზედამხედველობა,ბროკერების შერჩევისა და რეგისტრაციის ორგანიზაცია და ა.შ.საბირჟო საბჭოს გადაწყვეტილებები ფუნქციათა ამ წრის მიხედვით სავალდებულოა ბირჟის ყველა წევრისა და მომუშავეებისათვის.

ბირჟის ყოველდღიური ადმინისტრაციულ-სამეურნეო და კომერციულ-საფინანსო საქმიანობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საბჭო ნიშნავს **გამგეობას ანუ აღმასრულებელ დირექციას.**ამ ორგანოს ფარგლებში შედის საბირჟო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია,მიმდინარე პრობლემათა გადაჭრა,რომელიც წარმოიშობა ბირჟის საქმიანობის პროცესში,ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გამართვა და მრავალი სხვა.

ოპერატიული მართვის ორგანოთა სტრუქტურა ჩვეულებრივ საკმაოდ რთულია.უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა ბირჟის **ცენტრალური,საშინაო** და **პერიფერიული,საგარეო** ორგანოები.პირველი ჩვეულებრივ თვით ბირჟის შენობაშია განთავსებული და მის ძირითად სამუშაო აპარატს წარმოადგენს,რომელიც უშუალოდ აწყობს და ატარებს ვაჭრობას,წარმართავს და აფორმებს გარიგებებს.პერიფერიული ორგანოები ცენტრალურისაგან განსხვავებით ასრულებენ არა ძირითად,არამედ დამხმარე ფუნქციებს გაყიდვისწინა და გაყიდვისშემდგომი სერვისის,ბირჟის კლიენტების,ადგილებზე საქონელთა გამყიდველების და მყიდველების მომსახურების სფეროში.ისინი შეიძლება იმყოფებოდნენ ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში და მათ ბროკერებს-დაკვეთების მიმღებს უწოდებენ.

შევჩერდეთ ბირჟის ორგანოთა და მის მონაწილეთა აღწერაზე.

საბროკერო კანტორები და ფირმები ბირჟის სავაჭრო სისტემაში შეიტანენ განაცხადებს და ხელს უწყობენ მათ გადაადგილებას მოთხოვნის წყაროებისაკენ (თუკი ეს განაცხადი გაყიდვაზეა) და მიწოდების წყაროებისაკენ (თუკი ეს განაცხადი ყიდვაზეა),ე.ი.გარიგებათა დადებას.ბროკერები შუამავლების როლ-

ში გამოდიან საქონლის გამყიდველსა და მყიდველს შორის,რომელიც მათ ინტერესებს აერთიანებს.

პირებს,რომლებიც საბირჟო შუამავლობით არიან დასაქმებული საკუთარი სახელით და საკუთარი ხარჯებით,ბროკერებისაგან განსხვავებით დილერებს (ჯობერებს) უწოდებენ.ეს ფიზიკური პირი ან ფირმაა,რომელიც . საბირჟო ოპერაციებს ატარებს გარიგებათა მონაწილის როლში.

საბირჟო კომიტეტები (კომისიები) საბირჟო პროცესის მომზადებისა და ჩატარების განსაზღვრულ,წინასწარ. მოცემული წრის ფუნქციებს ასრულებენ.ჩვეულებრივ მათ რიცხვში შედის საბირჟო ვაჭრობის წესების,სტანდარტებისა და ხარისხის,კოტირების კომიტეტები,საინფორმაციო და საბირჟო სამსახურები.

წესების კომიტეტები დასაქმებულია ახალი წესების შედგენით და საბირჟო ვაჭრობის მოქმედ წესებში ცვლილების შეტანით,ტიპიური კონტრაქტების მომზადებით,ნორმებისა და წესების დაცვაზე კონტროლით.

კოტირების კომიტეტი,ბაზრის კონიუნქტურიდან,ადრე განხორციელებული გარიგებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს საბირჟო საქონელთა ფასების საშუალო დონეს და მათ თანაფარდობას,ე.ი.ახდენს საქონელთა კოტირებას.იმავდროულად იგი ამზადებს საცნობარო ფასების საბირჟო ბიულეტენს.

საინფორმაციო სამსახურები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოძრაობას კავშირგაბმულობის არხებით და საინფორმაციო სერვისს მიღებული წესის შესაბამისად.

ბირჟის უმნიშვნელოვანესი ნაწილია **საოპერაციო დარბაზი,**რომელიც დაყოფილია სპეციალიზებულ სავაჭრო სექციებად,რომელთაგან თითოეული დასაქმებულია ან განსაზღვრულ სავაჭრო გარიგებათა,ან საქონელთა ჯგუფების მიხედვით გარიგებათა განხორციელებით.მსხვილ ბირჟებზე,ჩვეულებრივ,ხუთამდე და მეტი ასეთი სექციაა. გაყიდვის შესახებ წინადადებისა და ყიდვის განაცხადების საბოლოო შეერთება ე.წ.**საბირჟო წრეში** („**საბირჟო ორმოში**") ხდება,რომელიც ქვეყნის მთავარი სცენის როლს თამაშობს.

გარიგებათა შედეგების ფიქსირებისა და რეგისტრაციისათვის ბირჟის სტრუქტურაში გამოიყოფა **სარეგისტრაციო ბიურო** (კომიტეტი).ფულად ოპერაციათა უზრუნველყოფისათვის,რაც თან ახლავს გარიგებას,საჭირო ანგარიშსწორებებს ახორციელებს **საანგარიშსწორებო პალატა.**

4.როგორ წარმოებს ვაჭრობა ბირჟაზე?

ახლა განვიხილოთ ბირჟის ფუნქციონირების პრინციპული სქემა,ვაჭრობის წარმართვის წესი.ამასთან უნდა გავითვალისწინოთ,რომ ყოველ ბირჟას გააჩნია საბირჟო პროცესის ორგანიზაციის საკუთარი თავისებურებები,რომელთა სრულყოფა მუდმივად ხორციელდება საბირჟო საქმის განვითარების კვალობაზე.

საბირჟო ოპერაციათა განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ ბირჟის წევრებს პირადად ან თავიანთ რწმუნებულთა მეშვეობით,ასევე საბირჟო ბროკერების მეშვეობით,ბირჟის წევრთა დავალებით.

ყველა საბირჟო მომსახურება და ოპერაცია ფასიანია.ბირჟის კლიენტი ვალდებულია თვითონ გასწიოს ხარჯები.ბირჟათა დიდ ნაწილში შეკვეთის შესრულებამდე კლიენტი ვალდებულია ბირჟის ანგარიშზე შეიტანოს საგარანტიო შესატანი,რასაც საბირჟო ენაზე მარჟა ეწოდება და გარიგების საგნის შეფარდებითი ღირებულების 10%-ია.

ბირჟის მიერ მიღებული განაცხადი ხვდება საოპერაციო დარბაზის სექციაში,მიმღები პალატის და რეგისტრატურის გავლით და შემდეგ იგზავნება საბირჟო წრეში.

საკუთრივ ვაჭრობა საბირჟო წრეში (ორმო) ხდება,რომელიც საოპერაციო დარბაზში იმყოფება.ბირჟის წევრი ბროკერები განაცხადებს გადასცემენ საბირჟო წრეში მყოფ საბროკერო ფირმის წარმომადგენლებს,რომლებიც ვაჭრობაში მონაწილეობენ.ბროკერებთან ერთად ვაჭრობაში წამყვან და გარიგების დამფიქსირებელთა სახით მონაწილეობენ საბირჟო მაკლერები.

ვაჭრობის მონაწილეებზე გაიცემა სხვადასხვა ფერის ბარათები.მაგალითად,ბროკერები ჩვეულებრივ ცისფერ ან წითელ ბარათებს ღებულობენ,ხოლო მაკლერები-მწვანეს,ბროკერის თანაშემწეებს ჩვეულებრივ ყვითელი ფერის ბარათები გააჩნიათ.რამდენადაც საბირჟო დარბაზში ჩვეულებრივ ხმაურია, ვაჭრობის მსვლელობაში ბროკერები და მაკლერები ბარათების აწევით ან ჟესტებით ამყარებენ კავშირს.

ჩვეულებრივ, ვაჭრობას იწყებს წამყვანი მაკლერი გასაყიდად გამოფენილ საქონელთა შეტყობინებით.თუკი მაკლერის შეტყობინებამ დამსწრე ბროკერთა ინტერესი გამოიწვია,ისინი თანხმობას ბარათის აწევით ადასტურებენ.მთელი სიის გამოცხადების და მცირე შესვენების შემდეგ იწყება გამყიდველი-ბროკერების წინადადებათა განხილვა.იდეალურ შემთხვევაში წინადადებას გა-

მოეხმაურება მყიდველი ბროკერი,რომელსაც საქონლის პარტიის შეძენა სურს და გარიგება ფიქსირდება.თუკი ასეთი ვარიანტი არ გადის,მაშინ განიხილება ბროკერ-გამყიდველთა შემხვედრი წინადადებები იმ პირობების შესახებ,რომლებითაც მათ სურთ საქონლის ან მისი ნაწილის შეძენა.

ბროკერ-გამყიდველსა და ბროკერ-მყიდველს შორის შეთანხმების მიღწევის პირობებში მაკლერი აფიქსირებს გარიგებას სარეგისტრაციო ბარათში.ასეთი რეგისტრაცია მოწმობს გარიგების განხორციელებაზე.

ვაჭრობის აქ მოტანილი აღწერა მეტისმეტად გამარტივებულია პროცესის აღქმის გასაადვილებლად.ვაჭრობის რეალური პროცედურა გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანია.ვაჭრობის წარმართვა დიდად არის დამოკიდებული გარიგებათა სახეობაზე და თითოეულ ბირჟაზე დამკვიდრებულ ტრადიციებზე,და სხვა ფაქტორებზე.

5.საბირჟო გარიგებათა სახეები

საბირჟო გარიგებები მათი შესრულების ვადისა და საქონლის ხასიათზე დამოკიდებულებით ორ კლასად იყოფა.პირველი მოიცავს **გარიგებებს რეალურ საქონელზე.**მათ რეალურ გარიგებებსაც უწოდებენ.მეორე კლასია-**ვადიანი** ანუ **ფიუჩერული გარიგებები.**მათში ყიდვა-გაყიდვის ობიექტებია არა თვით საქონელი,არამედ კონტრაქტები,მათი მიწოდების ვალდებულებები.

მიწოდების ვადაზე დამოკიდებულებით რეალურ საქონელთან გარიგებები იყოფა ორ ჯგუფად:**დაუყოვნებელი მიწოდებით** და **მომავალში მიწოდებით.**განასხვავებენ **საკასო გარიგებას,**როდესაც ანაზღაურება უახლოესი ორი-სამი დღის მანძილზე წარმოებს,და გარიგებები,როდესაც საქონელზე უფლება გადაეცემა გარიგების გაფორმებისას,ხოლო ფულადი ანაზღაურება ხორციელდება განსაზღვრულ ვადაში,ე.ი.საქონელი მყიდველს გადაეცემა განვადებით.

დაუყოვნებლივი მიწოდების გარიგებებს **ნაღდი საქონლის გარიგებებს** უწოდებენ.**ვადიანი გარიგებები** ითვალისწინებს საქონელთა მიწოდებას იმ ვადაში,რომელიც განპირობებულია დადებული საბირჟო კონტრაქტით,მაგრამ კონტრაქტში დაფიქსირებული ფასით.ვადის ხანგრძლივობა ბირჟის მიერ დგინდება,მაგრამ არსებობს მიღებული ნორმატიული ვადებიც,რომლებიც რამდენიმე თვეს შეადგენს.

გადაუხდელობის,ფულადი მიმოქცევის მოშლის და მოუთოკავი ინფლაციის პირობებში პოპულარობა მოიპოვა ბარტერულმა გარიგებებმა ბირჟაზე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართო გავრცელებას პოულობს გარიგებათა მეორე კლასი საქონლის ბირჟებზე-ვადიანი გარიგებები.

არსებობს ვადიან გარიგებათა სამი ძირითადი სახეობა,ფორვარდული,ფიუჩერული და საოპციონო.

ფორვარდული კონტრაქტი-რომელიმე აქტივის მიწოდების ხელშეკრულებაა გარკვეულ, განსაზღვრულ პერიოდში, მომავალში.ფორვარდული კონტრაქტები,როგორც წესი,იდება შესაბამისი აქტივის რეალური გაყიდვის ან ყიდვის განხორციელების მიზნით.

კონტრაქტის დადება კონტრაგენტებისაგან არ მოითხოვს რაიმე ხარჯებს.ფორვარდის თავისებურება ისაა რომ იგი არ წარმოადგენს სტნადარტულს თავისი შინაარსით.

ფიუჩერი (ფიუჩერული კონტრაქტი) წარმოადგენს საბირჟო სტანდარტიზებულ კონტრაქტს გარკვეული აქტივის მომავალ მიწოდებაზე.ფორვარდულისაგან განსხვავებით ფიუჩერული კონტრაქტი-ყოველთვის საბირჟო გარიგებაა,რომლის შესრულების გარანტად გამოდის ფიუჩერული ბირჟის საანგარიშსწორებო პალატა.

ოპციონი-გარიგებაა,რომელიც მის მფლობელს გარკვეული აქტივის ყიდვის (კოლ ოპციონი) ან გაყიდვის (პუტ ოპციონი) უფლებას აძლევს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ან დროის განსაზღვრულ მომენტში.ოპციონის ძირითადი განსხვავება ფიუჩერისა და ფორვარდისაგან ისაა,რომ ოპციონი მისი გამყიდველის ცალმხრივი ვალდებულებაა მფლობელის წინაშე,ეს არის არა ვალდებულება,არამედ უფლება,რომელიც შეიძლება რეალიზებული არ იქნეს,თუკი არახელსაყრელი კონიუნქტურა ჩამოყალიბდა.

ფორვარდული ხელშეკრულების კონტრაგენტების ძირითადი ამოცანაა-დაზღვევა კონიუნქტურის არახელსაყრელი შეცვლისაგან ანუ ჰეჯირება.

6. ბირჟები, როგორც საბაზრო ფასწარმოქმნის ინსტრუმენტი

ბირჟები თავისი დანიშნულებით უნდა იყოს არა მხოლოდ საქონელთა მყიდველების და გამყიდველების შეერთების საშუალება,არამედ ასევე საბაზრო ფასწარმოქმნის,საქონელზე მოთ-

ხოვნისა და მიწოდების ობიექტური თანაფარდობით ნაკარნახევი ფასის დაწესების ინსტრუმენტი.პრინციპში საბირჟო ფასწარმოქმნას,როგორც მოქნილსა და დინამიურს,რომელიც რეაგირებს ფასების ცვლილებით განპირობებულ ყველა ფაქტორზე,შეუძლია „დაიჭიროს" გარდაუვალი საფასო მოძრაობები,რომლებიც განპირობებულია ბაზრის კონიუნქტურით,და ჩააქროს ხელოვნურად გამოწვეული „საფასო ხანძარი".

ბაზარზე გადასვლის პირობებში შეინიშნება საფასო გადახრები და დამახინჯებები.თუკი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია მთლიანად სტაბილური იქნებოდა,საბირჟო ფასები საბაზრო ფასის ობიექტური საზომი იქნებოდა.ამასთან,საფასო კოტირება უბრალოდ ბირჟათა ძირითად ფუნქციებში შედის.თავისი ბუნებით საბირჟო ვაჭრობები უნდა წარმოადგენდეს ფასწარმოქმნის ყველაზე პროგრესულ მექანიზმს,ფასის დაწესების ცივილიზებულ ხერხს.

ხშირად რატომ არ ხდება ასე? იმიტომ,რომ საბირჟო ფასის ნორმალური,ბუნებრივი დაწესება შეინიშნება კონკურენციის პირობებში,როგორც გამყიდველებს ისე მყიდველებს შორის.ე.ი.მაშინ,როდესაც საბირჟო წრეში (ორმო) აღწევს განაცხადების საკმაოდ დიდი რაოდენობა ყიდვასა და გაყიდვაზე,როდესაც საბირჟო ვაჭრობები აუქციონის სურათს გვიჩვენებენ.მაგრამ ეს პრინციპები შეგნებულად მახინჯდება.საქონელთა გამყიდველები, როგორც ბირჟის კლიენტები და თვით ბირჟებიც ხშირ შემთხვევაში შემოსავალს იღებენ არა ბრუნვის გადიდებისა და მისი დაჩქარების,დროის მოგების,სავაჭრო პროცესის ინტენსიფიკაციის ხარჯზე,არამედ საფასო ფაქტორის,მცირე,მაგრამ უკიდურესად მომგებიან გაყიდვათა ძიების მეშვეობით.გამყიდველი ზევით წევს მის მიერ გამოცხადებულ ფასს.ბროკერები უნებლიედ ან ინტერესით მხარს უჭერენ მას.ამის შედეგად განაცხადების უმეტესობა იხსნება ვაჭრობიდან და ბირჟის ორმოში დადებული გარიგებები ვაჭრობაზე წარმოდგენილი განაცხადების მცირე ნაწილს წარმოადგენს.სამწუხაროდ,საბირჟო ფასების დაწევა მხოლოდ გარიგებათა დადების მექანიზმის გარდაქმნის გზით ადვილი როდია.ნორმალურ,სრულფასოვან საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების კვალობაზე მსგავსი პარადოქსები აღმოიფხვრება და ბირჟები საბაზრო ფასების ობიექტური საზომი ხდება.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას წარმოადგენს ბირჟა და როგორია მისი სახეები?
2.როდის ჩამოყალიბდა პირველი ბირჟები ევროპაში?
3.როგორია ბირჟის მოწყობის ძირითადი თავისებურებები?
4.როგორია ბირჟის ძირითადი ხელმძღვანელი ორგანოები?
5.როგორ მიმდინარეობს ვაჭრობა ბირჟებზე?
6.როგორია საბირჟო გარიგებათა სახეები?
7.რა როლს ასრულებენ ბირჟები ფასწარმოქმნაში?

თავი მეცხრე

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

1.ზოგადი ცნებები,ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა და ფუნქციები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ფასიანი ქაღალდების ბაზარს განსაკუთრებული ადგილი უკავია.ფასიანი ქაღალდების ბაზარს დიდი ხნის ისტორია გააჩნია.1592წ.ანტვერპენში პირველად დაიბეჭდა ფასიანი ქაღალდების ფასები,რომლებიც ადგილობრივ ბირჟაზე იყიდებოდა.საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საუბარი XX ს. 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო,მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში.

რეგულირებუადი საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ფასიანი ქაღალდები უბრალოდ არ იყო.მიმოქცევაში იყო მხოლოდ სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციები,რომელსაც შეიძლება ფასიანი ქაღალდები ვუწოდოთ მხოლოდ გაჭირვებით,მისი გავრცელების იძულებითი ხასიათის გამო.

ფასიანი ქაღალდი დოკუმენტია,რომელსაც იურიდიული ძალა გააჩნია,შედგენილია დაწესებული ფორმით და მფლობელს ცალმხრივ უფლებებს აძლევს იმ პირებთან მიმართებაში,რომელთაც ეს დოკუმენტები გამოსცეს (ფასიანი ქაღალდების ემიტენტები). იგი შეიძლება გადაცემულ იქნეს ემიტენტებთან შეთანხმების გარეშე სხვა პირზე,მათში ჩადებულ უფლებათა მთელ კომპლექსთან ერთად.

მოტანილ განმარტებას აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების ყველა სახეობა.მაგრამ არ აკმაყოფილებს ფორვარდები და ფიუჩერები,რომელთაც ზოგიერთი სპეციალურ ფასიან ქაღალდებს აკუთვნებს.

ფასიანი ქაღალდების გამოშვებას და გავრცელებას პირველ მფლობელებს შორის **ემისია** ეწოდება.ფასიანი ქაღალდების ემისია ჩვეულებრივ წარმოებს ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით საქმიანობის გაფართოებისათვის ან კონკრეტული საინვესტიციო მიზნებისათვის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საფინანსო ბაზრის ნაწილია და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში რიგ მიკრო და მაკროეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს.

შეიძლება გამოყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგი ძირითადი ფუნქციები.

ჯერ-ერთი,ფასიანი ქაღალდების ბაზარი ასრულებს საინვესტიციო ნაკადების მარეგულირებლის როლს,რომელიც უზრუნველყოფს რესურსების,საზოგადოებისათვის ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფას.სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხორციელდება კაპიტალების დარგში გადადინების ძირითადი ნაწილი,რომელიც დაბანდებათა ყველაზე მეტ მომგებიანობას უზრუნველყოფს.

მეორე,ფასიანი ქაღალდების ბაზარი უზრუნველყოფს საინვესტიციო პროცესის მასობრივ ხასიათს,საშუალებას აძლევს რა ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს,რომელთაც თავისუფალი ფულადი სახსრები გააჩნიათ,განახორციელონ ინვესტიციები წარმოებაში,ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით.

მესამე,ფასიანი ქაღალდების ბაზარი ძალზე მგრძნობიარედ რეაგირებს პოლიტიკურ,სოციალურ-ეკონომიკურ,საგარეო ეკონომიკურ და საზოგადოების სხვა სფეროებში მიმდინარე და სავარაუდო ცვლილებებზე.ამასთან დაკავშირებით,ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები(მაგალითად,დოუ-ჯონსის და „სტანდარდ ენდ პურ"-ის ინდექსები აშშ-ში,რეიტერის ინდექსი დიდ ბრიტანეთში,„ფრნაკფურტ ალგემაინე ცაიტუნგ" გფრ-ში და სხვა ინდექსები),ძირითადი ინდიკატორებია, რომელთა მიხედვით მსჯელობენ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე.

მეოთხე,ფასიანი ქაღალდების დახმარებით რეალიზდება მართვის დემოკრატიზმის პრინციპები ეკონომიკაში მიკროდონეზე,რომელსაც გადაწყვეტილება მიიღება აქციის მფლობელთა მიერ კენჭისყრის გზით,თანაც ერთი ხმა ერთი აქციის ტოლია,ამიტომ რაც მეტი აქცია გააჩნია ადამიანს,მით მეტი ზეგავლენა აქვს ამა თუ იმ მფლობელს მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

მეხუთე,ცალკეულ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით სახელმწიფო ახდენს თავისი სტრუქტურული პოლიტიკის რეალიზებას,„საჭირო" საწარმოთა აქციების შეძენით, და ამრიგად, ინვესტიციების განხორციელებით წარმოებაში.

მეექვსე,ფასიანი ქაღალდების ბაზარი სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.ძირითადი ბერკეტი,რომლის მეშვეობით რეალიზდება მოცემული ფუნქცია,სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი,რომლის მეშვეობით სახელ-

მწიფო ზემოქმედებას ახდენს ფულად მასაზე და,მაშასადამე,ეეპ-ის დონის გაფართოებასა ან შემცირებაზე.

როგორც სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ინსრუმენტი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1)სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოების ბიუჯეტების დაფინანსება.სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების და ღია ბაზარზე მათი რეალიზაციის შედეგად მთავრობა ფულად სახსრებს ღებულობს,რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაზე წარიმართება.ეს, დეფიციტის შემცირების ერთერთი მთავარი საშინაო წყაროა,რომელიც ინფლაციურ აფეთქებებს არ იწვევს,არამედ მხოლოდ გადაანაწილებს თავისუფალ ფინანსურ რესურსებს სანარმოებიდან და მოსახლეობიდან სახელმწიფოს ხელში.

2) კონკრეტული პროექტების დაფინანსება.ჩვეულებრივ,კონკრეტულ პროექტებზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებას მიმართავენ მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები.ბაზარზე მიზნობრივი დანიშნულების ფასიანი ქაღალდების გამოშვებით და რეალიზებით ისინი საზოგადოების თავისუფალ ფულად სახსრებს იზიდავენ,რომლებიც წარიმართება საჭირო პროექტების დაფინანსებაზე.

3)ფულადი მასის მოცულობის რეგულირება,რომელიც მიმოქცევაში იმყოფება.მოცემული ფუნქცია,ჩვეულებრივ,სახელმწიფო ბანკების მიერ რეალიზდება.სახელმწიფო ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა ზრდის ფულის მასის რაოდენობას მიმოქცევაში,ხოლო არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა,პირიქით,ამცირებს ფულად აგრეგატებს.

4)საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის შენარჩუნება.ცენტრალური ბანკის ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია წარმატებით რეალიზდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგიონთაშორისი ბაზრის მეშვეობით.

5)ზოგიერთი სხვა დამხმარე ფუნქციები.მაგალითად,გარკვეული როლი შეასრულა ფასიანმა ქაღალდებმა პრივატიზაციის განხორციელების საქმეში.

2.ფასიანი ქაღალდების სახეები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ხორციელდება დიდი რაოდენობის სხვადასხვა დოკუმენტების საფუძველზე,რომლებიც გამოშვებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა მიერ.

ფასიანი ქაღალდები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს რამდენიმე განსხვავებული ნიშნით.ერთ-ერთი ასეთი ნიშანია-ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებათა დადასტურების წესი.ამის შესაბამისად ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს სამი სახის:

ფასიანი ქაღალდები წარმომდგენზე.ეს ისეთი ფასიანი ქაღალდია,რომელზეც მითითებული არაა მფლობელის სახელი.უმეტესწილად გამოდის წვრილი ნომინალით და გამიზნულია მოსახლეობის ფართო მასების ინვესტიციებისათვის.მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია თავისუფალი გადასვლა ხელიდან ხელში,რაც შეუზღუდავი მეორადი ბაზრის არსებობის საშუალებას იძლევა.მათზე მფლობელის უფლებათა დადასტურებისათვის საკმარისია ფასიანი ქაღალდების წარდგენა.ასეთი ფასიანი ქაღალდები გავრცელებულია დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში,პირველ რიგში,გერმანიაში.

სახელობითი ფასიანი ქაღალდები.ასეთ ქაღალდზე მფლობელის უფლება დადასტურებულ უნდა იქნეს თვით ქაღალდის ტექსტში მყიდველის სახელის შეტანით.ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყიდებოდეს მეორად ბაზარზე,მაგრამ საკუთრების უფლების გადასვლის რეგისტრირებისათვის აუცილებელია გასატარებელ გარიგებათა რეგისტრაცია რეესტრში,რაც აძნელებს სახელობითი ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას წარმომდგენზე არსებულთან შედარებით.

ორდერული ფასიანი ქაღალდები.ორდერული ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებები დადასტურებულ უნდა იქნეს გადამცემი ჩანაწერებით ქაღალდის ტექსტში და თვით ქაღალდის წარდგენით.ამ კატეგორიას მიეკუთვნება,პირველ რიგში, თამასუქები და ჩეკები.

ფასიანი ქაღალდების მეორე მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა-მათი დაყოფა სავალოდ,რომელიც ემიტენტის სავალო ვალდებულებას წარმოადგენს (ობლიგაციები,დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატები და ა.შ.) და არასავალოდ (მაგალითად აქციები) და წარდგენის ვადით.

ემიტენტის სტატუსის მიხედვით გამოყოფენ,ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სახელმწიფო ქაღალდებს,მუნიციპალური ორგანოების სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს,კორპორაციულ ფასიან ქაღალდებს,ფიზიკური პირების (თამასუქები,ჩეკები,ოპციონები და ა.შ.) ფასიან ქაღალდებს.ასევე ემიტენტის სტატუსის მიხედვით ფასიანი ქაღალდები იყოფა საბანკო(დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატებს) და არასაბანკოდ.

გარდა ამისა,ფასიანი ქაღალდები შეიძლება დაყოფილ იქნეს პირველად,რომელიც შემოსავალზე ან კაპიტალში წილის უფლებას იძლევა,და მეორად (წარმოებულ) ფასიან ქაღალდებად,რომელიც პირველადი ქაღალდების,მაგალითად ოპციონის,საპრივატიზაციო ჩეკის (ვაუჩერის) შეძენის საშუალებას იძლევა.ძირითადი ფასიანი ქაღალდები მთავარ ქონებრივ უფლებას იძლევა,მაშინ როდესაც დამხმარე,მხოლოდ საფონდო ბირჟაზე მიმოიქცევა,ე.ი.აქციები,ობლიგაციები,ოპციონები.კომერციული ფასიანი ქაღალდები ემსახურება საქონელბრუნვის პროცესს და სხვადასხვა ქონებრივ გარიგებას,მათ მიაკუთვნებენ თამასუქებს და კონოსამენტებს.

შესაძლოა სხვა მიდგომებიც ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციისადმი,მაგრამ ჩვენს მიერ განხილული მთავარია.ახლა გადავიდეთ ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეების დაწვრილებით დახასიათებაზე.

აქციები

აქცია-ფასიანი ქაღალდია,რომლის ემისიას ახორციელებს სააქციო საზოგადოება,რომელიც ასახავს ინვესტორის წილს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში და მფლობელს საზოგადოების მოგებიდან განსაზღვრული შემოსავლის,ე.ი.დივიდენდის მიღების უფლებას აძლევს.აქციის მიმოქცევის ვადა შეუზღუდავია,მოცემული ფასიანი ქაღალდი შეიძლება დაფარულ იქნეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ან მისი ლიკვიდირებისას.

თანამედროვე განვითარებული ბაზრების პრაქტიკაში აქციები არ შეადგენენ მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების უმეტესობას.

სააქციო საზოგადოებებში ფინანსური რესურსების მოზიდვის პრაქტიკამ გამოიმუშავა აქციათა დიდი სახესხვაობა,რომლებიც აკმაყოფილებენ ინვესტორთა სრულიად სხვადასხვა მოთხოვნებს.

ყველაზე გავრცელებულია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები.ჩვეულებრივი აქციები მის მფლობელს აქციონერთა კრებაზე-სააქციო საზოგადოების უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში ერთი ხმის და მოგების ნაწილის მიღების უფლებას აძლევს,რომელიც შეესაბამება საწესდებო კაპიტალის წილს,რომელიც ამ აქციაზე მოდის.ამრიგად,აქციის ფლობა მმართველობით

გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა,რაც დემოკრატიზმის საფუძველია საბაზრო ეკონომიკაში.

სააქციო კაპიტალის უმნიშვნელოვანესი თვისება წარმოშობს საწარმოს აქციათა საკონტროლი პაკეტის ხელში ჩაგდების საშუალებას,რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა.წმინდა არითმეტიკული თვალსაზრისით,**საკონტროლი პაკეტი** იქნება აქციის ნებისმიერი პაკეტი,რომელიც აერთიანებს საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციათა 50%-ზე მეტს.მაგრამ მსხვილ სააქციო საზოგადოებათა პრაქტიკაში დიდია აქციების დაქუცმაცება;ასეთ სიტუაციაში,საწარმოს კონტროლი შეიძლება უზრუნველყოს აქციათა 5%-ზე ცოტა მეტმაც.

სააქციო საზოგადოებები არსებობს ღია და დახურული ტიპის.ღია **სააქციო საზოგადოებათა** აქციები თავისუფლად გადაიყიდება სხვა მფლობელებზე,ხოლო **დახურულ საზოგადოებათა აქციები** შეიძლება გაყიდულ იქნეს,მხოლოდ სააქციო საზოგადოების ყველა დანარჩენ აქციონერთა თანხმობით.

ღია სააქციო საზოგადოებები-ჩვეულებრივ მსხვილი საწარმოებია.პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ყოფილი სახელმწიფო საწარმოები,რომლებიც პრივატიზებულ იქნა მასობრივი პრივატიზაციის მსვლელობაში,საინვესტიციო ფონდები,კომერციული ბანკების ნაწილი,საინვესტიციო კომპანიები და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები.

პრივილიგირებული აქციები ხმის უფლებას არ იძლევიან,მაგრამ შემოსავლის გარანტიას იძლევიან მიუხედავად სააქციო საზოგადოების საქმიანობის ფინანსური შედეგისა.ამ შემოსავლის სიდიდე დაითქმება ემისიის დროს და შეიძლება მხოლოდ გადიდებულ იქნეს.მაგალითად,ხშირად გაითვალისწინება,რომ დივიდენდი პრივილიგირებული აქციების მიხედვით არ უნდა იყოს ჩვეულებრივზე ნაკლები.

გარდა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებისა შესაძლოა ამ ფასიანი ქაღალდების სხვა სახესხვაობათა ემისია,რომლებიც,ჩვეულებრივ,უკვე განხილულთა სახეშეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს.

აქციების ყიდვა-გაყიდვის პროცესში მხედველობაში უნდა გვქონდეს,რომ არსებობს აქციათა ღირებულების რამდენიმე განსხვავებული და ჩვეულებრივ არათანაბარი შეფასებები (ფასები).

ნომინალური ფასი მხოლოდ იმას უჩვენებს,თუ საწესდებო კაპიტალის ღირებულების რა ნაწილი მოდის მოცემულ აქციაზე აბსოლუტურ გამოხატულებაში.პრაქტიკულ საქმიანობაში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეიძლება საერთოდ არ დავინტერესდეთ

ნომინალური ღირებულებით.ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში აქციები გამოდის ნომინალის გარეშე.

აქციის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის უფრო მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს ღირებულებით გამოხატულებაში საწარმოს რამდენი წმინდა აქტივი მოდის ერთ აქციაზე.ეს მაჩვენებელი განისაზღვრება ბალანსის მიხედვით და ამიტომ **აქციის საბალანსო ღირებულება** (ფასი) ეწოდება.

პაქტიკული გამოყენებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აქციის სალიკვიდაციო ფასი,რომელიც მოცემულ აქციაზე მოსული თანხის ტოლია, საწარმოს ქონების გაყიდვის ან მისი ლიკვიდაციის დროს.ეს თანხა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს საბალანსო ფასისაგან.განსხვავებათა მიზეზი ისაა,რომ ბალანსში ქონება აღირიცხება მისი შეძენის ფასით,რომელიც კორექტირებულია გადაფასების კოეფიციენტსა და ამორტიზაციაზე,ხოლო მისი მიმდინარე ფასი შეიძლება სრულიად სხვანაირი იყოს.

მაგრამ ინვესტორისათვის უმნიშვნელოვანესია ფასიანი ქაღალდის საკურსო ანუ საბაზრო ფასი,რომელიც მეორად მიმოქცევაში ყალიბდება საბაზრო ფაქტორების ზეგავლენით.აქციის შეძენისას ინვესტორი მათხე იხდის არა ნომინალს,არამედ საბაზრო ფასს.რამდენადაც აქცია არ იძლევა საწარმოს ქონებიდან წილის გამოყოფის უფლებას არც ღირებულებით და არც ნატურალურ გამოხატულებაში,მისი ფასი არ უდრის ამ წილის ღირებულებას.გარდა ამისა,აქციის შეძენა ინვესტორისათვის ფულადი სახსრების დაბანდების თავისებური ალტერნატივაა,რაც დავიდენდისა და ანაბრების სარგებლის შესადარისობის საშუალებას იძლევა,ამიტომ სარგებლის განაკვეთი-აქციის კურსის ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ობლიგაციები

ობლიგაცია ემიტენტის ვალდებულებაა ამ ფასიანი ქაღალდის მფლობელს გადაუხადოს ფულადი სახსრების გარკვეული თანხა განსაზღვრულ ვადაში.თავისი სავალო ხასიათიდან გამომდინარე ობლიგაციები უფრო საიმედო დაბანდებებია,ვიდრე აქციები;როგორც კრედიტის ანალოგი,ისინი აქციებთან მიმართებაში „უფროსი“ ქაღალდებია,ე.ი.უპირატეს უფლებას იძლევა შემოსავლის ანაზღაურების ან დაბანდებული სახსრების დაბრუნებისას,ემიტენტის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ობლიგაციის უფრო მაღალი საიმედოობა მათ პოპულარობას უზრუნველყოფს ინვესტორებს შორის და სწორედ ობლიგაციებზე მოდის

მსოფლიოს უმსხვილესი საფონდო ბაზრების ბრუნვის 2/3-ზე მეტი.

შეიძლება გამოიყოს 6 ძირითადი ნიშანი,რომლითაც კლასიფიცირდება ობლიგაციები:

1) **ემიტენტის სტატუსი.**ობლიგაციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს,როგორც სახელმწიფო ორგანოების,ისე კერძო კომპანიების მიერ. ემიტენტის სტატუსის მიხედვით ცალკეულ კატეგორიად ზოგჯერ გამოყოფენ ობლიგაციათა უცხოურ ემიტენტებს,რომლებიც ასევე იყოფა კერძო და სახელმწიფო ორგანოებად.

2)**ობლიგაციების გამოშვების მიზანი.**ობლიგაციებს უშვებენ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისა და ემიტენტის დავალიანების რეფინანსირებისათვის.

3)**ობლიგაციების მიმოქცევის ვადა.**კორპორაციული ობლიგაციები გამოდის 1 წლამდე და მუტი ვადით.განასხვავებენ მოკლევადიან (1-დან 2 წლამდე),საშუალოვადიან(3-დან 10 წლამდე) და ხანგრძლივვადიან (10-დან 30 წლამდე) ობლიგაციებს.

4) **შემოსავლის გაცემის წესი.**ჩვეულებრივ,შემოსავალი ობლიგაციების მიხედვით გადაიხდება მისი ნომინალური ღირებულების პროცენტის სახით.

შემოსავალი ობლიგაციების მიხედვით შეიძლება გადახდილ იქნეს არა მხოლოდ კუპონის ანაზღაურების ფორმით,არამედ ფასჩამოკლების (დისკონტის) ფორმითაც.შემოსავალი ობლიგაციების მიხედვით,დისკონტით,გაიცემა ობლიგაციის დაფარვის მომენტში.

5)**სესხის უზრუნველყოფის წესი.**ობლიგაციები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ქონებრივი,ძირითადი ან განსაზღვრული საგარანტიო ვალდებულებებით.

6) **ობლიგაციების დაფარვის წესი.**ჩვეულებრივ,ობლიგაციები იფარება განსაზღვრულ ვადაში,წინასწარდათქმული ფასით.

ზოგჯერ ობლიგაციები განსაზღვრული საქონლის შეღავათიან პირობებში შეძენის საშუალებას იძლევიან.

ობლიგაციებს,აქციების მსგავსად,რამდენიმე ფასი გააჩნიათ:ნომინალური ფასი,გაყიდვის ფასი,გამოსყიდვის (დაფარვის) ფასი და საკურსო ფასი.

წარმოებული ფასიანი ქაღალდები

განვითარებულ საფონდო ბაზრებზე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს შორის ჭარბობს ოპციონები და ვარანტები.

ოპციონი-ფასიანი ქაღალდის სახით გაფორმებული ვალდებულებაა,რომელიც სხვა ფასიანი ქაღალდის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას გადასცემს განსაზღვრული ფასით ან განსაზღვრული მომავალი თარიღისათვის.

ოპციონს ფასი გააჩნია (საოპციონო პრემია),რომელიც მყიდველის საზღაურია გამყიდველისადმი დანაკარგების რისკისათვის,რაც შეიძლება ოპციონის გამყიდველმა გასწიოს.მეორე მხრივ, საოპციონო პრემია-ოპციონის მყიდველის დანაკარგების მაქსიმალური შესაძლო სიდიდეა.

ვარანტი-ფასიანი ქაღალდია,რომელიც სხვა ფასიანი ქაღალდის შეძენის უფლებას იძლევა,მათი განსაზღვრული ფასით პირველადი განთავსების დროს და რომელიც ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ იყიდება.

დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატები-ბანკების მოწმობებია სახრების შეტანის შესახებ ბანკებში,რომელიც ანაბრისა და დათქმული სარგებლის მიღების საშუალებას იძლევა.ესენი ბანკის ვადიანი ანაბრების სახესხვაობაა,რომლებიც შეიძლება გადაყიდულ იქნეს.მათ ასევე გარკვეული საგადასახადო შეღავათი გააჩნიათ. თამასუქები საკალო ვალდებულებაა,რომელიც შედგენილია კანონით დადგენილი ფორმით და მის თანამფლობელს უფლებას აძლევს დათქმული თანხა მოითხოვოს გარკვეული დროის შემდეგ.

თამასუქები შემდეგი სახისაა:

უბრალო თამასუქს-ადგენს მისი გამცემი და ბრძანებას შეიცავს დათქმული თანხა გადაუხადოს კრედიტორს.

გადასაყვანი თამასუქი (ტრატა)-დგება კრედიტორის (ტრასანტის) მიერ და ბრძანებას შეიცავს მოვალისადმი (ტრასატი) დათქმული თანხის გადახდაზე თამასუქის წარმომდგენზე.

რემიტენტი-პირია,ვის სასარგებლოდ შედგენილია ტრატა,გადასაყვანი თამასუქის პირველი მფლობელი:

ინდოსამენტი-გადასაცემი წარწერა თამასუქზე,რომელიც ადასტურებს მოთხვონის უფლების გადასვლას თამასუქის ერთი მფლობელიდან (ინდოსანტი),მეორეზე (ინდოსატი).

ალონჟი-თამასუქზე თანდართული ფურცელია,რომელზეც სრულდება ინდოსამენტები,თუკი თამასუქის ბლანკზე არასაკმარისი ადგილი არსებობს.

ავალი-დავალება,რომლის მიხედვით მისი შემსრულებელი პირი (ავალისტი) პასუხისმგებლობას იღებს მოვალის ვალდებულების შესრულებაზე,ავალი შეიძლება იყოს ნაწილობრივი.

მეგობრული თამასუქი-თამასუქი,რომელზეც არ არის აღნიშნული არანაირი გარიგება,მაგრამ სათამასუქო ოპერაციის „მონაწილეები" რეალურია.

სათამასუქო კრედიტი-საბანკო კრედიტია,რომელიც თამასუქებით გაიცემა.ეს სახეობა ყველა მონაწილისათვის მისაღები და სასარგებლოა.

.სხვა ფასიანი ქაღალდებიდან აღსანიშნავია **ჩეკი**.იგი ფასიანი ქაღალდია,რომელიც სრულდება ბლანკზე,მისი გამცემის ბრძანების სახით.მასში აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მეპატრონისადმი.

დეპოზიტური მოწმობა (ხელწერილი)-ფასიანი ქაღალდი,რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს ფასიანი ქაღალდების პულის განსაზღვრულ ნაწილზე,რომელიც დეპოზიტორიუმში ინახება.

3.ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილეობას ღებულობს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დიდი რაოდენობა.ისინი შეიძლება დავყოთ ფასიანი ქაღალდების ემიტენტებად,და ინვესტორებად და ფასიანი ქაღალდების პროფესიონალ მონაწილეებად,რომელთა შორის უნდა განვასხვავოთ:საფონდო ბირჟები,საინვესტიციო ფონდები საშუამავლო სტრუქტურები (ბროკერული და დილერული საქმიანობა),რეგისტრატორები,დეპოზიტარიუმები,საკონსულტაციო-ანალიტიკური მომსახურების ორგანიზაციები და სხვა.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტების სახით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ემიტენტები:

1) **ფინანსთა სამინისტრო**-ფასიანი ქაღალდების,ერთერთი უმსხვილესი ემიტენტია მრავალ ქვეყანაში;

2)**ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები**-ბიუჯეტის და ცალკეული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად ისინი ხშირად მიმართავენ ობლიგაციების ემისიას;

3)**ყოფილი სახელმწიფო საწარმოები**,რომლებიც გადაკეთდა სააქციო საზოგადოებებად;

4)**ბანკები** გამოდიან როგორც აქციების,თამასუქების,დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატების ემიტენტებად;

5)**სხვა ემიტენტები**,რომელთაც მიეკუთვნებათ „ახალი" ეკონომიკური სტრუქტურები.

ფასიანი ქაღალდები-იდეალური საბირჟო საქონელია,რომლებით ვაჭრობაც საფონდო ბირჟებზე ხორციელდება.იგი მრავალ

პოსტსაბჭოურ ქვეყანაში წარმოიშვა და წარმატებით ფუნქციონირებს.საქართველოში კი იგი პირველ ნაბიჯს დგამს და მისი გააქტიურება დიდად შეუწყობს ხელს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას.

საინვესტიციო ფონდი-ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაა,რომლის საქმიანობის ძირითადი სახეობა ინვესტიციები და ფასიანი ქაღალდებია.ამ ფონდებს რამდენიმე არსებითი უპირატესობა გააჩნია.ჯერ-ერთი,უზრუნველიყოფა დაბანდებათა დივერსიფიკაცია ფასიან ქაღალდებში,რაც ინდივიდუალური ინვესტორისათვის ძნელია თანხების შეზღუდულობის გამო.მეორე,ადგილი აქვს დანახარჯების ეკონომიას,ოპერაციათა მასშტაბების გადიდების გამო.მესამე,საინვესტიციო ფონდების მენეჯერთა პროფესიონალიზმს არა მხოლოდ მინიმუმამდე დაყავს დანახარჯები,არამედ ადიდებს ასევე ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვის ხარისხს,იწვევს შემოსავლის მაქსიმიზებას.

საინვესტიციო კომპანიათა საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ძალზე ფართოა.ესაა ინვესტიციები და დახმარება ფასიანი ქაღალდების განთავსებაში სხვა იურიდიული პირებისადმი,დილერული საქმიანობა და მრავალი სხვა.

საშუამავლო ორგანიზაციათა საქმიანობა,რომელიც საბროკერო და დილერულ მომსახურებებს ახორციელებენ,დიდ როლს თამაშობენ ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირებაში.

რეგისტრატორი-ორგანიზაციაა,რომელიც ახორციელებს სახელობითი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრების მართვას.

დეპოზიტარიემი-ის ორგანიზაციაა,რომელიც ახორციელებს ფასიანი ქაღალდების შენახვას და ან/მათზე უფლებების შენახვას და აღრიცხვას.

კლირინგული ორგანიზაცია ახორციელებს კლირინგს,ე.ი.საქმიანობას ფასიანი ქაღალდების ოპერაციათა მონაწილეობის ურთიერთვალდებულებათა განსაზღვრის საქმეში,როგორც ფულის,ისე ფასიანი ქაღალდების მიხედვით,ამ ვალდებულებათა ურთიერთჩათვლას.

საკონსულტაციო საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოიცავს მომსახურებას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზის,ბაზრის კონიუნქტურის პროგნოზირების,ინვესტიციების განხორციელების სტრატეგიის შემუშავების,საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზის და მრავალ სხვა საქმეში.

4.ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ხერხები

ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა ადგილის მიხედვით ფასიანი ქაღალდების ბაზრები საბირჟო და ბირჟისგარეშე სახეობებად იყოფიან.

საბირჟო ბაზარი-ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაა საფონდო ბირჟებზე.

ბირჟაზე ვაჭრობაზე დაიშვება მხოლოდ ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები (ბირჟის წევრები),რომელთაც სპეციალური აკრედიტაცია გაიარეს ბირჟაზე.ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბირჟის წევრისადმი განაცხადის გადაცემის შემდეგ.

ბირჟისგარეშე ვაჭრობა შეიძლება ორგანიზებულ იქნეს რამდენიმე წესით.ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პირველ ეტაპზე არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია,ბაზარი სტიქიურ ხასიათს ატარებს.შემდგომ გამოჩნდებიან ორგანიზაცია-დილერები,რომლებიც ფასიანი ქაღალდების კოტირებას აცხადებენ.კონკურენციის ზრდისა და პრესტიჟისადმი გამოდევნებით გამოცხადებული კოტირებები სულ უფრო მკაცრი ხდება,და მათზე უარისთქმა სულ უფრო იშვიათად ხდება;წარმოიშობა თვითრეგულირებადი ორგანიზაციები,რომელთა წევრები კოტირების სიმკაცრის გარანტიას იძლევიან.ბოლო ეტაპზე დილერები აყალიბებენ სავაჭრო სისტემას,რომელშიც გამოიფინება ფასიანი ქაღალდების კოტირებები.

ფასიან ქაღალდებთან გარიგებების ფასის განსაზღვრის ხერხებს შორის გარდა ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისა უნდა აღვნიშნოთ სხვადასხვა სახის აუქციონები.განასხვავებენ შემდეგ აუქციონებს:

1) **უბრალო (ინგლისური) აუქციონი**.გარიგება ფორმდება იმ მყიდველთან,რომელმაც ყველაზე მაღალი ფასი წამოაყენა.უბრალო აუქციონის მეთოდით,დამატებითი პირობებით გატარდა პრივატიზებულ საწარმოთა აქციების გაყიდვა საინვესტიციო კონკურსებში.

2)**ორმაგი აუქციონი**.ამ შემთხვევაში არა მხოლოდ მყიდველთა, არამედ გამყიდველთა კონკურსიც წარმოებს;გროვდება განაცხადები და განსაზღვრულ მომენტში შემხვედრი განაცხადები კმაყოფილდება.ყველაზე უფრო განვითარებულ ბაზრებში ფუნქციონირებს უწყვეტი ორმაგი აუქციონის ფორმით,როდესაც განაცხადის შემოსვლა და მათი დაკმაყოფილება რეალური დროის რეჟიმში ხორციელდება.

ჰოლანდიური აუქციონი.ამ შემთხვევაში წინასწარ ცხადდება გასაყიდი ფასიანი ქაღალდების მოცულობა და ხდება განაცხადების წინასწარი დაგროვება,რომელთა ნაწილი კმაყოფილდება განაცხადების ფასით ან. აუქციონის განსაზღვრული წესით განსაზღვრადი ფასით.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რა არის ფასიანი ქაღალდი,როგორია მისი სახეები?
2.რა არის საფონდო ბაზარი(ბირჟა)?
3.როგორია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციები?
4.რა განსხვავებაა ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს შორის?
5.რა არის აქციის საკონტროლო პაკეტი?
6.რა განსხვავებაა აქციას და ობლიგაციას შორის?
7.ვინ არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები?

თავი მეათე

საკრედიტო-ფულადი სისტემა და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა

1.ფული და მისი ფუნქციები, ფულადი სისტემების არსი და ტიპები

ფული ჩვენი ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ელემენტია,იგი აჯადოებს ადამიანებს...ფულის გამო იტანჯებიან,მისთვის მუშაობენ ისინი.თანამედროვე ადამიანს ვერ წარმოუდგენია საბაზრო ეკონომიკა ფულის მიმოქცევის გარეშე.მაგრამ იგი ისტორიული განვითარების პროდუქტია.ფული წარმოიშვა სამეურნეო ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე, და მისი გამოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ბარტერული გაცვლის ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ისტორიული განვითარების პროცესში ფულის ფორმებმა სერიოზული ცვლილება განიცადეს.თავდაპირველად ფულის სახით მიმოიქცეოდა **საქონლური ფული**,რომელიც ფულის ფუნქციას ასრულებდა,მას ყიდულობდნენ და ყიდდნენ როგორც ჩვეულებრივ საქონელს (მაგალითად,ნიჟარები,ბენვეული,საიუველირო მორთულობანი და,ბოლოს,ოქრო და ვერცხლი.უფრო მოგვიანებით მიმოქცევაში გამოჩნდა **სიმბოლური ფული**,რომელთა წარმოების დანახარჯები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მათ მყიდველობით უნარს ფულის სახით (ქაღალდის და ხურდა ფული).გაცვლითი ვაჭრობის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია საკრედიტო ფულის წარმოშობა,რომელიც წარმოადგენდა თავდაპირველად ფიზიკური პირების,ფირმების,ხოლო შემდგომ სახელმწიფოს ვალდებულებებს.

განმარტების თანახმად ფულს აბსოლუტური ლიკვიდობა (სხვა საქონელზე ადვილი გაცვლადობა) გააჩნია.ეკონომიკური თეორიის ენაზე ეს იმას ნიშნავს,რომ ფულის რაიმე სხვა საქონელზე გაცვლის ხარჯები ნულის ტოლია. როგორია თანამედროვე ფულის ბუნება?ერთი მხრივ,სახელმწიფო მიმოქცევაში ფულს უშვებს,როგორც გადახდის კანონიერ საშუალებას ეკონომიკაში.**ფულის მიწოდებას** (ფულადი მასა) სახელმწიფოსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ქვეყნის ცენტრალური ბანკი.ასეთ შემთხვევაში თანამედროვე ფული **დეკრეტირებული ფულია**,რომელსაც სახელმწიფო მისაღებად სავალდებულოდ აცხადებს გაცვლის პროცესში და ვალის გადახდის

კანონიერ საშუალებად ითვლება. მეორე მხრივ,ქვეყნის მოსახლეობა მიმოქცევაში გამოშვებულ ქაღალდის ფულს ღებულობს,როგორც გაცვლის საზოგადოდ მიღებულ საშუალებას.ადამიანები „ქაღალდის ნაგლეჯს" ფულის როლს იმიტომ ანიჭებენ ეკონომიკაში,რომ ისინი ენდობიან სახელმწიფოს,იმ გაგებით,რომ იგი ბოროტად არ გამოიყენებს ფულის ემიტენტის (გამომშვების) საკუთარ მონოპოლიურ მდგომარეობას და ქაღალდის ფულს შეინარჩუნებს იშვიათ სიკეთედ (საქონლად).ამიტომ ამბობენ,რომ თანამედროვე ფულადი სისტემა ფიდუციარულ ხასიათს ატარებს (ნდობაზე დამყარებული გაცვლა).

ქვეყნის ეკონომიკაში მოსახლეობა მოთხოვნას აყენებს ფულზე,რამდენადაც იგი მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს.სწორედ ამ ფუნქციების გამო აფასებს მოსახლეობა ფულს.გამოყოფენ მის სამ ძირითად ფუნქციას:მიმოქცევის (გაცვლის) საშუალება,ღირებულების საზომი,დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება.განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

ფული როგორც მიმოქცევის საშუალება.ფულის,ჩვენთვის ყველაზე ცნობილი და თავდაპირველი ფუნქციაა-ნაყიდ საქონელთა და მომსახურების ანაზღაურება.სხვა სიტყვებით,ფული გამოდის,როგორც მიმოქცევის საშუალება,ე.ი.განსაკუთრებული სახის საქონელი,რომელსაც მყიდველობითი უნარი გააჩნია,რომლითაც შესაძლებელია ნებისმიერი საქონლის შეძენა.ბარტერულ ეკონომიკაში აუცილებელია მოთხოვნათა ორმხრივი თანხვედრა გარიგებათა განხორციელებისათვის.ეს პრობლემა სულ უფრო რთულდება საქონელთა და გამყიდველთა რაოდენობის გადიდების კვალობაზე.ფული ბრწყვინვალედ წყვეტს ამ პრობლემას.იგი შუამავალი ხდება საქონელგაცვლით გარიგებებში.თავდაპირველად გაცვლის საშუალებაში გამოდიოდა რეალური საქონლური ფული-ოქროს და ვერცხლის ზოდები,რომლებიც უნდა დანაწევრებულ და აწონილიყო და დაედგინათ მათი სინჯი.მოგვიანებით ადამიანებმა იწყეს მონეტების გამოყენება,ე.ი.განსაზღვრული წონის,სინჯის,ფორმის ფულადი ლითონის ზოდებისა სახელმწიფოს ბეჭდით,რაც მათ ნამდვილობას ადასტურებდა.ეს ტრანსაქციური ხარჯების ეკონომიას იწვევდა,მაგრამ მონეტები მიმოქცევაში ცვდებოდა და უფასურდებოდა,რამაც საბოლოოდ მათი სიმბოლური ფულით-სხვადასხვა ღირსების ქაღალდის კუპონებით შეცვლა გამოიწვია.

პირველად ქაღალდის ფული ჩინეთში XII საუკუნეში დამზადდა.ქაღალდის ფული გაცვლის ძალზე მოხერხებული საშუალებაა.თუკი ფული იშვიათია,ე.ი.მისი მიწოდება შეზღუდულია,მას გარკვეული ფასეულობა გააჩნია და ადამიანებს შეუძლიათ ვალდებულებათა გადახდა საქონელთა შეძენისას.

ფული როგორც ღირებულების საზომი.ფულის ეს ფუნქცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციის პროცესში,რამდენადაც,სწორედ გაზომვის ერთიანი სისტემის მეშვეობით გვეძლევა შესაძლებლობა,შევადაროთ სხვადასხვა საქონელთა და მომსახურების ღირებულებები.უფრო მეტი სიცხადისათვის მივმართოთ ანალოგიას.ყველასათვის ცნობილია,რომ მანძილის ან მოცულობის გასაზომად საჭიროა შესაბამისი ერთეულის ან მასშტაბის,შესაბამისად,მეტრის,კილოგრამების ან ლიტრის შერჩევა.ზუსტად ასევე იქცევიან ეკონომიკაში:სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აწესებენ საკუთარ ფულად ერთეულს ან ფასების მასშტაბს.შერჩეული ერთეულის დახმარებით იზომება ყველა გასაყიდი საქონლის და მომსახურების შედარებითი ღირებულება.ასეთი საერთო ერთეული მნიშვნელოვნად აადვილებს საქონელთა რაოდენობრივ შედარებას და ეკვივალენტურ თანაფარდობათა დადგენას მათ შორის.მართლაც,წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა,თუკი არ გვექნებოდა ერთიანი ფულადი ერთეული,ვთქვათ,ლარი.მაშინ 500 სხვადასხვა საქონლისათვის და მათი შესაბამისი ფასებისათვის ჩვენ მოგვიწევდა 250000 გაცვლითი პროპორციის დადგენა,რომელთა თანახმად ერთი გვარეობის საქონელი გაიცვლებოდა სხვათა ექვივალენტურ თანაფარდობაზე.ფულადი სისტემის წყალობით ჩვენ არ გვჭირდება ყოველი პროდუქტის ფასის გამოხატვა ყველა დანარჩენ პროდუქტთა მეშვეობით,რომლებზეც შეიძლებოდა მათი გაცვლა;ჩვენ არ გვიხდება პირუტყვის ფასის გამოხატვა მარცვლით,ფერადი ფანქრებით,სიგარეტებით,ავტომანქანა „შევროლეთი“ ან სხვა საქონლით.

ფულის გამოყენება საერთო მნიშვნელის სახით ნიშნავს,რომ ნებისმიერი პროდუქტის ფასი საკმარისია გამოვხატოთ მხოლოდ ფულად ერთეულებში.ეს მყიდველებს და გამყიდველებს საშუალებას აძლევს ადვილად შეუდარონ ერთმანეთს სხვადასხვა საქონელთა და რესურსების ღირებულებები.ასეთი შედარება ადამიანებს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

ფული როგორც დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება.დაბოლოს ფული გამოდის როგორც დაგროვებისა და დაზოგვის

საშუალება.რამდენადაც ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია (ე.ი.ისეთი,რომელიც ყველაზე ადვილად შეიძლება დაიხარჯოს),იგი სიმდიდრის შენახვის ყველაზე მოხერხებული ფორმაა.ფული,რომელიც თქვენ სეიფში შეინახეთ ან ბანკის საჩეკო-ანგარიშზე შეიტანეთ,თქვენთვის ხელმისაწვდომი დარჩება ერთი თვის, თუ წლის შემდეგაც-როდესაც არ უნდა გაგიჩნდნეთ მასზე მოთხოვნა.მართალია,ხშირ შემთხვევაში ფულის ფლობას არ მოაქვს ფულადი შემოსავალი,განსხვავებით სიმდიდრის ფლობისაგან რეალური აქტივების (უძრავი ქონება) ან ქაღალდის აქტივების სახით (ისეთი ფასიანი ქაღალდები,როგორიცაა აქციები,ობლიგაციები და ა.შ.),მაგრამ ფულს ის უპირატესობა გააჩნია,რომ ფირმას ან საოჯახო მეურნეობას შეუძლია მისი დაუყოვნებლივი დახარჯვა ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.მიუხედავად მაღალლიკვიდობისა,ფულის დაგროვება განსაზღვრულ რისკთან არის დაკავშირებული.ამიტომ, ჰიპერინფლაციის პირობებში ფულის გაუფასურების გამო,ფულს ცვლიან უფრო სტაბილურ უცხოურ ვალუტაზე.

სოციალიზმის პირობებში ფული ასრულებდა **გადახდის საშუალებისა** და **მსოფლიო ფულის ფუნქციებს,**რასაც იგი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ ასრულებს.

თანამედროვე მსოფლიოში ფულმა დაკარგა თავისი საქონლური ფორმა.ოქრო აღარ გამოიყენება ფულის როლში,ვინაიდან მისგან არ ამზადებენ მონეტებს მასობრივ მიმოქცევაში გასაშვებად.ამას ეკონომისტებმა **ოქროს დემონეტიზაცია** უწოდეს.

ფულის რაოდენობა,რომელიც პროდუქტებისა და შემოსავლების საერთო წრებრუნვაში მიმოიქცევა,არსებითად ზემოქმედებს წარმოების,დასაქმების,ფასების დონესა და სხვა ცვლადებზე.აი,რატომ არის,რომ ეკონომიკურ სისტემაში ფულადი მასის გაზომვის საკითხები დიდ მნიშვნელობას ღებულობენ.ჩვეულებრივ,ადამიანი ფულს მიაკუთვნებს მხოლოდ მონეტებს და ქაღალდის ფულს, მაგრამ ეკონომისტები მას უფრო ფართოდ განსაზღვრავენ.

დღეისათვის გამოყოფენ ოთხ ძირითად ფულად აგრეგატს;ესენია:

M0,M1,M2,M3

ყველა ხურდა ფულს,რომელიც ქვეყანაში მიმოიქცევა **სიმბოლური ფული** ეწოდება.ეს ნიშნავს,რომ ლითონის **ნამდვილი**

ღირებულება,რისგანაც დამზადებულია მონეტა,მის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებია.

ფულის მიმოქცევის მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ **ბიმეტალიზმს** და **მონომეტალიზმს.ბიმეტალიზმი** ემყარებოდა ფულისთვის ორი ლითონის-ოქროს და ვერცხლის გამოყენებას,რომელიც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში XVI-XIX საუკუნეებში არსებობდა.

XIX საუკუნის დასასრულს ვერცხლის გაუფასურებამ **ოქროს მონომეტალიზმზე** გადასვლა გამოიწვია.

2.კრედიტის არსი და ფორმები

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ისაა,რომ ფული მუდმივ ბრუნვაში უნდა იმყოფებოდეს,უწყვეტ. ბრუნვას უნდა ასრულებდეს.დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები თავს უყრის სასესხო კაპიტალს ბაზარზე,აკუმულირდება საკრედიტო საფინანსო დაწესებულებებში,ხოლო შემდგომ აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოიყენება,ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში პოულობს განთავსებას, სადაც დამატებითი მოთხოვნა არსებობს კაპიტალურ დაბანდებებზე.

კრედიტი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას,რომელიც ხორციელდება ვადიანობის,დაბრუნებითობის და ფასიანობის საფუძველზე.თუმცა კრედიტი ჯერ კიდევ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩაისახა,როდესაც ფული ვალად გაიცემოდა მევახშეთა მიერ,მაგრამ მან ყველაზე მეტი განვითარება კაპიტალისტურ მეურნეობაში ჰპოვა.

კრედიტი **მნიშვნელოვან ფუნქციებს** ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში.

ჯერ-ერთი,ისტორიულად კრედიტი საშუალებას იძლეოდა მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო საზოგადოებრივი წარმოების ჩარჩოები,იმასთან შედარებით,რაც დგინდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში,არსებული ფულის მიწოდების რაოდენობით,ე.ი.ოქროს მონეტებით იმ პერიოდში.

მეორე,კრედიტი არსულებს გადამანაწილებელ ფუნქციას.მისი წყალობით კერძო დანაზოგები,საწარმოთა მოგება,სახელმწიფოს შემოსავალი სასესხო კაპიტალად იქცევიან და ეკონომიკის მომგებიან დარგებში მიემართებიან.

მესამე,კრედიტი ხელს უწყობს ტრანსაქციური ხარჯების ეკონომიას.მისი განვითარების პროცესში წარმოიშობა საბანკო ანგარიშგებისა და ანაბრების გამოყენების სხვადასხვა საშუალებები (საკრედიტო ბარათები,ანგარიშთა სხვადასხვა სახეები,დეპოზიტური სერტიფიკატები),წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გამსწრები ზრდა,ფულადი ნაკადების მოძრაობის დაჩქარება.

მეოთხე,კრედიტი ასრულებს კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დაჩქარების ფუნქციას.კრედიტი აქტიურად გამოიყენება კონკურენტულ ბრძოლაში,ხელს უწყობს ფირმათა შთანთქმას და შერწყმას.

ისტორიული განვითარების პროცესში კრედიტმა მრავალი ფორმა შეიძინა,რომელთა შორის-მთავარია კომერციული და საბანკო კრედიტი.

კომერციული კრედიტი-ნატურალური ხასიათისაა და მას საწარმოები,გაერთიანებები და სხვა სამეურნეო სუბიექტები ერთმანეთს თავაზობენ.მისთვის დამახასიათებელია გადახდის გადავადება.უმეტეს შემთხვევაში კომერციული კრედიტი თამასუქით ფორმდება.

კომერციული კრედიტის ფართო გამოყენებას აფერხებს მისი შეზღუდულობა საწარმო-კრედიტორის სარეზერვო ფონდის სიდიდით.როგორც ნატურალური (საქონლური) ფორმის მქონე, იგი არ შეიძლება,მაგალითად,გამოყენებულ იქნეს ხელფასის გასაცემად;დაბოლოს იგი შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ წარმოების საშუალებათა მწარმოებელი საწარმოების მიერ,იმ საწარმოებისათვის რომლებიც მათ მოიხმარენ და არა პირიქით.

კომერციული კრედიტის ეს შეზღუდულობა დაიძლევა საბანკო კრედიტის განვითარებით.

საბანკო კრედიტი-გაიცემა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებათა (ბანკები,ფონდები,ასოციაციები) მიერ ნებისმიერ სუბიექტებზე (კერძო მეწარმეებზე,საწარმოებზე,ორგანიზაციებზე და ა.შ.) ფულადი სესხის სახით.საბანკო კრედიტი იყოფა **მოკლევადიან** (1 წლამდე),**საშუალოვადიან** (1-დან 5 წლამდე) და **ხანგრძლივვადიანად** (5 წელზე ზევით).ეს კრედიტები შეიძლება მოემსახურონ არა მხოლოდ საქონელთა მიმოქცევას,არამედ კაპიტალის დაგროვებასაც.საბანკო კრედიტი თავისი მოხერხებულობის გამო საკრედიტო ურთიერთობათა უპირატეს ფორმად გადაიქცა.

გარდა ამისა გავრცელებულია კრედიტის სხვა ფორმებიც.

მეურნეობათაშორისი ფულადი კრედიტი-რომელსაც ერთმანეთს აძლევენ მეურნე სუბიექტები,როგორც წესი,საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აქციების,ობლიგაციების,მონაწილეობის საკრედიტო ბი-

ლეთების, ფასიანი ქაღალდების სხვა სახეების გამოშვების გზით ხორციელდება.

სამომხმარებლო კრედიტი გაიცემა კერძო პირებზე,3 წლამდე ვადით,უწინარეს ყოვლისა,ხანგრძლივი გამოყენების საქონელთა შეძენისას.იგი რეალიზდება საქონელთა განვადებით გაყიდვის ფორმით,ცალობითი მაღაზიების მეშვეობით ან საბანკო სესხის გაცემით სამომხმარებლო მიზნებზე.

იპოთეკური კრედიტი გაიცემა ხანგრძლივვადიანი სესხის სახით, უძრავი ქონების (მიწა,შენობები) დაგირავებით.ასეთი სესხის გაცემის ინსტრუმენტია **იპოთეკური ობლიგაციები**,რომლებსაც ბანკები და საწარმოები უშვებენ.იპოთეკური კრედიტი გამოიყენება ძირითადი ფონდების განახლებისათვის სოფლის მეურნეობაში,საბინაო მშენებლობის დაფინანსებისათვის და ა.შ.

სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს საკრედიტო ურთიერთობათა სისტემას,რომელშიც სახელმწიფო გამოდის მოსესხის სახით,ხოლო მოსახლეობა და კერძო ბიზნესი-ფულადი სახსრების კრედიტორებად. სახელმწიფო კრედიტის წყაროა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები,რომლებიც შეიძლება გამოუშვას,ხელისუფლების როგორც ცენტრალურმა,ისე ადგილობრივმა ორგანოებმა.

საერთაშორისო კრედიტი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში.საერთაშორისო კრედიტი გაიცემა საქონლური ან ფულადი (სავალუტო) ფორმით.კრედიტორები და მოსესხეები, ბანკები,კერძო ფირმები,სახელმწიფო,საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციებია.

3.თანამედროვე საკრედიტო-ფულადი სისტემის სტრუქტურა

თანამედროვე საკრედიტო-ფულადი სისტემა ხანგრძლივი ისტორიული განვითარების,საბაზრო ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებისადმი შეგუების შედეგია.ინსტიტუციონალური თვალსაზრისით,საკრედიტო-ფულადი სისტემა სავალუტო-საფინანსო დანესებულებათა კომპლექსია,რომელსაც ეკონომიკის რეგულირების მიზნით აქტიურად იყენებს სახელმწიფო.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში გამოიყოფა სამი ძირითადი რგოლი.ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;კომერციული ბანკები;სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

საკრედიტო-ფულად სისტემაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია **ცენტრალურ ბანკს**,რომელსაც „ბანკთა ბანკს“ უწოდებენ.სხვადასხვა ქვეყანაში ბანკთა ბანკი ისტორიულად გამოეყო კომერციულ ბანკებს,როგორც მთავარი საემისიო ცენტრები (გერმანიის ფედერალური ბანკი,ავსტრალიის სარეზერვო ბანკი),სხვები ნაციონალიზებულ იქნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (საფრანგეთის ბანკი,იაპონიის ბანკი,კანადის ბანკი).ზოგიერთი ცენტრალური ბანკი დღემდე არსებობს შერეული სახელმწიფო-კერძო საკუთრების საფუძველზე (მაგალითად,აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა,რომელიც 1913 წელს დაარსდა და 12 დამოუკიდებელ ეროვნულ ბანკს მოიცავს.).

ცენტრალური ბანკები რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ,რომელთა შორის უნდა გამოვყოთ:

—ბანკნოტების ემისია;

—სახელმწიფოს ოქროს-სავალუტო რეზერვების შენახვა;

—სხვა საკრედიტო დაწესებულებათა სარეზერვო ფონდის შენახვა;

—ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება;

—კომერციული ბანკების დაკრედიტება და სახელმწიფო დაწესებულებათა საკასო მომსახურება;

—ანგარიშსწორებისა და გაგზავნის ოპერაციათა გატარება;

—საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობის კონტროლი.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ საკრედიტო-ფულადი სისტემის მთავარ „ნერვულ“ ცენტრებს.თანამედროვე კომერციული ბანკი უნივერსალური ხასიათის საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებაა.საბანკო საქმის განვითარების ადრინდელ სტადიაზე კომერციული ბანკები ძირითადად ვაჭრობას ემსახურებოდნენ,აკრედიტებდნენ ტრანსპორტირების,შენახვის და სხვა ოპერაციებს,რომლებიც საქონელგაცვლასთან იყვნენ დაკავშირებული.თანამედროვე პერიოდში კომერციულ ბანკებს შეუძლიათ თავიანთ კლიენტებს შესთავაზონ სხვადასხვა სახის 200-ზე მეტი საბანკო მომსახურება.კომერციული ბანკების ოპერაციები იყოფიან **პასიურ** (დეპოზიტების მიღება,ე.ი.კლიენტთა სახსრების მოზიდვა) და **აქტიურ** (კრედიტების,გაცემა,ე.ი.სახსრების განთავსება) ოპერაციებად.ბანკების მოგება ყალიბდება როგორც განსხვავება,სარგებლის იმ თანხასა,რომელსაც ისინი ღებულობენ გაცემული კრედიტის მიხედვით,და სარგებლის იმ თანხას შორის,რომელსაც ისინი დეპოზიტების მიხედვით იხდიან.

გარდა ამისა,კომერციული ბანკები ახორციელებენ ფულად ანგარიშსწორებებს,ისინი შეიძლება საშუამავლო ოპერაციებს ას-

რულებდნენ (კლიენტის დავალებით,კომერციულ საფუძველზე),რომელსაც მიეკუთვნება,მაგალითად,ვალდებულებები სავაჭრო გარიგებების მიხედვით ან ფინანსური გარანტიების გაცემა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **სპეციალიზებულ საკრედიტო-ფინანსურ ინსტიტუტებს,**ისეთებს,როგორიცაა **საპენსიო ფონდები,სადაზღვევო კომპანიები,ურთიერთდამხმარე ფონდები,საინვესტიციო ბანკები,იპოთეკური ბანკები,გამსესხებელ-საშემნახველო ასოციაციები** და სხვა.უზარმაზარი ფულადი რესურსების აკუმულირებით,ეს ინსტიტუტები აქტიურად მონაწილეობენ კაპიტალის დაგროვებისა და ეფექტიანი განთავსების პროცესში.

ამრიგად,საკრედიტო სისტემაში წამყვანი ადგილი უჭირავს ცენტრალურ ბანკს,რომელიც შედარებით დამოუკიდებელია,მაგრამ სახელმწიფოსთან ათანხმებს გატარებულ საკრედიტო-ფულად პოლიტიკას,მონოპოლისტია ფულის ემისიის საკითხებში და არეგულირებს როგორც კომერციული ბანკების,ისე სპეციალიზებული საკრედიტო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას.

4.ფულის მასა და მისი სტრუქტურა.ფულადი აგრეგატები

ფულის მიწოდება ეკონომიკაში ცენტრალური ბანკიდან მიმდინარეობს,რომელიც მონოპოლისტია ფულის ემისიის საქმეში.მაგრამ,მაინც უნდა დაზუსტდეს,რა შეიტანება ფულის მასის სტრუქტურაში და როგორ იზომება მისი სიდიდე?

რამდენადაც ფული მიმოქცევის (გაცვლის) საშუალების ფუნქციას ასრულებს ეკონომიკაში,გარიგებათა განხორციელებისას,ეკონომიკის მარტივ მოდელში ფულის მიწოდება იმ აქტივებზე დაიყვანება,რომლებიც ამ მიზნებს ემსახურებიან (მაგალითად,იზომება ოქროს მონეტების რაოდენობით,რომელიც სახელმწიფოს მიერ არის გამოშვებული).მაგრამ თანამედროვე რთულ რეალურ ეკონომიკაში პასუხი ამ კითხვაზე არც ისე ცალმხრივია.უწინარეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს ფულადი მასის ცნება.

ფულის მასა-ესაა ნაღდ და უნაღდო სამომხმარებლო საგადასახდელო საშუალებათა ერთობლიობა,რომელიც უზრუნველყოფს საქონელთა და მომსახურების მიმოქცევას ეკონომიკაში,რომლებიც კერძო პირებს,ინსტიტუციონალურ მესა-

კუთრეებს (საწარმოებს,გაერთიანებებს,ორგანიზაციებს) და სახელმწიფოს გააჩნიათ.

ფულის მასის სტრუქტურაში გამოყოფენ **აქტიურ ნაწილს,**რომელსაც მიეკუთვნება ფულადი საშუალებები,რომლებიც რეალურად ემსახურებიან მეურნეობრივ ბრუნვას,და **პასიურ ნაწილს,**რომელიც მოიცავს ფულად დაგროვებას,ნაშთებს ანგარიშებზე,რომლებიც პოტენციურად შეიძლება იყოს საანგარიშსწორებო საშუალებები.განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში გარიგებათა ძირითადი ნაწილი ხორციელდება საბანკო ანგარიშების გამოყენებით.ამის შედეგად დადგა **საბანკო ფულის-დეპოზიტების** ერა,რომელთა მომსახურება ხორციელდება ისეთი ინსტრუმენტებით,როგორიცაა ჩეკები,საკრედიტო და დეპოზიტური ბარათები,სამოგზაურო ჩეკები და ა.შ.ანგარიშსწორებათა ეს ინსტრუმენტები საშუალებას გვაძლევს განვკარგოთ **უნაღდო ფული.**საქონლის ან მომსახურების ანაზღაურებისას მყიდველი,ჩეკის ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით ბანკს უბრძანებს ნავაჭრის თანხა თავისი დეპოზიტიდან გადაიტანოს გამყიდველის ანგარიშზე ან გაისტუმროს იგი ნაღდი ფულით.

ფულადი მასის პასიურ ნაწილში შედის ისეთი კომპონენტები,რომლებიც უშუალოდ არ გამოიყენება როგორც სამომხმარებლო ან საგადასახდელო საშუალება.საქმე ეხება ფულად სახსრებს ვადიან ანაბრებზე,საშემნახველო ანაბრებს კომერციულ ბანკებში,სხვა საკრედიტო ფინანსურ დაწესებულებებში,მოკლევადიან სახელმწიფო ობლიგაციებში,საინვესტიციო ფონდების აქციებში,რომლებიც სახსრებს შეიტანენ მხოლოდ მოკლევადიან ფულად ვალდებულებებში და ა.შ.ფულის მასის ჩამოთვლილ კომპონენტებს **„კვაზი ფულს“**(თითქმის ფულს) უწოდებენ.ეს უკანასკნელი ფულის მასის სტრუქტურაში ყველაზე უფრო წონადი და სწრაფმზარდი ნაწილია.

„კვაზი-ფულს“ ეკონომისტები ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ.თუკი ნაღდ ფულს აბსოლუტური ლიკვიდობა გააჩნია,„კვაზი ფულის“ ლიკვიდობა აბსოლუტური როდია.თქვენ არ შეგიძლიათ,მაგალითად,ვადიანი ანგარიშიდან ან აქციით,ფული გადაიხადოთ მაღაზიაში ნავაჭრისათვის ან ტრასნპორტზე მგზავრობისათვის,მაგრამ იმავდროულად,„კვაზი-ფული“მართლაც მიეკუთვნება სიმდიდრის ლიკვიდურ სახეობებს,ვინაიდან ვადიანი ანაბრები და ზოგიერთი აქცია და ობლიგაცია შეიძლება სწრაფად გადავაქციოთ ნაღდ ფულად.

ლიკვიდობის ხარისხიდან გამომდინარე გამოყოფენ რამდენიმე ფულად აგრეგატს.ყველაზე ლიკვიდური ფულადი აგრეგატია M0, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს მიმოქცევაში.ლიკვიდობის მიხედვით ანალოგიური ფულადი აგრეგატია M1,რომელიც აერთიანებს ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებზე („მოთხოვნამდე" ანგარიშებზე),რომლებიც შეიძლება ჩეკების დახმარებით იქნეს გამოყენებული.ჩეკი-ფასიანი ქაღალდია,რომელიც მისი მფლობელის ბრძანებას შეიცავს საკრედიტო დაწესებულებაში,ჩეკის მფლობელისადმი ნაღდი ფულის გაცემის შესახებ,მისი წარდგენისთანავე,ჩეკზე აღნიშნული თანხით.M1 აგრეგატს ფულს უწოდებენ სიტყვის ვიწრო გაგებით" ანუ „გარიგებისათვის საჭირო ფულს".დეპოზიტები მიმდინარე ანგარიშებზე ფულის ყველა ფუნქციას ასრულებს და ადვილად შეიძლება გადაქცეულ იქნეს ნაღდ ფულად.

შედარებით უფრო ნაკლებლიკვიდური აგრეგატია M2.ეს არის „ფული ფართო გაგებით",რომელიც გარდა M1-სა მოიცავს ფულს კომერციული ბანკების ვადიან და საშემნახველო ანგარიშებზე,დეპოზიტებს სპეციალიზებულ ფინანსურ ინსტიტუტებში.ვადიანი დეპოზიტების მფლობელები უფრო მაღალ სარგებელს ღებულობენ მიმდინარე ანაბრების მფლობელებთან შედარებით,მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამ ანაბრების განსაზღვრულ ვადაზე ადრე მიღება.ამიტომ ვადიან და საშემნახველო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება შეუძლებელია უშუალოდ როგორც საგადასახდელო საშუალება.არსებობს ასევე გაფართოებული M2X აგრეგატის ცნება,რომელიც დამატებით მოიცავს დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში.

კიდევ უფრო ნაკლებლიკვიდური ფულადი აგრეგატია M3,რომელიც ყალიბდება M2 აგრეგატისადმი ბანკის სერტიფიკატების,სახელმწიფო სესხის ობლიგაციების,სახელმწიფოს და კომერციული ბანკების სხვა ფასიანი ქაღალდების დამატებით.განსხვავება M1 აგრეგატსა და სხვა ფულად აგრეგატებს შორის ისაა,რომ M2 და M3 აგრეგატებში შეტანილია „კვაზი-ფული",რომელთა გამოყენება გარიგებებისათვის და ნაღდ ფულში გადაყვანა ადვილი როდია.

5.ფულზე მოთხოვნა. წონასწორობა ფულად ბაზარზე

მაკროეკონომიკური წონასწორობა გულისხმობს გარკვეული პროპორციის არსებობას ფულის ბაზარზე.მათ შორის უმთავრესია

ნონასწორობა ფულზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ფულის მიწოდება ჩვენ უკვე განვიხილეთ,ახლა განვიხილოთ ფულზე მოთხოვნა.

ფულზე მოთხოვნა განისაზღვრება ფულადი სახსრების სიდიდით, რასაც მეურნე სუბიექტები ინახავენ,სხვა სიტყვებით ეს არის მოთხოვნა ფულად მარაგებზე რეალურ გამოხატულებაში,ე.ი.ფასების ინდექსის გათვალისწინებით.რეალური ფულადი მარაგები ახასიათებენ ფულადი მასის თანაფარდობას,რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ნაღდ ფულს,არამედ ასევე სახსრების ნაშთებს მიმდინარე და ვადიან ანგარიშებზე,და ფასების საერთო დონეს ეკონომიკაში,და ჩაიწერება,როგორც **M/P**.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია გვიჩვენებს ურთიერთკავშირს მოსახლეობის რეალურ ფულად სახსრებსა და ეკონომიკურ ცვლადებს შორის,რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე,შეინარჩუნონ ფულის მარაგების ეს დონე.

ფულზე მოთხოვნის თანამედროვე თეორიები ანალიზს უკეთებენ ცალკეულ ეკონომიკურ აგენტთა სურვილებს,რეალური ფულადი მარაგების შენახვის თვალსაზრისით,ე.ი.მაკროეკონომიკური საფუძველი გააჩნიათ.ფულზე მოთხოვნის თანამედროვე თეორიების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიკვიდობის კეინზურმა თეორიამ.

ფულზე ტრანსაქციური მოთხოვნა,ემყარება უწინარეს ყოვლისა ფულის,როგორც მიმოქცევის (გაცვლის) საშუალების ფუნქციას.ადამიანები ფულს ინახავენ გარიგებათა (ტრანსაქციების) განხორციელების მიზნით.ხოლო,რამდენადაც შემოსავლების ზრდასთან ერთად, იზრდება დადებულ გარიგებათა რაოდენობა,რეალური ფულადი მარაგების სიდიდე პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება შემოსავლების დონესთან.

ფულზე ტრანსაქციური მოთხოვნა დამოკიდებულია ასევე დროითი ინტერვალის ხანგრძლივობაზე ერთი ფულადი შემოსავლის მიღებასა და შემდეგი შემოსავლის მიღებას შორის.თუ ვივარაუდებთ,რომ სამეურნეო აგენტი თანაბრად ხარჯავს თავის შემოსავალს მოცემული დროითი ინტერვალის განმავლობაში,მაშინ,რაც უფრო მოკლეა ეს ინტერვალი,მით ნაკლებდაძაბულია ფულზე ტრანსაქციური მოთხოვნის მოტივი.

6. ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ფულზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების,ფულად ბაზარზე წონასწორობის თეორიები მეცნიერულ საფუძველს იძლევიან დასაბუთებული,აწონ-დაწონილი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გატარებისათვის,რომელიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების სტაბილიზებაზე.

საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს,რომელსაც ცენტრალური ბანკი ატარებს საქმიანი აქტიურობის რეგულირების მიზნით,კრედიტსა და ფულადი მიმოქცევის მიმდინარეობაზე ზემოქმედების გზით.

ცენტრალური ბანკი საკვანძო როლს თამაშობს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გატარების საქმეში.ამით იგი ცდილობს უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები ეკონომიკური ზრდისათვის და კონკრეტულ მიზნებს ისახავს:ეკონომიკური ზრდის ტემპების რეგულირება,ციკლურ მერყეობათა შერბილება,ინფლაციის შეჩერება,საგარეო ეკონომიკური კავშირების დაბალანსებულობის მიღწევა.

ცენტრალური ბანკის უმნიშვნელოვანესი საკრედიტო-ფულადი ინსტრუმენტებია:**ოპერაციები ღია ბაზარზე;სარგებლის სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა;საბანკო რეზერვების სავალდებულო ნორმის რეგულირება.**

<u>ოპერაციები ღია ბაზარზე</u> ცენტრალური ბანკის საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საბაზრო ეკონომიკის მრავალ ქვეყანაში.ამ ოპერაციათა არსი,რომელიც ზეგავლენას ახდენს ფულის მიწოდებაზე-სახელმწიფო სავალო ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვაა.აშშ-ში ღია ბაზარზე მიმოიქცეოდა სახაზინო თამასუქები (მოკლევადიანი ვალდებულებები),სახაზინო ნოტები (საშუალოვადიანი ვალდებულებები) და სახელმწიფო ობლიგაციები (ხანგრძლივვადიანი-30 წლამდე-ფასიანი ქაღალდები).ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ უდიდესი ეფექტიანობით გაატარონ ოპერაციები ღია ბაზარზე იმ ქვეყნებში,სადაც ფასიანი ქაღალდების ტევადი ბაზარი არსებობს (აშშ,დიდი ბრიტანეთი,კანადა).თუმცა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი მხოლოდ ფორმირების პროცესშია.

სააღრიცხვო (სადისკონტო) პოლიტიკა სარგებლის სააღრიცხვო (სადისკონტო) განაკვეთის რეგულირებაში მდგომარეობს,რომ-

ლითაც კომერციულ ბანკებს ფულადი სახსრების სესხება შეუძლიათ ცენტრალური ბანკებისაგან.სააღრიცხვო განაკვეთების რეგულირების მექანიზმი საკმაოდ საიმედოდ ფუნქციონირებდა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში,მაგრამ შემდგომ მისი გამოყენება ჩამოყალიბებული ბანკი გიგანტების წინააღმდეგობას წააწყდა,რომლებიც სარგებლის განაკვეთს შეთანხმებით აწესებდნენ და არა მკაცრი კონკურენციის შედეგად.მეურნეობრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ უარყოფითად იმოქმედა სარგებლის სააღრიცხვო პოლიტიკის ეფექტიანობაზე.თუკი შევამცირებთ სააღრიცხვო განაკვეთს თანამედროვე პირობებში,ეს იწვევს ქვეყნიდან კაპიტალების გადენას,რაც სერიოზულად ასუსტებს მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენას ეკონომიკურ კონიუნქტურაზე.ამასთან,სააღრიცხვო განაკვეთების ამაღლება თანამედროვე პირობებში,ხშირ შემთხვევაში განპირობებულია არა საშინაო ეკონომიკური პირობებით,არამედ საერთაშორისო სიტუაციით.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს საბანკო რეზერვების სიდიდეზე, **საბანკო რეზერვების სავალდებულო ნორმის რეგულირების გზით.**ეს ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა ზეგავლენა მოქნილად და ოპერატიულად მოვახდინოთ საფინანსო სიტუაციაზე და გავატაროთ სათანადო საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა.საბანკო რეზერვების ნორმა ცენტრალური ბანკის მიერ წესდება და 3-დან 30%-მდე მერყეობს ეკონომიკური კონიუნქტურისაგან დამოკიდებულებით:აშშ-ში ეს რეგულირება 1933წ.დაიწყო,ხოლო 1980წ.მიღებულ იქნა კანონი დეპოზიტური ინსტიტუტების დერეგულირებისა და მონეტარული კონტროლის შესახებ,რომლის შესაბამისად ფედერალური სარეზერვო სისტემის სარეზერვო მოთხოვნები გავრცელდა ქვეყნის ყველა დეპოზიტურ ინსტიტუტზე (ადრე-მხოლოდ კომერციულ ბანკებზე-ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრებზე ვრცელდებოდა).ამან არსებითად გააძლიერა ფედერალური სარეზერვო სისტემის როლი აშშ-ს საკრედიტო სისტემაში.

არსებობს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ორი სახესხვაობა.ჯერ-ერთი,**რბილი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა** (მას „იაფი“ ფულის პოლიტიკას უწოდებენ),როდესაც ცენტრალური ბანკი:

ა) იძენს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს ღია ბაზარზე,მათი შესაძენი ფულის მოსახლეობის ანგარიშებზე და ბანკის რეზერვებში გადატანით.ეს უზრუნველყოფს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის გაფართოებას და ადიდებს ფულის მასას.

ბ) ამცირებს სარგებლის სააღრიცხვო ნორმას,რაც კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს გააფართოვონ თავიანთ კლიენტთა დაკრედიტება სარგებლის შემცირებული განაკვეთით.ეს ადიდებს ფულის მასას.

გ) ამცირებს საბანკო რეზერვების სავალდებულო ნორმას,რაც იწვევს ეკონომიკის დაკრედიტების გაფართოების შესაძლებლობას.

მაშასადამე რბილი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკის სტიმულირებაზე ფულადი მასის ზრდისა და სარგებლის განაკვეთების შემცირების გზით.

მეორე,**მკაცრი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა** (მას „ძვირი ფულის პოლიტიკას"უწოდებენ),როდესაც ცენტრალური ბანკი:

ა) ყიდის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს ღია ბაზარზე,რაც იწვევს კომერციული ბანკების რეზერვებისა და მოსახლეობის მიმდინარე ანგარიშების შემცირებას,რომელსაც იხდიან ამ ფასიანი ქაღალდების შეძენისათვის.ეს ამცირებს კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების შესაძლებლობებს და ფულად მასას.

ბ) ადიდებს სარგებლის სააღრიცხვო განაკვეთს,რაც კომერციულ ბანკებს აიძულებს შეწყვიტონ სესხება ცენტრალური ბანკისაგან და გაზარდონ სარგებლის განაკვეთები საკუთარი კრედიტების მიხედვით.ეს აფერხებს ფულადი მასის ზრდას.

გ) ადიდებს საბანკო რეზერვების სავალდებულო ნორმას,რაც ამცირებს ფულად მულტიპლიკატორს და ზღუდავს ფულადი მასის ზრდას.

მაშასადამე,რბილი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა რესტრიქცი-ულ (შემზღუდავ) ხასიათს ატარებს,აფერხებს ფულის მასის ზრდას და შეიძლება ინფლაციის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.

„იაფი" და „ძვირი" ფულის პოლიტიკის ზემოთგანხილული მაგალითები ახასიათებენ **დისკრეციულ (მოქნილ) საკრედიტო-ფულად პოლიტიკას**.მოქნილი მას იმიტომ ეწოდება,რომ იცვლება ეკონომიკური ციკლის ფაზების შესაბამისად. მასტიმულირებელი პოლიტიკა ტარდება დაქვეითების ფაზაში,ხოლო შემაფერხებელი- ბუმის ფაზაში.

მაინც როგორია ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო-ფულადი ანუ მონეტარული პოლიტიკის გატარების მექანიზმი?

ფულადი მასის მოცულობასა და დაკრედიტების შესაძლებლობებზე სხვადასხვა მეთოდებით ზემოქმედებით,ცენტრალური ბანკი ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე რიგი თანმიმდევრული რგოლების მეშვეობით:ფულადი მასა,სარგებლის განაკვეთი,ინვესტიციები,ერთობლივი მოთხოვნა,ეროვნული შემოსავალი.

ეკონომიკის სტაბილიზების მიღწევის მცდელობისას ცენტრალური ბანკი აწყდება დილემას:სახელდობრ რა უნდა იქნეს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით-ფულადი მიწოდების კონტროლი,თუ სარგებლის განაკვეთის დინამიკის კონტროლი.ერთდროულად ორივეს განხორციელების შეუძლებლობას **საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მიზანთა დილემა** ეწოდება.

საბოლოოდ უნდა ითქვას რომ მრეწველურად განვითარებული ქვეყნების მთავრობები და ცენტრალური ბანკები უპირატესად მოქნილ მონეტარულ პოლიტიკას იყენებენ,თუმცა ინფლაციის ტემპების მომატების პერიოდებში (1970-იანი წლები) პრიორიტეტი ეძლეოდა ერთობ მკაცრ საკრედიტო-ფულად პოლიტიკას.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია ფულის ფუნქციები?
2.რას ეწოდება ტრანსაქციური ხარჯები?
3.რომელ ფულად აგრეგატებს იცნობთ?
4.რა არის კრედიტი და როგორია მისი ძირითადი სახეები?
5.რა ძირითადი განსხვავება არსებობს კომერციულ და საბანკო კრედიტს შორის?
6.რას წარმოადგენს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა?
7.რა არის „კვაზი ფული“?
8.რას ნიშნავს „იაფი“და „ძვირი“ფულის პოლიტიკა?
9.როგორია ეროვნული ბანკის სარეზერვო ნორმა?

თავი მეთერთმეტე

ეროვნული ეკონომიკა: შედეგები და მათი გაზომვა

ეროვნული ეკონომიკის პრობლემები-მაკროეკონომიკური ანალიზის სფეროა,რომელიც ქვეყნის საბაზრო მეურნეობის საერთო სურათს იძლევა.მაკროეკონომიკური ანალიზი გვეხმარება ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების,ეკონომიკური პოლიტიკის ახსნაში,მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მაკროეკონომიკური პროცესები თანამედროვე პერიოდში-ქვეყნის განვითარების დონის,მისი წარმატებებისა თუ ჩამორჩენის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.ისინი აქტიურ სახელმწიფოებრივ ზეგავლენას ექვემდებარებიან,რომელთა დახმარებით მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეიძლება ქვეყნის ეკონომიკაზე.მაკროეკონომიკურ პრობლემათა გარშემო არ ცხრება ცხარე დებატები,რომლებიც პოლიტიკურ პარტიათა სხვადასხვა პლატფორმებს ქმნიან და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე ზემოქმედებენ.

მაკროეკონომიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები,რომელთა გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საზოგადოების დონეზე მთლიანად.ესენია-ეკონომიკური ზრდა,ფასების სტაბილური დონე,სრული დასაქმება,ეკონომიკური თავისუფლება,შემოსავლების სამართლიანი განაწილება,ეკონომიკური უზრუნველყოფა,სავაჭრო ბალანსი,გარემოს დაცვა.

ეკონომიკურ თეორიაში ეს პრობლემები სხვადასხვა სკოლის მიერ სხვადასხვანაირად განიმარტება.მოვლენათა ერთი ნაწილი ზუსტ რაოდენობრივ გაზომვას ექვემდებარება,სხვები არა.ამასთან,ყველა მიკროეკონომიკური პრობლემა,რომელსაც საკუთარი შინაარსი გააჩნია,იმავდროულად ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდევაც.ამიტომ საზოგადოებამ ეს უნდა გაითვალისწინოს მიკროეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისას,პრიორიტეტების სისტემის შემუშავებით.

მაშასადამე,მაკროეკონომიკურ პრობლემათა სიღრმისეული შესწავლა შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული ანალიზის გარეშე.მაკროეკონომიკური ანალიზი მჭიდროდ არის დაკავშირებული მიკროეკონომიკურ ანალიზთან,რამდენადაც მაკროეკონომიკურ მოვლენათა საფუძველია მიკროეკონომიკის ურთიერთკავშირი.ამასთან,მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება მიკროეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტარიუმი.

მიკროეკონომიკურ მოვლენათა ანალიზი ხასიათდება მოდელების გამარტივებული თეორიული სქემების გამოგონებით,რომლებიც ავლენენ საგარეო (ეკზოგენური) ფაქტორების ზეგავლენას საშინაო ფაქტორებზე (ენდოგენური).არსებობს მრავალი მოდელი,რომელთა შორის თითოეული განსაზღვრულ ამოცანას ასრულებს.მოდელებში გამოიყენება მოქნილი და მოუქნელი სტაბილური ფასები.

ამრიგად,მაკროეკონომიკური ანალიზი გულისხმობს ეკონომიკის შესწავლას მთლიანად და საშუალებას გვაძლევს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე შევიმუშავოთ ეკონომიკური პოლიტიკა.

1.მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ეროვნულ ანგარიშთა არსი და სტრუქტურა

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის აუცილებლობა დასაბუთებულ იქნა ჯერ კიდევ ინგლისელი ეკონომისტის უ.პეტის მიერ,რომელმაც მსოფლიოში პირველად განახორციელა თავისი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შეფასება.ეროვნული ეკონომიკის პირველი მაკროეკონომიკური მოდელი შექმნა ფრანგმა **ფრანსუა კენემ**,მაგრამ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გამოვლინდა XXს.20-30-იან წლებში.საბჭოთა კავშირში შეიქმნა მაჩვენებელთა სისტემა და ცხრილები,რომელსაც სახალხო მეურნეობის ბალანსი ეწოდებოდა და გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის (1928-1932წწ.) შედგენისას.დასავლეთში მსგავსი სისტემის შემუშავება დაიწყო 1929-1933წწ.დიდი დეპრესიის შემდეგ.ამ სისტემის რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები ფორმულირებულ იქნა ჯერ კიდევ ა.მარშალის,შემდეგ ჯ.მ.კეინზის მიერ.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა გამოიყენება ერთობლივი წარმოების ზრდის გასაზომად ეკონომიკაში,რომელიც იგივე ფუნქციას ასრულებს მთლიანად ეკონომიკისათვის,რასაც ბუღალტრული აღრიცხვა ცალკეული ფირმისათვის.**ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-ესაა ურთიერთდაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა,რომელიც აგებულია ანგარიშთა და ცხრილების სახით,ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის საერთო სურათის მისაღებად.**ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ს.კუზნეცის მიერ შედგენილმა ვარიანტმა ნობელის პრემია დაიმსახურა და 60-იანი წლებიდან გაეროს მიერ მიღებულ იქნა სტანდარტული სისტემის სახით და რეკომენდებულია ყველა ქვეყნისათვის.ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვადასხვა მაჩვენებელი საშუალებას იძლევა გავზომოთ წარმოების მოცულობა დროის კონკრეტულ პერიოდში,გავხსნათ ეკონომიკის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორები,განვსაზღვროთ ეკონომიკური განვითარების ტენდენციები პერსპექტივისათვის,ჩამოვაყალიბოთ და ცხოვრებაში დავნერგოთ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ასახულია,ერთი მხრივ,არსებული რესურსები,ხოლო,მეორე მხრივ-მათი გამოყენება.იგი გვიჩვენებს ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის გაცვლის ერთობლივ ოპერაციათა წონასწორობას.

ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეებად გამოდიან:არასაფინანსო საწარმოები,რომლებიც საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ ფულის მიღების მიზნით;საოჯახო მეურნეობები,რომელთა ფუნქციაა-მოხმარება;სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები,აგენტები ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეებს მიყავთ ძირითად ოპერაციათა ანგარიშები,რომლებშიც ყველა რესურსი ჩაწერილია ორჯერ:როგორც არსებული და გამოყენებული.ამის შედეგად ოპერაციათა დიდი კატეგორიისათვის მიიღწევა წონასწორობა,ყველა რესურსი მათი გამოყენების ტოლია.ამის საფუძველზე კეთდება კრებსი მაკროეკონომიკური ცხრილი,რომელიც გვიჩვენებს წონასწორობას პროდუქტების სხვადასხვა ნაკადებს,მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის რესურსების ბალანსის პოზიციებიდან და მათ გამოყენებას ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის.

ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეების კონკრეტული ჯგუფების მიხედვით წარმოებს შემდეგი სახეობის ოპერაციათა ანგარიშები:

წარმოების ანგარიში:ესაა ნედლეულის,მასალების მოხმარებისა და მომსახურების ბალანსი წარმოებრივი მიზნებისათვის.

მთლიანი დამატებული ღირებულების ანგარიში-შემოსაველების წარმოებისა და ძირითადი კაპიტალის ანაზღაურების ბალანსია ამორტიზაციის მეშვეობით პროდუქტში;

კაპიტალის ანგარიში-ინვესტიციების დაფინანსების ანგარიში;

ფინანსური ანგარიში-საშედეგო (ჯამური) ბალანსი,რომელიც გვიჩვენებს თუ ვინ მიაწოდა საჭირო კაპიტალი და ვის გადაეცა ჭარბი კაპიტალი.

ეროვნულ ეკონომიკას გააჩნია საქონელთა და მომსახურების გადიდების უნარი,რაც გამოიხატება წარმოების მოცულობის ზრდაში.წარმოების მოცულობის მაჩვენებლები მრავალია,მაგრამ. ეროვნული ეკონომიკისათვის ყველაზე უფრო ყოვლისმომცველია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ).

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი საქონელთა და მომსახურების საბოლოო მოცულობის მთლიანი საბაზრო ღირებულებაა ეროვნულ ეკონომიკაში წლის მანძილზე.იგი ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელს,და ეროვნული წარმოების ზრდის ტენდენციის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ეეპ-ის მთავარი მახასიათებლებია:

1.ეეპ **ასახავს მიმდინარე წარმოებას,**მიუხედავად იმისა მთელი პროდუქცია გაყიდულია თუ არა,როდესაც მისი ნაწილი ავსებს წარმოების მარაგებს,მაშასადამე,წარმოების მარაგები ეეპ-ში შეიტანება;

2.ეეპ-**ფულადი მაჩვენებელია,**რომელიც ზომავს საქონელთა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას.ამიტომ მისი სიდიდე დამოკიდებულია საქონელთა და მომსახურების ფასზე.

3.ეეპ **თავისუფალია ორმაგი ანგარიშისაგან,**რამდენადაც მასში იგულისხმება მხოლოდ საბოლოო პროდუქტების საბაზრო ღირებულება.**საბოლოო პროდუქტები-**საქონელი და მომსახურება,რომლებიც საბოლოო გამოყენებისათვის შეიძინება და არსებობს შემდგომი დამუშავების,გადამუშავებისა და გადაყიდვისათვის,ე.ი.ეეპ-იდან გამოირიცხება **შუალედური პროდუქტების ღირებულება,**რამდენადაც ისინი გაითვალისწინება საბოლოო პროდუქტების ღირებულებაში.მათი შეტანა გამოიწვევდა ორმაგ ანგარიშს და ეეპ-ის მომატებულ შეფასებას.

მაშასადამე,ორმაგი ანგარიშის თავიდან ასაცილებლად ეეპ-ში შეიტანება მხოლოდ დამატებული ღირებულება,რომელიც იქმნება ყოველი ფირმის მიერ.

დამატებული ღირებულება-პროდუქციის საბაზრო ღირებულებაა,რომელიც წარმოებულია ფირმის მიერ,მოხმარებული ნედლეულის და მასალების ღირებულების გამოკლებით,რომელიც შეძენილია მიმწოდებლებისაგან.

4.ეეპ **გამორიცხავს არამწარმოებლურ გარიგებებს,**რომლებიც წლის მანძილზე არსებობს.არამწარმოებლურ გარიგებებს მიეკუთვნება წმინდა ფინანსური გარიგებები,და ნახმარი ნივთების გაყიდვა.ფინანსური გარიგებები არსებობს სამი სახის:ა) სახელმწიფო ტრანსფერტული გადასახდელები (სოციალური დაზღვევის მისაცემლები, უმუშევრობის დახმარებები,სხვადასხვა სახის პენსიები;ბ) კერძო ტრანსფერტული გადასახდელები (დახმარებები სტუდენტებისადმი საკუთარი ოჯახებიდან,ნათესავების საჩუქრები);გ) გარიგებები ფასიან ქაღალდებთან (აქციების,ობლიგაციების და ა.შ.ყიდვა-გაყიდვა).

ნახმარი ნივთების გაყიდვა არ ასახავს მიმდინარე წარმოების მოცულობას,ამიტომ ეეპ-ში მისი შეტანა გამოიწვევდა ორმაგ ანგარიშს.

ეეპ-ში არ შეიტანება ზოგიერთი საბაზრო გარიგებაც,რომელსაც ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის (მაგალითად,ნარკოტიკების გაყიდვა).

ეკონომიკურ თეორიაში ხშირ შემთხვევაში ერთმანეთში ურევენ ერთობლივ (მთლიან) ეროვნულ პროდუქტს და ერთობლივ შიდა პროდუქტს.მათ შორის ის განსხვავებაა,რომ **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ნიშნავს პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულების ჯამს წლის განმავლობაში,რომელიც შექმნილია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ,როგორც ეროვნული ტერიტორიის შიგნით,ისე მის ფარგლებს გარეთ,ხოლო ერთობლივი შიდა პროდუქტი კი არის საბოლოო საქონელთა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი,რომელიც შექმნილია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ეროვნულ ტერიტორიაზე.**

ერთობლივი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად გამოიყენება სამი ძირითადი მეთოდი.

2ეეპ-ის გაანგარიშება დამატებული ღირებულების მეთოდით

ეშპ-მამასადამე,ეკონომიკაში წლის მანძილზე ყველა წარმოებულ სამოღოო საქონელთა და მომსახურების ფულადი შეფასებაა.ამასთან,იგულისხმება საქონელთა და მომსახურების წლიური მოცულობა, რომელიმე ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებში.

ეპ-ის სწორი გაანგარიშებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ყველა პროდუქტი და მომსახურება,რომელიც წარმოებულია მოცემულ წელს,მაგრამ განმეორებითი,ანუ ორმაგი ანგარიშის გარეშე.აი რატომ არის,რომ ეპ-ის განმარტებაში ლაპარაკი არის საბოლოო საქონელსა და მომსახურებებზე.ეს სიკეთეები (საქონელი) მოიხმარება საოჯახო მეურნეობათა ან ფირმების ფარგლებში და არ მონაწილეობენ შემდეგ წარმოებაში,შუალედურ საქონელთაგან განსხვავებით.მაგალითად,სასურსათო საქონელი,სარეცხი მანქანები,დალაქის მომსახურებები,რასაც საოჯახო მეურნეობები იძენენ-საბოლოო საქონელთა და მომსახურების მოხმარების ტიპიური მაგალითია.მათგან განსხვავებით,პურის ქარხნის მიერ პურის გამოსაცხობად შეძენილი ფქვილი შუალედური პროდუქტია.თუკი ეპ-ში შევიტანთ შუალედურ საქონელს,მაშინ აუცილებლად წავაწყდებით მის მომატებულ შეფასებას.ასე,მაგალითად,ფქვილის ფასი გათვალისწინებული იქნება რამდენიმეჯერ:თავდაპირველად,როგორც წისქვილკომბინატის საქმიანობის შედეგი-(საკუთრივ ფქვილის ფასი),შემდეგ-გამომცხვარი პურის ფასში,შემდგომ-დაფასოებული პურის ფასში სუპერმარკეტში.

ორმაგი ანგარიშის გამორიცხვის საშუალებას იძლევა **დამატებული ღირებულების მაჩვენებელი,**რომელიც წარმოადგენს განსხვავებას ფირმათა მიერ,მათი პროდუქციის გაყიდვებსა და სხვა ფირმებისაგან მასალების,ინსტრუმენტების,სათბობის,ენერგიის და მომსახურების ყიდვას შორის.სხვანაირად რომ ვთქვათ,**დამატებული ღირებულება-ფირმის პროდუქციის სამაჯრო ფასია,მოხმარებული ნედლეულის და მასალების ღირებულების გამოკლებით,რომელიც ნაყიდია მიმწოდებლებისაგან.**

ქვეყნის ყველა ფირმის მიერ დამატებული ღირებულების შეჯამებით შეიძლება განვსაზღვროთ ეპ,რომელიც წარმოადგენს ყველა გამოშვებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას.

3.ეპ-ის გაანგარიშება დანახარჯების მიხედვით

ეს მეთოდი უშუალოდ გამომდინარეობს ეპ-ის გაანგარიშების პირველი მეთოდიდან.რამდენადაც ეპ განისაზღვრება,როგორც საბოლოო მომსახურების და საქონელთა ფულადი შეფასება,რომელიც წარმოებულია წლის მანძილზე,იმდენად,აუცილებელია ეკო-

ნომიკური სუბიექტების ყველა დანახარჯის შეჯამება საბოლოო პროდუქტების შეძენაზე.მართლაც შეუძლებელია ფორთოხლისა და ვაშლის შეჯამება მაგრამ შესაძლებელია მრავალ ადამიანთა დანახარჯების შეჯამება ამ და სხვა საქონელთა შეძენაზე.დანახარჯების ან საქონელთა ნაკადების საფუძველზე ეეპ-ის გაანგარიშებისას ჯამდება შემდეგი სიდიდეები:

1.მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები(C)

2.მთლიანი წმინდა ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაში(I_g)

3.საქონელთა და მომსახურების (G) სახელმწიფო შესყიდვები.

4.წმინდა ექსპორტი (NX),რომელიც წარმოადგენს განსხვავებას მოცემული ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის.

ამრიგად,ჩამოთვლილი ხარჯები შეადგენენ ეეპ-ს და გვიჩვენებს წლიური წარმოების შეფასებას.

$$\text{ეეპ} = C + I_g + G + NX$$

საოჯახო მეურნეობათა პირადი მოხმარების ხარჯები,როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს ხანგრძლივი გამოყენების,სასურსათო საქონელთა,ტანსაცმლის და საოჯახო ნივთების და ასევე სხვადასხვა მომსახურებათა შეძენის ხარჯებს.

მთლიანი კერძო ინვესტიციები (I_n) ანუ კაპიტალდაბანდებები წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს(I_g) (ხანგრძლივი გამოყენების კაპიტალურ საქონელთა,ე.ი.შენობების და ნაგებობების,მანქანებისა და იარაღების,საქონლურ-მატერიალური მარაგების ნამატი) და ამორტიზაციის (A)ჯამს წლის მანძილზე.წმინდა ინვესტიციები გულისხმობს რეალური კაპიტალშექმნის პროცესს და არა აქციების,ობლიგაციების და ა.შ.ტიპის ფინანსური აქტივების შეძენას,რომლებსაც ასევე ინვესტიციები ეწოდება,მაგრამ უკვე ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფარგლებში.მაშასადამე,აქ საქმე ეხება მხოლოდ იმ ინვესტირებას,რომელიც ადიდებს წარმოებრივ სიმძლავრეებს.

საქონელთა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები(G)-სახელმწიფო დაწესებულებათა და ყველა დონის ხელისუფლების ორგანოთა ხარჯები საქონელთა შეძენისა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე.ამ სახელმწიფო ხარჯებში არ შედის ტრანსფერტული გადასახდელები.ეს უკანასკნელები სახელმწიფოს აუნაზღაურებელი მისაცემლებია,რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ გაწეული მომსახურების საზღაურს(მაგალითად,სიღარიბის,უმუშევრობის,არასრული ოჯახების და ა.შ.დახმარება).რამდენადაც ისინი გაიცემა არა წარ-

მოების რომელიმე ფაქტორის მომსახურების სანაცვლოდ,იმდენად მათ ფაქტორული შემოსავლის სახით არ იხილავენ.

წმინდა ექსპორტი (NX)-განსხვავებაა ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის,რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობა წარმოადგენს ღია ეკონომიკას,რომელშიც მთავრობა არ აფერხებს საქონლის,კაპიტალის,სამუშაო ძალის გადაადგილებას ეროვნულ საზღვრებს მიღმა.

4.ეეპ-ის გაანგარიშება შემოსავლის მიხედვით (განაწილებითი მეთოდი)

ეეპ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფაქტორული შემოსავლების (ხელფასი,სარგებელი,მოგება,რენტა) ჯამი,ე.ი.განვსაზღვროთროგორც წარმოების ფაქტორთა მფლობელების ფულად ანაზღაურებათა ჯამი.ამასთან,რადგანაც საქმე ეხება ერთობლივ შიდა პროდუქტს,მასში შეიტანება ყველა სუბიექტის შემოსავალი,რომელიც საქმიანობას ეწევა მოცემული ქვეყნის ფარგლებში,როგორც რეზიდენტების,ისე არარეზიდენტებისა.რეზიდენტები-მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებია,უცხოელთა გამოკლებით,რომლებიც ქვეყანაში 1 წელზე ნაკლები ხანი იმყოფებიან.

მოცემული მეთოდით გაანგარიშებული ეეპ-ის შემადგენლობაში შეიტანება ასევე საწარმოს ირიბი და პირდაპირი გადასახადები,ამორტიზაცია,საკუთრების შემოსავალი და გაუნაწილებელი მოგების ნაწილი.

ხელფასის მაჩვენებელი მოიცავს ხელფასის მთლიან თანხას და ასევე დაქირავებულ მომუშავეთა დამატებით მისაცემლებს.რენტა ურავი ქონების შემოსავლებია.მოგება იყოფა კორპორაციათა ან ფირმათა მთლიან მოგებად(დივიდენდები) და ამხანაგობათა(პარტნიორობათა) და ერთპიროვნული საკუთრების საწარმოთა წმინდა შემოსავლებად და ასევე ფერმერებისა და თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლების შემოსავლებად.

ეეპ-ის გაანგარიშებისადმი დანახარჯებისა და შემოსავლების მიხედვით მიდგომათა,შეთავსება ნაჩვენებია №1 ცხრილში.

ეეპ-ის გაანგარიშების მეთოდები

ეეპ,გაანგარიშებული დანახარჯების მიხედვით	ეეპ, გაანგარიშებული შემოსავლების მიხედვით
მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები(C)	ხელფასი(W)
მთლიანი წმინდა ინვესტიციები(I_g)	სარგებელი(Z)
საქონელთა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები (G)	რენტა(R)
წმინდა ექსპორტი(NX)	მოგება(P)
	ამორტიზაცია(A).
	ირიბი გადასახადები ()

ორივე მეთოდი ტოლფასოვნად ითვლება და საბოლოო ჯამში ერთნაირი სიდიდის ეეპ უნდა მოგვცენ.

ამრიგად,როგორც ვხედავთ არსი ერთია:

საქონლის მომსახურების შეძენის ხარჯები, რომლებიც წარმოებულია მოცემულ ნელს = მოცემულ წელს პროდუქციის წარმოებისაგან მიღებულ ფულად შემოსავალს

ორივე ხერხით გაანგარიშებულ ეეპ-ის შემადგენლებს შორის,ეკონომიკის მდგომარეობის დახასიათება შეუძლიათ ისეთმაჩვენებლებს,როგორიცაა საერთო კერძო ინვესტიციები (პირველი ხერხი) და მოგება (მეორე ხერხი).

ინვესტიციათა მოცულობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.ჯამური **კერძო ინვესტიციები** ყალიბდება საამორტიზაციო ანარიცხებისა და კერძო ინვესტიციებისაგან;ისინი ასახავენ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურებას და კაპიტალის ნამატს,წარმოებაში დამატებით დაბანდებათა ხარჯზე.თუკი საერთო ინვესტიციები საამორტიზაციო ანარიცხებზე მეტია,მაშინ სახეზეა დადებითი წმინდა ინვესტიციები,რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდისათვის.თუ საერთო ინვესტიციები საამორტიზაციო ანარიცხებზე ნაკლებია,წმინდა ინვესტიციები

უარყოფითია,რაც მოწმობს ეკონომიკურ დაქვეითებაზე.თუკი საერთო ინვესტიციები საამორტიზაციო ანარიცხების ტოლია,ეკონომიკაში ცვლილებები არ არის,ეკონომიკა სტატიკურია.

მოგება-წარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი შემადგენელი იგი ნაწილდება:სახელმწიფოზე,გადასახადების სახით(მოგებიდან),სააქციო საზოგადოებებზე,აქციებზე დივიდენდების სახით და ფირმებზე გაუნაწილებელი მოგების სახით.გაუნაწილებელი მოგება საამორტიზაციო ანარიცხებთან ერთად აყალიბებს ინვესტირების რეალურ ფონდს,რომელიც ეკონომიკის დინამიურ მდგომარეობაში შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

ეეპ-ის ეროვნულ ანგარიშთა უმნიშვნელოვანესი შემადგენელი მაჩვენებლებია:წმინდა ეროვნული პროდუქტი,ეროვნული შემოსავალი და პირადი შემოსავალი.

ეეპ-ს ერთი ნაკლოვანება გააჩნია:მასში ჩადებულია მიმდინარე წლიური წარმოების გადიდების ტენდენცია,რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს წლიური წარმოების იმ ნაწილის გამოქვითვას,რომელიც მიდის კაპიტალის შეცვლაზე ამ წელს(საამორტიზაციო ანარიცხები).ამიტომ წარმოების წმინდა მოცულობის დასახასიათებლად არსებობს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებელი,როგორიცაა წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ).**წმინდა ეროვნული პროდუქტი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ტოლია,საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით.ეს უკანასკნელი წარმოების მოცულობის უფრო სრულყოფილი საზომია.**

წმინდა ეროვნული პროდუქტი,ისევე როგორც ეეპ იქმნება ისეთი რესურსების დახმარებით,როგორიცაა მიწა,კაპიტალი,სამუშაო ძალა,მმართველობითი ჩვევები.წმინდა ეროვნული პროდუქტი მინუს ირიბი გადასახადები მოგებაზე,აყალიბებს ეროვნულ შემოსავალს.ეროვნული შემოსავალი გვიჩვენებს,თუ რა ჯდება წმინდა ეროვნული პროდუქტის წარმოება რესურსების ხარჯვის თვალსაზრისით.ამიტომ,ეროვნული შემოსავალი ასახავს საბაზრო ფასებს ეკონომიკურ რესურსებზე,რომლებიც გამოიყენება წარმოების მიმდინარე მოცულობის შესაქმნელად.

ეროვნულ ანგარიშთა კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია პირადი შემოსავალი.იგი მიიღება ეროვნული შემოსავლიდან სამი სახის შემოსავლის გამოკლებით,რომლებიც გამომუშავებულია,მაგ-

რამ მიღებული არ არის ადამიანების მიერ და იმ შემოსავლების დამატებით,რომლებიც მიღებულია ადამიანების მიერ,მაგრამ მათი შრომითი საქმიანობის შედეგი არაა.

ეროვნული შემოსავალი — სოციალური დაზღვევის შენატანები, ფირმათა მოგების გადასახდელი, ფირმათა გაუნაწილებელი მოგება,
+
ტრანსფერტული გადასახდელები

= პირად შემოსავალს (მიღებული შემოსავალი)

ამრიგად,პირადი შემოსავალი მთლიანი შემოსავალია,რომელიც მიღებულია ინდივიდების ან ოჯახების მიერ სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდამდე.

შემოსავლები გადასახადების გადახდის შემდეგ წარმოადგენს **განსაკარგავ** შემოსავალს,ე.ი.**მოქალაქეთა პირადი შემოსავალია** გადასახადების გამოკლებით.ამ შემოსავლის დახმარებით იზრდება ოჯახების და ინდივიდთა შემოსავლების სიდიდე.ეს მათი შემოსავალია მოხმარებისა და დაზოგვისათვის.

5. ნომინალური და რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტი

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები-ეეპ და ეროვნული შემოსავალი-ფულადი მაჩვენებელია.ამიტომ მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია ფასების დინამიკაზე,ფულადი ერთეულის მყიდველობით უნარზე.მაშასადამე,ფასების დონის გადიდება ან შემცირება ზეგავლენას ახდენს ეეპ-ის და ეროვნული შემოსავლის სიდიდეზე.

როგორ გავიანგარიშოთ ეეპ?თუკი გაანგარიშებას მოვახდენთ მიმდინარე ფასებში,შეიძლება დამახინჯებული აღმოჩნდეს წარმოების ფიზიკური მოცულობა.დავუშვათ,ეშპ მიმდინარე ფასებში გაიზარდა 1-დან 2 მლრდ ლარამდე წლის მანძილზე.რას ნიშნავს ეს?წარმოებულ საქონელთა და მომსახურების რაოდენობის გადიდებას 2-ჯერ ან ფასების საერთო დონის ზრდას იმდენივეჯერ,ეკონომიკის ყოველგვარი ზრდის გარეშე?თუ ერთიც არის და მეორეც ერთდროულად,თანაბრად?ამის პასუხს გვაძლევს განსხვავება ნომინალური და რეალური ეშპ-ის მნიშვნელობებში.**ნომინალური ეეპ-არის მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული**

ეშპ.ეკონომიკურ თეორიაში მას PQ-თი აღნიშნავენ,სადაც P-არის ფასების ინდექსი,ხოლო Q-წარმოების ფიზიკური მოცულობა.მაგრამ როგორ განვსაზღვროთ წარმოების ფიზიკური მოცულობა?ამისათვის აუცილებელია შემდეგი პროცედურის ჩატარება:დავადგინოთ ე.წ.საბაზო წელი და მისი ფასებით გავიანგარიშოთ მიმდინარე წელს წარმოებული ეშპ.მაგალითად,1999წ.წარმოებული ყველა საქონელი და მომსახურება იანგარიშება 1992წ.ფასით.მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში ყოველ 10-15 წელიწადში განისაზღვრება ახალი საბაზო წელი.არასწორი იქნებოდა ეშპ-ს ფიზიკური მოცულობების და მისი წინა წლების მაჩვენებელთა შედარება მრავალი წლის მანძილზე საქონელთა და მომსახურების ერთნაირი,მაგალითად,1913 წლის ფასებით,რომელიც არჩეული იქნებოდა საბაზოს სახით.იმ შორეულ წლებში სულ არ არსებობდა ის საქონელი და მომსახურება,რაც ჩვეულებრივია დღეს-ტელევიზორი,კომპიუტერი,,ინტერნეტის" მომსახურება,მრავალი მედიკამენტი და ა.შ.და არ არსებობდა ამ საქონელთა ფასები.ამრიგად,რეალური ეეპ-პროდუქციის გამოშვების ფაქტობრივი მოცულობაა,გაანგარიშებული საბაზო წლის ფასებით.ეშპ-ს მაჩვენებელი საბაზისო ფასებში შეიძლება წელიწადში გაიზარდოს ნაკლებად ან მეტად ვიდრე ეშპ მიმდინარე ფასებში.და ეს ხდება ქვეყანაში ფასების საერთო დონის ცვლილების გამო.მაშასადამე,რეალური ეშპ-ის გასაანგარიშებლად აუცილებელია ფასების ინდექსის გამოყენება.ფასების ინდექსი თანაფარდობაა საქონელთა და მომსახურების განსაზღვრული ანაკრების (რომელსაც საბაზრო კალათა ეწოდება) მთლიან ფასსა მოცემული დროითი პერიოდისათვის და საქონელთა და მომსახურების მსგავსი ჯგუფის მთლიან ფასს შორის საბაზისო პერიოდში (საბაზო წელს).

$$\text{ფასების ინდექსი მოცემულ წელს} = \frac{\text{საბაზრო კალათის ფასი მოცემულ წელს}}{\text{საბაზრო კალათის ფასი საბაზო წელს}} \times 100$$

მაგალითად,კალათას ფასი 1990წ. = 64ლარს;
კალათას ფასი 1992წ. = 50 ლარს;

$$\text{ფასების ინდექსი} = \frac{64}{50} \times 100 = 128\%$$ (ფასების დონე 1990წ).

ეშპ-ს ფასების ინდექსი.ეშპ-ს ფასების ინდექსი ეშპ-ს დეფლიატორს წარმოადგენს.იგი მოიცავს სამომხმარებლო საქო-

ნელთა და მომსახურების ფასებს,წარმოებრივი დანიშნულების საქონელთა ფასებს,რომელთაც სახელმწიფო ყიდულობს და მსოფლიო ბაზარზე შეძენილ და გაყიდულ საქონელთა ფასებს.ამიტომ ეშპ-ის დეფლატორი არის ფულადი,ე.ი.ნომინალური ეშპ-ს კორექტირება ფასების ცვლილებების გათვალისწინებით.ნომინალური ეშპ ასახავს წარმოების მოცულობას,გამოსახულს საქონელთა და მომსახურების ამ მოცულობის წარმოების მომენტისათვის.

ეშპ-ის დეფლიატორი ზომავს ინფლაციის ან შებრუნებული პროცესის-დეფლაციის ინტენსივობას,როდესაც შეინიშნება ფასების საერთო დონის შემცირება ქვეყანაში თუკი ფასების ინდექსის სიდიდე 1-ზე მეტი აღმოჩნდა,ჩვენ მოვახდინეთ ეეპ-ის დეფლირება,ე.ი.ინფლაციის ფაქტორის ელიმინირება.თუკი ფასების ინდექსი 1-ზე ნაკლები აღმოჩნდა,ჩვენ მოვახდინეთ ინფლირება,ე.ი.ნომინალური ეეპ გავათავისუფლეთ დეფლაციის ზეგავლენისაგან.უნდა აღინიშნოს,რომ მაკროეკონომიკური თეორია იყენებს ფასების სხვადასხვა ინდექსს რეალური ეეპ-ის გასაანგარიშებლად.ეეპ-ის დეფლატორთან ერთად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მწარმოებელთა ფასების ინდექსი,რომელიც ზომავს საბითუმო ფასების დონეს.ამასთან,ფასების წონების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საქონელთა ფიქსირებული ანაკრები(ე.წ.სამომხმარებლო კალათა),ისე ცვალებადიც.

6.ეეპ და წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა(წეკ)

კეთილდღეობის ცნება საკმაოდ რთულია და სხვადასხვა კომპონენტებს შეიცავს.ჩვენ პირველ რიგში გვაინტერესებს ამ ცნების ეკონომიკური შემადგენლები და მათი კავშირი ეეპ-ს და ეროვნული შემოსავლის კატეგორიებთან.კეთილდღეობასა და ეეპ-ს შორის არსებობს ღრმა და განუყოფელი კავშირი.რაც მეტს აწარმოებს საზოგადოება,მით მაღალი იქნება მისი ცხოვრების დონე.

მაგრამ შეიძლება ითქვას,რომ ეეპ ითვალისწინებს ყველა ან თუნდაც იმ კომპონენტების უმეტესობას,რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების კეთილდღეობაზე?ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ადამიანთა საქმიანობის იმ მხარეებს,რომლებიც არანაირად არ გაითვალისწინებიან ეეპ-ში.

ჯერ-ერთი,პრაქტიკულად თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს საქმიანობის ისეთი სახეების საიმედო სტატისტიკა,როგორიცაა ოჯახში ავადმყოფების და ბავშვების მოვლა,სახლის

კეთილმოწყობა პრინციპით „გააკეთე თვითონ"(ბინების,ელექტრო,რადიოაპარატურის,ფეხსაცმლის,ავტომანქანების რემონტი და სხვა).მეორე,ეპ-ში ასახვას ვერ პოულობს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ცვლილება,არამედ ფიქსირდება მხოლოდ საქონელთა და მომსახურების რაოდენობა საბაზრო ფასებით.მესამე,ეპ-ში არ შედის საქონელთა სხვადასხვა სახეობები,რომელთა ღირებულება შეიძლება ერთნაირი იყოს,თუმცა საზოგადოებისათვის ფასეულობის და მისი კეთილდღეობის თვალსაზრისით ისინი განსხვავებულია.მეოთხე,სადისკუსიოა საკითხი ერთობლივი პროდუქციის განაწილების შესახებ.ზოგიერთი ეკონომისტი თვლის,რომ სიმდიდრის უფრო თანაბარი განაწილება ხელს შეუწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის გადიდებას,სხვები დაჟინებით ეწინააღმდეგებიან მას.მაგრამ ეპ ზომავს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ საერთო მოცულობას განაწილების გარეშე.მეხუთე,ეპ-ში არ გაითვალისწინება ჩრდილოვანი ეკონომიკის ისეთი სექტორების შედეგები,როგორიცაა გართობათა არალეგალური სახეობები,რეკეტი,ნარკოტიკების წარმოება და გაყიდვა,მომსახურებათა უფულო გაცვლა,ალკოჰოლური პროდუქციის არალეგალური წარმოება თაღლითობა და სხვა,რომლებიც უარყოფითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.მეექვსე,ეპ-ის მაჩვენებელში არ არის წარმოების ფუნქციონირების ნეგატიური შედეგების(რესურსების გამოფიტვა,კლიმატის ცვლილება,გარემოს დაბინძურება)შეფასება,რაც იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის გადიდებას.მეშვიდე,ეპ-ის მაჩვენებელი არ ითვალისწინებს საზოგადოების კეთილდღეობას,რაც დაკავშირებულია დასვენებასთან;როგორც ცნობილია,მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში შემოსავლების დონე საკმარისია ხარისხიანი დასვენების და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის თავისუფალი დროის გადიდებისათვის,რაც ქვეყნის კეთილდღეობის გადიდების ტოლფასია.

საზოგადოების კეთილღეობაზე დადებითად ან უარყოფითად ზემოქმედ ფაქტორთა ანალიზის შედეგად ზოგიერთი ეკონომისტის (ვ.ნორდჰაუსის და ჯ.ტობინის) მიერ შემოთავაზებულია „წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი".მთელი სირთულე ისაა,თუ როგორ მივცეთ ფულადი შეფასება საქმიანობის ყველა იმ სახეობებს,რომლებიც საბაზრო ხასიათს არ ატარებენ და,მაშასადამე,არ შეიძლება შეფასებულ იქნენ თავისუფალი საბაზრო გაცვლის პირობებში.

წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა საინტერესოა უწინარეს ყოვლისა,როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების სხვადასხვა მხა-

რეთა გათვალისწინების პრობლემის თეორიული დაყენება,მათ შორის არაფორმალურიც.მაგრამ პრაქტიკაში გაეროს სტატისტიკურ სამსახურებს და ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნულ ანგარიშწარმოებას ჯერ კიდევ არ გააჩნიათ წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობის გაანგარიშების უნიფიცირებული მეთოდიკა.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა?
2.რას წარმოადგენს წარმოების და კაპიტალთა ანგარიში?
3.რა არის ეეპ და ეროვნული შემოსავალი?
4.როგორია ეშპ-ს გაანგარიშების მეთოდები?
5.რას წარმოადგენს საქონელთა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები?
6.რა არის ტრანსფერტული გადასახდელები?
7.რა არის წმინდა ექსპორტი?
8.რა არის წმინდა ეროვნული პროდუქტი?

თავი მეთორმეტე

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა:საბაზრო ეკონომიკის განვითარების ციკლურობა

1.ეკონომიკური ციკლი:აღმოცენების მიზეზები,ნიშნები და პერიოდულობა

მაკროეკონომიკური წონასწორობა პრაქტიკაში,უწინარეს ყოვლისა, საოცარი შემთხვევითობაა,ვიდრე გამონაკლისი,რომელიც ადასტურებს პრინციპს:საბაზრო ეკონომიკა არასტიბილურია.ორი უკანასკნელი საუკუნე გვაძლევს ამ არასტაბილურობის მრავალ მაგალითს.წარმატებული სამრეწველო განვითარების და საყოველთაო ეკონომიკური აყვავების პერიოდებს მოსდევდა დაქვეითების პერიოდები,რომლებსაც თან ახლდა წარმოების მოცულობათა დაცემა და უმუშევრობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში **ეკონომიკური (საქმიანი) ციკლი განმარტებულია,როგორც საქმიანი აქტიურობის დონის პერიოდული მერყეობები** და წარმოდგენილია რეალური ეეპ-ით.თვით სიტყვა ეკონომიკური ციკლი გულისხმობს ეკონომიკური სისტემის დაბრუნებას ერთიდაიგივე მდგომარეობისადმი.ამიტომ,ციკლის განმარტების დაზუსტებისას ხაზი უნდა გავუსვათ,რომ ეკონომიკური ციკლი-დროის განსაზღვრულ პერიოდში ეკონომიკის მდგომარეობის გამეორებაა,რომელიც ხასიათდება ერთიდაიგივე მაკროეკონომიკური პარამეტრებით.

ეკონომიკური ანუ საქმიანი ციკლის თეორიაში განასხვავებენ **ციკლს** და **ტრენდს**.თუკი შევხედავთ რომელიმე ქვეყნის განვითარების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს გარკვეულ პერიოდში,დავინახავთ,რომ ეკონომიკურ მერყეობათა,დაქვეითებებისა და აღმავლობისაგან დამოუკიდებლად,რომლებიც მონაცვლეობენ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში,ქვეყანამ გარკვეულ ეკონომიკურ განვითარებას მიაღწია.


მაგრამ,როგორია ეკონომიკის ციკლური განვითარების მიზეზი?იქნებ ყველაფრის მიზეზი მზეზე რეგულარულად წარმოშობადი ლაქებია,რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალზე,რამაც,თავის მხრივ,შესაძლოა გამოიწვიოს

სამრეწველო საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის გადახრა?იქნებ ამ ეკონომიკურ მერყეობათა მიზეზი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში იმალება,რომლებსაც სახელმწიფოები ომის მდგომარეობამდე მიჰყავთ?იქნებ საქმე მოსახლეობის მიგრაციაში,უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენებშია,რომლებმაც ხელი შეუწყვეს მიგრაციას?თუ მაკროეკონომიკური მერყეობები უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგია?ასე მსჯელობდნენ ეკონომიკის ციკლურ მერყეობათა მიზეზების თვით მის გარეთ ძიების მომხრეები,მთავარ როლს ანიჭებდნენ რა ეკზოგენურ ფაქტორებს.

სხვები მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზების ძიებაში თავიანთ ყურადღებას ეკონომიკური პროცესების შიგნით მიმართავდნენ.ისინი თვლიდნენ,რომ მერყეობათა მიზეზები უნდა ვეძებოთ თვით ეკონომიკის შიგნით,ენდოგენური ფაქტორების გამოკვლევით.

თეორიებს,რომლებიც ციკლურ მერყეობებს გარეშე მიზეზებით ხსნიან ექსტრემალურ თეორიებს უწოდებენ.მათგან განსხვავებით,ინტერნალური თეორიები საქმიანი აქტიურობის მერყეობათა აღმოცენების მიზეზებს განიხილავენ თვით ეკონომიკური სისტემის შიგნით.

ეკონომიკური განვითარების ციკლურობა-ესაა საბაზრო ეკონომიკის განუწყვეტელი მერყეობები,როდესაც წარმოების ზრდა იცვლება დაქვეითებით,საქმიანი აქტიურობის გადიდება-შემცირე-



ნახ.1

ბით.**ციკლი** საბაზრო ეკონომიკის მუდმივი დინამიური მახასიათებელია,მის გარეშე არ არსებობს ეკონომიკის განვითარება.**ეკონომიკური ციკლი**-საბაზრო ეკონომიკის მოძრაობისა და განვითარების ფორმაა.

ეკონომიკური ციკლი მოიცავს ოთხ ფაზას:**კრიზისს,დეპრესიას,გაცხოველებას** და **აღმავლობას**.ეკონომიკური ციკლის მთავარ ფაზას შეადგენს კრიზისი.მასში მოცემულია ციკლის ძირითადი ნიშნები.

გრაფიკულად ეკონომიკის ციკლური განვითარება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (გვ.286. საჟ.)

ყოველი კრიზისი მწიფდება გაცხოველებისა და აღმავლობის ფაზებში.ეს წარმოების სტაბილური გაფართოების ფაზებია.ამ პერიოდში იზრდება მოსახლეობის შემოსავლები და იზრდება მთლიანი სამომხმარებლო მოთხოვნა.სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა სტიმულს აძლევს მეწარმეებს გააფართოვონ წარმოებრივი სიმძლავრეები და გაზარდონ კაპიტალდაბანდებები.მაშასადამე, იზრდება მოთხოვნა წარმოების საშუალებებზეც.მთლიანი საერთო მოთხოვნის გადიდება გაუსწრებს საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპებს.ინდივიდუალურ კაპიტალთა წრებრუნვები შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს,მცირდება კონკურენტული ბრძოლის სიმწვავე.ამიტომ მცირდება ახალ დაბანდებათა,წარმოების განახლების სტიმულები.ასეთი განვითარება მანამ გრძელდება,სანამ წარმოების ზრდის ტემპები არ დაიწყებს გასწრებას მსყიდველობითი უნარის ზრდის ტემპებზე.როდესაც ეს მოხდება,დგება საქონელთა ჭარბწარმოება და მასთან ერთად ეკონომიკური კრიზისი.ეკონომიკური კრიზისი მოასწავებს კაპიტალის ჭარბ დაგროვებას,რომელიც სამი ფორმით გამოდის:საქონლური კაპიტალის ჭარბი წარმოება (არარეალიზებული პროდუქციის ზრდა),მწარმოებლური კაპიტალის ჭარბი დაგროვება (წარმოებრივ სიმძლავრეთა დაუტვირთაობის გადიდება,უმუშევრობის ზრდა),ფულადი კაპიტალის ჭარბი დაგროვება (წარმოებაში დაუბანდებელი ფულის გადიდება).კაპიტალის ჭარბი დაგროვების საერთო შედეგი ხდება წარმოების ხარჯების ზრდა,ფასების და,მაშასადამე,მოგების შემცირება.

ეკონომიკური კრიზისი გვიჩვენებს ეკონომიკის განვითარების არა მხოლოდ ზღვარს არამედ მისი შემდგომი ზრდის იმპულსებს,მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულებით.კრიზისის დროს წარმოიშობა წარმოების ხარჯების შემცირების და მოგების გადიდების შემაგულიანებელი მოტივები,ძლიერდება კონკურენცია.ეკონომიკური კრიზისი იწვევს წარმოების საშუალებათა მო-

რალურ ცვეთას,რომელსაც არ შეუძლია კაპიტალის მომგებიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.იგი ქმნის სტიმულებს კაპიტალის განახლებისათვის ახალ ტექნიკურ საფუძველზე.ამიტომ კრიზისი საფუძველს ქმნის ეკონომიკის უპირატესად ინტენსიური განვითარებისათვის.კრიზისით თავდება განვითარების უწინდელი პერიოდი და იწყება შემდგომი.კრიზისი-საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

მაგრამ წარმოების გაფართოებაზე და მის განახლებაზე გადასვლა შესაძლოა მოხდეს ერთ მომენტში.ამიტომ კრიზისის შემდგომ მოდის **დეპრესიის** ფაზა.კრიზისის დროს იქმნება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის პირობები.დეპრესიის მსვლელობაში ეს პირობები კიდევ უფრო სტაბილური ხდება და იწყება ინტენსიური განვითარების პერიოდი,რომელიც მოიცავს მთელ შემდგომ ფაზას-გამოცოცხლებას.გამოცოცხლების ფაზის დასასრულს განახლების სტიმულები ამოწურავენ თავიანთ თავს.და ციკლის შემდგომი ფაზა-აღმავლობა-ისევ იწყებს ინტენსიურ განვითარებას.

მაშასადამე,ეკონომიკის ციკლური განვითარების მიზეზი წარმოების და რეალიზაციის პირობების კონფლიქტში,გაფართოებისადმი მისწრაფებული წარმოებისა და მისადმი ჩამორჩენილი გადახდისუნარიანი მოთხოვნისადმი წინააღმდეგობაში მდგომარეობს.არსებითი ცვლილებები ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნაში,ეკონომიკურ კრიზისში ვლინდება,რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების პროპორციულობის დარღვევას,არამედ ეკონომიკის წონასწორობისა და დაბალანსებულობისაკენ მოძრაობას წარმოადგენს.ციკლური განვითარების მექანიზმის სახით გამოდის ფასების დაცემა.

ეკონომიკური კრიზისების ხანგრძლივობასა და სიღრმეზე მოქმედებს ინვესტიციათა მერყეობა.კრიზისი ამოსავალ მომენტს ქმნის ახალი მასობრივი კაპიტალდაბანდებებისათვის.მაშასადამე,კრიზისი გზას ასუფთავებს მასობრივი ინვესტიციებისათვის და ეკონომიკას სხვა ფაზაში გადასვლაზე ეხმარება.მთელი ეკონომიკური ციკლის მსვლელობაში წარმოების დინამიკა განუხრელად არის დაკავშირებული ძირითადი კაპიტალის მოძრაობასთან და ამ მოძრაობის ბაზაზე ხორციელდება.

ამრიგად,ციკლურობას როგორც საბაზრო ეკონომიკის მოძრაობის ფორმას ეპიცენტრად კრიზისი გააჩნია,რომელშიც ვლინდება ეკონომიკის ზრდის ზღვარი და იმპულსი,ძირითადი კაპიტალის მასობრივი მორალური ცვეთის გამოწვევით,კრიზისი პირობებს ქმნის მასობრივი ინვესტიციებისათვის,ამასთან,ახალ ტექნიკურ დონეზე.მაშასადამე,ტექნიკის მორალური ცვეთა და მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის დინამიკა ძირითადი კაპიტალის განახლებას სინქრონულად აქცევენ მთელი ეკონომიკის მასშტაბით.კონიუნქტურის ცვალებადობა ძირითადი კაპიტალის მასობრივ განახლებას დამატებით უთანაბრობას ანიჭებს.

2.ციკლურ მერყეობათა გავრცელების მექანიზმი: მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტი

როგორც აღვნიშნეთ,ციკლური მერყეობები შეიძლება განვიხილოთ,როგორც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მუდმივად განმეორებადი გადახრები წონასწორობის მდგომარეობიდან.ციკლის ინტერნალური თეორიის მომხრე ეკონომისტები ინვესტიციებს განიხილავენ როგორც ერთობლივი მოთხოვნის ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ კომპონენტს.მათი არასტაბილურობა უფრო მაღალია ვიდრე ერთობლივი მოთხოვნის სხვა კომპონენტებისა:სამომხმარებლო და სახელმწიფოებრივი ხარჯებისა.მართლაც,ნებისმიერი ეკონომიკური კონიუნქტურის დროს მოსახლეობა იძენს პურს,რძეს,პირველი მოთხოვნილების საგნებს.სხვადასხვა ეკონომიკური შერყევების დროს სახელმწიფომ ხარჯები უნდა გასწიოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

რაზეა დამოკიდებული ძირითად კაპიტალში და ასევე საქონლურ-მატერიალურ მარაგებში ინვესტირების არამუდმივობა,რომლებიც ეკონომიკური ციკლების მოდელებში განიხილება?საქმე ისაა,რომ მეწარმეები,ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ შემოსავლის მოსალოდნელ ნორმას კაპიტალდაბანდებებზე.თუკი მათი მოლოდინი პესიმისტურია,ინვესტიციები შესაძლოა გადადებულ იქნეს (რასაც ვერ იტყვი პირველი მოთხოვნის საქონელზე სამომხმარებლო ხარჯების შესახებ:როგორი პესიმისტურიც არ უნდა იყოს საოჯახო მეურნეობათა განწყობა,ჭამა-სმა საჭიროა ყოველდღე).ამასთან,ინვესტორთა მომავალი მოგების მოლოდინი წარსულ გამოცდილებას ემყარება.მაგრამ როგორია საინვესტიციო ხარჯების ცვალებადობის შემდგომი შედეგები?ამ საკითხზე პასუხის გასაცემად ჩვენ გამოვიყენებთ მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მოდელს,რომელიც გვიხსნის ეკონომიკის განვითარების ციკლურობას.

ერთი მხრივ,წარმოებულ ინვესტიციათა სიდიდე დამოკიდებულია რეალური ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობაზე.მისი ზრდა ან შემცირება ზეგავლენას მოახდენს ინვესტიციებზე.მეორე

მხრივ,თვით ინვესტიციები წარმოადგენს ეშპ-ს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს,მაშასადამე,ინვესტიციათა მერყეობები ზეგავლენას მოახდენს ეშპ-ს მოცულობაზეც.

თავდაპირველად მივმართოთ **აქსელერატორის ეფექტს,რომელიც გვიჩვენებს კავშირს რეალური ეშპ-ს ცვლილებებსა და წარმოებულ ინვესტიციებს შორის.**ამ ეფექტს პირველად მიაქცია ყურადღება ჯ.კლარკმა (1884-1963),რომელმაც აქტიურად შეისწავლა ეკონომიკური ციკლების პრობლემები.კლარკი ვარაუდობდა,რომ მოთხოვნის გადიდება მოხმარების საგნებზე ჯაჭვურ რეაქციას წარმოშობს,რაც მოწყობილობებსა და მანქანებზე მოთხოვნის მრავალჯერად გადიდებას იწვევს.ეს კანონზომიერება,რომელიც კლარკის მოსაზრებით ციკლური განვითარების საკვანძო მომენტია,მის მიერ განსაზღვრულ იქნა,როგორც „აქსელერაციის პრინციპი“ ანუ როგორც „აქსელერატორის ეფექტი“.

აქსელერატორის გასაგებად ჩვენ უნდა შემოვიღოთ ახალი კატეგორია,სახელდობრ,**კაპიტალტევადობის კოეფიციენტი (კაპიტალური კოეფიციენტი).**მეწარმეები ცდილობენ სასურველ დონეზე შეინარჩუნონ თანაფარდობა **კაპიტალი/მზა პროდუქცია.**მაკროეკონომიკურ დონეზე კაპიტალტევადობის კოეფიციენტი გამოიხატება თანაფარდობით:**კაპიტალი/შემოსავალი,**ე.ი.**K/Y.**ეკონომიკის სხვადასხვა დარგები კაპიტალური კოეფიციენტის არაერთნაირი დონით განისაზღვრება.ასე,მაგალითად,იგი მაღალია გემთმშენებლობაში,სადაც მზა პროდუქციის ერთეულის გამოსაშვებად საჭიროა ძირითადი კაპიტალის დიდი დანახარჯები.გაცილებით დაბალი,მსუბუქი მრეწველობის დარგებში.მზა პროდუქციის გაყიდვათა მოცულობის ცვლილებები გამოიწვევს ინვესტიციათა ცვლილების აუცილებლობას ძირითად კაპიტალში,რათა კაპიტალტევადობის კოეფიციენტი დარჩეს სასურველ დონეზე.

დავუშვათ,რომ კაპიტალტევადობის კოეფიციენტი,ე.ი.**K/Y=2,**მაშინ ჩვენ შევძლებთ ცვლილებები გაყიდვათა მოცულობებში და წმინდა ინვესტიციებში წარმოვიდგინოთ ცხრილის სახით.

ამ ცხრილის გასაგებად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მთლიანი და წმინდა ინვესტიციები:მთლიანი ინვესტიციები წმინდა ინვესტიციები,ამორტიზაცია,ე.ი.$I_g=YIn+d$. დავუშვათ,რომ ამორტიზაციის ნორმა 10%-ია.მაშინ,ყოველწლიურად საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი კაპიტალის სიდიდის 1/10 იქნება.ასე,მაგალითად,1 წელს წმინდა ინვესტიციები 0-ის ტოლი იქნება,მაგრამ ამორტიზაცია 4 მლნ-ს შეადგენს,მაშასადამე,მთლიანი ინვესტიციები იქნება(0+4)= 4 მლნ.

კაპიტალტევადობის კოეფიციენტი და ექსელერატორის ეფექტი

დრო	საბოლოო პროდუქციის (Y) წლიური გაყიდვები მლნ დოლ.	ძირითადი კაპიტალი(K) მლნ.დოლ	წმინდა ინვესტიციები(მთლიანი ინვესტიც.-ამორტიზაცია)	მთლიანი ინვესტიციები (წმინდა ინვესტიციები+ ამორტი-ზაცია)
1 წელი	20	40	0	4
2 წელი	20	40	0	4
3 წელი	20	40	0	4
4 წელი	30	60	20	20+6=26
5 წელი	50	100	40	40+10=50
6 წელი	50	100	0	0+10=10
7 წელი	49	98	-2	(-2+9,8)=7,8

აქსელერატორის პრინციპის განხილვისას ჩვენ გვაინტერესებს,უწინარეს ყოვლისა,წმინდა ინვესტიციები.წმინდა ინვესტიციები შესაძლოა უარყოფითიც იყოს,როგორც მეშვიდე წელს,მაგრამ ისინი არ შეიძლება ნებისმიერი სიდიდის იყოს.რამდენადაც მთლიანმა ინვესტიციებმა ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით არ შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობაც მიიღოს (ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა,რომ ჩარხები,მანქანები,მოწყობილობა იხსნება და უცხოეთში იყიდება),რომლის მაქსიმალური ზღვარი,რომლებსაც შეიძლება მიაღწიოს უარყოფითმა წმინდა ინვესტიციებმა,ამორტიზაციის სიდიდეს წარმოადგენს.ამ ურთიერთკავშირების გაგება მნიშვნელოვანია ციკლურ მერყეობათა „ჭერისა“ და „იატაკის“ ასახსნელად.

ამრიგად,გაყიდვათა უცვლელ მოცულობას პირველი სამი წლის მანძილზე თან არ ახლავს წმინდა ინვესტიციათა ცვლილებები და ისინი 0-ის ტოლია.მთლიანი ინვესტიციები წარმოდგენილია მხოლოდ საამორტიზაციო ანარიცხებით.მაგრამ,რამდენადაც მე-4 წელს მოხდა გაყიდვათა მოცულობის გადიდება 10 მილიონით,ამდენად კაპიტალი/ პროდუქტის სასურველი თანაფარდობის შესანარჩუნებლად საჭიროა ინვესტიციების 0-დან 200 მლნ-მდე გადიდება,ვინაიდან კაპიტალ-

ტევადობის კოეფიციენტი ჩვენს მაგალითში 2-ის ტოლია.გაყიდვათა მოცულობის ზრდას თან ახლავს წმინდა ინვესტიციათა ჯერადი გადიდება.მაგრამ,როგორც კი გაყიდვათა მოცულობა უცვლელი დარჩება (მე-5დან მე-6 წელზე გადასვლისას),მაშინათვე შეინიშნება წმინდა ინვესტიციების 40-დან 0-მდე შემცირება.გაყიდვათა მოცულობის შემცირება უკვე მე-7 წელს გამოიწვევს უარყოფით წმინდა ინვესტიციებს ანუ დეინვესტიციებს.ამრიგად,გაყიდვათა მოცულობის ზრდას ან შემცირებას თან ახლავს წმინდა ინვესტიციების სიდიდის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება.სწორედ ამაშია აქსელერაციის (დაჩქარების) ეფექტი.ჩვენს მაგალითში აქსელერატორი (V) ანუ კოეფიციენტი,რომელზეც უნდა გავამრავლოთ გაყიდვათა მოცულობის ცვლილება,წმინდა ინვესტიციათა სიდიდის მისაღებად,2-ის ტოლია.იგი ემთხვევა კაპიტალტევადობის კოეფიციენტს,უფრო ზუსტად,კაპიტალტევადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს აქსელერატორის სიდიდეს.

ჩვენი ცხრილი აგებულია ერთ მნიშვნელოვან დაშვებაზე.ჩვენ ვვარაუდობთ,რომ ინვესტიციების გადიდება იმავე წელს ხორციელდება,რომელ წელსაც გაყიდვათა მოცულობის ზრდა.მაგრამ ეკონომისტები აქსელერატორის მოდელის აგებისას განსაზღვრული ლაგიდან (დროითი დაგვიანება) გამოდიან იმ ეკონომიკურ აგენტთა რეაქციაში, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ გაყიდვათა მოცულობის ან რეალური ეშპ-ს გადიდების საქმეში.მართლაც ძნელია წარმოვიდგინოთ ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების აშენება უშუალოდ გაყიდვათა წლიური მოცულობის ზრდის პასუხად.მაშინაც კი,თუ მეწარმე განსაკუთრებული სისწრაფის რეაქციით გამოირჩევა,იგი თავდაპირველად დაყიდის მზა პროდუქციის მარაგებს,გაიანგარიშებს საინვესტიციო პროექტების სხვადასხვა ვარიანტებს და მხოლოდ შემდეგ განახორციელებს ინვესტიციებს.სხვა სიტყვებით,თავიანთ საინვესტიციო პროექტებში მეწარმეები გამოდიან გაყიდვის მოცულობათა და მოგების დინამიკის არა წარსული არამედ მიმდინარე მაჩვენებლებიდან.თუკი წინა პერიოდში გაყიდვათა მოცულობა მცირდებოდა,მაშინ,მეწარმეები დღევანდელ,მიმდინარე პერიოდში შეამცირებენ ინვესტიციათა მოცულობას,ისევ წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ამრიგად,აქსელერატორი შეიძლება მათემატიკურად წარმოვადგინეთ t პერიოდის ინვესტიციათა შეფარდების სახით სამომხმა-

რებლო მოთხოვნის ან ეროვნული შემოსავლის ცვლილებისადმი წინა წლებში:

$$v=I_t / Y_{t-1}-Y_{t-2}, \quad (1)$$

სადაც V-არის აქსელერატორი

I-წმინდა ინვესტიციები t პერიოდში,როდესაც განხორციელდა ინვესტიციები;

Y-სამომხმარებლო მოთხოვნა,შემოსავალი ან რეალურ ეშპ;

t-1 და t-2 წინა წლები. მაგალითად,თუკი 1998 და 1997 წლებს შორის მოხდა ეროვნული შემოსავლის (Y) მატება,მაშინ ამ მატებით გამოწვეული ინვესტიციები განხორციელდება 1999 წელს. ამასთან,აქსელერატორის ეფექტი,მულტიპლიკატორის ცნობილ ეფექტთან შეხამებით წარმოშობს მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტს.ეს მოდელი შემუშავებულ იქნა პ.სამუელსონის და ჯ.ჰიკსის მიერ.მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტი გვიჩვენებს ეკონომიკური სისტემის ციკლურ მერყეობათა თვითშენარჩუნების მექანიზმს.

როგორც ცნობილია,ინვესტიციების ზრდას განსაზღვრული სიდიდით შეუძლია გაზარდოს ეროვნული შემოსავალი მრავალჯერ უფრო მეტი სიდიდით,მულტიპლიკატორის ეფექტის შედეგად.გაზრდილი შემოსავალი,თავის მხრივ,მომავალში გამოიწვევს (განსაზღვრული ლაგით) ინვესტიციათა გამსწრებ ზრდას აქსელერატორის მოქმედების გამო.ეს წარმოებული ინვესტიციები,როგორც ერთობლივი მოთხოვნის ელემენტი,წარმოშობენ მორიგ მულტიპლიკაციურ ეფექტს,რომელიც ისევ გაზრდის შემოსავალს და ამით სტიმულს მისცემს მეწარმეებს ახალი ინვესტირებისათვის.

3.მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა. ოუკენის კანონი

თანამედროვე პერიოდში მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთერთი დამახასიათებელი გამოვლენაა უმუშევართა არმიის არსებობა.მაინც რა არის უმუშევრობა?მისი აღმოცენება საზოგადოებაში ყოველთვის საყოველთაო უბედურებაა,თუ უმუშევრობას გააჩნია რაღაც პოზიტიური ელემენტები?და რა უნდა გავიგოთ უმუშევრობის არარსებობაში?

განვიხილოთ 16 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის სამი კატეგორია.პირველი კატეგორია-ეს არის დასაქმებულები,ანუ მო-

მუშავეები.მათ მიეკუთვნება ადამიანები,რომელთაც სამუშაო გააჩნიათ,მაგრამ რაღაც მიზეზებით (ავადმყოფობა,შვებულება) არ მუშაობენ.

მეორე კატეგორიაა-**უმუშევრობა**.უმუშევრობის კატეგორიას მიაკუთვნებენ ადამიანებს,რომელთაც სამუშაო არ გააჩნიათ,მაგრამ აქტიურად არიან დასაქმებული მისი ძიებით.ასე,მაგალითად აშშ-ში უმუშევრად ითვლება ადამიანი,რომელიც 4 თვის მანძილზე აქტიურ ძალისხმევას იჩენდა სამუშაოს მოსაძებნად.

მესამე კატეგორიას წარმოადგენენ ის პირები,რომლებიც შეტანილი არ არიან სამუშაო ძალის შემადგენლობაში.ესაა სტუდენტები,მოსწავლეები,დიასახლისები,და ისინი,ვისაც არ უნდა მუშაობა რაღაც მიზეზებით.ამ კატეგორიის მოსახლეობას ეკონომიკურად არააქტიურ ნაწილს უწოდებენ.

მთლიანობაში,პირველი და მეორე კატეგორიის მოქალაქეები (დასაქმებულები და დაუსაქმებლები) წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალას.უმუშევრობის დონე იანგარიშება როგორც უმუშევართა რაოდენობის შეფარდება სამუშაო ძალის რაოდენობასთან,გამოხატული პროცენტებში.

ჩვენი საუკუნის დასასრულის უმუშევართა რაოდენობამ მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში 40 მლნ-ს მიაღწია.

განასხვავებენ უმუშევრობის სამ ტიპს.

ფრიქციული უმუშევრობა.პროფესიის,საქმიანობის თუ სახეობის შერჩევისას რაღაც რაოდენობის მომუშავეები „სამუშაოთა შორის მდგომარეობაში“ აღმოჩნდებიან.იგი დაკავშირებულია მოსალოდნელი სამუშაოს ძებნასთან.საქმე ისაა,რომ ადამიანი,რომელმაც უკანასკნელი სამუშაო ადგილი დატოვა ან დაკარგა,ყოველთვის როდი ეწყობა ახალ სამუშაო ადგილზე,მაშინაც კი როცა იგი არსებობს.საჭირო ინფორმაციის უქონლობა,სამუშაო ადგილის დაშორება საცხოვრებელი ტერიტორიისაგან და მრავალი სხვა ფაქტორი იმას იწვევს,რომ ადამიანი გარკვეული დროის მანძილზე ეძებს სამუშაოს,რომელიც გარკვეულ პარამეტრებს შეესაბამება.ზოგიერთ შემთხვევებში ადამიანები იძულებული არიან ეძებონ ახალი სამუშაო.მაგალითად,როდესაც ერთერთი მეუღლე სამუშაოდ გადადის სხვა ადგილზე და მთელი ოჯახი იძულებულია სხვა ქალაქში ან დაბაში გადავიდეს და მეორე მეუღლე იძულებულია მანამ იყოს უმუშევარი,სანამ შესაფერის სამუშაოს ვერ იპოვის.ფრიქციულ უმუშევრობას,როგორც წესი,ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია და შედარებით მოკლევადიანია.ფრიქციული უმუშევრობა მოიცავს კარგი პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანებს და ისინი გარკვეულწილად დაცული არიან.

სტრუქტურული უმუშევრობა.ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნევლად გადადის მეორე კატეგორიაში,რომელსაც სტრუქტული უმუშევრობა ეწოდება.იგი აღმოცენდება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტრუქტურაში ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით,როდესაც იცვლება თვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურა.ადამიანები,რომლებიც ხანგრძლივი წლების მანძილზე პროფესიონალებად ითვლებოდნენ საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში,უცბად გამოუსადეგარი ხდებიან,იმიტომ რომ წარმოება მოითხოვს ახალ კვალიფიკაციას,ახალ სპეციალობებს.სტრუქტურულ უმუშევრობას უფრო ხანგრძლივი ხასიათი გააჩნია,ფრიქციულთან შედარებით და იგი იძულებით ხასიათს ატარებს.ახალ ტექნოლოგიათა მოთხოვნებისადმი შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული გადამზადების შემდეგ,ამიტომ სტრუქტურული უმუშევრობის ლიკვიდაცია ხანგრძლივ პერიოდს გულისხმობს.

უმუშევრობის აღნიშნული ორი ტიპის შეხამება (ფრიქციულის და სტრუქტურულის) ქმნის **უმუშევრობის ე.წ.ბუნებრივ დონეს**,ამ უკანასკნელს არაიშვიათად „სრული დასაქმების დონეს“ ანუ „წონასწორობით უმუშევრობას“ უწოდებენ.უმუშევრობის ბუნებრივი დონე,როგორც ცნობილია განსაზღვრავს პოტენციური ეეპ-ის დონეს.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე განისაზღვრება,როგორც ფაქტობრივი უმუშევრობის დონის გასაშუალებული დონე ქვეყანაში წინა და შემდგომი ათი წლის მანძილზე.მისი გაანგარიშების ნებისმიერ მეთოდიკას განსაზღვრული ნაკლი გააჩნია.ხშირ შემთხვევაში თავიანთ თავს უმუშევრებს უწოდებენ ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულები.

გამოყოფენ უმუშევრობის ბუნებრივი დონის სტაბილურობის შემდეგ მიზეზებს ხანგრძლივ პერიოდში.ჯერ ერთი,უმუშევრობის დაზღვევის განვითარებულ სისტემას.დახმარებების გაცემა მნიშვნელოვნად ამცირებს სწრაფი შრომითი მოწყობის სტიმულებს და ადიდებს უმუშევართა მიერ სამუშაო ადგილის საძებნად დახარღულ დროს.მეორე,მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელფასის ე.წ.სიმკაცრე (სიხისტე),რომელიც იძულებით უმუშევრობას წარმოშობს.

მრავალ ქვეყანაში შეინიშნება უმუშევრობის ბუნებრივი დონის გადიდების ტენდენცია ხანგრძლივვადიან პერიოდში,თუმცა,ცალკეულ პერიოდებში იგი შეიძლება შემცირდეს.1999წ.და-

საწყისისათვის აშშ-ში მიღწეულ იქნა დასაქმების უპრეცედენტოდ მაღალი დონე უკანასკნელი 30 წლის მანძილზე;უმუშევრობის ფაქტობრივი დონე სულ რაღაც 4,2 %-იყო.ქვეყნის 133 მლნ შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მუშაობს 128 ადამიანი,ე.ი.ქვეყნის ყოველი მეორე მოქალაქე.მაგრამ ინფლაციის ტემპების გადიდება არ შეიშნებოდა.შეიძლება გარკვეული სიფრთხილით ვივარაუდოთ,რომ მოხდა უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირება.

ციკლური უმუშევრობა,როგორც თვით დასახელება გვიჩვენებეს ეკონომიკური აქტიურობის ციკლური შერყევებით წარმოიშობა.იგი დაქვეითების,ე.ი.ეკონომიკური ციკლის იმ პერიოდში აღმოცენდება,რომელიც ერთობლივი (მთლიანი) ხარჯების უკმარისობით ხასიათდება.როდესაც ერთობლივი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე მცირდება,დასაქმება მცირდება,ხოლო უმუშევრობა იზრდება.ამ მიზეზით ციკლურ უმუშევრობას ზოგჯერ მოთხოვნის დეფიციტთან დაკავშირებულ უმუშევრობას უწოდებენ.1982წ.დაქვეითების პერიოდში უმუშევრობის დონემ 9,7%-მდე აიწია,ხოლო დიდი დეპრესიის დროს,1933შ.სამუშაო ძალის საერთო რაოდენობის 25%-ს მიაღწია.

ციკლური უმუშევრობა იმითაც არის საშიში,რომ გარდა სოციალური უბედურებისა მას ამასთან მოაქვს რეალური ეშპ-ს მოცულობის აშკარა დანაკარგები.ამას ყურადღება მიაქცია ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ოუკენმა(1928-1979).მან ჩამოაყალიბა კანონი,რომლის თანახმად ქვეყანა კარგავს ფაქტობრივი ეშპ-ს 2-დან 3%-მდე,პოტენციურ ეშპ-სთან შედარებით,როდესაც უმუშევრობის ფაქტობრივი დონე 1%-ით იზრდება მის ბუნებრივ დონესთან შედარებით.ამ კანონს ეკონომიკურ ლიტერატურაში **ოუკენის კანონი** ეწოდება.

4.სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკურ ციკლებსა და კრიზისებზე

ეკონომიკური ციკლები და კრიზისები ობიექტურ პირობებთან კავშირის გარეშე როდი არსებობენ.ყოველი ციკლი და კრიზისი იწვევს იმ გარემოების აღწარმოებას,რომელშიც იგი ვითარდება.მაგრამ ამა თუ იმ ციკლის ან კრიზისის დახასიათება შეიძლება მხოლოდ დროითი დაშორების საფუძველზე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს მასზე სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედების პირობებში.ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედებას შეუძლია არსებითი ზეგავლენა მო-

ახდინოს ეკონომიკური ციკლის მსვლელობაზე,ეკონომიკური დინამიკის ხასიათის შეცვლით.სახელმწიფოებრივი ზემოქმედების შედეგად იცვლება ციკლური მოძრაობის მექანიზმი.

რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი კომპლექსური სისტემა,რომელიც სახელმწიფოს მუდმივად მარეგულირებელ ზეგავლენას ახდენს ციკლურ აღწარმოებაზე,ფინანსური რესურსების სახელმწიფოს ხელში მაღალი ცენტრალიზაციით ხასიათდება.

სახელმწიფო რეგულირება მიმართულია ციკლურ მერყეობათა შერბილებაზე და ამიტომ ატარებს ანტიციკლურ ხასიათს.უმნიშვნელოვანესი მეთოდები,რომელთა დახმარებითაც სახელმწიფო ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ციკლზეესაა საკრედიტო-ფულადი და საბიუჯეტო საგადასახადო ბერკეტები.კრიზისის პერიოდში სახელმწიფოებრივი ღონისძიებები მიმართულია წარმოების სტიმულირებაზე,ხოლო აღმავლობის დროს მის შეფერხებაზე (შეჩერებაზე).მაგალითად,ეკონომიკის „გადახურების“ შესუსტების მიზნით სახელმწიფო აღმავლობის ფაზაში ხელს უწყობს კრედიტის შემდგომ გაძვირებას,შემოაქვს ახალი გადასახადები ინვესტიციებზე.კრიზისის პირობებში,პირიქით,სახელმწიფო ღონისძიებები მიმართულია კრედიტის გაიაფებაზე,გადასახადების შემცირებაზე,დაჩქარებულ ამორტიზაციაზე და საგადასახადო ფასჩამოკლებებზე ახალ ინვესტიციებზე.

მაშასადამე,საბაზრო ეკონომიკის ციკლური კრიზისების მეშვეობით თვითგამართვის თანამედროვე მექანიზმმა მოდიფიცირება განიცადა.ეკონომიკის ფუნქციონირების სტიქიური საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების გადახლართვა ციკლური კრიზისების ფორმით,აღწარმოებით პროცესზე შეგნებული სახელმწიფოებრივ ზემოქმედებასთან,ართულებს კრიზისების „გამწმენდ“ ფუნქციებს,ცვლის ციკლის მიმდინარეობას მთლიანად.

თანამედროვე ეკონომიკური ციკლის განუყრელი ნაწილი გახდა ინფლაცია.ეს უკანასკნელი ურთიერთზემოქმედებს ეკონომიკის ციკლურ მოძრაობაზე.ეს უწინარეს ყოვლისა,თავს იჩენს ციკლის მექანიზმის ცვლილებაში,რომელშიც ახლა ფასების მოძრაობის კანონზომიერებები (მათი დაცემა კრიზისის ფაზაში და ზრდა აღმავლობის ფაზაში) გადაიხლართება სახელმწიფო რეგულირების ფასწარმომქნელ ფაქტორებთან.

თანამედროვე პირობებში მსხვილი კაპიტალი ეგუება მყიდველობით უნარს წარმოების შემცირების გზით,მაღალი ფა-

სების შენარჩუნებით.სახელმწიფო თავის მხრივ,მსხვილ ფირმებს ეხმარება,ასეთი გზით მართოს კრიზისი.ამიტომ საფასო მექანიზმის მოდიფიკაციები გამოიხატება ფასების „მგრძნობიარობის“ შემცირებაში საბაზრო მექანიზმის საკრიზისო შესწორებისადმი.

იცვლება თანამედროვე ციკლებისა და კრიზისების გამოვლენის ფორმები.ეს გამოიხატება: ციკლური მოძრაობის სინქრონიზებაში სხვადასხვა ქვეყანაში,რაც ზღუდავს საკრიზისო პროცესების შერბილების შესაძლებლობებს ესქპორტის გაფართოების ხარჯზე;ციკლური კრიზისების გახშირებასა და ციკლის ხანგრძლივობის შემცირებაში;კრიზისების სიღრმის შეფარდებითი შემცირებით;აღმავლობისა და გამოცოცხლების ფაზების არასტაბილურობაში;კრიზისების მაჩვენებელთა მასშტაბების და სიღრმის ცვლილებაში.

თანამედროვე ციკლურ აღწარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1974-1975 წწ და 1980-1982 წწ.მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს.აშშ-სათვის ამ კრიზისების მაჩვენებლები ასეთია:სამრეწველო წარმოების დაცემამ 1974-1975წწ.კრიზისების დროს 13,8% შეადგინა,ხოლო 1980-1982 წწ.კრიზისების დროს 20,8;სამომხმარებლო ფასების მატებამ ,შესაბამისად, 9,1 და 13,5%;უმუშევრობის დონემ-9,2 და 10,4%

1974-1975წწ. და 1980-1982წწ.კრიზისები ხასიათდება ტრადიციულ კრიზისულ მოვლენათა (წარმოების დაცემა,უმუშევრობის ზრდა,წარმოებრივ სიმძლავრეთა ქრონიკული დაუტვირთაობა) შეხამებით ფასების მუდმივ ზრდასთან.ამიტომ მათ **სტაგფლაციური კრიზისების** სახელწოდება მიიღეს (და ციკლებისა შესაბამისად).ეს ორი პროცესი გადაეხლართა სტრუქტურულ კრიზისებს ენერგეტიკულს,სასურსათოს,სანედლეულოს,ეკოლოგიურს).

სტრუქტურულ კრიზისებს წარმოშობს სიღრმისეული დისპროპორციები წარმოების ცალკეულ სფეროთა და დარგების განვითარებაში.ამიტომ ისინი ანგრძლივ ხასიათს ატარებენ და ვერ თავსდებიან ერთი ეკონომიკური ციკლის ფარგლებში.სტრუქტურული კრიზისების ფუნქციას შეადგენს-შრომის საერთაშორისო დანაწილების წინააღმდეგობათა დროებით გადაჭრა.მათი წარმოშობა დაკავშირებულია კონფლიქტთან განვითარებულ სახელმწიფოებსა და განვითარებად სახელმწიფოებს შორის,კოლონიური სისტემის დამსხვრევის შემდეგ.მან თავისი ასახვა ჰპოვა მსოფლიო განვითარების ღრმა დისპროპორციულობაში,როდესაც ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნებისადმი ნავთობისა და ნედლეულის თავსმოხვეულმა დაბალმა ფასებმა გამოიწვიეს ამ საქონელთა შეფარდებითი უკმარისობა.სუვერენიტეტის დამყარებამ,საკუთარი ბუნებრივი რესურსების განკარგვამ საშუალება მისცა განვითა-

რებად ქვეყნებს მიეღწიათ ნედლეულის უფრო სამართლიანი ფასების დაწესებისათვის და გაეზარდათ შემოსავლები ექსპორტისაგან.

თანამედროვე ციკლური კრიზისების თავისებურებები დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულირების კრიზისთან,რაც სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის უსუსურობაში,ციკლურ აღწარმოებაზე ზემოქმედების თეორიისა და პრაქტიკის გაკოტრებაში გამოიხატა.სახეზეა სახელმწიფო პოლიტიკის ოფიციალურად გამოცხადებული მიზნების შეუსაბამობა ეკონომიკის რეგულირების ფაქტობრივი შედეგებისადმი:ნაცვლად ეკონომიკის მაღალი და სტაბილური ტემპებისა-მათი დაცემა,სრული დასაქმება შეცვალა მასობრივმა უმუშევრობამ;ფასების „სტაბილურობა"-ქრონიკულმა ინფლაციამ,საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა-სახელმწიფო ვალის ზრდამ.ყოველივე ამის შედეგად,სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ეკონომიკის მერყეობის დამატებითი ფაქტორი გახდა.

ახალი აღწარმოებითი პროპორციებისადმი შეგუება თანამედროვე მეურნეობაში ხორციელდება უწინარეს ყოვლისა კონკურენტულ-საბაზრო მეთოდებით.ამის შედეგად იზრდება სტიქიური ეკონომიკური კრიზისების მასტიმულებელი ფუნქციის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში.ამაზე მოწმობს ციკლური დაქვეითებები;1989-1991წწ.-აშშ-ში,1990-1993წწ.ევროპის ქვეყნებში,1991-1995წწ.იაპონიაში.წარმოების კრიზისულმა დაქვეითებამ პირობები შექმნა ციკლური გამოცოცხლებისათვის,ხოლო შემდგომ წარმოების ზრდისათვის,რაც 1996 წლიდან დაიწყო.

აღნიშნულთან ერთად,თანამედროვე კრიზისებში უფრო ნაკლებმოძრავია ისეთი ეკონომიკური პარამეტრები,როგორიცაა ფასები,ხელფასი,დასაქმება,რომელთა დახმარებით ადრე შესაძლებელი იყო წარმოებრივი დისპროპორციების დაძლევა.პროპორციულობის აღდგენაში თანამედროვე პირობებში მონაწილეობს მოძრავი სავალუტო კურსები,სარგებლის განაკვეთები,ფულადი მასის და სახელმწიფო ვალის სიდიდეები.ამ ეკონომიკური პარამეტრების ცვალებადობა საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმს მანევრირებას აძლევს.

5.ეკონომიკური განვითარების გრძელი ტალღები

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ მოკლე (10 წლამდე) არამედ დიდი ციკლებიც, ხანგრძლივვადიანი ტენდენციებით (ტალღებით),50-60 წლის ხანგრძლივობით,რომლებიც მოიცავს დაქვეითებისა და აღმავლობის ფაზებს.

ეკონომიკის ხანგრძლივვადიანი მერყეობის თეორიის ანუ კონიუნქტურის დიდი ტალღების საფუძვლები შეიქმნა XX-ს.დასაწყისში (ი.შუმპეტერი,ნ.კონდრატევი).

გრძელი ტალღების თეორიის არსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს:კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება ხასიათდება შენელებული და დაჩქარებული ზრდის თანმიმდევრული მონაცვლეობით,რომელთა შორის თითოეული ორ-სამ ათწლეულს მოიცავს.ეკონომიკაში ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური მერყეობის აღწარმოების მექანიზმის ძირითადი ელემენტებია,ხანგრძლივი მომსახურების ვადის მქონე ძირითადი კაპიტალის ბრუნვა,თავისუფალი ფულადი კაპიტალის დაგროვება,მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

გრძელი ტალღების თეორიის აღორძინება დაკავშირებულია ი.შუმპეტრის სახელთან და მის ნაშრომთან „ეკონომიკური ციკლები (1939წ),სადაც ამ თეორიამ ყველაზე უფრო სრული განვითარება მიიღო.შუმპეტერის ნაშრომი დაემთხვა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მებანიზმში ცვლილებების პერიოდს.შემდგომში,კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლით,ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებით,ხანგრძლივვადიანი მერყეობებისადმი ინტერესი პრაქტიკულად,მთლიანად გაქრა.მაგრამ,60-70 იანი წლების მიჯნაზე ისევ შეინიშნება ამ პრობლემისადმი მიბრუნება,რაც დაკავშირებული იყო საბაზრო ეკონომიკის შესვლასთან მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების გარდაქმნის ფაზაში.

მიუხედავად შეხედულებათა განსხვავებისა გრძელი ტალღების კონკრეტული მექანიზმის თაობაზე,თანამედროვე დასავლეთელ ეკონომისტთა ნაშრომები მიდის ი.შუმპეტერის მიერ შემოთავაზებული მიმართულებით,რომელიც ხანგრძლივვადიანი ტენდენციების აღმოცენებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უთანაბრობით ხსნის.ეკონომიკის ხანგრძლივვადიანი მერყეობების ძირითად მიზეზს შუმპეტერი იმაში ხედავდა,რომ საბაზო სიახლეთა დანერგვა (ისეთ სიახლეთა,რომლებიც არსებითად ცვლიან როგორც

მყიდველისადმი მწოდებულიპროდუქტების ნაკრებს,ისემათი დამზადებისტექნოლოგიას),წარმოებსარაუწყვეტად,არამედპერიოდულად.იმ მომენტში,როდესაც ადრე არსებულ საქონელთა ანაკრებიგააჯერებს ბაზარს,როდესაცწარმოების შემდგომი გაფართოება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ხმარებიდან გამოსულ საქონელთა ხარჯზე,ხოლო უწინდელი ტექნოლოგია არ იძლევა უკვე წარმოებული პროდუქციისაგან რაიმე პრინციპულად განსხვავებულისწარმოებისშესაძლებლობას(ე.ი.ნაწილობრივიმოდერნიზაციისადაგაუმჯობესებათაშედეგად),შეუძლებელიაბაზრის მნიშვნელოვნად გაფართოება,რომ არაფერი ვთქვათ ახლის შექმნაზე.

ბაზრის უკიდურესად გაჯერების ასეთი სიტუაცია პერიოდულად განიხილება.ახალ საბაზრო სიახლეთა გამოყენება იწვევს წარმოების სწრაფ ზრდას მოწინავე დარგებში,რაც სტიმულს აძლევს მთელი ეკონომიკის ზრდას და სტრუქტურულ გარდაქმნას.მაგრამ იმის კვალობაზე,თუ ბაზარი რაც უფრო ივსება,ეკონომიკაში კრიზისული სიტუაცია იზრდება,რაც ახალი პერსპექტიული ბაზრების შექმნას მოითხოვს,რომელიც სტიმულს აძლევს კაპიტალის თვითზრდას.

ი.შუმპეტერმა არა თუ განავითარა სიახლეთა დანერგვის თეორია,არამედ შეეცადა გრძელი ტალღების პერიოდიზაცია შეეხამებინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დამახასიათებელი პრობლემისადმი.ასე,მაგალითად 1887-1842წწ.ტალღა მან დაუკავშირა სამრეწველო რევოლუციას:წარმოებაში ორთქლის ძრავების დანერგვას და საფეიქრო და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას.შემდგომი ტალღის პერიოდში 18420189766წწ.შეინიშნებოდა დაჩქარებული განვითარება ტრანსპორტის სფეროში (რკინიგზები და ორთქლის, გემთმიმოსვლა).მესამე ტალღას,რომელიც 1897წ.დაიწყო და **XX** საუკუნის 30-40-იანი წლების ბოლოს დამთავრდა.იგი უკავშირდება ავტომშენებლობის,ქიმიური მრეწველობის განვითარებას და ელექტრობის ფართოდ დანერგვას.

ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივვადიანი ტენდენციები დაკავშირებულია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის მოძველებასთან,ეკონომიკის ხანგრძლივვადიანი განვითარებისა და ზრდის რესურსების ამოწურვასთან.მწარმოებლივ ძალთა თვისებრივი ცვლილება,რომელსაც შეუძლია ახალი ხანგრძივი აღმავლობის უზრუნველყოფა,ცვლის სამეურნეო მექანიზმსაც.

საბაზრო ეკონომიკის ხანგრძლივვადიანი ციკლური რყევების პროცესი პრაქტიკით დასტურდება.თუკი გრძელი ტალღის გარდატეხის

წერტილების სახით ავიღებთ ყველაზე უფრო სიღრმისეულ ეკონომიკურ კრიზისებს,შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ხანგრძლივი (გრძელი) ტალღები.

1825-1873წწ.ტალღა-თავისუფალი კონკურენციის პერიოდი. 1873-1929წწ.ტალღა-მრავალდარგობრივი მონოპოლისტური სტრუქტურების ფორმირებისა და აყვავების პერიოდი.

1929-1975წწ.პერიოდი.ერთდარგოვანი მონოპოლისტური სტრუქტურის დაცემაზე რეაქციას წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში,რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის კაპიტალის ფუნქციონალური სტრუქტურის შეცვლის,საწარმოთა მრავალდარგოვან სტრუქტურაზე გადასვლისათვის.

1974-1975წწ.ეკონომიკური კრიზისიდან შეიძლება გამოყოფილ იქნეს ხანგრძლივვადიანი განვითარების შემდგომი ტალღა.სამეურნეო მექანიზმში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს კონკურენცია,ბაზარი,და ასევე კერძომონოპოლისტური რეგულირება.სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის პროცესებში მცირდება მისი როლის იმავდროული გაძლიერების პირობებში,განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული პირობების განვითარებისა და ზრდის უზრუნველყოფაში.

მაშასადამე,საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების,როგორც მოკლე,ისე დიდი ციკლები.

როგორც მოკლე,ისე დიდი ციკლები-ეკონომიკური მოძრაობის,განვითარების ფორმაა.ნებისმიერ ციკლში ყოველი შემდგომი ფაზა არის პირობების კუმულატიური დაგროვების შედეგი წინა ფაზის განმავლობაში.ყოველი ახალი ციკლი კანონზომიერად მოსდევს მეორეს,ისე როგორც ერთიდაიგივე ციკლის ერთი ფაზა იცვლება მეორეთი.

მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდულ მერყეობათა საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.მოკლე ციკლებში კრიზისი წარმოადგენს მოდერნიზაციისა და წარმოების ტექნიკური გაუმჯობესების და,მაშასადამე,ბაზრის გაფართოების ბიძგს.დიდ (გრძელ) ციკლებში კრიზისული პროცესები მოითხოვენ საბაზო სიახლეთა დანერგვას.ეს სტიმულს აძლევს არა მხოლოდ წარმოების ზრდას,არამედ მთელი ეკონომიკის და მისი ფუნქციონირების მექანიზმის სტრუქტურულ გარდაქმნას.მაშასადამე, დიდი ციკლები ხასიათდებიან არა მხოლოდ ბაზრის გაფართოებით,არამედ ახლის შექმნითაც;

მოკლე და დიდი ციკლები განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მოძრაობენ შედარებით სინქრონულად და ქმნიან მსოფლიო ციკლებს.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რა არის ეკონომიკური ციკლი?
2.როგორია ციკლის ფაზები?
3.როგორიია უმუშევრობის სახეები?
4.რას ნიშნავს უმუშევრობის ბუნებრივი დონე?
5.რა არის სტაგფლაცია?
6.რას ნიშნავს განვითარების გრძელი და მოკლე ტალღები?

თავი მეცამეტე

სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიუჯეტური მოწყობა

1.ეკონომიკის ფინანსური რეგულირების ინტრუმენტი

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ საფინანსო-საკრედიტო სისტემის ელემენტები და მათ შორის ურთიერთობები ფულადი რესურსების განაწილებისა და ფინანსური კავშირების ფორმირების სახით.ფულად ბაკადებთან და კავშირებთან ერთად საფინანსო სისტემა ხასიათდება ასევე შემოსულობათა წყაროებით და ფულადი საშუალებების ხარჯვის მიმართულებებით.მოდით,ახლა ყურადღება გავამახვილოთ სოციალურო-ეკონომიკური პროცესების ამ არსებით მხარეზე,ე.ი.ბიუჯეტურ რეგულირებაზე,რომელიც ბიუჯეტურ ფულად საშუალებათა დაგეგმვის,ფორმირების მეშვეობით ხორციელდება ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე.

ბიუჯეტს,როგორც „ფულის ჩანთას“,საფულეს,ფულის შენახვისა და მისგან ფულის ამოღებისათვის სხვადასხვანაირი განმარტება გააჩნია.ერთი მხრივ,ესაა ფინანსური რესურსების,საშუალებების ერთობლიობა,რომელიც გააჩნია ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს,იქნება იგი სახელმწიფო,ტერიტორია,საწარმო, თუ ოჯახი.მეორე მხრივ,-ესაა თანაფარდობა ეკონომიკური სუბიექტის ფულად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის,მისი ფულადი საშუალებების ბალანსი,რომელიც ახასიათებს მათი შემოსულობებისა და ხარჯვის თანაფარდობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ნებისმიერი ადამიანისათვის „ბიუჯეტი“ ასოცირდება მის ფინანსურ მდგომარეობასთან,ფულადი სახსრების დაგროვებასთან,ფულადი შემოსავლებისა და ხარჯვის შესაბამისობასთან.

ბიუჯეტური სისტემა და ბიუჯეტის შედგენა ქმნის ეკონომიკური სისტემის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს,განასახიერებს ეკონომიკის ფინანსური რეგულირების საბაზისო ხერხს.

ბიუჯეტი და ბიჯეტური რეგულირება არსებობს ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში,დამახასიათებელია როგორც საბაზრო,ისე არასაბაზრო ეკონომიკისათვის.

ცენტრალიზებულ ეკონომიკაში ბიუჯეტი მთლიანად დაქვემდებარებულია სახელმწიფო ეკონომიკურ გეგმაზე,მისგან გამომ-

დინარეობს და რაიმე მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა არ გააჩნია.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სიტუაცია რამდენადმე განსხვავებულია.წლიური სახელმწიფო ბიუჯეტების შედგენას,დამტკიცებას და შესრულების ანალიზს უდიდესი ყურადღება ექცევა.თვით ბიუჯეტები სახელმწიფო და ტერიტორიულ ერთეულთა დონეზე ფინანსური წამყვანი,განმსაზღვრელი ფორმაა.სხვათა შორის ეს ფაქტი წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ,რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადგილი არა აქვს ცენტრალიზებულ სახელმწიფო რეგულირებას,რეალური სიტუაცია საპირისპიროზე მეტყველებს.

პრინციპულად მნიშვნელოვანია ის უდაო ფაქტიც,რომ განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში დამკვიდრდა და დაცულია ბიუჯეტების მიღების დემოკრატიული პროცედურა საერთოსახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

მეურნეობის სტაბილურობის შენარჩუნების,კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების,პროპორციულობისა და დაბალანსებულობის უზრუნველყოფის,ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების და სფეროების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ფინანსური ნაკადებისადმი კონტროლს,ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების დროულ კორექტირებას.ცხადია,რომ რეალური ფინანსური თანაფარდობები განსხვავდება პროექტებსა და გეგმებში დასახულისაგან. ჩვეულებრივ,ფულადი ხარჯები აჭარბებენ თავდაპირველად დასახულს,ხოლო შემოსავლები მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდება.აქედან გამომდინარეობს ბიუჯეტების კორექტირების,რეზერვების გამოყენების აუცილებლობა,რათა ეკონომიკური პროცესები წარიმართოს საჭირო მიმართულებით,შეთანხმებულ იქნეს ისინი ფინანსურ შესაძლებლობებთან.

მნიშვნელოვანია,რომ ბიუჯეტურ რეგულირებაში რომელიც სახელმწიფო და რეგიონული ბიუჯეტების საშემოსავლო და ხარჯვითი მუხლების ფორმირების მეშვეობით ხორციელდება,თავს იჩენს ფინანსური მართვის დემოკრატიზაციის ხარისხი.ერთია,როდესაც ფინანსებს,ბიუჯეტის მეშვეობით განკარგავენ სახალხო ხელისუფლების ორგანოები და სულ სხვა,როდესაც „ფულის ჩანთის" შემცველობას ანაწილებენ სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელები,სამინისტროების და უწყებების ჩინოვნიკები,რომლებიც ვიწროუწყებრივი,გარდამავალი,პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

მთლიანად,საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა და მოსახლეობის ფინანსური რესურსების შექმნაში,მოძრაობასა და განაწილებაში სახელმწიფო ჩარევის ხარისხი გაცილებით ნაკლებია,ვიდრე [illegible] ტიპის ეკონომიკაში.ამასთან,სახელმწიფოს ბიუჯეტურ-მარეგულირებელი ფუნქცია საბაზრო ეკონომიკის რიგ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია და ზრდის ტენდენცია გააჩნია.ასე,რომ საბიუჯეტო სისტემა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის ერთერთი წამყვანი რგოლია.

ბიუჯეტის დახმარებით,ისე როგორც მასთან დაკავშირებული გადასახადით დაბეგვრის და საგადასახადო შეღავათებით,სუბსიდიებით და სუბვენციებით,სახელმწიფო ინვესტიციებით,სარგებლის განაკვეთებით,სახელმწიფო მარეგულირებელ ზეგავლენას ახდენს საქონელმწარმოებლებზე,ხოლო მათი მეშვეობით საქონელთა და მოხმარების,კაპიტალის,სამუშაო ძალის ბაზარზე.საკუთრივ ბიუჯეტი და საბაზრო რეგულატორები-ერთი მედლის ორი მხარეა.მაგალითად,გადასახადების მეშვეობით შეიძლება გაიზარდოს ფულადი სახსრების შემოსულობები ბიუჯეტში.

საბიუჯეტო სისტემაში გამოყოფენ სამი დონის ბიუჯეტს:სახელმწიფო ბიუჯეტს,საწარმოთა,ორგანიზაციათა,დაწესებულებების ბიუჯეტებს,რომელთაც ზოგჯერ ბალანსებს უწოდებენ და საოჯახო ბიუჯეტებს.

2.სახელმწიფო ბიუჯეტის არსი და მოწყობის სახეები

სახელმწიფო ფინანსების სფერო შედგება სახელმწიფო ბიუჯეტისაგან,რომელიც მოიცავს ბიუჯეტურ ურთიერთობათა სფეროს ქვეყნის ბიუჯეტური ფონდის ფორმირებისა და გამოყენების საქმეში.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი რგოლი სახელმწიფო ფინანსების სისტემაში სახელმწიფო ბიუჯეტია.

ბიუჯეტური ურთიერთობები,თავის მხრივ,ახასიათებენ ფინანსურ ურთიერთობებს,რომლებიც წარმოიშობიან საწარმოს,დაწესებულებებს და მოსახლეობას შორის სახელმწიფოსთან და დაკავშირებულია ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდის ფორმირებასა და გამოყენებასთან ერთობლივი მოხმარებისათვის.ბიუჯეტური ურთიერთობები მრავალმხრივობით ხასიათდება იმის გამო,რომ ამაღლებენ განაწილებითი პროცესის სხვადასხვა მიმართულებებს და მოიცავენ მეურნეობრიობის ყველა დონეებს (ფედერალურს,რესპუბლიკურს,ადგილობრივს).ბიუჯეტური ურთიერთობები დამოკიდებულია მეურნეობის გაძღოლის მეთოდე-

ბის,ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარების,სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკისაგან.ასეთ ურთიერთობათა აუცილებლობა დაკავშირებულია იმასთან,რომ სახელმწიფოს ხელში კონცენტრირდება ეროვნული შემოსავლის განსაზღვრული წილი (არარიცხები გადასახადების და შემოსავლებიდან, გადასახდელების სახით),რომელიც განაწილებულ უნდა იქნეს მთელი საზოგადოების კვლავწარმოების საჭიროებისათვის,საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრისათვის,ისეთის,როგორიცაა მართვა,თავდაცვა,სოციალურ-კულტურული განვითარება.

ეკონომიკური არსის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს ფულად ურთიერთობებს,რომლებიც წარმოიშობა სახელმწიფოს იურიდიულ პირებთან და მოსახლეობასთან და ეროვნული შემოსავლების გადანაწილებაში მდგომარეობს სახსრების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით მეურნეობრიობის დაფინანსების,სოციალური პოლიტიკის განხორციელების,მეცნიერების,კულტურის,განვითარების,ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისა და საზოგადოების მართვისათვის.

ფინანსური სისტემის ამ რგოლის თავისებურება ისაა,რომ ბიუჯეტი დაკავშირებულია ეროვნული შემოსავლის ნაწილის გამოცალკევებასთან გადასახადების და გადასახდელების ასხით სახელმწიფოს ხელწი და მის გამოყენებასთან საზოგადოებრივი მიზნებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტი უმსხვილესი ცენტრალიზებული ფულადი ფონდია,რომელიც მთავრობის განკარგულებაში იმყოფება.ბიუჯეტური ერთიერთობების მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების თავმოყრა სახელმწიფოს ხელში და მათი გამოყენება მის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისათვის.**გამანაწილებელი ფუნქცია** ვლინდება სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებული ფულადი სახსრების განაწილების შედეგად საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად,ამასთან,ამ ფუნქციის მოქმედების სფერო მრავალფეროვანია.სახელმწიფო ბიუჯეტი **მაკონტროლირებელ** ფუნქციასაც ასრულებს,რომელიც იმის გაგების საშუალებას იძლევა,თუ ფინანსური რესურსები რამდენად დროულად და სრულად შემოდის მთავრობის განკარგულებაში,როგორ დგინდება სახსრების განაწილების პროპორციები და როგორ ნაწილდება ისინი.ბიუჯეტი ასახავს ეკონომიკურ პროცესებს,რომლებიც მიმდინარეობენ ეკონომიკის სტრუქტურულ რგოლებში,რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება იმის დანახვა,თუ როგორ შემოდის ეს სახსრები და რა მოცულობით.სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციების გამოვლენა თავის ასახვას პოულობს

სახელმწიფოს მიერ შექმნილი **საბიუჯეტო მექანიზმით** ,რომელიც საბიუჯეტო პოლიტიკის რეალური განსახიერებაა და ასახავს ბიუჯეტურ ურთიერთობათა კონკრეტულ მიმართულებას ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე.

ბიუჯეტური ურთიერთობები ყალიბდება სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსავლებისა და ხარჯების** საფუძველზე.სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები-**განსაკუთრებული ეკონომიკური ფორმებია,რომელთა საფუძველზე ხდება საზოგადოებაში შექმნილი ფინანსური რესურსების გადანაწილება.**

ბიუჯეტის შემოსავლებში ასახვას პოულობს ეკონომიკური ურთიერთობები,რომლებიც აღმოცენდება გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის.ეს ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება გადასახდელების გადახდისას გადასახადებისა და მოსაკრებლების ფორმით,რომელიც სახელმწიფოს საბიუჯეტო ფონდის ფორმირებაზე წარიმართება.საბაზრო ეკონომიკა კარნახობს შემოსავლების ფორმირებას ძირითადი მეთოდის სახით სხვადასხვა გადასახადის დაწესებით.გადასახადების ეკონომიკური ფუნქცია იმაში მდგომარეობს,რომ წარმოიშობა ფულადი ურთიერთობები,რომელთაც მკაფიო ობიექტური განპირობებულობა გააჩნიათ. სახელდობრ,ისინი სახელმწიფოს განსაზღვრული რაოდენობის ფულადი თანხის მიღების საშუალებას აძლევს შემოსავლების პირველად მიმღებთაგან.ნებისმიერი გადასახადი განიხილება როგორც ეკონომიკური კატეგორია,რომელიც ასრულებს ორ ფუნქციას:**ფისკალურს**,რომლის დახმარებით ფორმირდება ბიუჯეტური ფონდი და **ეკონომიკურს**,რომელიც ზეგავლენას ახდენს კვლავწარმოებაზე.

გადასახადი-საჯალდებულო გადასახდელია,რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში შემოდის კანონმდებლობით განსაზღვრული სიდიდით და დადგენილ ვადაში.

გადასახადების გარდა ბიუჯეტში შემოდის მოსაკრებლები:ვაჭრობის უფლებისათვის,ავტოტრანსპორტის დგომისათვის,საკურორტო,სააქციზო **მოსაკრებლები**,საბაჟო გადასახადები და სხვა.

თუკი გადასახადის გადამხდელი ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და არ შეუძლია გადასახადის დროული გადახდა,მას შეუძლია ისარგებლოს **საგადასახადო კრედიტით**.ეს თავისებური შეღავათია,რომელიც შეიძლება დადებულ იქნეს საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ინსპექტორს შორის.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვა-ეკონომიკური ურთიერთობებია,რომლებიც აღმოცენდება ბიუჯეტური სახსრების განაწილების

პროცესში მეურნეობის საჭიროებებზე. და სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე.მთავრობის ხარჯები ყველაზე ზოგადი სახით წარმოგვიდგება,როგორც საქონელთა და მომსახურების სამთავრობო შესყიდვების და ტრანსფერტულ გადასახდელთა ჯამი.სამთავრობო შესყიდვები მოიცავს,მაგალითად იარაღის შესყიდვის,სხვადასხვა მშენებლობის,მოსამართლეთა,მასწავლებლების,მეხანძრეთა,პოლიციელთა მომსახურების ანაზღაურებას.ტრანსფერტული გადასახდელები-ესაა მისაცემლები,რომელიც გადაანაწილებს საგადასახადო შემოსავლებს გადასახადის გადამხდელებისაგან,მოსახლეობის განსაზღვრულ ფენებზე უმუშევრობის დახმარების,სოციალური დაზღვევის და უზრუნველყოფის, ვეტერანების პენსიის და სხვათა. ფორმით.სამთავრობო შესყიდვებს უმეტესწილად გამომფიტველ ხარჯებს უწოდებენ,რამდენადაც ისინი უშუალოდ შთანთქავენ ან იყენებენ რესურსებს.ტრანსფერტები კი არაგამომფიტველია,რამდენადაც რესურსებს არ შთანთქავენ,რაც წარმოებასთან არ არის დაკავშირებული.იმავდროულად,ტრანსფერტებიც და შესყიდვებიც ზეგავლენას ახდენენ რესურსების განაწილებაზე.

ბიუჯეტური ხარჯები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს სხვადასხვა პრინციპით:მათი როლით კვლავწარმოებაში;დარგების მიხედვით;მიზნობრივი დანიშნულებით.

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი სახსრები,რომლებიც სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე იხარჯება,მიმართულია განათლების,კულტურის,მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განხორციელებაზე.

თავდაცვაზე ბიუჯეტის დანახარჯებში ძირითადი ადგილი უჭირავს შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვას,შეიარაღებულ ძალთა შენახვის მიმდინარე ხარჯებს.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადამეტებას ხარჯვით ნაწილზე **ბიუჯეტის პროფიციტი** ეწოდება.

იმ შემთხვევებში,როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები არასაკმარისია აუცილებელი ხარჯების განსახორციელებლად,წარმოიშობა ბიუჯეტის დეფიციტი.მოკლედ,**ბიუჯეტის დეფიციტი**-მისი ხარჯვითი ნაწილის გადამეტებაა საშემოსავლო ნაწილზე.ბიუჯეტური დეფიციტის დროს სახელმწიფოს არ ყოფნის სახსრები თავისი ფუნქციების ნორმალურად შესრულებისათვის და სხვადასხვა სესხის აღება უხდება.

მნიშვნელოვანი ბიუჯეტური დეფიციტის ძირითადი მიზეზები,რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში გამოვლინდა-წარმოების დაბალი ეფექტიანობაა,მნიშვნელოვანი სო-

ციალური დანახარჯები,გადასახადების შეუტანლობა ბიუჯეტში,ბიუჯეტური ხარჯების სტრუქტურის არარაციონალურობა.

ბიუჯეტური დეფიციტის დასაფარავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო კრედიტის სხვადასხვა ფორმები.რუგორც საშინაო,ისე საგარეო.კრედიტის სახით მოსახლეობის,საწარმოთა სახსრების გამოყენება სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვიდან ამონაგების სახით,ადიდებს ისედაც დიდ დეფიციტს.ასეთი სესხის აღებით სახელმწიფო აგროვებს თავის ვალებს,რომელსაც **სახელმწიფო ვალი** ეწოდება.ეს ის ტვირთია,რომელიც ართულებს ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას.სახელმწიფო ვალის ზრდა ამცირებს კაპიტალის მარაგს ეკონომიკაში,რამდენადაც დანაზოგების მფლობელი ეკონომიკაში ინვესტირების ნაცვლად სახელმწიფო კომპანიათა აქციების შეძენის ან დაკრედიტების მეშვეობით კაპიტალის გაფართოებისათვის იძენს ობლიგაციებს,სახელმწიფოს დაფინანსებით.

ქვეყანაში გამოყენებული ბიუჯეტების ერთობლიობას,**ბიუჯეტურ სისტემას** უწოდებენ.მასთში თავს იყრის ის საბიუჯეტო სახსრები,რომლებიც აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივ დანახარჯთა განსახორციელებლად.

ბიუჯეტური სისტემის დამოუკიდებელი ნაწილია **ადგილობრივი ბიუჯეტიც**.მაშინ როდესაც ხელისუფლების ფედერალური ორგანოები თავიანთ საქმიანობას ძირითადად საშემოსავლო გადასახადების,კორპორაციათა მოგების გადასახადების,ხელფასის გადასახადების ხარჯზე აფინანსებენ,ადგილობრივი ორგანოები სახსრებს ძირითადად ღებულობენ გაყიდვის გადასახადებისა და ქონებრივი გადასახადების,ადგილობრივი გადასახადების ხარჯზე.ხარჯების სახეობაა განათლების,სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა,ჯანდაცვის,მართვის ხარჯები.სახელმწიფო ბიუჯეტის ასეთ გადანაწილებას **ფისკალურ ფედერალიზმს** უწოდებენ.

ბიუჯეტის შედგენა,მისი განხილვა,დამტკიცება,სახსრების გამოყენება,საბიუჯეტო საქმიანობის შედეგების განხილვა-ყველაფერი ეს **ერთიან საბიუჯეტო პროცესს** წარმოადგენს.

ბიუჯეტს განიხილავს და ამტკიცებს პარლამენტი.მასში მითითებული უნდა იყოს ბიუჯეტურ ასიგნებათა ზედა ზღვარის სიდიდე მიმდინარე ხარჯებზე და განვითარების ბიუჯეტზე.საქმე ისაა,რომ,თუკი წარმოიშობა ბიუჯეტური დეფიციტი,მაშინ,უწინარეს ყოვლისა,შესაბამისი შემოსავლებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიმდინარე ხარჯები,ხოლო განვითარების ბიუჯეტი შეზღუდულ უნდა იქნეს თავდაპირველი თანხით.

საფინანსო ორგანოები აკონტროლებენ ბიუჯეტის შესრულებას.დეფიციტის ზღვრული დონის გადაჭარბებისა და საშემო-

სავლო წყაროების მნიშვნელოვანი შემცირების შემთხვევებში მიმართავენ **ხარჯების სეკვესტრს** (შემცირებას).სეკვესტრი ნიშნავს,რომ უნდა მოხდეს ხარჯების პროპორციული შემცირება 5,10,15%-ით და ა.შ.ყოველთვიურად ბიუჯეტის ყველა მუხლის მიხედვით,მთელი ფინანსური წილის დარჩენილი თვეების მიხედვით.ცხადია,სეკვესტრს არ ექვემდებარება ე.წ.დაცული **მუხლები**-ესაა ხელფასის,სტიპენდიების,მედიკამენტების,კვების და ა.შ.დანახარჯები.

საგანგებო გარემოებებში ქვეყანაში შეიძლება შემოღებულ იქნეს სახსრების ხარჯვის **საგანგებო საბიუჯეტო რეჟიმი**.საგანგებო ღონისძიებათა მიღება გათვალისწინებულია სპეციალური კანონით.

3.ბიუჯეტგარეშე ფონდები

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების პარალელურად პრაქტიკაშია ფულადი რესურსების გამოყენების სხვა ფორმებიც.ერთ-ერთი ასეთი გზაა ბიუჯეტგარეშე ფონდების შექმნა.სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს უწყობს სახსრების მობილურობას,საჭიროების შემთხვევაში მათ გადანაწილებას ხარჯების სხვადასხვა სახეობებზე. ფონდების გადანაწილების დროს ნაკლები ზიანი რომ მიადგეს სოციალურ მოთხოვნილებებს,სხვადასხვა ქვეყნებში იქმნება მრავალი სახის ბიუჯეტგარეშე ფონდები.

ბიუჯეტგარეშე ფონდები ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ორგანოების ხელში იმყოფებიან,მათი ფორმირების და ფუნქციონირების წესი რეგლამენტირდება სახელმწიფოს მიერ,ხოლო ფონდების ფორმირების წყაროები განისაზღვრება იმ ამოცანების ხასიათით და მასშტაბებით,რომელთა რეალიზებისათვის იქმნება ისინი,ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით.ამასთან დაკავშირებით,ცხადია,რომ **ბიუჯეტგარეშე ფონდები**-ფინანსური რესურსების გამოყენების განსაკუთრებული ფორმაა,რომლებიც მოიზიდება სხვადასხვა სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებისათვის, ბიუჯეტის სახსრების პარალელურად.

თანამედროვე პირობებში ძირითადი ბიუჯეტგარეშე ფონდებია:სახელმწიფო დაზღვევის ფონდი;საპენსიო ფონდი;მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო ფონდი;ჯანდაცვის ფონდი;საგზაო ფონდები;სხვა ბიუჯეტგარეშე ფონდები.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდი ორგანიზებულია სხვადასხვა დახმარებათა გასაცემად.დროებით შრომისუუნარობის,ორსულობისა და მშობიარობის,ბავშვის დაბადების,დასაფლავების,სანიტარულ-საკურორტო მომსახურების დაფინანსებისათ-

ვის,პროფკავშირების მატერიალური უზრუნველყოფისათვის,რომელიც მიმართულია მომუშავეთა ინტერესების დაცვაზე.ამ ფონდის ხარჯების ძირითადი ნაწილი-სხვადასხვა დახმარებათა გაცემაა.ფონდი იქმნება სადაზღვევო მეთოდით.საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა და ორგანიზაციათა და ასევე იმ პირების სავალდებულო მონაწილეობით,რომლებიც დასაქმებულია მეწარმეობითი საქმიანობით.საწარმოთა და ორგანიზაციათა შენატანების სიდიდე განისაზღვრება დადგენილი ტარიფის თანახმად.

საპენსიო ფონდი გამოდის როგორც საფინანსო და ორგანიზაციული სტრუქტურა,რომელიც გამოყოფილია პენსიონერთა მომსახურებისათვის.ამრიგად,ეს ფონდი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საპენსიო უზრუნველყოფის, ფინანსების სახელმწიფო მართვის ორგანო.ეს ფონლი ახდენს ბავშვებისათვის პენსიებისა და დახმარების გასაცემი სახსრების ფორმირებას,აკუმულირებას და ასევე იმ ორგანიზაციათა დაფინანსებას,რომლებიც პენსიონერებს და ბავშვებს ეხმარებიან.ისინი ხანგრძლივევადიან საფუძველზე მონაწილეობენ მოსახლეობისადმი სოციალური დახმარების განხორციელებაში.რიგ შემთხვევებში საპენსიო ფონდში მოიზიდება რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები,რომელიც გამიზნულია სახელმწიფო პენსიების,სამხედროებისა და სხვა მოქალაქეებისადმი დახმარებათა გასაცემად.

მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფოებრივი ფონდი ახორციელებს სახსრების აკუმულირებას,რომელიც საჭიროა იმ პირების მატერიალური დახმარებისათვის,რომელთაც გაუჩნდათ სამუშაოს დაკარგვის ან არარსებობის საფრთხე და ასევე მათთვის სხვა სპეციალობის შესწავლისათვის.საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში გაქრა სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტია,მომუშავის პროფესიული მომზადებისა და განათლების შესაბამისად.თუმცა,ოფიციალურად სახელმწიფოს, საკუთარი თავიდან არ მოუხსნია პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიერ სამუშაო ადგილების მიღებაზე,შრომის უფლების უზრუნველყოფაზე და პროფესიის თავისუფალ არჩევანზე.

ფონდი ყალიბდება დამქირავებელთა სავალდებულო ანარიცხების,მომუშავეთა ჯამაგირებიდან აუცილებელი სადაზღვევო შენატანების ხარჯზე,ამოსაღები გადასახადების საერთო თანხის ფარგლებში,ასევე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების გამოყენებით.

ჯანდაცვის ფონდი გამიზნულია მიზნობრივი პროგრამების,მეცნიერულ გამოკვლევების,კადრების მომზადების,სამედიცი-

ნო დახმარების დასაფინანსებლად მასობრივ დაავადებათა პერიოდში.ფონდი ყალიბდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების,სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოების.მოსახლეობის შენატანების,ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის სტიპენდიების ხარჯზე.

საგზაო ფონდები ასევე იქმნება როგორც ბიუჯეტის,ისე ავტომანქანების მფლობელთა სავალდებულო შენატანების, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გადასახადების და სხვათა ხარჯზე.ამ ფონდების მიზანია საავტომობილო გზების მშენებლობა და მომსახურება.

ჩამოთვლილთან ერთად შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვა ფონდებიც.იმისდა მიხედვით,თუ რა ამოცანები დგას ეკონომიკის წინაშე.ფონდები,რომელთაც ამოწურეს თავიანთი დანიშნულება,უქმდება.

ბიუჯეტგარეშე ფონდები ზეგავლენას ახდენენ წარმოების პროცესზე,მისი დაჩქარების ან შენელების სახით,ფინანსური დახმარების,სუბსიდიების ან გაცემული კრედიტების მოცულობიდან გამომდინარე,ხელს უწყობს მოსახლეობისადმი სოციალურ დახმარებათა აღმოჩენას პენსიების,დახმარების გაცემით,კოლექტიურ მომსახურებათა მოცულობის გაფართოებით.

ბიუჯეტგარეშე ფონდების სახსრები ბუნებადაცვით ღონისძიებათა დაფინანსებასაც ემსახურება.ამასთან,ერთად შეიძლება გამოიყოს მისი სადამფუძნებლო საქმიანობა და ინვესტირება ფასიან ქაღალდებში.ბიუჯეტგარეშე ფონდები ძირითადი მიმართულებების მიხედვით უმეტესწილად თავისუფლდება გადასახადების და საბაჟო გადასახდელებისაგან.

4.საწარმოთა საფინანსო ბალანსები

საწარმოთა ბალანსები ანუ ბიუჯეტები ისე როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, შემოსავლებისა და ხარჯებისაგან შედგება.საკუთრების ნებისმიე ი ფორმის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესში იქმნება ფინანსური რესურსები.ესაა ფულადი შემოსავლები და შემოსულობები,რომლებიც მეურნე სუბიექტის განკარგულებაში იმყოფება.ამ რესურსების ხარჯზე საწარმო ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს რაც დკავშირებულია მის ნორმალურ ფუნქციონირებასთან.

საწარმოთა ფინანსური რესურსები იქმნება სამი ჯგუფის წყაროებიდან:1) საკუთარი და მასთან გათანაბრებული სახსრების

ხარჯზე;2)საფინანსო ბაზარზე მობილიზებული რესურსების ხარჯზე;3)გადანაწილების სახით შემოსული საბსრების ხარჯზე.

პროდუქციის რეალიზებისა და მომსახურების გაყიდვიდან ამონაგების ხარჯზე იქმნება **საწარმოს მთლიანი შემოსავალი** და **წმინდა შემოსავალი** მოგების სახით ძირითადი საქმიანობიდან,ფინანსური ოპერაციებიდან,სამეურნეო წესით შესრულებული სამუშაოებიდან და სხვა შემოსავლების სახით.ფული შემოდის საკუთარი საქმიანობის ხარჯზეც,**საამორტიზაციო ანარიცხების** სახით ხმარებიდან გასული ქონების გაყიდვის სახით და სხვა.

რესურსების მეორე ჯგუფის მობილიზება ხდება საფინანსო ბაზარზე და შემოდის საკუთარი აქციების,ობლიგაციების და ფასიანი ქაღალდების სხვა სახეობათა გაყიდვის გზით და ასევე მიღებული კრედიტების სახით.

რაც შეეხება გადანაწილების წესით მიღებულ შემოსულობათა მესამე ჯგუფს,მას მიეკუთვნება სადაზღვევო ანაზღაურება დამდგარი რისკის მიხედვით;კონცერნების,ასოციაციების ან სხვა დარგობრივი სტრუქტურებიდან შემოსული ფინანსური რესურსები;წილობრივი სანყისებიდან შემოსული რესურსები;ბიუჯეტური სუბსიდიები და რესურსების სხვა სახეობები.

სწორედ ამ წყაროების ხარჯზე ხორციელდება სახსრების ხარჯვა და გადარიცხვები.**საწარმოთა** ასეთი **ხარჯები** ემსახურება საწარმოს გაფართოებას,მომუშავეთა ეკონომიკურ სტიმულირებას და საოპერაციო და სხვა საჭიროებებს.წარმოების გაფართოების ხარჯების შემადგენლობაში,უნინარეს ყოვლისა,აისახება კაპიტალური დაბანდებები,ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში,ფასიანი ქაღალდების შეძენის ხარჯები,ანარიცხები სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებში და ა.შ.საბოლოო ჯამში,შემოსავლებისა და ხარჯების შემცირებით საწარმოები ავლენენ ბიუჯეტთან და ბიუჯეტგარეშე ფონდებთან შესაძლო ურთიერთობებს,რაც საწარმოს ფინანსურ გეგმაში აისახება და საფინანსო სამეურნეო საქმიანობის მკაფიო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ნარმოადგენს.

ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან.სახსრების მთავარი წყაროა,რომლისგანაც ამოიღება საწარმოს განვითარების,მოხმარებისა და დაგროვების ფონდების,ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში საწარმოს მონაწილეობის რესურსები.ამონაგებზე დამოკიდებულია საწარმოს მთლიანი მოგება,რაც განსხვავების ტოლია ამ ამონაგებსა და საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარჯების სიდიდეს შორის ფულის ფორმით.

წარმოების მატერიალური საფუძველი ნებისმიერ საწარმოში არის წარმოების ძირითადი საშუალებები,**ძირითადი კაპიტალი**.ესაა შენობები,ჩარხები,მანქანები,მოწყობილობები.ამ კაპიტალის გაცვეთილი ნაწილი გროვდება ფულადი ფორმით **საამორტიზაციო ფონდში**,რომელიც ყალიბდება ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების გზით და გამოიყენება ძირითადი ფონდების აღდგენისა და გაფართოებისათვის.

ძირითად საშუალებებთან ერთად ნებისმიერ წარმოებას ნორმალური მოქმედებისათვის ჭირდება **საბრუნავი წარმოებრივი ფონდებიც**,ნედლეულის,მასალების,ენერგიის,სათბობის და დაუმთავრებელი წარმოების ნარჩენების სახით.გარდა საბრუნავი ფონდებისა,საწარმოებს უჩნდებათ **მიმოქცევის ფონდებიც**,მზა პროდუქციის ნარჩენების,გაგზავნილ საქონელთა და ანგარიშებზე არსებული სახსრების სახით.საბრუნავი წარმოებრივი ფონდები და მიმოქცევის ფონდები ერთად, ქმნიან საწარმოს საბრუნავ საშუალებებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა მუშაობა მნიშვნელოვნად ამაღლებს მოგების როლს.**მოგება**-წარმოების განვითარებისა და საწარმოს სხვა მოთხოვნილებათა გაფართოების ნყაროა.ამიტომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოგების განაწილების მექანიზმის დასაბუთებული მოდელის შექმნა. ბაზარზე გადასვლის პირობებში საწარმოებმა ფინანსური დამოუკიდებლობა მიიღეს და თვითონ განმარტავენ საით და რაში წარმართონ მიღებული მოგება.მოგების გადასახადების და სხვა სავალდებულო გადასახდელების ბიუჯეტურ და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგება საწარმოს მიერ გამოიყენება დამოუკიდებლად.

მოგების განაწილებისას საჭიროა,უწინარეს ყოვლისა,გათვალსინინებულ იქნეს საწარმოთა მოთხოვნები კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელებაში,რამდენადაც თვით დაფინანსება წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებულ დანახარჯთა დაფარვის მთავარი წყაროა.ამიტომ ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგებიდან ანარიცხების სიდიდე **წარმოების განვითარების ფონდებში**,რომლებიც გამოიყენება კაპიტალურ დაბანდებათა,საბრუნავი საშუალებების,მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელებისათვის.

ბაზარმა განაპირობა ასევე **სარეზერვო ფონდის ფორმირება**,რამდენადაც ახალ პირობებში მკვეთრად იზრდება საქმიანი რისკების შესაძლებლობა.ეს სარეზერვო ფონდი ყალიბდება,ყოველწლიური ანარიცხების საფუძველზე,რომელთა სიდიდე დგინ-

დება საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებით და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს,წმინდა მოგების არანაკლებ 5%-ს შეადგენს.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რა არის ბიუჯეტი და როგორია მისი შემოსავლები და ხარჯები?

2.საბაზრო ეკონომიკამ რა სიახლეები შეიტანა ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის საქმეში?

3.როგორია სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციები?

4.რას წარმოადგენს საგადასახადო კრედიტი?

5.რა არის ტრანსფერტული გადასახდელები?

6.რა არის სამთავრობო შესყიდვები და როგორია მისი სტრუქტურა?

7.რა არის ბიუჯეტის დეფიციტი და პროფიციტი?

8.რა არის სახელმწიფო ვალი?

9.რა არის ბიუჯეტგარეშე ფონდები და როგორია მისი სტრუქტურა?

თავი მეთოთხმეტე

ინვესტიციები და საინვესტიციო პროცესები ეკონომიკაში

1.რა იგულისხმება ინვესტიციებში?

ნებისმიერი ეკონომიკური პროცესი რესურსების ეკონომიკურ პროდუქტად გარდაქმნაა და მიმდინარეობს სქემით „რესურსები-წარმოების ფაქტორები-ეკონომიკური საქმიანობის პროდუქტი".ბუნებრივი,შრომითი,კაპიტალური,ინფორმაციული რესურსები,რომლებიც გაერთიანებულია მეწარმეობითი ინიციატივით,მართვის ზემოქმედებით წარმოებაში მოიზიდება და თანდათანობით მისი ფაქტორი ხდება.

ეკონომიკური რესურსების გარდაქმნას წარმოების მოქმედ ფაქტორებად განსაზღვრული ხანგრძლივობა გააჩნია,ე.ი.წარმოებაში რესურსების ჩართვასა და მათ უშუალო მონაწილეობას შორის საწარმოო პროცესის აგენტის,ფაქტორის სახით გარკვეული დრო გადის,რომელიც საჭიროა ამოსავალი რესურსის ფაქტორად გადაქცევისათვის.საწარმოო კორპუსის ასაგებად და მასში მოწყობილობის დასადგმელად საჭიროა დრო და ფული.

ამრიგად,მეწარმეები იძულებული არიან თავდაპირველად შეიძინონ საჭირო რესურსები,გასწიონ ხარჯები,ამ მიმართულებით ნარმართონ სახსრები,რათა შექმნან წარმოების ფაქტორები.მხოლოდ შემდეგ ანაზღაურებენ ისინი ამ დანახარჯებს,იმ პროდუქტის გაყიდვის მეშვეობით,რომელიც წარმოებულია აღნიშნულ ფაქტორთა გამოყენებით.

მაშასადამე,ეკონომიკაში თავდაპირველად აუცილებელია საქმეში სახსრების დაბანდება,წარმოებრივი პროცესების მიმდინარეობის პირობების,წანამძღვრების შექმნა და მხოლოდ შემდგომ, სასურველი შედეგის,დაბანდებული სახსრებიდან უკუგების მიღება.

დროის ხანგრძლივობა სახსრების დაბანდებიდან,რესურსების წარმოებაში ჩართვასა და წარმოების მოქმედ ფაქტორად მათ გადაქცევამდე შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს წარმოების სხვადასხვა ფაქტორისათვის.მოცულობისა და ხანგრძლივობის მიხედვით ყველაზე უფრო დიდი დაბანდებები ხორციელდება წარ-

მოების ძირითად საშუალებებში:შენობებში,ნაგებობებში,მანქანებში,მოწყობილობებში.საწარმოო შენობის ასაგებად,ჩარხის საწარმოებლად საჭიროა თავდაპირველად რესურსების და დროის დახარჯვა,სანამ ისინი წარმოებრივი საქმიანობის ფაქტორები გახდებიან,მონაწილეობას მიიღებენ წარმოებაში.იგივე შეიძლება ითქვას ნედლეულის და მასალების,წარმოებრივი მარაგების შექმნის,გადიდების შესახებ,რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე „მკვდარ ტვირთად" ძევს საწყობში,ბუნკერებში,სანამ წარმოების პროცესში ჩაირთვება.

ამ თვალსაზრისით წარმოების ძირითადი საშუალებებისაგან არსებითად განსხვავდება საბრუნავი წარმოებრივი კაპიტალი ნედლეულის,მასალების,ენერგიის სახით.ისინი პრაქტიკულად მაშინათვე ხდებიან წარმოების ფაქტორი და წარმოების საბოლოო პროდუქტში გადადიან.

თუკი რესურსები ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფება „საქმეში",წარმოებრივი საქმიანობის ფაქტორებად გადაიქცევიან,მათ წარმოებაში,ეკონომიკაში დაბანდებულად თვლიან.რამდენადაც ეს რესურსები დაბანდებულია განსაზღვრულ საქმეში და უკვე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით,ეს დაბანდებები ინვევენ სახსრების განრიდებას საქმიანობის ამ სფეროდან რესურსების წარმოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის ფაქტორებად გადაქცევის დროის განმავლობაში.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,დაბანდებებად ეკონომიკაში შეიძლება ჩაითვალოს მასში გამოყენებული ნებისმიერი რესურსი,რამდენადაც მათი გამოყენების ხასიათისაგან დამოკიდებულების გარეშე რესურსები მაშინათვე როდი ხდებიან წარმოების ფაქტორები.

დაბანდებებს ძირითად კაპიტალში,მარაგებში,რეზერვებში და ასევე სხვა ეკონომიკურ ობიექტებსა და პროცესებში,რომლებიც მატერიალური და ფულადი სახსრების განრიდებას ხანგრძლივი დროით მოითხოვენ,**ინვესტიციებს** უწოდებენ.

საბჭოური „კაპიტალური დაბანდებები" უფრო ვიწრო ცნებაა ვიდრე „ინვესტიციები".კაპიტალური დაბანდებები მხოლოდ ძირითად კაპიტალში დაბანდებებია,მაშინ როდესაც დაბანდებები სხვა სახის ეკონომიკურ რესურსებში,ისეთში,როგორიცაა საინფორმაციო რესურსები,ფასიანი ქაღალდები,სულიერი პოტენციალი,მატერიალური მარაგები,კაპიტალდაბანდებებად არ შეიძლება ჩაითვალოს,გარკვეული შენიშვნის გარეშე.

კაპიტალის ფიზიკურ და ფულად სახეობებად დაყოფის ანალოგიურად ინვესტიციებიც იყოფა **მატერიალურ-ნივთობრივ** და

ფულად ფორმებად.ინვესტიციები მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით-მშენებარე წარმოებრივი და არაწარმოებრივი ობიექტები,მოწყობილობები და მანქანები,რომლებიც ტექნიკური პარკის შეცვლის ან გაფართოებისაკენ არის მიმართული **საინვესტიციო საქონელია**.ინვესტიციები ფულადი ფორმით,როგორც სახელწოდებიდან ჩანს,ესაა ფულადი კაპიტალი,რომელიც გამიზნულია მატერიალურ-ნივთობრივი ინვესტიციების შექმნაზე,საინვესტიციო საქონელთა უზრუნველყოფაზე.

წარმოებაში მთლიან **ინვესტიციებს** უწოდებენ საინვესტიციო პროექტს,რომელიც ნარიმართება ძირითადი კაპიტალისა და მარაგების გადიდებაზე.იგი ორი ნაწილისაგან შედგება.ერთ-ერთი მათგანი,რომელსაც **ამორტიზაცია** ეწოდება,ძირითადი საშუალებების ცვეთის ანაზღაურების,მათი რემონტისათვის საჭირო ნაწილია.მეორე ნაწილი-წმინდა **ინვესტიციები**-კაპიტალის დაბანდებაა ძირითადი საშუალებების გადიდების,გაფართოების მიზნით,შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის,ახალი დამატებითი მოწყობილობის წარმოებისა და დაყენების,მოქმედი წარმოებრივი სიმძლავრეების მოდერნიზაციის მეშვეობით.

მატერიალური წარმოების დარგებში ინვესტირებასთან ერთად, ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართება სოციალ-კულტურულ სფეროში,მეცნიერების,კულტურის,განათლების,ჯანდაცვის,ფიზკულტურისა და სპორტის,ინფორმატიკის,გარემოს დაცვის სფეროებში,ამ დარგების ახალი ობიექტების მშენებლობაზე.უკანასკნელ წლებში ბევრს ლაპარაკობენ **ინვესტიციებზე ადამიანისეულ კაპიტალში**.ეს დაბანდებათა განსაკუთრებული სახეობაა,უპირატესად განათლებასა და ჯანდაცვაში,რომლებიც გამიზნულია პიროვნების განვითარებისა და სულიერ სრულყოფაზე,ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცებაზე,სიცოცხლის გახანგრძლივებაზე.

რეალური ინვესტიციები- დაბანდებებია ეკონომიკის დარგებსა და ეკონომიკური საქმიანობის სახეობებში,რომელიც უზრუნველყოფს რეალური კაპიტალის მატებას.

ფინანსური ინვესტიციები აქციებში,ობლიგაციებში,თამასუქებში,სხვა ფასიან ქაღალდებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებებია.ფინანსური ინვესტიციების შემადგენლობაში გამოყოფენ ე.წ.**პორტფელურ ინვესტიციებს**.ფასიან ქაღალდებში ფულის დამბანდებლები შემოსავლიანობის გადიდებისა და რისკის შემცირების მიზნით იძენენ ფასიანი ქაღალდების მრავალფეროვან სახეობათა ანაკრებს,რომელსაც **პორტფელი** ეწოდება.ამიტომ ამ ინვესტიციებმა **პორტფელურის** სახელწოდება მიიღო.ინვესტიციები იყოფა ხანგრძლივვადიან და მოკლევადიანად.

ინვესტიციებს ისეთ ობიექტებში,რომელიც ინვესტორს უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ობიექტის მართვაში,**პირდაპირ ინვესტიციებს** უწოდებენ.

იმისდა მიხედვით,თუ ვინ ახდენს კაპიტალის ინვესტირებას,განასხვავებენ სახელმწიფო,კერძო და უცხოურ ინვესტიციებს.**სახელმწიფო ინვესტიციები** ეროვნული შემოსავლის ნაწილია სახელმწიფო ბიუჯეტის,ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების სახით,რომელიც ეკონომიკის განვითარებაში ბანდდება და პირადი მოხმარებიდან ამოიღება,წარმოების,სოციალური სფეროს და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისათვის.**კერძო ინვესტიციები** არასახელმწიფოებრივი სახსრების დაბანდებებია,რომლებიც ეკუთვნის კომპანიებს,მეწარმეებს,მოსახლეობას.ინვესტიციები **უცხოურია**,თუკი ისინი უცხოეთიდან მოდის.იგი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო,ისე კერძო.

ინვესტიციები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს,სანარმოთა,მოსახლეობის დანაზოგებთან და დაგროვებასთან.სახელმწიფოსათვის სწორედ დაგროვება,ე.ი.ეროვნული შემოსავლის მიმდინარე მოხმარებაზე დაუხარჯავი ნაწილია, ძირითადი საშინაო საინვესტიციო წყარო.სანარმოები და კომპანიები საინვესტიციო სახსრების სახით იყენებენ დაგროვებას მოგებიდან.

საბოლოოდ ეკონომიკის ყველა სუბიექტის დაგროვება და დანაზოგები ამა თუ იმ გზით ინვესტიციებში გადადის.ეს ცნებები ხშირად ერწყმის ერთმანეთს რაც ეკონომისტ-თეორეტიკოსებს ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის ტოლობის საფუძველს აძლევს.

2.ინვესტიციებში კაპიტალის მოზიდვის წყაროები

ინვესტიციები,ფულადი კაპიტალი,ეკონომიკური რესურსების ყველა სხვა სახეობათა ანალოგიურად,შეზღუდულია.ამიტომ საინვესტიციო რესურსებზე,საქონელზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ნებისმიერი ეკონომიკის,ყველა მეურნე სუბიექტის მუდმივი,ძნელად- გადასაწყვეტი პრობლემაა.პრობლემა იმითაც არის გამწვავებული,რომ ინვესტიციებიმომავლის რესურსებია,ხოლო ადამიანებს პრაქტიკულად ყოველთვის დღევანდელი მოთხოვნილებისადმი უპირატესობის მინიჭების უნარი გააჩნიათ.

სახელმწიფოს ინვესტიციები სჭირდება სოციალ-კულტურულ სფეროში,მეცნიერებაში,თავდაცვაში,ინფრასტრუქტურის სახელმწიფო ობიექტებში,გარემოს დაცვაში,საგარეო ეკონომიკური კავ-

შირების განვითარებაზე,საბინაო და სამოქალაქო მშენებლობაში დასაბანდებლად და ა.შ.

საჭირო ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფო იყენებს **საშინაო და საგარეო წყაროებს.**მთავარი საშინაო წყაროა შემოსაყალები,სახელმწიფო,რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები,რომლებიც მიიღება საწარმოთა,მეწარმეების,მოსახლეობის გადასახადით დაბეგვრის მეშვეობით.

სახელმწიფოს საინვესტიციო რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა გაყიდვა,მათი შემდგომი გამოსყიდვით (დაფარვით) და სარგებლის გადახდით ობლიგაციების მიხედვით.სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს სესხის სხვა ხერხებსაც,მიიღოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საშინაო კრედიტები,გამოიყენოს შემოსავლები სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან,მათ შორის ლატარიის ბილეთებიდან.

ცხადია,ამნაირად მიღებული მთელი სახელმწიფო შემოსავალი როდი გამოიყენება სახელმწიფო ინვესტიციების სახით,მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება მიმდინარე სახელმწიფო საჭიროებებზე.

სახელმწიფოს შეუძლია ინვესტიციების მოზიდვა საგარეო წყაროებიდან კრედიტების,უცხოური დახმარების სახით.მათი ნაწილი გამოიყენება მიმდინარე საჭიროებებისათვის.

წარმოებრივი ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ცენტრალური აგენტი,უდაოდ,საკუთრების სხვადასხვა ფორმათა საწარმოები,კომპანიები,ფირმები,მეწარმეებია.საწარმოთა საინვესტიციო დაფინანსების მთავარი საშინაო წყარო **მოგებაა,**რომელიც მიიღება მეურნეობრივი საქმიანობის ყველა სახეობიდან.

საწარმოთა ინვესტირების ყველაზე სტაბილური და ამასთან ცნობილი საშინაო წყაროა საამორტიზაციო ანარიცხები,რომლებიც დაწესებული ნორმით,სავალდებულო წესით ერიცხება გამოყენებულ ნარმოების საშუალებათა ყველა სახეობას და პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებში (თვითღირებულება) შეიტანება.ეს სახსრები საწარმოებმა ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურებაზე უნდა გამოიყენონ და ამიტომაც გააჩნიათ საინვესტიციო ბუნება.

საწარმოთა,კომპანიათა საშინაო საინვესტიციო წყაროებს მართებულია მივაკუთვნოთ სადამფუძნებლო და სხვა **საინვესტიციო შენატანები.**ასეთი დაბანდებები შეიძლება დაბრუნებით ხასიათს ატარებდნენ და სარგებლის გადახდას მოითხოვდნენ,მაგრამ ამით მათი საინვესტიციო არსი არ იცვლება.

ერთ-ერთი მთავარი საგარეო წყარო ინვესტიციების მიღებისათვის საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე) და გრძელვადიანი (5 წელზე მეტი) **საბანკო კრედიტია**.ასეთი კრედიტი გაიცემა გარკვეული გარანტიით,მაგალითად უძრავი ქონების გირავნობით.მას **იპოთეკური კრედიტი** ეწოდება.

ცნობილია,რომ საინვესტიციო კრედიტით შეიძლება ისარგებლონ თვით ბანკებმაც,ერთმანეთის დაკრედიტებით,ასეთ შემთხვევაში კრედიტს **ბანკთაშორისი** ეწოდება.

არსებობს სახელმწიფო საინვესტიციო დაკრედიტების სპეციფიკური ფორმა,რომელიც ცნობილია **საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის** სახელწოდებით.იგი გულისხმობს საგადასახადო მოსაკრებელთა გადავადებას,რასაც სანარმოებს სთავაზობს ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები,მათ შორის საგადასახადო ორგანოებიც. კრედიტი სარგებლიანია.

საწარმოსა და მეწარმეებს შეუძლიათ კაპიტალი მოიზიდონ კრედიტის სახით არა მხოლოდ ფულადი,არამედ მატერიალურ, საქონლურ ფორმაში.მოცემულ შემთხვევაში საქონლური კრედიტი გაიცემა საწარმოზე საინვესტიციო საქონელთა,უწინარეს ყოველისა,შენობებისა და მოწყობილობის გადაცემით,მათი გამოყენების შემდგომი ანაზღაურებით და გამოსყიდვის შესაძლებლობით.სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება უძრავი ქონების და მოწყობილობის იჯარას,რომელსაც **ლიზინგი** ეწოდება.

გარედან ინვესტიციათა მოზიდვის გავრცელებული ფორმაა სააქციო კომპანიების,საზოგადოების მიერ **აქციათა** ღია,**საჯარო გაყიდვა**.ასეთი გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს,როგორც უშუალოდ თვით სააქციო კომპანიათა მიერ,ისე საინვესტიციო ფონდების მეშვეობით.

საკუთარ საინვესტიციო შესაძლებლობათა შესავსებად აქციებთან ერთად საწარმოებს,კომპანიებს შეუძლიათ გაყიდონ მათ მიერ გამოშვებული ობლიგაციები,რომელთაც **კორპორაციათა ობლიგაციები** ეწოდება.ასეთი ობლიგაციების მიხედვით საწარმო ვალდებულია გადაიხადოს სარგებელი.

არსებობს ინვესტიციათა მოზიდვის სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი წყაროები ფულადი ფორმით და საინვესტიციო საქონელთა სახით,რასაც საწარმოები და მენარმეები იყენებენ.

ფირმები,რომლებიც ინოვაციებს,სიახლეებს ნერგავენ,ვენჩურულ კაპიტალზე მოთხოვნას განიცდიან ახალ საქონელთა წარმოების ასათვისებლად,ახალ ტექნოლოგიათა გამოსაყენებლად.ვენჩურული ინვესტიციები ერთობ სარისკოთა რიცხვს მიეკუთვნება,მაგრამ წარმატების შემთხვევაში მათ დიდი მოგების მოტანა,ეკონომიკური ზრდის უზ-

რუნველყოფა შეუძლიათ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც კი.ამიტომ საწარმოები ცდილობენ ვენჩურული კაპიტალის მიღებას სრულიად სხვადასხვა წყაროებიდან.

არსებობს ინვესტიციების საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახეობები,რომლებიც ზემოთ არ იყო ნაჩვენები,მაგრამ დამხმარე როლს თამაშობენ სანარმოთა და მეწარმეთა ინვესტირებაში.ასეთს მიეკუთვნება ფულადი სახსრების შემოსულობანი ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანების სახით მეცენატებისაგან,სადაზღვევო,სპონსორული შენატანების სახით.

3.საინვესტიციო დაპროექტება და მისი სახეები

კონკრეტულ საქმეში კაპიტალის დაბანდება ამ სახსრების განსაზღვრული,მოდერნიზების ჩასატარებელი,გასაფართოებელი ეკონომიკური ობიექტის ან ობიექტების ჯგუფისადმი,პროცესებისადმი მიბმის მეშვეობით ხორციელდება,რომლებიც საჭიროა დასახული ამოცანების მისაღწევად,წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად.სიტყვა „პროექტს“ აქ ორადი მნიშვნელობა გააჩნია.ერთი მხრივ,ესაა ჩანაფიქრი,იდეა,ობიექტის სახეობა მისი აღწერის გაანგარიშებების,სქემების,გამოსახულებათა სახით,რომელიც გვიხსნის ჩანაფიქრის არსს და გვიჩვენებს მისი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას.მეორე მხრივ,ეკონომიკური თვალსაზრისით **პროექტი**-მოქმედების პროგრამაა,კონკრეტული,საგნობრივი სოციალურ-ეკონომიკური ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.ეკონომიკური პროექტები უმეტესწილად დაკავშირებულია ობიექტების მშენებლობის განხორციელებასთან,საქონელთა წარმოებასა და გაყიდვასთან,წარმოების განახლებასთან,ახალ ტექნოლოგიათა ათვისებასთან,სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტასთან,ბუნების დაცვასთან,ნედლეულის მოპოვებასთან.

ეკონომიკური პროექტების რიგში უნდა გამოიყოს საინვესტიციო პროექტები.**საინვესტიციო პროექტები**-ეკონომიკური პრობლემის,ამოცანის გადაწყვეტის პროგრამაა,რომელსაც ის თვისება,ნიშანი გააჩნია,რომ სახსრების დაბანდება ასეთ პროგრამაში მათი უკუგების,შემოსავლის,მოგების,სოციალური ეფექტების მიღების შესაძლებლობას იწვევს მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ პროექტის განხორციელებიდან.ამიტომ დროის ხანგრძლივობას ინვესტირების დასაწყისსა და ამ დაბანდებიდან უკუგების მიღებას შორის დროით პერიოდს (ლაგს) უწოდებენ.

არსებობს სრულიად განსხვავებული საინვესტიციო პროექტები,რომელთა მიმართ ჯერ-ჯერობით არ არსებობს ერთიანი კლასიფიკაცია.ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი.

სოციალური პროექტები ორიენტირებულია მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე,ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობის პირობების შენარჩუნებაზე,მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ან არასაკმარისად დაცული ფენების დახმარებაზე,საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე.სოციალური სფეროს დარგების განვითარებაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროექტები მიმართულია მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების განვითარებაზე,ახალი მასალების,ენერგიის წყაროების,მანქანების და მონყობილობის,ტექნოლოგიის,პროდუქციის,სამომხმარებლო საქონელთა,მომსახურების შექმნაზე.მეცნიერულ-ტექნიკურ პროექტებს **ინოვაციურსაც** უწოდებენ.

წარმოებრივ-ტექნოლოგიური პროექტები დაკავშირებულია წარმოების შენარჩუნებასა და განახლებასთან,ახალ ტექნოლოგიათა გამოყენებასთან,წარმოებრივი პოტენციალის განვითარებასთან.

მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის გადიდების პროექტები მიზნად ისახავს წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებას,შრომის მწარმოებლურობის გადიდებას,რესურსების ეკონომიას,მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას და მოგების გადიდებას.

სავაჭრო პროექტები წარმოადგენენ ღონისძიებათა სისტემას,რომელიც მიმართულია ბაზარზე პოზიციის შენარჩუნებასთან.

საორგანიზაციო პროექტები დაკავშირებულია წარმოებრივი და სოციალ-კულტურული სფეროს ობიექტების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფასთან,წარმოებისა და მიმოქცევის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენებასთან, საორგანიზაციო და მმართველობითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებების გამოყენებასთან.

საინფორმაციო პროექტები მიმართულია ინფორმაციის შენახვის,გადაცემის,დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან.

საინვესტიციო პროექტების თითოეული ჩამოთვლილი სახეობის ფარგლებში შეიძლება არსებობდეს მოცემული სახეობის მრავალრიცხოვანი სახესხვაობები,შესაძლოა სპეციფიკური პროექტებიც,რომლებიც ვერ ეწერება ამ სახეობებში.

საინვესტიციო პროექტი ხოცრიელდება რამდენიმე სტადიად.უწინარეს ყოვლისა განასხვავებენ პროექტის შემუშავებას და რეალიზაციას.

პროექტის შემუშავება-ესაა მოდელის,მოქმედების სახეობის შექმნა პროექტის მიზნების მისაღწევად,გაანგარიშებათა განხორციელება,ვარიანტების შერჩევა,საპროექტო გადაწყვეტილებათა დასაბუთება.საინვესტიციო პროექტის შემუშავებისას მთავარია გაშლილ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასთან ერთად მის შემადგენლობაში შემუშავდეს პროექტის ბიზნეს-გეგმა,განსაკუთრებით მაშინ,თუკი პროექტი კომერციული ხასიათისაა.

პროექტის რეალიზაცია მისი პრაქტიკული განხორციელება,საპროექტო სახის კონკრეტულ ეკონომიკურ სინამდვილედ გადაქცევაა.

საინვესტიციო პროექტირებაში გამოყოფენ სრული **საინვესტიციო ციკლის** სამ ძირითად ფაზას,ე.ი.დროის პერიოდს ინვესტიციების დაბანდებიდან საბოლოო ეფექტის მიღებამდე,ინვესტიციების ამოქმედების,მათი წარმოების ძირითად საშუალებებად გადაქცევის შედეგად.მთელ ამ პერიოდს **პროექტის სასიცოცხლო ციკლს** უწოდებენ.

ციკლის **პირველ ფაზაში** ტარდება გამოკვლევები და დამუშავებები პროექტის დასაბუთებაში,მზადდება საპროექტო დოკუმენტაცია.ამ ფაზაში შეხამებულია პროექტის ეკონომიკური,ტექნიკური და ტექნოლოგიური დამუშავება.ეკონომიკური დამუშავება ტექნიკურ-ეკონომიკური მომზადებისა და პროექტის ბიზნეს-გეგმის შედგენამდე დაიყვანება,რომელსაც **წინასაინვესტიციო ფაზას** უწოდებენ.

მეორე ფაზას,ჩვეულებრივ,**საინვესტიციო ფაზა** ეწოდება.საინვესტიციო ფაზის დამთავრების კვალობაზე,როდესაც ობიექტი მწყობრში შედის,საინვესტიციო დანახარჯები მცირდება,ხოლო პროექტით მოტანილი შემოსავლის მოცულობა იზრდება,რამდენადაც იგი თანდათანობით გადის საპროექტო სიმძლავრეზე,რაც გაყიდვათა მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდების საშუალებას იძლევა,დანახარჯების შემცირებით.პროექტის ასეთი განვითარება შეინიშნება მის **მესამე**, დამამთავრებელ **ფაზაში**,რომელსაც **საექსპლუატაციოს** უწოდებენ,რამდენადაც იგი შეესაბამება ობიექტის წარმოებრივი გამოყენების,ექსპლუატაციის დროს და რეჟიმს.

პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ყველა ფაზაზე აუცილებელია მისი ფინანსური შეფასება,ფინანსური მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით.ამისთვის ტარდება **პროექტის ლიკვიდობის** ანალიზი,რომელშიც იგულისხმება მისი

გადახდისუნარიანობა.პროექტის შემმუშავებელი,განმხორციელებელი და დამფინანსებელი პირები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ იმას,რომ დროის ნებისმიერ პერიოდში პროექტის ასანაზღაურებლად საჭირო ფული,გადასახდელები უზრუნველყოფილ იქნეს სახსრების შემოსვლით პროექტის დაფინანსების წყაროებიდან.

4.ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო

მაკროეკონომიკური ანალიზი ავლენს წინააღმდეგობას მოხმარების გადიდების მცდელობასა და ამის შედეგად დაგროვებაში გამოწვეულ ცვლილებას,ე.ი.ინვესტიციების წყაროებს შორის.ეს კი თავისთავად იწვევს წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის შემცირებას და ამით მოხმარებასაც ამცირებს.ჩვენ აქ საქმე გვაქვს ე.წ.„ეკონომიკურ ხაფანგთან".

სახელმწიფოს,მთავრობის სახით,საბჭოთა პერიოდის „მშრომელთა სურვილების" გამოკიდებით,შეუძლია სახსრების წარმოებრივი დაგროვებიდან არანარმოებრივ დაგროვებაზე,სამომხმარებლო საქონელთა და მომსახურების წარმოებაზე გადართვა.წამროებრივი ინვესტიციების,ე.ი.მომავალი წარმოების საშუალებათა შემცირება დროითი პერიოდის (ლაგის) გასვლისთანავე გამოიწვევს წარმოების საშუალებათა შემცირებას,თვით წარმოების,წარმოებული ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შემცირებას,რომლისგანაც ყალიბდება მოხმარება. ახლა ეროვნულ შემოსავალში მოხმარების გადიდებული ხვედრი წილი ვერ გამოიწვევს მოხმარების ზრდას.ეროვნული შემოსავლის საერთო დონის შემცირების შედეგად მოხმარების მოცულობა მცირდება და ამ შემცირების თავიდან აცილება შეუძლია ან უცხოურ დახმარებას,ან ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გაყიდვას.ერთიც და მეორეც მუდმივი როდია.

ამ „ეკონომიკური ხაფანგიდან" მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს-რაციონალური თანაფარდობის შენარჩუნება დაგროვებასა და მოხმარებას შორის.დღევანდელი სიდუხჭირის გამო,როგორი მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაც არ უნდა იყოს ქვეყანაში,არ შეიძლება ინვესტიციების ჩამოჭრა,მომავლის მსხვერპლად გაღება.როგორც ამერიკელი ეკონომისტები რ.ჰაილბრონერი და ლ.ტერიუ აღნიშნავენ,საოჯახო მეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯები,რომლებიც აშშ-ში მთელი ეროვნული შემოსავლის 2/3-ია „ეკონომიკის არა წამყვანი, არამედ მიმყოლი

დარგია.მიუხედავად მისი სიდიდისა იგი ეშპ-ს მამოძრავებელს არ წარმოადგენს.ეს „სამუხრუჭო ვაგონია.“იგივე ავტორი აღნიშნავს,რომ მოხმარებისაგან განსხვავებით ინვესტიციები ეკონომიკის არა მიმყოლი,არამედ წამყვანი ორთქმავალია,რომელიც „ეწევა“ ეკონომიკას.

წარმოებრივი ინვესტიციები-მომავალი წარმოების ძირითადი საშუალებები,მუდმივი კაპიტალია.სათანადო ძირითადი საშუალებების გარეშე-არ შეიქნება წარმოების საჭირო დონე,და ადგილი ექნება ხელით შრომას.გამომდინარე აქედან, არასაკმარისი წარმოების დროს შეუძლებელია სრულყოფილი მოხმარების უზრუნველყოფა.

ის ფაქტი,რომ ძირითადი კაპიტალი წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორია,დიდი ხანია აღიარებულია მსოფლიოს წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ.წარმოებრივი ფუნქციის თანახმად,რომელიც ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი თანაფარდობაა,წარმოების პროდუქტის Q მოცულობა დამოკიდებულია ძირითადი კაპიტალისა (ინვესტიციების მოცულობა) K და წარმოებაში დასაქმებული L შრომითი რესურსებისაგან,ე.ი. Q= Q(K,L) და იზრდება წარმოების ფაქტორთა გადიდებისას.

წარმოებრივი ფუნქციიდან ნათელია,რომ წარმოების მოცულობის გასადიდებლად,ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ან კაპიტალის (k) ან შრომითი რესურსების (L) ან ერთდროულად ორივეს გადიდება.რამდენადაც შრომითი ფაქტორის გადიდების შესაძლებლობები შეზღუდულია,ამდენად ზრდის ძირითადი წყარო კაპიტალი ხდება,რომლის გადიდება ინვესტიციების გაზრდითაა შესაძლებელი.შრომითი რესურსების გადიდება და მათი უკუგების ზრდა შეუძლებელია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების დაბანდების გარეშე.

ეკონომიკური ფაქტორის საინვესტიციო რესურსების აქტიურობა განისაზღვრება ასევე მათი უნიკალური თვისებით,რომელიც „მულტიპლიკატორის ეფექტის“ სახელწოდებითაა ცნობილი.დაბანდებები ერთ-ერთ დარგში,მაგალითად,მშენებლობაში,იწვევს სამშენებლო მანქანების,სამშენებლო მასალების,მშენებელი მუშების აუცილებლობას.საბოლოოდ წარმოიშობა ინვესტიციათა გარდაუვალი მეორადი ნაკადი სამშენებლო მასალების,სამშენებლო მოწყობილობის წარმოებაში,მშენებელი მუშების მომზადებაში.ინვესტიციათა მეორადი ნაკადები,თავიანთ მხრივ, დაბანდებებს იწვევენ კონსტრუქციული მასალების წარმოებაში სამშე-

ნებლო მოწყობილობისათვის,ნედლეულის მოპოვებაში სამშენებლო მასალების წარმოებისათვის.

პირველადი ინვესტიციებით წარმოშობილი ტალღები,ცხადია,ქრება. მეორე ტალღა პირველზე სუსტია,ხოლო მესამე სუსტია მეორეზე.მაგრამ მთლიანად მულტიპლიკატორის ეფექტი წლის მანძილზე იწვევს თავდაპირველი ინვესტიციების გაორმაგებას,რაც რიგი ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებით დასტურდება.

5.ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა

ინვესტიციებზე ეკონომიკის მწვავე მოთხოვნილება,მათი უკმარისობა იწვევს საინვესტიციო რესურსების რაციონალური,ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობას.ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების ამოცანა შეიძლება დაყენებულ იქნეს ორნაირად.თუკი ეკონომიკური პროექტის განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა მოცემულია,მაშინ უნდა ვეცადოთ საინვესტიციო რესურსების ყოველი ერთეულიდან დახარჯული ინვესტიციების მაქსიმალურად შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღებას.თუკი მოცემულია კაპიტალის დაბანდების ხარჯზე მისაღები აუცილებელი შედეგი,მაშინ დასახული ამოცანის მისაღწევად უნდა ვეძებოთ საინვესტიციო რესურსების ხარჯვის მინიმიზების გზები.

ეფექტიანობა იზომება როგორც მიღებული შედეგის,ეფექტის შეფარდება დანახარჯებთან,რომელმაც განაპირობა ამ შედეგის მიღწევა.მაშასადამე,როდესაც ვაფასებთ ინვესტიციების,კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას,ერთმანეთს უნდა შევუფარდოთ პროექტში, პროგრამაში,მთლიანად მეურნეობაში დაბანდებებით,ინვესტიციებით მიღებული შედეგი (ეფექტი) და თვით ინვესტიციათა სიდიდე,რომელთა გამოყენებითაც მიღებულია ეს შედეგი.

მიუხედავად ასეთი შეფასების გარეგნული სიმარტივისა,სინამდვილეში ეკონომიკურ პროექტებში,სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში,მეურნეობის დარგებში,ეკონომიკაში დაბანდებათა ეფექტიანობის გაანგარიშება ერთობ ძნელია.

ინვესტიციათა საჭირო რაოდენობა ფასდება პროგნოზების, გეგმების,პროგრამების,პროექტების შემუშავების მსვლელობაში.უმეტესწილად ასეთი წარმოდგენა არ შეიძლება აბსოლუტურად ზუსტი იყოს.პროექტების რეალიზაციის მსვლელობაში აღმოჩნდება,რომ რე-

ალური დანახარჯები,როგორც წესი,აჭარბებს მათ საანგარიშო,საპროექტო დონეს.

საბოლოო ჯამში ეკონომიკურ პროექტებში ინვესტიციათა რეალური,პრაქტიკულად მიღწეული დონე შესაძლოა მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდეს.ამასთან ერთად,თავს იჩენს ირიბი, დაკავშირებული, თანამდევი ხარჯები,რომლებიც უშუალო კავშირში არ არიან პროექტის მიზნებთნ,მაგრამ აუცილებლად საჭიროა მის განსახორციელებლად.

ინვესტირების პრინციპული თავისებურება,დამახასიათებელი ნიშანი ისაა,რომ საინვესტიციო რესურსების,კაპიტალის დანახარჯები წინ უსწრებს შედეგის მიღებას,გამოცალკევებულია მისგან დროის მნიშვნელოვანი პერიოდით.ასე, რომ,თუკი ჩვენ ვიცით დაბანდებული კაპიტალის სიდიდე,აქედან სულაც არ გამომდინარეობს,რომ ჩვენ ვიცით,სახელდობრ რა ეფექტი,შედეგი მოიტანა ან მომავალში მოიტანს მოცემული ინვესტიციები.

კიდევ უფრო რთულია შედეგის,სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის სიდიდის რაოდენობრივი შეფასება,რომელიც ინვესტიციებით არის განპირობებული,იმასთან დაკავშირებით რომ ეფექტი „გაწელილია"დროში და ძნელად დასაკავშირებელია მის გამომწვევ დაბანდებებთან.

ამასთან, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტერმინ „სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის" გამოყენებაზე,რომელიც „ეკონომიკურ ეფექტზე" უფრო სრული და მრავალმხრივია.კაპიტალის დაბანდების **ეკონომიკურ ეფექტად** უფრო ხშირად მიიჩნევენ შემოსავალს,მოგებას,რომელიც განპირობებულია ინვესტიციებით,დაბანდებული კაპიტალის გამოყენებით.**სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი**-არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური შედეგია წარმოების მოცულობისა და წარმოებული პროდუქციის ღირებულების,მოგების მიღების სახით,არამედ ასევე ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება,მათი კეთილდღეობის ამაღლება,გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება,მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესი,პიროვნების განვითარება,ადამიანის თვითსრულყოფისა და თვითდამკვიდრების შესაძლებლობათა გადიდებაა. კაპიტალის დაბანდების ეს და სხვა ანალოგიური სოციალური ეფექტები,რომლებიც ამასთან შეიძლება იყოს როგორც დადებითი,კეთილსასურველი,ისე უარყოფითი,არახელსაყრელი ადამიანის,ოჯახის,რეგიონის,ქვეყნის,საზოგადოებისათვის ადვილად „დასაჭერი", წინასწარგანჭვრეტადი,გასათვალისწინებელი და გასაანგარიშებელი როდია.მაგრამ, მათი უგულებელყოფა ინვესტირების ეფექტიანობის შეფასებისას დაუშვებელია.

ინვესტიციათა ეფექტიანობის შეფასებისას უნდა განვასხვავოთ ცნებები „ეკონომიკური ეფექტი" და „ეკონომიკური ეფექტიანობა".ეფექტი-არის შედეგი,რომელიც მიიღწევა ინვესტირების,კაპიტალის დაბანდების ხარჯზე,მაშინ როდესაც ეფექტიანობა-შეფარდებაა მიღწეულ ეფექტსა და ინვესტიციების სიდიდეს შორის,რომელმაც განაპირობა ეფექტის მიღება.

მიუხედავად ინვესტიციების ეკონომიკური და მით უმეტეს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების სიძნელეებისა არსებობს მეთოდები,რომლებიც საშუალებას იძლევიან გაანგარიშებულ იქნეს ინვესტიციათა მიახლოებითი ეფექტი და ეფექტიანობა.

კაპიტალის (K) დაბანდების აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტი (E) განისაზღვრება განსხვავების სახით და დაბანდებათა ხარჯზე მიღებულ შემოსავალსა (D) და თვით დაბანდებათა სიდიდეს შორის.ე.ი.

$$E=D-K$$

აბსოლუტური ეფექტი დროის ფუნქციაა,დასაწყისში იგი უარყოფითია,რამდენადაც დაბანდებულ კაპიტალზე ჯერ კიდევ მიღებული არ არის შემოსავალი,შემდგომ,კაპიტალის უკუგების კვალობაზე თანდათანობით იზრდება და დადებითი ხდება,როდესაც შემოსავალი დაბანდებებისაგან გადააჭარბებს თვით ამ დაბანდებებს.

პერიოდი,რომლის მანძილზე შემოსავლები დაბანდებებიდან,ამ უკანასკნელის ტოლი ხდება,**ინვესტიციათა გამოსყიდვის ვადას** უწოდებენ.ეს კაპდაბანდებათა ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ეკონომიკის წარმოებრივ სექტორში.დაბანდებები მცირე ბიზნესში,სწრაფადდამუშავებად ობიექტებში საკუთარ თავს გამოისყიდიან 2-3 წელინადში,მაშინ როდესაც ხანგრძლივვადიან დაბანდებათა გამოსყიდვისათვის საჭიროა 10-15 წელი და მეტიც.არსებობს კაპიტალურ დაბანდებათა **გამოსყიდვის ნორმატიული ვადა**,როგორც კაპიტალურ დაბანდებათა გამოსყიდვის საშუალო ვადა ქვეყნის მეურნეობის ან მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით მთლიანად.დაბანდებები ეკონომიკაში საშუალოდ გამოსყიდულ უნდა იქნეს 6-8 წელინადში.

ინვესტიციათა ეკონომიკური ეფექტიანობა ანუ შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება ინვესტიციებიდან შემოსავლის,მოგების შეფარდებით დაბანდებული კაპიტალის სიდიდესთან.

ინვესტიციათა ეფექტიანობა (E) ქვეყნის მეურნეობის მასშტაბით იანგარიშება ფორმულით:

$$E = \frac{\text{ეშპ}}{K}$$

სადაც ეშპ- ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტია, K-ინვესტიციები,რომლებმაც განაპირობა ეშპ-ს შექმნა,წლიური ინვესტიციების მოცულობა ფულად გამოხატულებაში.

ინვესტიციათა ეფექტიანობა საწარმოს ცალკეული ეკონომიკური პროექტის დონეზე განისაზღვრება შემდეგი შეფარდების სახით:

$$E = \frac{\text{ПР}}{K}$$

სადაც P-არის კაპიტალის დაბანდებიდან მიღებული მოგება, K-კაპიტალის დაბანდებათა მოცულობა,ПР-მოგება.

ინვესტიციათა ეფექტიანობის შეფასებისათვის ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს ინფლაციისა და დროითი ლაგის გათვალისწინება.ინფლაციის გათვალისწინების უმარტივესი მეთოდია ინვესტიციების საანგარიშო,მოსალოდნელი მომგებიანობის შემცირება ინფლაციის პროცენტის (ფასების გადიდების) სიდიდით.დროითი ძვრების აღსარიცხავად იყენებენ დისკონტირებას,რომელიც წარმოადგენს ეფექტისა და დანახარჯთა დაყვანას განსაზღვრულ საბაზისო პერიოდზე.დანახარჯთა დისკონტირება,ე.ი.1 წლის დანახარჯთა დაყვანა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისადმი (პროექტის რეალიზების ვადის დაწყებამდე) ხორციელდება ამ დანახარჯთა გამრავლებით დისკონტირების a კოეფიციენტზე,რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$a = \frac{1}{(1+E)^t}$$

სადაც E-დისკონტის ნორმაა,რომელიც ახასიათებს ფულადი რესურსების ღირებულების ცვლილების ტემპს დროში და რომელიც ჩვეულებრივ საბანკო სარგებლის საშუალო შეფარდებითი ნორმის ტოლად მიიღება.

პროექტსა და შედეგებზე დანახარჯთა დისკონტირების შედეგად,რომელიც მისი განხორციელების დროს მიიღება,მიიღწევა მათი შესადარისობა,რაც ეფექტისა და დანახარჯთა შედარების

და ამით პროექტის ეფექტიანობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას წარმოადგენს ინვესტიციები და როგორია მათი სახეები?
2.როგორია ინვესტიციების წყაროები?
3.რას წარმოადგენს ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში?
4.რა არის პორტფელური ინვესტიციები?
5.რა არის ლიზინგი?
6.როგორია საინვესტიციო პროექტების სახეები?
7.რა განსხვავებაა ეფექტსა და ეფექტიანობას შორის?

თავი მეთხუთმეტე

გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა

1.გადასახადების არსი და საგადასახადო სისტემა

გადასახადები და საგადასახადო სისტემა-ეს ბიუჯეტურ შემოსულობათა არა მხოლოდ წყაროები,არამედ საბაზრო ტიპის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია.ცხადია,რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმირების გარეშე,რომელიც არ თრგუნავს მეწარმეობით საქმიანობას და ეფექტიანი ბიუჯეტური პოლიტიკის გატარების საშუალებას იძლევა,შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკის სრულფასოვანი გარდაქმნა.

გადასახადები ადამიანებისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი,როდესაც იგი გამოდიოდა ხარკის სახით.მათი აღმოცენება დაკავშირებულია სახელმწიფოს შენახვის აუცილებლობასთან.

გადასახადები აუცილებელი გადასახდელებია,რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ამოიღება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან და სხვადასხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტში შედის.გადასახადები-სახელმწიფო აპარატის,არმიის და არასაწარმოო სფეროს შენახვის თავდაპირველი ბაზაა.

თავდაპირველად გადასახადების როლი მხოლოდ **ფისკალურ** (საგადასახადო) უფლებამოსილებათა რეალიზაციამდე დაიყვანებოდა.

გადასახადები დღეს **შემოსავლების და ფინანსური რესურსების გადანაწილების** მთავარი ინსტრუმენტია.ასეთ გადანაწილებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები სახსრებით იმ პირების,საწარმოების,პროგრამების,ეკონომიკის სექტორებისა და სფეროების უზრუნველსაყოფად,რომლებიც რესურსებზე მოთხოვნებს განიცდიან,მაგრამ მისი განხორციელება საკუთარი რესურსებით არ შეუძლიათ.სხვა სიტყვებით,შემოსავლების საგადასახადო რეგულირება ისახავს სახელმწიფოს ხელში ფულადი სახსრების თავმოყრას,რომელიც საჭიროა სოციალურ,ეკონომიკურ,ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების,რეგიონის და დარგის პრობლემათა გადასაჭრელად.

ამრიგად,იურიდიული თვალსაზრისით,საგადასახადო ურთიერთობები წარმოადგენენ სპეციფიკურ ვალდებულებათა სისტემას,რომელშიც ერთი მხარე სახელმწიფოა,ხოლო მეორე-გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი).**ეკონომიკური** თვალსაზრისით გადასახადები წარმოადგენენ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს და იმავდროულად ეკონომიკური პროცესების ირიბი რეგულირების მეთოდს მაკროდონეზე.შეიძლება გამოიყოს სახელმწიფოს მარეგულირებელი საქმიანობის ორი მიმართულება გადასახადით დაბეგვრის სფეროში.ერთ-ერთი მათგანი საგადასახადო გადასახდელის აკუმულირებისა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში მდგომარეობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა რეალიზაციის ამოცანათა შესრულების მიზნით(**სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა გადასახადით დაბეგვრის სფეროში**).მეორე,საგადასახადო ბერკეტების მეშვეობით ეკონომიკის დარგების,ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრული სახეების სტიმულირებაში (დესტიმულირებაში) მდგომარეობს (**სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია გადასახადით დაბეგვრის სფეროში**).

სახელმწიფოში ამოღებადი გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების (ბაჟების და სხვა) ერთობლიობა ქმნის **საგადასახადო სისტემას**.ეს უკანასკნელი ეყრდნობა სახელმწიფოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს,რომლებიც ადგენენ გადასახადების აგებისა და ამოღების კონკრეტულ მეთოდებს,ე.ი.განსაზღვრავენ გადასახადების ელემენტებს.საგადასახადო სისტემა მოიცავს ასევე გადასახადის აკრეფის და მათ შეტანაზე ზედამხედველობის ორგანოებს,საგადასახადო ინსპექციის და საგადასახადო პოლიტიკის სახით.

გადასახადით დაბეგვრის სუბიექტია-იურიდიული ან ფიზიკური პირები,რომლებიც გადასახადის გადამხდელები არიან.არსებობს საგადასახადო ტვირთის სხვა პირებზე გადაკისრების განსაზღვრული მექანიზმები,ამიტომ სპეციალურად გამოიყენება ისეთი ცნება,როგორიცაა გადასახადების სუბიექტი.

გადასახადის სუბიექტი-ის პირია,რომელიც ფაქტობრივად იხდის გადასახადს.

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია-შემოსავალი (მოგება),ქონება (მატერიალური რესურსები),საქონლის ან მომსახურების ფასი,დამატებული ღირებულება,რომელზეც გადასახადი ერიცხება.თანამედროვე პერიოდში გადასახადების უმეტესობის საერთო

ნიშანია გადასახადით დაბეგვრის ობიექტების მატერიალურ-ფულადი და არა პიროვნული ხასიათი.

გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ყოველთვის როდი ემთხვევა გადასახადების ამოღების წყაროებს,ე.ი.შემოსავალს,რომლიდანაც გადაიხდება გადასახადი.

საგადასახადო განაკვეთი (გადასახადით დაბეგვრის ნორმა)-გადასახადის სიდიდეა დაბეგვრის ერთეულზე (შემოსავალი,ქონება და ა.შ.).განასხვავებენ **ზღვრულ განაკვეთს**,გადასახადით,შემოსავლის დამატებითი ერთეულის დაბეგვრის განაკვეთს და **საშუალოს**,გადასახადების თანხების თანაფარდობას გადასახადების სიდიდესთან.თუკი ზღვრული განაკვეთი იზრდება შემოსავალთან ერთად,მაშინ საშუალოც იზრდება შემოსავლის ზრდის კვალობაზე.საგადასახადო განაკვეთს,რომელიც შემოსავლისადმი პროცენტებში დგინდება,**საგადასახადო ქვოტა** ეწოდება.

საგადასახადო შეღავათი წარმოადგენს გადასახადისაგან სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას.სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო სისტემები განსხვავდებიან გადასახადების სახეების,საგადასახადო განაკვეთების დონის და მრავალი სხვა პარამეტრით.

2.გადასახადით დაბეგვრის პრინციპები

ყოველი სავალდებულო გადასახდელი ითვლება გადასახადად.გადასახადების სპეციფიკა განსაზღვრული პრინციპებისადმი მათი შესაბამისობაა.გადასახადით დაბეგვრის პრინციპები პირველად ჩამოყალიბებულ იქნა ა.სმითის მიერ,ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ.“მან წამოაყენა გადასახადის სამი წყარო:რენტა,მოგება და ხელფასი.ამის შესახებ სმითი აღნიშნავდა:

1.ქვეშევრდომმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად,თავიანთი უნარის და ძალის შესაბამისად მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფოს შენახვაში,ე.ი.იმ შემოსავლის შესაბამისად,რასაც ისინი სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობითა და დაცვით.

2.გადასახადი,რომლის გადახდის ვალდებულებას კისრულობს ყოველი ცალკეული პირი,განსაზღვრული უნდა იყოს და არა თვითნებური.გადახდის ვადა,ხერხი და თანხა ნათელი და განსაზღვრული უნდა იყოს გადამხდელისათვის და ნებისმიერი სხვა პირისათვის.

3.ყოველი გადასახადი ამოღებულ იქნეს იმ დროს და იმ ხერხით,როდესაც და როგორც მოხერხებული იქნება მისი გადახდა გადამხდელისათვის.

4.ყოველი გადასახადი ისე უნდა იქნეს ჩაფიქრებული და შემუშავებული,რომ მან აიღოს და ხალხის ჯიბიდან დააკავოს იმაზე უფრო ნაკლები,რასაც იგი სახელმწიფოს ხაზინას მოუტანს.

როგორც ჩანს,ა.სმითი გამოდიოდა გადასახადით დაბეგვრის შემდეგი პრინციპებიდან:

თანაბარზომიერება,ე.ი.საგადასახადო ამოღებათა თანაბარი დაძაბულობა,გადასახადების გადამხდელებისადმი სახელმწიფოს მოთხოვნათა ერთიანობა;

განსაზღვრულობა,რომელიც ნიშნავს მკაფიოობას,საგადასახადო სისტემის ფუძემდებლური მახასიათებლების სტაბილურობას,მათ უცვლელობას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე;

სიმარტივეს და მოხერხებულობას,ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით.

არადამამძიმებლობა,ე.ი.გადასახადების ზომიერება,საგადასახადო თანხის შედარებით დაბალი დონე,რომლის გადახდა მძიმე ტვირთად არ დააწვება გადამხდელს.

რაციონალურად აგებულ საგადასახადო სისტემაში ამ პრინციპების დაცვა ცხადი ხდება,მაგრამ პრაქტიკაში ორი უკანასკნელი პრინციპი ყოველთვის როდი რეალიზდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიულად ჩამოყალიბებული პრინციპები გამოყენებადი აღმოჩნდა დღესაც.მაგრამ სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის განვითარების კვალობაზე,გადასახადით დაბეგვრის სფეროში საჭირო გახდა მათი ჩამონათვალის გაფართოება.ეს პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

საყოველთაოობა-გადასახადების მიერ შემოსავლის მიმღები ყველა სუბიექტის მოცვა;

სტაბილურობა-გადასახადების სახეების და საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობა დროში;

თანაბარდაძაბულობა-გადასახადების ამოღება გადასახადის ყველა გადამხდელისაგან ერთნაირი განაკვეთით;

სავალდებულოობა-გადასახადის იძულებითობა,გადახდის გარდუვალობა;

სოციალური სამართლიანობა-საგადასახადო განაკვეთების და საგადასახადო შეღავათების დაწესება ისეთნაირად,რომ მათ ყველა დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს საგადასახადო დატვირთვის თვალსაზრისით.

ჰორიზონტალური სამართლიანობა-შემოსავლის დონის მიხედვით თანაბარ მდგომარეობაში ყოფნა საგადასახადო კანონებით ერთნაირად უნდა განიმარტებოდეს;

ვერტიკალური სამართლიანობა-შემოსავლის დონის მიხედვით არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნა საგადასახადო კანონებით არაერთნაირად უნდა განიმარტებოდეს.

გადასახადით დაბეგვრის თანამედროვე პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს უკიდურეს შემთხვევაში სამ პუნქტს:

ჯერ-ერთი,გადასახადებმა კი არ უნდა დათრგუნოს, და მით უმეტეს მოუსპოს დაინტერესება კოლექტივებს და მომუშავეებს შემოსავლისა და მოგების გადიდებაში.

მეორე,გადასახადებს დაბალანსებულობა უნდა გააჩნდეთ იმ გაგებით,რომ მათი სიდიდე ბიუჯეტში სხვა შემოსულობებთან ერთად უნდა აწონასწორებდეს სახელმწიფო ხარჯებს,წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შემცირდეს.

მესამე,გადასახადით დაბეგვრამ არ უნდა გამოიწვიოს მოქალაქეთა რეალური შემოსავლების შემცირება დასაშვებ დონეზე ქვევით,რაც სასიცოცხლო მინიმუმით განისაზღვრება.

ცხადია,გადასახადით დაბეგვრის ისეთი სისტემის შექმნა,რომელიც პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პრინციპს,ძალზე ძნელია.მრავალი მოთხოვნა,რომელთაც ისინი კარნახობენ,ძნელად შეთანხმებადი და წინააღმდეგობრივია.

3.გადასახადების სახეები

დღეისათვის გადასახადები ერთობ მნიშვნელოვანია და საკმაოდ განტოტვილ მთლიანობას ქმნის.ისტორიიდან ცნობილია ჰენრი ჯორჯის (აშშ) სახელი,რომელიც ყველა გადასახადის-ერთი,მიწის გადასახადზე დაყვანას მოითხოვდა.თუმცა მისი მიმდევრები,რომელთა შორის იყვნენ ლ.ტოლსტოი,უ.ჩერჩელი,სუნიატსენი,დაჟინებით ქადაგებენ მის მოძღვრებას,მაგრამ გადასახადების სახეობათა რაოდენობა არ მცირდება,არამედ იზრდება კიდევაც.

გადასახადები სხვადასხვა ჯგუფებად იყოფა მრავალი ნიშნით:ისინი კლასიფიცირდება:

გადასახადების ამოღების ხასიათით (პირდაპირი და ირიბი);

მართვის დონეთა მიხედვით (ფედერალური,რეგიონული,ადგილობრივი,მუნიციპალური);

გადასახადით დაბეგვრის სუბიექტების მიხედვით (გადასახადები იურიდიული დი ფიზიკური პირებისაგან);

გადასახადი დაბეგვრის ობიექტების მიხედვით (გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე),გადასახადები შემოსავლებზე,მოგებაზე,კაპიტალთა საბაზრო ღირებულების ზრდაზე და ა.შ.)

. გადასახადის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით (საერთო და სპეციალური).

პირდაპირი გადასახადები ამოიღება უშუალოდ განაკვეთის ან ფიქსირებული თანხის მიხედვით გადასახადის გადამხდელის შემოსავლის ან ქონებისაგან.მას მიეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან,კორპორაციათა მოგების გადასახადი,ქონებრივი გადასახადები და სხვა.

ირიბი გადასახადები სხვანაირად,ნაკლებ „შესამჩნევი" სახით,საქონელსა და მომსახურების ფასზე სახელმწიფო წანამატების შემოღებით,რასაც მყიდველი იხდის და რომელიც ბიუჯეტში მიდის.

პირდაპირი გადასახადები ვრცელდება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტადიაზე,ირიბი უმეტესწილად არეგულირებს განაწილებისა და მოხმარების პროცესებს.

მოვახდინოთ გადასახადების ძირითად სახეობათა იდენტიფიცირება:

1.გადასახადი ფიზიკურ პირთა შემოსავლებზე.
2.კორპორაციათა მოგების გადასახადი.
3.გადასახადი ფულადი კაპიტალის შემოსავლებზე.
4.მინის გადასახადი.
5.ქონებრივი გადასახადი.
6.მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი.
7.ფასიანი ქაღალდების გადასახადი.
8.აქციზები.
9.ბრუნვის გადასახადი.
10.დამატებული ღირებულების გადასახადი.

გადასახადები განსხვავდებიან ასევე საგადასახადო განაკვეთების ხასიათისაგან დამოკიდებულებით.საგადასახადო განაკვეთებისაგან დამოკიდებულებით გადასახადები იყოფა პროპორციულ,პროგრესულ და რეგრესულ გადასახადებად.

გადასახადს **პროპორციული** ეწოდება,თუკი გადასახადით დაბეგვრისას გამოიყენება ერთიანი საგადასახადო განაკვეთი.იგი უცვლელია და დამოკიდებულია შემოსავლის სიდიდეზე,გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მასშტაბზე.ამ შემთხვევაში ზოგჯერ ამბობენ მტკიცე საგადასახადო განაკვეთის შესახებ,ობიექტის ერთეულზე.მაგალითად,თუკი გადასახადის განაკვეთი მოგებაზე 30%-ია და არ იცვლება მის სიდიდეზე დამოკიდებულებით,გა-

დასახადი-პროპორციულია,იგი უთანაბრობას ინარჩუნებს შემოსავლებში.

პროგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთი იზრდება გადასახადით დაბეგვრის ობიექტის სიდიდის ზრდის კვალობაზე და უთანაბრობას ინარჩუნებს ეკონომიკურ მდგომარეობაში.მაგალითად,შემოსავალი მინიმალური ხელფასის სიდიდით შეიძლება საერთოდ არ დაიბეგროს გადასახადით,შემოსავალი 10 მინიმალური ხელფასის მოცულობით-12%-იანი გადასახადით,ხოლო 10 მინიმალურ ხელფასზე მეტი შემოსავალი-20%-იანი გადასახადით.

რეგრესიული გადასახადის განაკვეთები,პირიქით,გადასახადით დასაბეგრი ობიექტის გადიდების კვალობაზე მცირდება და უთანაბრობა შემოსავლებში გადასახადით დაბეგვრის შემდეგ იზრდება.რეგრესიული გადასახადი შემოიღება შემოსავლის,მოგების,ქონების ზრდის სტიმულირების მიზნით,რომელიც გადასახადით იბეგრება.

გადასახადი შეიძლება ამოღებულ იქნეს **ნატურალური** და **ფულადი** ფორმით.თუკი გადასახადი ამოიღება გადასახადებით დასაბეგრი ობიექტის ღირებულებიდან პროცენტის სახით,მას **ადვალორულს** უწოდებენ.იმისაგან დამოკიდებულებით,თუ ვინ ამოიღებს გადასახადს და რომელ ბიუჯეტში შედის იგი,გადასახადები იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებად.თავის მხრივ,სახელმწიფოს ფედერალურად მოწყობის პირობებში სახელმწიფო გადასახადები იყოფა ფედერალურ გადასახადებად და ფედერაციის სუბიექტების გადასახადებად.

თუკი გადასახადების საკვალიფიკაციო ნიშნად განიხილება თუ ვინ არის გადასახადის გადამხდელი,ე.ი.გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი,მაშინ განასხვავებენ გადასახადებს **ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.**

გამოყენებისაგან დამოკიდებულებით გადასახადები არსებობს საერთო და სპეციფიკური (ანუ მიზნობრივი).**საერთო გადასახადები** გამოიყენება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე.**სპეციალურ გადასახადებს** მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია.

4.ფიზიკურ პირთა გადასახადები

ფიზიკური პირების,მოქალაქეთა გადასახადით დაბეგვრა დამოუკიდებელი სოციალ-ეკონომიკური პრობლემაა.უკვე კითხვა იმის შესახებ თუ რანაირად გავანაწილოთ საგადასახადო ტვირთი

იურიდიულ და ფიზიკურ პირებს,საწარმოებს შორის,ერთი მხრივ,და ფიზიკურ პირებს,მოქალაქეებს შორის,მეორე მხრივ,შეგნებულად ვერ პოულობს მარტივ გადაწყვეტას.

მეორე კითხვა ისაა,თუ რა უნდა იყოს ფიზიკურ პირთა გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.შესაძლოა სხვადასხვა მიდგომები ამ პრობლემის გადაჭრისადმი.

ერთ-ერთი მათგანია,საქონელთა გადასახადით დაბეგვრა,რომლითაც ადამიანები სარგებლობენ,სახელმწიფოსაგან საქონელთა და მომსახურების შესყიდვისას.სახელმწიფოსაგან გაცემული საქონლისა და მომსახურებისაგან,უფრო დიდი სარგებლის მიმღებებმა უფრო მაღალი გადასახადი უნდა გადაიხადონ.

თვისებრივად სხვანაირი მიდგომაა ჩადებული გადასახადით დაბეგვრის იდეაში ინდივიდის ოჯახის,საოჯახო მეურნეობის გადახდისუნარიანობისაგან დამოკიდებულებით.აქ ამოქმედდება სხვა პრინციპი:„რაც გადასახადის გადახდის რაც უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია გადასახადის გადამხდელს,მით მეტი გადასახადი უნდა დაუწესდეს მას".მოქალაქეთა მიერ გადასახადების გადახდის შესაძლებლობები დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე:ქონებრივ ცენზზე,დაგროვილ ფულად საშუალებებზე,რეალურ შემოსავლებზე,ახალი შემოსავლების მიღების პერსპექტივებზე.ჩამოთვლილი პარამეტრებიდან ყველაზე მარტივად ფიქსირდება და დგინდება ფიზიკურ პირთა შემოსავლები,ამიტომ იგი არჩეულია მოქალაქეთა გადასახადით დაბეგვრის ძირითადი ობიექტის სახით.შესაბამისმა გადასახადმა **საშემოსავლოს** სახელწოდება მიიღო.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში ფიზიკურ პირთა გადასახადით დაბეგვრის სისტემა მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება, იცვლება და სხვანაირი ხდება საშემოსავლო გადასახადის გადახდის წესებიც.გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველა მოქალაქემ,ვისი ფულადი შემოსავალიც აჭარბებს კანონით დანესებულ დაუბეგრავ მინიმუმს.საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების ბაზა ხდება არა თვიური,არამედ წლიური მთლიანი შემოსავალი,რომელშიც შეიტანება ძირითადი სამუშაო ადგილის შემოსავლები,ისე სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებიც,რომლებიც შემოსაელებით დაბეგვრას ექვემდებარებიან.

დასაბეგრი შემოსავალი შესაძლოა ნაკლები იყოს ფაქტობრივად მიღებულზე,ვინაიდან რიგი მისაცემლები ამოიღება გადასახადით დასაბეგრი თანხიდან.მაგალითად,გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის ფაქტობრივად მიღებული შემოსავალი მცირდება ყო-

ველი სრული თვის განმავლობაში თვიური ანაზღაურების კანონით დაწესებული მინიმალური თანხით.

საშემოსავლო გადასახადი გამოიყენება ცალკეული სახეობის საქმიანობის სტაბილურობისთვისაც.მაგალითად,სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდების დაინტერესების მიზნით,გადასახადისაგან თავისუფლდება ფერმერთა პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

მოქალაქეთა წლიური შემოსავლის საერთო თანხის დასადგენად,მათთვის ნებისმიერი ანაზღაურების ცნობები გადასახადების გადამხდელთა მიერ ეგზავნება საგადასახადო ინსპექციას შემოსავლის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.მეორე მხრივ,კანონით დაწესებული ზღვრული თანხის ზევით მიღებულ გადასახადზე ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეავსოს და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ,დადგენილი ფორმით.

დეკლარაცია შემოსავლების შესახებ მოქალაქეთა ოფიციალური შეტყობინებაა მათ მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ,რაც დაკავშირებული იყო ამ შემოსავლების მიღებასთან.მას ადგენენ მოქალაქეები,რომლებიც შემოსავალს იღებენ არა ძირითად სამუშაო ადგილზე,არამედ ასევე მეწარმეობითი საქმიანობიდანაც და ძირითადი სამუშაო ადგილის არმქონე მოქალაქეებიც.მოქალაქეები,რომელთაც გასულ კალენდარულ წელს შემოსავალი ჰქონდათ მხოლოდ შრომითი მოვალეობის შესრულების შედეგად ძირითად სამუშაო ადგილზე,დეკლარაციას შემოსავლის შესახებ არ ადგენენ.დეკლარაცია შემოსავლების შესახებ წარედგინება საანგარიშო წლის შემდგომ, არაუგვიანეს 1 აპრილისა.

ასეთი სისტემა აუცილებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ შემოსავლების გადამალვის გაფრთხილებისათვის,არამედ,უწინარეს ყოვლისა,ფიზიკური პირებიდან საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალის გამოყენებასთან დაკავშირებით.ასეთი შკალის თანახმად,კანონით დაწესებული ზღვრული სიდიდის თანხის ზევით, ამოიღება დამატებითი გადასახადი მრავალსაფეხურიანი შკალის მიხედვით.

მაგალითად,აშშ-ში 1988 წლიდან მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის ორი განაკვეთი-15 და 28%.თუკი გადასახადით დაბეგრილი შემოსავალი 29.7 ათ.დოლარზე ნაკლებია ან ტოლი,იგი იბეგრება გადასახადის 15%-იანი განაკვეთით,თუკი აღნიშნულ თანხაზე მეტია,მაშინ -28%-იანი განაკვეთით.გერმანიაში,1986წ.საშემო-

საველო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 56%-ის დონეზე იყო,შემდგომ იგი რამდენადმე შემცირდა.მაგრამ საგადასახადო რეჟიმი გერმანიაში უფრო ხელსაყრელია,ვიდრე აშშ-ში.

ფიზიკურ პირთა გადასახადით დაბეგვრაში-მთავარია სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა.გადასახადების წინაშე თანასწორი უნდა იყოს ყველა-პრეზიდენტი,პენსიონერი და მეწარმეც.

შემოსავლებიდან გადასახადის მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით გადახდის აუცილებლობასთან ერთად, მოქალაქეები მოწოდებული არიან გადასახადი გადაიხადონ ქონებაზე.საცხოვრებელი სახლების,აგარაკების,გარაჟების,არასაცხოვრებელი ნაგებობების ჩათვლით,გადაიხადონ მიწის და ქონებრივი გადასახადი,რომელიც ნაჩუქრობისა და მემკვიდრეობის წესით გადადის სხვა პირებზე. მეორე მხრივ,ფიზიკურ პირთა შემოსავლების და ქონების აღრიცხვის სისტემის მოუწესრიგებლობით,ინფლაციამ შეიძლება არსებითად დაამახინჯოს მოქალაქეთა მიერ გადასახადის რეალურად გადახდილი თანხა.

შედარებისათვის შევნიშნავთ,რომ აშშ-ში საშემოსავლო გადასახადი ძირითადი გადასახადია,ამასთან შემოსავლების დიდ ნაწილს-თითქმის 40%-ს-იძლევა ინდივიდუალური შემოსავლების გადასახდელები,ხოლო კორპორაციათა შემოსავლების გადასახადები 10%-ზე ნაკლებს.რუსეთში სურათი საპირისპიროა-ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი 10%-ზე ნაკლებია.ეს მოწმობს მისი ეკონომიკის გარდამავალ ხასიათზე.

5.საწარმოთა გადასახადით დაბეგვრა.მოგების გადასახდელი

ყურადღების კონცენტრირება საგადასახადო ურთიერთობათა ამ მხარეზე,განპირობებული უპირველეს ყოვლისა იმით,რომ საწარმოთა გადასახადები შემოსულობათა ძირითადი ნაწილია სახელმწიფო და ადგილობივ ბიუჯეტებში.საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში საწარმოთა მოგების გადასახდელს წამყვანი ადგილი უჭირავს.

განაწილების პროცესის ამოსავალ სტადიაზე ყალიბდება საწარმოს მთლიანი შემოსავალი.იგი იქმნება საწარმოს მიერ პროდუქციის,საქონელთა,მომსახურების,ზედმეტი ნაგებობის,ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების და ასევე ე.წ.სარეალიზაციო ოპერაციების გარეშე შემოსულობებიდან და სხვა.უკვე ამ სტადიაზე საწარმო აწყდება დამატებული ღირებულების

გადასახადის (დღგ) გადახდის აუცილებლობას,თუკი იგი გათავისუფლებული არ არის ამ გადასახადისაგან.

საწარმოთა გადასახადით დაბეგვრის მთავარი ობიექტია **მთლიანი (საბალანსო) მოგება**,რომელიც სხვაობაა საგადასახადო გადასახდელების მთავარი წყაროა.

საწარმოთა მოგების გადასახდელი გადასახადების ცენტრალურ,ყველაზე უფრო გამოყენებად და გადასახადით დაბეგვრის მსოფლიო პრაქტიკაში გადასახადის მნიშვნელოვან სახეობას მიეკუთვნება.ნებისმიერი სახელმწიფო აიძულებს საწარმოებს გაინაწილოს თავისი წმინდა შემოსავალი საზოგადოებასთან,საწარმოს შემოსავლის ნაწილის გადაცემით საზოგადოებრივ ყულაბაში-სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში.

საწარმოთა მოგების გადასახადის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურება ისაა,რომ ამ გადასახადით შეიძლება დაიბეგროს არა მთელი წმინდა ანუ საბალანსო მოგება,არამედ მხოლოდ მისი ნაწილი,რომელსაც **გადასახადით დასაბეგრი მოგება** ეწოდება.

საწარმოს მიერ ყველა გადასახადის და მოსაკრებლის გადახდის შემდეგ,თუკი იგი მომგებიანი იქნება,მის განკარგულებაში რჩება ე.წ.**გასანაწილებელი (ნარჩენი) მოგება**.სახელწოდება „გასანაწილებელი“ მოგება ასახავს იმ გარემოებას,რომ მოგების ეს რაოდენობა, ნაწილდება თვით საწარმოს,მის ადმინისტრაციის მიერ.

მოკლედ დავახასიათოთ საწარმოთა (იურიდიული პირების) გადასახადით დაბეგვრა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.არსებული პრაქტიკის მიხედვით მოგების გადასახადი იურიდიული პირებიდან ამოიღება საგადასახადო დეკლარაციების მიხედვით.გადასახადით დაბეგვრა,როგორც წესი,ხორციელდება პროპორციული განაკვეთების მიხედვით 15-დან 55%-მდე (ქვეყნებისაგან დამოკიდებულებით) დასაბეგრი მოგებიდან.

80-იან წლებში მოხდა კორპორაციათა მოგების გადასახადის საყოველთაო შემცირება წამყვან,ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (აშშ,დიდი ბრიტანეთი,კანადა,საფრანგეთი,გერმანია).იგი შემცირებულია აშშ-ში 46-დან 34%-მდე,იაპონიაში 52-დან 42%-მდე,გერმანიაში 56-დან 50%-მდე,საფრანგეთში 45-დან 42%-მდე,დიდ ბრიტანეთში 50-დან 35%-მდე.

კორპორაციათა მოგების გადასახადით დაბეგვრის მნიშვნელოვანი ასპექტია გადასახადის სიდიდის განსაზღვრა მოგების გასანაწილებელ ნაწილზე (დივიდენდები) და იმ ნაწილისა,რომელიც რჩება კორპორაციის განკარგულებაში.

პირველის თანახმად, სრული მოგების გადასახადით დაბეგვრა ხორციელდება მის განაწილებამდე და აქციონერთა დივიდენდების

ცალკე გადასახადით დაბეგვრა მთლიანი წლიური შემოსავლის მიხედვით.ამ ვარიანტის თანახმად მიღებული დივიდენდები ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მოქმედებაში ხვდება.ამის შედეგად ერთიდაიგივე თანხა შეიძლება ორჯერ დაიბეგროს-დასაწყისში კორპორაციული გადასახადით,როგორც ფირმის მოგების ნაწილი,შემდეგ პირადი საშემოსავლო გადასახადით,რომელიც დაბეგვრის თვალსაზრისით აქციონერთა შემოსავლად გადაიქცევა.

დივიდენდების გადასახადით ორმაგი დაბეგვრის გამოსარიცხავად,მოგება უნდა დაიყოს გასანაწილებელ და გაუნაწილებელ ნაწილებად გადასახადით დაბეგვრამდე,ხოლო უკვე შემდგომ,მოგების ყოველ ნაწილს მივუყენოთ შესაბამისი საგადასახადო განაკვეთები.

6.დამატებული ღირებულების გადასახდელი.აქციზები

თანამედროვე პერიოდში გადასახადით ირიბი დაბეგვრის ყველაზე ფართოდგამოყენებული და ეფექტიანი ინსტრუმენტია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).პირველად ეს გადასახადი შემოიღეს საფრანგეთში და გამოიყენება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ყველა ქვეყანაში,გარდა ავსტრალიის,აშშ-ს და შვედეთისა.

დამატებული ღირებულება-ის ღირებულებაა,რომელსაც მიმწოდებელი უმატებს საკუთარ ნედლეულს და ნაყიდ ნაკეთობებს, სანამ გაყიდდეს ახალ გაუმჯობესებულ ნაკეთობას ან გაუწევს მომსახურებას.დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტში ღირებულების ნაწილის ამოღებას,რომელიც შექმნილია საქონელთა და მომსახურების წარმოების პროცესში და ბიუჯეტში შეიტანება მათი რეალიზების კვალობაზე.გადასახადი ამოიღება გასაყიდ ფასსა და წარმოების ხარჯებს შორის განსხვავებიდან, საქონლის წარმოების მოცულ სტადიაზე,ე.ი.ყოველ ტექნოლოგიურ სტადიაზე.დღგ ამოიღება თანმიმდევრულად ყველა საწარმოდან,რომლებიც მონაწილეობენ პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიურ ციკლში.

წინათ,სსრკ-ში მოქმედებდა **ბრუნვის გადასახადი**.იგი ეფექტიანად გამოიყენებოდა ფასების სახელმწიფო რეგულირების,ქვეყანაში ფიქსირებული საბითუმო და საცალო ფასების დაწესების პირობებში.ამ გადასახადის თავისებურება ის იყო,რომ იგი არ შეიტანებოდა საქონლის ფასში,არამედ პირიქით:თავდაპირველად სახელმწიფო განსაზღვრავდა საქონლის საცალო და საბითუმო ფასებს და შემდგომ მათ შორის განსხვავება ამოიღებოდა ბიუჯეტში.

დღგ,ისე როგორც აქციზი,ჰგავს ბრუნვის გადასახადს იმ გაგებით,რომ მთელი მისი სიმძიმე აწვება საბოლოო მომხმარებელს.ფაქტობრივად დღგ-ესაა გადასახადი არა საწარმოსათვის,არამედ მომხმარებლისათვის.დღგ-ს თავისებურება ისაა,რომ იგი საშინაო გადასახადია;საქონლის უცხოეთში გატანისას მისი სიდიდე კომპენსირებულ უნდა იქნეს მყიდველზე.

აქციზი ეწოდება საწარმოთა საქონლისა და მომსახურების ირიბი გადასახადის სახესხვაობას,რომელიც დამატების სახით პირდაპირ შეიტანება ფასში ან ტარიფში.აქციზები შეიტანება გასაყიდ საქონელთა და მომსახურების ფასში,და ამიტომ მის საბოლოო გადამხდელად გამოდის მომხმარებლები.აქციზის მოქმედების დიაპაზონი ვიწროა,ამით იბეგრება ისეთი საქონელი,როგორიცაა თამბაქო,სპირტიანი სასმელები,საიუველირო ნაკეთობები,დელიკატესები,მსუბუქი ავტომანქანები,ბენზინი,ბეწვეული,ფაიფურისა და ბროლის მაღალხარისხოვანი ნაკეთობები,ხალიჩები.აქციზის განაკვეთები დიფერენცირებულია სასაქონლო ჯგუფებისა და სახეობების მიხედვით ფართო დიაპაზონში,10-დან 90%-მდე და შეიძლება პერიოდულად გადაისინჯოს.

საინტერესოა აღინიშნოს,რომ,საშემოსავლო და ირიბი გადასახადები (ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ,სამომხმარებლო გადასახადები) სხვადასხვანაირად ზემოქმედებენ წარმოებასა და ეკონომიკურ პროცესებზე.დღგ,აქციზები,ბრუნვის გადასახადი,ე.ი.სამომხმარებლო გადასახადები ამცირებენ საგადასახადო სისტემის „პროგრესულობას“ და ამძიმებენ უქონელი ფენის საგადასახადო ტვირთს.იმავდროულად ასეთი გადასახადები შეიძლება უფრო „სამართლიანად“ გამოიყურებოდეს საშემოსავლოსთან შედარებით,რომელიც განსაზღვრულ პირობებში დანაზოგებისა და შრომისადმი მოტივაციის მუხრუჭი ხდება,რამდენადაც ამცირებენ მომუშავეთა შემოსავლებს.სამომხმარებლო გადასახადების გონივრული შემოღება აუმჯობესებს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას,ადიდებს მთელი საფინანსო სისტემის მტკნილობას.მოხმარების გადასახადები დასავლეთ ევროპაში ყველგან გამოიყენება როგორც ძირითადი.ამერიკელები,თუმცა,დიდი ხანია დებატებს მართავენ დღგ-თი კორპორაციათა შემოსავლებზე გადასახადის შეცვლის თვალსაზრისით,მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ გადაწყვიტეს ეს პრობლემა.

7.საგადასახადო რეგულირების თავისებურებები

გადასახადები არსებობს,როგორც ცენტრალიზებული,ისე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.მაგრამ გადასახადების სახეები,მათი განაკვეთები,რეგისტრაციის,გადასახადით დაბეგვრის ობიექტების დეკლარირების ხერხები,გადასახადების ამოღების მეთოდები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია.

80-იანი წლებიდან მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ გადასახადით დაბეგვრის რეფორმა ჩაატარა.

საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და გატარება ყოველთვის იყო სახელმწიფოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს რეგულირების ერთ-ერთი მთავარი გზა.სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა საგადასახადო რეგულირების მიზნები და ამოცანები,და მაშასადამე,საგადასახადო პოლიტიკის მიმართულება და შედეგი,მაგრამ საგადასახადო სისტემის ფუნქციები (**ფისკალური და მასტიმულებელი**) და მისი მნიშვნელობა უცვლელი რჩება.

საგადასახადო სისტემის მოწყობისა და ფუნქციონირების გამოცდილება საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში,საშუალებას იძლევა გამოყოფილ იქნეს ორი განსხვავებული მიდგომა,რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის ადგილს და როლს სახელმწიფო რეგულირების მეთოდების არსენალში:პირველი მიდგომა,რომელიც ემყარება ჯ.მ.კეინზის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციას და მეორე მიდგომა,რომელიც ემყარება ნეოკლასიკოსთა თეორიის პოსტულატებს.


მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რიგი წლების მანძილზე და 80-იანი წლების დასაწყისში გაბატონებული იყო კეინზური მიდგომა,რომლის თანახმად ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საგადასახადო ღონისძიებათა მეშვეობით,მიმართული უნდა იყოს წარმოების ყველა ფაქტორის და ზრდის სტიმულების სრულ გამოყენებაზე.სახელმწიფო რეგულირება **ერთობლივი მოთხოვნის** სიდიდეზე ზემოქმედებაში მდგომარეობს,რომლის მთავარი ინსტრუ ენტია **სახელმწიფო ბიუჯეტი.**

კეინზის მიხედვით,აღმავლობის პირობებში საჭიროა გადასახადების გადიდება,ხოლო კრიზისულ სიტუაციაში-მათი შემცირება.

მაგრამ 70-80-იანი წლების მიჯნაზე დასავლეთის მრავალ ქვეყანაში გაუარესდა წარმოების საერთო პირობები,გაძლიერდა ინფლაცია.ამიტომ 80-იან წლებში ყველგან შეინიშნება კეინზის სახელმწიფოებრივი რეგულირების უარყოფა და განვითარებული ქვეყნების საგადასახადო საფინანსო სტრატეგიის შეცვლა.

90-იან წლებში შეინიშნება ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის შემცირების ტენდენცია კორპორაციათა და ფიზიკური პირების შემოსავლებზე.სანარმოთა მოგების და მოსახლეობის შემოსავლების გადასახადიო ლაბეგერის საერთო შემცირების ფონზე რიგ ნამყვან ქვეყნებში (აშშ,იაპონია,დიდი ბრიტანეთი) იმაედროულად მიმდინარეობს გადასახადით დაბეგვრის ბაზის გაფართოება,საგადასახადო შეღავათების შემცირება.

ამიტომ საგადასახადო რეფორმის გატარების დროს საჭირო ხდება პერსპექტივაში მიმდინარე ბიუჯეტური დანაკარგების შევსების შესაძლებლობათა ძიება და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდების მიღწევა.



ნახ.1.ბიუჯეტის შემოსავლების დამოკიდებულება გადასახადის განაკვეთებზე

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და საგადასახადო განაკვეთების დინამიკას შორის დამოკიდებულების გრაფიკულმა ასახვამ ეკონომიკურ თეორიაში „ლაფერის მრუდის" სახელწოდება მიიღო ამერიკელი ეკონომისტის ა.ლაფერის პატივსაცემად (იხ.ნახ.1.)

პირობით,საწარმოს,ფირმის მიერ გადახდილი ყველა გადასახადი გავაერთიანოთ ერთ უნივერსალურ,საყოველთაო გადასახადში X განაკვეთით.შემდგომ ვცადოთ მოვძებნოთ X განაკვეთის

ოპტიმალური მნიშვნელობა,რომლის დროსაც სახელმწიფოს შემოსავლები (ბიუჯეტის შემოსულობები Y მაქსიმალური იქნება.X_0-ის ძიებული მნიშვნელობის მისაღებად უნდა დავამყაროთ Y შემოსავლების დამოკიდებულება X საგადასახადო განაკვეთისაგან სხვა თანაბარ პირობებში,ე.ი.იმ ვარაუდით,რომ,სხვა ფაქტორები არ იცვლება ან ზეგავლენას არ ახდენენ სახელმწიფო ხარჯებზე.

ცხადია,რომ X=0 განაკვეთის დროს Y შემოსავალიც ნულის ტოლია,ვინაიდან სახელმწიფო ვერ მიიღებს გადასახადებს,და მაშასადამე,შემოსავლებს.ასევე ცხადია,რომ საგადასახადო განაკვეთის Y=100%-ის პირობებში,საწარმოები,მეწარმეები,რომლებისაგანაც სახელმწიფო მთლიანად ამოიღებს მათ შემოსავლებს ბიუჯეტში,დაკარგავენ მუშაობის ინტერესს და შეწყვეტენ წარმოებას და შემოსავალს არ მოიტანენ.

შემდგომ,შეიძლება ვივარაუდოთ,რომ სარგებლის დაბალი განაკვეთების პირობებში,რომელიც არ დაამძიმებს საწარმოებს,ისინი მაღალ საგადასახადო შემოსავალს მოიტანენ და საგადასახადო განაკვეთის გადიდებით გაიზრდება გადასახადებიც და საგადასახადო შემოსავლებიც.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე,ბუნებრივია ვიფიქროთ,რომ არსებობს საგადასახადო განაკვეთის X_0 მნიშვნელობა,რომლის დროსაც შემოსულობები გადასახადებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალურ დონეს (Y მაქს.) მიაღწევს.ასე, რომ სახელმწიფოსათვის მიზანშეწონილია საგადასახადო განაკვეთის X დონეზე დაწესება,არც მეტი არც ნაკლები.

სხვათა შორის,ესა თუ ის ქვეყანა სხვადასხვა პოზიციას იზიარებს იმ ხვედრი წილის თვალსაზრისით,რომელსაც უნდა იჭერდეს გადასახადები მათ ეეპ-ში,რაზედაც შეიძლება ციფრებით ვიმსჯელოთ.მაგალითად,თუკი აშშ და იაპონია ორიენტაციას იღებენ საგადასახადო შემოსულობებზე,რომლებიც ეეპ-ის 30-35%-ს შეადგენს,დიდ ბრიტანეთში ამ მაჩვენებელმა 90-იან წლებში დაახლოებით 40%-შეადგინა,გერმანიაში- 45, ხოლო შვედეთში 50%-ს აჭარბებდა.

სარგებლის რეალური საგადასახადო განაკვეთები რატომ გადაიხრებიან ლაფერის მრუდით ნაკარნახევი ოპტიმუმისაგან?საქმე ისაა,რომ ოპტიმალური საგადასახადო სტრუქტურის არჩევანი განისაზღვრება მიმდინარე,ეკონომიკურიი სიტუაციის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.უნდა ავირჩიოთ:ან ფისკალური ამოცა-

ნების გადაჭრა და ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმიზაცია მოცემულ დროში,ან საგადასახადო შემოსულობათა გარკვეული შემცირება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით,საგადასახადო ბაზის შემდგომი გაფართოებით.

მომუშავეთა ხელფასის გადასახადით დაბეგვრის განაკვეთის განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ,რომ ხელფასის გადასახადი ამცირებს ფულის რაოდენობას,რომელსაც ხელზე იღებს მომუშავე.მომუშავე იქიდან გამოდის,რომ გამომუშავებული საათების რაოდენობისათვის მან უნდა მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის ფული,რომელიც მომუშავის პოზიციებიდან არის მისი ხელფასი.

მომუშავეთა შენარჩუნების სურვილის შემთხვევაში ფირმის ადმინისტრაცია იძულებული იქნება ან გაზარდოს მომუშავეთა ნომინალური ხელფასი,არ მიმართოს სამუშაო დროის ან მომუშავეთა რაოდენობის შემცირებას,მათი შრომის კაპიტალით შეცვლის გზით.

8.საგადასახადო ტვირთის განაწილების მექანიზმი

საგადასახადო სისტემები მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ისეთნაირად არის ჩამოყალიბებული,რომ ზოგიერთი გადასახადი განსაზღვრულ ეკონომიკურ ღონისძიებათა გზით შეიძლება გადაკისრებულ იქნეს სხვა პირებზე.ამ მიზეზით უნდა განისაზღვროს გადასახადების ძირითადი სახეობების გადაკისრების შესაძლებლობები და გამოვლინდეს მათი გადაადგილების საბოლოო პუნქტები.ყველაზე გავრცელებულია პირადი საშემოსავლო გადასახადი,რომლის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია კონკრეტული პირის შემოსავლები.ობიექტის განსაზღვრულობის გამო ამ გადასახადის გადაკისრების შესაძლებლობები უმნიშვნელოა.მაგრამ,მიუხედავად ამისა,ცალკეულ პირებს,შეეძლოთ მისი სხვა პირებზე გადაკისრება,თავიანთ მომსახურებაზე ფასების გადიდებით.ამის მაგალითია იურისტები,ექიმები.

კორპორაციათა მოგების გადასახდელის მოქმედების სფერო ნაკლებგანსაზღვრულია,ვიდრე პირადი საშემოსავლო გადასახადისა.არსებობს საგადასახადო ტვირთის გადაკისრების ორი თვალსაზრისი.პირველის თანახმად,ფირმები ცდილობენ პროდუქციის წარმოების და მისი ფასის ისეთნაირად დაწესებას,რომ უზრუნველყოს მისთვის მაქსიმალური მოგების მიღება,ამიტომ გადასახადის შემოღებისას ისინი დაინტერესებული არიან ფასის გადიდებით ან წარმოების მოცულობის შეცვლით,რამდენადაც ეს შეამცირებს წარ-

მოების ოპტიმალურობას,და მაშასადამე,ფირმის მოგებას.იმავდროულად მაქსიმალური მოგების მიღებისა და მისთვის გა ასახადების გადახდით,შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს საკმაოდ მაღალი შემოსავალი.გადასახადების ტვირთს კი ფირმის აქციონერები გასწევენ,რომლებიც დივიდენდის სახით ნაკლებ თანხას მიიღებენ.ნაწილობრივ ეს აისახება გაუნაწილებელ მოგებაში.

მეორე თვალსაზრისით,მოგების გადასახადი ნაწილობრივ მომხმარებლებზე გადაიტანება უფრო მაღალი ფასის მეშვეობით და რესურსების მიმწოდებლებზე,რესურსების დაბალი ფასების მეშვეობით,რომლის დაწესებას ეცდება მყიდველი ფირმა,ხარჯების ეკონომიის აუცილებლობაზე მითითებით,მოგების შემცირების შედეგად.

ქონებრივი გადასახადის ტვირთი მის მფლობელს აწვება.ეს შეეხება მიწის,პირადი საკუთრების,სახლისა ან ბინის გადასახადს.მესაკუთრისათვის სახლის გაყიდვის დროს საშიშია ფასის მომატება,ვინაიდან,ასეთ შემთხვევაში მას მეტი გადასახადის გადახდა მოუწევს.გადასახადი იჯარით აღებული ქონებისა და მეწარმის საკუთრებაზე,შესაძლებელია გადაკისრებული იქნეს მესაკუთრიდან მოიჯარეზე,უფრო მაღალი საიჯარო გადასახადის სახით, ან მომსახურების მომხმარებელზე.

სააქციზო გადასახადები,დღგ, მიეკუთვნება ფარულ ან ირიბ გადასახადებს,რამდენადაც ისინი გამყიდველებიდან მყიდველებზე გადაეკისრება უფრო მაღალი ფასის მეშვეობით.

9.საინვესტიციო პროცესის საგადასახადო მექანიზმი

საგადასახადო სისტემას შემადგენელი ელემენტის სახით უნდა გააჩნდეს ეკონომიკის განვითარებაში კაპიტალდაბანდებათა სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმი.ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა რთული ეკონომიკური ამოცანაა,რაც განსაკუთრებით ცხადი ხდება საგადასახადო რეფორმების განხორციელების პროცესში.

საგადასახადო სისტემის ფარგლებში მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ინვესტიციათა სტიმულირების შემდეგი მთავარი მექანიზმები,ხერხები და მიმართულებები:

1.გადასახადით დაბეგვრიდან მოგების ნაწილის გამოთავისუფლება,რაც კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე წარიმართება (საგადასახადო გამონაქვითია);

2.საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი;

3.დაჩქარებული ამორტიზაცია

დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში ინვესტიციების სტიმულირების მეთოდებს აკუთვნებენ ასევე სამრეწველო კომპანიათა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა სტიმულირების მექანიზმს.

საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი თავისი შინაარსით,საგადასახადო ფასდაკლებაა.ასეთი საგადასახადო ფასდაკლების თავისებურება ისაა,რომ მისი სიდიდე უშუალოდ გამოიქვითება გაანგარიშებული გადასახადის თანხიდან და არა დასაბეგრი მოგების თანხიდან.საინვესტიციო კრედიტი გათვალისწინებულია ახალი ტექნიკის დანერგვაზე და მოძველებული მოწყობილობის შეცვლაზე.

მაგალითად,აშშ-ში მოქმედებს ფასდაკლებები,რომლებიც სტიმულს აძლევენ ენერგიის ალტერნატიული სახეების და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების გამოყენებას.იაპონიაში გადასახადიდან საინვესტიციო ფასდაკლებები ეძლევათ მეცნიერული ბაზის განვითარების და ახალ ტექნოლოგიათა შექმნის მიზნებისათვის.კომპანიებს შეძენილი მოწყობილობის ღირებულების 7%-ის ფასდაკლების უფლება გააჩნიათ,რაც გამოიყენება მეცნიერული გამოკვლევებისა და დამუშავებებისათვის ბიოტექნოლოგიის, ტექნიკის,ახალ კონსტრუქციულ მასალათა სფეროში.

დაჩქარებული ამორტიზაცია მდგომარეობს საამორტიზაციო ჩამოწერის ვადის შემცირებაში,და მიზნად ისახავს ხელსაყრელ შესაძლებლობებს ძირითადი კაპიტალის მასობრივ განახლებასა და მრეწველობის მოდერნიზაციაში.დაჩქარებული ამორტიზაციის არსი ისაა,რომ ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება გადიდებული ნორმებით (მაგრამ არა ორჯერზე მეტად).ამიტომ ძირითადი ფონდების ღირებულება წარმოების ხარჯებზე გადაიტანება ნორმატივთან შედარებით უფრო შემჭიდროებულ ვადებში.

საამორტიზაციო ანარიცხების გადიდება ამცირებს გადასახადით დასაბეგრ მოგებას,აჩქარებს ძირითადი კაპიტალის ბრუნვას,ქმნის სტიმულს და უზრუნველყოფს ახალი ინვესტიციების განხორციელების სახსრებს.

საინტერესოა აღინიშნოს,რომ აშშ-ში, მაგალითად,საგადასახადო ამორტიზაციის შეღავათიანობამ ზოგიერთ კომპანიებში საგადასახადო შეღავათების გადაჭარბება გამოიწვია საგადასახადო ვალდებულებებისადმი.ერთერთი გამოსავლის სახით წამოყენებული იყო კორპორაციებისადმი საგადასახადო შეღავათების გაყიდვა,რაც ზუსტად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო რეფორმების ევოლუციის საერთო მიმართულებაა შეღავათების გაძლიერება ინვესტიციათა სტიმულირების და მეცნიერული ბაზის განვითარების საქმეში.

დასავლეთის ყველა განვითარებულ ქვეყანაში კანონმდებლურად ნებადართულია კომპანიის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა მიმდინარე ხარჯები გამოიქვითოს გადასახადით დასაბეგრი შემოსავლიდან.მაგალითად,აშშ-ში,იტალიაში,დიდ ბრიტანეთში,კანადაში,ბელგიაში,შვედეთში დაშვებულია სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯების მთელი თანხის გამოქვითვა კომპანიის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხიდან.საფრანგეთში,იაპონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დანახარჯების ამ მიმართულებით დაფინანსების დროს მნიშვნელოვანი შეღავათებია გათვალისწინებული.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია გადასახადების ფუნქციები?
2.როგორია გადასახადებით დაბეგვრის ფუნქციები?
3.როგორია გადასახადების სახეები?
4.როგორია ფიზიკურ პირთა გადასახადის შინაარსი?
5.რა არის დამატებული ღირებულების გადასახადი?
6.რა ურთიერთობებს ასახავს „ლაფერის მრუდი"?
7.როგორია საგადასახადო ტვირთის გადაკისრების მექანიზმი?
8.როგორია ინვესტიციების სტიმულირების საგადასახადო მექანიზმი?

თავი მეთექვსმეტე

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის არსი,მიზნები,კანონზომიერებები

1.გარდამავალი პერიოდის თავისებურებები

1992 წლიდან ჩვენი ქვეყანა სიღრმისეულ ცვლილებებს განიცდის.ზოგიერთ სხვა ქვეყანაში,ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს ცვლილებები რამდენადმე უფრო ადრე დაიწყო.

გარდამავალი პერიოდის არსი.მეცნიერები ამ პერიოდს გარდამავალს უწოდებენ.გარდამავალი პერიოდი ეკონომიკაში ისტორიულად დროის შედარებით მცირე მონაკვეთია,რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟი და ყალიბდება ძირითადი საბაზრო ინსტიტუტების სისტემა.დროის ამ მონაკვეთს ეკონომიკურ ლიტერატურაში პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდსაც უწოდებენ (დასავლეთში,ჩვეულებრივ,იყენებენ ტერმინს „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია").ცხადია,ეკონომიკური ტრანსფორმაცია,საზოგადოებაში სიღრმისეული,ჩვეულებრივ,პრინციპულ ცვლილებათა შემადგენელი ნაწილია,პოლიტიკური და სახელმწიფო-ადმინისტრაციული მოწყობის,სოციალურ და იდეოლოგიურ სფეროებში,საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.ამ მიმართულებით,ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია,რამდენადაც ეკონომიკური რეფორმების წარმატებები და წარუმატებლობები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ საზოგადოებრივ პოლიტიკურ სიტუაციას მთლიანად.

ისტორიულად,შედარებით მცირე პერიოდად იგულისხმება 10-15,მაქსიმუმ 20 წლის პერიოდი,რომელიც მეცნიერთა უმეტესობის მოსაზრებით აუცილებელია საბაზრო და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-დამკვიდრებისათვის.ეს მოსაზრება ძირითადად ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროგნოზებს.მას ადასტურებს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პრაქტიკა აღმოსავლეთ ევროპის შედარებით მცირე ქვეყნებში.მათ შორის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში-უნგრეთში,პოლონეთსა და ჩეხიაში-ეკონომიკური ტრანსფორმაცია ნამდვილად დასრულდება უახლოეს წლებში,ასე რომ მთელი გარდამავალი პერიოდი დაიკავებს დაახლოების 10 წე-

ლიწადს,საქართველოში,სადაც რეფორმები მნიშვნელოვნად უფრო მძიმედ მიდის,გარდამავალი პერიოდი უფრო ხანგრძლივ პერიოდს დაიკავებს,ალბათ XXI საუკუნის პირველ ათწლეულამდე მაინც.

ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის ძნელი როდია იმის გარკვევა,თუ როდის დაიწყო გარდამავალი პერიოდი.ტრანსფორმაციის დასაწყისი დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების დაკარგვასთან უწინდელი კომუნისტური პარტიების მიერ,უწინდელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირების შეწყვეტასთან ხელისუფლებაში და ახალ ნეოკომუნისტურ პოლიტიკურ ძალთა მოსვლასთან.(ახალ ძალებში ჩვენ ვგულისხმობთ ახალ ორგანიზაციებს-პარტიებს,მთავრობებს,პარლამენტებს,-თუმცა მათში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ძველი რეჟიმის მნიშვნელოვანი რაოდენობის მოღვაწეებიც).ამრიგად,ტრანსორმაციის დასაწყისია პოლიტიკური წყობილების შეცვლა.ახალი ხელისუფლების მოსვლას,ჩვეულებრივ,თან ახლავს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების დასაწყისი.

წყობილების შეცვლა შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვანაირად.მაგალითად,უნგრეთში ნეოკომუნისტური ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში 1989 წელს,მშვიდობიანი საპარლამენტო არჩევნების შედეგად.აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში (პოლონეთი,ჩეხოსლოვაკია,ბულგარეთი),პოლიტიკური წყობილების შეცვლას 1989-1990 წლებში თან ახლდა დემონსტრაციები და გაფიცვები,მაგრამ ძირითადად მაინც მშვიდობიან ხასიათს ატარებდა.მაგალითად,პოლონეთში ნეოკომუნისტურ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 1989წ.ზაფხულში სეიმში ფორმირებულ იქნა მაზოვეცკ-ბალცეროვიჩის მთავრობა,რომელმაც 1990 წელს დაიწყო ცნობილი რეფორმა-„შოკური თერაპია“.მაგრამ რუმინეთში ბრძოლა უწინდელ რეჟიმთან შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.ყოფილ სსრკ-ში ხელისუფლების შეცვლა 1992წ.მოხდა ასევე დრამატულ მოვლენათა შემდეგ,აგვისტოს პუტჩის დართგუნვის,სსრკ-ს დშლის,უმაღლესი საბჭოს თვითდათხოვნის და სსრკ-ს პრეზიდენტის მიერ ხელისუფლებაზე უარისთქმის შემდეგ.

ინსტიტუციონალური გარდაქმნები. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის უმეტესი მექანიზმების და ორგანიზაციების დემონტაჟი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს.ამ მექანიზმებისა და ორგანიზაციების უმეტესობა არსებობის უკანასკნელ წლებში ღრმა კრიზისში იმყოფება.მაგალითად,სახელმწიფო კარგავს სახალხო მეურნეობის დაგეგმის ან ფასების ცენტრალიზებულად დაწესების უნარს.ამიტომ ჩვენ ვამბობთ სოციალისტური

ეკონომიკის დემონტაჟის შესახებ,რომელიც მოდის გარდამავალი პერიოდის ყველაზე ადრინდელ ეტაპზე-ჩვეულებრივ, მის პირველ თვეებზე.

უკვე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის წიაღში,მისი რღვევის ეტაპზე,ფორმირებას იწყებენ ახალი ეკონომიკური ინსტიტუტები,რომლებიც გამოდევნიან ძველებს,ამიტომ,პოლიტიკური წყობილების შეცვლის შემდეგ ის ორგანიზაციები,რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ფუნქციებს,უბრალოდ წყვეტენ არსებობას ან იშლებიან სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით.უწინდელი სისტემის დემონტაჟის ერთერთ ძირითად და მარტივ ფორმას წარმოადგენს ღიმერალიზაცია,ე.ი.შეზღუდვებისა და აკრძალვების გაუქმება,რომლებიც სამეურნეო საქმიანობას შეეხება.ესაა,მაგალითად,ფასების ლიბერალიზაცია,რომელიც ნიშნავს საწარმოებისათვის საკუთარ პროდუქციაზე ფასების დამოუკიდებლად დანიშვნის ნებართვას,ან საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას,ე.ი.საგარეო ვაჭრობის უწინდელი სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებას.

მაგრამ ლიბერალიზაციის და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟის სხვა ფორმების სიმარტივე როდი ნიშნავს,რომ სოციალიზმის მემკვიდრეობა სწრაფად და ადვილად გადადის წარსულში.პირიქით,რეფორმების მსვლელობაში ძირითადი სიძნელე სწორედ ისაა,რომ დაძლეულ იქნეს ის ნეგატიური ნიშნები,რომლებიც ახასიათებდნენ სოციალისტურ ეკონომიკას:დაუბალანსებლობა,მონოპოლიზმი და მრავალი სხვა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ,რომ ეკონომიკურ სისტემას ქმნიან ინსტიტუტები.გარდამავალი პერიოდი-ესაა სიღრმისეულ ცვლილებათა დრო საზოგადოების ინსტიტუციონალურ სისტემაში,როდესაც ერთი ინსტიტუტები წყვეტენ არსებობას და სხვები იცვლებიან,საბაზრო ინსტიტუტებად გადაიქცევიან,ხოლო მესამენი პირველად იქმნებიან.ამიტომ გარდამავალ ეპოქაში ამბობენ ე.წ.ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის შესახებ.

რამდენედაც ლიბერალური თვალსაზრისით სიტყვა ინსტიტუტებს მიაკუთვნებენ არა მხოლოდ ეკონომიკურ წესებს,არამედ ასევე ეკონომიკურ ორგანიზაციებს,ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია ფართო გაგებით-ესაა სამეურნეო საქმიანობის არა მხოლოდ ფორმალური,არამედ არაფორმალური პირობების შეცვლაც.ამაში შედის საკუთრების ურთიერთობათა ცვლილება (პრივატიზაცია),სამეურნეო საქმიანობის ახალი სუბიექტების აღმოცენება (კომერციული ბანკების,სასაქონლო და საფონდო ბირჟების,საინვესტიციო ფონდების და ა.შ.)

და სტრუქტურულ ცვლილებათა ზოგიერთი ელემენტიც კი (მაგალითად,მცირე საწარმოთა აღმოცენება და განვითარება,როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული სექტორისა).

ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის მნიშვნელობა გარდამავალი პერიოდისათვის ისაა,რომ სამაზრო აგენტების სამაზრო ქცევა შეიძლება დაყრდნოს მხოლოდ სამაზრო ინსტიტუტებს.სხვა სიტყვებით,კერძო საკუთრების,კონკურენციის,ეკონომიკური კონტრაქტების დადების თავისუფლების და სხვა საბაზრო ინსტიტუტების გარეშე ეკონომიკური აგენტები მოიქცევიან არა როგორც საბაზრო სისტემის აგენტები,არამედ,როგორც ძველი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისა,ან საერთოდ იხელმძღვანელებენ წინააღმდეგობრივი,ბუნებით სხვადასხვაგვარი ეკონომიკური „თამაშის წესებით“.

იმასთან დაკავშირებით,რომ სწორედ „თამაშის წესები“ აძლევენ ტონს ეკონომიკური სუბიექტების ქცევას,ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია პირველადია რეფორმების სხვა მიმართულებების,მაგალითად სტრუქტურულის თვალსაზრისით).

ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის ყველა მხარე-საბაზრო კანონებიც,პრივატიზაციაც და სამეურნეო საქმიანობის ახალი სუბიექტების შექმნაც-თანაბარმნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის.და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია,რომ ინსტიტუტები ქმნიდნენ მთლიან და ერთმანეთთან დაკავშირებულ სისტემას.იზოლირებული საბაზრო ინსტიტუტები არა მხოლოდ არაეფექტიანია,არამედ ყოველთვის არ მუშაობენ კიდევაც ბაზრის კანონებით.მაგალითად,პოლონეთში,სოციალიზმის პირობებში ჭარბობდა მიწის კერძო საკუთრება,მაგრამ აგრარული ურთიერთობები ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის კანონებით ენყობოდა.

პოსტსოციალისტური ქვეყნების თავისებურებები. დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით ინსტიტუციონალური ევოლუციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით,პოსტსოციალისტური ქვეყნების ინსტიტუციონალური გარემო განსხვავდება მრავალი საბაზრო სტრუქტურის არარსებობით.საქმე ეხება არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სამეურნეო კანონების უკმარისობას,არამედ ასევე საბაზრო ორგანიზაციათა ზოგიერთი ტიპის არარსებობას და მცირერიცხოვნობას.მაგალითად,საინვესტიციო არასახელმწიფო ორგანიზაციები წარმოდგენილია ძალზე სუსტად,საინვესტიციო კომპანიათა და ფონდების მცირე რაოდენობით.მეორე მაგალითი შეიძლება იყოს მიწის ყიდვა-გაყიდვის არარსებობა,რაც მიწის,რო-

გორც გირაოს სახით გამოყენების საშუალებას არ იძლევა და სოფლის მეურნეობისადმი კრედიტების გაცემის შესაძლებლობას ავიწროებს.

მთლიანი,არაწინააღმდეგობრივი ინსტიტუციონალური სისტემის არარსებობა გარდამავალი ეკონომიკის ნეგატიური ნიშანია.იგი გახსაზღვრავს წარმოების ღრმა დაქვეითებასაც და მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეს და პოსტსაბჭოური პერიოდის სხვა კრიზისულ მოვლენებს.

ეს გარემოება არ უნდა იყოს რეფორმების მანამდე გადადების საფუძველი,სანამ არ გამოჩნდება არარსებული ინსტიტუტები. შევნიშნავთ,რომ საბაზრო ინსტიტუტების არარსებობა გარდამავალ ეკონომიკაში მოითხოვს რეფორმების ერთდროულ გატარებას მრავალი მიმართულებით,რათა ინსტიტუტების ერთობლიობა გადაქცეულ იქნეს ერთიან ინსტიტუციონალურ სისტემად.

თუკი ტრანსფორმაციის დასაწყისი შეიძლება განსაზღვრული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების მიხედვით ადვილად დათარიღდეს ტრანსფორმაციას ამდენად გამოხატული ხასიათი არ გააჩნია.ჯერჯერობით არც ერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი არ დამთავრებულა,ასე,რომ ტრანსფორმაციის დამთავრების შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ თეორიულად.

გარდამავალი პერიოდის დასაწყისში აქტუალური იყო კითხვა,სჭირდება თუ არა ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ავტორიტარული პოლიტიკური მმართველობა,რომელსაც შეუძლია დაიცვას საზოგადოება სოციალური შეფერხებებისაგან მტკივნეული და საკონფლიქტო რეფორმების დროს?ამ კითხვამ დღეს კიდევ შეინარჩუნა ცნობილი აქტუალობა იმასთან დაკავშირებით,რომ საბაზრო გარდაქმნები მძიმედ აისახება მოსახლეობის ძირითადი მასის მატერიალურ მდგომარეობაში.ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მართალია ეკონომიკურად არა,მაგრამ პოლიტიკურად ძლიერია,ავტორიტარული ხელისუფლების არსებობისას ბაზარს დათრგუნავს და არ იქნება მისი მფარველი.საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო ისეთნაირად უნდა დაემორჩილოს კანონებს,როგორც ეკონომიკური ორგანიზაციები და ინდივიდები.

გარდამავალი (პოსტსოციალისტური) ეკონომიკები უნდა განვასხვავოთ პოსტინდუსტრიული ეკონომიკისაგან.უკანასკნელს მიაკუთვნებენ ჩინეთს და ვატიკანს,სადაც ენერგიულად ვითარდება საბაზრო ურთიერთობები,ძირითადად სოფლის მეურნეობაში,ვაჭრობაში,მომსახურებასა და წვრილ ვაჭრობაში,მაგრამ შენარჩუნებულია სოციალისტური საკუთრების გაბატონებული მდგომა-

რეობა მსხვილ მრეწველობაში და ამ ქვეყნებში არ დგას დასავლური ტიპის სახელმწიფოზე გადასვლის ამოცანა,რაც დამყარებული იქნება საბაზრო ეკონომიკასა და პოლიტიკურ დემოკრატიაზე.

მეცნიერთა საერთო აღიარებით გარდამავალი პერიოდი გაივლის სამ სტადიას.პირველი სტადია ესაა-მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და ეკონომიკის ლიბერალიზაცია,მეორე სტადია-გულისხმობს გადასვლას ეკონომიკურ ზრდაზე და მესამე ეტაპი იქნება გარდამავალი ეკონომიკის დამამთავრებელი პოსტსოციალისტური რეფორმებისა,როდესაც ჩამოყალიბდება ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურა მეცნიერებატევადი წარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების გაბატონებული მდგომარეობით და აღმოცენდება თვითგანვითარებადი საბაზრო სისტემა.

2.გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციები

თითოეული ქვეყანა უნიკალური და თავისებურია.მიუხედავად ამისა,საბაზრო რეფორმების გატარების პრაქტიკაში შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფცია.ერთ-ერთ მათგანს ეწოდება „გრადუალიზმი"(თანდათანობით),ხოლო მეორეს, „შოკური თერაპია".

გრადუალიზმის კონცეფცია.როგორც სახელწოდებიდან ჩანს,ეს კონცეფცია გულისხმობს რეფორმების გატარებას ნელ-ნელა და თანმიმდევრობით,ნაბიჯ-ნაბიჯ.მაგრამ მხოლოდ ამით როდი გამოირჩევა იგი.საბაზრო გარდაქმნათა წყაროდ გრადუალიზმი სახელმწიფოს მიიჩნევს.ამ კონცეფციის თანახმად,ხელმძღვანელობს რა რეფორმების ხანგრძლივვადიანი სტრატეგიული პროგრამით,სწორედ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს თანდათანობით ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის ელემენტები საბაზრო ურთიერთობებით.დაბოლოს,გრადუალური მიდგომის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია რეფორმების ეკონომიკური და სოციალური შედეგების შერბილება,ცხოვრების დონის მკვეთრი შემცირების თავიდან აცილება.

გრადუალისტური პოლიტიკის კლასიკური მაგალითია-უნგრეთი.აქ საბაზრო გარდაქმნები დაიწყო ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს,თუმცა მაშინ ისინი არ გულისხმობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების შეცვლას.20 წლის მანძილზე,80-იანი წლების ბოლომდე, უნგრეთის ხელმძღვანელობამ თანდათანობით გააფართოვა თავისუფალი ფასწარმოქმნის და კერძო მეწარმეობის

სფერო.საქმიანობის კომერციული პირობები ნაბიჯ-ნაბიჯ ინერგებოდა სახელმწიფო სექტორში.საბაზრო რეფორმების პოტენციალის დაგროვებამ უნგრეთის ახალ ხელმძღვანელობას პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე საშუალება მისცა დაეჩქარებინა გარდაქმნები,ფასიანი პრივატიზაციის და ძლიერი საბანკო სექტორის შექმნის მეშვეობით.

უნგრული გამოცდილება არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს.ნელმა რეფორმებმა უძრაობის ხანგრძლივი პერიოდი განაპირობეს უნგრეთის ეკონომიკაში.მაგალითად,ეკონომიკური ზრდა იქ შეწყდა 1986 წელს და განახლდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ.უნგრეთის მთავრობა დიდ სოციალურ ხარჯებს ეწევა.ამიტომ გამოჩენილმა უნგრელმა მეცნიერმა იანოშ კორნაიმ უნგრეთს „ნაადრევად შობილი საყოველთაო სახელმწიფო უწოდა“.

გრადუალური მიდგომის მეორე მაგალითია-ჩინეთი.თუმცა ეს ქვეყანა არ მიეკუთვნება არც პოსტსოციალისტურის და არც პოსტტოტალიტარულის ტიპს,მაგრამ ჩინური რეფორმის გამოცდილება იმდენად წარმატებულია,რომ სანიმუშოა ბევრი ქვეყნისათვის.

მართლაც,80-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთი განვითარების მაღალ ტემპებს ინარჩუნებს და იმავდროულად ეკონომიკურ რეფორმებსაც ატარებს.ეკონომიკის სწრაფ ზრდას-10%-მდე წელიწადში.ჩინეთი შევიდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ათეულში და ახლო მომავალში დაეწევა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს.ჩინური რეფორმების პრინციპი შეიძლება დახასიათდეს სიტყვით „პრაგმატიზმი“.

საბაზრო გახდა სოფლის მეურნეობაც,სადაც მაო-ძედუნის წლებში შენარჩუნებული იყო კერძო მიწათმფლობელობა და წვრილი და საშუალო მრეწველობა.პოლიტიკური სტაბილურობა,მეტისმეტად იაფ სამუშაო ძალასთან ერთად,ჩინეთში იზიდავს უცხოურ კაპიტალს,რომელიც რეფორმების წლებში 50 მლრდ დოლარზე მეტია აქ დაბანდებული.

იმავდროულად,მძიმე მრეწველობა,რომლის საბაზრო რელსებზე გადაყვანა გაცილებით ძნელია,ისევ სახელმწიფოს ხელში რჩება.ჩინელი სპეციალისტები აღიარებენ,რომ მძიმე მრეწველობის ზარალიანი და უძრავი საწარმოები კონკურენტუნარიანი ვერ გახდებიან ახლო მომავალში და ისინი უნდა დაიხუროს.

ჩინური გამოცდილება უდაოდ იმსახურებს ყურადღებას.მისი ღირსება ისაა,რომ აქ შესაძლებელი გახდა რეფორმების შეხამება ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან.

გარდაქმნების წარმატებები ჩინეთში მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია წვრილ მეწარმეთა უზარმაზარი ფენის არსებობასთან და ქალაქად და სოფლად.ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნამ 80-იანი წლების დასაწყისში შესაძლებელი გახადა უმოკლეს ვადაში გამოცოცხლებულიყო ვაჭრობა,სოფლის მეურნეობა და წვრილი მეწარმეობა.დიდი როლი ითამაშა უცხოური კაპიტალის მოზიდვამ და სახელმწიფო საწარმოთა კომერციალიზაციამ.

ეს გარემოებები,მრავალ სხვასთან ერთად ჩინურ გამოცდილებას უნიკალურს და ძნელადაღწარმოებადს ხდიან ნებისმიერ ქვეყანაში.

„შოკური თერაპია“.ეს კონცეფცია ეყრდნობა მონეტარიზმის ცნებას,ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ვარიანტს.ეს უკანასკნელი იქიდან გამოდის,რომ ბაზარი-ეკონომიკური საქმიანოყის ყველაზე უფრო ეფექტიანი ფორმაა.ბაზარს თვითორგანიზების უნარი გააჩნია.ამიტომ მონეტარისტები ამტკიცებენ,რომ გარდამავალი პერიოდის გარდაქმნები უნდა მოხდეს სახელმწიფოს მინიმალური მონაწილეობით.სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა სტაბილური ფინანსური სისტემის შენარჩუნება,ვინაიდან მის გარეშე ბაზარი ვერ იარსებებს.ამიტომ ინფლაციასთან ბრძოლა-მონეტარისტული დოქტრინის ღერძია.

ანტიინფლაციური პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად მონეტარისტები ფასების ლიბერალიზაციას და სახელმწიფო ხარჯების მკვეთრ შემცირებას მიიჩნევენ.ეკონომიკისთვის სწორედ ამ მტკივნეულ აქტს უწოდებენ „შოკურ თერაპიას“.ამ დოქტრინის მომხრეები ამტკიცებენ,რომ იგი აღადგენს სწრაფ წონასწორობას ფინანსურ სისტემაში,ფულადი ერთეულის განმტკიცებას,კერძო კაპიტალის ფორმირებას და ამ საფუძველზე-ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლას.

„შოკური თერაპიის დოქტრინა პირველად შემუშავებულ იქნა ჯეფრი საქსის მიერ პრაქტიკული გამოყენებისათვის და წარმატებით გამოიცადა 80-იანი წლების შუახანებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში,რომლებიც მწვავე ინფლაციას და ეკონომიკის რღვევას განიცდიდნენ“.

ყველაზე უფრო თანმიმდევრული სახით „შოკური თერაპიის“ დოქტრინა რეალიზებულ იქნა პოლონეთში 1990-1991 წლებში,პირველი ნეოკომუნისტური მთავრობის,პრემიერ-მინისტრ ბალცეროვიჩის მიერ.ამ კურსის ძირითადი ელემენტი იყო ფასების და სავალუტო კურსის ლიბერალიზაცია,ხელფასის გაყინვა,საბანკო სარგებლის გადიდება,სახელმწიფო ხარჯების შემცირება მრეწ-

ველობის დაფინანსებით,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია.ბალცეროვიჩის მთავრობამ გადაჭრა მთავარი ამოცანა-ინფლაციის დათრგუნვა.თუკი 1990 წელს ფასები გაიზარდა 250%-ით,1991წ.მხოლოდ 60%-მთ,ხოლო შემდგომ წლებში 20-30%-ით.

გარდამავალი ეკონომიკის მოკლე ისტორია გვიჩვენებს,რომ თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყანა ამა თუ იმ ზომით „შოკური თერაპიის“ დოქტრინით სელმძღვანელობდა.ზოგიერთ ქვეყანაში,მაგალითად,პოლონეთში,ჩეხეთში და ესტონეთში ეს გამოცდილება საკმაოდ წარმატებული იყო.

სამწუხაროდ,ჩვენმა ქვეყანამ ვერც ერთი დოქტრინა ვერ მიიღო სრულად,რის შედეგადაც ასეთი უმძიმესია გარდამავალი პერიოდი საქართველოსათვის.

არჩევანი,რომელსაც გარდამავალი ეკონომიკის მრავალი ქვეყანა აკეთებს „შოკური თერაპიის“ სასარგებლოდ,განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით.ცხადია,წარმოებისა და მოსახლეობისთვისაც უმჯობესია რეფორმების გატარება მოფიქრებული გრადუირებული სტრატეგიით,წარმოებისა და ცხოვრების დინამიკის ზიანის გარეშე.მაგრამ გარდამავალი პერიოდის საწყის სტადიაზე,ჩვეულებრივ,არ არსებობს ასეთი სტრატეგიის რეალიზების პირობები.საბჭოთა ტიპის სახელმწიფოებრიობიდან, სახელმწიფოს ახალ დემოკრატიულ მოწყობაზე ნარნარი გადასვლა უზრუნველყო მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ,რომელმაც ჩინეთის მსგავსად ხელი არ აბლო სახელმწიფო ინსტიტუტებს,შეძლო „შოკური თერაპიის თავიდან აცილება.“

გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებები. გარდამავალ პერიოდში მომხდარ მრავალრიცხოვან ცვლილებებს შორის ზოგიერთები ატარებენ აუცილებელ,გარდაუვალ ხასიათს და ამიტომ განიხილება,როგორც კანონზომიერებანი.ისინი ხუთია:

- სახელმწიფოს როლის შეცვლა,
- მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია,
- პრივატიზაცია,
- ტრანსფორმაციული დაქვეითება,
- მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირება.

გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებაა-სახელმწიფოს როლის შეცვლა.ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დროს სახელმწიფო იყო საზოგადოების მთელი მატერიალური სიმდიდრის ერთადერთი მესაკუთრე და საზოგადოების მთელი მატერიალური სიმდიდრის ყოვლისშემძლე განმკარგულებელი.ეკონომიკური საქ-

მიანობა ახლა ხორციელდება არა მხოლოდ სახელმწიფოს,არამედ სხვა მესაკუთრე სუბიექტების-მოქალაქეთა და იურიდიული პირების მიერ,რომლებიც მოგების მიღების სურვილით ხელმძღვანელობენ და ბაზრის საფუძველზე მოქმედებენ.

ამრიგად,სახელმწიფოს ახალი ადგილი უკავია სამეურნეო სისტემაში.ცხადია,იგი ინარჩუნებს ეკონომიკური პროცესების და სხვა ნორმატიული აქტების გამოცემისა და მათი დაცვისადმი კონტროლის ფუნქციებს.მაგრამ ახლა მას ემატება მაკროეკონომიკური რეგულირების ფუნქცია,ფულადი,საგადასახადო,ბიუჯეტური და სავალუტო პოლიტიკის მეშვეობით.

მეორე კანონზომიერებაა-მაკროეკონომიკური (ფინანსური) სტაბილიზაცია.გაძლიერებული ინფლაციის პირობებში მკაცრი ფულადი ერთეულის გარეშე ეკონომიკა განწირულია ღრმა კრიზისისათვის.ასეთ შემთხვევაში არ მუშაობს საბაზრო ინსტიტუტები.მაგალითად,მეწარმეები უარს ამბობენ სახსრების დაბანდებაზე წარმოებაში,იმიტომ, რომ არ შეიძლება მოგების მიღების იმედი ჰქონდეთ ფასების სწრაფი ზრდის,ქაოსისა და განუსაზღვრელობის პირობებში ფულად-საფინანსო სფეროში.

გარდამავალი პერიოდის მესამე კანონზომიერებაა-პრივატიზაცია.შესაძლებელია თუ არა ბაზარი კერძო საკუთრების გარეშე?ბევრი მეცნიერი მტკიცე პასუხს იძლევა.კერძო საკუთრების გარეშე ბაზარი მაინც შეუძლებელია.ცხადია,უკანასკნელ ათწლეულებში დიდი გავრცელება ჰპოვა შერეული კაპიტალის მქონე კომპანიებმა.მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა საფუძველია სწორედ კერძო საკუთრება. თავისი ბუნებით ბაზარი ხომ გადაწყვეტილებათა დეცენტრალიზებულ მიღებას საჭიროებს.

გარდამავალი პერიოდის მეოთხე კანონზომიერება-ტრანსფორმაციული დაქვეითებაა.მოცემული ტერმინი ი.კორნაიმ შემოიტანა,რომელიც ამტკიცებს,რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზროზე გადასვლისას ეკონომიკა ღრმა კრიზისს განიცდის,რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური სისტემის გარდამავალი,ტრანსფორმაციული მდგომარეობით.იგი იმაში გამოიხატება,რომ სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის უწინდელი,გეგმური მეთოდები უკვე დანგრეული,ხოლო ახალი,საბაზრო მექანიზმები ჯერ კიდევ სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.ტრანსფორმაციული დაქვეითების მიზეზი-ერთიანი,არაწინააღმდეგობრივი და შეთანხმებული (კოჰერენტული) ინსტიტუციონალური სისტემის არარსებობაა გარდამავალ პერიოდში.

ტრანსფორმაციული დაქვეითების საშიშროება არა მხოლოდ მის სიღრმეშია,არამედ იმაშიც,რომ არაკონკურენტუნარიან,არა-

ეფექტიან და მოძველებულ წარმოებებთან ერთად იკვეცება თანამედროვე წარმოებაც,განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა.

დაბოლოს,პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის მეხუთე კანონზომიერებაა-მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირება.საბჭოთა ეკონომიკის ხელოვნური იზოლაცია მსოფლიო ბაზრისაგან,ჩვენი მრეწველობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.სამამულო საწარმოებს არ შეეძლოთ შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებით სარგებლობა.ეკონომიკის დახურულობას თან ახლდა ავტარკია,ე.ი.თვითმარი ეკონომიკური სისტემის ფორმირება.

მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების მნიშვნელობა თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება მეცნიერების გამალებული ინტერნაციონალიზაციით და ინფორმაციის და ცოდნის, როგორც ეკონომიკური განვითარების წყაროს როლის გადიდებით.

3.პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის მიზნები

თუკი საკითხი იმის შესახებ,რომელი სისტემიდან გადავდივართ საკმაოდ ნათელია,ძალზე სადისკუსიოა საკითხი იმის შესახებ თუ რით უნდა დამთავრდეს გარდამავალი პერიოდი.

გარდამავალი პერიოდის მიზნები.გარდამავალი პერიოდის დასაწყისში ბევრი ვარაუდობდა,რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბდებოდა ლიბერალური ტიპის ეკონომიკა,რომელიც ჰგავს,მაგალითად აშშ-ს ეკონომიკურ სისტემას.მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა,რომ ტრანსფორმაციის საბოლოო მიზნის საკითხი გაცილებით რთულია.საქართველოს ისტორიული გამოცდილება არ შეიძლება უგულებელვყოთ.იგი არ შეიძლება ჰგავდეს არც აშშ-ს და არც გერმანიას ან რომელიმე სხვა ქვეყანას.წარმოადგენს რა თვითმყოფადს,მან ყოველივე საუკეთესო უნდა აიღოს მსოფლიო გამოცდილებიდან.

ერთი კი ცხადია:საქართველო უნდა განვითარდეს საბაზრო და დემოკრატიული სახელმწიფოს გზით.ბაზარი ღრმად არის დაკავშირებული დემოკრატიასთან.ეს განპირობებულია ჯერ-ერთი,იმით,რომ კერძო მესაკუთრე სახელმწიფოში უნდა ხედავდეს არა მოწინააღმდეგეს,არამედ მოკავშირეს და მფარველს.მეორე მხრივ,დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთ პირობებს,რომლის დროსაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიიღება უმრავლესობის ინტერესებისათვის და ხელს უწყობს ეკონომიკური

საქმიანობის იმ მიმართულებებს და სფეროებს,რომლებიც ყველაზე პერსპექტიულია დროის ყოველ მომენტში.

გარდამავალი პერიოდის საბოლოო მიზანი უნდა იყოს შერეული ეკონომიკურ-რეგულირებადი ეკონომიკა,რომელიც უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი ნიშნებით:

—ბაზრისა და სახელმწიფოს ორგანული ერთიანობით და ურთიერთქმედებით,რომლის დროსაც რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმები ეხამება სახელმწიფოს მიერ კონკურენციის საიმედო დაცვას და „თამაშის სხვა წესებს,სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას „საზოგადოებრივ საქონელთა“ წარმოებაში და სოციალური სფეროს განვითარებაში;“

—ბაზრის განვითარებული ინსტიტუტების არსებობით,რომელიც ქმნის ერთიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას და შეუძლია სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა წარმოების ფაქტორთა მობილურობისა და მათი ეფექტიანი გამოყენების შედეგად;

—ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობით,რომელიც სამუშაო ძალის ხარისხისადმი,შრომითი და მენარმეობითი საქმიანობის მოტივაციისადმი,წარმოებაში ურთიერთობათა ჰუმანიზაციის,ჯანდაცვის მდგომარეობის,კულტურის გარემოს ხარისხისადმი თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება;

—სოციალური პარტნიორობით,რომელიც ემყარება სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განვითარებულ ინსტიტუტებს.

შეგვიძლია თუ არა წარმოვიდგინოთ საქართველოსათვის მომავალში მისაღები მოდელი?

ასეთი,ალბათ, შეიძლება იყოს სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი,რომელმაც უკანასკნელ პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპაში და ზოგერთ სხვა ქვეყანაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.კლასიკური სახით იგი ცხოვრებაში, გერმანიაში განხორციელდა.პოსტსოციალისტურ სამყაროში ეს მოდელი ყველაზე სრულად წარმოდგენილია უნგრეთში.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი ნიშნავს ეკონომიკურ სისტემას,რომელიც ფუნქციონირებს საბაზრო კანონებით სახელმწიფოს აქტიური ჩარევით,ბალანსის შენარჩუნებით საბაზრო ეფექტიანობას და სოციალური სამართლიანობას შორის.საჭიროა მკაფიოდ ავხსნათ,რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა სოციალ-დემოკრატიული არაა და არც სოციალისტური მოდელი.ეს უწინარეს ყოვლისა,საბაზრო ეკონომიკაა,მაგრამ სახელმწიფო მასში ეკონომიკური პროცესის აქტიური მონაწილეა.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის თანახმად სახელმწიფო არ ადგენს ეკონომიკურ მიზნებს,მაგრამ ქმნის საიმედო საჩარჩო პირობებს ეკონომიკური ინიციატივისათვის.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა-ბალანსის უზრუნველყოფა საბაზრო ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის.როგორ უნდა მოვძებნოთ ეს ბალანსი?ეკონომიკურმა თეორიამ დღემდე ვერ შეძლო ობიექტური კრიტერიუმების დადგენა იმ საზღვრების დასადგენად უთანაბრობასა და გათანაბრებას შორის,რომლის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელს გააჩნია შემდეგი განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობა:

1.ინდივიდუალური თავისუფლება.იგი აუცილებელია გადაწყვეტილებათა დეცენტრალიზებული მიღებისა და საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირებისათვის.

2.სოციალური სამართლიანობა.სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანებისადმი,რომლებიც ჩართული არიან ეკონომიკურ პროცესში და თავიდან აიცილოს მეტისმეტი უთანაბრობა შემოსავლებში,ცხოვრების დონის სხვა მატერიალურ და სოციალურ მაჩვენებლებში.

3.ანტიციკლური პოლიტიკა.კონკრეტული და სოციალური პოლიტიკა ქმედითია მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის პირობებში.

4.ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა-წარმოებრივ ურთიერთობათა მოდერნიზებისა და ტექნიკური ინოვაციების გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძვლებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა.

5.სტრუქტურული პოლიტიკა-ბუნებრივი,ტექნიკური და სხვა მიზეზების მიზანმიმართული დაძლევა,რომელიც ეკონომიკის სტრუქტურულ ადაპტაციას უშლიან ხელს საშინაო და საგარეო ბაზრების მოთხოვნებისადმი.

6.კონკურენციის მსარდაჭერის პრინციპი.ეს ნიშნავს,რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა არ უნდა იქნეს მიღწეული ეკონომიკური საქმიანობის კონკურენტული საწყისების დათრგუნვის ან არსებითი შეზღუდვის ხარჯზე.

7.სოციალური პარტნიორობა.ქირავნობის და შრომის ანაზღაურების მიმდინარე საკითხები წყდება ორმხრივი წესით, დამქირავებლებსა და მომუშავეებს შორის, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს შუამავლობით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დღევანდელ პირობებში და იგი საბაზრო პროცესებში სახელმწიფოს ოპტიმალური ჩარევის უზრუნველყო-

ფას განაპირობებს.ჩვენი ქვეყნისათვის სოციალური ორიენტაცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და იგი ხელს შეუწყობს მოსახლეობის უქონელი ფენის გარკვეულ დონეზე მატერიალურ უზრუნველყოფას.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რაში მდგომარეობს გარდამავალი პერიოდის არსი?

2.ეკონომიკის ლიბერალიზაცია რატომ არის არასაკმარისი საბაზრო ინსტიტუტების ფორმირებისათვის.

3.რაში მდგომარეობს ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია და როგორ ხდება იგი?

4.ტრანსფორმაციის ადრინდელ ეტაპზე რატომ არის აუცილებელი მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია?

5.როგორია თქვენი დამოკიდებულება „შოკური თერაპიის“ და გრადუალიზმისადმი?

6.როგორია გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებები?

7.დარწმუნებული ხართ,რომ ტრანსფორმაციის შედეგად საქართველოში აღმოცენდება სოციალური საბაზრო ეკონომიკა?

თავი მეჩვიდმეტე

სამეურნეო რისკი:სახეები და შეფასების მაჩვენებლები

1.სამეურნეო რისკის ცნება

მეწარმეობის ნებისმიერი სახეობის განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან,რომელსაც **სამეურნეო** ანუ **მეწარმეობით რისკს** უწოდებენ.დიდი მნიშვნელობა აქვს რისკის წყაროებს,ასევე, რისკის მიზეზებისა და გამოვლენის ფორმების ახსნას,რათა განვსაზღვროთ,ჩამოვაყალიბოთ რისკის შეფასების მეთოდები,ხერხები და მისი თავიდან აცილების ან თუნდაც შემცირების გზები.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება-დამკვიდრების პროცესში მეწარმეობითი საქმიანობის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სიტუაციის ინფორმაციული განუსაზღვრელობისა და არასტაბილურობის,ეკონომიკური გარემოს ცვალებადობის პირობებში.მაშასადამე,წარმოიშობა მოსალოდნელი, საანგარიშო საბოლოო შედეგის მიღების ბუნდოვანება და რწმენის უქონლობა,და მაშასადამე,იზრდება რისკი.ე.ი.წარუმატებლობის,გაუთვალისწინებელი დანაკარგების საფრთხე.რისკი დამახასიათებელია მეწარმეობის საწყისი სტადიისათვის,როდესაც გამოცდილება ჯერ კიდევ უმნიშვნელოა,არასაკმარისია მეწარმეობითი ოპერაციების ჩატარების პრაქტიკა.მაგრამ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ბიზნესმენ-პროფესიონალებს რისკის გაწევა უხდებათ.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ყველა მიეჩვია იმას,რომ ეკონომიკური გარემო ყალიბდება „ზემოდან“,წესებისა და ნორმების ანაკრების სახით.გეგმები,პროგრამები,დადგენილებები,ინსტრუქციები,სახელმწიფო ფასები,ფონდები,ლიმიტები,განწესები,ტარიფები-ყველაფერი ეს აყალიბებდა იმ ეკონომიკურ სისტემას და სამეურნეო გარემოს,რომელშიც იძულებით მოქმედებდნენ საწარმოები დაადამიანები.

ცხადია,ცენტრალურ მიზანდასახულობათა და ბრძანებების სისტემა ხელ-ფეხს უკრავს,თრგუნავს ინტერესებს და შემოქმედებით საწყისებს.ალტერნატივათა არარსებობისას,არჩევანის შესაძლებლობები იქ სადაც შეიძლება მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების

მიღება,რისკი ან საერთოდ არ არსებობს,ან მინიმალურია.მაგრამ რისკი მრავალჯერ წარმოიშობა არასტაბილურობის,გარემოს ცვალებადობის შემთხვევაში,რომელშიც სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება.

ბაზარი-უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური თავისუფლებაა,ხოლო ეკონომიკური თავისუფლებისათვის საჭიროა გადახდა.

მაშასადამე,ადამიანთა სურვილისაგან დამოუკიდებლად,მეწარმეობის ათვისებისას აუცილებლად საქმე გვექნება განუსაზღვრელობასთან,რომლის გათვლა წინასწარ შეუძლებელია და მომატებულ რისკთან.გონიერი,სერიოზული მენარმის,ახალი ტიპის მეურნის ამოცანაა ეძებოს საქმე წინასწარგანჭვრეტადი შედეგით,არასარისკო საქმე.ასეთი მიდგომის დროს საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება უსაქმოდ დარჩე.საჭიროა არა გარდაუვალი რისკის თავიდან აცილება,არამედ რისკის გრძნობა,მისი ხარისხის შეფასება და დასაშვები ზღვარის დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს **მეწარმის ქცევის მნიშვნელოვანი წესი:არა რისკის თავიდან აცილება,არამედ მისი განჭვრეტა-შესაძლოზე უფრო დაბალ დონეზე მისი შემცირების მცდელობით.**

ეკონომიკური თეორიისა და მეურნეობრიობის პრაქტიკაში სამწუხაროდ შემუშავებული არაა სამეურნეო რისკის შესახებ საზოგადოდ აღიარებული თეორიული დებულებები.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დაგროვილია სარისკო მეწარმეობის გამოცდილება,რომელსაც თან ახლავს აყვავებისა და კრახის,აღმავლობისა და გაკოტრების თვალნათლივი მაგალითები უნარიანი და მოუხერხებელი ქცევისაგან და ნაწილობრივ იღბლიანობისაგან დამოკიდებულებით რისკის რეალურ გარემოში.საბაზრო გარემოში თვით ცხოვრება,პროდუქციის წარმოების,განაწილების,გაცვლის და მოხმარების პროცესები გვასწავლის ქცევის წესებს განუსაზღვრელობისას და რისკის არსებობისას.

შევნიშნავთ,რომ არსებობს მეწარმეობითი საქმიანობის ცალკეული სახეობები,რომელშიც რისკი განჭვრეტას,წინასწარ შეფასებას ექვემდებარება და რისკის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები დამუშავებულია თეორიულად და პრაქტიკულად.ეს,უწინარეს ყოვლისა,არის ქონების,ჯანმრთელობის და სიცოცხლის და ასევე ლატარიისა და სათამაშო ბიზნესის დაზღვევა.ასეთი გაანგარიშებების დროს იყენებენ სერიოზულ მათემატიკურ აპარატს,რომელიც შემოწმებულია ათეული წლების მანძილზე.

ასევე შევნიშნავთ,რომ სადაზღვევო რისკი უმეტესწილად ეხება ობიექტს და იგი პირდაპირ დამოკიდებულებაში არაა საქმიანობის სახეობისაგან.სახლის,ავტომანქანის დაზღვევა,ჩვეულებრივ, არ ითვალისწინებს დასაზღვევი ობიექტის გამოყენების წესებს.მეწარმეობითი რისკის შეფასებისას კი ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს არა მთელი ობიექტის ბედი,არამედ საფრთხის სიდიდე და პოტენციური ზარალის ხარისხი.

მაგალითად,ხანძრისაგან საწარმოს ან სახლის დაზღვევით,სადაზღვევო სააგენტო აანალიზებს მხოლოდ ობიექტის დაწვის საფრთხეს,და ამის შედეგად ქონებრივი ზარალის სიდიდეს,რომლის კომპენსირება იქნება აუცილებელი.შესაბამისად დგინდება სადაზღვევო გადასახადები,სადაზღვევო პრემიის სიდიდე.

რისკი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია კონკრეტულ **სარისკო სიტუაციასთან.**ამიტომ იგი აღმოცენდება მაშინ,როდესაც გადაწყვეტილება შემუშავდება განუსაზღვრელობის პირობებში,არჩევანი კეთდება რამდენიმე ძნელადშესადარებელი ვარიანტებისაგან.ასეთ სიტუაციებში საჭიროა,თუნდაც ინტუიტიურად,წინასწარგანსაზღვრული შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

მეწარმეობით რისკში უნდა ვიგულისხმოთ რისკი,რომელიც წარმოიშობა საქმიანობის ნებისმიერ სახეებში,რაც დაკავშირებულია საქონელთა და მომსახურების წარმოებასთან,მათ რეალიზაციასთან,სასაქონლო-ფულად და ფინანსურ ოპერაციებთან,კომერციასთან,სოციალურ-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროექტებთან.მოცემული განმარტებიდან გამომდინარე,იმავდროულად უნდა წარმოვიდგინოთ,რომ სამეურნეო რისკი-ესაა მოვლენა,საქმიანობის ნიშანი და თვისება და არამხოლოდ ცნება.

მეწარმეობრივი რისკი ხასიათდება როგორც რესურსების პოტენციურად შესაძლო დაკარგვის ანუ შემოსავლების მიუღებლობის საფრთხის მდგომარეობა,რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე გამიზნულ ვარიანტთან შედარებით.და გარდა ამისა,რისკი-ესაა მიზნებიდან,შედეგიდან გადახრის ალბათობის შესაძლებლობა,რომლის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ბიზნეს-გეგმა.

სხვანაირად რომ ვთქვათ,რისკი იმის საფრთხეა,რომ მეწარმე იზარალებს დამატებითი ხარჯების სახით,მისი მოქმედების პროგრამით,პროგნოზით გათვალისწინებულზე ზევით ან მიიღებს მის მიერ ნავარაუდევზე ნაკლებ შემოსავლებს.ამრიგად,სავარაუდო შემოსავლის სიდიდის შემცირება,ე.წ.გაშვებული სარგებლიანობა ასევე შედის რისკის კატეგორიაში.

აბსოლუტურ გამოხატულებაში რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს დანაკარგების შესაძლო სიდიდით მატერიალურ-ნივთობრივ (ფიზიკურ) ან ღირებულებით (ფულად) გამოხატულებაში,თუკი ასეთი ზარალი გაზომვას ექვემდებარება მოცემული ფორმით.

შეფარდებით გამოხატულებაში რისკი განისაზღვრება როგორც შესაძლო დანაკარგთა სიდიდე შეფარდებული რაღაც ბაზასთან,რომელსაც,ჩვეულებრივ,ყველაზე უფრო აკუთვნებენ:ა) მეწარმის ქონებრივ მდგომარეობას;ბ) რესურსების საერთო დანახარჯებს მეწარმეობითი საქმიანობის მოცემულ სახეობაზე ან გ) მოსალოდნელ შემოსავალს (მოგებას). შემდგომში,შედარებისათვის გამოყენებულ საბაზო მაჩვენებლებს მოგების,დანახარჯების, ამონაგების **საანგარიშო ანუ მოსალოდნელ მაჩვენებლებს ვუწოდებთ.**

საკუთრივ დანაკარგებად ჩავთლით მოგების,შემოსავლის შემცირებას მოსალოდნელ სიდიდეებთან შედარებით.**მეწარმეობითი დანაკარგები**-ესაა, პირველ რიგში ,მეწარმეობითი მოგების შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი შემცირება.

2.დანაკარგების სახეები და მიზეზები მეწარმეობაში

გაუთვალისწინებელი ვარიანტით განპირობებულ ამა თუ იმ დანაკარგთა განჭვრეტისათვის,უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ მეწარმეობასთან დაკავშირებულ დანაკარგთა სახეები და შეგვეძლოს მათი გაანგარიშება ან გაზომვა,როგორც საპროგნოზო სიდიდეებისა.

შემთხვევითი მოვლენები ორმაგ ზეგავლენას ახდენენ მეწარმეობის შედეგებზე,ხელსაყრელი და არახელსაყრელი შედეგები გააჩნია და რისკის დროს თანაბრად უნდა გავითვალისწინოთ ერთიც და მეორეც.სხვა სიტყვებით,ჯამური შესაძლო დანაკარგების განსაზღვრისას, შესაძლო საანგარიშო დანაკარგებს უნდა გამოვაკლოთ სავარაუდო მოგება.

მაგალითის სახით განვიხილოთ რისკის შეფასების სიტუაცია ექსპლუატაციაში ახალი საწარმოო ობიექტის შეყვანისას,მათი საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი მაჩვენებლები:

- ბაზარზე ამ ობიექტის პროდუქციაზე მოთხოვნა
- ბაზარზე ანალოგიურ საქონელთა მიწოდება;
- მომავალ საქონელთა რეალიზაციის საპროგნოზო ფასები;
- საკუთარი პროდუქციის დანახარჯების გაანგარიშება კონკურენტების პროდუქციასთან შედარებით;

● როგორ ვარაუდობენ საწარმოს პროდუქციის რეალიზებას და რა საბაჟო ბარიერები იდგომება გასაღების დაგეგმილ ბაზარზე.

დანაკარგები მიზანშეწონილია დაყოფილ იქნეს მატერიალურ,ფინანსურ,დროის დანაკარგებად და ასევე გამოყოფილ იქნეს დანაკარგების სპეციალური სახეები.

მატერიალური დანაკარგები ვლინდება მოწყობილობის,ქონების,პროდუქციის,ნედლეულის,ენერგიის და სხვა რესურსების პირდაპირი დანაკარგების ან მეწარმეობითი პროექტით გაუთვალისწინებელ დანახარჯთა გაწევის შემთხვევაში.დანახარჯთა თითოეული სახეობის მიმართ გამოიყენება საკუთარი საზომი ერთეულები.ბუნებრივია მატერიალურ დანაკარგთა იმ ერთეულებში გაზომვა,რომელშიც იზომება რესურსის მოცემული სახეობის რაოდენობა.

შრომითი დანაკარგები სამუშაო დროის დანაკარგებია,გამოწვეული შემთხვევითი,გაუთვალისწინებელი გარემოებებით.იგი იზომება კაც-საათებში,კაცდღეებში ან უბრალოდ სამუშაო დროის საათებში.შრომითი დანაკარგების ფულად გამოხატულებაში გადაყვანა ხორციელდება შრომასაათების გამრავლებით ერთი საათის ღირებულებაზე.

ფინანსური დანაკარგები-პირდაპირი ფულადი ზარალია,რაც დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ გადასახდელებთან,ჯარიმის,დამატებითი გადასახადების გადახდასთან,ფულადი სახსრების ან ფასიანი ქაღალდების დაკარგვასთან.**ფულადი ზარალის განსაკუთრებული სახეობები** შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფლაციასთან,ლარის სავალუტო კურსის ცვლილებასთან და სხვა.

დროის დანაკარგები იმ შემთხვევაში არსებობს,როდესაც მეწარმეობითი საქმიანობის პროცესი დასახულზე უფრო ნელა მიმდინარეობს.ასეთ დანაკარგთა პირდაპირი შეფასება ხორციელდება დასახული შედეგის მიღების დაგვიანების საათებში,დღეებში.

დანაკარგების სპეციალური სახეები ვლინდება ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისადმი,საცხოვრებელი გარემოსადმი,მეწარმის პრესტიჟისადმი ზიანის (ზარალის) მიყენებით,და ასევე სხვა არახელსაყრელ სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური შედეგებით.

ერთობ სპეციფიკურია მეთოდოლოგიის არასრულყოფილებით და პიროვნებათა არაკომპეტენტურობით გამოწვეული რისკები,რომლებიც აყალიბებენ ბიზნეს-გეგმას და ახორციელებენ მოგებისა და შემოსავლის გაანგარიშებას.თუკი ამ ფაქტორთა

მოქმედების შედეგად მოგებისა და შემოსავლის მოსალოდნელი მნიშვნელობები მეწარმეობითი პროექტისაგან გაბერილი იქნება,ხოლო მიღებული შედეგები დაბალი,განსხვავება თავისთავად დანაკარგებად აღიქმება.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეწარმის დანაკარგებს,რაც განპირობებულია კომპანიონების **არაკეთილსინდისიერებით და** მათი **ვალაუვალობით.**

მეწარმეობის ყოველი საქმიანობისათვის დამახასიათებელია შესაძლო დანაკარგების საკუთარი ანაკრები.მაგალითად,საბანკო რისკები იყოფა,სარგებლის,**სავალუტო და საკრედიტო რისკებად**.სამუშაო დროის დანაკარგების რისკი ჩვეულებრივ განმსაზღვრელი არ არის ბიზნესის საბანკო სახეობაში.

რისკის ზომა,დანაკარგების აღმოცენების ალბათობა პირდაპირ კავშირშია მეწარმეობითი იდეის შესრულების პირობების დინამიკასთან.ამიტომ გამოყოფენ სწორედ **საანგარიშო და მიმდინარე რისკებს**.საანგარიშო რისკი შეიძლება შეფასდეს უკვე ბიზნეს-პროექტის მომზადების სტადიაზე,მეწარმეობითი ჩანაფიქრის დასაბუთებისას.მიმდინარე რისკი ფასდება მუშაობის მსვლელობაში,პროექტის განხორციელების პროცესში.გარემოებათა არახელსაყრელი შემობრუნების შემთხვევაში მიმდინარე რისკმა შეიძლება არა მხოლოდ საანგარიშოს,არამედ გა ზღვრულ შეზღუდვებსაც კი გადააჭარბოს.

ხშირ შემთხვევაში დროის ფაქტორის მიხედვით რისკს ყოფენ **ხანგრძლივ-** და **მოკლევადიანად**.ამასთან,ხანგრძლივვადიანი რისკი დაკავშირებულია პერსპექტიულ განვითარებასთან,ხოლო მოკლევადიანს განსაზღვრავს,ინვევს ოპერატიული,კონიუნქტურული მიზეზები.

3.სამეურნეო რისკის საზღვრები და ზონები

საყოველთაო ცნება „გონივრული რისკი" რაოდენობრივ შეფასებას საჭიროებს რამდენიმე პარამეტრით.

რისკის **ეკონომიკური საზღვრები** განისაზღვრება ერთი მხრივ,იმით,თუ რა ზომით არის მზად მეწარმე რისკისათვის,თუკი მის ხელთ არსებული რესურსები შეესაბამება კონკრეტული პროექტის ან მთლიანად საწარმოს განვითარების მიზნებს,ამოცანებს,პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევიან.რისკის ზღვარზე ზემოქმედ ფაქტორთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტაბილურობა,ბიზნესის მომგებიანობა,გადახდისუნარიანობა,სწორი აღრიცხვა.მეორე

მხრივ,ხელმძღვანელი რისკავს,თუკი თვლის,დარწმუნებულია,რომ საიმედოდ მართავს არსებულ რესურსებს.რისკის განმსაზღვრელ, ჩამოთვლილ ფაქტორებს უნდა დავუმატოთ სხვა გარემოებაც,მათ შორის სოციალურ-პოლიტიკური,რომელშიც რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება და მენარმის პირადი მატერიალური მდგომარეობა დროის კონკრეტულ მომენტში და ხელმძღვანელის ინტუიცია.

ეკონომიკურთან ერთად,არსებობს და მოქმედებს რისკის სამართლებრივი საზღვრები.თანამედროვე კანონები უკვე არ განიხილავენ რისკს როგორც უპასუხისმგებლობას,დაუდევრობას.მაგრამ „შეიძლება ყველაფერი,რაც აკრძალული არაა" ტიპის ლოზუნგის გამოყენებისათვის მრავალი კონკრეტული შემზღუდავი წესები დადგენილი არაა.და ამიტომ დაუსჯელად იქმნება და ინგრევა „პირამიდები" და ფინანსური კომპანიები,რომლებიც მოტყუებულ მეანაბრეებს ასამარებენ,ხოლო მათი შექმნელები პასუხისგებაში არ ეძლევიან არც ადმინისტრაციული და არც სისხლის სამართლის კანონებით.ბანკირი,რომელმაც საკუთარი თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, რისკის დონის გადაჭარბების გამო(ან ფსევდოგაკოტრებულად-ამის შემოწმება ხშირ შემთხვევაში გაძნელებულია),არა თუ ციხეში არ ზის,არამედ ახალ ფინანსურ მაქინაციაზე ფიქრობს.ასეთია სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის რეალობა.

მართლაც,ყველაფრის შეტანა იურიდიულ და სამართლებრივ ჩარჩოებში,რაც კი რისკს შეეხება,ადვილი როდია.როგორც წესი,რაიმე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დანაკარგები არ შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს მათი მიმდინარეობის მომენტშიც კი.და დაწვრილებითი ანალიზია საჭირო იმის განსაზღვრისათვის,არსებობდა თუ არა გადაწყვეტილების მომენტში შესაბამისი ინფორმაცია და თუკი არ არსებობდა,ჯეროვნად შეფასდა და გათვალისწინებულ იქნა იგი?ამიტომ ძნელია ზღვარის ჩვენება ცუდად შეფასებულ რისკსა და ბოროტ ჩანაფიქრს შორის.

რისკის ეკონომიკური და სამართლებრივი საზღვრების განხილვა შევავსოთ რისკის ზონების განმარტებით.რისკი-ალბათური კატეგორიაა და ამ თვალსაზრისით ყველაზე გონივრულია,მეცნიერულად დასაბუთებული მისი დახასიათება და გაზომვა როგორც დანაკარგების განსაზღვრული დონის აღმოცენების ალბათობა.მკაცრად რომ ვთქვათ,რისკის ყოველმხრივი შეფასებისას საჭიროა შესაძლო დანაკარგების აბსოლუტური და შეფარდებითი


მნიშვნელობისათვის ზარალის ასეთი სიდიდის აღმოცენების ალბათობის დადგენა.

დანაკარგების ალბათობის განაწილების მრუდის აგება რისკის შეფასების ამოსავალი სტადიაა.მაგრამ მეწარმეობისადმი მიმართებაში ეს უმეტესწილად ძალზე რთული ამოცანაა.ამიტომ პრაქტიკულად, რისკის შეფასების გამარტივებული მიდგომები გამოიყენება ერთი ან რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით,რომელიც შესაძლო რისკის და პროექტის მისაღებობის შესახებ მსჯელობისათვის განმაზოგადებელი მახასიათებლებია.

განვიხილოთ რისკის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი.ამ მიზნით თავიდან გამოვყოთ განსაზღვრული ადგილები ანუ რისკის ზონები დანაკარგების სიდიდისაგან დამოკიდებულებით (ნახ.1).

ადგილს,სადაც რისკი მოსალოდნელი არაა, დავარქვათ **არასარისკო ზონა.**მას შეესაბამება ნულოვანი ან უარყოფითი დანაკარგებიც კი (მოგების გადაჭარბება მოსალოდნელზე).

დასაშვები რისკის ზონად მივიღოთ რისკი,რომლის ფარგლებში მეწარმეობის მოცემული სახეობა ეკონომიკურ მიზანშეწონილობას ინარჩუნებს,ე.ი.აქვს დანაკარგებს,მაგრამ მოსალოდნელ მოგებაზე ნაკლებია.



ნახ1.რისკის საზღვრებისა და ზონების სქემა

დასაშვები რისკის ზონის საზღვარი შეესაბამება დანაკარგების დონეს,რომელიც მეწარმეობითი საქმიანობის საანგარიშო მოგების ტოლია.შემდგომ,უფრო საშიშ ადგილს ვუწოდოთ **კრიტიკული რისკის ზონა.**ეს ისეთი ადგილია,რომელიც ხასიათდება დანაკარგების შესაძლებლობებით,რომელიც მოსალოდნელი მოგების სიდიდეს აჭარბებს და იანგარიშება მთლიანი საანგარიშო ამონაგებით მეწარმეობითი გარიგებიდან,ე.ი.დანახარჯთა და მოგების ჯამით.

გარდა გრაფიკულისა,მიზანშეწონილია განვიხილოთ უფრო საშიში-**კატასტროფული რისკი.**კატასტროფული რისკის ზონა წარმოადგენს დანაკარგების ადგილს,რომელიც თავისი სიდიდით კრიტიკულ დონეს,მოსალოდნელ ამონაგებს აჭარბებს და მაქსიმუმში შეიძლება მიაღწიოს სიდიდეს,რაც მთელი საკუთარი კაპიტალის,მეწარმის ქონებრივი მდგომარეობის ტოლია ან აჭარბებს კიდევაც მას.

შევნიშნავთ,რომ მსხვილ მეწარმეობით ოპერაციებში,გარიგებებში,მოსალოდნელი,საანგარიშო ამონაგები გარიგებისაგან სიდიდის მიხედვით შეიძლება აჭარბებდეს მეწარმის საკუთარ კაპიტალს.

4.მეწარმის რისკის შეფასების ხერხები

არსებობს რისკის ციფრობრივი განსაზღვრის რამდენიმე ხერხი.გამოყოფენ ორ სხვადასხვა მიდგომას:თეორიულს და ემპირიულს.**თეორიული მიდგომა** ასახავს მოთხოვნებს გადაწყვეტილებათა მიღების შედეგებისადმი,რაც დაკავშირებულია რისკთან.ამასთან,რისკი იანგარიშება არა წარსული გამოცდილების,არამედ ლოგიკური მსჯელობების საფუძველზე.**ემპირიული მიდგომა** მოსალოდნელ რისკს იხილავს მისი ექსტრაპოლირებით, წარსული,უკვე შესწავლილი მოვლენების,მასობრივი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციის განზოგადებით.

რისკის რაოდენობრივი შეფასების მსვლელობაში უნდა ვიცოდეთ საგნის,ობიექტის რეალური ღირებულება,რომელიც რისკს ექვემდებარება,მოსალოდნელი მოგების და ზარალის სიდიდე.ჩვეულებრივ,პირველი პარამეტრი ცნობილი ხდება უკვე გადაწყვეტილების მიღების მომენტში,ხოლო მოგების და ზარალის სიდიდეები შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ განუსაზღვრელობის გარკვეული მოსალოდნელობით.და სწორედ გამოკვლევის კონკრეტული მეთოდებისა და ხერხებისაგან არის დამოკიდებული ამ განუსაზღვრელობის გახსნის ზომა,რომელიც რისკს ეწევა.

ახლა განვიხილოთ ხერხები,რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ დანაკარგების აღმოცენების ალბათობის მრუდთა ასაგებად.

მრუდის აგების გამოყენებით ხერხებად გამოყოფენ სტატისტიკურ,საექსპერტო,საანგარიშო-ანალიტიკურ მეთოდებს.**სტატისტიკური ხერხი** იმაში მდგომარეობს,რომ შეისწავლება დანახარჯების სტატისტიკა,რომელსაც ადგილი ჰქონდა მეწარმეობითი საქმიანობის ანალოგიურ სახეობებში,დგინდება დანაკარგების განსაზღვრულ დონეთა გამოვლენის სიხშირე.თუკი სტატისტიკური მასივი საკმაოდ წარმოდგენილია,მაშინ დანაკარგების მოცემული დონე პირველი მიახლოებით შეიძლება გავუტოლოთ მათი აღმოცენების ალბათობას და ამ საფუძველზე აგებულ იქნეს დანაკარგების ალბათობის მრუდი,რომელიც არის რისკის ძიებული მრუდი.

საექსპერტო მეთოდი,რომელიც საექსპერტო შეფასების მეთოდის სახელითაა ცნობილი,მეწარმეობითი რისკის თვალსაზრისით,შეიძლება რეალიზებულ იქნეს გამოცდილი მეწარმეებისა და სპეციალისტიების მოსაზრებათა დამუშავების გზით.სასურველია,რომ ექსპერტებმა შეიმუშავონ დანაკარგების ზღვრული დონის აღმოცენების ალბათობის საკუთარი შეფასებები,რომელთა შედეგად, შემდგომში შესაძლებელი იყოს საექსპერტო შეფასებათა საშუალო მნიშვნელობის მოძებნა და მათი დახმარებით ალბათობის განაწილების მრუდის აგება.

დანაკარგთა ალბათობის განაწილების მრუდის აგების **საანგარიშო-ანალიტიკური მეთოდი** და ამ საფუძველზე მეწარმეობითი რისკის მაჩვენებელთა შეფასებები ემყარება თეორიულ წარმოდგენებს.ამასთან,რისკების გამოყენებითი თეორია კარგადაა დამუშავებული მხოლოდ სადაზღვევო და სათამაშო რისკის თვალსაზრისით.თამაშების თეორიის ელემენტები,პრინციპში,მეწარმეობითი რისკის ყველა სახეობისადმი გამოიყენება,მაგრამ წარმოებრივი,კომერციულ,ფინანსური რისკის გაანგარიშებებს შეფასების გამოყენებითი მათემატიკური მეთოდები თამაშების თეორიის საფუძველზე,ჯერჯერობით ფართოდ არ გამოიყენება.

5.რისკის ფსიქოლოგია

მეწარმეთა დიდი უმეტესობის მეურნეობრივი,ეკონომიკური ქცევა მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისას შეიძლება დაყოფილ იქნეს ორ მახასიათებელ ტიპად:**აქტიური საქმიანობა** რისკის მთელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით და **პასიური საქმიანობა** რისკის ელემენტებით.პირველ შემთხვევაში

რისკავენ უფრო დიდი მოგების მიღებისათვის,მეორეში დანაკარგების თავიდან აცილების იმედით.

მეწარმეთა,მმართველთა,მენეჯერების უმეტესობა რისკს ითვალისწინებენ მხოლოდ იძულებით,დამამძიმებელ სიტუაციებში,საბაზრო კონიუნქტურის,ბაზარზე კონკურენციის,საექსპერტო შესაძლებლობათა ცვლილების ზეწოლით,ე.ი.მაშინ,როდესაც კონკრეტული სახეობის საქმიანობის გაგრძელება და თვით საწარმოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ იმყოფება.

კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ,რომ ტერმინი „რისკის" უბრალო გაგება,და მით უმეტეს მისი სიდიდის გონებაგანჭვრეტითი შეფასება დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო ხელმძღვანელის სუბიექტურ აღქმაზე,მისი მომზადების,ინფორმირებულობის დონეზე,ფსიქოლოგიურ ტიპზე და კონკრეტულ მომენტში განწყობაზეც კი.გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენას ახდენს საბაზო მომზადება,განათლება, უწინდელი საქმიანობა.საიდუმლო როდია,რომ მრავალი წლის მანძილზე დასავლეთში მენეჯერთა მომზადებისას ბიზნესის რიგ სკოლებში ინერგებოდა იდეა:„უმჯობესია მე ცოტა მოვიგო,სამაგიეროდ ცოტასაც წავაგებ".მსგავს პოზიცია მოუქნელ პოზიციას ასახავს,და ამასთა,მას საიმედოდ მიიჩნევდნენ საქმის წარმართვისათვის მეწარმეობის მრავალ სფეროში.ცხადია,რომ ასეთი ფსიქოლოგიური განწყობით ვერ იმუშავებდა ვერცერთი ბირჟა,მაშგრამ მეწარმეობითი საქმიანობისათვის ეს მიდგომა გამართლებულად ჩაითვალა.

ამრიგად,ეჭვს არ იწვევს,რომ სუბიექტური აღქმა იმაში ვლინდება,რომ ერთიდაიგივე ალტერნატივები ერთ კაცს სარისკო ეჩვენება,ხოლო მეორეს-ნაკლებად ან საერთოდ არასარისკო.რატომ ხდება ასე?დავასახელოთ ასეთი მოვლენის რამდენიმე მიზეზი.

ჯერ-ერთი,ითვლება რომ ადამიანები გადააფასებენ იმ მოვლენათა საფრთხეს,რომელთა შეფასებასაც ისინი სხვა წყაროებიდან გებულობენ.ამრიგად,დამახინჯებულმა ინფორმაციამ შეიძლება რისკის არაზუსტი შეფასება გამოიწვიოს.

მეორე,რისკის სიდიდის აღქმა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინფორმაციის მიწოდების ხერხზე.რთული ენით გადმოცემულმა ცნობებმა შესაძლოა რისკის შეუფასებლობა გამოიწვიოს.

მესამე მიზეზი პირდაპირ დამოკიდებულია პრაქტიკულ გამოცდილებასთან,კონკრეტულ სამუშაოთა შესრულების სტაჟთან,ერთტიპიურ მოვლენათა გარმეორებადობის გათვალისწინებით და როგორც შედეგი,პროფესიონალებს საფრთხის გრძნობა უბლაგვდებათ.

მეოთხე:ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის დადებითი ემოციებისაკენ ლტოლვა.სხვანაირად რომ ვთქვათ,თუკი არ არსებობს ზარალის,დანაკარგის შიშის საფრთხე,არამედ საქმე ეხება საიმედო მომგებიან შედეგს, რისკი სწორად არ ფასდება და საანგარიშო,მოსალოდნელი მოგების სიდიდე გადაჭარბებულად შეფასდება.საბოლოო ჯამში ადგილი აქვს მიუღებელ მოგებას.

დაბოლოს რისკის სუბიექტურ აღქმაზე ზეგავლენას ახდენს წარუმატებლობის ალბათობის და ასევე ზარალის აბსოლუტური სიდიდის პირადი შეფასება.

მეურნეობის პრაქტიკასა და მეწარმის ფსიქოლოგიაში შედის პრინციპი- „რისკს არ გასწევ-დაიწვები"-ნაცვლად უწინ გავრცელებულისა- „ვინც რისკს ეწევა,სწორედ ის იწვება."

ცხადია,რისკის გათვალისწინება და მეწარმეობით რისკზე წასვლა, რისკის შემცირების ღონისძიებებთან ერთად უნდა მოქმედებდეს.ასეთი სახით ერთ-ერთი რადიკალური ღონისძიებაა **რისკის დაზღვევა.**რისკის სავალალო შედეგების შესუსტების მნიშვნელოვანი ხერხია **რეზერვების,მარაგების** შექმნა.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია მეწარმის ქცევის ძირითადი წესი?
2.რა იგულისხმება სამეურნეო რისკში?
3.რა მაჩვენებლებში იზომება რისკები?
4.როგორია დანაკარგების სახეები?
5.როგორია რისკის სახეები?
6.როგორია რისკის ზონები?
7.როგორია მეწარმეობით რისკის შეფასებები?

თავი მეთვრამეტე

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა

1.სახელმწიფოს სოციალური სფერო

რამდენადაც ეკონომიკა ადამიანის და საზოგადოების სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემაა,მართებულია დავფიქრდეთ იმაზე,თუ რა ზომით და რანაირად არის ცხოვრების ხარისხი დაკავშირებული ეკონომიკის მდგომარეობასა და განვითარებასთან.ამასთან,უნდა გავარკვიოთ,თუ რა იგულისხმება ცხოვრების წესში,მის დონესა და ხარისხში და რით ხასიათდება ეს სოციალური კრიტერიუმები,როგორ შეუძლია ეკონომიკას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ფართო გაგებით, სოციალური ეწოდება ყველაფერს,რაც საზოგადოებას,ადამიანებს,მათ ცხოვრებას უშუალოდ ეხება.რამდენადაც ეკონომიკა ადამიანთა და საზოგადოების სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემაა,თავისი მიზნობრივი მიმართულებით ყველა ეკონომიკურ პროცესს,ამა თუ იმ ზომით სოციალური ელფერი დაკრავს.ამიტომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება „სოციალურ-ეკონომიკური პროცესები“, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ამასთან ერთად, არსებობს ეკონომიკის უფრო ვიწრო,**სოციალური სფერო**,რომელსაც მიაკუთვნებენ ეკონომიკურ ობიექტებსა და პროცესებს,ეკონომიკური საქმიანობის სახეობებს,რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრების წესთან,მოსახლეობის მიერ მატერიალური და სულიერი სიკეთის მოხმარებასთან,მომსახურებასთან,ადამიანის,ოჯახის,კოლექტივებ ის,ჯგუფების,მთლიანად საზოგადოების,საბოლოო მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

უწინარეს ყოვლისა, ესაა ეკონომიკის ნაწილი,რომელიც დაკავშირებულია **ადამიანთა მოთხოვნილებებთან და მათ მიერ საქონელთა და მომსახურების მოხმარებასთან.**სოციალური ეკონომიკა როგორც მეცნიერება შეისწავლის,იკვლევს,ანალიზს უკეთებს მოთხოვნილებათა აღმოცენების ბუნებას,სამომხმარებლო მოთხოვნილებებს,მოხმარების სტრუქტურას,გამოყოფს ადამიანის,ოჯახის,სოციალური ჯგუფების,რეგიონების,საზოგადოების

რაციონალურ მოთხოვნებს,თვით მოთხოვნილებათა და მომხმარებლების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

მეორე მხრივ,სოციალური ეკონომიკა შეისწავლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების შემოსავლებს,მათ სახეებს,ალმოცენების ბუნებას,წყაროებს და დონეს.იგი იკვლევს ასევე **ადამიანისა და ოჯახის სამომხმარებლო ბიუჯეტს**,ტერიტორიული,პროფესიული და სხვა ნიშნით.

სოციალური ეკონომიკა მოიცავს ისეთ კატეგორიებს,როგორიცაა მოსახლეობის **ფულადი დანაზოგები,ადამიანთა ქონებრივი მდგომარეობა.**

სოციალური ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრების ფორმებთან და ურთიერთობებთან,ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილში,სადაც ვლინდება ადამიანთა საკუთრების ინტერესები.

შრომის ეკონომიკა თავის იმ ნაწილში,რომელშიც იგი ახასიათებს მის პირობებს,ანაზღაურებას,დასაქმებას,უმუშევრობის დონეს,ასევე სოციალური სფეროა.

სოციალურ სფეროს უშუალოდ მიეკუთვნება ასევე **სოციალური უზრუნველყოფის სახეები,**ე.ი.ფულადი მისაცემლები,მატერიალური დახმარება,რომელიც მოსახლეობას ეძლევა,უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის შრომისუუნარო ფენებს და კატეგორიებს.

რამდენადაც ადამიანი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებასთან,**ეკოლოგიური ეკონომიკა**,რომელიც ახასიათებს გარემო ბუნების ზეგავლენას ადამიანთა ცხოველქმედებასა და ცხოვრების ხარისხზე,ასევე უნდა მივაკუთვნოთ სოციალურ ეკონომიკას.

ადამიანთა ცხოვრების საერთო სურათს,რომელიც იმით განისაზღვრება თუ რანაირად მოიხმარდნენ ისინი,როგორ ატარებენ და იყენებენ დროს,რით ინტერესდებიან,რა ზომით არიან უზრუნველყოფილი ყოველივე აუცილებლობით,**ცხოვრების წესს** უწოდებენ.ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვქთვათ,რომ **სოციალური ეკონომიკა**-ეკონომიკის სფეროა,რომელიც ახასიათებს და განსაზღვრავს ყველა წოდების ადამიანთა,მოსახლეობის ყველა კატეგორიის ცხოვრების წესს.

ეკონომიკა,რომლის ფუნქციონირება მიმართულია. ადამიანთა,ოჯახის მოთხოვნილებათა პირველრიგოვან დაკმაყოფილებაზე,გამომდინარეობს სოციალური მოთხოვნებიდან,სოციალურად ორიენტირებულს უწოდებენ.

სოციალური ეკონომიკა-ეკონომიკისა და პოლიტიკის შემაერთებელი მძლავრი ხიდია,პოლიტიკურ ძალთა და მიმდინარეობათა მთავარი შემაგულიანებელია.

2.ეკონომიკის სოციალური სფეროს დარგები

პრაქტიკულად, ეკონომიკის ყველა დარგს გააჩნია ესა თუ ის დამოკიდებულება სოციალური სფეროსადმი,ემსახურებიან და აკმაყოფილებენ სოციალურ მოთხოვნილებებს.სოციალურ საჭიროებებზე მუშაობს მრენველობა,და არა მხოლოდ კვების და მსუბუქი,არამედ მანქანათმშენებლობა,ხელსაწყოთმშენებლობა,ენერგეტიკა.სოციალურად დიდად არის ორიენტერებული სოფლის და სატყეო მეურნეობა,ტრანსპორტი,კავშირგაბმულობა,ვაჭრობა და საზკვება.

ჩამოთვლილ დარგებთან სამგზავრო ტრანსპორტი,კავშირგაბმულობა მოსახლეობისათვის,საცალო ვაჭრობა და საზკვება იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან,რომ მართებულია ისინი მივაკუთვნოთ უშუალოდ სოციალურ სფეროს.

უდავოა,რომ სოციალური პროფილის დარგებია საბინაო და კომუნალური მეურნეობა,რომელიც მუშა მდგომარეობაში, ინახავს სახლებს,ლიფტებს,წყალმომარაგებას,კანალიზაციას,თბომომარაგებას,ენერგიით უზურნველყოფას,ე.ი.საბინაო ინფრასტრუქტურას,თუმცა ოფიციალური სტატისტიკა საბინაო მშენებლობას არ მიაკუთვნებს სოციალურ სფეროს.

სოციალური სფეროს დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას**.სამრეცხაოები,საპარიკმახეროები,სარემონტო სახელოსნოები,რიტუალებისა და ე.წ.რეკრეაციულ მომსახურებათა დაწესებულებები(რეკრეაცია-ძალთა აღდგენა,დასვენება),ბუნების დაცვა,მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის მომსახურებები და მრავალი სხვა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მიეკუთვნება.

არსებობს საფუძველი,რომ სოციალური სფეროს დარგებს მივაკუთვნოთ გარემობუნების დაცვა,აღდგენა და გაწმენდა,ყოველ შემთხვევაში,იმ ნაწილში,რომელშიც ეს საქმიანობა უზრუნველყოფს ადამიანთა ნორმალურ ცხოველქმედებას,შენარჩუნებას,მათ დასვენებას.

ცენტრალური ადგილი სოციალური სფეროს დარგებს შორის უჭირავს კულტურას,განათლებას და ჯანდაცვას.

კულტურის დარგები-ესაა კინო,თეატრი,მუზეუმი,ბიბლიოთეკები,გამოფენები,საკონცერტო დარბაზები,კლუბები,ერთი სიტყვით, კულტურულ ფასეულობათა ყველა ცენტრი,კულტურის კერები,კულტურული მემკვიდრეობისა და სიმდიდრის გამავრცელებლები.ეს

დარგი მოწოდებულია შეინარჩუნოს კულტურის ისტორიული,ეროვნული ძეგლები.შეაფასოს კულტურულ მიღწევათა საგანძური,ლიტერატურის,ხელოვნების,მუსიკის,ფერწერის და მრავალ სხვა სფეროში.

განათლების დარგები-ესაა სკოლები და სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებები,გიმნაზიები,კოლეჯები,სასწავლებლები,ტექნიკუმე- ბი,უმაღესი სასწავლებლები,კვლევითი დაწესებულებები პედაგოგიკის სფეროში.განათლების დარგი დასაქმებულია სწავლების ყველა ფორმით მრავალ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში.განათლების სფერო ერ,თი მხრივ,მოწოდებულია დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნა სწავლაზე,მეორე მხრივ-განახორციელოს ადამიანთა მომზადება და გადამზადება მუშაობის,შრომითი საქმიანობისათვის.

ჯანდაცვის დარგები მოწოდებულია იზრუნოს ადამიანთა ჯანგმრთელობის შენარჩუნებაზე,გაატაროს დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა,აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება,უზრუნველყოს ადამიანები სამკურნალო საშუალებებით,აღადგინოს დაკარგული ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის დარგთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზკულტურა და სპორტი იმ ნაწილში,რომელშიც ისინი წყვეტენ ჯანმრთელობის განმტკიცებას,ადამიანთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

შევნიშნავთ,რომ საბაზრო ეკონომიკაში კულტურის,განათლების,ჯანდაცვის დარგების სოციალური პროდუქტი უპირატესად ან მნიშვნელოვანწილად ფასიანია,მაშინ როდესაც საბჭოთა ტიპის ცენტრალიზებულ ეკონომიკაში იგი ძირითადად უფასო იყო,რაც,ამასთან,ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა მის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე.საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ძალაუნებურად საქმე გვექნება კულტურის,განათლების,სამედიცინო მომსახურების წყაროებისადმი ხელმისაწვდომობის არასახელმწიფოებრივი და ფასიანი ფორმების ზრდასთან.

მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია მეცნიერების დარგს,რომლის მიღწევებს უშუალოდ ეყრდნობა კულტურა,განათლება,ჯანდაცვა,მოხმარების საგნების წარმოების დარგები.ეს დარგი,განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერება ცენტრალიზებულ და საბაზრო ეკონომიკაშიც,ძირითადად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.

3.ცხოვრების დონე და მისი ხარისხი

რამდენადაც სოციალური პოლიტიკა ორიენტირებულია ადამიანზე,მოწოდებულია ხელი შეუწყოს მისი მოთხოვნილებების,ინტერესების დაკმაყოფილებას,მაშინ ამ ეკონომიკის მდგომარეობისა და წარმატებების შესახებ მსჯელობენ ადამიანთა ცხოვრების მიხედვით.სასიცოცხლო პირობების გამოვლენათა მრავალფეროვნების მიხედვით შეიძლება საერთო წარმოდგენა მივიღოთ იმ პირობების შესახებ,რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ,იმის შესახებ,თუ რამდენად კმაყოფილები არიან ამ პირობებით და რას აძლევს მათ ცხოვრება.ყველაფერ ამას,ერთად აღებულს **ცხოვრების ხარისხს** უწოდებენ.

ცხოვრების ხარისხი მოიცავს და ახასიათებს მის თვისებათა მთელ სპექტრს,ვრცელდება ყველა მის მხარეზე,ასახავს ადამიანთა დაკმაყოფილებას მათ ხელთ არსებული მატერიალური და სულიერი სიკეთით,ასახავს უზრუნველყოფას,კომფორტულობას,სასიცოცხლო პირობების მოხერხებულობას და მათ შეგუებას თანამედროვე მოთხოვნებისადმი,უმტკივნეულოობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას.როდესაც ჩვენ ვამბობთ „ხარისხი“,მხედველობაში არ გვაქვს რაიმე საერთო მაჩვენებელი,საზომი,რომელიც გამოსახულია რაიმე რაოდენობრივი,ციფრობრივი ფორმით.ხარისხი განზოგადებული ცნებაა,გამოსახული,ჩვეულებრივ,სიტყვებით „მაღალი“,„საშუალო“,„დამაკმაყოფილებელი“,„დაბალი“,„არადამაკმაყოფილებელი“,,იმ სიტყვიერი შეფასების ანალოგიურად,რომლებითაც ახასიათებენ მოსწავლეთა ცოდნას.

ცნება „ცხოვრების დონე“ უმეტესწილად ახასიათებს ადამიანთა კეთილდღეობას რაოდენობრივ ზომას და უფრო ხშირად ხასიათდება რაოდენობრივი,ციფრობრივი მაჩვენებლებით.ცხოვრების დონე ძნელია გამოვსახოთ ერთადერთი კრიტერიუმის,ერთი ზომის დახმარებით.ცხოვრების დონის დამახასიათებლად უნდა მივმართოთ რიგ მაჩვენებლებს.

როგორია ეკონომიკურ პრაქტიკაში ცხოვრების დონის მთავარი,ყველაზე ფართო გამზომები?

საქონელთა და მომსახურების ძირითადი სახეობის **სტრუქტურა** და **მოხმარების დონე** ნატურალურ გამოხატულებაში ერთ ადამიანზე ან ოთხკაციან ერთ ოჯახზე გაანგარიშებით წელიწადში,ან ადამიანის და ოჯახის **უზრუნველყოფის ზომა** სამომხმარებლო საქონლით,ქვეყნის,რეგიონის ან განსაზღვრული სოციალური ჯგუფის ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.შესაბამისად,ცხოვრების დონის შეფასებისას გამოიყე-

ნება საკვების,ტანსაცმლის,ფეხსაცმლის წლიური მოხმარების მაჩვენებლები ერთ სულზე ან ოჯახზე გაანგარიშებით.

მოვიტანოთ,მაგალითად,ცხრილი,რომელიც დაახლოებით ახასიათებს კვების პროდუქტების წლიურ მოხმარებას 1990,1995 და 1998 წელს ერთ მოზრდილ ადამიანზე გაანგარიშებით,რაც უაღრესად დაბალია.

პროდუქტების დასახელება	1990წ.	1995წ.	1998წ.
1.პური და პურპროდუქტები (კგ)	184,6	163,5	151,4
2.კარტოფილი (კგ)	37,3	26,8	47,3
3.ბოსტნეული და ბაღჩეული (კგ)	81,2	60,8	58,2
4.ხილი და ყურძენი (კგ)	48,3	36,7	57,8
5.რძე და რძის პროდუქტები (ლ)	311,3	97,9	202,5
6.ხორცი და ხორცის პროდუქტები (კგ)	36,5	12,5	20,8
7.თევზი და თევზის პროდუქტები (კგ)	8,0	0,6	1,8
8.შაქარი (კგ)	20,8	6,7	25,0
9.კვერცხი (ცალი)	140,0	66,1	122,5

* საქართველოს სტატისტიკური ნენლინდეული 1999,გვ.78-79,თბ.1999

იმის გასაგებად,თუ ასეთი დონე რამდენად შეესაბამება ადამიანთა მოთხოვნებს,მას უდარებენ **მოთხოვნის ნორმატივებს**,რომლებიც გამომუშავებულია მეცნიერების მიერ.მაგალითად,პური და კარტოფილი რეკომენდებულია მოხმარებულ იქნეს დაახლოებით 80 კგ წელიწადში ერთ კაცზე,ასე რომ აქ ადგილი ჰქონდა მათ ძალზე ჭარბ მოხმარებას.მწვანილი სასურველია მოხმარებულ იქნეს 150 კგ წელიწადში,ხილი 70-8- კგ,ხორცი 60-70 კგ.როგორც ვხედავთ,რიგი პროდუქტების მიხედვით ჩვენში ადგილი ჰქონდა აშკარად ნაკლებ მოხმარებას.

კვების პროდუქტების მოხმარების დონის შესახებ ზოგჯერ მსჯელობენ მათი კალორიულობის მიხედვით.მოზრდილი ადამიანის კვების დღიური რაციონი უნდა შეიცავდეს არანაკლებ 2500-3000 კილო კალორიას,რაც საქართველოში გაცილებით დაბალია დაბალია.

ცხოვრების დონის ძალზე გავრცელებულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება მოსახლეობის **ფულადი შემოსავლები** ერთ სულ მოსახლეზე ან ოჯახზე.მნიშვნელოვანია,რომ თვიური შემოსავალი

აჭარბებდეს ე.წ.**სასიცოცხლო მინიმუმს**,რაც გაანგარიშებულია თითოეული ადამიანის მიერ საქონელთა და მოხმარების მინიმალური ანაკრების მოხმარებიდან გამომდინარე.საქართველოში იგი 130-140 ლარს შეადგენს თვეში,მაშინ როდესაც საშუალო ხელფასი 40-50 ლარია.

ადამიანთა ცხოვრების დონე განისაზღვრება ასევე მათი ქონებრივი და ფულადი დანაზოგების (ქონებრივი ცენზით და ფულადი დაგროვებით) მიხედვით.

ცხოვრების დონის ერთობ სპეციფიკური მაჩვენებელია ბავშვთა და საერთო სიკვდილიანობა,დაავადებათა დონე და **სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა**,რომლითაც საქართველო დღეს აშკარად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს.

ცხოვრების დონისა და ხარისხის განმსაზღვრელი მაჩვენებელია **თავისუფალი დროის** რაოდენობა,რასაც ადამიანი თავისი შეხედულებისამებრ იყენებს.

ცხოვრების დონის შესაფასებლად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს **შემოსავლებისა და ფასების თანაფარდობას.**

4.ადამიანის და საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებები

მოთხოვნილება,როგორც საჭიროება,აუცილებლობა პირველად ეკონომიკურ კატეგორიებს მიეკუთვნება,რომელიც მთავარ როლს ასრულებს საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის შემაგულიანებელ ფაქტორთა შორის.

სოციალური მოთხოვნილებები მრავალფეროვანია.ერთი მხრივ,ესაა ადამიანის ორგანიზმის **ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური** მოთხოვნილებები,რომელთა დაკმაყოფილების გარეშე არ მიმდინარეობს ნორმალური სასიცოცხლო პროცესი.

მეორე მხრივ,ადამიანი-არა მხოლოდ ბიოლოგიური,არამედ სოციალური,საზოგადოებრივი არსებაც არის.აქედან გამომდინარე, მრავალი მისი მოთხოვნილება განპირობებულია იმით,რომ იგი ცხოვრობს ადამიანთა საზოგადოებაში,სხვა ადამიანებთან კავშირში.უფრო მეტიც,სოციალური ჯგუფების,სახელმწიფოს,საზოგადოებათა ჩამოყალიბება იწვევს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა აღმოცენებასა და მოქმედებას იწყებს მოთხოვნილებათა ამაღლების(გადიდების) კანონი.

მოთხოვნილებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრების წესთან და ცხოვრების დონესთან.უნდა განვასხვავოთ რეალური და ნორმატიული მოთხოვნილებები.რეალური მოთხოვნილებები-ესაა კონკრეტულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების საჭიროება განსაზღვრულ საქონელთა და მომსახურების მიღებაზე.მაგალითად,თუკი ადამიანს სურს ჰქონდეს ორი კოსტუმი და ოთხი

წყვილი ტუფლი,ეს მისი რეალური მოთხოვნილებაა.ნორმატიული მოთხოვნილება ახასიათებს მოცემული რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნორმატიულ დონეს,რაც დაწესებულია ანალიზის,გაანგარიშებათა,გამოცდილების და შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მოთხოვნილებათა სტრუქტურაში შეიძლება გამოყოფილ იქნეს **პირადი (ინდივიდუალური) საოჯახო,კოლექტიური(ჯგუფური),საზოგადოებრივი (სახელმწიფო მოთხოვნილებები,**თითოეულ მათგანს მოთხოვნილებათა საკუთარი სუბიექტი გააჩნია.

პირადი მოთხოვნები ვრცელდება კვებაზე,ტანსაცმელზე,ფეხსაცმელზე,თავსამკაულზე,ბინებზე,საოჯახო საქონელზე,საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურებაზე,სულიერ და კულტურულ ფასეულობებზე და მრავალ სხვაზე. მოთხოვნილებები გულისხმობენ გარკვეულ ურთიერთშეცვლადობასაც:ერთი მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მეორის მეშვეობით.ხილი შეიძლება შეიცვალოს კენკროვნებით,ხორცი-სოკოთი,კარაქი-მცენარეული ზეთით,მაგრამ მრავალი მოთხოვნილება ურთიერთშეცვლადია მხოლოდ ნაწილობრივ,ხოლო ზოგიერთები,მაგალითად,საცხოვრებელი ბინები,განათლება,კულტურა ძნელადშეცვლადია ან შეუძლებელია ურთიერთით შეიცვალოს.

საოჯახო მოთხოვნილებები-სახეობისა და სტრუქტურის მიხედვით ახლოს არის პირადთან,მაგრამ ოჯახს უჩნდება დამატებითი მოთხოვნილებები,იზრდება მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინებზე,სამეურნეო საჭიროების საქონელზე და სხვა.

სოციალური მოთხოვნილებები ესაა ადამიანთა მოთხოვნილებები,რომლებიც გაერთიანებული არიან ინტერესთა წრის მიხედვით.

კოლექტიურ მოთხოვნილებათა მეორე სახეობაა **წარმოებრივი კოლექტივების მოთხოვნილებები.**გარდა ადამიანის,როგორც კოლექტივის წევრის მოთხოვნილებებისა,აღმოცენდება საერთო სოციალური მოთხოვნილებები (ერთიანი პრობლემების კოლეგიალური განხილვა,არასანარმოო შეხვედრები,პიროვნებათაშორისი კონფლიქტების მოგვარება).

უფრო ფართო სახეობაა საზოგადოებრივი მოთხოვნილებები,რომელიც ნაწილობრივ წარმოდგენილია სახელმწიფო,ეროვნულ,ტერიტორიულ,რელიგიურ,ისტორიულ და სხვა მოთხოვნილებათა სახით.

კიდევ უფრო ფართო გაგებით საზოგადოებრივს მიაკუთვნებენ მთელი ხალხის,ერის,ადამიანთა მოთხოვნილებებს კულტურაზე,განათ-

ლებაზე,ჯანმრთელობაზე,ფიზკულტურასა და სპორტზე,შრომასა და დასვენებაზე.

იმის შესახებ,თუ როგორ ეფარდება ერთმანეთს სხვადასხვა მოთხოვნილებები,რომელია მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი,ხოლო რომელი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ადამიანებისათვის,არ არსებობს და არც შეიძლება იყოს ერთიანი მოსაზრება.ყოველ ადამიანს,ადამიანთა თითოეულ ჯგუფს გააჩნია თავისი აშკარად და ფარულად გამორჩეული პრიორიტეტები,სურვილები.

4.ადამიანის და ოჯახის შემოსავლები, ხარჯები,სამომხმარებლო ბიუჯეტი

სამომხმარებლო ბიუჯეტს უწოდებენ ცხრილს,რომელშიც შეპირისპირებულია ადამიანის და ოჯახის ფულადი შემოსავლები და ხარჯები,რომლის საფუძველზე ყალიბდება მსჯელობა შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის შესახებ,კეთდება დასკვნა მათი შეცვლის აუცილებლობის შესახებ, ამა თუ იმ მხარის დაბალანსების მისაღწევად.ბიუჯეტურ ცხრილში ცალცალკე გამოიყოფა საშემოსავლო და ხარჯვითი მხარეები.

რეალური სამომხმარებლო ბიუჯეტი ასახავს ოჯახების რეალურად ჩამოყალიბებად შემოსავლებს და ხარჯებს,რაც გაანგარიშებულია თვეში ან წელიწადში.რეალური ბიუჯეტი იგება მოსახლეობის ცალკეული,ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი ჯგუფის მოთხოვნის შესწავლის,ანალიზის და შემოსავლებისა და მოხმარების საფუძველზე.

რაციონალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს უწოდებენ თეორიულად აგებულ იდეალურ ბიუჯეტს,რომელშიც ხარჯვითი ნაწილი ყალიბდება მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა და მომსახურების მოხმარების რაციონალური ნორმებიდან გამომდინარე,მეცნიერული თვალსაზრისით მათი განსაზღვრული მიზანშეწონილი ანაკრების სახით.

მძიმე ეკონომიკური სიტუაციის,ცხოვრების დონის შემცირების პირობებში ფართოდ გამოიყენება მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის ანუ **სამომხმარებლო მინიმუმის ბიუჯეტის** ცნება.ასეთ ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილი დგება ადამიანის,ოჯახისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სამომხმარებლო საქონელთა,მომსახურების,ხარჯების გათვალისწინებით.

პირადი და საოჯახო სამომხმარებლო ბიუჯეტების შედგენისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი მუხლები.

სამწუხაროდ,ჩვენთან ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე მხოლოდ იშვიათი ოჯახები ან ადამიანები ადგენენ,ან მით უმეტეს აანალიზებენ საოჯახო ან პირად ბიუჯეტებს.

ურთიერთკავშირს პირად,საოჯახო მოხმარების დონესა და შემოსავლის სიდიდეს შორის მოხმარების ფუნქციას უწოდებენ,ხოლო,მოხმარების დონის შეფარდებას შემოსავლის დონესთან მოხმარებისადმი მიდრეკილებას უწოდებენ.რაც უფრო ახლოსაა მოხმარებისადმი მიდრეკილება 1-თან,ოჯახები მით უფრო მეტად ცხოვრობენ დღევანდელი დღის იმედით,ხოლო,რაც უფრო ნაკლებია ეს მიდრეკილება,მით უფრო მეტად ცხოვრობენ ადამიანები ხვალინდელი დღის იმედით,ზრუნავენ სახსრების დაგროვებაზე მომავალი ცხოვრებისათვის.

მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას უწოდებენ მოხმარების დონის ნამატის შეფარდებას შემოსავლის დონის მის მიერ გამოწვეულ ზრდასთან.

ბუნებრივია,რომ ფულადი შემოსავლები არათანაბრად ნაწილდება სხვადასხვა ადამიანებსა და ოჯახებს შორის,ე.ი.ადგილი აქვს შემოსავლების დიფერენციაციას.

5.სოციალური დაცვა და მოსახლეობისადმი დახმარება

რაც უფრო მძიმეა ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში,მით უფრო მწვავედ დგება მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხი.მდგომარეობის სირთულე ასეთ სიტუაციაში ისაა,რომ თუკი ქვეყანაში ეკონომიკური დაქვეითება,წარმოების,ეროვნული პროდუქტის შემცირება შეინიშნება,მთავრობის შესაძლებლობები მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე სახსრების გამოსაყოფად უკიდურესად შეზღუდულია.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად,მხოლოდ ადამიანთა სურვილი როდია საკმარისი,სოციალური დახმარება მიიღოს ცხოვრების სიდუხჭირისაგან დასაცავად,ისე როგორც მთავრობის ზრახვები და დაპირებები ცხოვრების გასაუმჯობესებლად.პრობლემა შეიძლება მთლიანად გადაწყდეს მხოლოდ მაშინ,როდესაც ეკონომიკა გაჯანსაღდება და საქონელთა მინიმუმს შექმნის,რაც ადამიანებს სჭირდებათ.

უწინარეს ყოვლისა,უნდა გავიგოთ,რომ თუკი ქვეყანაში საქონელთა და მომსახურების წარმოება შემცირდება,ხოლო უცხოური დახმარება და იმპორტული შესყიდვები მცირეა,რომელიც ასეთი შემცირების კომპენსირებას ვერ მოახდენს,მაშინ ცხოვრების დონის,მოხმარების შემცირების თავიდან აცილება შეუძლებელია.

ამიტომ მთავრობამ და ხალხმა უნდა შეიგნონ, რომ მოსახლეობის თითოეული წევრის სოციალური დაცვა ცხოვრების დონის შემცირებისაგან,ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში შეუძლებელია.უფრო სწორი და დასაბუთებულია ვილაპარაკოთ სოციალური დახმარების შესახებ მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და ჯგუფებისათვის,რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ იგი. სოციალური დახმარება შეიძლება გამოვლინდეს სრულიად სხვადასხვა ფორმით:ფულადი დახმარების,მატერიალურ სიკეთეთა შეთავაზების,უფასო კვების,სამედიცინო,იურიდიული,ფსიქოლოგიური დახმარებისა და სხვა ფორმით.

საკითხი იმის შესახებ,თუ რა სახით,ფორმით და მოცულობით უნდა აღმოვუჩინოთ დახმარება,ერთ-ერთი ძნელი ამოცანაა სოციალურ ეკონომიკაში.რამდენადაც ყველა მსურველისა და გაჭირვებულისათვის უბრალოდ შეუძლებელია დახმარების აღმოჩენა,ზოგიერთი ეკონომისტი იძლევა ასეთ რეცეპტს:„დავეხმაროთ მხოლოდ იმათ,ვისაც არ შეუძლია საკუთარი თავის დახმარება“.მართალია,ძნელია იმის განსაზღვრა,თუ ვის შეუძლია საკუთარი თავისადმი დახმარება,მაგრამ თავისთავად რეცეპტი ყურადღებას იმსახურებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ყველაზე მწვავედ ვლინდება მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემა ფასებისა და უმუშევრობის ზრდისაგან.იმისათვის,რომ საქონელთა და მომსახურების ფასების ზრდამ არ გამოიწვიოს მოხმარებისა და ცხოვრების დონის კატასტროფული შემცირება,ნაწილობრივ **შემოსავლების ინდექსაცია** გამოიყენება.

სამწუხაროდ წარმოების დაქვეითების დროს არც მთავრობას და არც საწარმოს არ გააჩნიათ შემოსავლების,ხელფასის ზუსტად იმდენჯერ გადიდების შესაძლებლობები,რამდენჯერაც ფასი გაიზრდება.რამდენადაც საქონელთა რაოდენობა მცირდება,მეტის-მეტი რაოდენობის ფულის გადახდა გამოიწვევს ბაზრის გადავსებას ფულადი მასით და როგორც შედეგი,ფასების ახალ გადიდებას,რაც მოითხოვს შემოსავლების გადიდებას და ა.შ.წარმოიშობა ინფლაციური სპირალი,ამიტომ გონივრულია შემოსავლების გადიდება რამდენადმე ნაკლები ტემპებით,ფასების ზრდასთან შედარებით.

6.სოციალური უზრუნველყოფა

არსებობს მოსახლეობის განსაზღვრული ფენებისა და კატეგორიების სტაბილური სოციალური დახმარების სახეები სახელმწიფოს,მთავრობის,სა-

ზოგადოების მხრივ,რაც უშუალოდ დაკავშირებული არ არის საგანგებო სიტუაციებთან.საქმე ეხება ადამიანებს,რომლებიც სახელმწიფოს და საზოგადოების ხანგრძლივ და მუდმივ კმაყოფაზე იმყოფებიან,ძირითადად სახელმწიფო უზრუნველყოფის ხარჯზე ცხოვრობენ.ამ ადამიანებზე დახმარებისათვის,მათი აუცილებელი საშუალებებით გარანტირებისათვის არსებობს ეკონომიკის სოციალური დარგი,რომელსაც **სოციალური უზრუნველყოფა** ეწოდება.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციები საკუთარ თავზე ღებულობენ მოსახლეობის იმ კატეგორიებზე,ნაწილზე ზრუნვას,რომლებსაც საკანონმდებლო წესით ხანგრძლივი და მუდმივი დახმარების უფლება გააჩნიათ ასაკთან,ინვალიდობასთან,შეზღუდული შრომისუნარიანობის,არსებობის სხვა წყაროების არარსებობასთან დაკავშირებით.

სოციალური უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული სახეა-**საპენსიო უზრუნველყოფა**.საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით,მოხდა საპენსიო ასაკის გახანგრძლივება.ამიერიდან ქალები პენსიაზე გავლენ 60-ის,ხოლო მამაკაცები 65 წლის ასაკიდან.ამასთან,საქართველოს საპენსიო უზრუნველყოფის უბედურება ისაა,რომ იგი დიფერენცირებული არაა და ყველა ერთნაირ-14 ლარ პენსიას ღებულობს და ისიც ხშირი დაგვიანებებით და გაყინვითაც კი,რაც საერთოდ დაუშვებელია.პენსიები გაიცემა საპენსიო ფონდების ხარჯზე და ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კვალობაზე საწარმოები საკუთარი საპენსიო ფონდების შექმნის შესაძლებლობას ღებულობენ,საკუთარ მოსამსახურეებზე პენსიის გადასახდელად.

გარდა პენსიებისა,სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან გაიცემა სხვადასხვა დახმარებები და მისაცემლები, მოსახლეობის სხვადასხვა გაჭირვებულ ფენებზე.

მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვებისათვის,რომელთაც არ გააჩნიათ მშობლების ზრუნვა და დახმარება,იქმნება **ბავშვთა სახლები და ინტერნატები** - ფო.ანალოგიურად,თუმცა უფრო ნაკლებად,მაგრამ მაინც ჩნდება ზურნვა ხანდაზმული ადამიანების მიმართ,რომელთაც არ გააჩნიათ შვილები და ახლობლები,რომელთაც შეუძლიათ მათ დახმარება აღმოუჩინონ.ასეთი ადამიანებისათვის იქმნება **ხანდაზმულთა სახლები.**

სოციალური დახმარება ეძლევათ ადამიანებს და ოჯახებს,საცხოვრებელი ბინების,კეთილმოწყობის,საოჯახო ნივთების შესაძენად კრედიტების სახით.

მოსწავლე ახალგაზრდებისადმი ფულადი დახმარების გავრცელებული სახეობაა **სტიპენდიების** გაცემა,რაც ჩვენს ქვეყანაში მიზერულია და ისიც ხშირად არ გაიცემა.

სოციალური დახმარების განსაკუთრებული სახეობაა-**სამედიცინო დახმარება**,რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით სულ უფრო ფასიანი ხდება და ვრცელდება **სადაზღვევო მედიცინა**.ეს უკანასკნელი გულისხმობს სადაზღვევო ფონდების შექმნას ხელფასიდან და საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა ანარიცხებიდან.

სახელმწიფო მნიშვნელოვან **დახმარებას უწევს უმუშევრებს**.უწინარეს ყოვლისა,იგი ვლინდება ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევრებზე დახმარების გაცემით.ცივილიზებულ ქვეყნებში ასეთი დახმარება სამუშაოს დაკარგვის პირველ თვეებში ეძლევათ ადრინდელ ხელფასთან მიახლოებული ოდენობით.შემდგომ თვეებში იგი მცირდება და სამუშაოს დაკარგვიდან ნახევარი წლის შემდეგ უქმდება.

7. სოციალური რეაბილიტაცია

სიტყვა „რეაბილიტაცია“ ნიშნავს აღდგენას,დაკარგულის დაბრუნებას.მაგალითად,ჯანმრთელობის აღდგენა,უფლებებისა და კეთილი სახელის დაბრუნება.სოციალური რეაბილიტაცია,უწინარეს ყოვლისა,ნიშნავს დარღვეული სოციალური სამართლიანობის აღდგენას.

ჩვენს დროში განსაკუთრებით მწვავედ დგას **უდანაშაულოდ დაზარალებულთა სოციალური რეაბილიტაციის პრობლემა**.ნებისმიერი დაზარალებული ადამიანი ცოდვაა,მაგრამ განსაკუთრებით მაშინ,როდესაც ადამიანი დაზარალდა არა საკუთარი დანაშაულით,არამედ უდანაშაულოდ,ბოროტი ჩანაფიქრის ან მოვლენათა შემთხვევითი დატრიალების გამო.ამიტომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ ზრუნვა უნდა გამოიჩინოს უდანაშაულოდ დაზარალებულებზე,რომლებიც მსხვერპლნი გახდნენ.უნდა გაკეთდეს ყველა შესაძლო,რათა დაუბრუნდეთ დაკარგული დაზარალებულებს,უკიდურეს შემთხვევაში,რის დაბრუნებაც ჯერ კიდევ შეიძლება.განსაკუთრებით მაღალია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა იმათ წინაშე,ვინც დაზარალდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არაკანონიერ მოქმედებათა შედეგად.

არსებობს უდანაშაულოდ დაზარალებულ პირთა მთელი რიგი კატეგორიები.

ესენი,პირველ რიგში,**კანონსაწინააღმდეგო რეპრესიების მსხვერპლნი** არიან,სახელმწიფო ორგანოებისა და ცალკეულ პირთა მხრივ,თვითნებობისა და ძალადობის,ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი.

მეორე მხრივ,ესენია **ომების მსხვერპლნი**,რომელთაც დაკარგეს ჯანმრთელობა,დაინვალიდნენ და დაკარგეს საცხოვრებელი ბინები.ამ მიმართულებით ყველაზე მძიმე დანაკარგი მოუტანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს სამამულო ომმა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ,რომლის შედეგად უდანაშაულოდ დაზარალდა ათეულობით მლნ ადამიანი.სამწუხაროდ,გრძელდება სხვადასხვა მასშტაბის ლოკალური ქმედებები,რომელთა შედეგიც არის სიცოცხლის,ადამიანთა ჯანმრთელობის,ქონებისა და ფასეულობათა უდიდესი დანაკარგები.და ისევ მათ წისქვილის ქვაზე ხვდებიან უდანაშაულო ადამიანები,რომლებიც შემდგომ სოციალურ რეაბილიტაციას საჭიროებენ.

ესენი ისეთი **პირებია,რომლებიც სტიქიური კატასტროფების,უბედურებების და ავარიებისაგან დაზარალდნენ.** მხოლოდ ჩერნობილის ატომური ელსადგურის ავარიით გამოწვეული დანაკარგების ნაწილობრივმა კომპენსაციამ მრავალი მლრდ რუბლი შეადგინა. მიწისძვრების,წყალდიდობის და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგად ზარალობს ათეული ათასობით ადამიანი,რომლებიც შემდგომ სოციალურ რეაბილიტაციას საჭიროებენ.

უდანაშაულოდ დაზარალებულთა რიცხვს მიეკუთვნება ავადმყოფობის შედეგად დაინვალიდება,ეპიდემიის მსხვერპლნი,წარმოების მავნე პირობებისაგან დაზარალებულები,რომლებიც რეაბილიტაციას საჭიროებენ.

სახელმწიფოთაშორისი,რეგიონთაშორისი,ეროვნებათაშორისი კონფლიქტების შედეგად იზრდება უდანაშაულოდ დაზარალებულთა რიცხვი,წარმოიშობა მილიონობით იძულებით გადასახლებულები,რომლებიც სოციალურ რეაბილიტაციას საჭიროებენ.

8.სოციალური ქველმოქმედება

არსებობს ადამიანთა ისეთი თვისებები,კატეგორიები,როგორცაა„სიკეთე“,„თანაგრძნობა“,„გულშემატკივრობა“, „სხვისი უბედურების გაზიარება“.ცნობილია,რომ ადამიანი,პირუტყვისაგან განსხვავდება გონებით.მაგრამ,გარდა ამისა,ადამიანის,როგორც უმაღლესი არსებისათვის,არანაკლებ მნიშვნელოვანია ახლობლისადმი სიყვარულის გრძნობა.ქრისტიანობის ერთ-ერთი მცნება ტყუილად როდი აღიარებს:„გიყვარდეს ახლობელი,როგორც საკუთარი თავი“.ყველაზე კეთილშობილი და მსოფლიოში აღიარებული ადამიანები ამტკიცებ-

დნენ,რომ ადამიანის ბედნიერება ისაა,რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გახადონ ბედნიერი,და, რომ გაცემა უფრო სასურველია ვიდრე წართმევა.ასე,რომ,პრინციპი „გამცემის ხელი ნუ გაღატაკდება“,უმაღლესი მორალური წესი,ქცევის ნორმაა.

სამწუხაროდ,ჩვენს საზოგადოებაში მრავალი წლის მანძილზე უარყოფილი იყო მორალური ფასეულობები,ადამიანის ღირსება,ნამდვილი ღირსების და მორალის კოდექსები,ჰუმანიზმი,ადამიანთმოყვარეობა.თუკი ზოგჯერ გამოცხადდებოდა კიდევაც ასეთი ტიპის ლოცვა-„ადამიანი ადამიანის მეგობარი,ამხანაგი და ძმაა“-მაგრამ მასში გარდა ფორმალური ლოზუნგისა არაფერი არ იყო ჩადებული.

ამის შედეგად,საზოგადოებაში წარმოიშვა მტკიცე რწმენა,რომ სხვა ადამიანებზე ზრუნვა-სახელმწიფოს საქმეა,ხოლო თითოეული უნდა ზრუნავდეს მხოლოდ საკუთარ თავზე,ოჯახზე,ახლობლებზე და ნათესავებზე.ეს ნიშნავს,რომ სიკეთე,ურთიერთდახმარება ამოღებული იყო საერთოდ ცხოვრების წესიდან.გულშემატკივარი ადამიანები ყოველთვის იყვნენ და არიან ნებისმიერ საზოგადოებაში,გულმოწყალება ვლინდებოდა მრავალ სასიცოცხლო სიტუაციაში.მაგრამ იგი შეინიშნებოდა შემთხვევიდან შემთხვევამდე და არანაირად არ იყო სახელმწიფოს მხრივ ქცევის აღიარებული წესი.ასეთი იყო და რჩება კიდევაც მნიშვნელოვანწილად **სოციალური ზნეობრიობა.**

კარგად უნდა გავიგოთ დებულება,რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია თვითონ,კანონების დახმარებით გამოყოს სახელმწიფო სოციალური დახმარების ფონდები,რათა გაუძლოს სოციალური ეკონომიკის პრობლემებს.ყოველთვის,ოფიციალური, სავალდებულო სახელმწიფო დახმარების მიღმა აღმოჩნდებიან ათასობით ადამიანები,რომელთა ეფექტიანი დახმარების უნარი გააჩნიათ მხოლოდ ახლობლებს,რომლებიც უშუალოდ ხედავენ სხვათა უბედურებას და თანაგრძნობას ავლენენ მათდამი,შეუძლიათ უფრო ღრმად გაიგონ თუ რა ჭირდებათ მათ.

ამიტომ,**სოციალური ქველმოქმედება**,რომელიც,იმაში ვლინდება,რომ ერთნი უანგაროდ,შინაგანი გულისხმიერებით ეხმარებიან სხვებს,რითაც კი შეუძლიათ:ფულით,ნივთებით,მომსახურებით,რჩევებით,ზრუნვით, მკურნალობით,ნუგეშით-კეთილშობილებს,ადამიანის სინდისის აშკარა ნიშანია.

აქედან სრულებით არ გამომდინარეობს,რომ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ ყველას და ყველაფერში,ხატოვნად რომ ვთქვათ,თითოეულს ვინც კი გაგვიწვდის ხელს.ეს,სასურველობის შემთხვევაშიც კი უბრალოდ შეუძლებელია.როგორია გონივრულ ქმედებათა კრი-

ტერიუმი ამ შემთხვევაში?მსგავს სიტუაციაში უნდა მივმართოთ არა მხოლოდ გონებას,არამედ გულს.სულის ძახილი,ნამუსი,შინაგანი რწმენა გიკარნახებთ თქვენ,როდის არ შეიძლება გვერდის ავლა,არამედ საჭიროა თანაგრძნობა,დახმარება,თუკი თქვენ გული არ გაქვავდა.

სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანთი ნამუსიც,მისდიონ სხვების მაგალითს,მაგრამ მტკიცედ უნდა ავითვისოთ აზრი,რომლის თანახმად სიკეთე მხოლოდ მინიმალურად კეთდება ბრძანებით,გარეშე იძულებით,იგი უნდა მოდიოდეს საკუთარი ნებიდან,სურვილიდან,შინაგანი გამოძახილიდან.უკანასკნელთა არარსებობა მხოლოდ ხაზს უსვამს,რომ მოცემულ პიროვნებას არ გააჩნია ელემენტარული ადამიანური ღირსება.გზა სამოთხისაკენ მსგავსი ადამიანებისათვის შეკვეთილია.

9.ზრუნვა გარემობუნების შესახებ, როგორც სოციალური პროცესი

ადამიანი,საზოგადოება ცხოვრობს გარემობუნებაში,რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით ცხოვრება.ადამიანებს სასიცოცხლოდ ჭირდებათ მიწა,რომელსაც უნდა დაეყრდნონ,რომელზეც აშენებენ,თესავენ.წყალი,რომელსაც სვამენ,რომელშიც ბანაობენ,რომელიც ათბობთ,აცივებს,რწყავს,ჰაერი,რომლითაც სუნთქავენ,**ბუნებრივი სიმდიდრეები**,რომლებიც გამოიყენება წარმოებასა და მომსახურებაში.

ასე,რომ სოციალური ეკონომიკა,რომელიც შეისწავლის სოციალურ მოვლენებს ადამიანთა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში,ცხოვრების წესით და დონით,უდაოდ მოიცავს ეკოლოგიურ საკითხებს და პრობლემებს.აკი ეკოლოგია და ცხოვრება ერთმანეთთან დაკავშირებულია ხლართებით,რომლებიც სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება.ადამიანმა,უკეთესი ცხოვრებისაკენ ლტოლვით,იმდენად გარდაქმნა და უმოწყალოდ გამოიყენა ბუნება,რომ ცხოვრება ამის გამო ბევრად უფრო ცუდი და საშიში,უფრო მოკლე გახდა.

ამიტომ უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა **გონივრული წონასწორობის დამყარება** იმას შორის რასაც ბუნებისაგან ვიღებთ,რამდენედაც მასში ვერევით და იმას შორის,რასაც ბუნებას ვაძლევთ,რამდენადაც ვიცავთ,აღვადგენთ მას ახლანდელი და მომავალი თაობების ცხოვრებისათვის.ყველაფერი ეს ერთად აღებუ-

ლი,ქმნის ეკონომიკური ეკოლოგიის და სოციალური ეკონომიკის საგანს და ობიექტს.

ეკოლოგიის მნიშვნელობის შეგრძნება ვლინდება იმ საშუალებათა თანდათანობით გადიდებაში,რომელიც გამოიყოფა **გარემობუნების დაცვისა და აღდგენისათვის** სახელმწიფოთა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.ამასთან,ეს სახსრები ჯერჯერობით არასაკმარისია გარემო ბუნებაზე ნარმოების დამანრგეველი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის,რის გამოც ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწის რიგ ზონებში უარესდება.

ჩვეულებრივ,სანარმოთა და ადამიანების უპატივცემულო დამოკიდებულება გარემობუნებისადმი,მაშინათვე როდი ვლინდება.ისინი,ვინც მავნე ნარჩენებს ყრიან გარემობუნებაში,აბინძურებენ ნიადაგს და წყალს ნარჩენებით,თავიანთ ქმედებას და მის შედეგს არ ღებულობენ როგორც სოციალურს,რომელიც ზიანს აყენებს ადამიანთა ცხოვრებას და ჯანმრთელობას.მხოლოდ როდესაც ნათელი გახდება ასეთ ქმედებათა სოციალური შედეგები,საზოგადოება ატეხს განგაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს,რომ გარემობუნების დაცვა და აღდგენა განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური ეკონომიკის და სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1. რას ეწოდება სოციალური სფერო?
2. რომელ დარგებს აკუთვნებენ სოციალურ სფეროს?
3. რას ეწოდება ცხოვრების ხარისხი?
4. როგორია სოციალურ მოთხოვნილებათა სახეები?
5. რას ეწოდება შემოსავლის ინდექსაცია?
6. როგორია სოციალური დახმარების სახეები?

თავი მეცხრამეტე

ეკონომიკური ზრდა და მისი ტიპები

1.ეკონომიკური ზრდა, მისი გაზომვის ხერხები

ცხოვრება-როგორც ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები ამტკიცებდნენ-მოძრაობაა. ცოცხალი ბუნების მსგავსად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრებაც მუდმივ მოძრაობაში იმყოფება,რომელიც მრავალ თანდათანობით რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებში ვლინდება.**ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ეკონომიკის თანმიმდევრულ მოძრაობას,მის პროგრესს და განვითარებას.**

მაგრამ რატომ ხდება ეს?რა ძალები ამოძრავებენ ეკონომიკურ პროგრესს?

ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარების სირღმისეული მიზეზები რთულ და წინააღმდეგობრივ კავშირებში იმალება საზოგადოებრივ წარმოებასა და მისი საბოლოო დანიშნულებას-ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შორის.თვით ადამიანის ეკონომიკური მოთხოვნილებები წარმოების მიერ წარმოიშობა.ახალი პროდუქტის შექმნით და მასზე მოთხოვნილებების გაზრდით წარმოება უზრუნველყოფს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებს.

თავის მხრივ,უკვე დაკმაყოფილებული და ახალი მოთხოვნილების წარმოშობა განაპირობებს წარმოების განმეორების აუცილებლობას,მისი გაფართოებისა და სრულყოფის გზით,ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებები უხმობენ ისეთ „წარმოების საშუალებებს“,რომლებსაც შეუძლიათ მათი დაკმაყოფილება.სამმა უდიდესმა აღმოჩენამ-ცეცხლის აღმოჩენა,ბორბლის და მანქანის გამოგონება-ის ნანამძღვრები გახდა,რომლებსაც კაცობრიობა ყოველთვის,თითქოსდა განვითარების ახალ ზღვარზე გაყავდა,რომელიც იზომება როგორც „ეპოქა“.

საზოგადოების მოთხოვნილებები იზრდება და იცვლება თვისებრივი თვალსაზრისით.იგი, უწინარეს ყოვლისა იზრდება იმიტომ,რომ მატულობს მოსახლეობის რაოდენობა.მართლაც დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა ერთი ეპოქიდან მეორემდე თითქმის „გეომეტრიული პროგრესიით“იზრდება.ასე,მაგალითად,თუკი საუკუნეებში,რომელიც აგრარულ ეპოქას მიეკუთვნება,მოსახლეობის მატების საშუალო წლიური ზრდის ტემპები 0,1%-ს შეადგენდა,ხოლო განვითარებული აგრარული ეპოქა (XV-XVIII საუკუნეები) იძლევა მოსახლეობის საშუალო წლიურ მატებას,უკვე

0,2%-ის შესაბამისად,„სავაჭრო კაპიტალიზმი“(XVIII ს.) და „სამრეწველო კაპიტალიზმი“ ხასიათდება 0,4% და 0,9%-ის მაჩვენებლებით.ამის შედეგად დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა იზრდება წლითიწლობით:მხოლოდ უკანასკნელ 40 წელს მოსახლეობის რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა.მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში ყოველწლიური ზრდა თითქმის 75 მლნ-ს წარმოადგენდა.

იმავდროულად იზრდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება ადამიანთა მოთხოვნილებები.თანამედროვე ადამიანისათვის საკმარისი რომ ჰქონდეს საკვები,ტანსაცმელი,ჰქონდეს საცხოვრებელი ბინა,თუმცა ასეთი სიკეთეებისადმი მოთხოვნილებაც იზრდება;დღეს,განვითარებულ ქვეყნებში ადამიანს ჭირდება გადაადგილების ახალი საშუალებები,მომსახურებები ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში,განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში,სრულფასოვან და შინაარსიან დასვენებაში და ა.შ.ამ ობიექტურ პროცესებს,რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს,მეცნიერება აერთიანებს „მოთხოვნილებათა ამაღლების (გადიდების)“ კანონში.

რამდენადაც ადამიანთა რაოდენობა იზრდება,ხოლო მათი მოთხოვნილებები მატულობს,ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს იმ საქონელთა (სიკეთის) განუწყვეტელი მატება,რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.ისტორია მოწმობს,რომ **ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება იმით,თუ როგორ დონეზე შეუძლია მას ამის გადაწყვეტა.**

როგორ ,უნდა გავზომოთ ეკონომიკური ზრდა?

ეკონომიკური ზრდა მთელი საზოგადოების მასშტაბით წარმოდგენილია საქონელთა და მომსახურების წლიური წარმოების გადიდებით.ამიტომ ეკონომიკური ზრდის გამზომ მაჩვენებლად გამოდის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი(ეეპ).გარდა ამისა,ამავე მიზნებისათვის გამოიყენება ერთობლივი შიდა პროდუქტის(ეშპ) დინამიკა.ამასთან,მრეწველობაში მიიღება მხოლოდ რეალური ეეპ(ეშპ) -ის ცვლილებები.ეეპ-ის გადიდება მიმდინარე პერიოდის უფრო მაღალი ფასების ხარჯზე,ე.ი.ნომინალური(საფასო გამოხატულებით) ეეპ-ის ცვლილება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეკონომიკური ზრდა.მართლაც,თუკი მოცემულ წელს საბოლოო პროდუქციის საერთო მოცულობაში არანაირი ცვლილებები არ მომხდარა,ხოლო ფასები გაიზარდა,მაგალითად,4-ჯერ,ასეთი სიტუაცია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იქნებოდა თუ არა?ცხადია არა.

ეკონომიკური ზრდა მიღებულია გაიზომოს,როგორც აბსოლუტურ,ისე შეფარდებით სიდიდეებში (პროცენტებში წინა პერიოდის სიდიდესთან).მაგალითად,თუკი მოცემული წლის რეალური ეეპ

210 მლნ ლარი იყო,ხოლო წინა წლის -200,მაშინ,აბსოლუტური გამოხატულებით იგი გაიზარდა 10 მლნ ლარით(ანუ 50%-ით).

დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ეკონომიკური ზრდა იზომება „ზრდის წლიური ტემპებით".ეეპ-ის ზრდის წლიური ტემპის განსაზღვრისათვის,მოცემული წლის ეეპ-ის რეალური სიდიდიდან უნდა გამოვაკლოთ წინა წლის რეალური ეეპ-ის სიდიდე და მიღებული სხვაობა შევუფარდოთ წინა წლის ეეპ-ის რეალურ სიდიდეს,შედეგის პროცენტებში გამოხატვით.ეეპ-ის ზრდის ტემპების დამახასიათებელ მაჩვენებელთა ერთ მწკრივში მოცემით შეიძლება გამოვავლინოთ ეკონომიკური განვითარების მიმართულება,ტენდენცია.სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან შეხამებით, ასეთი ინფორმაცია ეკონომიკური ანალიზის საფუძველია,რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების გამომუშავებისა და მიღებისათვის სახელმწიფო დონეზე.

ცხადია,სხვადასხვა ტემპების შედეგი დამოკიდებული იქნება თითოეული პროცენტის „წონაზე"?ე.ი.ამოსავალ და შესადარის დონეთა მოცულობაზე.

ეკონომიკური ზრდის გასაზომად,განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე შედარებისას,ფართოდ გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი,როგორიცაა **„ეეპ-ის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე"**(და მისი ზრდის ტემპები).ეს მაჩვენებლები ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის დინამიკის დახასიათებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც:თუ როგორც გამოიყენება ეშპ,თუკი მისი სულ უფრო მზარდი ხვედრი წილი არამწარმოებლურად მოიხმარება(მაგალითად,წარიმართება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე),მაშინ, მით უფრო ნაკლებია მისი ხვედრი წილი,რომელიც მოდის მოსახლეობის უშუალო მოხმარებაზე.

რეალური ეროვნული პროდუქტის ერთნაირი სიდიდის პირობებში,მისი ის მოცულობა,რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის,დამოკიდებული იქნება მოცემული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე.მაგალითად,ინდოეთის ეეპ თითქმის 70%-ით აჭარბებს შვეიცარიისას,მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მისი ხვედრი წილით,ინდოეთი შვეიცარიას 60-ჯერ და მეტად ჩამორჩება.ამიტომ,თუკი ეეპ-ის ცვლილებას თუ გამოვიყენებთ,როგორც ცხოვრების დონის განმაზოგადებელ მაჩვენებელს,უნდა გავითვალისწინოთ ცვლილებები მოსახლეობის რაოდენობაში.მაგალითად,თუკი რეალური ეეპ-ი წელიწადში 1,5%-ით გაიზარდა,მაგრამ მოსახლეობის საერთო რაოდენობა ამ პერიოდში ასევე 1,5%-ით გაიზარდა,მოსახლეობის ცხოვრების დონეში არანაირაი ცვლილება არ მოხდება.**ცხოვრების საშუალო დონის გადიდებას**

იწვევს წარმოების მოცულობის (ეეპ) მხოლოდ ისეთი გადიდება,რომელიც მოსახლეობის ზრდას აჭარბებს.

2.ეკონომიკური ზრდის ტემპები

განასხვავებენ ეკონომიკური ზრდის ორ ტიპს-„ექსტენსიურს“ და „ინტენსიურს“.

საქონელთა და მომსახურების ექსტენსიური გადიდება ხდება წარმოების დამატებითი ფაქტორების-მიწის,შრომის და კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე,ამასთან, მათი თვისებრივი და ხარისხობრივი დონეები უცვლელი რჩება.მაგალითად,საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე წელს ერთვება დამატებით 2 მლნ ადამიანი,რომელთა მომზადების და პროფესიული დონე უწინდელი რჩება.თუკი წინა პერიოდში წარმოებაში მუშაობდა 10 მლნ ადამიანი,მაშინ შრომის უცვლელი საათების პირობებში,რომელიც გამომუშავებულია თითოეული მომუშავის მიერ,ეეპ გაიზრდება 20%-ით;იმავდროულად საჭირო იქნება დამატებითი წარმოების საშუალებები („შრომის საშუალებები,რომლებითაც აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი მომუშავეები,და „შრომის საგნები“-ნედლეული,მასალები და ა.შ.).როდესაც საზოგადოებას გააჩნია თავისუფალი გამოუყენებელი რესურსები,მას შეუძლია გაზარდოს საქონელთა და მომსახურების გადიდება ექსტენსიური გზით.

მაგრამ,როგორც ჩვენ ვიცით,საზოგადოების რესურსები,მათ შორის შრომითი რესურსები-უსაზღვრო როდია.ამიტომ უპირატესობა გააჩნია ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპს,რომლის დროსაც წარმოებულ საქონელთა და მომსახურების გადიდება მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე სრულყოფად ტექნიკურ და წარმოების ყველა ფაქტორთა უფრო ეფექტიანი გამოყენების ბაზაზე.ამ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე იხსნება შესაძლებლობა წარმოებულ საქონელთა რაოდენობისა და ხარისხის გადიდებასთან ერთად გადაწყვიტოს მრავალფეროვანი ამოცანები-უზრუნველყოს საზოგადოების წევრთა კეთილდღეობა,შექმნას წარმოების მომავალი განვითარების მატერიალური საფუძველი,მეტი სახსრები დააბანდოს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში,გარემოს დაცვაში,ქვეყნის თავდაცვაში და ა.შ.

თანამედროვე წარმოების განვითარებაში ექსტენსიური და ინტენსიური ზრდის ფაქტორები „მეზობლობენ“,ერთიანდებიან და ეხმარებიან ერთმანეთს.

ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპი გულისხმობს წარმოებაში ჩართული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზები მრავალფეროვანია.მაგალითად,ბუნებრივი რესურსებისათვის ეს ნიშნავს სასარგებლო თვისებების ყველაზე სრულ ამოღებას,ნედლეულის კომპლექსურ და სიღრმისეულ გადამუშავებას და ა.შ.

შრომის საშუალებათა თვალსაზრისით,რომლებიც საბაზრო ეკონომიკაში „ძირითადი კაპიტალის" ფორმით გამოდიან,ეს ნიშნავს მისი უფრო მწარმოებლური ელემენტების-მანქანების,ჩარხების,მოწყობილობის და ა.შ. გამოყენებას. შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციის დონეზე,მისი ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაზე და ასევე მომუშავეთა საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მდგომარეობაზე,მათ დამოკიდებულებაზე შესასრულებელი სამუშაოსადმი.სამუშაო ძალის ხარისხის დახასიათებაში არანაკლებ როლს თამაშობს მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა,რომელიც ადიდებს შრომით უკუგების ხანგრძლივობას და ინტენსივობას,მათ მიერ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

3.მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი"(მტპ),რამდენადაც სწორედ იგი, მისი მიღწევების გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის თანამედროვე ტიპს.

მტპ-ესაა წარმოებაში ტექნიკისა და ტექნოლოგიის თანმიმდევრული სრულყოფა და გავრცელება,მოქმედი მეცნიერულ-ტექნიკური პრინციპების ფარგლებში.

ეკონომისტები,განსაკუთრებით გამოყოფენ **„მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას"(მტრ)-თვისებრივ ნახტომს საზოგადოების წარმოებრივ ძალთა განვითარებაში,გადატრიალებას წარმოების ტექნიკასა და ტექნოლოგიაში.**

ამრიგად მტპ და მტრ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია და ერთმანეთს ეფარდებიან როგორც საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზრის განვითარების ევოლუციური და რევოლუციური ფორმები.მტპ-ს რევოლუციური ფორმა ნიშნავს გადასვლას თვისებრივად ახალ მეცნიერულ-წარმოებითი პრინციპების

გამოყენებაზე წარმოებაში (და არა მხოლოდ მატერიალურ,არამედ მომსახურების სფეროშიც).მაგრამ მტრ გარდაქმნის წარმოების მთელ ტექნოლოგიურ წესს,მის ყველა მხარეს და კომპონენტს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დასაწყისად გულისხმობენ XX საუკუნის 50-იან წლებს.იმ გარდაქმნათა ძირითადი მიმართულებები,რომლებსაც იგი იწვევს,შემდეგში მდგომარეობს:

—წარმოების ავტომატიზაცია,მანქანების შეცვლა პრინციპულად ახალი ტექნიკური სისტემებით,რომლებიც ცვლიან ადამიანის როლს და მდგომარეობას წარმოების პროცესში;

—ისეთი ტექნიკის შექმნა და გამოყენება,როგორიცაა ეგმ და წარმოების კომპიუტერიზაცია,ინფორმატიკას ტექნოლოგიური პროცესის ახალ რესურსად და ელემენტად გარდაქმნიან;

—ენერგიის ახალი სახეების და წყაროების აღმოჩენას და გამოყენებას.ატომურის,თერმობირთვულის და ა.შ.

—ბუნებაში აქამდე უცნობი,წინასწარ მოცემული თვისებების მქონე მასალების შექმნა და გამოყენება,რომლებიც გარდაქმნიან შრომის კონსტრუქციული საგნების სპექტრს:

—ახალი ტექნოლოგიების აღმოჩენა და გამოყენება (ქიმიური,ბიოლოგიური,ლაზერული და ა.შ.)რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოდის „მაღალ ტექნოლოგიათა“ სახელწოდებით.

საბოლოო ანგარიშში **თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განმაზოგადებელი ნიშანი ხდება მეცნიერების გადაქცევა საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად.**

მტრ ცვლის თვით მომუშავეს:თვისებრივად ახალ და უფრო მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს მის განათლებას,პროფესიულ ჩვევებს,საქმისადმი დამოკიდებულებას,უნარს სწრაფად გადაერთოს საქმიანობის ახალ სახეებზე,შესასრულებელი სამუშაოსადმი შემოქმედებით მიდგომასა და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკა უხმობს და აამოქმედებს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფაქტორსაც,როგორიცაა მეწარმეობა.იმისაგან,თუ რა დონეზე რეალიზდება მეწარმეობითი უნარი,ბიზნესის ორგანიზების ნიჭი,ყველაზე უფრო მაღალი სარგებლიანობით მისი წარმართვა,ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალი გზებისა და ხერხების პოვნა-არსებითად დამოკიდებულია წარმოების შედეგიანობა და მისი პოტენციალი.

ეეპ-ის მოცულობის გადიდებაში მთავარი წვლილი თანამედროვე პერიოდში შეაქვს შრომის მწარმოებლურობის ზრდას,და იმ ფაქტორებს,რომლებიც მას განსაზღვრავენ.

შრომის მწარმოებლურობის გადიდებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის **ტექნიკურ ფაქტორებს**.მათ წილად მოდის შრომის მწარმოებლურობის გადიდების დაახლოებით 60%.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპი,რომელსაც ტექნოლოგიურ რევოლუციას უწოდებენ(მის საწყისად ითვლება 70-80-იანი წლები), ნიშნავს„უმანქანო ტექნოლოგიათა" ფართო განვითარებას,როდესაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს პროდუქციის დამზადებისა და დამუშავების ახალი პრინციპები,მანქანების გამოყენების გარეშე.ჩვეულებრივი გაგებით ასეთ ტექნოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება ტექნოლოგიის პლაზმური,ელექტრო-სხივური,რადიაციული,ბიოლოგიური და სხვა სახეები.

მაღალ ტექნოლოგიათა გამოყენება ადიდებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს და საშუალებას იძლევა უფრო სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები გარემო ბუნებაზე არგამომფიტველად ზემოქმედების შედეგად და,რაც მთავარია-განაპირობებს საბოლოო პროდუქციის წარმოების მზარდ ეკონომიურობას,შრომის და წარმოების საშუალებათა დანახარჯების შემცირებას ერთ ერთეულზე გაანგარიშებით.ამის შედეგად გამოთავისუფლდება რესურსები იმ სფეროებში გამოსაყენებლად,რომელთა განვითარება ახასიათებს საზოგადოების წევრთა ცხოვრების ხარისხს.

ახალ პირობებში იცვლება წარმოების შედეგების შეფასება:წინა პლანზე გამოდის გამოშვებული პროდუქციის არა იმდენად რაოდენობა,რამდენადაც **ხარისხი**,მისი მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლება.

თანამედროვე განვითარების მეორე ნიშანია-წარმოების პროგრესული სტრუქტურის შექმნა,მეცნიერებატევადი დარგების ხვედრი წილის გადიდება,რომლებიც განასახიერებენ და უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნაყოფის განხორციელებას.

საბაზრო ეკონომიკაში წარმოება და მოხმარება უშუალოდ როდი არიან დაკავშირებული.მათი კავშირი გაშუალებულია ბაზრით,რომლის მექანიზმი მათ გარდაქმნის „მიწოდებისა" და „მოთხოვნის" ურთიერთქმედებად.და თუმცა მოთხოვნა მიწოდებით განისაზღვრება (მომხმარებლები ითხოვენ იმას, რაც წარმოებულია და მიწოდებულია ბაზარზე),მაგრამ **თვით ერთობლივი მოთხოვნის მოძრაობა გამოდის ეკონომიკური ზრდის აქტიურ ფაქტორად**.ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური თეორიაში მიღებულია ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ამ ასპექტში კლასიფიცირება,ე.ი.იმ ფაქტორების გამოყოფა,რომლებიც ერთობლივი მიწოდების და ერთობლივი მოხმარების მხარეს არიან.

ერთობლივი მოთხოვნის ფაქტორებისაგან დამოკიდებულია გაზრდილი ეროვნული „ღვეზელის“ გამოყენება და მომავალში მისი გადიდების შესაძლებლობები.თუკი იგი,ხატოვნად რომ ვთქვათ „მოთხოვნილი“,ე.ი.„შეჭმული“ არაა დღეს,მაშინ არ არის საჭიროება კიდევ უფრო დიდი „ღვეზელი“ „გამოცხობილი“ იქნეს ხვალ.თავის მხრივ, მოთხოვნა ყალიბდება მოქალაქეთა პირადი შემოსავლებით (რაც გამიზნულია მოხმარების მიზნებზე), სახელმწიფო ხარჯებით და ასევე საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნით (კაპიტალდაბანდებათა სიდიდით ინვესტიციებსა და მარაგებში).

4.ეკონომიკის ზრდის წყაროები და დანახარჯები

ეკონომიკური ზრდის წყაროები-ეს აუცილებელი პირობებია,რომლებიც შესაძლოდ ხდიან წარმოებულ საქონელთა და მომსახურების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებას დროის მოცემულ მომენტში.მათ ყოფენ „პირდაპირ“ და „ირიბ“ წყაროებად.

ეკონომიკური ზრდის პირდაპირ წყაროებს,უწინარეს ყოვლისა,მიეკუთვნება ის ეკონომიკური რესურსები,რომლებიც ქვეყანას გააჩნია წარმოებულ საქონელთა და მომსახურების მოცულობის გასაფართოებლად.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკური რესურსების გადაადგილებაზე ერთი რიგიდან მეორეში,ნაკლებმზარდიდან სწრაფადგანვითარებადში.მაგალითად,თუკი წარმოება მცირდება მრეწველობის დამმუშავებულ დარგებში,გამოთავისუფლებული შრომისა და კაპიტალის გადასაადგილებლად,მაგალითად,ელექტრონულ მრეწველობაში,საჭიროა დრო და მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯები.ზოგჯერ ასეთი გადაადგილება საბაზრო ეკონომიკისათვის ძნელადგადასაწყვეტი ამოცანა ხდება,რომელიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს სტრუქტურული გარდაქმნის პროცესებში.

ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა ის რესურსები,რაც ამ ქვეყანას გააჩნია-ესაა შიდა რესურსები.თვით ამ რესურსების მრავალფეროვნება,მათი სტრუქტურა და ხარისხი,ოპტიმალური შეხამების და წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების და ეკონომიკური ზრდის დინამიკას.

ამასთან,შესაძლოა ქვეყანას ჰქონდეს უმდიდრესი რესურსები,მაგრამ არ გააჩნდეს მათი ათვისების სახსრები,საჭირო კადრები,რომელთაც შეუძლიათ აამოქმედონ რთული ტექნიკა.ასეთ

მდგომარეობაში ხშირად აღმოჩენილა წინათ განვითარებადი კოლონიური და დამოკიდებელი ქვეყნები.

განსაზღვრული ეკონომიკური რესურსების უკმარისობით გამოწვეული შეზღუდვების დაძლევაში ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვნად ეხმარება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარება.იაპონიის გამოცდილება მოწმობს,მაგალითად,თუ ბუნებრივი რესურსებით ღარიბმა ქვეყანამ, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა და ეროვნული კაპიტალის გამოყენებით, როგორ შეძლო სწრაფი დაწინაურება მსოფლიო მოწინავე ქვეყნების რანგში.მრავალი ქვეყნის მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ნამცეცებად შეგროვებით და მათი სწრაფი და ეფექტიანი დანერგვით მან შეძლო ომისშემდგომ პერიოდში არა თუ მოკლე ვადაში აღედგინა მეურნეობა,არამედ დაეგროვებინა ისეთი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი და უზრუნველეყო ისეთი ეკონომიკური ზრდა,რომელიც ღირსეულად შეფასდა მსოფლიო საზოგადოების მიერ,როგორც „იაპონური სასწაული“.

ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებული წყაროა მოცემული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური უპირატესობათა ხასიათი,ეკონომიკური გარემოს სპეციფიკა,რომელშიც მოქმედებენ ეკონომიკური სუბიექტები,მისი მდგომარეობის,მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონისადმი და, უწინარეს ყოვლისა,საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალის-თვით ადამიანისადმი შესაბამისობა.

ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს,რომ საბაზრო ეკონომიკა,რომლის საფუძველია,-კერძო საკუთრება—ცდილობს თითოეული ადამიანის ძალისხმევით მიაღწიოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განხორციელებას.საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების,დიდი შემოსავლის მიღების სურვილით შეგულიანებული ადამიანები მათი შესაძლებლობების შესაბამის,რაციონალურ გზებს და ხერხებს ეძებენ ამ მიზნების მისაღწევად.

და პირიქით,ის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა,რომელიც უგულებელყოფს ან თრგუნავს ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესებს,რომელთა ხელებით და გონებით იქმნება ადამიანის ცხოვრების და საზოგადოების აყვავებისათვის საჭირო სიკეთეები,ეკონომიკური კატასტროფისთვის არის განწირული.

ეკონომიკური ზრდის წყაროებს შორის უნდა დავასახელოთ ეკონომიკური პოლიტიკა.მართლაც,საზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნილებათა დროული ასახვით,ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია გააქტიუროს ეკონომიკური ზრდა.ეს-ეკონომიკური ზრდის ყველაზე რთული და გაზომვის ძნელადდაქვემდებარებული წყაროა იმის გამო,რომ იგი ყოველთვის არაშესადარის პირობებში მოქმედებს.ქვეყნები,ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური წყობილები-

თაც კი,ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან და სხვადასხვა ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გააჩნიათ,სხვადასხვა ტრადიციები,ადამიანთა აზროვნების მიმართულებები გააჩნიათ.

სიტყვის ვიწრო გაგებით ეკონომიკური განვითარების წყაროდ გამოდის ინვესტიციები,ე.ი.ხახსრემის დამანდემა შემოსავლემის მომავალში გადიდემის მიზნით.იმავე იაპონიის გამოცდილება მოწმობს,რომ ინვესტიციების მაღალმა დონემ ეკონომიკის განვითარებაში შესაძლებელი გახადა იაპონიას მიეღწია და ხანგრძლივი დროით შეენარჩუნებინა ეეპ-ის მატების მაღალი ტემპები.ამასთან,მართალია,მხედველობაში უნდა მივიღოთ,რომ თავისთავად დიდი კაპიტალური დაბანდებები ჯერ კიდევ ვერ ნყვეტენ ეკონომიკური ზრდის პრობლემებს-მნიშვნელოვანი ისაა,თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ისინი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გზის არჩევა-თუ როგორ უნდა ნავიდეთ ეკონომიკური წინსვლის დასახული მიზნებისაკენ-გათვლილი გზით,ლიდერი ქვეყნების გამოდევნებით და მათი გამოცდილების გადადებით,თუ გზის გამკვლევთა ტვირთის საკუთარ თავზე აღებით,დანახარჯების გარისკვით ან ყველაზე ბარაქიანი „პრიზების“ მიღებით.

ეკონომისტთა გამოკვლევები უჩვენებს,რომ სახსრების დაბანდება საქონელთა და მომსახურების წარმოების გადიდებაში საბაზრო სისტემაში შემოსავლის გამრავლების შედეგს იძლევა.ამ ეფექტს „მულტიფლიცირებულ“ ეფექტს უწოდებენ,ხოლო რიცხობრივ მაჩვენებელს,რომელიც ასეთი გამრავლების ხარისხს უჩვენებს მულტიპლიკატორს (მაგალითად,თუკი 1 მლნ ლარის ინვესტიციებს 2,5 მლნ ლარი შემოსავალი მოაქვს,მაშინ მულტიპლიკატორი უდრის 2,5 მლნ ლარი)/მლნ ლარზე=2,5

ყოველთვის სასურველია თუ არა ეკონომიკური ზრდა?არსებობს თუ არა ეკონომიკური ზრდის ზღვარი?

უკანასკნელ ნლებში ეკონომისტები ეჭვს გამოთქვამენ შემდგომი ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე,ისეთი ქვეყნებისათვის,რომლებმაც ისეთ კეთილდღეობას მიაღწიეს,როდესაც მოსახლეობის უმეტესი ნანილის პირველრიგოვანი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია.ეკონომიკური ზრდის შემდგომი გადიდების საწინააღმდეგო არგუმენტები შემდეგზე დაიყვანება:

ეკონომიკური ზრდა,რომელიც ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ხორციელდება,ამრავლებს უარყოფით ეფექტებს-დატვირთვას აძლერებს გარემობუნებაზე,აუარესებს ადამიანის საცხოვრებელ ეკოლო-

გიურ გარემოს.წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად იზრდება ჰაერის დაგაზიანება,სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები,რომელთა ბუნებრივ გადამუშავებას ბუნება ვერ ართმევს თავს.იზრდება მანქანათა ნაკადები დიდი ქალაქების ქუჩებზე და მრეწველურად განვითარებული ქვეყნების გზებზე,იწვევენ რა ხერგილებს და საცობებს,საავარიო სიტუაციებს,რომლებშიც ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იღუპება.

ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო მეორე არგუმენტი ისაა,რომ ეკონომიკურ ზრდას არ შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა,როგორიცაა საზოგადოების ფენებად მზარდი დაყოფა,დიფერენციაციის გაძლიერება შემოსავლის დონის მიხედვით.

და მიუხედავად ეკონომიკური ზრდის თანმხლები ყველანაირი დანახარჯებისა,მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი.მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია,რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს თანამედროვე განვითარება,არა მხოლოდ ინახავს უარყოფით შედეგებს,არამედ,ამავე დროს გამოავლენს მათი შერბილების და დაძლევის ეკონომიკურ შესაძლებლობებს (თანამედროვე პერიოდში განვითარებული) ქვეყნების ხარჯების ხვედრი წილი გარემოს დაცვაზე,მუდმივად იზრდება).გარდა ამისა,განვითარების ინდუსტრიული ეტაპი-ობიექტური აუცილებლობაა და ყოველი ქვეყანა,რომელიც ამ ეტაპს გაივლის,იძულებულია არჩევანი გააკეთოს -მიიღებს თუ არა საკუთარ თავზე უარყოფითი შედეგების თანამდევ ტვირთს,თუ შეინარჩუნოს ინდუსტრიამდელი ეპოქების სიწმინდე და ბუნების ხელუხლებლობა,საკუთარი თავის განწირვით ამ ეპოქებისათვის დამახასიათებელი განვითარებისათვის.ბაზარი ეკონომიკურ პროგრესში შესაძლებლობას იძლევა ერთდროულად გადაჭრილ იქნეს წარმოების განვითარების პრობლემებიც და მოქალაქეთა კეთილდღეობის პრობლემაც და დიდი სახსრები გამოყოს ბუნების გადარჩენისათვის.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას ნიშნავს ეკონომიკური ზრდა?
2.როგორია ეკონომიკური ზრდის ტიპები?
3.რა მაჩვენებლებში იზომება ეკონომიკური ზრდა?
4.რა არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი?
5.როგორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახეები?
6.რა არის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია?
7.როგორია ეკონომიკური ზრდის წყაროები?

თავი მეოცე

ეკოლოგიური პრობლემები: მიზნები და ინსტრუმენტები

1.ეკოლოგიური პრობლემები:არსი და მიზნები

ეკონომიკურ თეორიაში ტრადიციულად განასხვავებენ სამ წარმოებრივ ფაქტორს-შრომას,კაპიტალს და მიწას.ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საცხოვრებელი გარემო განიხილებოდა როგორც **„თავისუფალი საქონელი“**(სიკეთე),რომლით სარგებლობა ხორციელდება უსასყიდლო საფუძველზე,მისი სიჭარბის გამო.ეკონომიკურმა განვითარებამ განსაზღვრა სიტუაციის ძირეული ცვლილება.დღეს გარემობუნება **„იშვიათი სიკეთეა“**,რომელიც იხარჯება წარმოებისა და მოხმარების პროცესში.

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკუსიებში ტერმინი გარემო ბუნება არაერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება.მისი განსაზღვრა ფორმულირებულია გარემობუნების საკითხების საექსპერტო საბჭოს მიერ:

„გარემობუნებაში იგულისხმება ცოცხალი ინდივიდის ურთიერთობათა კომპლექსი მის სპეციფიკურ გარემოსთან.გარემო- ბუნება მიეკუთვნება მუდამ ცოცხალ არსებას,ანუ განზოგადებით თუ ვიტყვით ბიოლოგიურ სისტემებს და არ შეიძლება არსებობდეს ან გამოყენებულ იქნეს მათგან დამოუკიდებლად.თუკი ვილაპარაკებთ ცოცხალ არსებებზე (ჩვეულებრივ,ადამიანზე),წინა პლანზე გამოდის სივრცობრივ-სტრუქტურული შეხედულება;ამისათვის,როგორც წესი,გარემობუნების საერთო სისტემის სტრუქტურირება ხდება ნაწილობრივ სისტემებად-ეკოსისტემებად.

მოტანილი განმარტება საკმაოდ ფართოა,ამიტომ გონივრულია გარემობუნება განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა ფორმით გამოყენებული ბუნებრივი რესურსი:

- **გარემობუნება,როგორც სამომხმარებლო სიკეთე (საქონელი).**გარემობუნებიდან ადამიანები მოიპოვებენ ისეთ სასიცოცხლო სიკეთეებს,როგორიცაა ჰაერი და წყალი,იგი დასვენების შესაძლებლობას და თავისუფალი დროის გატარების საშუალებას აძლევს მათ.
- **გარემობუნება,როგორც წარმოებრივი ფაქტორი.**გარემობუნება გვაძლევს ნედლეულს,რომელიც წარმოებრივი პროცესის აუცილებელი პირობაა,მაგალითად,წყალს,წიაღისეულს ან ენერ-

გიას,მიწას როგორც საწარმოო მოედნის და წარმოების ძირითადი საშუალების სახით.

● **გარემობუნება როგორც მავნე ნივთიერებათა დაგროვების ადგილი.**მავნე ნივთიერებებ...ისეთი,როგორიცაა ჩამდინარე წყლები,ნაგავი,გამოსხივება და ასევე ხმაური და ზედმეტი სითბო,გროვდება გარემობუნების მიერ და ნაწილობრივ შთაინთქმება (აბსორბცირდება) მის მიერ.

საფასო მექანიზმი,რომელიც,პრინციპში უზრუნველყოფს იშვიათი რესურსების ოპტიმალურ განთავსებას (ალოკაციას),ფიასკოს განიცდის გარემობუნების ყველა სიკეთესთან მიმართებაში იმის ძალით,რომ მათ საბაზრო ფასი არ გააჩნიათ.ამიტომ აუცილებელია ბუნებრივი გარემოს დაცვა და პოლიტიკა მისი დაცვის სფეროში.ჯერ ჩვენ განვიხილავთ ბუნებრივ გარემოზე დატვირთვის მიზეზებსა და დანახარჯებს,ხოლო შემდეგ ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნებს,პრინციპებს და ინსტრუმენტებს.

2.გარემობუნების დატვირთვის მიზეზები

გარემობუნების განვითარებით განპირობებულ მიზეზებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **მოსახლეობის ზრდას.**1950წ.მსოფლიოს მოსახლეობა 2 მლრდ კაცი იყო,1990წ.-უკვე 5,5 მლრდ,ხოლო ახალი ათასწლეულის დასაწყისში იგი 7 მლრდ კაცს მიაღწევს.გარკვეული გაანგარიშებით დედამიწის მოსახლეობა 2030 წელს 20 მლრდ კაცს მიაღწევს.მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევს.ერთი მხრივ,აუცილებელია სურსათის წარმოების გადიდება მიწის ინტენსიურ გადიდებასა და ნათესი ფართობების გაფართოების ხარჯზე,რაც ისეთ საფრთხეს ქმნის,როგორიცაა ეროზია,დამარილება,სასუქების და პესტიციდების გამოყენების გაფართოება.დაბოლოს,არსებითად იზრდება ნარჩენების და მავნე ნივთიერებათა მოცულობა.სულ უფრო მწვავდება მათი უტილიზაციის მოთხოვნა.

მოსახლეობის ზრდასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **მოსახლეობის კონცენტრაციის გადიდება მსხვილ ქალაქებში.**განვითარებად ქვეყნებს ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ გაუმკლავდნენ სოფლიდან ქალაქში „გაქცევის“ პრობლემას.მოსახლეობის სივრცობრივი კონცენტრაციის პირობებში სულ უფრო ინტენსიურად გამოიყენება გარემობუნების ელემენტები (ჰაერი,წყალი,მიწა),დამატებითი საფრთხე ექმნება გარემო ბუნებას,იზრდება მისი დატვირთვა.

ეკონომიკური ზრდა,გარემო ბუნებაზე უშუალო ზემოქმედების არარსებობის დროსაც კი იწვევს მისი დატვირთვის არსებით

გადიდებას.მოცემული თეზისი სწორია როგორც პირველადი (სოფლის მეურნეობაში,მაგალითად,კარდინალურად შეიცვალა ბუნებრივი ეკოსისტემა:წარმოიშვა მონოკულტურები;გამოიყენება პესტიციდები,რომლებიც ხვდება სასურსათო პროდუქტების მოხმარების ჯაჭვში,სასუქები,რომლებიც მნიშვნელოვნად აბინძურებს სასმელი წყლის ხარისხს და ა.შ.), ისე მეორადი სექტორისათვის (არაგანახლებადი წიაღისეულის მოპოვება.ენერგიის დიდი მოხმარება,სამრეწველო ნარჩენები,გამონაბოლქვი გაზები და ჩამდინარე წყლები და ა.შ.).მესამეულ სექტორში შეინიშნება ანალოგიური პროცესები-იზრდება ენერგიის მოხმარება საწარმოთა მიერ,იზრდება ე.ნ.„თეთრი ინდუსტრიის“,ე.ი.ტურიზმის შედეგები.ეკონომიკური ზრდა დაეყრდნო **ტექნიკურ ცვლილებებს**,რომლებმაც წარმოებრივ პროცესებსა და მოხმარების ჩვევებში ცვლილებების შედეგად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს გარემობუნებაზე.მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფოსფატების გამოყენება სარეცხ ფხვნილებში,აზოტის სასუქებისა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში,ერთჯერადი ბოთლებისა და შესაფუთი მასალების მოხმარებაში.მაგრამ გამორიცხული როდია,რომ **ბუნებრივი გარემოს** მნიშვნელობის გადამეტებული აღიარება უკუტენდენციებს გამოიწვევს მის განვითარებაში.

გარემობუნების სიკეთეთა წარმოება და მოხმარება არ რეგულირდება საფასო მექანიზმით,რამდენადაც **გარემობუნების სიკეთეებს**,როგორც წესი,ფასი არ გააჩნიათ.მიზეზი ისაა,რომ გარემობუნების სიკეთეები განსაზღვრული აზრით საზოგადოებრივი სიკეთეებია,რომელთა მიმართ, გამოყენებიდან **ამოღების პრინციპი** საერთოდ მიუღებელია ან მისაღებია არასრულად,რამდენადაც მათზე საკუთრების უფლება არ შეიძლება განისაზღვროს და გამოყენებულ იქნეს.უწინარეს ყოვლისა,ეს ეხება ატმოსფეროს ჰაერს,წყალსატევებს და ნაწილობრივ მიწას,როგორც მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ადგილს.

გარემობუნების სიკეთეთა გამოყენებისას,როგორც წესი,წარმოიშობა **უარყოფითი გარეშე ეფექტები**,ე.ი.საგარეო დანახარჯები.საქმე ეხება დანახარჯებს,რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებაში და არ აისახება საწარმოს აღრიცხვის სისტემებში (საშინაო) ან კერძო პირთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბიუჯეტების გაანგარიშებისას (ჰაერის დაბინძურება მრეწველობის მავნე გამონაფრქვევით და ავტომანქანების გამონაბოლქვი გზებით,სასმელი წყლის ხარისხის გაუარესება და ა.შ.), რამდენადაც ისინი წარმოიშობიან კერძო ხარჯებზე დამატებით,მათ ასევე **დამატებით სოციალურ დანახარჯებს** უწოდებენ.

რამდენადაც გარემობუნების სიკეთით სარგებლობა უფასოდ შეიძლება,ე.ი. სოციალური დამატებითი ხარჯები კერძო წესით არ ნაზღაურდება,გარემობუნების სიკეთის მოხმარება ერთი პირის მიერ და სარგებლიანობის დანაკარგები სხვა პირთა მიერ არ შედის „პირველი“ პირის გაანგარიშებებში.შედეგი კი გარემო-ბუნების სიკეთეთა ჭარბი გამოყენებაა.გარემობუნების მომსახურების ფასი,თუკი იგი წესდება,შემცირებულია.სხვა სიტყვებით,კერძო პირთა იძულება გარემობუნების ყაირათიანი გამოყენებით არ არსებობს(ან მეტისმეტად სუსტია).

გარემობუნებაზე დატვირთვის დანახარჯების „მოცვა“ და შეფასება ერთობ ძნელია.გარმანელმა მეცნიერმა ვიკემ წარმოადგინა სრული ეკოლოგიური ზარალის ბალანსი გფრ-სათვის 1968-1992 წლებში.1992 წლისათვის ზარალის დანახარჯებმა 200 მლრდ DM-ზე მეტი ანუ ეეპ-ის 6,8%-შეადგინა.სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეთა დანახარჯები გარემობუნების დაცვის საქმეში 1992წ. 37,5 მლრდ DM-ს შეადგენდა.

1994წ.მთლიანად გარემობუნების დასაცავად ხარჯების ხვედრი წილი ეეპ-ში შეადგენდა საფრანგეთში-1,1%,დანიაში 1,9%,გფრ-ში-1,7%.მაგრამ ასეთი სახის მონაცემები საშუალებას არ გვაძლევს შევაფასოთ გარემობუნების ხარისხი,რამდენადაც სუფთა გარემობუნების ეტალონის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მისი ნამდვილი დატვირთვა.

3.ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები და პრინციპები

გარემობუნების დაცვის 1971 წ.მიღებულ პროგრამაში გფრ-ს მთავრობამ ეკოლოგიური პოლიტიკა გამოაცხადა **დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ამოცანად**,როდესაც „ცხოვრების ბუნებრივი საწყისების დაცვა“ განიხილება ისეთი საზოგადოებრივი მიზნების თანაბრად,როგორიცაა უსაფრთხოება,განათლება,სოციალური დაცვა.პარლამენტისადმი მთავრობის მიმართვაში 1987წ. 18 მარტს წამოყენებულ იქნა იდეა კონსტიტუციაში გარემობუნების დაცვის შესახებ მუხლის შეტანის შესახებ,რაც განხორციელდა კიდევაც 1994 წელს.გფრ-ს კონსტიტუცია შევსებულ იქნა მე-20 ა მუხლით:„მომავალი თაობების შესახებ პასუხისმგებლობის აღებით,სახელმწიფო იცავს სიცოცხლის ბუნებრივ საფუძვლებს საკონსტიტუციო წესრიგის ფარგლებში კანონმდებლობის მეშვეობით და კანონითა და უფლებით ხელმძღვანელობით,აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით“.

რაში მდგომარეობს ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები?სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს:

- გარემობუნებისადმი ზარალის შემცირებასა და აღმოფხვრაზე;
- ადამიანის „საქმიანობის ახალი" მავნე შედეგების აღმოფხვრაზე თვით მისთვის და გარემობუნებისათვის.
- რისკის მინიმიზებაზე ადამიანისათვის,ცოცხალი და მცენარეული სამყაროს,ბუნებისა და ლანდშაფტის,გარემობუნების ელემენტებისა და ქონებისათვის;
- თავისუფალი სივრცის შენარჩუნებასა და გაფართოებაზე მრავალი თაობის სიცოცხლისათვის,ასევე გარეულ ცხოველთა სხვადასხვა სახეობების გამრავლებასა და ლანდშაფტის შეცვლაზე.

სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მომავალ თაობათა შენარჩუნება.„სტაბილური განვითარების პრინციპი",როგორც ეკონომიკური განვითარების წამყვანი საფუძველისა,პირველად ფორმულირებულ იქნა გარემობუნების დაცვის და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ 1987 წელს ბრუნდტლანდის ანგარიშში.

სტაბილური განვითარება,განისაზღვრება როგორც ისეთი განვითარება,რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელი თაობის მოთხოვნებს და იმის რისკს არ ატარებს,რომ მომავალი თაობები ვერ შეძლებენ საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

იმისათვის,რომ მომავალი თაობა უარეს მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ გარემობუნების ხარისხის და ბუნებრივი რესურსებით მომარაგების სფეროში,ბუნებრივი კაპიტალის მარაგები შენარჩუნებულ უნდა იქნეს მუდმივ დონეზე.

ამისათვის აუცილებელია ეკონომიკურ პრაქტიკაში შემდეგი პრინციპების დაცვა:

- არაგანახლებადი რესურსების მოპოვება დაიშვება მხოლოდ მაშინ,როდესაც მომავალ თაობებს შესაძლებლობა ეძლევათ მიმართონ მათ ალტერნატიულ შემცვლელებს.მაგრამ ასეთი რესურსების გამოყენებასთან ერთად საჭიროა ახალ ტექნოლოგიათა ათვისება (მაგალითად,განახლებად წყაროთა ხანგრძლივ გამოყენებაზე ორიენტირებულები).
- ჰაერსა და წყალში გამონაფრქვევები და ასევე ნარჩენების განთავსება არ უნდა აჭარბებდეს ბუნების მიერ მათი შთანთქმის (აბსორბციის) შესაძლებლობებს.
- განახლებადი რესურსები გამოიყენება იმ მოცულობით,რომელიც არ აჭარბებს მათი აღდგენის, „რეგენერაციის" ნორმებს.

საკმაოდ ზოგადი ფორმულირებები სხვადასხვა პრაქტიკულ გამოყენებას პოულობენ.მაგალითად,გარემობუნების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს 1992წ.კონფერენციის დროიდან ბუნების დაცვის პოლიტიკის შესახებ დისკუსიებში,მრავალ ქვეყანაში ჭარბობს ნახშირორჟანგის (CO_2) და „სათბურის ეფექტის"წარმომშობი სხვა გაზების გამოფრქვევის შემცირების მიზნის დაყენება,რაც,საერთო აღიარებით,შეაფერხებს კლიმატის შეუქცევად შეცვლას.**კლიმატის დაცვის** კონფერენციაზე მიღებულ კონვენციას შეუერთდა მსხვილი,მრენველურად განვითარებული ქვეყნების უმეტესობა.მასში,სხვებთან ერთად,დაყენებულია ნახშირორჟანგის და სხვა სასათბურე გაზების გამოფრქვევის შემცირების მიზანი მრენველურად განვითარებულ ქვეყნებში 2000 წლისათვის,1990 წლის დონეზე.გფრ-ს მთავრობამ,არა თუ მიიღო ეს მიზანი,არამედ ვალდებულება იკისრა 2005 წლისათვის CO_2-ის გამოფრქვევა ქვეყანაში 25-30%-ით შეამციროს,1987 წლის დონესთან შედარებით.გარდა ამისა,კონ-ვენცია ითვალისწინებს მრავალ სხვა ღონისძიებას,გარემოს დაცვის ცალკეულ სფეროებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით საქმე ეხება არა გარემოს მაქსიმალურ დაცვას,არამედ **გარემობუნების ოპტიმალურ ხასიათს**,რომელიც მაშინ მიიღწევა,როდესაც გარემობუნებისადმი ზარალის გარეშე დანახარჯების ჯამი და მისი აღმოფხვრის დანახარჯები მინიმიზდება.მაშასადამე,თუკი ზარალის აღმოფ-ხვრის დანახარჯები აჭარბებენ თვით ზარალის დანახარჯებს,მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით,მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია არახელსაყრელია.

4.ეკოლოგიური პოლიტიკის პრინციპები

მაგალითად,გარემობუნების პოლიტიკის განხორციელება გფრ-ში ემყარება ზოგიერთ ძირითად პრინციპს,რომელთა მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება დაყვანილ იქნეს გარემობუნებაზე დატვირთვის მიზეზების ფორმულირებაზე.მათ მიეკუთვნება:

- ბრალეულობის პრინციპი,
- თანამშრომლობის პრინციპი,
- გაფრთხილების პრინციპი და
- საზოგადოებრივი დატვირთვის პრინციპი

გარემოს დაცვის პოლიტიკის ღონისძიებები,რომელიც ორიენტგარკვეულწილადრაღაც ზომით ბუნებადაცვითი პოლიტიკის ლეიტმოტივს წარმოადგენს,იმაზეა მიმართული,რომ წარმოებისა და მოხმარების პროცესში ბუნებისადმი მიყენებული ზარალის გარეშე დანახარჯები (დამატებითი სოციალური ხარჯები),რაც შეიძლება

სრულად დაეკისროს მის გამომწვევს (ბრალეულს).ამრიგად,გარეშე ხარჯები საშინაო ხარჯებად გადაიქცევა (ინტერნალიზდება).ინტერნალიზაციის ინსტრუმენტს მიეკუთვნება ეკოლოგიური გადასახადები (გარემოს დაბინძურების გადასახადები),გარემოს დაცვის მითითებების,ბრძანების,აკრძალვების,ტექნოლოგიური და პროდუქტიული ნორმების და ა.შ.ფორმით.მაგრამ მოცემული პრინციპის პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია ზოგიერთ პრობლემებთან და განსაზღვრული ფარგლები გააჩნია.

გარემობუნებაზე დატვირთვის ბრალეულობის ხარისხის (დამნაშავის) განსაზღვრა ყოველთვის როდია შესაძლებელი.მიზეზი, ერთი მხრივ, ისაა რომ,არსებობს **კუმულიატივური ზემოქმედებები**,მეორე მხრივ, წარმოიშობა ზემოქმედებათა ჯაჭვი,რომლებიც თითქმის არარეალურს ხდიან ზარალის წყაროს განსაზღვრას,ასე რომ შეუძლებელია დანახარჯების განაწილება.მაგალითად,არსებობს ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზების გამოფრქვევის „ბრალეულთა ჯაჭვი",რომელშიც მონაწილეობს ავტომანქანების ყველა მფლობელი,საწვავის მწარმოებლები და გამყიდველები,რომლებიც გარემო ბუნებაზე დატვირთვას წარმოშობენ.

გარდა ამისა,წარმოიშობა სიტუაცია,როდესაც ბრალეული და მისი ხვედრი წილი გარემობუნებაზე დატვირთვაში **უცნობია** ან შეუძლებელია დანახარჯების სიდიდის დადგენა (გარემობუნებისადმი ზარალი მიყენებულია წარსულში ან გამოწვეულია უცხოელი ეკონომიკური სუბიექტის მიერ.)

დაბოლოს,ხშირად გაძნელებულია ბრალეულის **პრინციპის ადმინისტრაციული** განხორციელება,რამდენადაც,შესაბამის ორგანოებს არ შეუძლიათ მაკონტროლებელი ფუნქციის ეფექტიანი განხორციელება.მაგალითად,გაძნელებულია დატვირთვის კონტროლი ტრანსპორტის სფეროში ინდივიდუალურ დრალეულთა დანაშაულით.იმ შემთხვევებში როდესაც ბრალეულის პრინციპის გამოყენება შეუძლებელია,უნდა მივმართოთ სხვა პრინციპებს.

თანამშრომლობის პრინციპი გულისხმობს,რომ გარემო ბუნების მოსარგებლეები საერთო პასუხისმგებლობას კისრულობენ და მონაწილეობენ მისი დაცვის ღონისძიებებში ისეთი საქმიანობისაგან,რომლებიც მას ზარალს აყენებენ (მაგალითად გზების,ელსადგურების,ნაგავსაწყავი დანადგარების მშენებლობა).თეორიულად,მისი გამოყენება წონასწორობითი თანაფარდობის მიღწევის საშუალებას იძლევა ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის.მოცემული პრინციპი იდეალს წარმოადგენს გარემო ბუნების დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების ფორმირებისათვის,ამას-

თან, მნიშვნელოვანია დაბინძურების შედეგებით მოცული სუბიექტების დროული მოზიდვა.

თანამშრომლობის პრინციპი გამოიყენება,კერძოდ,დარგობრივ ხელშეკრულებებში გარემოს დაცვის უწყებას,დარგსა და მის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის.ასეთ ხელშეკრულებებში განისაზღვრება გარემოს დაცვის მიზნები.

თუკი დარგის საწარმოები ვალდებულებას კისრულობენ უარი თქვან გარემოს დამაბინძურებელ ქმედებებზე,მაშინ ლაპარაკია „თვითშეკავების შეთანხმებაზე“.თუკი ისინი მზად არიან გარემობუნების დამცავი ღონისძიებების გატარებაზე,საქმე გვაქვს „თვითვალდებულების შეთანხმებასთან“.

გაფრთხილების პრინციპი გულისხმობს გარემობუნების დაცვის ისეთ ღონისძიებათა გატარებას,რომელიც ზარალის მიყენების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემდა.იგი ორიენტირებულია ადამიანის სიცოცხლის საწყისების ფრთხილ გამოყენებაზე-მისი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე,ბუნებრივი წრებრუნვის შენარჩუნებაზე,არა მხოლოდ დღეს არამედ მომავალშიც ზარალის მიყენების თავიდან აცილებაზე,რათა მომავალ თაობებს დავუტოვოთ რაც შეიძლება სუფთა ბუნებრივი გარემო.

აღმოცენებადი ეკოლოგიური პრობლემები ზოგჯერ იმდენად რთულია,რომ შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია,როდესაც ჯეროვნად არ იმუშავებს ჩვენს მიერ განხილული არც ერთი პრინციპი.ასეთ შემთხვევებში გაითვალისწინება ღონისძიებები,რომლებიც შეესაბამება **საზოგადოებრივი დატვირთვის პრინციპს**,როდესაც ბრალეულის მოძებნის ნაცვლად საზოგადოებრივი ორგანოები ეცდებიან გარემობუნებაზე დატვირთვის შემცირებას საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე,მაგრამ ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაში საზოგადოებრივი დატვირთვის პრინციპი მხოლოდ დამატებით ხასიათს უნდა ატარებდეს.მისი როგორც ერთადერთი სტრატეგიის გამოყენება ნარუმატებლად დამთავრდებოდა(და არა მხოლოდ სახელმწიფო ფონდების შეზღუდულობის გამო.საერთოდ,საზოგადოებრივი დატვირთვის პრინციპის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები საბაზრო შეფასებას არ ექვემდებარება.ამიტომ რესურსების წარმართვისსაფრთხე იქმნება არა ყველაზე ეფექტიანი სფეროებისაკენი.

5.ეკოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტები

ეკოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტებში იგულისხმება გარემობუნების დაცვის მიზნების მიღწევაზე მიმართული სახელ-

მწიფო ღონისძიებები.ბუნებადაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად.

(ა) იმ პრინციპების მიხედვით,რომლებზეც ორიენტირებულია ისინი

(ბ) მათი კავშირებით(მათი არარსებობით) საზოგადოებრივ შემოსავლებთან ან ხარჯებთან;

(გ) საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობაში;

(დ) წრებრუნვის ეკოლოგია-ეკონომიკური სისტემის განაკვეთისაგან დამოკიდებულებით,რომელზეც ისინი გამოიყენებიან.

უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი,რომელიც საბაზრო პრინციპს არ შეესაბამება,ესაა ეკოლოგიური მითითებები(ბრძანებები აკრძალვები).ისინი,როგორც არაფისკალური ღონისძიებები,გამოდიან როგორც ეკოლოგიური პოლიტიკის კლასიკური ინსტრუმენტები,რომლებიც ხასიათდებიან სახელმწიფოს შედარებით მაღალი ზეგავლენით.მათთან შედარებით სხვა ინსტრუმენტების უმეტესობას მნიშვნელოვანი საბაზრო საფუძვლები გააჩნია.

ეკოლოგიური დანაწესების (სტანდარტები,ნორმები,წესები) გამოყენება გულისხმობს,რომ ზარალის მიმყენებელი იძულებულია შეამციროს დატვირთვა გარემოზე და საგარეო დანახარჯები აკრძალვები ითვალისწინებენ სრულ უარისთქმას ისეთ ქმედებებზე,რომლებსაც შეუძლიათ ზარალი მიაყენონ გარემოს(მაგალითი:DDT-ს გამოყენების აკრძალვა).მითითებებში შეიძლება დაშვებულ იქნეს გარკვეული დატვირთვები გარემოზე.„კონტროლირებადი ცვლადების“ სახით გამოიყენება **გამონაფრქვევები** (ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია),ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევები,რომლებიც დადგენილია ჰაერის დაბინძურების ტექნიკურ ნორმატივებში ასეთი ნივთიერებებისათვის,წარმოებრივი პროცესი(ნედლეულისა და დამხმარე მასალების ზოგიერთი სახეობების გამოყენების აკრძალვა,რომლებიც ძლიერ აბინძურებენ გარემოს,ისეთი ტექნოლოგიების დაყენება და გამოყენება,რომლებიც განსაზღვრულ ნორმატივებს შეესაბამება) ან თვით **წარმოება** (საქონლის წარმოების მოცულობის შეზღუდვა,რომელიც წარმოშობს მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევს განსაკუთრებით დიდი მოცულობით,რაც მნიშვნელოვანია,მაგალითად ჭვარტლის დროს;ან წარმოების შეჩერება).

დანაწესების უპირატესობაა, მათი ქმედითობა,საპასუხო რეაქციის უფრო მაღალი საიმედოობა,რომელიც დასახული შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა,ასევე მათი პრაქტიკული გამოყე-

ნების ფართო შესაძლებლობები.ნაკლოვანებები,უწინარეს ყოვლისა შემდეგში მდგომარეობს:

ა) გარემოს დაცვის მიზნების მიღწევის შედარებით მაღალი დანახარჯების შესაძლებლობებში,

ბ)კონკურენტული პროცესის დამახინჯების შესაძლებლობებში,

გ) იმის შესაძლებლობებში,რომ საწარმოები მკაცრად შეასრულებენ ნორმის დანაწესებს,თუმცა, მათ ისეთი პოტენციალი გააჩნიათ,რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ბუნებისადმი მიყენებული ზარალი(მაგალითად,ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით).

დადებითი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა **საბაზო სამართლებრივი პირობების** გამოყენება (მაგალითად,ეკოლოგიური სტანდარტების).აქ საქმე ეხება **გარემო ბუნებაზე მიყენებული ზარალის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღებას,სამოქალაქო პასუხისმგებლობის** ამაღლებას და ასევე უფრო ქმედით **ეკოლოგიურ კონტროლს და ანგარიშგებას.**

მეცნიერულ დისკუსიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ეკოლოგიური ლიცენზიების** შემოღებას.მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავს აცხადებს ბუნებრივი გარემოს ელემენტების მესაკუთრედ და აწესებს მოცულობებს,რომლებშიც საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ მავნე ნივთიერებათა შთანთქმის უნარი.

მოცემული შესაძლებლობის მოცულობის შესაბამისად დაინტერესებულ ფირმებს ფასიანი სერტიფიკატები-„დაბინძურების სერტიფიკატები“ეძლევათ.ამრიგად,მწარმოებლებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ გარემობუნების შესაბამისი ელემენტები.მაგალითად,აშშ-ში 1995წ.1 იანვრიდან პრაქტიკაშია გოგირდის ორჟანგის გამონაფრქვევის სერტიფიკატების გაყიდვა.

გარემოს დაცვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს შემოსავლებიც ეკოლოგიური ლიცენზიების გაყიდვიდან.ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფისკალურ ინსტრუმენტებთან.

როდესაც ფისკალურ ინსტრუმენტებზე ლაპარაკობენ,საქმე ეხება იმ ღონისძიებებს,რომლებიც ხორციელდება საზოგადოებრივი ხარჯების ანგარიშზე ან საზოგადოებრივი შემოსავლების დახმარებით.

გარემობუნების **საზოგადოებრივ ხარჯებთან** დაკავშირებულ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

(ა) საზოგადოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების გარემობუნების გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებები(მაგალითად,ორთქლით ცენტრალური გათბობის სისტემის ღონისძიებათა და-

ნერგვის,სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობის,ხმაურისაგან დაცვის,წყალსატევების გაწმენდისა და ქალაქის ტერიტორიების დასუფთავების ღონისძიებათა დაფინანსების მეშვეობით),

(ბ) კერძო ქმედებათა ინდუცირება დოტაციის გამოყენების მეშვეობით გარემოს დაცვის,გამოკვლევებისა და დამუშავებების წახალისებისათვის,

(გ) გარემოს დაცვის ინსტიტუტების დაფინანსება(ბუნების დაცვის,ბუნებრივი გარემოს კავშირების ფედერალური უწყებები),

ამ ინსტრუმენტების შესაძლებლობები მრავალფეროვანია,მაგრამ მათი ანალიზი ჩვენს ელემენტარულ შესავალ კურსს სცილდება.

გარემობუნების დაცვის პოლიტიკის საზოგადოებრივ შემოსავლებთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს მიაკუთვნებენ,უწინარეს ყოვლისა,ეკოლოგიურ ლიცენზიებს და ეკოლოგიურ მოსაკრებლებს.**ეკოლოგიური ლიცენზიების** შესახებ მოკლედ უკვე აღვნიშნეთ.სახელმწიფოს მიერ გაყიდვადი სალიცენზიო უფლებებით-გარემოს „ხარისხის“ კანონმდებლურად დაწესებული სტანდარტების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ვაჭრობა,მაგალითად,ბირჟაზე.მოცემული მიდგომის უპირატესობები ისაა,რომ:

ა) უზრუნველიყოფა გამონაფრქვევების პოლიტიკურად დადგენილი მაქსიმალური მოცულობის დაცვა;

ბ) ლიცენზირება სტიმულს აძლევს გარემობუნებისადმი ზარალის აცილების ყველაზე ეფექტიან ღონისძიებათა გამოყენებას;

გ) დაბინძურების პრობლემა წყდება საბაზრო წესით.

მაგრამ,მიუხედავად იმისა,რომ თეორიის თვალსაზრისით,ეკოლოგიური ლიცენზიები ერთობ ეფექტიან ინსტრუმენტებს წარმოადგენენ,არ უნდა ველოდეთ მათ მასშტაბურ გამოყენებას უახლეს პერიოდში.ლიცენზიებმა შეიძლება ბაზრისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამოიწვიონ,რაც ხელს უწყობს მონოპოლიზაციის ტენდენციას.გარდა ამისა,მისი მოწინააღმდეგეები ხშირად იყენებენ ემოციურ არგუმენტებს:ლიცენზიები ნიშნავს გარემობუნების გაყიდვას,და როგორ შეიძლება გაიყიდოს ერთერთი ჩვენი ყველაზე ფასეული სიკეთე?ამასთან,მხედველობაში არ მიიღება,რომ სახელმწიფო ნებართვის გაცემით,მაგალითად,ქვანახშირის ელსადგურის მშენებლობაზე,ჯერ კიდევ წარმოიშობა დატვირთვა გარემო ბუნებაზე,მაგრამ მისი კომპენსირების მექანიზმი არ არსებობს,ხოლო ბრალდებულს ზარალის შემცირების სტიმული არ გააჩნია.

რაც შეეხება **ეკოლოგიურ მოსაკრებლებს**,მისი გამოყენება წარმოშობს ეკოლოგიური პოლიტიკის ნორმებისა და მიზნების მიღწევის დაფინანსების სტიმულებს ან შესაძლებლობებს.

ეკოლოგიური მოსაკრებლების პრაქტიკის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ შემდეგი მათი უპირატესობები.მათი ეკონომიკური ეფექტიანობა უდავოა,რამდენადაც მოსაკრებლები საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს გარემოს მაღალი ხარისხი უმცირესი შედეგებით.მიღებული სახსრები გამოიყენება გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების დაფინანსებისათვის,რაც,ერთი მხრივ,ადიდებს მოგებას,ხოლო,მეორე მხრივ,-ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიათა პროგრესს.გარდა ამისა,მოსაკრებლები ერთნაირად „შეეხება“ ერთნაირი სიდიდის საწარმოებს.დაბოლოს ისინის საბაზრო პრინციპების შესაბამისი ინსტრუმენტებია.ცხადია,რომ მოსაკრებლების სიდიდის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პოლიტიკური პროცესის მსვლელობაში გააქტიურდებიან ძალები,რომლებიც ჯიუტად მოითხოვენ მათ შემცირებას.ამასთან,მოსაკრებლები მიბმული უნდა იყოს დაბინძურების შეფასებასთან,ხოლო ტარიფების დაწესების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფასების შესაძლო გადიდებაც.დაბოლოს ანგარიში უნდა გაეწიოს გადასახადის გადამხდელთა წინააღმდეგობას.უკვე დღეს სამრეწველო წრეები გამოთქვამენ მოსაზრებას ეკოლოგიური მოსაკრებლების საწინააღმდეგოდ,იმის მტკიცებით,რომ ეს მოსაკრებლები არ შეესაბამებიან საბაზრო პრინციპებს და განაპირობებენ კონკურენციის დამახინჯებას.

უკანასკნელ წლებში მეცნიერები და სახელმწიფო თანამდებობის პირები განიხილავენ ეკოლოგიურ პოლიტიკაში **საბაზრო ელემენტების** გამოყენების აუცილებლობას და შესაძლებლობას.ბაზარზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის მთავარი ნიშანი ისაა,რომ ეკონომიკურ სუბიექტებს,რომლებიც ზარალს არ აყენებენ გარემოს,ფინანსური და სხვა სტიმული ეძლევათ,რაც ეკონომიკური პოლიტიკის საზღვრების მოქნილ განსაზღვრას გულისხმობს.მხოლოდ „საბაზრო პოზიციებიდან“ უნდა გამოვიყენოთ მოგების მოტივი,მაგალითად,ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობის შემოღებით გარემო ბუნებაზე ზარალის მიყენებისათვის.მსგავს ღონისძიებათა გამოყენება ხელს უწყობს სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

6.გლობალური ეკონომიკური პრობლემები

გარემობუნების დაცვის პოლიტიკის განსაკუთრებული სირთულე იმაში მდგომარეობს,რომ დაბინძურების მრავალი სახეობა საერთაშორისო,ე.ი.გლობალურ მასშტაბს ღებულობს.პრინციპში, მსოფლიოს ყველა ქვეყანას მიუძღვის ამა თუ იმ ზომით ქრალი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში და დაზარალებულია.კონკურენციაში დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის საჭიროა საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ მიდგომათა გამოყენება ეკოლოგიურ პოლიტიკაში.მაგრამ ამისი ერთ-ერთი დაბრკოლება ისაა,რომ გლობალურ დონეზე არ არსებობს „უმაღლესი ინსტანცია",რომელიც შეძლებდა ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებას.გარდა ამისა,მსოფლიოს ქვეყნებს სხვადასხვანაირი შესაძლებლობები გააჩნიათ გარემოს დაცვის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის.ამიტომ ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის მაგალითი უნდა იყოს მრეწველურად განვითარებული ქვეყნები.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1) რას ვგულისხმობთ გარემობუნებაში და როგორია მისი ფუნქციები?

2)რაში მდგომარეობს „ეკოლოგიური პრობლემა"?

3)რატომაა ასე ძნელი გარემობუნებაზე დატვირთვის დანახარჯების შეფასება?

4)როგორ დაახასიათებდით ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად მიზნებს?

5)რაში მდგომარეობს „ბრალეულის პრინციპის" დამატებითი აუცილებლობა?

6)როგორია ფისკალური ინსტრუმენტების მნიშვნელობა გარემო ბუნებისდაცვისას?

7)როგორია ეკოლოგიური ლიცენზიებისა და ეკოლოგიური მოსაკრებლების უპირატესობები და ნაკლოვანებები?

8)რა იგულისხმება საბაზრო პრინციპისადმი შესაბამის ინსტრუმენტებში?

თავი ოცდამეერთე

ევროკავშირი და მისი სტრუქტურა

1.გზა საბაჟო კავშირისაკენ

ევროპული ქვეყნების განვითარების გამოცდილება ადასტურებს ევროპის გაერთიანებისაკენ მისწრაფების აუცილებლობას.ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე,განხორციელდა ახალი მცდელობა,რომელიც მიმართული იყო ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა პოლიტიკური ერთიანობის მიღწევისაკენ,50-იანი წლების დასაწყისში.

ასე,მაგალითად,1952წ. აღმოცენდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის თანამეგობრობა,რომლის პოლიტიკური მიზანი იყო სამხედრო წარმოების რესურსების ამოღება ეროვნული პასუხისმგებლობის ზონიდან.იმავე 1952წ.ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის თანამეგობრობის (ამიერიდან ევროპის თანამეგობრობის) ექვსმა ქვეყანამ-ბელგიამ,გფრ-მ, საფრანგეთმა,ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ევროპის თავდაცვითი კავშირის შექმნის შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების გეგმის შემუშავების შესახებ.

ამ გზაზე წარმოშობილმა რიგმა დაბრკოლებებმა(მაგალითად,საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარი თქვა ევროპის თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე) განაპირობა ორიენტაცია **ეკონომიკურ** ინტეგრაციაზე.

1957წ.ბელგიამ,გფრ-მ,საფრანგეთმა,იტალიამ,ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ხელი მოაწერეს რომის ხელშეკრულების ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის და ევროპის ატომის თანამეგობრობის (ევრატომი) შექმნის შესახებ.მისი მთავარი მიზანი იყო საბაჟო კავშირისა და საერთო ბაზრის შექმნა.ექვსთა საბაჟო კავშირი ვადამდე შეიქმნა,1968წ.ამ ხელშეკრულების პარალელურად (1965წ.8 აპრილიდან),თავდაპირველად,ქვანახშირის და ფოლადის ევროპის თანამეგობრობის,ევრატომის და ევროპის

ეკონომიკური თანამეგობრობის დამოუკიდებელი ინსტიტუტები გაერთიანდა ევროპის თანამეგობრობაში.

ინტეგრაციის დიდი წარმატებები აიხსნებოდა სწრაფი ეკონომიკური ზრდით,რომელმაც გააადვილა სტრუქტურული გარდაქმნა და ასევე იმითაც,რომ შიდადარგობრივმა საგარეო ვაჭრობამ,რაც თანამეგობრობის დამფუძნებელი ექვსი ქვეყნის განვითარების შედარებით ერთნაირი შედეგი იყო,არ გამოინვია მთელი რიგი ეკონომიკური დარგების გაქრობა.

განვითარების წარმატებებთან ერთად,ევროპის თანამეგობრობის წევრები რიგ პრობლემებსაც წააწყდნენ.დაახლოებით 1970 წლიდან საგარეო ვაჭრობა სულ უფრო აწყდებოდა არასატარიფო სავაჭრო ბარიერებს,წარმატებები თანდათანობით მცირდებოდა.ამასთან ერთად,სრული ჰარმონიზაციის მცდელობა ეროვნულ დონეზე,სახელმწიფოს მიერ რეგულირებად ყველა სფეროში(სოფლის მეურნეობა,ბანკები,დაზღვევა,ტრანსპორტი,ტელეკომუნიკაციები) წარუმატებლობისათვის იყო განწირული.განსაკუთრებით უხეში შეცდომა იყო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში 1959წ.მიღებული გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის რეგულირების შესახებ „საბაზრო წესრიგის“ სისტემის მეშვეობით,რამაც გიგანტური შეცდომები გამოიწვია რესურსების განთავსებაში და,ამრიგად,ძირი გამოუთხარა ევროპის თანამეგობრობის ავტორიტეტს.მთლიანად,1970-დან 1985 წლამდე პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მრავალი არასწორი მცდელობა ინტეგრაცია „წარემართათ“ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამდე.წარუმატებლობები,უწინარეს ყოვლისა,გამოწვეული იყო იმით,რომ ევროპის თანამეგობრობის წევრი ქვეყნები უმეტესწილად არ იყვნენ მზად უარი ეთქვათ ავტონომიურ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.მომწიფდა ახალი ინიციატივების დრო.

1985წ.გფრ-სა და საფრანგეთის ზეწოლით ევროპულ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა გადაწყვეტილება მიიღეს რომის ხელშეკრულების გაფართოების შესახებ.1985წ.მიღებულ იქნა და 1986წ.ივლისში ძალაში შევიდა **ერთიანი ევროპული აქტი.**

ერთიანი ევროპული აქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროპის თანამეგობრობის სისტემის განვითარებისათვის.იგი გულისხმობდა:

- ახალ მიზანს:„საშინაო ბაზარი-1992“
- კენჭისყრის რეგლამენტის ნაწილობრივ გაუქმებას,

● პოლიტიკის სხვა სფეროების გახანგრძლივებას და შევსებას ევროპის თანამეგობრობის ფარგლებში (მაგალითად,სოციალური,გარემოს დაცვის,საგალუტო პოლიტიკა),

● ახალი ორგანიზაციის-ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმით.

„საშინაო ბაზარი-1992"-ის პარალელურად,რომელიც ძირითადად უკვე შექმნილია,მიიღებოდა შემდგომი მცდელობები ევროპული ინტეგრაციის „წინსვლისათვის".1992წ.7 თებერვალს მასტრიხში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ,რომელიც ძალაში შევიდა 1993წ.1 ნოემბრიდან.ამის შესაბამისად,მომავალში ევროპის ინტეგრაცია უნდა წარიმართოს საბ საბაზისო ელემენტზე:

● ევროპის თანამეგობრობის შემდგომი განვითარებით (რომელიც ადრე ძირითადად მოიცავდა ეკონომიკურ ელემენტებს:საბაჟო კავშირს,ერთიან აგრარულ პოლიტიკას,სტრუქტურულ პოლიტიკას და საშინაო ბაზარს) ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამდე (I ელემენტი);

● „ერთიანი საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის" წესებზე(II ელემენტი);

● „იუსტიციისა და საშინაო საქმეებში თანამშრომლობას".

ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური ელემენტია,პირველი ელემენტი,ე.ი.ევროპის თანამეგობრობა. მისი უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა;მნიშვნელოვანი დამატებაა მრავალსაფეხურიანი გეგმა,რომლის მიხედვითაც 1999 წლის დასაწყისამდე უნდა მოხდეს გადასვლა ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე.ამასთან ერთად ფორმირებულ იქნა რიგი დამატებები ხელშეკრულებისადმი:

● კავშირის მოქალაქეობის შესაძლებლობათა შექმნა(ევროკავშირის ხელშეკრულების მე-8ა მუხლი).მაგალითად,საერთო შეხედულება ცხოვრების შესახებ და არჩევის უფლება ცხოვრების ადგილის მიხედვით.

1.ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით ევროპის თანამეგობრობაში იქმნება ტერმინოლოგიური პრობლემები.ისტორიულ კონტექსტში ჩვენ ვიყენებთ ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას ან ევროპის თანამეგობრობას როგორც ადრე გამოყენებულს,ხოლო ევროკავშირს-სხვანაირად.ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ძველი ხელშეკრულება გადაკეთდა ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულებად.ევროპის თანამეგობრობა არსებობს როგორც ევროკავშირის ნაწილი,ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა უკვე არ არსებობს.

- თანამეგობრობის საქმიანობის „სუბსიდირების“ პრინციპი;
- დამოუკიდებელი რეგიონალური ორგანოს შექმნა-„რეგიონების კომისიები“,რომელიც პოლიტიკურ პერსპექტივას ქმნის თანამეგობრობის სამსაფეხურიანი სტრუქტურის ფორმირებისათვის;
- ევროპის თანამეგობრობის უფლებამოსილებათა გაძლიერება;
- ევროკავშირისათვის ახალ უფლებამოსილებათა მიცემა განათლებისა და კულტურის სფეროში და ევროკავშირისათვის ახალ უფლებამოსილებათა და ამოცანების მიცემა ეკონომიკის მრავალ სფეროში.

ამრიგად,აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გაღრმავებაზე,ევროპის თანამეგობრობის პირველი ელემენტების ფარგლებში.მე-2 და მე-3 ელემენტებისათვის აქამდე გათვალისწინებული იყო მხოლოდ მთავრობათა თანამშრომლობის პროცესი ევროპის თანამეგობრობის ორგანოთა გარეშე.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელ ქვეყნებს (გფრ,ბელგია,საფრანგეთი,იტალია,ლუქსემბურგი და ნიდერლანდები),1973წელს მიემატა დანია,ირლანდია და დიდი ბრიტანეთი(„ჩრდილოეთით გაფართოება“),1995წ.-საბერძნეთი,1986წ.-ესპანეთი და პორტუგალია(„სამხრეთით გაფართოება“).დაბოლოს 1995წ.თანამეგობრობაში შევიდა ავსტრია,ფინეთი და შვედეთი.

დღეს ევროკავშირი მოიცავს 15 ქვეყანას 372 მლნ მოსახლეობით და მისი შიგა პროდუქტი 7000 მლრდ ეკიუს შეადგენს,იგი მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდი დახურული ბაზარია.მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ეშპ-ს მაჩვენებლით(18800 ეკიუ) ევროკავშირი ჩამორჩება მხოლოდ იაპონიას და აშშ-ს,მსოფლიოს ორ სხვა უმსხვილეს დახურულ ეკონომიკურ ბლოკს.

ევროკავშირის ფარგლებში შემდგომი ინტეგრაციის არსებითი დაბრკოლებაა ოფიციალური ენების მრავალრიცხოვნება.ოფიციალური ენაა:დანიური,გერმანული,ესპანური,ბერძნული,იტალიური,ფრანგული,ჰოლანდიური,პორტუგალიური,ფინური,შვედური და ინგლისური.კომისიის მიერ საგარეო სარგებლობისათვის გაცემული დოკუმენტები გადაითარგმნება ყველა ოფიციალურ ენაზე.საშინაო სარგებლობისათვის კომისია იყენებს სამ ოფიციალურ ენას:ფრანგულს,გერმანულს და ინგლისურს.ორიგინალური დოკუმენტები დგება,როგორც წესი,ფრანგულ ენაზე.

მაგრამ ევროპული ინტეგრაციის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.მოსალოდნელია ევროკავშირის გაფართოება და უნინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთით.მისი გაერთიანების განცხადება შე-

იტანეს თურქეთმა (1989წ.),მალტამ (1990წ),კვიპროსმა (1990წ,),შვეიცარიამ (1992წ.), უნგრეთმა (1994წ.),პოლონეთმა (1994წ.),ჩეხიამ (1994წ).გარდა ამისა მრავალი ხელშეკრულებაა დადებული აღმოსაელეთ ქვეყნებთან ასოცირების შესახებ. 1993წ.11-12 ივნისს ევროკავშირმა ჩამოაყალიბა წევრობის შემდეგი პირობები:„წევრობის წანამძღვარია კანდიდატი ქვეყნის ინსტიტუციონალური სტაბილურობა,როგორც დემოკრატიული წესრიგის გარანტია და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა,ადამიანის უფლებათა დაცვა და უმცირესობათა დაცვის უფლებათა მოწესრიგება;შემდგომ აუცილებელია მოქმედი საბაზრო ეკონომიკა:ასევე კონკურენციის გადატანის უნარი კავშირის ფარგლებში.შემდგომ,წევრობა ნიშნავს,რომ შესვლის ცალკეული კანდიდატები ვალდებულებას კისრულობენ (რაც მათი წევრობის შედეგია) და უნდა შეეძლოთ თავიანთი მიზანი გახადონ პოლიტიკური კავშირი და ასევე ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

2.რეგიონულად შეზღუდული ინტეგრაციის ბაზრების შანსები და რისკები

სავალუტო (სსფ) და სავაჭრო (მსო) სისტემების მსოფლიო წესრიგი საშუალებას არ იძლევა უზრუნველვყოთ მსოფლიო თავისუფალი ვაჭრობა.ძალზე დიდია განსხვავება ქვეყნებს შორის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების და მათი ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით.ყოველ შემთხვევაში ოპტიმალური სავალუტო სივრცე არ მოიცავს მთელ მსოფლიოს.ამიტომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილია რეგიონულად შეზღუდული ინტეგრაცია (ევროკავშირი-მისი წარმატებული განხორციელების შედეგია).

ორ უკიდურესობას-სრულ ავტარკიასა და სრულყოფილ მსოფლიო თავისუფალ ვაჭრობას შორის-არსებობს ინტეგრაციის შემდეგი ფორმები.

პრეფერენციალური ზონა:საბაჟო გადასახადების გაუქმება განსაზღვრული საქონლის ან ყველა პროდუქტიული ჯგუფებისათვის რიგი ქვეყნებისათვის (მაგალითად-ევროკავშირის საერთო პრეფენციალური სისტემა).

თავისუფალი ვაჭრობის ზონა:საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლება ზონის შიგნით,საბაჟო გადასახდელები გარეშე ქვეყნებისათვის,რომლებიც ერთიანი არ არიან (მაგალითად-თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია,რომელიც შექმნილია 1900წ.)

საბაჟო კავშირი:საშინაო საბაჟო გადასახადების გაუქმება,ერთიანი საგარეო საბაჟო გადასახადებით.ამ გადასახადებიდან შემოსულობათა განაწილებაწევრებს შორის(მაგალითად-ევროკავშირი).

ცნება „საერთო ბაზარი“ და „შიდა ბაზარი“ მეცნიერებაში არაერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება ევროკავშირის პრაქტიკისაგან განსხვავებით.

საერთო ბაზარი ნიშნავს თავისუფალ ვაჭრობას საქონლით და მომსახურებით და ასევე წარმოებრივ ფაქტორთა შრომისა და კაპიტალის შეუზღუდავ მობილურობას-(თავისუფალი ვაჭრობა,პლუს ფაქტორების მობილურობა).

საშინაო ბაზარი-პრინციპში „უფრო მაღალი ხარისხის საერთო ბაზარია“,ე.ი.საერთო ბაზარი სრული თავისუფლებით (არაწარმოებრივი საქმიანობის ჩათვლით),საზღვარზე კონტროლის გარეშე და ამიტომ წარმოების პრინციპების გარკვეული ერთიანობით.

ეკონომიკური კავშირი-საერთო ბაზარია,რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური პოლიტიკის (სტაბილურობის პოლიტიკის,კონკურენციის,ზრდის და ნაწილობრივ განაწილებითი პოლიტიკის) კოორდინაციასა და ჰარმონიზაციასთან,ნაწილობრივ ინტეგრირებული ინსტიტუციონალური ფორმით,როგორც მაგალითად ერთიანი ანტიმონოპოლიური კომიტეტი ან ერთიანი ცენტრალური ბანკი.

სავალუტო კავშირი გულისხმობს არა კორექტირებას დაქვემდებარებულ ფიქსირებულ გასაცვლელ კურსებს,რომლებიც დაკავშირებულია ვალუტათა განუსაზღვრელ და უცვლელ კონვერტირებადობასთან,არამედ,ასევე კაპიტალის მოძრაობის სრულ თავისუფლებას.ამ შემთხვევაში სავალუტო კავშირი შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთიანი ვალუტით.

ინტეგრაციის ყველაზე ინტენსიური ფორმაა-წევრი ქვეყნების სრული (და პოლიტიკური) შერწყმა ფედერაციული სახელმწიფოს ფორმით,რომლის შექმნაზე მიმართულია ევროკავშირის საქმიანობა.

ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარი უპირატესობაა თავისუფალი ვაჭრობისადმი მიახლოება,და მაშასადამე,თვით თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობა,რაც მოიცავს:

- უპირატესობებს დანახარჯებში ქვეყნის ყველაზე იაფ პროდუქციაზე, სპეციალიზაციის ხარჯზე, შედარებით ან აბსოლუტურადაც კი,
- მასშტაბის ეკონომიას,
- კონკურენციის გაძლიერებას.

მაგრამ ბაზრების რეგიონულად შეზღუდული ორიენტაცია საბაჟო კავშირის ფორმით ან (რეგიონულად შეზღუდულ) ეკონომიკური ან სავალუტო კავშირის პირობებში,ნიშნავს რომ თავისუფალი ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ რეგიონის შიგნით.იმავდროულად,უმრავლეს შემთხვევაში ძლიერდება კარჩაკეტილობა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ.აქ წარმოიშობა ე.წ.„გახსნილობის“ და „დახურულობის“(„კარჩაკეტილობის“) ეფექტები.

„გახსნილობის“ ეფექტის შესახებ ლაპარაკობენ მაშინ,როდესაც, მზარდი თავისუფალი ვაჭრობა ინტეგრაციის სივრცობრივ ჩარჩოებში იწვევს იმას,რომ უფრო მაღალი რეალური ხარჯების მქონე წარმოებები გადაადგილდება შედარებით დაბალი რეალური დანახარჯების რაიონებში.საერთოდ,გახსნილობის ეფექტები განსაკუთრებით დიდია შიდადარგობრივი ვაჭრობის პირობებში,ე.ი.როდესაც პარტნიორთა ასორტიმენტი ინტეგრაციის მიხედვით მსგავსია.სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტებით ვაჭრობისას გახსნილობის ეფექტი მცირდება.მოცემული ეფექტი ნაწილობრივ გვიხსნის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წარმატებებებს ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის საბაჟო კავშირის ფარგლებში,აკი მათ ძირითადად ანალოგიური ასორტიმენტის პროდუქცია გააჩნიათ.

„დახურულობის“ ეფექტის შესახებ ამბობენ მაშინ,როდესაც ინტეგრაციის სივრცის დანარჩენი მსოფლიოსგან განცალკევება იმას იწვევს,რომ უფრო დაბალი რეალური დანახარჯების წარმოებათა ადგილსამყოფელი საინტეგრაციო სივრცის გარეთ გადაადგილდება შედარებით მაღალი რეალური დანახარჯების ადგილზე.მაგალითად,ევროსაბჭოს საბაჟო გადასახადები შემოაქვს იაფი საქონლის ხორცის იმპორტზე,რაც ხელს უწყობს მის წარმოებას (მაღალი დანახარჯებით) კავშირის შიგნით.დახურვის ეფექტი ნიშნავს არაეფექტიან წარმოებას და,ამრიგად,კეთილდღეობის დანაკარგს როგორც ინტეგრაციის სივრცისათვის,ისე „დანარჩენი სამყაროსათვის“.

ამრიგად,ინტეგრაციის შედეგების შეფასება დამოკიდებულია იმაზე,თუ ამ ორიდან რომელი ეფექტია უფრო დიდი. კითხვაზე,თუ რა პირობებში ჭარბობს დადებითი ეფექტი უარყოფითს,შეიძლება მიღებული იქნეს თეორიული პასუხი,მაგრამ ჩვენ შევიზღუდებით იმაზე მითითებით,რომ,მაგალითად,ევროსაბჭოში ჭარბობდა გახსნილობის ეფექტი,რამაც ხელი შეუწყო მის ეტაპობრივ გაფართოებას და საგარეო საბაჟო გადასახადების შემცირებას.

ინტეგრაცია როგორც „მიწოდების შოკი“, განაპირობებს მიწოდების ზოგიერთ არსებით დანახარჯებს,სახელდობრ, ადამიანისეული(უმუშევრობის ან დეკვალიფიკაციის სახით),ფინანსური და რეალური კაპიტალის დანაკარგებს წარმოების შეჩერებისას

და ასევე ეროვნული ბიუროკრატიის უფლებამოსილებათა შეზღუდვას,რაც ინვევს შესაბამის დამცავ რეაქციას.

გამორიცხული როდია კეთილდღეობის გაუარესება „დანარჩენი სამყაროსათვის",რამდენადაც,ვაჭრობა ინტეგრირებულ სივრცესა და „დანარჩენ სამყაროს" შორის შედარებით მცირდება.მაგრამ შეიძლება ველოდოთ,რომ ზრდის რეგიონული ეფექტის ზემოქმედებით,კავშირის შიგნით მთლიანი პროდუქტი და ასევე იმპორტი ინტეგრაციულ სივრცეში იმდენად იზრდება,რომ „დანარჩენ სამყაროსთან" საგარეო ვაჭრობის ხვედრი წილის გადიდების დროსაც კი მისი მოცულობა აბსოლუტურ გამოხატულებაში უწინდელ დონეზე დარჩება ან გაიზრდება.

დაბოლოს ნებისმიერი საინტეგრაციო პროცესის ძირითად პრობლემად რჩება ნაწილობრივი ან სრული უარის თქმა დამოუკიდებელ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (კონვერგენცია) და უწინარეს ყოვლისა მაშინ,როდესაც ახალი სტანდარტები,ნორმები და წესები არ შეესაბამება ეროვნულ ფასეულობათა შესახებ წარმოდგენებს.ასეთ ფასეულობად, მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ გარემოს დაცვის ნორმები,ინფლაციის ტემპები ან წარმოების უსაფრთხოების ნორმატივები.კონვერგენციის პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ინტეგრაციის ახლადშექმნილი ინსტიტუტებისათვის.

3.ევროკავშირის ინსტიტუციონალური სისტემა

ევროკავშირი განსაკუთრებული სახის სახელმწიფო კავშირია,რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო სამართალში მიღებულ არც ერთ კლასიკურ სისტემას.ევროკავშირის შესახებ პირველ შთაბეჭდილებას იძლევა მისი ორგანოების სტრუქტურის ანალიზი.

ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია:

- კომისია,
- საბჭო(მინისტრთა საბჭო),
- ევროპის პარლამენტი (ევროპარლამენტი) და
- ევროპის სასამართლო.

ამათთან ერთად არსებობს სხვა ორგანოებიც,მაგალითად, ეკონომიკისა და სოციალურ პრობლემათა კომისია ან რეგიონების კომისია.უმაღლესი ორგანოა 15 წევრი ქვეყნის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა ევროპის საბჭო.

კომისია წარმოადგენს ევროკავშირის „ძრავს" და მის „ხელშეკრულებათა შემნახველ" ე.ი. მის მთავარ აღმასრულებელ ორგანოს,რომელიც:

● საბჭოს გადაწყვეტილებათა ან ევროსაბჭოს შესახებ ხელშეკრულების პირდაპირი გამოყენების (შესრულების ამოცანები) საფუძველზე ახორციელებს თანამეგობრობის პოლიტიკას;

● უზრუნველყოფს საერთო ბაზრის წესებისა და პრინციპების დაცვას(კონტროლის ამოცანები);

● წინადადებებს აყენებს თანამეგობრობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.ამასთან,კომისიას მონოპოლიური მდგომარეობა უკავია საბჭოსათვის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებისათვის (ინიციატივის გამოვლენის ამოცანები).

კომისიას სპეციალური უფლებამოსილება გააჩნია კონკურენციის სფეროში-კონტროლი კარტელების აკრძალვის სფეროში,ბო- როტ-ქმედებებზე,საწარმოთა შერწყმებზე და ასევე სახელმწიფოთა დოტაციებზე.გარდა ამისა, იგი წარმართავს ევროკავშირის ბიუჯეტს და მასთან კავშირის არ მქონე სხვადასხვა ფონდს და პროგრამას.

დღეისათვის კომისია შედგება 20 წევრისაგან.ხუთი მსხვილი მონაწილე ქვეყანა აწვდის ორ-ორ ასეთ წევრს(„კომისარს"),ხოლო დანარჩენი 10 სახელმწიფო-თითოს.კომისრები ინიშნებიან წევრი სახელმწიფოების მთავრობებისაგან, ურთიერთშეთანხმებით.მათი მუშაობის ხანგრძლივობა 5 წელია,შესაძლებელია განმეორებითი დანიშვნა.გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით.მნიშვნელოვანია,რომ კომისრები თავიანთ პოზიციაში მთლიანად დამოუკიდებელი არიან წევრი ქვეყნების მთავრობათა მითითებებისაგან,უფრო მეტიც,სახელმწიფოები უარს ამბობენ„თავიანთ წარმომადგენლებზე ზეგავლენის ნებისმიერ მცდელობაზე.

ყოველი კომისარი პასუხს აგებს საქმიანობის განსაზღვრულ სფეროზე,მაგალითად,საშინაო ბაზარზე ან ბიუჯეტზე და უფლება აქვს განკარგოს მასზე დაქვემდებარებული ერთი ან რამდენიმე, 22 ცენტრალური სამმართველოდან.ამრიგად,კომისია მართავს დაწესებულებას,რომლის მომსახურებათა რაოდენობა დაახლოებით 17 ათასი კაცია.

ევროსაბჭოში ხვდებიან წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.ევროკავშირის სამიტებზე განისაზღვრება კავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.ევროსაბჭოს გადაწყვეტილებები არსებითად,უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ორგანოს,**ევროკავშირის საბჭოს** (მინისტრთა საბჭოს) განაცხადებია.მის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობენ(შეფასება „ევროპულ კანონებში") ევროკავშირის მონაწილე ქვეყნების მინისტრთა კაბინეტის წევრები.წინადადებები „მეკავშირეთა კანონებისათვის" შემუშავდება ევროკომისიის,ევროადმინისტრაციის მიერ და წარედგინება ევროსაბჭოს.**ევროპარლამენტი** მონაწილეობს

კავშირის სამართლებრივი აქტების შემუშავებაში(სანამ მისი ზეგავლენა არ შეედრება ეროვნულ პარლამენტთა როლს).**ევროპის სასამართლო** აკონტროლებს ევროკავშირის კანონთა დაცვას.სარჩელის შეტანა შეუძლიათ როგორც წევრ სახელმწიფოებს და ევროკავშირის ორგანოებს,ისე ორგანიზაციებს და მოქალაქეებს.**ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების კომისიაში** წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ჯგუფები;იგი უპირატესად საკონსულტაციო ფუნქციებს ასრულებს.**რეგიონების კომისია** კონსულტაციას აძლევს საბჭოს და კომისიას რეგიონული ინტერესების ყველა საკითხზე.დაბოლოს **ევროპის საანგარიშო პალატა** (ჩვენებურად კონტროლის პალატა) ახორციელებს კავშირის ბიუჯეტის ზედამხედველობას.

საბჭო (მინისტრთა),ევროკავშირის მართვის უმნიშვნელოვანესი ორგანოა.იგი საკანონმდებლო ორგანოა,უფრო ზუსტად,იგი კანონის ძალას აძლევს კომისიის მიერ მისადმი წარმოდგენილ სამართლებრივ აქტებს.ამასთან ერთად საბჭოს ინიციატივისა და კონტროლის გარკვეული უფლება გააჩნია და მთლიანად,პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ცენტრს წარმოადგენს.

საბჭოს წევრებია წევრი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლები,ე.ი.როგორც წესი,მინისტრები.ამიტომ საბჭოს,მინისტრთა საბჭო ეწოდება.მინისტრები საბჭოში იკრიბებიან „სპეციალობის" მიხედვით,სხვა სიტყვებით,აგრარულ საკითხებში თათბირობენ მხოლოდ სოფლის მეურნეობის მინისტრები,ფინანსურ საკითხებზე მხოლოდ ფინანსთა მინისტრები და ა.შ.

საბჭო გამოსცემს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს,უწინარეს ყოვლისა გადაწყვეტილებებს და დირექტივებს.

დადგენილებები „ევროპულ კანონებს" წარმოადგენენ და სავალდებულო ძალა გააჩნიათ,უშუალოდ და ყველა ნაწილში,მონაწილე ქვეყნებისათვის და კერძო პირებისთვისაც,პირველობენ რა ეროვნულ კანონმდებლობაზე.

დირექტივები განსაზღვრავენ მიზნებს,მაგრამ მონაწილე ქვეყნების შეხედულებაზე ტოვებენ მათი მიღწევის ფორმებს და საშუალებებს.ამრიგად,ისინი განსაზღვრავენ საკანონმდებლო ფარგლებს,რომლებიც დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში (როგორც წესი, ერთიდან ორ წლამდე) უნდა გადაიქცნენ ეროვნულ კანონად.დირექტივებს ასევე უპირატესობა გააჩნიათ ეროვნულ უფლებასთან.

საბჭო გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უმრავლესობით,დიდი უმრავლესობით ან ერთხმად.ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებელია გადასახადების საკითხებზე,გადაადგილების თავისუფლებისა და მომუშავეთა უფლებების შესახებ;ყველა სხვა შემთხვევაში

გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა დიდი უმრავლესობით (არანაკლებ 62-სა,87 ხმიდან).დიდ ქვეყნებს,ისეთებს,როგორიცაა გერმანია,საფრანგეთი,იტალია და დიდი ბრიტანეთი 10-10 ხმა გააჩნიათ;ესპანეთს-8,ნიდერლანდებს,ბელგიას და პორტუგალიას 5-5,ავსტრიას და შვედეთს 4-4,დანიას,ირლანდიას 3-3 და ლუქსემბურგს 2 ხმა.ეს ნიშნავს,რომ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ორი მსხვილი ქვეყნის მოსაზრების საწინააღმდეგოდ,ხოლო გადაწყვეტილების მიღებას,რომელსაც ხმათა დიდი უმრავლესობა ჭირდება,შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს სამმა ქვეყანამ.

თუკი კომისიის ან საბჭოს გადაწყვეტილებები არ სრულდება,წევრ სახელმწიფოებზე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს (პრინციპში) მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლა.იურიდიულ და კერძო პირებზე შეიძლება ჯარიმების გავრცელება.(გამოიყენება ეროვნული სამართლის შესაბამისად).ევროსაბჭოს არ გააჩნია საკუთარი სასამართლო აღმსრულებელი.

ევროპარლამენტს შედარებით შეზღუდული უფლებამოსილებები გააჩნია,თუმცა დროთა განმავლობაში,გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მისი ზეგავლენის უფლება მუდმივად ფართოვდება.ევროპარლამენტის მონაწილეობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ხორციელდება ფორმათა საოცრად რთული ანაკრების მეშვეობით:

- ევროპარლამენტის საქმის კურსში ჩაყენება (შეტყობინება),
- ევროპარლამენტის აზრის გათვალისწინება,
- თანამშრომლობის პროცესი,
- შეთანხმების პროცესი და
- გადაწყვეტილებათა მიღებაში თანამონაწილეობის პროცესი.

პრინციპში ევროპარლამენტი ევროსაბჭოსა და კომისიის ინტეგრაციული პოლიტიკის კონტროლის ორგანოა.ამასთან ერთად,ევროპარლამენტი მონაწილეობს კანონშემოქმედებით პროცესში.არსებითად კანონმდებლობა ყალიბდება სამმხრივ პროცესში,ე.ი.კომისია აყენებს წინადადებას,ხოლო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ევროპარლამენტის მოსაზრების გათვალისწინებით.მაგრამ რიგ სფეროებში (საშინაო ბაზარი,მეცნიერული გამოკვლევები,ტრანსევროპული ქსელები,განათლება,კულტურა და ჯანდაცვა) ევროპარლამენტი გამოსცემს დადგენილებებს და დირექტივებს საბჭოსთან თანაბარი უფლებით.უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შემუშავებისას,ისეთის,როგორიცაა,მაგალითად, ახალი წევრების მიღება,საბჭო გამოთქვამს თავის მოსაზრებას

მხოლოდ პარლამენტის შეთანხმების შემდეგ.გარდა ამისა,პარლამენტი მონაწილეობს კომისიის დანიშვნაში.

დაბოლოს ევროპარლამენტის ძირითადი უფლებამოსილებები შეეხება საბიუჯეტო საკითხებს.არასავალდებულო ხარჯების მიხედვით,რომლებიც გათვალისწინებული არაა თანამეგობრობის კანონმდებლობით,პალმანეტს,განხილვის რთული პროცესის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია.

ევროპარლამენტი შედგება 626 დეპუტატისაგან,რომლებიც აირჩევიან უშუალო კენჭისყრით 5 წლის ვადით.დეპუტატები გადაწყვეტილებას ღებულობენ სხვისი მითითების გარეშე.

ევროპის სასამართლო პალატის ამოცანაა კანონის და განსაზღვრული ნორმების დაცვა ევროსაბჭოს ხელშეკრულებათა გამოყენებისა და განსაზღვრისას.ევროპის სასამართლო პალატისადმი მიმართვა შეუძლია ყველას ვინც პასუხს აგებს ევროსაბჭოს კანონთა გამოყენებაზე,და მაშასადამე, ევროსაბჭოს ორგანოებს,წევრ ქვეყნებს,და ასევე იურიდიულ და კერძო პირებს,რომლებსაც უშუალოდ შეეხება თანამეგობრობის გადაწყვეტილებები.მთავარია ევროსაბჭოს უფლებათა პრიმატი ეროვნულის წინაშე,ეროვნული კონსტიტუციის წინაშეც კი და,ამრიგად, ევროპის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებათა უპირატესობა ყველა ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილების წინაშე.

ევროპის სასამართლო პალატა ლუქსემბურგში მდებარეობს.მის შემადგენლობაში შედის 13 მოსამართლე,რომლებსაც მხარს უჭერს ექვსი გენერალური პროკურორი.ისინი ინიშნებიან წევრი ქვეყნების მთავრობათა მიერ 6 წლის ვადით.ევროპის სასამართლო პალატა ევროკავშირის ყველაზე დამოუკიდებელი ორგანოა,რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამეგობრობის დინამიურ განვითარებაში.1989 წლიდან ევროპის სასამართლო პალატაში შედის სასამართლო პირველი ინსტანციის 12 სასამართლოდან.

ევროსაბჭო შედგება 15 წევრი ქვეყნის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა და კომისიის პრეზიდენტისაგან,რომელთა მიმდინარე ურთიერთქმედებას მხარს უჭერს საგარეო საქმეთა სამინისტრო და კომიის ერთ-ერთი წევრი.საბჭოს სხდომა (სამიტი) ორჯერ იმართება წელიწადში.თავმჯდომარის ფუნქცია ყოველ ექვს თვეში ევროსაბჭოს სხვა ქვეყანაზე გადადის.ევროსაბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების უმაღლესი ორგანოა;ევროპის საქმეს იგი საერთო პოლიტიკურ იმპულსს ანიჭებს და კონკრეტული ამოცანები გააჩნია საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში და ასევე ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისას.

არ უნდა აგურიოთ ერთმანეთში ევროსაბჭო და ევროპის საბჭო.ევროპის საბჭოს,რომელიც შედგება ევროსაბჭოს 15 წევრი ქვეყნისაგან და 14 სხვა ევროპული სახელმწიფოსაგან,მიზნად აქვს მთელი ევროპის ერთიანობის განმტკიცება.მისი გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ.ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები ვალდებულია უზრუნველყონ კანონიერება,ადამიანის ძირითადი თავისუფლებები და უფლებები.

ევროსაბჭოს ცენტრალურ ორგანოებთან ერთად მასში ფუნქციონირებს რიგი სხვებიც.**ევროპის საანგარიშო პალატა** აკონტროლებს ევროსაბჭოს ბიუჯეტის კანონიერებას და ეკონომიურობას.

ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა კომისია ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციებს კომისიასა და საბჭოსთან.მასში მუშაობს ეკონომიკური და სოციალური ჯგუფების 222 წარმომადგენელი (პროფკავშირები,დამქირავებელთა კავშირები,მომხმარებელთა კავშირები და სხვა).

რეგიონების კომისია შედგება ასევე 222 წევრისაგან,რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს წარმოადგენენ.კომისია აფასებს შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებს,რომლებიც რეგიონების ინტერესებს შეეხება,ასევე გამოდის საკუთარი წინადადებებით.

ევროპის ცენტრალური ბანკი (მდებარეობს მაინის ფრან-ფურტში) ფუნქციონირებს ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის და ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის ფარგლებში.მისი ამოცანაა ერთიანი ევროპული ვალუტის (ევრო) მართვა.

ევროპის საინვესტიციო ბანკი გასცემს სესხებს და ცდილობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ასევე წევრი ქვეყნების საერთო ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართულ ღონისძიებათა დაკმაყოფილებას.

გარდა ამისა, ევროკავშირი წარმოადგენს ორგანიზაციას არადიდი დემოკრატიული ლეგიტიმურობით.აღმასრულებელი ხელისუფლება(კომისია) და საკანონმდებლო ხელისუფლება(საბჭო) მოქმედებენ პირდაპირი ლეგიტიმაციის გარეშე არჩევნებისა და პარლამენტის მეშვეობით.პირდაპირი საერთო არჩევნების საფუძველზე შექმნილი ერთადერთი ორგანო-ევროპის პარლამენტი-გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.

4.ევროკავშირის ბიუჯეტი

განსხვავებით სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან,ევროსაბჭოს შეზღუდული ფინანსური ავტონომია გააჩნია.მას საკუ-

თარი ბიუჯეტური შემოსავლები გააჩნია და ავტონომიურად განკარგავს თავის ხარჯებს.

ევროსაბჭო ფინანსდება **საკუთარი შემოსავლებით**,მათ მიეკუთვნება:

საბაჟო გადასახადები.ევროპის თანამეგობრობა საბაჟო კავშირია და ერთიან საბაჟო გადასახადს ამოიღებს საქონლის შემოტანაზე „მესამე" ქვეყნებიდან.მიღებული შემოსავლები წარიმართება .თანამეგობრობის ბიუჯეტში;1994წ.მაგალითად,მან 11,4 მლრდ ეკიუ შეადგინა.

აგრარული გადასახადი.საბაჟო გადასახადის ეს განსაკუთრებული სახეობა ამოიღება მაშინ,როდესაც თანამეგობრობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შემოიტანება მესამე ქვეყნებიდან,რომლის ფასი დაბალია თანამეგობრობაში არსებულზე.აგრარული გადასახადი მოწოდებულია განსხვავების კომპენსირება მოახდინოს უფრო დაბალ მსოფლიო ფასსა და ევროკავშირის უფრო მაღალ საშინაო ფასს შორის,ერთიანი აგრარული პოლიტიკის უზრუნველყოფით„მესამე ქვეყნების" მიმართ.აგრარულ შემოსავლებს მიეკუთვნება ასევე გადასახადები შაქარზე და .1994წ.მათგან შემოსულობებმა 10,1 მლრდ ეკიუ შეადგინა,ხოლო აგრარული გადასახადთან-0,9 მლრდ ეკიუ.

„ხვედრი წილი დღგ-ში".შემოსავლების ეს სახეობა ევროკავშირის დაფინანსების ძირითადი წყაროა (1994წ-36,4 მლრდ ეკიუ ანუ შემოსავლების 53%).შემოსავლების მსგავსი სახეობა შეზღუდულია იმით,რომ დღგ-ს განაკვეთი 1995 წლიდან 1999 წლამდე თანდათანობით უნდა შემცირებულიყო 1,4 დან 1%-მდე დაბეგრილი თანხიდან,ე.ი.საბოლოო მოხმარების მოცულობის სიდიდის 1%-მდე.იმავდროულად განსაზღვრულია,რომ დღგ-თი დასაბეგრი თანხა არ უნდა აღემატებოდეს წევრი ქვეყნის ეეპ-ის 50%-ს.[1]ეს წესი საშუალებას იძლევა მხედველობაში მივიღოთ განსხვავებები ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში,რამდენადაც უფრო ღარიბ ქვეყნებს ეეპ-ის მოხმარების უფრო მაღალი დონე გააჩნიათ.

შემოსავლები ეეპ-ის საფუძველზე(„ხვედრი წილი ეეპ-ში").რამდენადაც ზემოთ მითითებული მოსაკრებლები არასაკმარისი იყო და ისინი არ ითვალისწინებდნენ განსხვავებებს ქვეყნის განვითარების დონეში,1988წ.ევროსაბჭომ მიიღო გად

ა 1.ეს წესი სავალდებულოდ უნდა იქცეს სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვა დროს.ერთ სულ მოსახლეზე თანამეგობრობის საშუალო ეშპ-ზე 90%-ით ნაკლები ეშპ-ს მქონე წევრი ქვეყნებისათვის ეს წესი ძოქმედებს 1995 წლიდან,სხვა ქვეყნებისათვის იგი ძალაში შევიდა ქ999 წლიდან.

ეტილება შემოსავლების ახალი წყაროს შესახებ, „ხვედრი წილისა ეეპ-ში“.მხედველობაში მიიღებოდა ცვალებადი დამხმარე სიდიდე,რომელსაც უნდა დაეფინანსებინა დეფიციტი ევროსაბჭოს ბიუჯეტში.დასაბეგრი თანხა წევრი ქვეყნების ეეპ,ხოლო განაკვეთი დამოკიდებულია ბიუჯეტური დეფიციტის სიდიდეზე.

ევროსაბჭოს ბიუჯეტის შემოსავლები(მლნ ეკიუ) ცხრ.-1

	1980	1985	1990	1994წ.*
სულ	16065.7	28406,1	46469,1	68354,6
საბაჟო გადასახადები	5905,8	8310,1	10285,1	11359,4
აგრარული გადასახადები	1535,8	1121,7	1056,1	521,1
შაქრის და იზოგლუკოზის გადასახადი	466,9	1057,4	819,6	1118,0
ხვედრი წილი დღგ-ში	7258,5	15218,8	28967,8	36392,5
ხვედრი წილი ეეპ-ში	–	–	284,5	19725,5
სხვა ხარჯები	899,1	2698,0	5056,1	-1161,8

* გეგმა

წყარო:Institut der deutschen Wintschaft Internationale Wirtszahlen.1995

ევროსაბჭოს ხელთ არსებული სახსრების ხარჯვის წესის დასადგენად 1988წ.მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საგადასახდელო უფლებამოსილებათა ლიმიტის“ შესახებ,რომელიც ეეპ-ის ხვედრ წილებში გამოიხატება.

1993-1999 წლებისათვის ლიმიტის,ე.ი.ზედა ზღვარის ზრდა განსაზღვრულ იქნა 1,2-დან 1,27%-მდე დიაპაზონში.

ევროსაბჭოს შემოსავლების დინამიკისა და სტრუქტურის მიმოხილვა მოცემულია №1 ცხრილში.ეს ცხრილი გვიჩვენებს შემოსავლების არსებით ზრდას,რომლებიც 1980-დან 1994 წლამდე 4-ჯერ და მეტად გაიზარდა,ასევე მისი სტრუქტურის ცვლილებას „ხვედრი წილი დღგ-ში“ მუხლის სასარგებლოდ,რომელზეც მთელი შემოსავლების 20%-ზე მეტი მოდის.

სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება,მაგალითად,ახალი წევრი ქვეყნების შენატანები,რომელიც მათ შეაქვთ განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის მანძილზე მანამ სანამ ისინი არ დაიწყებენ ევროკავშირის დღგ-ს სისტემის გამოყენებას,მთავრობათა წინასწარი გადახდა ან ევროკავშირის პერსონალის ხელფასის გადასახადი.

ევროკავშირის ხარჯებში ჭარბობს დანახარჯები სოფლის მეურნეობაზე,1994წ.ხარჯების ეს მუხლი თითქმის 36 მლრდ ეკიუს,ანუ საერთო ხარჯების 52,4% შეადგენდა.გამოყოფილი ფულადი სახსრები გამოიყენება,უწინარეს ყოვლისა, ბაზრის რეგულირებისათვის.

მეცნიერულ გამოკვლევათა სფეროში სახსრების ნაწილი გამოიყენება საერთო პროგრამების დაფინანსებისათვის გამოკვლევათა და ტექნიკური განვითარების სფეროში.მათ მიეკუთვნება ინფორმაციული,საკომუნიკაციო და ბიოლოგიური ტექნოლოგიები,ფუნდამენტური გამოკვლევები და ახალ ტექნოლოგიათა გამოყენება,ინფორმაციული სისტემები და ტელეკომუნიკაციები ტრანსპორტზე,ენერგიის ახალი წყაროების ძიება და ოკეანის ფსკერის გამოკვლევა.

ევროკავშირის ბიუჯეტის ხარჯები(მლნ ეკიუ) ცხრ.-2

	1980	1985	1990	1994*
სულ	16290,4	28098,7	43324,8	68354,6
სასოფლო-სამეურნეო გარანტიები	11283,2	19725,9	24979,5	35787,0
სტრუქტურული პოლიტიკა და თევზჭერა	2484,1	3958,9	10368,1	21528,8
განათლება,სოციალური პოლიტიკა	36,6	77,7	331,3	539,5
ენერგია,საცხოვრებელი გარემო,შიგა ბაზარი	61,7	196,9	309,3	642,7
მეცნიერული გამოკვლევები	249,8	510,6	1429,4	2555,4
დახმარება განვითარებად ქვეყნებს და თანამშრომლობა	508,4	1084,7	1255,1	3347,3
სხვა ხარჯები	846,4	1248,0	2381,0	320,0
სამმართველო ხარჯები	818,7	1296,0	2298,1	3633,9

* გეგმა

წყარო:Institut der deutschen Wintschaft Internationale Wirtszahln.1995

დაბოლოს,3,3 მლრდ-მდე ეკიუ იხარჯება განვითარებად ქვეყნებზე დახმარებისათვის და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობაზე,ხოლო 3,6 მლრდ ეკიუს გამოიყენებს ადმინისტრაცია.ფედერაციული გერმანია ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ნეტო-გადამხდელია:მისი წმინდა შენატანები ევროკავშირის ბიუჯეტში 1993წ.23,1 მლრდ-ს ანუ თითქმის 19%-ის შეადგენდა.

5.ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა

ერთიანი აგრარული პოლიტიკის დაფინანსება ევროკავშირის ბიუჯეტის ხარჯების 2/3 შეადგენს და ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი (მოცულობით) სფეროა

ტრადიციულად სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ რეგულირებად სფეროს მიეკუთვნება მრავალ ქვეყანაში,რაც დეტერმინირებულია სოფლისმეურნეობრივი წარმოების სტრუქტურული დისპროპორციებით.

- სოფლისმეურნეობრივი პროდუქტები დაბალი კატეგორიის საქონელია,ე.ი.შემოსავლის მიხედვით ძალზე დაბალი ელასტიურობის საქონელი:შემოსავლის გადიდებისას მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე თუკი იზრდება,ძალზე უმნიშვნელოდ.
- მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ნაკლებელასტიურია ფასის მიხედვით,ე.ი.ფასების ცვლილება უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს მოთხოვნაზე.და პირიქით,მიწოდების ცვლილება იწვევს ფასების შედარებით ძლიერ ცვლილებებს.
- მაშასადამე წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვევდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების გაჭიანურებულ და ძლიერ დაცემას,რაც მიუღებელია შემოსავლების განაწილების პოლიტიკისათვის.

გარდა ამისა,მრავალი ქვეყანა ცდილობს თვითუზრუნველყოფას სურსათის ძირითადი სახეებით(„სასურსათო ავტარკია“),ხოლო სოფლის მეურნეობა მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა ევროპის მრავალ ქვეყანაში.ამიტომ ეკონომისტები აღნიშნავენ რომ სოფლის მეურნეობას არ შეუძლია ფუნქციონირება მხოლოდ კონკურენციის და თვითრეგულირების პირობებში,ხოლო დისკუსიები იმართება მისი დაცვის ადეკვატური ღონისძიებების გარშემო.

ხელშეკრულება ევროსაბჭოს შესახებ ითვალისწინებდა საერთო ბაზარს სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის.მაგრამ გზა ასეთი ბაზრისკენ ძალზე რთული იყო,რამდენადაც ეროვნული ბაზრები „საბაზრო გაგებით“ არ არსებობდა,უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო **რეგულირების საერთო (ერთიანი) პოლიტიკის** განვითარება,რომელიც ე.წ.**„აგრარული საბაზრო წესრიგისაგან“** შედგებოდა.მათი ძირითადი ელემენტებია:

- მსოფლიო ბაზრის დაცვა კონკურენციისაგან,აგრარული გადასახადების მეშვეობით (მოქმედი საბაჟო გადასახადები);
- გარანტირებული ფასები მეწარმეებისათვის,რომლებიც,როგორც წესი,წონასწორობით ფასზე მაღალია (ინტერვენცია).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 70%-სათვის მოქმედებს გარანტირებული ფასების სისტემა,და მაშასადამე,ისინი დაცულია მსოფ-

ლიო ბაზრის კონკურენციისაგან.მათ მიეკუთვნება მარცვალი,შაქარი,რძის პროდუქტები,საქონლის,ღორის და ცხვრის ხორცი,ხილის და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობები,ასევე სუფრის ღვინო. ზოგიერთი პროდუქტებისათვის,ისეთების როგორიცაა შინაური ფრინველი,კვერცხი,ყვავილები,ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობები,მოქმედებს დაცვა იაფი იმპორტისაგან.მთლიანობაში დაცულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით 95%.

ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ყალიბდება ისე როგორც სხვა საქონელთა ფასები მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების საფუძველზე.მაგრამ როდესაც მეწარმეთა ფასების განსაზღვრულ დონეზე ქვევით შემცირების საფრთხე წარმოიშობა,ძალაში შევა ფასების შენარჩუნების ღონისძიებები.ეკონომიკური წლის დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს ინსტიტუციონალურ ფასებს.განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **საორიენტაციო ფასს** (რაც ხელსაყრელია მწარმოებლისათვის) და საერთად,არსებითად უფრო დაბალ **საინტერვენციო ფასს.**რიგი აგრარული პროდუქტებისათვის (მაგ;მარცვალი) საინტერვენციო ფასი ნიშნავს ფასების საშინაო დონის ქვედა ლიმიტს,რამდენადაც ინტერვენციის განმხორციელებელმა ორგანოებმა უნდა შეისყიდონ მიწოდებული პროდუქციის მთელი მოცულობა.სხვა პროდუქტების მიხედვით მოქმედებს (მაგ.ღორის ხორცი)ისეთი საინტერვენციო მექანიზმი,როგორიცაა სუბსიდიები კერძო სასაწყობო ნაგებობებისათვის,სუბსიდიები გადამუშავებისათვის და ა.შ.

საფასო სუბსიდიების სისტემა,როგორც წესი,იწვევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითი ნამეტის შექმნას,რომელსაც შეისყიდიან,დაასაწყობებენ და შემდგომ ყიდიან და ანადგურებენ.მოცემული ღონისძიებები ფინანსდება ევროკავშირის ფარგლებში,სოფლის მეურნეობის რეგიონებისა და გარანტიების ევროპული ფონდის მეშვეობით.1992წ.მათი დანახარჯები 63,5 მლრდ DM-ს ე.ი.ევროკავშირის საერთო ხარჯების 53,3%-ს შეადგენდა.კერძოდ,ინტერვენციის ხარჯები კარაქისა და დიდი რაოდენობის ცილების შემცველი პროდუქტებისათვის (13,6 მლრდ DM ხორცის,კვერცხის და შინაური ფრინველის(13,1 მლრდ DM),მარცვლისა და ბრინჯის მიხედვით (11,2 მლრდ DM) და რძისა და რძის პროდუქტების მიხედვით (3 მლრდ DM)

საშინაო რეგულირებასთან ერთად ევროპის სოფლის მეურნეობის დაცვა იაფი იმპორტისაგან ხორციელდება საგარეო „ბარიერების" დახმარებითაც.„საბაზრო წესის" შესაბამისად საგარეო დაცვის საშუალებები მოიცავს **შემოტანის გადასახადს**

ანუ საბაჟო გადასახადს ან მათ კომბინაციას.შემოტანის ცვალებადი გადასახადის დახმარებით იმპორტული ფასი იზრდება გარკვეული სიდიდით,რაც საორიენტაციო ფასს შეესაბამება.ამრიგად,საშინაო ბაზარზე იმპორტული საქონელი არ შეიძლება მიწოდებულ იქნეს საორიენტაციოზე დაბალი ფასით, და მაშასადამე,ევროკავშირის აგრარული წარმოება ეფექტიანად დაცული აღმოჩნდება მსოფლიო ბაზრის კონკურენციისაგან.

შემოტანის გადასახადებთან ერთად იმპორტის ბარიერის სახით ევროკავშირი იყენებს „სარკისებურ ასახვას"-**საექსპორტო ანაზღაურებას**,რომელიც ექსპორტის დოტაციას წარმოადგენს,რაც ევროკავშირის მაღალ ფასსა და მსოფლიო ბაზრის უფრო დაბალ ფასს შორის განსხვავების კომპენსაციას წარმოადგენს.სხვა სიტყვებით,პროდუქციის მიწოდებისას რეგიონებში ევროკავშირის გარეთ,ექსპორტიორი ღებულობს მსოფლიო ბაზრის ფასს პლუს საექსპორტო ანაზღაურება.

საფასო მხარდაჭერის აღწერილი სისტემა ძალზე ძვირია.ევროკავშირის ბიუჯეტი იმდენად დამძიმებულია აგრარულ პრობლემათა ტვირთით,რომ სახსრები სხვა აუცილებელ ამოცანათა გადასაჭრელად,მაგალითად სტრუქტურული და რეგიონული პოლიტიკის სფეროში პრაქტიკულად არ რჩება.

გარდა ამისა,ზოგიერთი მიზეზით საფასო მხარდაჭერის სისტემა არაეფექტიანია,ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ განაწილების პოლიტიკის მიზნებს-მიუღებელი.

- ბიუჯეტური სახსრების დიდი ნაწილი წარიმართება საფასო მხარდაჭერაზე,პროდუქციის შესყიდვაზე,ადმინისტრირებასა და დასაწყობებაზე,საექსპორტო ანაზღაურებაზე,საქონელთა გამოყენების არაეფექტიანი ხერხების სუბსიდირებაზე (მაგალითად,გოჭებისათვის მშრალი რძის მიცემა,რომლის წარმოება ძვირია) ან განადგურებისათვის (გამოშვებული პროდუქციის).ამრიგად, „ჭურვები" მიფრინავს მთავარი მიზნის-მეწარმეთა შემოსავლების გადიდების გვერდის ავლით.სხვადასხვა შეფასებით გლეხები ღებულობენ ევროკავშირის მიერ აგრარული პოლიტიკის განხორციელებაზე გამოყოფილი სახსრების არა უმეტეს 20%-ს.
- საფასო მხარდაჭერის სისტემა ძირითადად იწვევს მიწის რენტის გადიდებას.ამრიგად,სისტემა მხარს უჭერს მიწის მესაკუთრეთა შემოსავლებს,ხოლო გლეხების უმეტესობა მოიჯარეებია.მაშასადამე,სარგებლობას ღებულობენ მსხვილი მიწათმფლობელები,და არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები.

● საფასო მხარდაჭერის სისტემა იწვევს ისეთი ფასების დაწესებას,რაც არსებითად აჭარბებს მსოფლიო ბაზრის ფასებს (400%-მდე).ამრიგად,საფასო მხარდაჭერის ტვირთი დაბოლოს,წარმოების ნაჭარბი ნიშნავს არსებით დატვირთვას საცხოვრებელ გარემოზე).

ეკონომიკური თვალსაზრისით ფასების გათავისუფლების პირობებში ყველაზე უფრო მისაღებია წარმოებისათვის ნეიტრალური ტრანსფერტები (შემოსავლების პირდაპირი დოტაციები)რასაც გლეხები მიიღებდნენ წარმოების მოცულობის მიუხედავად.მოცემული პროცესი გამოიწვევდა კონკურენციის აღდგენას და უსარგებლოს გახდიდა უზარმაზარ ინტერვენციებს.ევროკავშირის აგრარული რეფორმები გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

● შესყიდვათა შეზღუდვა წარმოებრივი ქვოტების განსაზღვრის მეშვეობით (მაგალითად „რძის ქვოტები");

● საინტერვენციო ფასების შემცირება;

● გლეხობის შემოსავლების დანაკარგების კომპენსაციის მოცულობის გადიდება,რომელიც შემოსავლების პირდაპირი დოტირების მეშვეობით ხორციელდება;

● ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოებრივი მეთოდების დანერგვის გაძლიერება.

6.ევროკავშირის რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკა

ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი პრობლემებია,ერთი მხრივ,კეთილდღეობის, მოგების არათანაბარი განაწილება მის რეგიონებს-წევრებს შორის,მეორე მხრივ,მათი არათანაბარი ცვლილებები.ამიტომ,რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკა ყოველთვის დაიჭერს ცენტრალურ ადგილს საინტეგრაციო პოლიტიკაში.ევროკავშირის პოლიტიკა მიმართულია რეგიონული განსხვავებების შემცირებაზე ფინანსური სახსრების სფეროში.სახსრები რეგიონების განვითარებისათვის ძირითადად გაიცემა სამი „ძველი" „სტრუქტურული ფონდიდან".

● რეგიონული განვითარების სამრეწველო ინვესტიციათა განხორციელებაში,სამუშაო შექმნაში,რეგიონების განვითარების პოტენციალის ათვისებაში;

● ევროპის სოციალური ფონდი,რომელიც აფინანსებს პროფესიული განათლების სისტემას,რომელიც უზრუნველყოფს სახსრებს მოსახლეობის ღარიბი ფენების არსებობისათვის და ქმნის სამუშაო ადგილებს.

● ევროპის ფონდი სოფლის მეურნეობის რეგულირებისა და გარანტიებისათვის-აგრარული რეგიონების გარდაქმნა,მინის ნაკვეთების დამუშავების შეწყვეტა,საცხოვრებელი გარემოს დაცვა.

1993 წ.ლიდან მათ მიემატა:

● თევზჭერის პირობების (განსაკუთრებული სტრუქტურის შექმნა თევზჭერის სექტორში „თევზჭერის ფონდის") რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტები და

● „გადაბმულობის ფონდი",რომლის ამოცანაა ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში საბერძნეთის,ირლანდიის,ესპანეთის და პორტუგალიის მომზადება და შესვლა.

მოცემული ფონდი „გადაბმულობის" პოლიტიკისა და თანამეგობრობის კონვერგენციის ძირითადი ინსტრუმენტია,რომელიც ხორციელდება ევროკავშირის. შესახებ ხელშეკრულების თანახმად.ამ პოლიტიკის რეალიზებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების მთლიანი მოცულობა 1994-1999წწ.141 მლრდ ეკიუს შეადგენს,პლუს დამატებით 15,5 მლრდ ეკიუ „გადაბმულობის ფონდისათვის" 1993-დან 1999 წლამდე.

გამოყოფილი სახსრები წარიმართება განვითარების შვიდი მიზნის მიღწევაზე,რომელთაგან პირველ სამს რეგიონული მიმართულება გააჩნია.

ფინანსური რესურსების რაოდენობა,რომელიც გამოყოფილია ევროკავშირის სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელებისათვის (მლრდ ეკიუ)

ცხრილი 3

	1994	1995	1996	1997	1998	1999	სულ
სტრუქტურული და თევზჭერის ფონდები	21,1	21,5	22,7	24,0	25,7	27,4	141,5
მათ შორის №1 მიზნის მისაღწევად დახარჯული ფონდები	13,2	14,3	15,3	16,4	17,8	19,3	96,3
„გადაბმულობის ფონდი"	1,8	2,0	2,3	2,5	2,6	2,6	13,7

წყარო:Amtsblatt der EG,Nr.L 193 vom 31.7.1993%EG-Informationen.Nr.1/1993.

o მიზანი პირველი ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკური ადაპტაციაა,რომელთაც ეშპ თანამეგობრობის საშუალო ეშპ-ს 75%-ზე ნაკლებია.

● მიზანი 2მეორე სამრეწველო რეგიონების ეკონომიკური მხარდაჭერა წარმოების შემცირებადი მოცულობით.

● მიზანი მე-5ბ:„სტრუქტურულად სუსტი“ სასოფლო-სამეურნეო რეგიონების ეკონომიკური დივერსიფიკაცია.ასეთ რეგიონებს მიკუთვნება დაბალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის რეგიონები,რომელთათვის დამახასიათებელია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი ხვედრი წილი,შემოსავლების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში,მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე და რეგიონიდან გადასახადების ტენდენციები.

დანარჩენი მიზნები ფორმირებულ იქნა კავშირისათვის მთლიანად.

● მე-3 მიზნის მიღწევის ფარგლებში უნდა წარიმართოს ბრძოლა ხანგრძლივი უმუშევრობის წინააღმდეგ და შემსუბუქებულ იქნეს ახალგაზრდობისა და ასევე იმ პირების „ჩართვა“,რომელთაც ემუქრება შრომის ბაზრდან გამოდევნა.

● მე-4 მიზანი-მომუშავეთა ადაპტაციაა სამრეწველო გარდაქმნათა პროცესებისადმი და ასევე წარმოებრივ სისტემათა შეცვლისადმი,უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა მეშვეობით.

● მე-5ა მიზანი-ერთიანი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში აგრარული სტრუქტურებისა და თევზჭერის სტრუქტურათა უზრნველყოფაა.

ამ მიზნების მიღწევა იგეგმება ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში.გარდა ამისა,მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე ქვეყნებისთვის,ე.ი.ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის,რომლებიც ევროსაბჭოში შედიან,ფორმულირებულ იქნა კიდევ ერთი მიზანი(მიზანი 6)

განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი მოიცავს დაბანდებებს ყველა სახის ინფრასტრუქტურაში,სუბსიდიებს საწარმოთა ინვესტიციებისათვის,განათლებაზე,კვალიფიკაციის ამაღლებაზე,ტურიზმის მხარდაჭერაზე.სასტუმროების მშენებლობის მეშვეობით ევროკავშირის მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში,როგორც წესი,25-75%-ია და დაფინანსება ხორციელდება შესაბამის მთავრობათა მიერ.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რას ნიშნავს საბაჟო კავშირი?
2.რას ნიშნავს სავალუტო კავშირი?
3.რას ნიშნავს ეკონომიკური კავშირი?

4.რას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის გადასახადი?

5.რა არის საინტერვენციო ფასი?

6.რაში მდგომარეობს ინტეგრაციის პრობლემები?

7.რას ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის გადასახდელი და საექსპორტო სუბსიდიები ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის?

8.აგრარული სექტორი თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რატომ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ?

თავი მეცხრამეტე

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები და მსოფლიო ეკონომიკა

1.მსოფლიო მეურნეობა:არსი და პრინციპები

საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობა ვლინდება არა მხოლოდ სასაქონლო ფულად ურთიერთობათა განვითარებით ქვეყნის შიგნით,არამედ სულ უფრო მზარდი ინტეგრირებით მსოფლიო ეკონომიკაში.

ნატურალური მეურნეობა ისტორიის კუთვნილება გახდა.დღეს ძნელია ეკონომიკის შემოფარგვლა ქვეყნის საზღვრებით,პირიქით,ეს უკანასკნელი სულ უფრო გამჭვირვალე ხდება ეკონომიკურად.ამასთან,იზოლირებას დღეს არავინ ცდილობს,ყოველ შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისით.ქვეყნებს შორის ვაჭრობა,მიზანმიმართული ეკონომიკური თანამშრომლობა,მსოფლიო სამეურნეო კავშირების გაფართოება,შრომის საერთაშორისო დანაწილება საგრძნობ შედეგებს იძლევა.ეკონომიკური ურთიერთზემოქმედებისა და ინტეგრაციის საფუძველზე ყალიბდება მსოფლიო ეკონომიკა.

მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის ფორმირებაში,ურთიერთკონტაქტების გაღრმავებაში,ქვეყნის ეკონომიკის საგარეო ბაზარზე ორიენტირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ურთიერთქმედების ახალი ფორმების გამოყენება,რომელიც შორს სცილდება ტრადიციული სავაჭრო კავშირების საზღვრებს.

თანამედროვე პერიოდში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება ეკონომიკური პროგრესის გზაზე, მსოფლიო სამეურნეო კავშირებისაგან განცალკევებით.ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ საშინაო პოტენციალით,არამედ ასევე შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მონაწილეობის მასშტაბების ხარისხით,მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის საერთაშორისო ხასიათით,პლანეტის რესურსების საერთო მდგომარეობით.

მსოფლიო თანამეგობრობა ლაპარაკობს 3000-მდე ენაზე,და მასში 300-ზე მეტი დასახელების ეროვნული ფული მიმოიქცევა,მაგრამ,ამასთან,წინააღმდეგობრივი და ძალზე ჭრელი მსოფლიო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია როგორც არასდროს.ეს გლობალური მთლიანობა და ურთიერთდამოკიდებულება ემყარება რიგი ეკონომიკური რესურსების საერთო გამოყენებას,გლობალური პრობლემების ერთად გადაჭრით დაინტერესებას და ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას.

დიდხანს არსებობდა ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ქვეყნების დაყოფა სამ ჯგუფად:სოციალისტურ,კაპიტალისტურ და განვითარებად (მესამე სამყაროს ქვეყნები) ქვეყნებად.ამ იდეოლოგიურმა კლასიფიკაციამ ამოწურა თავისი თავი.უფრო მიზანშეწონილია მსოფლიო თანამეგობრობის კლასიფიკაცია სამეურნეო სისტემათა სპეციფიკის ნიშნით.აქედან გამომდინარე, გამოყოფენ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს;განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს (მას მიეკუთვნება საქართველო;და არასაბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს.საბაზრო მექანიზმის განვითარებულობის ხარისხის მიხედვით ამბობენ დაბალი-საშუალო და მაღალგანვითარებული ქვეყნების შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყოფენ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (აშშ,გერმანია,იაპონია),მაღალშემოსავლიანი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს(საუდის არაბეთი,ქუვეითი),ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს (სამხრეთი კორეა,მექსიკა,სინგაპური,ჰონკონგი,ბზარილია),მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებს (ჩადი,ბანგლადეში,ეთიოპია),სახელმწიფოთა რეგიონულ კავშირებს და საინტეგრაციო დაჯგუფებებს (მაგალითად,ევროპის თანამეგობრობა ან სსრკ-ს ნანგრევებზე აღმოცენებულდამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი).

თანამედროვე პერიოდში თითოეული ქვეყნის ეკონომიკა ნებსით თუ უნებლიეთ ხვდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მზარდ დამოკიდებულებაში.ეს ვლინდება კავშირების მრავალფეროვნებაში,რომლებიც ქვეყნებს შორის ყალიბდება.დღეს ცალკეულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად არ შეუძლია არსებობა სხვებისაგან იზოლირებულად.ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის როდი შემოიფარგლება საგარეო ვაჭრობით,საქონელგაცვლით.იგი მოიცავს კაპიტალის მოძრაობას ქვეყნებს შორის,სავალუტო ურთიერთობებს,სამუშაო ძალის მიგრაციას,სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები საეაჭრო,საწარმოო,მეცნიერულ-ტექნიკური,ფინანსური კავშირების ფართო კომპლექსია ქვეყნებს შორის,რომელიც იწვევს ეკონომიკური რე-

სურსების ურთიერთგაცვლას,მრავალმხრივ ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას.

თავისუფალი სახელმწიფოების არსებობა განაპირობებს განსხვავებას ცალკეული ქვეყნის ეროვნულ ბაზრებსა და მსოფლიო ბაზარს შორის,რომელსაც რიგი თავისებურებები გააჩნია.მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა.მასზე ვლინდება არა მხოლოდ საერთო,არამედ დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური ინტერესები.განსხვავებები არსებობს საქონელთა და წარმოების ფაქტორთა გადაადგილების ხარისხში ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის.საერთაშორისო ვაჭრობაში გამოიყენება სხვადასხვა ვალუტა.მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია საქონლის ფასების განსაკუთრებული სისტემის-**მსოფლიო ფასების** არსებობა.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ზრდით,შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებით,სახელმწიფოთა ეკონომიკური დამოკიდებულების გაძლიერებით თანდათანობით ყალიბდება მსოფლიო მეურნეობა.

მსოფლიო მეურნეობა-ესაა ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა მათი განვითარების დონისა და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად,რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო სისტემით.

ეკონომიკურ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის დიდი ხნის ისტორია გააჩნია.ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში ძველი ეგვიპტე,საბერძნეთი,რომი ვაჭრობდნენ სხვა ქვეყნებთან.

ქვეყნები ერთმანეთს უცვლიდნენ უპირატესად ხელოსნობის ნაკეთობებს,ძვირფას ლითონებს,ფუფუნების საგნებს,სანელებლებს,სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.მიუხედავად ამისა,საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი იყო მცირე მასშტაბები და ეპიზოდური ხასიათი.საერთაშორისო ვაჭრობას შესამჩნევ დაღს ასვამდა ომები,ყაჩაღობა და მისთ.

გარდა გამონაკლისისა,საგარეო ვაჭრობას შეზღუდული ხასიათი გააჩნია.ყოველი ქვეყანა ცდილობდა,პირველ რიგში,საკუთარი თავის უზრუნველყოფას თავისი საქონლით,მაშინ როდესაც სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობა მოიცავდა წარმოების პროდუქტების უმნიშვნელო რაოდენობას.ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება ფერხდებოდა ასევე ფულის სუსტი მონაწილეობით საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში:საგარეო ვაჭრობის ძირითად ნაწილს პირდაპირი,ნატურალური საქონელგაცვლის ფორმა გააჩნდა. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთი-

ერთობათა მზარდი მნიშვნელობა დაკავშირებულია მრეწველობის,მანქანური ინდუსტრიის ფორმირებასა და განვითარებასთან,რომელმაც ბიძგი მისცა საერთაშორისო სამეურნეო კავშირების ზრდას.ახალი დარგების და წარმოების სახეობათა წარმოშობამ,შრომის მწარმოებლურობის გადიდებამ გააფართოვა წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის უცხოეთში გატანისა და გაყიდვის შესაძლებლობები.ამასთან,მკვეთრად გაიზარდა რიგი ქვეყნების მოთხოვნები სანედლეულო რესურსებზე.ხოლო,რამდენადაც სხვადასხვა სახის სანედლეულო რესურსების მოპოვების შესაძლებლობები ცალკეულ ქვეყანაში,ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია საჭირო რაოდენობის ბუნებრივი მარაგების არარსებობის გამო,გაიზარდა ნედლეულის,სათბობის და მასალების სხვა ქვეყნებში შეძენის აუცილებლობა.

იმავდროულად, სატრანსპორტო საშუალებათა გამოჩენამ გახსნა საქონელთა გადაზიდვის შესაძლებლობები შორ მანძილზე და დიდი რაოდენობით.ყველაფერმა ამან,ერთად აღებულმა, ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიურ ზრდას,ეკონომიკური კავშირების გაფართოებას ქვეყნებს შორის.

2.საერთაშორისო ვაჭრობა

მსოფლიო სამეურნეო კავშირები სათავეს საერთაშორისო ვაჭრობაში იღებენ,ისტორიულად იგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თავდაპირველი ფორმაა.მან გაიარა გზა ერთეული საგარეო სავაჭრო გარიგებებიდან,მსხვილმასშტაბიან სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობამდე,როდესაც მიწოდებები ხორციელდება საერთაშორისო კორპორაციების მიერ, საწარმოო კოოპერაციის ფარგლებში.

მსოფლიო ბაზარი-ეროვნული ბაზრების ერთობლიობაა,რომელიც ურთიერთდაკავშირებულია და ზემოქმედებენ ერთმანეთზე ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმების მეშვეობით.მსოფლიო ბაზარი მის მონაწილეებს შორის კონკურენციის საფუძველზე განსაზღვრავს საბოლოო ჯამში წარმოებისა და ექსპორტის სტრუქტურას და მოცულობას,შრომის საერთაშორისო დანაწილების ხარისხს.

შრომის საერთაშორისო დანაწილება-გულისხმობს განსაზღვრული პროდუქტების წარმოების თავმოყრას ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში შემდგომი სარფიანი გაყიდვის მიზნით მსოფლიო ბაზარზე და ამით სხვა ქვეყნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას,რომლებშიც მოთხოვნა არსებობს ამ პროდუქტზე.

შრომის საერთაშორისო დანაწილების ეფექტიანობის პრობლემა პირველად ნამოყენებულ იქნა XVIII საუკუნეში ადამ სმითის მიერ,აბსოლუტურ უპირატესობათა თეორიის ფორმით,რომლის თანახმად ქვეყანა,რომელსაც ნედლეულის განსაზღვრული სახეობის დიდი მარაგი და უფრო იაფი მასალების მიღების შესაძლებლობა გააჩნია,უნდა დასპეციალდეს მათ გამოყენებაზე.ამ თეორიის საფუძველი გახდა ის ფაქტი,რომ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის მესამედზე მეტი ღირებულებით გამოხატულებაში,კოლონიალური საქონლით ბაზრობაზე მოდიოდა.

შრომის საერთაშორისო დანაწილების პირველი ეკონომიკური მოდელი-შედარებითი ხარჯების თეორია-შეიმუშავა დ.რიკარდომ.ა.სმითის ჰიპოთეზა ამ თეორიაში გამოდის, როგორც კერძო შემთხვევა,რამდენადაც ვაჭრობის და საერთაშორისო სპეციალიზაციის ურთიერთხელსაყრელობა აღიარებულია აბსოლუტურ უპირატესობათა არარსებობის შემთხვევაშიც.საერთაშორისო გაცვლის საფუძვლად დ.რიკარდო იხილავდა წარმოებას,და წარმოდგენილი მოდელის არსი იმაში მდგომარეობდა,რომ ქვეყანამ უნდა აწარმოოს და ექსპორტში გაიტანოს ის საქონელი,რომელიც მას შედარებით იაფი უჯდება და შემოიტანოს ის საქონელი,რომელიც უცხოეთში უფრო იაფად იწარმოება,ვიდრე ქვეყნის შიგნით.

განსაკუთრებული პირობების არსებობა,ისეთების,როგორიცაა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა,იშვიათი რესურსების არსებობა,სპეციალისტების კვალიფიკაცია,მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის და შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე ქვეყანას გარკვეულ უპირატესობას აძლევს ზოგიერთ საქონელთა და მომსახურების წარმოებისას.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური სინამდვილის ფაქტები ვერ ეტევა დ.რიკარდოს შედარებითი ხარჯების თეორიის ჩარჩოებში.მაგალითად,აშშ-ს ექსპორტში გააქვს უპირატესად თანამედროვე რთული პროდუქცია,მაშინ როდესაც უახლოეს მოწინავე დარგებში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა,რომლის ღირებულება და ხელფასი მაღალია.

მოგვიანებით დასავლეთელმა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ყოველ ქვეყანაში არსებული წარმოების ფაქტორების უფრო რაციონალურ გამოყენებას,ე.ი.გამოჩნდა შედარებით უპირატესობათა ახალი განმარტებები.XX ს.30-60-იან წლებში გაბატონებული იყო საგარეო ვაჭრობის დარგთაშორისი ფორმა და გავრცელებული იყო ე.ჰეკშერისა და ბ.ოლინის (შვედი ეკონომისტები) მოდელი,რომლის არსი ის იყო

რომ ქვეყნებს ექსპორტში გააქვთ ის საქონელი,რომელთა წარმოებაზე ყველაზე ნაკლებად გამოიყენება იშვიათი (დეფიციტური) ფაქტორი.მოცემული მოდელის მიხედვით საქონელს გააჩნია განსხვავებული ფაქტორტევადობა:ერთნი-უფრო კაპიტალტევადია (კაპიტალინტენსიური საქონელი),სხვები-შრომატევადი (შრომაინტენსიური საქონელი).

შედარებითი ხარჯების თეორიის რამდენიმე ვარიანტი გადმოცემულია პ.სამუელსონის ნაშრომებში.მის მიერ ფორმულირებულია ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების თეორია,რომლის არსი ისაა,რომ საგარეო ვაჭრობას ქვეყნებს შორის ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების ტენდენცია გააჩნია,და ამრიგად,გარკვეულწილად ცვლის ფაქტორების გადადენას ქვეყნიდან ქვეყანაში.

ამასთან,70-იანი წლების შუახანებიდან წარმოდგენები საერთაშორისო სპეციალიზაციის ტიპების შესახებ, ისევ მნიშვნელოვნად შეიცვალა.აშშ-ს,გერმანიის,იაპონიის და რიგი სხვა ქვეყნების საექსპორტო საქონელში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანახარჯები მეცნიერულ-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე,და მთლიანად მოწინავე განვითარებული ქვეყნების სპეციალიზაცია გახდა მეცნიერებატევადი,მაღალტექნოლოგიური პროდუქცია.ამ ფაქტორებმა განაპირობეს საერთაშორისო შრომის დანაწილების და საერთაშორისო სპეციალიზაციის ნეოტექნოლოგიური მოდელების ჩამოყალიბება,რისი საფუძველიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გახდა.

თანამედროვე პირობებში ხდება შრომის საერთაშორისო დანაწილების გარდაქმნა.შრომის საერთაშორისო დანაწილების სტერეოტიპი საგნობრივი სპეციალიზაციით,შეცვალა შრომის ტექნოლოგიურმა დანაწილებამ,ე.ი.სხვადასხვა ქვეყნის საწარმოთა დეტალურმა და საოპერაციო სპეციალიზაციამ.

თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა სულ უფრო მეტად ტრანსფორმირდება ხანგრძლივვადიან და სტაბილურ ურთიერთობებად მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.ამ ურთიერთობათა საფუძველია საერთაშორისო კავშირების განვითარება უშუალოდ წარმოების ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით.

ასეთ საერთაშორისო-რეგიონულ და გლობალურ-წარმოებრივი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის სისტემათა ორგანიზაციულ ფორმად გამოდის მრეწველობის წამყვანი დარგების ტრანსეროვნული კორპორაციები.ტრანსეროვნული კორპორაცია-უმსხვილესი კორპორაციაა,რომლის შტაბბინა,როგორც წესი,ჩრდილოეთი ამერიკის,ევროპის იაპონიის ან ავსტრალიის ქვეყნებშია,ხოლო

ფილიალები და ქალიშვილი კომპანიები-მთელ მსოფლიოში.დღეისათვის ტრანსეროვნული კორპორაციები-მრავალდარგოვანი კომპანიებია,უპრეცენდენტო ეკონომიკური და ინტელექტუალური სიძლიერის მასშტაბებით.

საერთაშორისო ვაჭრობაში მიმწოდებლებთან-უცხოურ ფირმებთან ან საკუთარ ქალიშვილ კომპანიებთან უცხოეთში ხანგრძლივვადიანი ტექნოლოგიური კავშირების დამყარების ტენდენცია ასევე იმითაც არის განპირობებული,რომ კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე უფრო მკაცრია,ვიდრე ეროვნულზე,ძლიერდება მისი „ტექნოლოგიური“ შემადგენელი.

უკანასკნელ პერიოდში ,არსებითი ცვლილებები მოხდა ექსპორტის დარგობრივ და გეორგაფიულ სტრუქტურაში.იგი სანედლეულო საქონელთა ხვედრი წილის შემცირებაში მდგომარეობს,და შესაბამისად,მზა, დამმუშავებელი მრეწველობის ნაკეთობათა(კვანძები და დეტალები) შემცირებაში,განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ საქონელთა.

ექსპორტის გეოგრაფიულ სტრუქტურაში გაიზარდა მრეწველურად განვითარებული ქვეყნების პროდუქციის ურთიერთექსპორტის ხვედრი წილი,განვითარებადი ქვეყნების ხვედრი წილის იმავდროული შემცირებით.

საქონლის ფასის საფუძველი მსოფლიო ბაზარზე **ინტერნაციონალური ღირებულება** რჩება.მსოფლიო ფასები განისაზღვრება,ერთი მხრივ,წარმოების პირობებით იმ ქვეყნებში,სადაც იწარმოება მსოფლიო ბაზარზე გასაყიდ საქონელთა ძირითადი მასა,მეორე მხრივ-ამ ბაზარზე საქონელთა მოთხოვნით და მიწოდებით.

საქონელთა საგარეო სავაჭრო გაცვლა-საერთაშორისო ეკონმიკურ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.საგარეო სავაჭრო ბრუნვა ახასიათებს ისეთ მაჩვენებლებს,როგორიცაა ექსპორტის ღირებულების ეშპ-ს ღირებულებასთან შეფარდება,ექსპორტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე.ამ მაჩვენებლებით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის ეკონომიკის „გახსნილობის“ (ღიაობის) ხარისხზე.

გამოკვლევებმა უჩვენა,რომ დახურული ეკონომიკის მქონე ქვეყნები არსებითად ნელა ვითარდებიან,ვიდრე გახსნილი (ღია) ეკონომიკის ქვეყნები.20 წლის მანძილზე იმ ქვეყნებში,რომლებიც დახურული ეკონომიკის პოლიტიკას მიმართავენ,ეპ ერთ სულ მოსახლეზე 0,7%-ით გაიზარდა,ხოლო ღია ეკონომიკის მიმდევარ ქვეყნებში იგი 3,2%-ს უდრიდა.

მდიდარი რესურსებისა და ტევადი ბაზრის მქონე ქვეყნები ნაკლებად არიან დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე.მაგალითად,აშშ-ს ექსპორტში გააქვს პროდუქციის 10-11%.სსრკ-ს 80-იანი წლების ბოლოს ექსპორტში გაჰქონდა პროდუქციის მხოლოდ

4%,მიუხედავად იმისა,რომ მასზე მოდიოდა მსოფლიო წარმოების 20%.90-იანი წლების ბოლოს რუსეთში ექსპორტი იმპორტს აჭარბებდა 10 მლრდ დოლარით წელიწადში.

3.საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კავშირები

თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობამ გააფართოვა თავისი სფერო მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების და ასევე ინტელექტუალური პროდუქტებით,სულიერი ფასეულობებით,ინფორმაციით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქტით საერთაშორისო გაცვლა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით.იგი მოიცავს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის,მეცნიერების,სპეციალისტების გაცვლას,სალიცენზიო საფუძველზე გამოგონებათა და აღმოჩენათა გადაცემას,საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩატარებას,საერთო მეცნიერულ ტექნიკური პროექტების განხორციელებას,სამეცნიერო-საწარმოო კოოპერაციის განხორციელებას,მეცნიერულ-ტექნიკური კოოპერაციის,ერთობლივი მეწარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის წარმოებაში.

მნიშვნელოვანია ისეთი მეცნიერულ ტექნიკური თანამშრომლობა,როგორიცაა **ინჟირინგი**.საერთაშორისო ინჟირინგი გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე საინჟინრო-გაანგარიშებათა,საკონსულტაციო და საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოთა მიწოდებას უცხოეთში,სამრეწველო და სხვა ობიექტების დაპროექტებისა და აგების პროცესში.

დიდ გავრცელებას პოულობს საინფორმაციო მომსახურებათა აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში, კომპიუტერული საერთაშორისო „მონაცემთა ბანკის" მეშვეობით.ინტენსიური ხდება მეცნიერული ინფორმაციის გაცვლა ახალი პროგრესული მეთოდების შესახებ,რომლებიც გამოიყენება ჯანდაცვასა და განათლებაში.

საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კავშირები ხშირად ხორციელდება კომერციულ და ხშირ შემთხვევაში უსასყიდლო საფუძველზე.ჩვეულებრივ,ქვეყანა უცხოეთში შეისყიდის და ანაზღაურებს ლიცენზიებს დაპატენტებული აღმოჩენების და გამოგონებათა,მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიურ სიახლეთა(ნოუ-ჰაუ) გამოყენების შესახებ,ინჟირინგულ მომსახურებებს ინფრასტრუქტურის ობიექტების შემუშავებასა და შექმნაში,თავისი სპეციალისტების სწავლებას უცხოეთში.იმავდროულად რიგი ქვეყნები და უცხოური ფირმები თავიანთ მეცნიერულ-ტექნიკურ

პროდუქტს აწვდიან და მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენენ უსასყიდლოდ ან ნაწილობრივ ფასიან საფუძველზე,ქველმოქმედების წესით.არსებობს სპეციალური საქველმოქმედო ფონდები,რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნისა და მეცნიერულ მიღწევათა გავრცელებას მთელ მსოფლიოში.

იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის,როგორც საქონლის კომერციული მნიშვნელობა.70-იანი წლებიდან ლიცენზიათა,პატენტების საერთაშორისო გაყიდვის ტემპების ზრდა დაახლოებით 80%-ს შეადგენს წელიწადში,ხოლო მეცნიერულ-ტექნიკური ლიცენზიების ყოველწლიურმა გაყიდვებმა უკანასკნელ წლებში დაახლოებით 25 მლრდ დოლ.შეადგინა.

უკანასკნელ წლებში დაჩქარდა ტექნოლოგიური განვითარების ტემპები,გაიზარდა შემუშავებული პროექტების სპეციალიზაციის დონე და ახალ ტექნოლოგიათა „ურთიერთგამსჭვალვის"(შეღწევის) ხარისხი.ამიტომ გამოჩნდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ფორმები.მაგალითად,-კომპიუტერების წარმოების მსოფლიო ლიდერმა-„ამერიკულმა IBM"-მა და წამყვანმა იაპონურმა ჯგუფმა „სონიმ" საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მწარმოებელმა-დაიწყეს ერთობლივი მუშაობა „სონის" სტანდარტების დასადგენად„მულტიმედიის" სფეროში,რომელიც აერთიანებს ვიდეო-ფოტო საინფორმაციო,ანიმაციურ და ხმოვან მასალებს საყოფაცხოვრებო ელექტრონულ პროდუქციაში კომპიუტერულ შესაძლებლობათა გამოყენების გზით.ძალზე მნიშვნელოვანი ხდება პროგრამები,რომლებიც უზრუნველყოფენ ადრე ერთმანეთთან კავშირის არმქონე სამომხმარებლო პროდუქტების შეპირისპირებას.რამდენადაც პროგრამების მწარმოებელთა უმეტესობა ამერიკული კომპანიებია,ისინი ახალ ურთიერთობებს ამყარებენ სამომხმარებლო ელექტრონული ტექნიკის იაპონელ მწარმოებლებთან.

4.კაპიტალის გატანის ფორმები და შედეგები

საგარეო ეკონომიკური კავშირები გამოდის უწინარეს ყოვლისა საქონელთა გატანისა და შემოტანის,იმპორტისა და ექსპორტის ფორმით.მაგრამ თანამედროვე ეკონომიკაში გასატან და შემოსატან საქონელთა რიცხვში ხვდება ისეთი სპეციფიკური საქონელი,როგორიცაა კაპიტალი.სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ზემოქმედების და უცხოეთში მოგების ამოღების მოტივით იზრდება კაპიტალის გატანის მნიშვნელობა და მას-

შტაბები.**კაპიტალის გატანა**-ფულადი სახსრების მიზანმიმართული გადაადგილებაა ერთი ქვეყნიდან მეორეში,სარფიან საქმეში მათ დასაფინანსებლად.

კაპიტალის გატანა ხორციელდება **მეწარმეობითი** (პირდაპირი და პორტფელური) და **სასესხო კაპიტალის** ფორმით.მეწარმეობითი კაპიტალის გატანა გულისხმობს ხანგრძივ უცხოურ ინვესტიციებს სამრეწველო,სავაჭრო და სხვა სანარმოებში.

უცხოური ინვესტიციები ფულადი,ხოლო ზოგჯერ პირდაპირი და ქონებრივი დაბანდების,საქონელთა და მომსახურების ახალი წარმოების ათვისების,განვითარებისა და გაფართოების,ტექნოლოგიის სრულყოფის,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების,ბუნებრივი რესურსების გამოყენების წყაროა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეწოდება კაპიტალურ დაბანდებებს უცხოურ საწარმოებში,რომელიც ინვესტორის კონტროლს უზრუნველყოფს ამ კაპიტალზე.პირდაპირს უფრო მეტად აკუთვნებენ ისეთი მოცულობის ინვესტიციებს,როდესაც უცხოელ ინვესტორს კომპანიის სააქციო კაპიტალში არანაკლები 20-25% უჭირავს.ეს პროპორცია სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია (აშშ-ი არანაკლებ 10%).

პორტფელური ინვესტიციები-უცხოურ აქციებში,ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში კაპიტალის დაბანდებაა,რომელიც ხორციელდება მაღალი დივიდენდების და მოგების მიღების იმედით დაბანდებულ კაპიტალზე.

პორტფელური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორს საწარმოს კონტროლის უფლებას არ აძლევს,და სწორედ ეს განსხვავებაა პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს შორის.

სასესხო კაპიტალის გატანა-ესაა საშუალო და ხანგრძლივვადიანი კრედიტების გაცემა ფულად ან საქონლურ ფორმაში,მოგების მიღების იმედით, სარგებლის და კრედიტის მაღალი განაკვეთის ხარჯზე.

კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ უმეტესწილად ხელსაყრელია გამტანი მხარისათვის.კომპანიები ინვესტიციებს ახორციელებენ უცხოეთში სატრანსპორტო ხარჯების შესამცირებლად,უცხოურ სახელმწიფოთა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გადალახვის მიზნით,რაც ჩვეულებრივ აფერხებს საქონლურ ექსპორტს.

პირდაპირი ინვესტიციები ზეგავლენას ახდენენ კომპანიათა საექსპორტო საქმიანობაზე.ერთი მხრივ,უცხოური წარმოება შეიძლება თამაშობდეს ალტერნატივის როლს საკუთარი ქვეყნიდან საქონლის ექსპორტის მიმართ.ამ შემთხვევაში ეს ზეგავლენა შემაკავებელ ხასიათს ატარებს ექსპორტის მიმართ.მეორე

მხრივ,უცხოურ წარმოებას ჭირდება მოწყობილობისა და ნედლეულის მიწოდება და ინვევს სათადარიგო ნაწილების მასალების და მომსახურების გაყიდვას.ამ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტიციები მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენენ საექსპორტო საქმიანობაზე.

უკანასკნელ პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათში.მაშინ როდესაც საქონელთა ექსპორტს არსებითი ხვედრი წილი უკავია საგარეო გაყიდვაში,სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ინვესტიციათა ექსპორტი.

უცხოური კაპიტალის მოდინების დიდი ნაწილი პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის,რომელიც საგარეო ბაზარზე საქმიანობაში ჩართვის ყველაზე სრული ფორმაა არსებულ საწარმოთა შეძენის ან საკუთარი სახსრებით ახალ საწარმოთა შექმნის გზით.კაპიტალის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია აშშ,დიდი ბრიტანეთი,იაპონია.

პირდაპირ ინვესტიციათა ძირითადი ნაწილი დამმუშავებელ მრეწველობასა და მაღალი ტექნოლოგიის დარგებში წარიმართება.უკანასკნელ ათწლეულში შეინიშნება უცხოურ ინვესტიციათა გეოგრაფიული სურათის მიმართულების შეცვლა.კაპიტალთა საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს შორის ხორციელდება.

..ქვეყნის მიმზიდველობის ხარისხი მასში უცხოურ კაპიტალთა დაბანდებებისათვის ე.წ.საინვესტიციო კლიმატით განისაზღვრება.იგი გულისხმობს კანონმდებლობის არსებობას უცხოურ ინვესტიციათა შესახებ,ბუნებრივი რესურსების მარაგების,კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას,ადგილობრივი ბაზრის ტევადობას,ეროვნული ვალუტის კონვერტაბელობას,მოგების გატანის გარანტიას და ა.შ.პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა დიდი ნაწილის მფლობელი ტრანსეროვნული კორპორაციებია.

კაპიტალის გატანა პორტფელური ინვესტიციების ფორმით, გამოიყენება სესხის ობლიგაციების დასაფინანსებლად,რომელსაც უმსხვილესი ტრანსეროვნული კორპორაციები,ტრანსეროვნული ბანკები და ცენტრალური ბანკები უშვებენ.

კაპიტალის გატანა და საგარეო ვაჭრობა აახლოებს ეროვნულ ეკონომიკებს.

კაპიტალის კერძო პირების მიერ გატანის პარალელურად მის ექსპორტს სახელმწიფოც ახორციელებს.სახელმწიფო სახსრები განვითარებული ქვეყნებიდან აზიის,აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაიტანება,ძირითადად სესხის ფორმით.ეს სახ-

სრები უპირატესად სახელმწიფო სესხების,კრედიტების და სუბსიდიების ფორმით გაიცემა.

განსხვავებით კერძო კაპიტალის გატანისა,მაღალი მოგების მიღება სახელმწიფო კაპიტალის გატანის მეშვეობით უშუალოდ გათვალისწინებული არ არის.

თავის მხრივ,უცხოურ ინვესტიციათა მიმღები სახელმწიფოები ინვესტორებისაგან მოითხოვენ ისეთი პირობების დაცვას,როგორიცაა,ადგილობრივ მეწარმეთა მონაწილეობა საწარმოთა საქმიანობაში,ადგილობრივი კადრების სწავლება,მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა განხორციელება და წარმოებული პროდუქციის ექსპორტის უზრუნველყოფა მაინვესტირებელი მხარის ძალებით.

90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები,რუსეთი და დსთ-ს სხვა სახელმწიფოები გამოვიდნენ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციათა დაბანდების პერსპექტიულ ზონათა რიცხვში დასავლური კომპანიებისათვის.

5.ერთობლივი საწარმოები

საგარეო ვაჭრობა:კაპიტალის გატანა და შემოტანა როდი ამოწურავს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების შესაძლო ფორმას.ეკონომიკური თანამშრომლობის ერთერთი ფორმაა ერთობლივი საწარმოები,რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მესაკუთრეებს ეკუთვნით.

ერთობლივი საწარმო კონკრეტული სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციისა და განხორციელების საერთაშორისო ფორმაა,რომელიც ემყარება უცხოელ და ადგილობრივ დამფუძნებელთა გაერთიანებული კაპიტალების გამოყენებას.

ერთობლივ საწარმოებს გააჩნიათ ერთობლივი ქონება,ფინანსები,თითოეულ მის დამფუძნებელს უფლება აქვს განახორციელოს მართვის ფუნქცია.მოგება და ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი,როგორც წესი,ყოველი მონაწილის მიერ დაბანდებული სახსრების წილის პროპორციულად ნაწილდება.

ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორთა ინტერესები ერთობლივ საწარმოთა შექმნისას უფრო ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.უცხოელ მეწარმეთათვის ერთობლივ საწარმოში მონაწილეობა კაპიტალის გატანის ფორმაა.ისინი მას იყენებენ უცხოურ ბაზრებში შეღწევის მიზნით.

ამასთან,განსხვავებულ ინტერესთა არსებობის პირობებში ერთობლივი საქმიანობა მონაწილე მხარეებს ურთიერთხელსაყრელ

სარგებლიანობას აძლევს.იგი პარტნიორებს შორის რისკის (ფინანსური და პოლიტიკური) განაწილების საშუალებას იძლევა,ასევე განამტკიცებს მათ პოზიციებს ფინანსური,ტექნოლოგიური რესურსების,მმართველობითი გამოცდილების და ა.შ.გაერთიანების გამო.

არსებობს საერთაშორისო ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:ამხანაგობა პაის საფუძველზე,სააქციო კომპანიები,შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობები.

ერთობლივი საწარმოები სსრკ-ში აღმოცენდნენ 80-იანი წლების დასასრულს.1991წ.ბოლოს სსრკ-ში რეგისტრირებული იყო 500 ერთობლივი საწარმო,მაგრამ ყველა როდი ფუნქციონირებდა ეფექტიანად.

ერთობლივი საწარმოები 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოშიც ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ დღემდე რაიმე მნიშვნელოვანი გავრცელება არ ჰქონიათ.

6.თავისუფალი ეკონომიკური ზონები

უკანასკნელ ათწლეულებში გავრცელება ჰპოვა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალმა ფორმამ ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის სახით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს შეზღუდულ რაიონს,ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს,რომლის ფარგლებშიც მოქმედებს მეურნეობრიობის და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შელავათიანი რეჟიმი,საწარმოებს მინიჭებული აქვთ მოქმედების უფრო მეტი თავისუფლება.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა ეკონომიკური ზონების შექმნისას განსხვავებულ მიზნებს მისდევს.ასეთებს მიეკუთვნება:საწარმოთა საქმიანობის აქტივიზაცია,რომელიც მათ ტერიტორიაზეა განთავსებული;მრეწველობის მოდერნიზება;შინაური ბაზრის გაჯერება მაღალხარისხოვანი საქონლით;საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება;ექსპორტისა და იმპორტის გაფართოება;უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვა,ახალ ტექნოლოგიათა ათვისება;ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონების ათვისება;სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონებისათვის (თეზ) წესდება სპეციალური შემსუბუქებული საბაჟო,სავაჭრო რეჟიმები,ფართო თავისუფლება ეძლევა კაპიტალის,საქონლისა და სპეციალისტთა

გადაადგილებას,გამოყენებას საწარმოთა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმებით.

თეზ-ები შეიძლება განთავსდნენ,როგორც მცირე ტერიტორიაზე,ისე მთელი ოლქების თუ რეგიონების ტერიტორიაზე.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პროფილის,ზონების შექმნის მიზნებისა და თავისუფლების მინიჭების ხასიათებისაგან დამოკიდებულებით განასხვავებენ შემდეგ ზონებს:

- თავისუფალი საბაჟო ტერიტორიები;
- საექსპორტო სამრეწველო ზონები;
- თავისუფალი ვაჭრობის ზონები;
- ერთობლივი მეწარმეობის ზონები;
- თავისუფალი „გახსნილი" ზონები;
- ტექნოლოგიური ზონები;
- კომპლექსური ზონები;

თავისუფალი საბაჟო ტერიტორიები თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან,საქონელთა გატანასა და შემოტანაზე.საექსპორტო სამრეწველო ზონები იქმნება მათში მრეწველობის განვითარებისათვის,რომელიც საექსპორტო პროდუქციას აწარმოებს.თავისუფალი **ვაჭრობის ზონები** ხასიათდება შეზღუდვების მოხსნით ვაჭრობაზე.**ერთობლივი მეწარმოების ზონები** გამიზნულია ბიზნესის განხორციელებისათვის სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა მონაწილეობით.ე.წ.გახსნილი ზონები ხასიათდება მათზე სხვა ქვეყნის მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხით ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის.**ტექნოლოგიური ზონები** მიზნად ისახავენ პროგრესულ ტექნოლოგიათა განვითარებას.კომპლექსური ზონები აღნიშნულთა თვისებებს აერთიანებენ.

როგორც გამოცდილება უჩვენებს ეკონომიკის განვითარებაში მაღალი ეფექტიანობა გააჩნიათ საექსპორტო წარმოების მცირე ზონებს და თავისუფალ საბაჟო ზონებს,რომლებსაც ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობები გააჩნიათ.ასეთ ზონებში შეღავათები ეძლევათ მეურნეობის გაძღოლისათვის უცხოელ და სამამულო მეწარმეებს,იქმნება საჭირო წარმოებრივი და სოციალური ინფრასტრუქტურა,რაც მსოფლიო სტდანდარტებს შეესაბამება.ასეთი ზონები,როგორც წესი,იქმნება მსხვილი საერთაშორისო საზღვაო პორტების,აეროპორტების,სარკინიგზო კვანძების სიახლოეს და დიდ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს.

მსხვილი თეზ-ები მათი ტერიტორიის მნიშვნელობის გამო მოითხოვენ დიდი მოცულობის სახსრების კონცენტრაციას,რაც

საჭიროა იქ შესაბამისი წარმოებრივი და სოციალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

თეზ-ები ცნობილია პრაქტიკაში საკმაოდ დიდი ხანია.თანამედროვე წარმოდგენით მისი შექმნის პირველი ცდა ირლანდიაში განხორციელდა 1959წ,რომელმაც შენონის აეროპორტი გამოაცხადა თავისუფალ საერთაშორისო მეწარმეობის ზონად.70-იან წლებში თეზ-ები უკვე არსებობდა 100 ქვეყანაში,90-იანი წლების დასაწყისისათვის მსოფლიოს 70- ქვეყანაში დაახლოებით 600-მდე თეზ-ი ითვლებოდა.საქონელთა ბრუნვა ერთობ შთამბეჭდავია და მსოფლიო ვაჭრობის 8%-ს მიაღწია.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა უკვე მეორე ათეული წელიწადია რაც ჭიანურდება.არადა იგი მნიშვნელოვნად შეავსებდა ისედაც მწირ სახელმწიფო ბიუჯეტს.

7.სავალუტო ურთიერთობები

მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირება წარმოუდგენელია გამართული სავალუტო,ე.ი.ფულადი სისტემის,ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გარეშე.საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა განვითარება განპირობებულია სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციის,მეურნეობის მსოფლიო სისტემის ფორმირებით.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები-ეკონომიკური ურთიერთობებია,რაც დაკავშირებულია ეროვნულ ვალუტათა ფუნქციონირებასთან მსოფლიო ბაზარზე,საქონელგაცვლის ფულად მომსახურებასთან და სხვა სამეურნეო კავშირებთან,ვალუტის როგორც საგადასახდელო საშუალებისა და კრედიტის გამოყენებასთან.სავალუტო ურთიერთობები ასე თუ ისე თან ახლავს ვაჭრობას,კაპიტალის გატანას,მეცნიერულ-ტექნიკურ გაცვლას,სამუშაო ძალის მიგრაციას,ტურიზმს,კულტურულ კავშირებს,ეკონომიკური დახმარების გაწევას,დაკრედიტებას.

წ სავალუტო ურთიერთობათა სუბიექტებია საწარმოები,ბანკები და სხვა ორგანიზაციები და ასევე იურიდიული პირები და ცალკეული სახელმწიფოები,რომლებიც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ.საავალუტო სისტემა-სავალუტო ფულადი და საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობაა,რომელიც ყალიბდება ქვეყნებს შორის და დამტკიცებულია საერთაშორისო სახელშეკრულებო და სახელმწიფო-სამართლებრივ ნორმებში.

თავდაპირველად,30-იან წლებამდე მსოფლიო სავალუტო სისტემის ფორმირების საფუძველი იყო ოქროს სტანდარტი.სისტემა ემყარებოდა ფიქსირებულ სავალუტო კურსებს და გულისხმობდა

ეროვნული ფულადი ერთეულის ოქროშემცველობის დადგენას,მკაცრი თანაფარდობის შენარჩუნებას ქვეყნის ოქროს მარაგსა და ფულის საშინაო მიწოდებას შორის,ოქროს თავისუფალ ექსპორტს და იმპორტს.

სავალუტო სისტემის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ოქროს სავალუტო სტანდარტის შევსებასთან ეროვნული ვალუტებით და ასევე საერთაშორისო საანგარიშო ფულადი ერთეულების (ისეთით,როგორიცაა ეკიუ,ევროპის სავალუტო ერთეული);დღეისათვის **ევრო,სდრ** (სესხების სპეციალური უფლებები),საერთაშორისო ვალუტის განსაკუთრებული ტიპი,რომელსაც უშვებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და გამოიყენება მთავრობათაშორისი ანგარიშსწორებისათვის.ბრეტონ-ვუდსის (1944წ.) კონფერენციაზე აშშ-ში მიღწეულ იქნა შეთანხმება მტკიცე სავალუტო კურსების დაწესების შესახებ.ყოველი ქვეყანა თავის ფულად ერთეულს გამოხატავდა აშშ-ს დოლარებში.ამ სისტემას,რომელმაც 70-იანი წლების შუახანებამდე იმოქმედა,**დოლარული სტანდარტი** ეწოდებოდა.ვალუტები შეიძლებოდა გაცვლილიყო დოლარზე,რომელიც, თავის მხრივ,უზრუნველიყოფოდა განსაზღვრული ოქროშემცველობით.ვალუტათა კურსების თანაფარდობები ნარჩუნდებოდა უცვლელად.გათვალისწინებული იყო გარკვეული კურსის კორექტირების შესაძლებლობა ხანგრძლივვადიან პერიოდში.ამასთან, სავალუტო კავშირების სახელმწიფოთაშორისი რეგულირებისათვის შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ).

მაგრამ ბრეტონ-ვუდსის სავალუტო მექანიზმმა უჩვენა,რომ მსოფლიო ეკონომიკაში მუდმივი დინამიური ძვრების პირობებში შეუძლებელი იყო სავალუტო პარიტეტების ხანგრძლივი შენარჩუნება უცვლელ დონეზე.1974 წლიდან მოქმედება დაიწყო **მჩურავი სავალუტო კურსების სისტემამ**.ამ სისტემის დროს ეროვნული ვალუტის გასაცვლელი კურსები მერყეობდა მოცემულ ვალუტაზე მოთხოვნისა და მი ოდებისაგან დამოკიდებულებით.მცურავ სავალუტო კურსებზე გადასვლა ნიშნავდა ოქროს სტატუსის გადასინჯვას და სახელმწიფოთაშორისი სავალუტო რეგულირების გაძლიერებას.

განვითარების ამ ეტაპზე სავალუტო სისტემამ საბოლოოდ დაკარგა კავშირი ოქროსთან.მაგრამ ეს როდი ნიშნავს მისი ღირსებების დაკარგვას,იგი ისევ რჩება მაღალლიკვიდურ საშუალებად.

სავალუტო ბაზრები ყალიბდება როგორც მსხვილი ტრანსეროვნული ბანკების საფინანსო რესურსების,ისე მცირე ბანკების

ჭარბი ლიკვიდობის საფუძველზე.ტერიტორიულად სავალუტო ბაზრები, ჩვეულებრივ, მიბმულია მსხვილ საბანკო და სავალუტო ცენტრებზე(ლონდონი,პარიზი,მაინის ფრანკფურტი,ნიუ-იორკი,ტოკიო.სინგაპური,ჰონკონგი,ლუქსემბურგი).

ყოველ ეროვნულ ვალუტას ფასი გააჩნია სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებში.სწორედ ეს არის **სავალუტო კურსი**.იგი განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის ფორმირებაზე.

ნებისმიერი ეროვნული ვალუტა იმდენი „ღირს“,რამდენი საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება ამ ვალუტით.ამიტომ ეროვნული ფულადი ერთეულის უცხოურთან მიმართებაში კურსის საფუძველია მათი მყიდველობითი უნარის თანაფარდობა.მაგრამ, როგორც წმინდა ეკონომიკური,ისე არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად სავალუტო კურსები შეიძლება მერყეობდეს.

მყიდველობითი უნარის პარიტეტი-შედარებადი ქვეყნების ვალუტათა ფაქტობრივი თანაფარდობაა,რომელშიც ნავარაუდევია,როგორც ანალოგიურ საქონელთა და მომსახურების ფასების თანაფარდობა,რომელიც წარმოებულია თითოეულ ქვეყანაში.მყიდველობითი უნარის პარიტეტის აღრიცხვისას განმსაზღვრელი ფაქტორია კვების პროდუქტების,ტანსაცმლის,საცხოვრებელი ბინების და სატრანსპორტო მომსახურებათა ღირებულება.

უცხოური ვალუტათა კურსების დადგენას (ვალუტათა კოტირებას) ახორციელებენ სახელმწიფო ან მსხვილი კომერციული ბანკები.ამ კონტექსტში,ხშირად შეიძლება გავიგონოთ ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სავალუტო ინტერვენციის შესახებ.**სავალუტო ინტერვენცია**-მიზნობრივი ოპერაციაა უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის საქმეში,ეროვნული ვალუტის კურსის დინამიკის შეზღუდვისათვის.მაგალითად,ცენტრალურ ბანკს შეუძლია საბირჟო ვაჭრობაზე დიდი რაოდენობის ვალუტის გამოტანით,გაზარდოს მისი მიწოდება და ზეგავლენა მოახდინოს მის კურსზე.

ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებისას ხელსაყრელია საქონელთა ექსპორტირება,ხოლო კურსის გადიდებისას-იმპორტირება.

სავალუტო ურთიერთობათა ხასიათი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ვალუტის კონვერტირებადობაზე.

ეროვნული ფულადი ერთეულის **კონვერტირებადობა** (შექცევადობა)-ესაა საგარეო ეკონომიკურ გარიგებათა მონაწილეებისათვის მისი ლეგალური გაცვლის შესაძლებლობა უცხოურ ვალუტებზე და

პირიქით,სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე გაცვლის პროცესში.კონვერტირებადობის ხარისხი ქვეყანაში არსებული სავალუტო შეზღუდვების მოცულობისა და სიმკაცრის უკუპროპორციულია.

ქვეყნის ვალუტას **ნაწილობრივ კონვერტირებადს** უწოდებენ,თუკი მის მიმართ გამოიყენება ცალკეული შეზღუდვები სავალუტო ოპერაციათა ზოგიერთ სახეებზე.როგორც წესი,ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა იცვლება მხოლოდ ცალკეულ უცხოურ ვალუტებზე,მაგრამ არა ყველაზე.

არაკონვერტირებადს (ჩაკეტილს) უწოდებენ ვალუტას,რომელიც ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში და თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე არ იცვლება უცხოურ ვალუტაზე.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას და ტერიტორიებს გააჩნიათ მთლიანად კონვერტირებადი ვალუტა.მთლიანად კონვერტირებადია აშშ-ს,კანადის დოლარი,იაპონური იენა,ევროპის თანამეგობრობის წევრთა უმეტესობის ვალუტები და ასევე საუდის არაბეთის,ქუვეითის,გაერთიანებულ არაბთა ემირატების,ჰონკონგის,ბაჰრეინის,სინგაპურის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ვალუტა.ამ ჩამონათვალიდან ჩანს რომ მას მიეკუთვნება ან უმსხვილესი ინდუსტრიული ქვეყნები,ან ძირითადი ნავთობექსპორტიორები,ან განვითარებული და ძალზე გახსნილი ეკონომიკის ქვეყნები.

8.საგადასახდელო ბალანსი

ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა საერთაშორისო ბაზარზე,ჩვეულებრივ,ფასდება მისი საგადასახდელო ბალანსით.

საგადასახდელო ბალანსი-დოკუმენტი,საგარეო შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობის ცხრილია,რომელშიც ფიქსირებულია ყველა საშუალებები,სავალუტო შემოსულობები,რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის მიერ სხვა სახელმწიფოებისაგან,და ასევე ყველა სახსრები,რომელიც გადახდილია ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნებისათვის,დროის განსაზღვრულ პერიოდში.იგი დგება განსაზღვრული პერიოდისათვის,ამასთან,უფრო ხშირად გამოიყენება წლიური ან ნახევარწლიანი ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსში შეიტანება ყველა მუხლი რომელიც ახასიათებს ფულადი სახსრების შემოსულობებს საგარეო ეკონომიკური კავშირების სახით,რომელსაც ადგილი აქვს წლის

მანძილზე,სახელდობრ,საქონელთა და მომსახურების ექსპორტს და იმპორტს;სესხები,რომლებიც გაცემულია სხვა ქვეყნებზე ან მათგან არის მიღებული;ოქროს მოძრაობა,ტურისტების ხარჯები,სარგებელი და დივიდენდები,უცხოეთიდან ან სხვა ქვეყნებში გადაყვანილი,ფრახტის შემოსავლები.

საგადასახდელო ბალანსი ორი განყოფილებისაგან შედგება:მიმდინარე ოპერაციები და კაპიტალთა მოძრაობა.ეს ორი განყოფილება ბალანსდება ერთმანეთს შორის.საგადასახდელო ბალანსი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით.

მიმდინარე ოპერაჩიათა ბალანსი

- საქონელთა ექსპორტი
- საქონელთა იმპორტი
- მომსახურების ექსპორტი
- მომსახურების იმპორტი
- წმინდა შემოსავლები ინვესტიციებისაგან
- წმინდა ფულადი გზავნილებები

კაპიტალთა მოძრაობის ბალანსი

- კაპიტალის მოდინება
- კაპიტალის გადინება

განყოფილება „მიმდინარე ოპერაციების“ შემადგენელი ნაწილია **სავაჭრო ბალანსი**,რომელიც განისაზღვრება განსხვავების სახით საქონელთა ექსპორტსა და იმპორტს შორის.

საქონელთა ექსპორტირებით ქვეყანა ღებულობს სავალუტო ამონაგებს საქონელთა გაყიდვის გზით,ხოლო იმპორტირებისას,ხარჯავს ფულად სახსრებს მათი შესყიდვისათვის.

სავაჭრო ბალანსი **აქტიურია**,როდესაც ექსპორტი ჭარბობს იმპორტს,და პირიქით,როდესაც იმპორტი ჭარბობს ექსპორტს.

საგადასახდელო ბალანსი **პასიურია**,როდესაც სხვა ქვეყნებიდან მიღებული სახსრების ჯამი ნაკლებია,ვიდრე გადასახდელების ჯამი.წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსი აქტიურია.

საგადასახდელო ბალანსის დამაბალანსებელი საფუძველია ოქროს სავალუტო რეზერვები.როდესაც ამბობენ საგადასახდელო ბალანსების აქტივებსა და დეფიციტებზე,არ გაითვალისწინება ოფიციალური სავალუტო რეზერვები.

9.საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

საგარეო ეკონომიკური კავშირები სახელმწიფოებრივ რეგულირებას საჭიროებენ.ცენტრალიზებულ ეკონომიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობა განსაკუთრებულ მკაცრ რეგულირებას და სახელმწიფო ორგანოების კონტროლს ექვემდებარება.არსებობს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია,რომლის დარღვევა განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მთავარი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფაა.

თანამედროვე პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფო ამა თუ იმ სახით არეგულირებს,სტიმულს აძლევს ან ზღუდავს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების პრაქტიკულად ყველა სფეროს.

საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო რეგულირება-ესაა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე სახელმწიფო ორგანოებისა და სამსახურების მიერ ზემოქმედების გამოყენებული ფორმების,მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა,სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების,მიზნების,ამოცანების შესაბამისად.სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედება ხორციელდება კანონებისა და სხვა სახელმწიფო აქტების,დადგენილებების,მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების მეშვეობით.

ისტორიიდან ცნობილია მთავრობის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება-პროტექციონიზმი და ფრიტრედერობა.

ფრიტრედერობა-თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაა,რომლის დროსაც საბაჟო ორგანოები მხოლოდ სარეგისტრაციო ფუნქციებს ასრულებენ საექსპორტო და საიმპორტო ბაჟის აღების გარეშეა რა მიმე შეზღუდვები საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე.თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი იყო ინგლისის ოფიციალური ეკონომიკური პოლიტიკა XIX საუკუნეში,ხოლო მისი საფუძველი იყო დ.რიკარდი შედარებით დანახარჯთა თეორია.

პროტექციონიზმის პოლიტიკა მიმართულია საკუთარი მრეწველობის,სოფლის მეურნეობის დაცვაზე უცხოური კონკურენციისაგან საშინაო ბაზარზე.პროტექციონიზმისათვის დამახასიათებელია მაღალი საბაჟო ტარიფები,იმპორტის შეზღუდვა.

საბაჟო ტარიფი-ბაჟების სისტემატიზებული ჩამონათვალია,რომლითაც მთავრობა ბეგრავს ზოგიერთ საქონელს,რომელიც ქვეყანაში შემოაქვთ ან ქვეყნიდან გააქვთ.საბაჟო ტარიფები წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ,თუ რანაირ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ექსპორტსა და იმპორტზე.

საბაჟო გადასახადები-ის გადასახადებია,რომელსაც სახელმწიფო ამოიღებს ქვეყნის საზღვრის გავლით საქონელთა,ქონების,ფასეულობების გატარებისას.ამოღების ობიექტის მიხედვით საბაჟო გადასახადები არსებობს საექპორტო,საიმპორტო და სატრანზიტო.ამოღების ხერხის მიხედვით ისინი იყოფიან ადვალორულად (საქონლის ფასიდან),სპეციფიკურ და შერეულ გადასახადებად.

რაოდენობრივი ანუ ე.წ.არასატარიფო შეზღუდვები სახელმწიფოს მიერ დაწესებული პირდაპირი ადმინისტრაციული ნორმებია,რომელიც განსაზღვრავს საქონელთა რაოდენობას და ნომენკლატურას,რაც ნებადართულია გასატანად ან შემოსატანად.

არსებობს რაოდენობრივ შეზღუდვათა რამდენიმე სახეობა.**კონტიგენტირებული** წარმოადგენს საქონელთა ექსპორტის და იმპორტის შეზღუდვას განსაზღვრული რაოდენობით ან თანხით,დროის განსაზღვრულ პერიოდში.კვოტირებული ესაა განსაზღვრული დასახელების საქონელთა ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობის შეზღუდვა.

ლიჩენზირებისას სახელმწიფო ხელისუფლება კრძალავს თავისუფალ შემოტანას და გატანას ლიცენზიის გარეშე.ლიცენზია გაიცემა საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაზე და მოქმედებს განსაზღვრულ დროში,რომელიც მასზეა მითითებული.

საგარეო-ეკონომიკური რეგულირების თანამედროვე პრაქტიკაში რაოდენობრივი შეზღუდვები უმნიშვნელო მოცულობით გამოიყენება.არის საქონელი,რომელიც არ ექვემდებარება სხვა ქვეყნებში გატანას.

გარდა რაოდენობრივი შეზღუდვებისა არსებობს არასატარიფო შეზღუდვების სხვა საშუალებები.მათ მიეკუთვნება საკონსულო ფორმალობები,საშინაო გადასახადები,სააქციზო მოსაკრებლები,ხარისხის გარკვეული სტანდარტები,შეფუთვის,გასხვისების და სხვა ანალოგიური ღონისძიებები.

ექსპორტის ფორსირების მნიშვნელოვანი ფინანსური **ინსტრუმენტებია** საგადასახადო შეღავათები და სუბსიდიები.

საქონელთა გაყიდვას სხვა ქვეყნების ბაზარზე დაბალი ფასებით **დემპინგი** ეწოდება,რომელსაც ბაზარზე დამკვიდრებისათვის იყენებენ,მაგრამ ამისათვის არსებობს ანტიდემპინგური სამსახურებიც (კანონმდებლობა).

არსებობს სხვადასხვა **საგადასახადო შეღავათები**,კომპანია ექსპორტიორებისათვის,სხვადასხვა სახის კომპენსაციის გზით,საქონელთა ჩამონათვალის გადიდება ამ მიმართულებით.

ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს **ექსპორტის სუბსიდირება** საექსპორტო ოპერაციებში,იგი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქონელთა გასაღების ფორმირებისათვის,რათაც სახელმწიფოს დიდი წვლილი შეაქვს ამ საწარმოს კონკურენტუნარიაობის ამაღლებაში.

10.ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

თანამედროვე პირობებში წარმოებს არა მხოლოდ თვით სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია,არამედ სახელმწიფო რეგულირების სისტემაც.ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ხდება.უკანასკნელ წლებში გლობალური ტიპის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები შეიქმნა საერთაშორისო ანგარიშსწორებათა გაჯანსაღებისა და კაპიტალის მიგრაციისათვის ხელშესაწყობად.

1955წ.31 დეკემბერს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (GATT) ისტორიის კუთვნილება გახდა.იგი შეიქმნა 1947წ.საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისათვის და 90-იანი წლების შუახანებისათვის აერთიანებდა 100-ზე მეტ ქვეყანას.იგი შეცვალა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ **(მსო)**,რომელშიც შევიდა GATT-ის ყველა წევრი. ჯერ GATT-ის ხოლო შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის პოზიციების შეთანხმება საბაჟო და სხვა ბარიერების გასაუქმებლად საერთაშორისო ვაჭრობაში.

სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში საგარეო კომპონენტის როლის გაძლიერება ასევე იმაში ვლინდება,რომ ცალკეული ქვეყნები ერთიანდებიან სამეურნეო კავშირებში.სამეურნეო კავშირი-ისეთი ორგანიზაციაა,რომელიც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს აწესებს მის წევრ ქვეყნებს შორის.

აი როგორ გამოიყურება „საბაჟო კავშირების“ პირველი „ათეული“:

თავისუფალი ვაჭრობის რდილოეთამერიკული შეთანხმება (აშშ,კანადა და მექსიკა)

თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოჩიაჩია

ევროკავშირი (ისლანდია,დიდი ბრიტანეთი,საფრანგეთი,გერმანია,იტალია,ესპანეთი,პორტუგალია,ფინეთი, შვედეთი,დანია,ლექსემბურგი,ბელგია,ნიდერლანდები,ავსტრია,საბერძნეთი).

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამეგობრობა-ავსტრალია,ბრუნეი,მალაიზია,სინგაპური,ტაილანდი,ახალი ზელანდია, ახალი გვინეა,ინდონეზია ფილიპინები,ტაივანი,ჰონკონგი,იაპონია,სამხრეთი კორეა,ჩინეთი,კანადა,აშშ,მექსიკა,

„მერკოსური"-ბრაზილია,არგენტინა,პარაგვაი,ურუგვაი

განვითარების სამხრეთაფრიკული კომიტეტი-ანგოლა,ბოტსვანა,ლესოტო,მალავი,მოზამბიკი,მავრიკია,ნამიბია,სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა,სვაზილენდი,ტანზანია,ზიმბაბვე.

დასავლეთ-აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი-კოტდიუარი,ბურკინა-ფასო,ნიგერია,ტოგო,სენეგალი,ბენინი,მალი.

რეგიონალური თანამშრომლობის სამხრეთაზიური ასოციაცია-ინდოეთი,პაკისტანი,შრი-ლანკა,ბანგლადეში, ბუტანი,ნეპალი.

ანდების პაქტი-ვენესუელა,კოლუმბია,ეკვადორი, ნეპალი,ბოლივია.

ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის,საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მკაფიო მაგალითია ევროპის ეკონომიკური კავშირი.აღმოცენდა რა 40 წლის უკან, ევროპის საერთო ბაზარი თანდათან გადაიზარდა „მცირე ევროპის" საზღვრებს იქით,და თვისებრივი რევოლუცია მოახდინა საბაჟო კავშირიდან ეკონომიკურ კავშირამდე.

დღეისათვის ევროკავშირი აერთიანებს დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანას და მის ფარგლებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ერთიან სავალუტო სისტემაზე გადასასვლელად,ერთიანი ფულადი ერთეულით.ამ ვალუტას „ევრო " ეწოდება და უნაღდო ანგარიშსწორებაში შესულია 1999 წლიდან.

ევროკავშირის წარმოშობასა და ევოლუციაში თავიდანვე უდიდეს როლს ასრულებდა ევროპული ქვეყნების ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანოები.

ჩრდილოეთ ამერიკაში ინტეგრაციული პროცესები რამდენადმე სხვანაირად მიმდინარეობდა.აქ არ ყოფილა რომის ხელშეკრულების არანაირი ანალოგი,რომელმაც სათავე დაუდო ევროპის ინტეგრაციას 1957წელს.საუკუნის დასაწყისში კანადასა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბდა კაპიტალთა თავისუფალი მოძრაობა,რასაც შემდგომ მოჰყვა ხსვადასხვა კავშირის შექმნა.

ამრიგად,სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის გასვლა ეროვნულ ჩარჩოებს მიღმა,წარმოებს ორი ძირითადი ფორმით.პირველი-ორმხრივი,უფრო მეტად „მეზობლური" სახელშეკ-

რულებო,ე.ი.ეკონომიკური რეგიონალიზმის განვითარება.მეორე გზაა მრავალმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით GATT-ის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების და ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.რა არის მსოფლიო მეურნეობა?
2.რა არის მსოფლიო ბაზარი?
3.რა არის აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობები?
4.როგორია კაპიტალის გატანის ფორმები?
5.თავისუფალი ეკონომიკური ზონების რა ნაირსახეობებს იცნობთ?
6.როგორია სავალუტო სისტემის სახეები?
7.რა არის მყიდველობითი უნარის პარიტეტი?
8.რას ნიშნავს ვალუტის კონვერტირებადობა?
9.როგორია სავაჭრო პოლიტიკის სახეები?

თავი ოცდამესამე

განვითაპრებადი ქვეყნების პრობლემები

1.განვითარებადი ქვეყნის ცნება

ქვეყნებს,რომლებშიც არ არსებობს თანამედროვე მრეწველობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული უპირატესობები და ნაკლოვანებები,სუსტადგანვითარებული ეწოდება.

მოცემული განმარტება თითქოსდა აბსტრაქტული ჩანს,მაგამ იგი იმაზე მიუთითებს,რომ ჩვენ სუსტადგანვითარებულობას განვმარტავთ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებათა პოზიციიდან.ჩვენ არ ვიხილავთ საკითხს ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების სასურველობის შესახებ,მაგალითად აშშ-ს მსგავსად.მაგრამ სიღარიბე და მოსახლეობის ჩაგრული მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებში განაპირობებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მსოფლიოს N1 ამოცანა ხდება განვითარება,რაც მიმართულია თუნდაც შიმშილის პრობლემათა აღმოსაფხვრელად და ადამიანის ძირითად უფლებათა დასაცავად.

ქვეყნების განვითარებულ და განვითარებადად დაყოფისათვის არაიშვიათად გამოიყენება 1 სულ მოსახლეზე შემოსავლის მაჩვენებელი.ქვემოთ მოტანილი ცხრილი მოწმობს უზარმაზარი განსხვავების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შემოსავლების დიფერნციაცია მსოფლიოს ქვეყნებში 1993წ.

მოსახლეობა				ერთობლივი ეროვნ.პროდუქტი		
დონე	ქვეყნების რიცხვი	მლნ კაცი	% მსოფლიო მოსახლ. მიმართ	მლნ $	ხვ.წილი ეეპ-ში %	1 სულ მოსახ-ზე
695 და ნაკლები	59	3094	56,0	1165	4,8	376
696-2785	69	1099	19,9	1635	6,7	1488
2785-8625	43	498	9,0	2153	8,9	4323
8626 და მეტი	38	834	15,1	19304	79,6	23146
სულ	209	5525	100,0	24257	100,0	4390

წყარო:Weltbank-Atlas 1994. 20

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების საერთაშორისო შედარება ერთობ შეფარდებით ხასიათს ატარებს ბაზარზე გაგზავნილი პ

1.Robinson J. Fatwele Einfuhrung in die Volswirtschaftlehre Munchen
რ 1974 გვ.448

ოდუქციის საერთო მოცულობათა წილის,ქვეყნებს შორის დიდი განსხვავების გამო.განვითარებად ქვეყნებში პროდუქციის დიდი ნაწილი,განსაკუთრებით „სუბსისტენტური"[2]სოფლის მეურნეობის სფეროში თვით მწარმოებელთა მიერ მოიხმარება და ამიტომ არ შეიტანება ეეპ-ში.ამასთან,მოცემულ მაჩვენებელში ყოველთვის როდი გაითვალისწინება ჩრდილოვან ეკონომიკაში წარმოებული საქონელი.ამ ნაკლოვანებათა ნაწილობრივი აღმოფხვრის მიზნით 1990წ.გაეროს განვითარების პროგრამაში შემოთავაზებულ იქნა **ადამიანისეული განვითარების ინდექსი.**ეს მაჩვენებელი თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში აერთიანებს სამ სიდიდეს-შემოსავლების მყიდველობით უნარს ერთ სულ მოსახლეზე,სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელ ხანგრძლივობას და განათლებული მოსახლეობის ხვედრ წილს.1994წ.ამ მაჩვენებლით 173 ქვეყანას შორის პირველი ადგილი მოიპოვა კანადამ,ხოლო უკანასკნელი-გვინეამ.მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის არის ზოგიერთი ისეთიც,რომელსაც ცხოვრების უფრო მაღალი ხარისხი გააჩნია ეკონომიკური განზომილებით,ვიდრე მოსალოდნელი იყო.მაგალითად,შრი-ლანკას ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მიხედვით 128-ე ადგილი უჭირავს,ხოლო ადამიანისეული განვითარების ინდექსით 90-ე.

აღნიშნულთან შედარებით კიდევ უფრო თვალნათლივია განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ჩამონათვალი,რომელიც გვიჩვენებს მათში არსებულ პრობლემათა მრავალფეროვნებას.ჩვეულებრივ,ასეთ ჩამონათვალში შეაქვთ შემდეგი პუნქტები:

- მოსახლეობის დიდი პროცენტული წილი,რომელიც განიცდის კვების პროდუქტების ნაკლებობას;
- დანაზოგებისა და ინვესტიციების უმნიშვნელო მოცულობები;
- შრომის დაბალი მწარმოებლურობა;
- მაღალი შობადობა(4%),შედარებით მაღალი სიკვდილიანობა(1,5%) და როგორც შედეგი,მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები(2-3% და მეტი)
- ინფრასტრუქტურის,ჯანდაცვის,განათლების განვითარების მართლწესრიგის და სახელმწიფო მართვის დაბალი დონე;
- მოსახლეობის სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალი წ

2.სუბსისტენტური ეკონომიკა-ეკონომიკა,რომელიც უზრუნველყოფს საოჯახო მეურნეობათა მოხმარების მინიმალურ დონეს, შრომის დანაწილების გარეშე,ე.ი.ბაზრისთვის წარმოების გარეშე.

ლი(50-80%);

- სამრეწველო პროდუქციის დაბალი დონე ეშპ-ში;
- შემოსავლებისა და საკუთრების არათანაბარი განვითარება;
- დაბალი ხვედრი წილი მსოფლიო ვაჭრობაში.

გაეროს კლასიფიკაციის თანახმად განვითარებადს მიეკუთვნება ქვეყანა,რომლის წლიური შემოსავალი მაღალგანვითარებული ქვეყნების შემოსავლის 25%-ს არ აღემატება.

საინტერესოა აღინიშნოს,რომ მსოფლიო ბანკისა და განვითარებაშიდახმარების კომიტეტის სპეციალისტები განვითარებადს მიაკუთვნებენ ალბანეთს,საბერძნეთს,მალტას,კვიპროსს და სხვა.ამრიგად,განვითარებადი ქვეყნების საერთო „სია" არ არსებობს, ხოლო განვითარების დახმარებას დღეისათვის 160 ქვეყანა და ტერიტორია ღებულობს.

განვითარებადი ქვეყნების შიგნით განსხვავების დასადგენად და უღარიბესი ქვეყნებისადმი ყურადღების მისაპყრობად 1971წ.გაერომ შემოიღო ცნება „**ყველაზე ნაკლებგანვითარებული ქვეყნებისა**".

დღეისათვის ყველაზე ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ჯგუფისადმი მიკუთვნების შემდეგი მაჩვენებლები არსებობს:

- ერთ სულ მოსახლეზე ეშპ შეადგენს არა $ 695-ზე მეტს.
- სამრეწველო წარმოების ხვედრი წილი ერთობლივ შიდა პროდუქტში არ აღემატება 10%-ს
- განათლებული მოსახლეობის ხვედრი წილი 15 წელზე ზევით ასაკში 20%-ზე ნაკლებია.

ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება 47 ქვეყანა,უფრო მეტად აფრიკული და მასში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 10%-ზე მეტი.ამასწინათ გაეროს დაგეგმვის კომისია იმ დასკვნამდე მივიდა,რომ ჩვენს მიერ განხილული კრიტერიუმები არასაკმარისია.„ადამიანისეული რესურსების განვითარების" შეფასებისათვის გამოიყენება **ცხოვრების ფიზიკური ხარისხის** მატების ინდექსი,რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლის ხანგრძლივობას,კვების კალორიულობას,სასკოლო ასაკის ბავშვთა ხვედრ წილს და მოზრდილი მოსახლეობის განათლების დონეს.ეკონომიკური დივერსიფიკაცია შეიძლება გაზომილ იქნეს **ეკონომიკური დივერსიფიკაციის ინდექსით**,რომელიც ითვალისწინებს მრეწველობის ხვედრ წილს ეშპ-ში,მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობას,ელექტროენერგიის მოხმარებას ერთ სულ მოსახლეზე და ექსპორტის ნაკადს.

განვითარებად ქვეყნებს განვითარების შედარებით მაღალი დონით, **ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს** უწოდებენ.მათთვის დამახასიათებელი ეკონომიკური დინამიკა საშუალებას იძლევა მიაღწიონ შემოსავლის და სხვა მაჩვენებლების გადიდებას ერთ სულ მოსახლეზე.

2.სუსტადგანვითარებულობის მიზეზი

უნდა გავიხსენოთ,თუ როგორ ძნელია განვსაზღვროთ ის ფარული ძალები,რომელთაც საბოლოო ანგარიშში განაპირობეს თანამედროვე ინდუსტრიული ერების უდიდესი აღმავლობა.

არანაკლები სირთულეები წარმოიშობა სიღარიბის,მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარების დაბალი დონის მიზეზების იდენტიფიკაციის დროს,მაგრამ, მაინც უნდა განვიხილოთ სუსტადგანვითარებულობის რიგი მიზეზები.

„განვითარებადი ქვეყნები ღარიბი არიან იმიტომ, რომ ისინი ღარიბები იყვნენ.მოსახლეობის დაბალი შემოსავლები დანაზოგების განხორციელების საშუალებას არ იძლევიან.ქვეყანა იძულებულია მთელი მიღებული შემოსავალი მოხმარებაზე წარმართოს.დანაზოგების არარსებობა ნიშნავს ინვესტიციების შეუძლებლობას.“

უნდა დავუმატოთ ისიც,რომ შემოსავლების დაბალი დონე ნიშნავს გადახდისუნარიანი მოთხოვნის შეზღუდულობას,და მაშასადამე კერძო მეწარმეებს ინვესტიციების სტიმული არ გააჩნიათ.მაგალითად,ფეხსაცმლის ფაბრიკის პროექტის განხილვისას ბიზნესმენი დარწმუნებული უნდა იყოს,რომ მის მომავალ მომხმარებლებს საკმარისი შემოსავლები გააჩნიათ,ფეხსაცმლის საყიდლად.ხოლო შემოსავლები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ,როდესაც მოსახლეობას სამუშაო გააჩნია.

გარდა ამისა,სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს სახსრები არ გააჩნიათ განვითარებული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად,განათლების და მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნებისათვის.

საბოლოო ჯამში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა აძნელებს წარმოების გადიდებას ერთ სულ მოსახლეზე თუკი მიუხედავად სიძნელეებისა განვითარების პროცესი იწყება,იგი იმავდროულად გამოიწვევს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას,რომელიც მაშინათვე მოიხმარს წარმოებულ ნამეტს.მაგრამ შეიძლება დავეთანხმოთ იმას,რომ,მაგალითად,გერმანია ოდესღაც ღარიბი იყო,ხოლო

შემდგომ გამდიდრდა.მაშასადამე ასევ კავშირები ყველაფერს როდი გვიხსნიან.

მწვავე განხილვის საგანს წარმოადგენს ასევე საკითხი იმის შესახებ,არის თუ არა შესაძლებელი,რომ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მსოფლიო ეკონომიკის არსებულ სისტემაში ასე არათანაბრად მიმდინარეობდეს?მრავალი ავტორი თვლის,რომ მოცემულ სისტემას ნეოკოლონიური ნიშნები გააჩნია,ხოლო განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება ინდუსტრიული ერებისაგან მათი სუსტადგანვითარებულობის უმნიშვნელოვანესი მიზეზია.

სხვები თვლიან,რომ ქვეყნების სუსტადგანვითარებულობა აიხსნება არაეკონომიკური ფაქტორებით-კლიმატით,ცხოვრების წესით და სხვა.ორივე მიდგომა სწორად ასახავს განვითარების არსებული უთანაბრობის სხვადასხვა მიზეზებს.

ზოგიერთი ქვეყნის დაჩქარებული განვითარება საფუძველს ქმნის მათ მიერ სახელმწიფო და ეკონომიკური ძლიერების,და მაშასადამე,სხვა ქვეყნების ექსპლუატაციის შესაძლებლობათა შეძენისა და შენარჩუნებისათვის.

თავისუფალი ვაჭრობის ეპოქაში განვითარებადი ქვეყნების სტრუქტურა ჩამოყალიბდა სამრეწველო ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით.მათში ვითარდებოდა **მომპოვებელი სექტორის** დარგები.მაგალითად,სამთო-მომპოვებელი მრეწველობა და „საპლანტაციო მეურნეობა"(მონოკულტურები,რაც ხელში უვარდებოდა მესაკუთრეთა მცირე ნაწილს).

დღესაც მდგომარეობა ისეთია,რომ საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლობათა უმეტეს ნაწილს განვითარებული ქვეყნები ღებულობენ,რომლებიც დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ,მაშინ როდესაც განვითარებადი ქვეყნების შემოსავლები ექსპორტისაგან შედარებით დაბალია.განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის მცირე ექსპორტი განვითარებულ ქვეყნებში მაღალი საბაჟო გადასახადებით იბეგრება ან საიმპორტო ქვოტით რეგულირდება.ევროკავშირის პროტექციონისტული პოლიტიკა მისი მაღალი დოტაციებით ევროპის სოფლის მეურნეობისათვის,აფერხებს აგრარულ ექსპორტს განვითარებული ქვეყნებიდან.სწორედ ამ სექტორში გააჩნიათ განვითარებად ქვეყნებს შედარებითი უპირატესობა დანახარჯებში,რომელთა გამოყენება მათ არ შეუძლიათ.

თანამედროვე სამრეწველო სახელმწიფოთა განვითარების ანალიზი აშკარად მიუთითებს,რომ ეკონომიკური ზრდის პროცესში კაპიტალის დაგროვებისა და რესურსების მოხმარების(განსაკუთ-

რებით,ენერგიის) მოცულობის გაფართოებასთან ერთად,ახასიათებს სიახლეთა დანერგვა სულიერ და პოლიტიკურ სფეროებში.ევროპის ეკონომიკური განვითარება სტიმულს აძლევდა ახალ ფილოსოფიურ თეორიათა წარმოშობას და ცოდნის გადიდებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში,ცხოვრების მატერიალური პირობების ფორმირების პროცესების შეცნობას.იქმნებოდა ეროვნული სახელმწიფოები,ხოლო მათ მიერ რეალიზებულმა **მერკანტილიზმის** პოლიტიკამ განაპირობა განსაზღვრული ინსტიტუციონალური,მატერიალური და ადამიანისეული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება.ვითარდებოდა მართლწესრიგის სისტემა,ეფექტიანი სახელმწიფო მართვა,საგადასახადო სისტემა,კაპიტალის ბაზარი,სატრანსპორტო მაგისტრალი და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა.დაბოლოს არ არსებობდა მდიდარ ადამიანთა ე.წ. **დემონსტრაციული მოხმარება.**მდიდარი ქვეყნების მოხმარების დონის მიღწევის სურვილი შეუთავსებელია დაზოგვისადმი მიდრეკილების ამაღლებასთან.ხოლო „კოკა-კოლას" ქარხნები,ცხადია,ნაკლებად უწყობენ ხელს ეკონომიკურ განვითარებას,ვიდრე სასუქების ან ცემენტის მწარმოებელი ქარხნები.

3.ზრდის ეკონომიკური წანამძღვრები

განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სიღარიბის ხარისხის შემცირება გულისხმობს წარმოების ზრდას **ერთ სულ მოსახლეზე.**თუკი ადამიანი წარმოებრივ პროცესში იყენებს მიწას და საკუთარ სამუშაო ძალას,მაშინ ხელსაყრელ პირობებში მას შეუძლია ცხოვრებისათვის საჭირო ყველაფრის წარმოება.მაგრამ მოსახლეობის მატების მაღალი ტემპებისა და შეზღუდული მიწის რესურსების პირობებში კლებადი უკუგების კანონის შესაბამისად წარმოიშობა შიმშილი და სიღარიბე.

მოცემული მუნემრივი რესურსების პირობებში წარმოების სტამიღური გადიდება ერთ სულ მოსახლეზე შესაძლოა მხოლოდ კაპიტალის და ტექნიკური ცოდნის გამოყენების გაფართოების პირობებში.

რაში მდგომარეობს კაპიტალურ საქონელთა (სიკეთე) წარმოების შესაძლებლობის შექმნის ძირითადი პირობები?განვიხილოთ მარტივი მაგალითი:გლეხი,რომელსაც ცელის შეძენა სურს მჭედელთან,გამყიდველს უნდა შესთავაზოს იმდენი სურსათი,რათა უკანასკნელს პრობლემა არ ჰქონდეს კვებასთან დაკავშირებით.მაშასადამე,გლეხმა უნდა შექმნას სურსათის ნაჭარბი და იმაზე მეტი უნდა აწარმოოს,ვიდრე მოიხმარს.ეს საერთო კანონზომიერებაა.კაპიტალურ სა-

ქონელთა (ცელი,სასუქები,მორწყვის დანადგარები,სასოფლო სამეურნეო მანქანები და ა.შ.)საჭირო პროდუქტებს იმ შემთხვევაში მიიღებენ,თუკი სხვა მუშები,რომლებიც სურსათის წარმოებაში არიან დასაქმებულები იმაზე მეტს უშვებენ,ვიდრე მოიხმარენ.თუკი განვითარების პროცესი დაიწყო,იგი საკუთარ თავს თვითონ შეინარჩუნებს.დიდი რაოდენობის მანქანები გაზრდის წარმოების მოცულობას ერთ მომუშავეზე.არანაკლებ მნიშვნელოვანია,რათა კაპიტალურ საქონელთა წარმოება არც ისე სწრაფად იცვლებოდეს ფუფუნების საგნების წარმოებით.

4.დანაზოგების შესაძლებლობები

სასიცოცხლო მინიმუმის ზღვარზე მყოფ ადამიანებს დანაზოგების ნულის ტოლი შესაძლებლობა გააჩნიათ.მაგრამ განვითარებადი ქვეყნების ყველა მცხოვრები ასეთ ზღვარზე ცხოვრობს,მდიდრების ჯგუფს კი დანაზოგების შესაძლებლობები გააჩნია.სხვათა შორის,უმეტეს შემთხვევაში მდიდარი ოჯახების მიდრეკილება ნებაყოფლობითი დაზოგვისაკენ დაბალია,ხოლო შემოსავლები იფლანგები ფუფუნების საგნების შეძენაზე.

მაშასადამე,სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს დანაზოგების ფორმირებას.ამისათვის არსებობს რიგი შესაძლებლობები.

პირველი შესაძლებლობა ისაა,რომ სახელმწიფო ინვესტიციებზე წარმართავს თავისი შემოსავლების ნაწილს.მაგრამ განვითარებად ქვეყნებში ხშირად არსებობს ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სისტემის არარსებობის პრობლემა.

ამიტომ სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი წყაროა ფინანსური შემოსულობები ირიბი და საბაჟო გადასახადებიდან (მათი ამოღების სიმარტივის გამო).მაგრამ მოხმარებაზე გადასახადები და ბაჟები რეგრესიულ ხასიათს ატარებენ,და მაშასადამე უფრო მეტად ამძიმებენ დაბალი გადასახადების მიმღებთ.

მეორე შესაძლებლობა-ესაა იძულებითი დაზოგვა ფასების საინფლაციო მომატების შემდეგ.სახელმწიფო აფინანსებს საინვესტიციო ხარჯებს ცენტრალური ბანკის კრედიტის მეშვეობით.თუკი ერთობლივი მოთხოვნა გადააჭარბებს წარმოებით პოტენციალს,იზრდება ფასები.მუდმივი ნომინალური ფასების პირობებში მომხმარებელთა მიერ საქონელთა შეძენის შესაძლებლობები განუწყვეტლად მცირდება.ასეთი სახის პოლიტიკა-სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების მარტივი და მოხერხებული მეთოდია.

დანაზოგების სახელმწიფოებრივი რეგულირების **მესამე** შესაძლებლობაა-პირდაპირი საფასო და რაოდენობრივი დაგეგმვა,მა-

გალითად,სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცენტრალიზებული ჩაბარება სახელმწიფოს მიერ დაწესებული დაბალი ფასებით.

როგორ ფორმებსაც არ უნდა ღებულობდეს დანაზოგები,მათი სტიმულირების რანაირი პოლიტიკაც არ უნდა გამოიყენებოდეს,საქმე ეხება მიმდინარე მოხმარების შეზღუდვის აუცილებლობას.

წარმოებრივი კაპიტალის შექმნის საინტერესო შესაძლებლობა რეალიზებული იქნა ჩინეთში,როდესაც დაუსაქმებელი მუშები პრაქტიკულად ხელით ქმნიდნენ მორწყვის სისტემებს,გზებს,საცხოვრებელ შენობებს,საწყობებს და ა.შ.მართალია ასეთი წარმოებრივი მეთოდი არც ისე „პროგრესული“ იყო,მაგრამ ესაა სამუშაო ძალის გონივრული გამოყენების ხერხი,რომელიც სულერთია მაინც უნდა დააპურო.მსგავსი მეთოდები გამოიყენება აფრიკაშიც „სურსათი მუშაობისათვის“ პროგრამის ფორმით.

5.საინვესტიციო სამუშაოები

ინვესტიციები-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელია,ისინი ქმნიან წარმოებრივ სიმძლავრეებს და შემოსავლებს.განვითარებადი ქვეყნების წინაშე მდგარი დიდი პრობლემაა დანაზოგების ხარჯზე შექმნილ საინვესტიციო შესაძლებლობათა გამოყენება.

განვითარებად ქვეყნებში უდიდესი მოთხოვნები არსებობს ინფრასტრუქტურაში,სოფლის მეურნეობაში,მშენებლობაში,აგრომრეწველობასა და ა.შ.დაბანდებებისათვის.მაგრამ ხშირ შემთხვევაში ასეთი დაბანდებები არარენტაბელურია.მეწარმეს,რომელიც ვარაუდობს ფაბრიკის აშენებას(ვთქვათ ფეხსაცმლის საწარმოებლად),ინფორმაცია არ გააჩნია იმის შესახებ,შეუძლიათ თუ არა იმავდროულად მშენებარე სხვა საწარმოებს ისეთი შემოსავლების გენერირება,რომლებიც ფეხსაცმელზე მოთხოვნილებას მყიდველობით უნარად „გარდაქმნის“ საშუალებას მისცემს.სხვა სიტყვებით,საშინაო ბაზრის სივიწროვე კერძო ინვესტიციებზე საჭირო უკუგების საშუალებას არ იძლევა,ხოლო მსოფლიო ბაზრებზე გასვლა გასაღების არხების წინასწარ „ჩაწყობას“ მოითხოვს.

იმავდროულად,როგორც წესი,არ არსებობს შუალედური პროდუქტებით და წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა.მაგალითად,ტყავის მწარმოებელი ფაბრიკის ან მომუშავეთა არარსებობით ფორმით.დაბოლოს ინფრასტრუქტურა,მაგალითად გზები საკომუნიკაციო ქსელები და ელმომარაგება.ყველაფერი ეს გვიჩვენებს,თუ რა ძნელია ბიძგი მისცე კერძო მეწარმეთა საინვესტიციო საქმიანობას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა,რომ სახელმწიფო უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს საინვესტიციო საქმიანობაში.თუკი,მაგალითად,სახელმწიფო ააშენებს ცემენტის ქარხანას,ეს გამოიწვევს მოთხოვნის ფორმირებას ენერგიაზე,ნედლეულსა და ტარაზე და ა.შ.და აღმოცენდება „ზეწოლა" წარმოების აუცილებელ ფაქტორთა გამოშვების მიმართულებით:ე.ი.**უკუკავშირი**.იმავდროულად ფორმირდება წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის აუცილებლობა.მაგალითად,სტიმული ეძლევა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ან ბეტონის მზა კონსტრუქციების გამოშვებას (**პირდაპირი კავშირი**).

კაპიტალდაბანდებათა დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა-საინვესტიციო პრობლემათა არჩევა.საჭიროა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება კაპიტალის დაბანდების **სფეროს**,გამოყენებული **ტექნიკის** და ქვეყნის **რაიონების** შესახებ,რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ ინვესტირებას.ამასთან,დღეისათვის სახელმწიფოს არსებითი როლი მხოლოდ იმაშია,რომ იგი ქმნის კერძო საწარმოთა ფუნქციონირების საიმედო საფუძვლებს.

წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის-შრომის,კაპიტალის და მიწის-განსაზღვრა უნდა მოხდეს ეკონომიურობის პრინციპის შესაბამისად.იშვიათი წარმოებრივი ფაქტორები უნდა იხარჯებოდეს მაქსიმალური ყაირათიანობით.რამდენადაც განვითარებად ქვეყნებში კაპიტალი იშვიათია,ხოლო შრომა ჭარბი,უნდა შეირჩეს **შრომატევადი ტექნოლოგიები.**

საბოლოო ანგარიში,საინვესტიციო პროექტების შერჩევისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული განვითარებადი ქვეყნების პრობლემები.ამიტომ ახალ წარმოებრივ საქმიანობას უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

- მაღალი შრომატევადობა.
- პირდაპირი და უკუკავშირების მაღალი ხარისხი.
- საკუთარი წარმოებრივი ფაქტორების გამოყენება.
- მარტივი წარმოებრივი მეთოდები,რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის კვალიფიკაციას.
- წარმოება კონცენტრირებულ უნდა იქნეს ადამიანთა ძირითად მოთხოვნილებებზე:სურსათი,ტანსაცმელი,საცხოვრებელი ბინები.
- უნდა ჰქონდეს მწირი უცხოური ვალუტის ეკონომიკა,იმპორტის თანდათანობით საკუთარი წარმოებით შეცვლით.
- მოსახლეობის სასოფლო ადგილებიდან გადენის და დიდი ქალაქების მეტისმეტი ზრდის შესაკავებლად ინვესტიციები უნდა წარიმართოს სასოფლო რეგიონებზე.

ცხადია,რომ სოფლის მეურნეობის განვითარება და სოფლის ინდუსტრიალიზაცია აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მრავალ მოთხოვნილებას.ამ დასკვნას შეესაბამება მსოფლიო ბანკის მიერ დეკლარირებული **სიღარიბესთან ბრძოლის პოლიტიკა**,რომელიც „სოციალურად სამართლიანი,სტაბილური მშვიდობიანი განვითარების წანამძღვარია“.

6.სოფლის მეურნეობა და მისი ინდუსტრიალიზაცია

წინასწარ უნდა შევნიშნოთ,რომ სოფლის მეურნეობის განვითარება შეიძლება პირველი ნაბიჯი იყოს ეკონომიკურ განვითარების გზაზე,მაგრამ ეს მხოლოდ ნაბიჯია შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენისაკენ.

განვითარებულ ქვეყნებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩნიათ,მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს შეზღუდვებზეც.

სიმინდის ახალი ჯიშების,ბრინჯის და ხორბლის ნათესები,რომლებიც მოსავლიანობას 2-5ჯერ ადიდებენ და ასევე მოსავლის აღება საშუალოდ ორჯერ წელინადში,შიმშილის პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაჭრის(ე.წ. „მწვანე რევოლუცია“) საბაბს იძლევიან.მაგრამ „სასწაული-ჯიშების“ დათესვა მოითხოვდა სასუქების გამოყენებას და მორწყვის გაფართოებას,რაც ჯერჯერობით მეტისმეტ მოთხოვნებს უყენებს გლეხობას.გარდა ამისა,აუცილებელია კრედიტების შეთავაზება სასოფლო მწარმოებლებზე და ნამეტი პროდუქციის რეალიზაციის ორგანიზაცია.

მიწის უკეთ გამოყენების შესაძლებლობები მორწყვისა და სასუქების მეშვეობით ჯერჯერობით ამოწურული როდია.ასე,მაგალითად,იაპონია იყენებს უფრო მეტ ხელოვნურ სასუქებს,ვიდრე ინდოეთი,თუმცა მისი სათესი ფართობები 25-ჯერ ნაკლებია.

აუცილებელია სხვა წარმოებრივი მეთოდებიც.მაგალითად პირუტყვის თავისუფალი ძოვება მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის რეგიონებში ეკონომიურია, მაგრამ არა აზიაში.ერთ-ერთი გაანგარიშებით,თუკი საკვებ კულტურებს აზიის ქვეყნებში დავუთმობთ სათესი ფართობების 20%—ს,მიღებული პროდუქცია საშუალებას მოგვცემს რაიმე პრობლემების გარეშე უარი ითქვას პირუტყვის ტრადიციულ ძოვებაზე საძოვრებზე.

ყველა ეს გაუმჯობესებანი მიზნად ისახავენ სტრუქტურულ რეფორმებს,რომელიც მიზნად ისახავს:

- მიწის რეფორმას,რომელმაც უნდა დაიცვას მოიჯარე ექსპლუატაციისაგან;
- ახალი წარმოებრივი მეთოდების დანერგვის დაკრედიტებას;
- „სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციების“ სისტემის შექმნას,რომელიც მოწოდებულია გლეხებამდე დაიყვანოს სასუქების,მარწყვის,მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის გამოყენების შესაძლებლობები;
- შესყიდვების,წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის მოწყობას;
- წარმოების პროდუქტების ბაზარზე გასაღების რეგულირებას;

ანალიზი გვიჩვენებს,რომ სოფლის მეურნეობის სწრაფ ზრდას აფერხებს (მიწის რეფორმის აუცილებლობა),ტექნიკური და ფინანსური პრობლემები.

სოფლის ინდუსტრიალიზაცია განვითარებული ქვეყნების ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა,რომლის გადაჭრა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას.

7.დემოგრაფიული პრობლემები

რამდენად განუსაზღვრელი და ნაკლებრეგულირებადია განვითარების პროცესი,იმდენად ცხადია წარმატების მიღწევის შეუძლებლობა იმ შემთხვევაში,თუკი განვითარებადი ქვეყნები ვერ შეძლებენ მოსახლეობის რაოდენობის გადიდების პრობლემის გადაჭრას.ამ მაჩვენებლის 2-3%-ით ზრდისას განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა გაორმაგდება ყოველ 25-35 წელიწადში.მაშასადამე,წარმოებრივი კაპიტალიც უნდა გაიზარდოს არანაკლებ 2-ჯერ ყოველ 30 წელიწადში და მხოლოდ იმისათვის,რომ შეინარჩუნოს მოხმარების მიმდინარე,ერთობ დაბალი დონე.მაგრამ განვითარებად ქვეყნებში ბავშვების მაღალი სოციალური და ეკონომიკური ფასეულობის გამო (შვილები უზრუნველყოფენ მშობლებს სიბერეში),გასაგებია,რამდენად და როგორ წყდება მსგავსი პრობლემები.

თუკი ოჯახის დაგეგმვა წარუმატებლად დამთავრდება,მაშინ უნდა ვივარაუდოთ,რომ ემპირიული კანონზომიერება,რომლის შესაბამისად შემოსავლების ზრდა ერთ სულ მოსახლეზე იწვევს შობადობის შემცირებას,ახლო მომავალში გამეორდება განვითარებულ ქვეყნებშიც.

სახელმწიფომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს,მან უნდა:

- შექმნას კერძო ეკონომიკური ინიციატივის გამოვლენის სტაბილური საფუძვლები(ფულადი სისტემა,მართლწესრიგი და ა.შ.)
- ჩამოაყალიბოს ინფრასტრუქტურა;
- სტიმული მისცეს დანაზოგების შექმნას;
- ხელი შეუწყოს ინვესტიციებს და დაარეგულიროს ისინი;
- გაატაროს შობადობის რეგულირების პოლიტიკა.

სახელმწიფომ მთავარი როლი უნდა ითამაშოს ზრდის საზოგადოებრივი და ინსტიტუციონალური დაბრკოლებების დაძლევაში,რომლებიც მოსახლეობის მოტივაციას,მრავალ აუცილებელ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციათა არასაკმარის კერძო რენტაბელობას და დამატებით ინვესტიციათა სუბიექტურ განუსაზღვრელობას ემყარება.მაგრამ ეკონომიკური განვითარების სტადიაზე ჩვენ საეჭვოა იოლად გავიდეთ რეგულირების გარეშე სახელმწიფო სფეროში,და ეკონომიკური აქტიურობის გარეშე კერძო სფეროში.

8.მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი

უკვე რამდენიმე წელია განვითარებადი ქვეყნები აკრიტიკებენ მსოფლიო ეკონომიკის არსებულ წესრიგს.ისინი თვლიან,რომ მრავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე განპირობებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების უწინდელი და ახლანდელი ფორმებით,და მაშასადამე,გაცვლის პირობებით საბაზრო ეკონომიკაში.აყენებენ კონკრეტულ ეკონომიკურ მოთხოვნებს,რომლებსაც აცხადებენ გაეროს სხვადასხვა ორგანოთა შეკრებაზე,მაგალითად,გაერთიანებული ერების კონფერენციაზე ვაჭრობისა და განვითარების საკითხებში და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ყრილობებზე.

განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნები განზოგადებულად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგ პუნქტებში:

- ნედლეულის ფასების(რომელზეც დამოკიდებულია განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო ამონაგები) დაკავშირება (მიბმა) დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ფასებთან.
- საექსპორტო ამონაგების სტაბილიზება;

● განვითარებადი ქვეყნების ხვედრი წილის გადიდება მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1996 წლის 11%-დან, 25%-მდე 2000 წელს.

არსებითად,ეს მოთხოვნები მიმართულია მსფოლიო ეკონომიკის პროდუქციის განაწილების საბაზრო მექანიზმის შეღებების შეცვლაზე,ე.ი.გადანაწილების პრობლემასთან.ამრიგად,საქმე ეხება შესაბამის და საბაზრო მექანიზმისადმი არაადექვატურ ღონისძიებებს.ცხადია,რომ განაწილების მექანიზმი უნდა შეიცვალოს,მაგრამ შენარჩუნებული იქნება კი საბაზრო მექანიზმი?საქმე ეხება არჩევანს ფასების ფიქსაციასა და დოტაციებსა და საკომპენსაციო გადასახადებს შორის.ფასების ფიქსაცია,რომელიც წონასწორობის ფასი არაა და არ ასახავს იშვიათობას,ყამოიწვევს იშვიათ წარმოებრივ საქონელთა არასწორ განაწილებას,ხოლო ფასები დაკარგავენ თავიანთ მარეგულირებელ ფუნქციას.განვითარებადი ქვეყნებისათვის საეჭვოა ღირდეს იმ გზაზე გადასვლა,რომლითაც დიდი ხანია მიდის ევროსაბჭოს აგრარული ბაზარი(ფერმერთა შემოსავლების სტაბილიზაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასის ფიქსირების მეშვეობით).

განვითარებული ქვეყნების უმეტესობა არანაირად არ არიან კმაყოფილი რეალური გასაცვლელი თანაფარდობებით(ვაჭრობის პირობებით).უფრო კონკრეტულად,განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებ ხელოვნურ სასუქებს,ტრაქტორებს,მანქანებს და ა.შ.იღებენ ექსპორტირებულ ტონა ყავაზე,კაკაოზე,სპილენძზე,ცინკსა და ა.შ.მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით უკანასკნელ წლებში რეალურმა გაცვლითმა თანაფარდობებმა სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა მიმართულებით განიცადეს ცვლილებები,ამასთან,ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დაბალი შემოსავლების მქონე აფრიკული ქვეყნები.ასეთი დინამიკა ასაბუთებს ძლიერ ლტოლვას ცვლილებებისაკენ.

ფასების პირდაპირი ინდექსაციას რიგი ნაკლოვანებები გააჩნია.მათ შორის მთავარი ისაა,რომ იგი ერთობ ხელსაყრელია ნედლეულია ექსპორტიორი სამრეწველო ერებისათვის (აშშ,რუსეთი).

თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყანა განიცდის **უცხოური ვალუტის უკმარისობას**.მრავალი მათგანისათვის გამომუშავებული უცხოური ვალუტის 50%—ზე მეტი ხშირ შემთხვევაში ნედლეულის,ერთადერთი ნედლეულის ექსპორტის შედეგია (მაგალითად,განისთვის-კაკაოსი,უგანდისა და რუანდისთვის-ყავის,ზამბიისათვის სპილენძის და ა.შ.)

საჭიროა ლტოლვა **შრომის დანანილების ხარისხის ამაღლებისაკენ**,რომელიც ხელსაყრელი აღმოჩნდება არა მხოლოდ განვითარებადი,არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც.მაგრამ მოკლევადიანი პრობლემები.რომელიც ინდუსტრიული ქვეყნები უფრთხიან(უმუშევრობა),იმას იწვევს რომ განვითარებადი ქვეყნები არ ღებულობენ სათანადო მხარდაჭერას.

განვითარებული ქვეყნების პროდუქტებისათვის უნდა გაიხსნას სამრეწველო სახელმწიფოთა ბაზრები,გაფართოვდეს **საბაჟო შეღავათები**,მაგალითად ევროკავშირის მხრივ გაუქმდეს ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის წარმოების „საბაჟო დაცვა“(სატარიფო სავაჭრო ბარიერები) შემცირდეს დატვირთვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე.გარდა ამისა,განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **არასატარიფო სავაჭრო ბარიერების გაუქმებას**(მაგალითად,ადმინისტრაციული განაწესები,შეტანის,ტექნიკური სტანდარტების ლიცენზიები და ა.შ.),რომელთა პროტექციონისტული ზემოქმედება არაიშვიათად აჭარბებს საბაჟო გადასახადების ზეგავლენას.

როგორც საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები,ინდუსტრიული ერები უნდა შეთანხმდნენ არსებული სავაჭრო ბარიერების გაუქმებაზე.მაგრამ მრეწველურად განვითარებული ქვეყნები ჯერჯერობით კონცენტრირებული არიან საკუთარ პრობლემათა გადაჭრაზე და,უწინარეს ყოვლისა,უმუშევრობის პრობლემისა.

9.დახმარება განვითარებად ქვეყნებს

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა საშუალებას გვაძლევს დაასკვნა,რომ:

- ეკონომიკური განვითარება გულისხმობს კაპიტალის არსებობას,
- განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები,ჩამოაყალიბონ კაპიტალი საკუთარი ძალებით,ძალზე შეზღუდულია.
- რა მოცულობით უნდა გაეწიოს დახმარება განვითარებად ქვეყნებს?ამ კითხვას უნდა ეუპასუხოთ ზნეობრივი მიზანდასახულობიდან გამომდინარე.გამოყოფენ შემდეგ ზღვრულ თვალსაზრისს:
- ყოველი ქვეყანა „თვითონ არის საკუთარი ბედნიერების მჭედელი“ და პასუხისმგებელია თავის თავზე;

● ყოველი ქვეყანა „თვითონ არის საკუთარი ბედნიერების „მჭედელი„,მაგრამ საჭიროა ერთნაირი სასტარტო შესაძლებლობები.

● ყოველი ადამიანი,რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი,ძირითად ადამიანისეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უფლება გააჩნია;

● ყველა ადამიანი ერთნაირია, და ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი ეკონომიკური მდგომარეობა.

მსოფლიო ბანკის ოფიციალური დეკლარაციები შეიძლება,არსებითად,მესამე თვალსაზრისს მივაკუთვნოთ.აუცილებელია ინდუსტრიულმა ერებმა განვითარებად სახელმწიფოებს თავისი ეეა-ის 1% შესთავაზონ და ამ თანხიდან 0,7% მიდიოდეს საზოგადოებრივ დახმარებაზე-აუნაზღაურებელი დეფიციტის ფორმით,რაც მათ დიდ ნაწილს შეადგენს (ასეთია გაეროს საერთაშორისო სტრატეგია).

მართალია გაეროს რეზოლუცია მრავალმა ინდუსტრიულმა ქვეყანამ მოიწონა,მათ შორის გერმანიამაც,მაგრამ სრულდება იგი მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის (შვედეთი,ნორვეგია,დანია) მიერ.1993წ.განვითარებადი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი,რომლებიც მათი პრობლემებით არის დასაქმებული გადარიცხულ იქნა 55,9 მლრდ.

განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების პრობლემა მისი მიზნების კონკრეტიზებისა და მათგან ყველაზე ღარიბებისადმი დახმარებაში მდგომარეობს.

განვითარებადი ქვეყნებისადმი სახელმწიფო დახმარების ქმედითობის საერთო შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია,მაგრამ ტრანსფერტების მოცულობა არსებითია.

საბოლოო ანგარიშში აუცილებელია დავფიქრდეთ განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების აღმოჩენის უფრო გონივრულ პრინციპებზე,ორმხრივი და მრავალხმრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით:ფინანსური თანამშრომლობა (კრედიტების და ან დოტაციების შეთავაზება) ტექნიკური თანამშრომლობა;პერსონალური თანამშრომლობა(განათლება,კვალიფიკაციის ამოღება,დახმარება ბიზნესის ორგანიზაციაში) ან გაცვლის გაადვილებული და გაუმჯობესებული პირობების ფორმით.

1980-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიო ბანკი (ხშირად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით) რიგ განვითარებად ქვეყანაში აფინანსებდა და სტრუქტურული შეგუების პროგრამას ატარებდა,რომელიც ორიენტირებული იყო

მაკროეკონომიკური დისბალანსების აღმოფხვრაზე. ზოგიერთ ქვეყანაში,მაგალითად, განაში **სტრუქტურული შეგუების პროგრამის** მეშვეობით მიღწეულ იქნა არსებითი შედეგები.მაგრამ მათი ნაკლოვანებაა შედარებით მცირე ხანგრძლივობა,ისე,რომ უმეტეს შემთხვევაში საჭიროა წინა პროგრამის დამთავრებისთანავე ახლის დაწყება.

დაფიქრდით და უპასუხეთ

1.როგორია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები?
2.რა ნიშნით აკუთვნებენ ქვეყნებს განვითარებადს?
3.რა არის სუსტადგანვითარებულობის მიზეზი?
4.როგორია განვითარებადი ქვეყნების დარგობრივი სტრუქტურა?
5.რა დახმარებას ღებულობენ განვითარებადი ქვეყნები?

შინაარსი

შესავალი 3
თავი პირველი
ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია): საგანი, მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია
1.ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) საგანი, მიზნები და ამოცანები,..... 5
2ეკონომიკური თეორიი სწარმოშობა და განვითარების ეტაპები 14
3.თანამედროვე ეკონომიკური აზრის მიმართულებები.. 20
4.ეკონომიკური თეორიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან და ეკონომიკურ პოლიტიკასთან..... 26
5.ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგია 30
6.ეკონომიკური თეორის ფუნქციები..... 32
7.ეკონომიკური კანონები და კატეგორიები..... 35
თავი მეორე ბაზარი და კონკურენცია
1.ბაზარი:აღმოცენების მიზეზები და დამახასიათებელი ნიშნები....39
2.ბაზრის ტიპები,ფუნქციები და სტრუქტურა..... 43
3.კონკურენცია ბაზრის სისტემაში..... 50
თავი მესამე ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი
1.მოთხოვნის ცნება,ფუნქციები და მოთხოვნის მოცულობა..... 56
2.მიწოდების ცნება,ფუნქციები და მიწოდების მოცულობა..... 59
3.მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება. საბაზრო წონასწორობა..... 63
4.შემოსავლებით და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებები მოთხოვნაში..... 64
5.სახელმწიფოსა და მონოპოლიის ზეგავლენა ბაზარზე..... 65
თავი მეოთხე სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში
1. სახელმწიფო-შერეული საბაზრო ეკონომიკის ორგანული ნაწილი..... 68
2.სახელმწიფო სექტორი საბაზრო ეკონომიკაში..... 71
3.განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის პრობლემები განვითარებულ ქვეყნებში..... 74
თავი მეხუთე ფირმა,წარმოების ხარჯები და მოგება
1.ფირმის ეკონომიკური ბუნება,მისი ორგანიზაციის

ძირითადი ფორმები..... 82
2.წარმოების ხარჯები და მოგება..... 89
3.ფირმის ზღვრული ხარჯები..... 92
4.ფირმის მართვის თეორია-მენეჯმენტი..... 100
5.მარკეტინგი:არსი,ფუნქციები,პრინციპები..... 102

თავი მეექვსე წარმოების ფაქტორთა ბაზარი

1.წარმოების ფაქტორები,მათი ურთიერთშეცვლადობა,წარმოებული მოთხოვნა.ზღვრული პროდუქტი და შემოსავალი...105
2.შრომის ბაზარი:მოთხოვნა,მიწოდება,ხელფასი,წონასწორობა შრომის ბაზარზე..... 110
3.საწარმოო და ფულადი კაპიტალის ბაზარი..... 115
4.მიწა,როგორც წარმოების ფაქტორი,რენტა და მიწის ფასი.....118
5.მეწარმეობა და მოგება..... 120

თავი მეშვიდე ფასები და ფასწარმოქმნა

1.ფასი-საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი..... 125
2.ფასის ფუნქციები..... 127
3.ფასების სახეები..... 129
4.ფასწარმოქმნის ხარჯვითი მექანიზმი..... 131
5.ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმი..... 132
6.ინფლაცია:არსი და სახეები..... 134

თავი მერვე ბირჟები და საბირჟო ოპერაციები

1.საბირჟო ვაჭრობის საგანი და ბირჟების სახეები.. 139
2.ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის ისტორია..... 142
3.ბირჟების მოწყობა..... 145
4.როგორ წარმოებს ვაჭრობა ბირჟაზე?..... 149
5.საბირჟო გარიგებათა სახეები..... 150
6.ბირჟები,როგორც ფასწარმოქმნის ინსტრუმენტი..... 151

თავი მეცხრე ფასიანი ქაღალდების ბაზარი

1.ზოგადი ცნებები,ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა და ფუნქციები....154
2.ფასიანი ქაღალდების სახეები:აქციები,ობლიგაციები..... 156
3.ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები..... 163
4.ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ხერხები..... 165

თავი მეათე საკრედიტო-ფულადი სისტემა და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა

1.ფული და მისი ფუნქციები.ფულადი სისტემის არსი და ტიპები.....167
2.კრედიტის არსი და ფუნქციები..... 171
3.თანამედროვე საკრედიტო-ფულადი სისტემის სტრუქტურა. ..173
4.ფულის მასა და მისი სტრუქტურა,ფულადი აგრეგატები... 175

5.ფულზე მოთხოვნა.წონასწორობა ფულად ბაზარზე..... 177
6.ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საკრედიტო-
ფულადი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები..... 179
თავი მეთერთმეტე ეროვნული ეკონომიკა:შედეგები
და მათი გაზომვა
1.მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.ეროვნულ ანგარი-
შთა არსი და სტრუქტურა 184
2.ეპ-ის გაანგარიშება დამატებული ღირებულების მეთოდით... .187
3..ეეპ-ის გაანგარიშება დანახარჯების მიხედვით..... 188
4.ეპ-ის გაანგარიშება შემოსავლის მიხედვით (განაწილებითი მეთოდი)..190
5.ნომინალური და რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტი.. 193
6.ეეპ და წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (წეკ)... 195
თავი მეთორმეტე მაკროეკონომიკური არას-ტაბი-ლურობა:საბაზრო
ეკონომიკის განვითარების ციკლურობა
1.ეკონომიკური ცვლილებების მიზეზები, ნიშნები და პერიოდულობა..198
2.ციკლურ მერყეობათა გავრცელების მექანიზმი:
მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტი.....202
3.მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა-ოუკუნის კანონი..206
4.სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკურ ციკლებსა და კრიზისებზე.. 209
5.ეკონომიკური განვითარების გრძელი ტალღები..... 213
თავი მეცამეტე. სახელმწიფო ბიუჯეტი და ბიუჯეტური მოწესრიგება
1.ეკონომიკის ფინანსური რეგულირების ინსტრუმენტები.....217
2.სახელმწიფო ბიუჯეტის არსი და მოწყობის სახეები... 219
3.ბიუჯეტგარეშე ფონდები..... 224
4.საწარმოთა ფინანსური ბალანსები..... 226
თავი მეთოთხმეტე ინვესტიციები და საინვეს-ტიციო პროცესები
1.რა იგულისხმება ინვესტიციებში?..... 230
2.ინვესტიციებში კაპიტალის მოზიდვის წყაროები..... 233
3.საინვესტიციო დაპროექტება და მისი სახეები..... 236
4.ინვესტიციები,როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო..... 239
5.ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.. 241
თავი მეთხუთმეტე.გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა
1.გადასახადები და საგადასახადო სისტემა..... 246
2.გადასახადით დაბეგვრის პრინციპები..... 248
3.გადასახადების სახეები..... 250
4.ფიზიკურ პირთა გადასახადები..... 252
5.საწარმოთა გადასახადით დაბეგვრამოგების გადასახდელი 255
6.დამატებული ღირებულების გადასახდელი.აქციზები..... 257

7.საგადასახადო რეგულირების თავისებურებები..... 259
8.საგადასახადო ტვირთის განაწილების მექანიზმი..... 262
9.საინვესტიციო პროცესის საგადასახადო მექანიზმი..... 263

თავი მეთექვსმეტე.პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის არსი,მიზნები და კანონზომიერებები

1.გარდამავალი პერიოდის თავისებურებები.....266
2.გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციები..... 271
3.პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის მიზნები 276

თავი მეჩვიდმეტე.სამეურნეო რისკი:სახეები და მათი შეფასების მაჩვენებლები

1.სამეურნეო რისკის ცნება..... 280
2.დანაკარგების სახეები და მიზეზები მენარმეობაში..... 283
3.სამეურნეო რისკის საზღვრები და ზონები..... 285
4.მენარმის რისკის შეფასების ხერხები..... 288
5.რისკის ფსიქოლოგია..... 289

თავი მეთვრამეტე.სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა

1.სახელმწიფოს სოციალური სფერო..... 292
2. ეკონომიკის სოციალური სფეროს დარგები..... 294
3.ცხოვრების დონე და მისი ხარისხი..... 296
4.ადამიანის და ოჯახის შემოსავლებიხარჯებისამომმარებლო ბიუჯეტი 300
5.სოციალური დაცვა და მოსახლეობისადმი დახმარება... 302
6.სოციალური უზრუნველყოფა..... 302
7.სოციალური რეაბილიტაცია..... 304
8.სოციალური ქველმოქმედება..... 305
9.ზრუნვა გარემობუნების შესახებროგორც სოციალური პროცესი.....307

თავი მეცხრამეტე ეკონომიკური ზრდა და მისი ტიპები

1.ეკონომიკური ზრდა,მისი გაზომვის ხერხები..... 309
2.ეკონომიკური ზრდის ტიპები..... 311
3.მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი,როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი 313
4.ეკონომიკის ზრდის წყაროები და დანახარჯები..... 316

თავი მეოცე.ეკლოლგიური პრობლემები:მი-ზნები და ინსტრუმენტები

1.ეკლოლგიური პრობლემების არსი და მიზნები..... 320
2.გარემობუნების დატვირთვის მიზეზები..... 321
3.ეკლოლგიური პოლიტიკის მიზნები და პრინციპები..... 323
4.ეკლოლგიური პოლიტიკის პრინციპები..... 325

5.ეკლოლგიური პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 327
6.გლობალური ეკონომიკური პრობლემები..... 332
თავი ოცდამეერთე. ევროკავშირი და მისი სტრუქტურა
1.გზა საბაჟო კავშირისაკენ..... 333
2.რეგიონულად შეზღუდული ინტეგრაციის ბაზრების შანსები და რისკები..... 337
3.ევროკავშირის ინსტიტუციონალური სისტემა..... 340
4.ევროკავშირის ბიუჯეტი..... 345
5.ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა..... 349
6.ევროკავშირის რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკა.....352
თავი ოცდამეორე.საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები და მსოფლიო ეკონომიკა
1.მსოფლიო მეურნეობა:არსი და პრინციპები..... 356
2.საერთაშორისო ვაჭრობა..... 359
3.საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კავშირები..... 363
4.კაპიტალის გატანის ფორმები და შედეგები..... 364
5.ერთობლივი საწარმოები..... 367
6.თავისუფალი ეკონომიკური ზონები..... 368
7.სავალუტო ურთიერთობები..... 370
8.საგადასახდელო ბალანსი..... 373
9.საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგუ-ლირება...375
10.ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა..... ..777

თავი ცოდამესამე განვითარებადი ქვეჰნების პრობლემები
1.განვითარებადი ქვეყნის ცნება..... 380
2.სუსტადგანვითარებულობის მიზეზი..... 383
3.ზრდის ეკონომიკური წანამძღვრები..... 385
4.დანაზოგების შესაძლებლობები..... 386
5.საინვესტიციო სამუშაოები..... 387
6.სოფლის მეურნეობა და მისი ინდუსტრიალიზაცია..... 389
7.დემოგრაფიული პრობლემები..... 390
8.მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი..... 391
9.დახმარება განვითარებად ქვეყნებს..... 393

ნახარჯები და,ამასთან,მოგვცეს ნამეტი,მოგება.**მოგება**,მამოძრავებელი მოტივია,რომელიც განსაზღვრავს მეწარმეობითი საქმიანობის შინაარსს.მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოებრივ დანახარჯთა სიდიდეზე.ის წარმოების ხარჯები რატომ არის ეკონომიკური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ბლოკი.

უწინარეს ყოვლისა,განვიხილოთ აშკარა და ალტერნატიული (ფარული) ხარჯები,რამდენადაც ორივე გაითვალისწინება ფირმის მიერ თავის საქმიანობაში.**აშკარა** ხარჯებს მიეკუთვნება ფირმის დანახარჯები წარმოების გამოყენებულ ფაქტორებზე.წარმოების **კლასიკური** ფაქტორებია შრომა,მიწა (ბუნებრივი რესურსები) და კაპიტალი.თანამედროვე ეკონომისტები გამოყოფენ განსაკუთრებულ ფაქტორს-მეწარმეობით უნარს.ყველა აშკარა დანახარჯი გამოდის როგორც პროდუქციის თვითღირებულება,ხოლო განსხვავება საბაზრო ფასსა და თვითღირებულებას შორის-როგორც მოგება.

მაგრამ წარმოებრივი დანახარჯების ჯამი,თუკი მასში შევიტანთ მხოლოდ აშკარა ხარჯებს,შესაძლოა იგი შემცირებული აღმოჩნდეს და მოგება,შესაბამისად,გადიდებული.უფრო სრული სურათის მისაღებად,და ფირმის მიერ წარმოების დაწყების ან განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასასაბუთებლად დანახარჯებში უნდა შევიტანოთ არა მხოლოდ აშკარა,არამედ ფარული (ალტერნატიული) ხარჯებიც.

ალტერნატიული (ფარული) ეწოდება რესურსების გამოყენების დანახარჯებს (ალტერნატიული ღირებულება), რომლებიც ფირმის საკუთრებაა.ეს დანახარჯები არ შედის ფირმის გადასახდელებში სხვა ორგანიზაციების ან პირებისადმი.მაგალითად,მიწის მესაკუთე არ იხდის რენტას,მაგრამ,მიწის დამოუკიდებლად დამუშავებისას,უარს ამბობს მის იჯარით გაცემაზე და ამით წარმოშობილ დამატებით შემოსავალზე.მომუშავე,რომელიც მისდევს ინდივიდუალურ საქმიანობას,ქირავნობით არ მუშაობს ფაბრიკაში და ხელფასს არ იღებს იქ.

არა მხოლოდ აშკარა,არამედ ალტერნატიული (ფარული) ხარჯების გათვალისწინება საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად შევაფასოთ ფირმის მოგება.**წმინდა ეკონომიკური მოგება** განისაზღვრება,როგორც განსხვავება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლსა და მთელ დანახარჯებს (აშკარა და ფარული) შორის.

ბუღალტრული მოგება (ფინანსური მოგება) წარმოადგენს განსხვავებას ფირმის მთლიან შემოსავალსა (ამონაგებს) და მის აშკარა ხარჯებს შორის.პრაქტიკაში,როგორც წესი,წარმოების ხელმძღვანელი მოგების ამ სახეობებს აწყდება.

ეკონომიკური მოგება წარმოადგენს განსხვავებას ფირმის მთლიან შემოსავალსა (ამონაგები) და მის მთელ დანახარჯებს (როგორც აშკარა,ისე ფარული) შორის.

ნორმალური მოგება-ისეთი მოგებაა,რომელიც ალტერნატიული დანახარჯების ტოლია და საქმეში არის დაბანდებული ფირმის მფლობელის მიერ.მაგალითად,საქმეში 1 მლნ ლარის ჩადებით იგი მიიღებს 7% მოგებას.თუკი ამ პერიოდში სარგებლის ნორმა ასევე 7% იქნება,მაშინ მიღებული მოგება ნორმალური იქნება,რომელიც ასახავს ალტერნატიულ დანახარჯებს,რაც დაკავშირებულია 1 მლნ ლარის ბანკში მოთავსების შესაძლებლობასთან.

წარმოების ფაქტორებს გარკვეული თვისებები გააჩნიათ და განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარებიან.ფაქტორებს შეუძლიათ ერთმანეთის შეცვლა განსაზღვრულ ზღვრამდე.ასე,მაგალითად მანქანები ცვლიან ცოცხალ შრომას და,პირიქით.ფაქტორთა გადაადგილებას სივრცეში მის **მობილურობას** უწოდებენ.

მაგრამ არსებობს აბსოლუტურად მობილური ფაქტორები და სუსტად მობილურები,რომელთა ფუნქციები შეუძლებელია ან ძნელია შეცვალოთ.ასეთ ფაქტორებზე იძახიან,რომ ისინი მონოპოლიურ ელემენტს შეიცავენ და მონოპოლიურ საზღაურს მოითხოვენ მათი გამოყენებისათვის,რასაც მონოპოლიურ რენტას უწოდებენ.(მაგალითად,უნიკალური კულტურების მოსაყვანად გამოსადეგი მიწები,მიწები ქალაქის ცენტრში,წიაღისეულით მდიდარი მიწები და ა.შ.)

წარმოების ზოგიერთი ფაქტორი ფირმის მიერ მუდმივად გამოიყენება,მიუხედავად წარმოების მოცულობისა და დროებით დახურვის დროსაც კი.მაგალითი შეიძლება იყოს შენობის იჯარა,რამდენადაც საიჯარო ქირა უნდა გადაიხადო ყველა შემთხვევაში,რამდენი პროდუქციაც არ უნდა აწარმოო.იგივე შეიძლება ითქვას საბანკო კრედიტზე,ანაზღაურებაზე,სადაზღვევო შენატანების,კომუნალური მომსახურების გადასახადზე.ფირმის დანახარჯებს,რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორთა ანაზღაურებაზე და რომელთა სიდიდე დამოკიდებული არ არის წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე **მუდმივი** დანახარჯები (FC-ინგლ.fixed costs) ეწოდება.

ფირმის ცვალებად ხარჯებს (VC-ინგლ.-variable costs) მიაკუთვნებენ პერსონალის ხელფასის ანაზღაურებას,რაც გამომუშავების მიხედვით დაერიცხება,ნედლეულის,მასალების,სათბობის,ელექტროენერგიის და ა.შ. გამოყენების გადასახდელებს.წარმოების შეწყვეტით ცვალებადი ხარჯები თითქმის ნულამდე